114/1980

87

ISSN 0132—590 X

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

7

1980

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 57-ე № 7 ივლისი, 1980 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


## შინაარსი


ახალი ჰორიზონტები (მოწინავე) . . . . . . . . . . . 3
ნოდარ გურეშიძე — როცა პარტია ყრილობას იწვევს. ლექსი. . . . . . 4
გრიგოლ ჩიქოვანი — რწმენა. რომანი. . . . . . . . . 7
ბელა შალვაშვილი — ლექსები. . . . . . . . . . 36
შალვა ფორჩხიძე — ლექსები. . . . . . . . . . . 40
მირიან მირნელი — ლექსები. . . . . . . . . . . 44
შოთა ზოიძე — ლექსები. . . . . . . . . . . . 48
რევაზ ჯაფარიძე — მძიმე ჯვარი. რომანი. გაგრძელება . . . . . . 52
ალექსანდრე ქუთათელი — ლექსები. . . . . . . . . . 77
იმედი ჯახუა — ლექსები. . . . . . . . . . . . 83
ალუდა არაბული — ლექსები. . . . . . . . . . . 85
ვერიკო წერეთელი — ლექსები. . . . . . . . . . . 87
ოთარ ჭელიძე — აია-კოლხიდელი ზღვაოსანი. პოემა. გაგრძელება . . . . . 89
ბეჟან ხორნაბუჯელი — მოთხრობები. . . . . . . . . . 109
ილია ხოშტარია — ლექსები. . . . . . . . . . . 118
ვლადიმერ ჯანჯღავა — ერთგულება. დივიზიის მეთაურის ჩანაწერები. გაგრძელება 120


### კრიტიკა და პუბლიცისტიკა


გურამ გვერდწითელი — ქართული მოთხრობის ავ-კარგი . . . . . . . . 136
ვალერიან ითონიშვილი — ილია ჭავჭავაძე და ქართული ეთნოგრაფია 152
ილია ანთელავა — „ხელმწიფის კარის გარიგების“ დათარიღებისათვის 159


### ჩვენი იუბილარები


ავთანდილ ნიკოლაიშვილი — მწერალი და ჯარისკაცი . . . . . . . 162


### ფაქტები, მოგონებანი


აკაკი შანიძე — მოგონებანი . . . . . . . . . 167
ლევან ასათიანი — უბის წიგნაკიდან. გაგრძელება. . . . . . . . . 174


### წიგნების მიმოხილვა


ლ. ტუხაშვილი — ვინ იყო მუშტაიდ თავრიზელი . . . . . . . . 187



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

# გამოსათხოვარი


ვალმოხდილი . . . . . . . . . . 191
ზურაბ ჭუმბურიძე — შალვა ალხაზიშვილის ხსოვნას . . . 192


ეროვნული ბიბლიოთეკა


მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

**სარედაქციო კოლეგია:**

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ა. ბერულავა, ოთ. ბიბინეიშვილი, ა. ბომიაშვილი, ა. კალაძე, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, დ. შენგელაია, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11. მთ. რედ. მოადგილის — 93-55-18, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 3/VI-80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/VII-80 წ., ანაწყობის ზომა 7¼×12. ქაღალდის ფორმატი 70×108 $^{1}/_{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი თაბახი 16,58.

უე 08561. ტირაჟი 19.350. შეკვ. 1587

ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღრ.-საგამომცემლო

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.


© საქ. ცკ-ის გამომცემლობა, 1980.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16421

# ახალი ჰორიზონტები

## სკკპ XXVI ყრილობის შესახვედრად

„ყოველი ყრილობა ახალ ჰორიზონტებს უსახავს ჩვენს პარტიასა და მთავრობას. მჯერა, ასეთი იქნება მომავალი ყრილობაც, რომელმაც უნდა განსაზღვროს კომუნისტური მშენებლობის დამდეგ ეტაპზე ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა.

ქვეყნის განვითარებასთან ერთად იზრდება საშინაო პოლიტიკის ამოცანების სირთულე და მასშტაბები. დიდ ჯაფად გვიღირს საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების გზით გადადგმული ყველა ნაბიჯი. აგრესიული იმპერიალისტური წრეები ცდილობენ ვნება მიაყენონ საბჭოთა კავშირს, მთლიანად სოციალიზმის პოზიციებს. ისინი ლამის საბჭოთა კავშირის გარიყვას ესწრაფვიან. მაგრამ ამ მიმართულებით მოქმედება თავიდანვე უშედეგო გამოდგა.

ეს გადამწყვეტწილად იმასთან არის დაკავშირებული, რომ განუზომლად გაიზარდა საბჭოეთის ეკონომიკური პოტენციალი და თავდაცვითი ძლიერება, კიდევ უფრო განმტკიცდა ჩვენი საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობა. უდიდესი როლი შეასრულა იმანაც, რომ ჩვენ სიდინჯე და თანმიმდევრულობა გამოვიჩინეთ და არავის დავანებეთ ავეცდინეთ კურსიდან, რომელიც სკკპ XXIV და XXV ყრილობებმა განსაზღვრეს.

ჩვენი კურსი ჩამოყალიბდა, მისი სისწორე პრაქტიკით არის დადასტურებული. მან სასიკეთო შედეგი მოგვიტანა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის დარგში. ამასთანავე ცხოვრება ახალ-ახალ ამოცანებს გვისახავს, რომელთა გადაწყვეტის გზებიც უნდა განვსაზღვროთ ყრილობაზე".

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ამ სიტყვებში მთელი სიღრმითა და სისრულით, ამომწურავი სიზუსტით არის განსაზღვრული ის განუზომელი მნიშვნელობა, რომელიც ენიჭება პარტიის მომავალ XXVI ყრილობას: მან კვლავ ლენინური შუქით უნდა გაანათოს ჩვენი წინსვლის გზა, კვლავაც ახალი გამარჯვებებისათვის დარაზმოს დიდი საბჭოთა ხალხი, გადაჭრას კომუნისტური მშენებლობის ახალ-ახალი, ხულ უფრო რთული ამოცანები, კიდევ უფრო აამაღლოს ხალხის ცხოვრების მატერიალური და სულიერი დონე, გააფართოვოს და გააღრმავოს სოციალისტური დემოკრატია.

ცნობამ პარტიის ოცდამეექვსე ყრილობის მოწვევის თაობაზე უდიდესი ენთუზიაზმი, შრომითი და პოლიტიკური აქტივობა გამოიწვია მთელს ჩვენს სამშობლოში; საბჭოთა ადამიანები გატაცებით ემზადებიან შეხვდნენ ყრილობას ახალი შრომითი წარმატებებით, დამკვრელური შრომით, სოციალისტური შეჯიბრების ფართო გაქანებით; ამ გზით ჩვენი ძლევამოსილი მუშათა კლასი, სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა და სახალხო ინტელიგენცია გამოხატავენ კომუნიზმის საქმისადმი თავიანთ უსაზღვრო ერთგულებას, ლენინის პარტიასთან მტკიცე, ურღვევ ერთიანობას.

ყოველი ახალი გამარჯვება, რომელიც ზრდის წარმოების ეფექტიანობას და ხელს უწყობს ხარისხის ამაღლებას, რა უბანზედაც უნდა ხდებოდეს იგი — მეტალურგიაში თუ ენერგეტიკის სფეროში, მანქანათმშენებლობაში თუ ქიმიურ მრეწველობაში, რკინიგზაზე თუ საკოლმეურნეო მინდორზე, ყოველი წარმატება, ყოველი ახალი ნაბიჯი წინ, არის საჩუქარი სამშობლოსადმი, XXVI ყრილობისადმი და, ბუნებრივია, რომ ახლა ყველა შრომითი კოლექტივი, ყველა საბჭოთა ადამიანი ცდილობს ღირსეულად შეხვდეს ლენინის პარტიის მორიგ ყრილობას.

ცხადია, ამავე წმინდა გრძნობით, ამავე გულწრფელი მისწრაფებით, ამავე ამაღლებული სულისკვეთებით არის გამსჭვალული ჩვენი სახალხო ინტელიგენცია და კერძოდ, მისი ერთ-ერთი მოწინავე რაზმი — საბჭოთა მწერლობა.

ქართული მწერლობა მუდამ თავის ხალხთან იყო, და ხალხურობის ეს კარგი, სახელოვანი ტრადიცია ახლა, ამ ბოლო წლების მანძილზე, ახალი ძალით აღორძინდა; ქართველი მწერალი შეიჭრა ცხოვრების შუაგულში; მან თავის უპირველეს საქმედ აქცია, გულთან მიიტანა ყოველი დიდი თუ პატარა სახალხო საქმე, ის გვერდით დაუდგა მეფოლადეს და მშენებელს, მევე-

ნახეს და მწყემსს, მხვნელ-მთესველსა და მეჩაიეს, და რაოდენ კარგი ნაყოფი მოიტანა ამან — ქართველი მწერლის ხმას ყურს უგდებს მთელი საქართველოს მოსახლეობა.

აქ ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელია, მაგრამ უამრავი მაგალითებიდან გამოვყოფთ მარტო ერთი — ჩვენ ვლაპარაკობთ იმ საკვირველ რეზონანსზე, რაც დაიმსახურა გამოჩენილი ქართველი მწერლის კონსტანტინე ლორთქიფანიძის წიგნმა „რა მოხდა აბაშაში" .არ იქნება გადაჭარბება, თუ ვიტყვით, რომ მწერალი აქ მიემგვლა გლეხკაცს, კოლმეურნეს, პარტიულ მუშაკს; მწერალმა აქ თაოსნის, ქვეყნის მმართველის ფუნქცია აიღო ხელთ, რაიკომის მდივანსა და კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან ერთად.

„აბაშავ, ჩემო სიყვარულო! მე არ ვიცი. როგორ მოგხვდება გულზე ჩემი პატარა წიგნი, მაგრამ ვიცი, რა სული ჩამიდგა შენმა დღევანდელმა დღემ. შენ ისე მომაწყურე და მომანატრე ყველაფერი, რაც უკვე სამუდამოდ წასული მეგონა ჩემგან.

მე ვცდილობდი, შენი ახალი დღეების მიუდგომელი მემატიანე ვყოფილიყავი, და თუ ხანდახან სიტყვა გამექცა, ლაგამი ვერ დავუჭირე, — განა შენი წყენა მანდოდა, — მე მხოლოდ ჭვარტლსა და შურს ვაშორებდი შენს ლამაზ კერას.

ამ ძნელბედობის ორმა ათეულმა წელიწადმა ბევრი საქმე წაახდინა საქართველოში. მეტი უბედურება რა იქნებოდა, — ვინც ქრთამს არ იღებდა, იმ კაცს ხმამაღლა დასცინოდნენ, რა ადგილს აფუჭებსო. ახალმა დროებამ, ახალმა ერისკაცებმა მდიდარი, ძლიერი და მართალი ქვეყნის აშენება-განმტკიცება დაისახეს მიზნად, და თუ ჯერ კიდევ ყველა ფანჯარაში არ კიაფობს სინათლე, განა თვით ღმერთმა ამ ქვეყნის გაჩენას შვიდი დღე არ მოანდომა?!"

ამ სიტყვებით თავდება კონსტანტინე ლორთქიფანიძის ზემოხსენებული წიგნი. როგორც თვითონ მწერალიც აღნიშნავს, არ კმარა იყო მხოლოდ მემატიანე, უნდა იყოს მებრძოლიც, ყველგან რომ მიასწრებს და ხელს შეაშველებს, სადაც გაჭირვებაა, შეუპოვრად, ხელებდაკაპიწებული რომ სწმენდს ჭვარტლსა და შურს, სადაც კი შეამჩნევს.

ხალხურობისა და პატრიოტულობის პრინციპმა ჭეშმარიტად ბრწყინვალე განხორციელება ჰპოვა თანამედროვე ქართულ პოეზიაში, რომელიც გამოირჩევა დიდი იდეური სიმდიდრით და ქმედითი ემოციურობით. აქაც მხოლოდ ერთი

---

ნოდარ გურეშიძე

## როცა პარტია ყრილობას იწვევს...

ყოველთვის,
როცა ყრილობას იწვევს
და სამომავლო ფიქრებს ამხელს
ჩვენი პარტია —
ჩვენ სიამაყით გულები გვიცემს
და ჩვენს თვალებში სიხარულის
ცეცხლი ანთია.

როცა პარტია ყრილობას იწვევს —
სჯერა ჩვენს მამულს უეჭველად
და ხალხმა იცის —
ხვალ უფრო ძლევამოსილად და უფრო
მტკიცედ
ჩავწვდებით
სიღრმეს უსასრულო დროის
და სივრცის.

როცა ყრილობა ახალ გზებს გახსნის —
ეს ხალხმა იცის,
უეჭველი რწმენა აქვს მამულს —
ხვალ უფრო მეტი ექნება ფასი
ალალკაცობას, შრომას, ძმობას,
სინდისს და ნამუსს.

ხვალ უფრო მეტი,
ხვალ უფრო მეტი
გული ექნებათ სამეგობროდ ხალხს
ერთმანეთის,
და სამშვიდობოდ
იბრუნებს ბედი
ჩვენი საერთო საფიცარის,
ჩვენი პლანეტის.

მამაპაპათა ნანატრი ახდა,
ბნელი ღრუბელი გაიფანტა
გულის მზარავი,
ჩვენ გავამართლეთ იმედი ხალხთა,
ვართ სინათლისკენ უპირველეს
გზის გამკვალავნი.

სხვადასხვა ფერის,
სხვადასხვა ერის

მაგალითით დავკმაყოფილდებით: გაიხსენეთ რაოდენ პოპულარულია მკითხველთა შორის მორის ფოცხიშვილის ორბისფრთიანი ლექსი და სიტყვა, როგორ ამშვენებს და ემხს მატებს იგი ჩვენს შეკრებებს, სახალხო ზეიმებს თუ საქმიან შეხვედრებს, რა სიხარულითაა გაბრწყინებული ხოლმე ადამიანთა თვალები, როცა პოეტს თავის გვერდით დაინახავენ, რა გატაცებით იმეორებენ მის მართლაც შესანიშნავ სტრიქონებს — „თბილისელი ხარ, შენც თბილისს მზის სხივად გადაექარგე, ქორწინების წინ ხე დარგე, შვილი გეყოლა — ხე დარგე; ხე დარგე, როცა მოილხენ, როცა მოიწყენ — ხე დარგე; ლელოს გაიტან — ხე დარგე, კარგ ლექსს რომ დასწერ, ხე დარგე; თუ ვერ დასწერე, რა უშავს, ნურც რას იდარდებ მეტადრე, ხის დარგვა ხომ შეგიძლია, შენც აიღე და ხე დარგე!“

როგორ აიტაცა ხალხმა ეს ლექსი, რომელიც ავტორმა პირველად თბილისის ოცდამეჩვიდმეტე პარტიულ კონფერენციაზე წარმოთქვა — იგი მოედო ჯერ დედაქალაქს და შემდეგ მთელ საქართველოს. საინტერესოა შემდეგი ბედი ამ ნაწარმოებისა: გამოიცა „სამახსოვრო“ ახლადდაქორწინებულებისათვის, სადაც შეტანილია ეს ლექსი; მათ სანერგეში უნდა შეიძინონ ნერგი, შემდეგ ბეჭედდასმული ცნობა იმის თაობაზე, რომ ხე უკვე დარგეს — უნდა მიიტანონ ქორწინების სახლში — და ბედნიერი წყვილები გატაცებით და სიხარულით ასრულებენ ამ ცერემონიალს, რგავენ თავიანთი პირველი ბედნიერების ხეს. ჩვენს მშვენიერ ახალგაზრდობას თითქოს გულის ფიცარზე ჰქონდა წარწერილი ამ ლექსის სტრიქონები თვით მანამდეც კი, ვიდრე მორის ფოცხიშვილი ამ ლექსს დასწერდა.

ჩვენ მხოლოდ ამ ორი მწერლის სახელი გავიხსენეთ, თამამად შეიძლებოდა ჩამოგვეთვალა არაერთი ათეული სახელი როგორც პოეზიის, ისე პროზისა და პუბლიცისტიკის სფეროებიდან, არაერთი ათეული წიგნი, რომლებმაც ამ ბოლო წლებში დიდად გაამდიდრეს და წინ წასწიეს ქართული ლიტერატურა.

ამ დიდ წინსვლას და აღორძინებას სათავე დაუდო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალმა ხელმძღვანელობამ, მისმა დაუღალავმა ზრუნვამ, რომელიც წარმართული იყო იქით, რათა უფრო დაეახლოვებინა პოეტი და ხალხი ერთიმეორესთან; საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შექმნა ყველა პირობა იმისათვის, რომ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოე-

ხალხს, შეფიცულებს ერთი მიზნით
და ერთი რწმენით,
მომავლისაკენ უძღოდა ბრძენი
კაცი —
რომელსაც ეძახოდნენ ვლადიმერ
ლენინს, —

როცა პარტია ყრილობას იწვევს
და სამომავლო აღმაფრენის
განზრახვას ამხელს, —
პირველყოვლისა,
მღელვარე ფიცით,
ჩვენ თვალს მივაპყრობთ
იმ ბრძენკაცის საყვარელ სახეს.

მაღალ დროშის-ქვეშ ხალხი შეკრულა,
ოცნებით
უკვე იმ მომავალ მწვერვალებს ვხედავთ,
და უფრო ქინით, უფრო ერთგულად
ვაგებთ ცადაწვდილ ხარაჩოებს
იმ ნათელ დღეთა;
მამულზე ფიქრით ღამეს ვათენებთ,
გულში მზე გვიდგას
შრომის ველზე გამგზავრებულებს,
და სიხარულით ვუმზერთ მართვეებს,
წამოზრდილებს და
დასაფრენად გამზადებულებს...

...როცა პარტია ყრილობას იწვევს,
სჯერა ჩვენს მამულს უყოყმანოდ
და ხალხმა იცის, —
ხვალ უფრო მძლავრად
და უფრო მტკიცედ
ჩავწვდებით სიღრმეს
უსასრულო დროის და სივრცის.

ბები ნამდვილად ქცეულიყო ხალხის საკუთრებად, მის სულიერ სიმდიდრედ, მის ერთვნულ სიამაყედ; იგი კი არ დარჩენილიყო გამოკეტილი წიგნებში და სამხატვრო გალერეებში, არამედ გასულიყო სამოქმედოდ ყველგან, — ქალაქად, სოფლად, მუშის, გლეხის, ინტელიგენტის ოჯახში; და ეს ასეც მოხდა — ლიტერატურა და ხელოვნება შევიდა ხალხის ყოფაში, მის სულში, ჩვეულებებში, პირველ მოთხოვნილებებში. ჩვენს სოფელს აღარ შეუძლია იცხოვროს ლექსის გარეშე, კულტურის სახლებისა და სასახლეების გარეშე, რომელთაგან ზოგი მოწყობილია ისე, რომ აკადემიური თეატრის სპექტაკლის მსვლელობას ტექნიკურად არაფერი შეუშლის ხელს. სოფელი დღეს წარმოუდგენელია ტელევიზიის გარეშე, რომელიც ნამდვილად გახდა ჯადოსნური სარკე, რომელშიაც ჩანს მთელი მსოფლიო, პლანეტის ორი ნახევარსფერო, და საიდანაც შეიძლება უცქირო სპექტაკლს პარიზისა თუ ბუდაპეშტის სცენაზე. მზის შუქივით მოეფინა კულტურა მთასა და ბარსაც ყველგან შეიჭრა, ყველგან შეიხედა, ყველა ხეობაში, სადაც უწინ მარტო ვიწრო ბილიკი თუ მიიკლაკნებოდა.

ისტორიას ჯერ არ ახსოვს, რომ ქართულ კულტურას ასე ფართოდ გაღებოდეს კარი მსოფლიო ასპარეზზე გასასვლელად. დღეს ქართულმა რომანებმა, ფილმებმა, სპექტაკლებმა, მუსიკამ, ქართულმა ანსამბლებმა მსოფლიო სახელი მოიხვეჭეს.

ლიტერატურაში მოვიდა შესანიშნავი, მალალნიჭიერი ახალგაზრდობა, მხარში ამოუდგა უფროს თაობებს. წელგამართული, ძალღონითა და ენერგიით აღსავსე ხვდება ქართული მწერლობა უმაღლესი პარტიული ფორუმის, XXVI ყრილობის მოწვევას, ხვდება იმ რწმენით, რომ ძალუძს გადაჭრას უაღრესად რთული ამოცანები და პრობლემები, რომელსაც დღევანდელი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქა აყენებს მხატვრული სიტყვის ოსტატის წინაშე.

ქართულ მწერლობას მტკიცედ სწამს ისიც, რომ თვითკმაყოფილება, თავის დამშვიდება იმით, რასაც უკვე მივაღწიეთ — ძალზე მავნე სენია, რომელიც ხელს უშლის და აბრკოლებს ჩვენს წინსვლას. ჩვენს მწერლობაში ჯერ კიდევ შესამჩნევია მრავალი ნაკლოვანება, მრავალი ხარვეზი და ბრძოლა მათი გამოსწორებისათვის — უახლოესი და თანაც გადაუდებელი საქმეა. ასე, მაგალითად, ძალზე ცოტა იწერება საქართველოს მუშათა კლასზე; აქ სულ რამდენიმე წიგნის ჩამოთვლა შეიძლება — ესენია დემნა შენგელაიას „შთაგონება", აკაკი ბელიაშვილის „ვეფხია ხალიბაური", ლადო ავალიანის „ახალი ჰორიზონტი", გურამ ფანჯიკიძის „მეშვიდე ცა" და რამაზ კობიძის „გვიმრის ფოთლები". და ეს მთელი ექვსი ათეული წლის მანძილზე! ამ წიგნებმა მაღალი შეფასება დაიმსახურეს, მაგრამ ცოტაა ეს, ძლიერ ცოტა! და ეს იმ დროს, როცა საქართველოს მუშათა კლასის ცხოვრება და შრომა, მისი შინაგანი ფსიქოლოგიური სამყარო — წარმტაცი და მადლიანი თემაა. თუ სადმეა, აქ არის ახლის ძიება, ახალი სიღრმეების მიგნება ადამიანის სულში; აქ არის დიდი მორალურ-ეთიკური პრობლემები, კაცის გმირობა, მაღალი ადამიანურობა, პრინციპულობა; აქ თვითონ თემას შემყავს მწერალი ცხოვრების შუა მორევში, სადაც ყველაფერი დუღს და ბრუნავს; სწორედ აქეთ მოუწოდებს პარტია მწერალს, რომლის ვალი ის კი არ არის გაჰყვეს გატკეპნილ ბილიკს, ხშირად მან თვითონ უნდა გაკაფოს გზაც და ბილიკიც, ყოველ შემთხვევაში, დაეხმაროს ადამიანს მის მოძებნაში.

ჯერ ისევ პარტიის XXIV ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „ეჭვი არ არის, საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების წარმატება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა. ხოლო ნაკლოვანებანი უფრო სწრაფად აღმოიფხვრებოდა, ჩვენი ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკა რომ უფრო აქტიურად ახორციელებდეს პარტიის ხაზს, იჩენდეს პრინციპულობას, მომთხოვნელობას ახამებდეს ტაქტთან, მხატვრულ ღირებულებათა შემქმნელებისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებასთან".

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ეს სამართლიანი მითითება კვლავ ძალაშია და კვლავ მოითხოვს ჩვენგან გავაკეთოთ ყველაფერი, რათა დავძლიოთ კრიტიკის ჩამორჩენა. ეს კი იმის მომასწავებელი და იმის მანიშნებელი იქნება, რომ ჩვენი ლიტერატურა უფრო მძლავრი ნაბიჯებით წავა წინ.

მხატვრული ლიტერატურა — იდეოლოგიური ფრონტის ფრიად მნიშვნელოვანი უბანია; ამ ფრონტზე დღეს მსოფლიოში გაათრებული ბრძოლა მიმდინარეობს, „ვაშინგტონი, — როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა ივნისის პლენუმზე, — ყოველ ცისმარე დღეს ცდილობს აალორძინოს ცივი ომის სულისკვეთება, გააძლიეროს მილიტარისტული განწყობილება. ამისათვის კი ყოველგვარ, არსებულ თუ არარსებულ საბაბს ეძიდება".

იმ იდეოლოგიურ ბრძოლაში საბჭოთა მწერალი, როგორც მუდამ, მოწინავე პოზიციაზე დგას და გულმოდგინედ იცავს ლენინის პარტიის სიმართლეს, იცავს საქვეყნო მშვიდობას, ვინაიდან „მშვიდობა კაცობრიობის სწორუპოვარი საუნჯეა. ხალხთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობის დროშა ვ. ი. ლენინმა აღმართა და ამ დროშას ჩვენ მუდამ ვუერთგულებთ". (ლ. ი. ბრეჟნევი).

ამ დიდი ისტორიული ამოცანების ღრმა შეგნებითა და გათვალისწინებით, სრული პასუხისმგებლობის გრძნობით იწყებს ქართული მწერლობა მზადებას ლენინური პარტიის XXVI ყრილობის შესახვედრად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ ჩიქოვანი

# რ წ მ ე ნ ა

## რომანი

ვაგზლიდან მობრუნებული ტარიელ ქარდა და ვასო ბრეგვაძე დიდხანს მიდიოდნენ მდუმარედ. ქუჩები მიყუჩებული იყო, ქალაქი — მღელვარედ დაყურადებული. მხოლოდ ზღვის ხვნეშა არღვევდა მდუმარებას.

დილიდან სიცხე დაიჭირა, ზღვისპირა ქალაქის ნესტიანი, მძიმე სიცხე, ტანზე პერანგს რომ გაგაკრავს, ყელში წაგიჭერს, სუნთქვას შეგიკრავს, მოგთენთავს და მოგადუნებს.

ტარიელ ქარდა და ვასო ბრეგვაძე ისედაც მოთენთილები იყვნენ. არ გრძნობდნენ სიცხეს, ნესტს. მათი გონება, მათი გული ტკივილით იყო შეკრული, მათი სული — წუხილით მოცული.

მოედანი გადაჭრეს. რიონის ხიდისკენ გაუხვიეს.

სამმართველოში ბრუნდებოდნენ.

— არ ველოდი, ტარიელ, ასეთ დასასრულს, — დაარღვია დუმილი ვასო ბრეგვაძემ. არ შეუხედავს ქარდასათვის. თავჩაქინდრული მიაბიჯებდა მშენებლობის უფროსის გვერდით.

— არა, ვასო. ეს დასასრული არ არის. მშენებლობა დროებით შეჩერდა, — ქარდამ იგრძნო ყალბი იყო მისი სიტყვები, უიმედო იყო მისი ნუგეში და გული მოუვიდა თავის თავზე.

— „დროებით“, — გაიმეორა ვასო ბრეგვაძემ. — შენ ყოველთვის იმედიანი იყავი, მეგობარო.

— ჩემთვის იმედს არასოდეს უღალატია, — უთხრა ქარდამ, — დარწმუნებული ვარ, არც ახლა მიღალატებს.

რიონის ხიდზე შეაბიჯეს.

ხეფენილზე მძიმედ გაისმა მათი ნაბიჯების ხმა.

რიონი ადიდებული იყო, მაგრამ მდუმარედ მოდიოდა. არ უნდოდა ქალაქის მდუმარების დარღვევა.

შუა ხიდზე შედგნენ. იქით მიბრუნდნენ, საიდანაც რიონი მოგელავდა. იმ მხარეს იყო პატარა ფოთი, ყორათი და მშენებლობის სხვა მასივები, ახლა გაუქმებული, გაყუჩებული, მაგრამ მაინც შეესმათ მშენებლობის ნაცნობი ხმები: ექსკავატორების ხრჭიალ-რახრახი, ტრაქტორების თახთახი, გზის სატკეპნი მანქანების, ბულდოზერების, სატვირთო მანქანების გუგუნ-თუხთუხი.

ფიქრით ესმოდათ ეს ხმები, ჯერ კიდევ გუშინ ასე ახლობელი, ჩვეული, ყოველდღიური. ახლა კი ესოდენ აუტანელი, მძიმე და გაუსაძლისი. დაეყრდნენ მოაჯირს, დახედეს რიონს. უნდოდათ გულისყური მდინარეზე გადაეტა-

კ. მარქსის სახ. საქ.
სსრ. სახელმწიფო

ნათ, მოწყვეტოდნენ მჭმუნვარე ფიქრს, მშენებლობის ხმაურს, ორივეს ერთდროულად რომ ჩაესმა.

რიონს ზღვისკენ მდოვრედ, დინჯად მიჰქონდა მძიმე, ძლიერი, მღვრიე ტალღები. გავარვარებულ ცის ქვეშ ქანგისფრად მოდიოდა სავსე კალაპოტში.

მთაში წვიმდა. როცა იქ ავდარია, რიონი ყოველთვის ადიდებული და პირქუში მოდის.

— რა გოროზია რიონი, — თქვა ვასო ბრეგვაძემ და მართლა გაჰქრა ფიქრში გაგონილი ხრჭიალ-რახრახი. დადუმდა ყველა სხვა ხმაც, გარდა რიონისა.

— გახსოვს, ვასო, ოთხი წლის წინათ, ვაჟა ჯაფარიძემ რომ გვითხრა, პატარა ფოთთან გავჭრათ რიონის დამბა და წყლის ნაწილი არხით ზღვაში ჩავაგდოთო, რომ წყალდიდობა აღარ დაემუქროს ქალაქსო.

— მაშინ ამისათვის არ გვეცალა, ტარიელ!

— უნდა გვეპოვა დრო. ვერ მოვისაზრეთ. ხომ შესაძლოა ოცდაჩვიდმეტი წლის წყალდიდობა განმეორდეს.

— იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ოცდაჩვიდმეტი წელი არასოდეს განმეორდება, — უთხრა ვასო ბრეგვაძემ და გული შეუკრა ოცდაჩვიდმეტი წლის ამბის გახსენებამ, — პატარა ფოთთან რიონის დამბის გაჭრის და წყლის ნაწილის ზღვაში გადაგდების იდეა ადრე ანდრო განგიას ჰქონდა, მაგრამ მაშინ პროექტის შესწორებებით იყო შეპყრობილი და სხვისთვის არ გაუმხელია.

— ანდრომ იცოდა, როდის რა უნდა ეთქვა, რა გაეკეთებინა, როდის რა იყო საჭირო.

გაჩუმდნენ. ანდრო განგიას გახსენებაც დაემატა მათ მწუხარე, ჯავრიან ფიქრს და კიდევ უფრო შეეკრათ გული. იდგნენ მოაჯირზე დაყრდნობილები და ცდილობდნენ არ ეფიქრათ არც ომში წასულებზე, არც ანდრო განგიაზე და მშენებლობის შეჩერებაზე. ერთობ მტანჯველი, ვარამიანი იყო ეს ფიქრი, ამიტომ დაეყრდნენ მოაჯირს, რომ დამძიმებული, ერთბაშად გატეხილი სხეული შეემაგრებინათ. ცდილობდნენ ერთმანეთისათვის დაემალათ, რა ხდებოდა მათ სულში. არ უყურებდნენ ერთმანეთს. რიონს დასცქეროდნენ, მაგრამ მაინც ხედავდნენ ერთმანეთს, მაინც ანდრო განგიაზე, მაინც ომში წასულებზე და მშენებლობის შეჩერებაზე ფიქრობდნენ.

რა კავშირი ჰქონდა ერთმანეთთან ომსა და ანდრო განგიას?! ჰქონდა კავშირი. აძლევდნენ გონებაში პასუხს ამ კითხვას, არ უნდოდათ ამ კავშირის დაზუსტება. ეშინოდათ მისი.

— ტარიელ, მგონი ერთხელ გითხარი, რომ პირველ მსოფლიო ომში გერმანიის წინააღმდეგ ვიბრძოდი რუსეთის ჯარში.

— ახლა ფაშისტური გერმანია გვებრძვის, ვასო, — უთხრა ტარიელმა.

— სამხედრო კომისარიატში ვიყავი. ვთხოვე კომისარს საინჟინრო ნაწილში გავემწესებინე.

— რა გითხრა კომისარმა?!

— უარი მტკიცა, ცივი უარი.

— ასაკი თავისას აკეთებს, ვასო, — უთხრა ტარიელმა. — თუ საჭირო იქნება, თვითონ დაგიძახებენ. მაგრამ არა მგონია, ჩვენი ასაკისანი დასჭირდეთ ჯარში. მე არ მივსულვარ კომისართან, ვიცოდი, უარს მეტყოდა.

ისევ გაჩუმდნენ. აქ, შუა ხიდზე განმარტოებით იდგნენ. არ უნდოდათ სამმართველოში დაბრუნება. ვინ მოვიდოდა ახლა იქ. თანამშრომლები ვაგზალზე იყვნენ. თავისიანებს აცილებდნენ. ხვალ-ზეგ უნდა დაეთხოვათ ყველა.

— ჩვენ რაღა გავაკეთოთ, ტარიელ? — ჰკითხა ვასო ბრეგვაძემ.

— ვიმუშაოთ, — უთხრა ტარიელმა. — შრომა, ჩემო ვასო, ჩემგან არ გესწავლება, იგივე ომია. ომი მარტო სისხლის ღვრა არაა. ოფლის ღვრაცაა, მხვნელ-მთესველის, მუშის, მშენებელის, მეშახტის, მეფოლადის, მემანქანის, ქალისა და კაცის, ბავშვისა და მოხუცის ჯაფაა!

— ასეა, ტარიელ.

— გასაკეთებელი და სამუშაო ახლა

უფრო მეტი გვექნება, — განაგრძო ტარიელმა. — ომი მალე არ დამთავრდება. ომს ბევრი უნდა: იარაღი, სურსათი, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. ახალი ქარხნები და ფაბრიკები. ახალი მშენებლობები. იარაღის კეთება ჩვენ არ ვიცით, მაგრამ მიწისა და მშენებლობის საქმეში რაღაც გაგვეგება.

— მერე? — ვასო ბრეგვაძემ თავი ასწია და შეხედა.

— იმ საქმეს მოვკიდოთ ხელი, რასაც მიწა მოგვცემს.

— რომელი მიწა?!

— იმ მასივების მიწა, დაშრობილი რომ გვაქვს, —მიუგო ტარიელმა. — ყორათის, ჭალადიდის, პატარა ფოთის, ქვალონის, საბაჟოს, საქორქიოს, ყულევის, ნაბადის მიწა. დავთესოთ სიმინდი, ლობიო, მუხუდო. მოვაშენოთ საქონელი. იმ მასივებში რომ საძოვრებია, უკეთესს ასხის მთაზე და ჩეგოლაზე ვერ ნახავ.

— დიდებული აზრია, ტარიელ, — უცებ გახალისდა ვასო ბრეგვაძე. მოაჯირიდან მკლავები აიღო, მთელი ტანით მიბრუნდა სამმართველოს უფროსისაკენ: — მაგრამ ვინ მოიწევს მოსავალს, ვინ მოუვლის საქონელს?! მე და შენ?!

— რატომ მე და შენ.

— აბა ვინ?!

— კოლმეურნეობა.

— რომელი კოლმეურნეობა?!

— მიწათმოქმედების კომისარიატს ვთხოვთ, ნება დაგვრთოს, ყორათის, ჭალადიდის, პატარა ფოთის, ქვალონის, საბაჟოს, საქორქიოს, ყულევის, ნაბადის სოფლები ერთ კოლმეურნეობაში გავაერთიანოთ და დამშრალ მიწაზე შევქმნათ ერთი მსხვილი კოლმეურნეობა.

—ვინ იმუშავებს, ტარიელ, იმ მსხვილ კოლმეურნეობაში?! — სიტყვა „მსხვილი“ ხაზგასმითა და გაკვირვებით წარმოთქვა. — იმ სოფლების კაცებიდან, ვისაც თოფის აღება შეეძლო, ყველა ჯარში წავიდა. მე და შენ მოვიწევთ **მოსავალს, მოვუვლით საქონელს?**

**— რატომ მე და შენ, ვასო. ჩვენთან** ერთად ისინი იმუშავებენ, ვინც დარჩა. მოხუცები და ქალები და კიდევ, თუ საჭირო შეიქნა, ბავშვებიც. ალბათ, ბევრი ლტოლვილი მოაწყდება საქართველოს. პირველ რიგში სოხუმს, ფოთს და ბათუმს. მათ ნავსადგურებს. ლტოლვილებიც იმუშავებენ. ჩვენ უნდა შევიკედლოთ ისინი.

ვასო ბრეგვაძე თვალს არ აშორებდა მშენებლობის სამმართველოს უფროსს. მოწონებით შეჰყურებდა.

— ეს კარგად თქვი, ტარიელ, სწორედ ის ლტოლვილები დაიდგამენ წელებზე ფეხს, რომ მტერზე შური იძიონ.

— ანდრო ხომ იმისათვის ისწრაფოდა, რაც შეიძლება მალე ეძია შური მტერზე — ჭაობზე. დაეშრო იგი, — უთხრა ტარიელმა. — ანდრო რომ არა, დღესაც არ გვექნებოდა დამშრალი იმ სოფლების მიწები.

— იმ მასივების შემკრები არხები, კოლექტორები, ქსელები და კვლები შამბნარითაა წალეკილი. მათი კედლები წვიმების ჩამონარეცხითაა ჩაქცეული, ფსკერი დალექილი. გასასუფთავებელია კედლები და ფსკერები. ვინ გააკეთებს ამას?

— სასისტემო სამმართველო.

— ვინ დარჩა იქ? მისი მმართველი, ლევან კიკნაძე ადრე გაიწვიეს ჯარში, როგორც თადარიგის მეთაური.

— მის მაგივრად შენ ჩაუდგები სათავეში სასისტემო სამმართველოს. უკეთესი კაცი მეორე არ მეგულება, — უთხრა ტარიელ ქარდამ. — ამ საკითხს წყალთა მეურნეობის კომისარიატს შევუთანხმებ. დაუყოვნებლივ უნდა დავიწყოთ ყველა დიდი და პატარა არხების, კოლექტორებისა და ქსელების გაწმენდა, რომ მარტში შევუდგეთ სიმინდის, ლობიოსა და მუხუდოს თესვას. — დაფიქრდა და მერე განაგრძო: — გახსოვს, ანდრო განგია ამბობდა, მშენებლობის პარალელურად ავითვისოთ დამშრალი მიწებიო. ჩვენ კი, დედაარხის გათხრის დამთავრებას ვუცდიდით. არ **ვიცოდით, ვასო, ანდრო განგიას ფასი. ის ნამდვილი გმირი იყო.**

— და გმირად დარჩა, — ჩუმად თქვა ვასო ბრეგვაძემ. ისე ჩუმად, ისეთი სასოებით, თითქოს წმინდანზე ლაპარაკობდა. ასეთ ადამიანზე წერდა გორკი: „ბეზუმსტვუ ხრაბრიხ პაიომ მი სლავუ“... — ვასო ბრეგვაძეს ძალიან უყვარდა გორკის დამოწმება. უყვარდა თვითონ გორკიც. პირადად იცნობდა მას, მოსკოვში ცხოვრებისას ხშირად ხვდებოდა.

— გორკი, თუ არ ვცდები, ვასო, იმასაც წერდა, საჭიროა გმირი არა ერთი საათისათვის, არამედ მთელი სიცოცხლისათვის. ასეა არა?

— ჰო, ასეა, — დაუდასტურა ვასო ბრეგვაძემ. — ანდროს საქმე ერთს კი არა, რამდენიმე კაცს ეყოფოდა საგმიროდ, — ვასო ბრეგვაძემ სათვალე მოიხსნა, სული შეუბერა, გაწმინდა და ისევ გაიკეთა. მიბრუნდა. კვლავ რიონს დააცქერდა, რომ მშენებლობის სამმართველოს უფროსისათვის სახე მოერიდებია. — დარწმუნებული ვარ, ტარიელ, ანდრო რომ არ წაეყვანათ, დღესაც ცოცხალი იქნებოდა. ვიდრე მშენებლობას არ დაამთავრებდა, ვერ მოკლავდა კიბო.

— ანდრო თვითონაც იყო ამაში დარწმუნებული...

— ჩემგან არ გესწავლება, ტარიელ. კარგად იცი, რა ძალა აქვს რწმენას, — არ აცალა სიტყვის დამთავრება ბრეგვაძემ. — ადამიანი იქაც კი ზოგჯერ რწმენით იმარჯვებს, სადაც მარცხი გარდაუვალია, ყველა გზა მოჭრილია. რამდენია ქვეყნად ამის მაგალითი.

ტარიელ ქარდას გაახსენდა ვაჟა ჯაფარიძესთან საუბარი, პირველად რომ გაუმხილა ანდრო განგიას კიბოთი დაავადების ამბავი, გაახსენდა თავისი სიტყვები: „დიდ საქმეს, უპირველეს ყოვლისა, სულიერი დაჟინება, სიმტკიცე და რწმენა უნდა“.

— რწმენა დიდი ძალაა, ვასო. საოცარი ძალაა. რწმენას მიჰყავს წინ ადამიანი და მისი საქმე. რწმენა რომ არა, ვერ მივაღწევდით იმას, რაც გავაკეთეთ.

მკლავებით მოაჯირზე დაყრდნობილები და ფიქრში წასულები დიდხანს იდგნენ ჩუმად. ქალაქში თითქმის ყველა იცნობდა მათ და უკვირდათ, ამ შუა დღეზე, რატომ იდგნენ ხიდზე მოცლილებივით. წინათ არავის უნახავს ისინი ამ დროს ქუჩაში მოსეირნენი.

ვასო ბრეგვაძე ისევ ანდრო განგიაზე ფიქრობდა. უცებ მიმოიხედა, ხომ არავინ გვიგდებს ყურსო. ახლო-მახლო ვერავინ დაინახა და ჩუმად, ჩურჩულით უთხრა ტარიელს ისეთი კილოთი, თითქოს რაღაც დანაშაული ჩაიდინაო:

— არ მინდოდა, ტარიელ, მეხსენებია ის წყეული სიტყვა „წაიყვანეს“. გახსოვს, რას ნიშნავდა იგი, ვისზე ამბობდნენ?

— ხალხის მტრებზე ამბობდნენ, — მწარედ, ჩურჩულითვე მიუგო ტარიელმა და იმანაც მიმოიხედა. ტუჩები გაუფითრდა. — ხალხის მტერი, — გაიმეორა მეტი სიმწარით.

— ვინა თქვა პირველად ეს საშინელი სიტყვა?! — ჰკითხა ვასო ბრეგვაძემ ტარიელს და სახეში შეაჩერდა. დაინახა, ადამიანის ფერი არ ედო. — მაპატიე, მეგობარო. მე ჩამოვაგდე ამაზე სიტყვა. ნუღარ გავაგრძელებთ, — ისევ მიმოიხედა,—ჩვენს დროში კედლებსაც აქვთ ყური. აქ კედლები არ არის. ხიდია, მდინარეა, ჰაერსაც ესმის ჩვენი საუბარი. არ იფიქრო, ჩემს ბებერ ტყავს ვუფრთხილდები. სადაც ვარდენ ბუკია, ანდრო განგია და სხვა ათასი უდანაშაულო წაიყვანეს, მეც იქ ვიყო. ჯანაბას ჩემი თავი.

— ანდრო განგიასთანა ადამიანები, რომ არ წაეყვანათ, შეიძლება ასე მოუმზადებელი არ შეხვედროდა ჩვენი ქვეყანა ფაშისტური გერმანიის ჯარების შემოსევას.

— დარწმუნებული ვარ, ანდრო ცოც-

ხალი რომ იყოს, პირდაპირ ციხიდან წავიდოდა ფრონტზე.

— ვასო, ერთხელ ვაჟა ჯაფარიძეს ვუთხარი, პარტია სასტიკად დასჯის იმათ, ვინც ისინი წაიყვანა, ვისი ხელებიც უდანაშაულო კომუნისტებისა და უპარტიო ადამიანებზე წმიდათაწმიდა სისხლითაა შეღებილი. მე თუ ვერ მოვესწარი ამ დღეს, მაინც იმ რწმენით ჩავალ სამარეში, — გაჩუმდა და მერე უფრო მეტი დაჯერებით განაგრძო, — რომ დადგება განკითხვის დღე, ვასო, — მკლავზე ხელი მოკიდა, — წავიდეთ. ახლა კიდევ უფრო საშინელ სიტყვაზე — ომზე უნდა ვიფიქროთ...

სამმართველოს დაქანებულ, ხის განიერ კიბეს მძიმედ, სვენებ-სვენებით აყვნენ. ოთახებში და დერეფნებში სიჩუმე იდგა. ყველა კარი გამოხურული იყო, ტარიელ ქარდას მისაღები ოთახის კარის გარდა. მაგიდას მდივანი უჯდა. ის-ის იყო ვაგზლიდან დაბრუნდა. იდაყვები მაგიდაზე ედო, სახით ხელებს დაყრდნობოდა და უაზროდ დასცქეროდა მის წინ გაშლილ რაღაც დადგენილებას, გუშინ რომ უნდა გადაებეჭდა, მაგრამ ისე იყო აფორიაქებული და შეწუხებული დღევანდელი ამბის მოლოდინით, ვერ შესძლო. წელან იმ ეშელონით ორი ძმა გააცილა ჯარში.

მშენებლობის სამმართველოს უფროსი და ვასო ბრეგვაძე მისაღებ ოთახში რომ შევიდნენ, მდივანი წამოდგა, კაბინეტის კარი გაუღო, სახე მოარიდა ქარდას. არ უნდოდა ტირილით დასიებული, დაწითლებული თვალები დაენახა მმართველს. ეშელონი დაიძრა თუ არა, მდივანი სამმართველოსკენ გამოეშურა, რომ აქ მარტოს გამოეტირა თავისი სადარდელი და ავადმყოფი დედისათვის ცრემლი არ დაენახვებინა.

— წადი შინ, ქეთინო. დედას მიხედე, — უთხრა ტარიელ ქარდამ. — დღეს არავის არ გვაქვს მუშაობის თავი.

კაბინეტში შევიდნენ და დასხდნენ. ფანჯრები ღია იყო. ნელ ზღვაურს გრილი ნიავი შემოქონდა.

ქეთინო არ წავიდა შინ. იმ დადგენილებას ბეჭდავდა, გუშინ რომ მისცეს. ტარიელს ესმოდა, რა ნელა, [illegible] აკაკუნებდა კლავიშებზე მდივანი. გულში მწარედ გაეღიმა — ვილას უნდა ახლა ეს დადგენილებაო.

კაბინეტში კედლის საათი წიკწიკებდა. ტარიელ ქარდასა და ვასო ბრეგვაძეს არასოდეს არ გაუგონიათ მისი ასეთი ხმამაღალი, ჩქარი, ენერგიული წიკწიკი, თითქოს დრო ახლა უფრო სწრაფად გადიოდა, საათის ისრები უფრო სწრაფად მიიწევდა წინ. ასე მოეჩვენათ მმართველსა და ინჟინერს.

ვასოს თვალი პირდაპირ მდგარ სკამზე შეუჩერდა. ეს შეამჩნია ტარიელ ქარდამ. ერთმანეთს შეხედეს და სახეზე ერთმანეთის ფიქრი ამოიკითხეს.

სკამი ანდრო განგიასი იყო. მისი დაპატიმრების შემდეგ არავინ ჯდებოდა ზედ.

აღარ უნდოდათ ანდროზე ლაპარაკი, იმდენად მძიმე იყო მათთვის ეს, მაგრამ ვასო ბრეგვაძე თავს მაინც ვერ მოერია.

— ანდროც ასე ჩქარობდა მუდამ. დრო არასოდეს არ ყოფნიდა. ასე მგონია, ტარიელ, ანდრო ახლა ჩვენთან ზის ამ სკამზე, — სათვალე ისევ მოიხსნა და გამალებით წმენდდა, სულს უბერავდა, აკანკალებული თითებით ატრიალებდა. — იმ დღიდან ყოველთვის მეჩვენებოდა, ანდრო ჩვენთან იყო ყველა თათბირზე, ყველა კრებაზე, ყველა საკითხის გადაწყვეტისას, ყველა დადგენილების გამოტანისას. მესმოდა მისი აზრი, მისი ფიქრი, მისი ხმა და ვითვალისწინებდით მის აზრს, მის ფიქრს, მის რჩევას.

— გამოგიტყდები, ვასო. მეც ასე მეჩვენებოდა და ეს ბევრ საქმეში მეხმარებოდა, — უთხრა მმართველმა. — ბიძგს მაძლევდა, მამხნევებდა, გაბედულად მიმეღო საჭირო ზომები. ისეთ საკითხებს, ანდროს სიცოცხლეში რომ ყოყმანითა და ეჭვით ვწყვეტდი, ანდროს დაღუპვის შემდეგ გაბედულად ვჭრიდი. მეც მეგონა, ანდრო მართლა

იჯდა ამ სკამზე და მაგულიანებდა, აზრს მიწონებდა, — ზედმეტად გრძნობიერი მოეჩვენა თავისი სიტყვები, უხერხულად შეიშმუშნა, პაპიროსის კოლოფი აიღო, თუთუნს მოუკიდა და გააბოლა:

— გულჩვილობად ნუ ჩამომართმევ, ვასო. ამ მოგონებების მიზეზი ალბათ, ის არის, რომ დღეს უფრო მწვავედ შევიგრძენი ანდროს უკანონოდ დაღუპვის სიმძიმე. როგორ გვჭირდება ახლა ანდროსთანა ადამიანები, — ისევ გააბოლა, ბოლმა ფილტვებში დაუარა და თავბრუ დაახვია.

— ნუ მოსწევ, ტარიელ, — სთხოვა ბრეგვაძემ.

ქალადიდის უბნის მშენებლობის კანტორის კარზე აბრა შეეცვალათ. კოლმეურნეობა „ოქროს საწმისი" ეწერა მსხვილი ასოებით. უბნის უფროსის, სპირიდონ გუნიას კაბინეტის კარზეც ახალი აბრა ეკიდა: **კოლმეურნეობის თავმჯდომარე ტარიელ ქარდა.**

იუწყებოდნენ შავ ფონზე დაწერილი ასოები.

სპირიდონ გუნიას სკამზე ტარიელ ქარდა იჯდა. ტარიელის გრძელ, მწვანე მაუდგადაფარებულ მაგიდაზე, დოქით წყალი, ჭიქა და საფერფლე იდო, ირგვლივ ფოთის რაიონის რაიკომის მდივანი, ციებისაგან სახეგაყვითლებული, შუახნის, ენერგიული და სანდომიანი სახის მამაკაცი, ვახტანგ ქანთარია, ვასო ბრეგვაძე, გალინა არკადიევნა სეროვა, პარტორგანიზაციის მდივანი ლონგინოზ ლომჯარია და კოლმეურნეობის გამგეობის წევრები უსხდნენ.

კედელზე, უწინ რომ კოლხეთის დაბლობების მელიორაციული დარაიონების, სანიადაგო, სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ჰიდროლოგიურ-მელიორაციული სასისტემო რუკების სქემები და ქალადიდის უბნის დაშრობის გენერალური გეგმის სქემა იყო გაკრული, ახლა სიმინდის, ლობიოს და მუხუდოს მოწევის ვალდებულებების გეგმები გაეკრათ.

გეგმებში აღნიშნული იყო ბრიგადების მიერ ნაკისრი ცენტნერების ციფრები, ბრიგადირების გვარი, სახელი და მათი ხელმოწერა.

განსაკუთრებით თვალსაჩინო ადგილზე გაეკრათ მესიმინდეების ბრიგადირების — ცია ცანასა და ცისანა ცინცაძის ვალდებულებები, აგრეთვე ორივე ქალიშვილის, ლონგინოზ ლომჯარიას მიერ გადაღებული ფოტოსურათები.

ლობიოს ოდიშელები სიმინდთან ერთად თესავენ. ლობიო სიმინდის ღეროზე ადის. სიმინდთან ერთად იმარგლება. მუხუდო სიმინდის ჩრდილში ხარობს და სიმინდის ტეხვასთან ერთად იღებენ მის მოსავალს. ბრიგადების ნაკისრ ვალდებულებაში ლობიოსა და მუხუდოს მოწევის ვალდებულებაც იყო შეტანილი.

ჯერ კაცმა არ იცოდა, რა მოსავალს მისცემდა ჭაობისაგან დამშრალი ყამირი მიწა მოჭირნახულეებს, მაგრამ ცია ცანას დაჟინებით, ყორათის, ქალადიდის, ქვალონის, ნაბადის, ყულევის, საბაჟოსა და სხვა სოფელში მცხოვრები გლეხების ასი წლის გამოცდილებით ივარაუდეს საშუალოდ რამდენი ცენტნერის მოწევა შეეძლოთ იმ დამშრალ მიწებზე და ამის მიხედვით დაგეგმეს ბრიგადებმა თავიანთი ვალდებულება— ჰექტარზე ოცი ცენტნერი.

ცია და ცისანა არ დაჯერდნენ ამ ციფრს და ჰექტარზე ოცდაათი ცენტნერი ივარაუდეს. ახლა ომია, ქვეყანა განსაცდელშია, მიწამაც უნდა გაიჭირვოსო, თქვეს მათ. ჩვენ მოვინდომებთ, მიწასაც მოვანდომებინებთო.

— ამხანაგებო, მთავრობამ და პარტიამ ამ საქმეშიც შეგვიწყო ხელი. ათასხუთასი ჰექტარი მიწის ომის სამსახურში ჩაყენება სამხედრო საქმედ მიიჩნიეს, — განაგრძობდა დაწყებულ ლაპარაკს რაიკომის მდივანი. — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბთან შეთანხმებით, დროებით დაგვიტოვეს მშენებლობის ტრაქტორები.

— გაზაფხულამდე თუ გვაცალეს, ხვნას მოვრჩებით, — თქვა ტარიელ ქარდამ.

— ეს, ალბათ ,იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ წარიმართება ომის ბედი, — უთხრა რაიკომის მდივანმა.

— იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ომი ჩვენს სასარგებლოდ წარიმართება. შეწყდება ბოლოს და ბოლოს უკან დახევა, — იმედიანად თქვა გალინა არკადიევნამ.

— რასაკვირველია, შეწყდება, მაგრამ როდის? — ფარულად ამოიოხრა ვასო ბრეგვაძემ.

— ამ საკითხს ჩვენ ვერ გადავწყვეტთ, მეგობრებო, — სიტყვა გააგრძელა რაიკომის მდივანმა. — ჩვენი ვალია, ფრონტს მთელი ძალებით მივეხმაროთ. წელებზე ფეხი დავიდგათ.

კაბინეტის ფანჯრების რაფებზე, როგორც ამას ქალაქიდის უბნის მშენებლობის უფროსი აკეთებდა, ევკალიპტების ახლად მოტეხილი ტოტები ეწყო, მაგრამ ხვატით გამწარებული კოლოები მაინც შემოდიოდნენ წუილით და ოფლიან სახესა და ხელებზე კბენდნენ მაგიდებთან მსხდართ. ისინი ისე იყვნენ შეჩვეულები მათ ნესტარს, ტკივილს აღარ გრძნობდნენ.

— სატვირთო მანქანების დატოვებაზე უარი გვითხრეს. მოგეხსენებათ, ფრონტს სჭირდება.

— არც უნდა გვეთხოვა სატვირთო მანქანები, — თქვა უკმაყოფილოდ ვასო ბრეგვაძემ. — ეს ჩვენი წინდაუხედაობაა.

— მანქანების ადგილზე ურმებს ვამუშავებთ, ვახტანგ სემიონოვიჩ, — უთხრა სეროვამ რაიკომის მდივანს. გალინა არკადიევნა გრძელი, მწვანე მაუდგადაფარებული მაგიდის ბოლოს იჯდა, ცია ცანავა და ცისანა ცინცაძის შუა. მშობიარობის შემდეგ გამხდარი და ფერმკრთალი იყო.

რაიკომის მდივანმა ახლაღა შეხედა სეროვას.

—უკაცრავად, გალინა არკადიევნა, ბიჭი აქამდე ვერ მოგილოცეთ. ვაჟს მისწერეთ? — რაიკომის მდივანი ახალი არჩეული იყო, მაგრამ მშენებლობიდან და რაიონის სოფლებიდან ომში წასულების ყველა ახლობელს იცნობდა. იცოდა, რა უჭირდათ, რა ულხინდათ. ყოველთვის მოეპოვებოდა მათთვის ერთი-ორი თბილი სიტყვა.

— მივწერე, ვახტანგ სემიონოვიჩ, მაგრამ ახლა იქ ცა და მიწა იწვის.

— მართალია, იქ ახლა ცა და მიწა იწვის, — დასამშვიდებელი სიტყვის ნაცვლად უთხრა ვახტანგ ქანთარიამ. დასამშვიდებელი სიტყვა ყალბი და არაგულწრფელი იქნებოდა. ახლა არავინ არავის ამშვიდებდა. — ამბობენ, საველე ფოსტა მაინც კარგად მუშაობსო. გუშინ შვილისაგან მივიღე ბარათი. ისიც მოსკოვის ფრონტზეა, — აღარ უნდოდა ომზე ლაპარაკი. ციასა და ცისანას შეხედა: — სოფელში არ დაბრუნებულხართ. გითქვამთ, დამშრალ მიწაზე უნდა ვიმუშაოთო.

— სად ვიმუშავებთ, აქ, თუ სოფელში, სულერთია, მაგრამ ვიფიქრეთ, ამ მიწაზე მოწეული პური იმათთვის უფრო უპრიანი იქნება, ვინც დააშრო, — უთხრა ციამ რაიკომის მდივანს.

— კარგად გიფიქრიათ, — მოეწონა რაიკომის მდივანს ციას სიტყვა. — მართლა უპრიანი იქნება იმათთვის ამ მიწაზე მოწეული პური.

— ცია და ცისანა იმიტომ დავნიშნეთ ბრიგადირებად, ვახტანგ, — უთხრა რაიკომის მდივანს ტარიელმა, — რომ მათ არხების, კოლექტორებისა და ქსელების გაწმენდაში უკვე გვიჩვენეს, რისი გაკეთება შეუძლიათ.

— მაგათზე უკეთესად ვინ იმუშავებს ახლა. ბევრი პური უნდა ფრონტს, — რაიკომის მდივანი ვასო ბრეგვაძეს მიუბრუნდა: — თქვენმა სასისტემო სამმართველომ ჩინებულად გაართვა თავი საქმეს, ამხანაგო ვასო. თუ შემდეგშიაც ასე ენერგიულად იმუშავებთ?!..

— ხალხზე საყვედურს ვერ ვიტყვი, — უთხრა ბრეგვაძემ. — წელგაუმარ-

თავად მუშაობს ქალი და კაცი. მაგალითს ციასა და ცისანასაგან იღებენ.

— გასაგებია, — თქვა კმაყოფილებით რაიკომის მდივანმა. უცებ მისი ყურადღება კედლის საათის წიკწიკმა მიიქცია. ეს ის საათი იყო, ტარიელ ქარდას რომ ეკიდა „კოლხიდმშენის“ სამმართველოს კაბინეტში. იგი ისევ ისე ჩქარა, ენერგიულად წიკწიკებდა, როგორც მაშინ. — ბევრი დრო წაგართვით. თქვენ იცით, რომ ხვალ ბელორუსიიდან, უკრაინიდან და რუსეთიდან ლტოლვილებს მოველით?! ახლობელი ადამიანებივით შევხვდეთ ყველა. შევიფაროთ.

კოლმეურნეობის კანტორიდან ცია და ცისანა ბარაკში ბრუნდებოდნენ. დიდი ხანია საცდელი სადგურიდან ყორათში გადავიდნენ და საცხოვრებლად უჩა შამუგიას და ანტონ ბაჩილოს ოთახში დაბინავდნენ.

აქაც, ყორათში, როგორც საცდელ სადგურში, ერთად მიდიოდნენ სამუშაოდ და ერთად ბრუნდებოდნენ სამუშაოდან. აქაც ერთად ალაგებდნენ ოთახს, ერთად ამზადებდნენ საჭმელს, ერთად რეცხავდნენ და კერავდნენ. ერთი საქმე ჰქონდათ, ერთი საზრუნავი და სადარდელი, ერთი ფიქრი და ტკივილი.

ცხოვრობდნენ იმ ოთხ კედელში, უჩა და ანტონი რომ ცხოვრობდნენ. სუნთქავდნენ იმ ოთახის ჰაერით, იწვნენ იმ საწოლებზე, ჯდებოდნენ იმ სკამებზე, უსხდნენ იმ მაგიდას, ხედავდნენ იმ ფანჯრიდან უჩასა და ანტონის გათხრილ დედაარხს: ხედავდნენ ყორათის მიწას, უჩამ და ანტონმა რომ დააშრეს; იმ მიწაზე უნდა მოეწიათ ფრონტისათვის პირველი მოსავალი.

ხშირად სამუშაოდან დაბრუნებულები, დაღლილ-დაქანცულები დიდი ხანი შესცქეროდნენ იმ ჰერს, რომელსაც მათზე მოფიქრალი უჩა და ანტონი უყურებდნენ. ისინიც ისევე დაღლილ-დაქანცულები იყვნენ ექსკავატორის ბერკეტებთან ჯდომით. ციასა და ცისანას ფიქრი ახლა შიშიანი იყო. ტკივილიანი იყო. მწარე იყო.

— რაიკომის მდივანმა თქვა, გუშინ შვილისაგან მივიღეო ბარათი, — დაარღვია დუმილი ციამ. — ისიც თურმე მოსკოვის ფრონტზე იბრძვის.

— ჩვენ რა ღმერთი გვიწყრება, ცია?! რატომ არ გვწერენ უჩა და ანტონი?!

— არ ვიცი, ცისანა. არც გალინა არკადიევნა ღებულობს ბარათებს ვაჟასაგან. რანაირად ეცლებათ ბარათის დასაწერად თუ იქ ცა და მიწა იწვის?

— რა გვეშველება, ცია, — ცრემლი მოადგა თვალებზე ცისანას.

დაფიცებულები იყვნენ არ ეტირათ უჩაზე და ანტონზე. ღმერთი კრძალავს ცოცხალ ადამიანზე ტირილს. სწრაფად შეიწმინდა ცისანამ ცრემლი.

ციასა და ცისანას ბრიგადის მიწები ერთმანეთისაგან დაშორებული იყო, მაგრამ დღედაღამ მაინც ერთად იყვნენ. იშვიათად ჩამოაგდებდნენ სიტყვას უჩასა და ანტონზე. იცოდნენ, რომ ეს უცრემლოდ არ დამთავრდებოდა. ახლა იქ ცა და მიწა იწვისო, რომ თქვა გალინა არკადიევნამ და რაიკომის მდივანმაც დაუმოწმა, მაშინ კი ველარ შეიკავეს თავი, ცრემლი ჩაუდგათ თვალებში. თურმე ადამიანს არ ძალუძს შიში, ტკივილი, სიმწარე დაიმორჩილოს თავის ნებაზე, დათრგუნოს, რაც გინდ დიდი ნებისყოფისა იყოს.

ზღვა ღელავდა. შავი და მძიმე ღრუბლები დაბლა ჩამოწვა. ბინდი დააფინა ზღვასა და მიწას.

ოქტომბერი იწურებოდა. სიცხე მაინც მტკივნეულად იკბინებოდა. ჰაერი არ იძროდა, მაგრამ ქარი სადაც იყო ამოვარდებოდა და, როგორც ყოველთვის, ზღვიდან წამოვიდოდა თქეშითა და ლვართქაფით.

— რაღა ახლა გადაირია ზღვა, — თქვა ციამ, რომ შიშიანი, ტკივილიანი მწარე ფიქრი მოეშორებინა. — იმ სიშორიდან წამოსულ ლტოლვილებს, არ ეყოფოდათ, რაც თავის მიწაზე და გზაზე უბედურება გადახდათ, აქაც ასეთი ზღვა ეგებებათ.

— ურმები ამ საღამოსვე უნდა გავამზადოთ, ცია, — უთხრა ცისანამ. — ალბათ, ბევრი ურემი დაგვჭირდება.

დილით ზღვა ოდნავ დამშვიდდა. შუადღეზე სულ მიწყნარდა, მაგრამ ქარი კვლავ მძვინვარებდა. ღრუბლები უფრო დაბლა ჩამოეკა. შხუილითა და ზათქით წამოვიდა ზღვიდან ქარაშოტი, ღვართქაფი, ჰექა-ქუხილი. გაპო მთლად ჩაშავებული ცა ცეცხლის ხმალმა და ცა ფეხად ჩამოვიდა ქალაქის თავზე.

ნავსადგურში იმდენი ეტლი, დილიჟანი, ურემი, და ორთვალა არასოდეს არ მდგარა. არც იმდენი ქალი, ბერიკაცი და ბავშვი შეყრილა ერთად.

არავის არ უკვირდა. ყველამ იცოდა, რატომ იყვნენ ამ ქარაშოტსა და ღვართქაფში შეკრებილი. უცხო კაცი კი გაიოცებდა, ასეთ ამინდში ვის ელის ასეთი მოთმინებით ამდენი ადამიანიო.

წვიმა ტანზე სცემდათ ქალებს, ბერიკაცებს, ბავშვებს, ცხენებს, კამეჩებს და ხარებს. კოჭებამდე წყალში იდგა ადამიანი და პირუტყვი.

ცა აღარ იყო მაღალი და მიწა მაგარი, როგორც ამას ხალხში ამბობენ. მიწაზე ნიაღვარი იდგა და დაწეული ციდან ღვართქაფი ჩამოდიოდა.

ურმებისა და ორთვალების პატრონები ყორათიდან, ჭალადიდიდან, ქვალონიდან, ყულევიდან, ნაბადიდან, საბაჟოდან, პატარა ფოთიდან, საქორქიოდან და საღვამიჩაოდან იყვნენ მოსულები. მეურმეებს თავზე ძირშეკეცილი ტომრები ეფარათ. ზოგს ნაფქვილარი, ზოგს ნაცემენტარი, ზოგს დახეული და დიდი ხნის გაურეცხავი. ფქვილი, ცემენტი და ჭუჭყი წვიმის წყალს სახეზე და ტანსაცმელზე ჩამოჰქონდა, თვალებსა და სახის კანს უწვავდა. ტომარა რას დაიფარავდათ ასეთ მერეხში, მაგრამ მაინც ეფარათ.

წვიმის ღვაფუნსა და თქრიალში ყრუდ გაისმა დაბალი, მოკლე, თითქოს ვაგუდული საყვირის ხმა და მაშინვე თვალი ყველამ ზღვას მიაპყრო. მაგრამ ზღვა თვალშეუდგამი იყო და გემი არ ჩანდა. მიატოვეს დილიჟანი, [illegible] ურემი, ორთვალა და დიდი [illegible] გემის მისადგომისაკენ გაეშურა.

ცია და ცისანა ხალხის წინ მოექცნენ. სიცივით ატანილები ძაგძაგს ძლივს იკავებდნენ. წვიმა თვალებშიც სცემდათ, ყურებშიც, სულშიც.

ეტყობა, გემი ნელა, ძალიან ნელა და ფრთხილად უახლოვდებოდა ჯანღში ნავსადგურს. წვიმის მძიმე ფარდაც ფარავდა გემს, მაგრამ ყველა გრძნობდა, იგი ახლო იყო.

წვიმა შეუჩერებლადასხამდა.

გემი უცებ გამოვიდა წვიმის მძიმე ფარიდან. გემბანი სავსე იყო ლტოლვილებით და გემის სხეული სიმძიმისაგან ღრმად იჯდა წყალში. ყველა ნაპირისაკენ იყურებოდა.

— შეხედე, ცისანა, რამდენი არიან, — უთხრა ციამ მეგობარს.

გემი ნაპირს მოადგა.

ლოდინით გულგადალეული, ცივი წვიმით გათოშილი ხალხი ერთბაშად მიაწყდა ტრაპს.

ცია და ცისანა შესცქეროდნენ ტრაპის თავთან მოჯარულ ლტოლვილებს, ძლივს რომ იდგნენ ფეხზე და მოთმინებით ელოდნენ თავის რიგს. თან ბაქანს ათვალიერებდნენ, ვინ დახვდებოდათ, ვინ შეიფარავდათ. ამდენი დამხვდური რომ დაინახეს, შვება მოეცათ.

ტრაპი ვიწრო იყო და დაწილაკებით ჩამოდიოდა ქალი, ბერიკაცი, ბავშვი. მოჰყავდათ ახუტებული ჩვილები, მხრებში მოხრილები ძლივს ერეოდნენ ჩემოდნებს, ფუთებს. ქანაობდნენ, ბორძიკობდნენ, ათას ჭირვარამ გადატანილები, მშივრები, ზღვის ავადმყოფობით დაავადებულები, გამხდრები, სახეგალეულები, ქანცგაწყვეტილები, გაწუწულები. წვიმა კვლავ ასხამდა და ასხამდა ულმობლად, ძლიერად.

დამხვდურები ერთბაშად მიესივნენ ტრაპს, მათი საცოდაობით შეწუხებულები და აღელვებულები. ართმევდნენ ჩემოდნებსა და ფუთებს, გულში იკრავდნენ ჩვილებს. თავიდან ტომრებს იხ-

დოდნენ და მათ აფარებდნენ. კოცნიდნენ ყველას, როგორც ახლობლებს, თავისიანებს. მათი საცოდაობით გაოგნებულები ძლივს პოულობდნენ თითოოროლა გამამხნევებელ თბილ სიტყვას.

რაიკომის მდივანი ვახტანგ ქანთარია, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლონგინოზ ლომჯარიასთან ერთად ტრაპთან იდგა. ამაოდ ცდილობდნენ გაერჩიათ ბავშვების ტირილ-ჭყივილში, გადაძახილებში, კვნესაში, ქვითინში, ცხენების ჭიხვინში, კამეჩების ყოყინში, არეულდარეულობაში და წვიმის დგაფუნში, ვინ იყვნენ სოფლებიდან ჩამოსულები და ვინ ქალაქებიდან. უნდოდათ სოფლელები სოფლებში და ყორათის ბარაკებში გაენაწილებიათ, რომ მერე კოლმეურნეობაში ემუშავათ, ქალაქელები ფოთში დაეტოვებინათ, ქარხნებში, ფაბრიკებში და საწარმოებში გასამწესებლად.

იდგნენ და უყურებდნენ, როგორ ეპატიჟებოდნენ შინ ქალები და კაცები ჩამოსულებს. მხოლოდ ლონგინოზ ლომჯარიამ ვერ მოითმინა, არ მეყოფა ჩემი კოლმეურნეობისათვის ხალხი, თუ ასე დაიტაცეს ფოთელებმაო. უტყუარი, მხოლოდ მისთვის მონიშნებული ალღოთი ხვდებოდა, ვინ იყო სოფლელი და ვინ ქალაქელი, მიუხედავად იმისა, რომ ლტოლვილებს თითქმის ყველას ერთნაირად ეცვათ და ეხურათ, ერთნაირად ჩამოკენკილები, გაჭუჭყიანებულები და გაწუწულები იყვნენ. ლონგინოზი, ეს ტანსრული კაცი ისე მარდად ძვრებოდა ამ ჭყლეტა-ჭედვაში, გეგონებოდა ნემსის ყუნწშიც ადვილად გაეტეოდა.

ჩვენს კოლმეურნეობას „ოქროს საწმისი“ ჰქვია, ეუბნებოდა თვალის ერთი შევლებით შერჩეულ ქალსა და კაცს და ორიოდ სიტყვით უხსნიდა, რას ნიშნავდა ეს სახელწოდება. თუ გინდათ, კარგად იცხოვროთ იმ ჩვენს ოქროს მიწაზე და თქვენს შვილებს, მამებს, ძმებს და დებს ფრონტზე მიაწოდოთ თქვენი ოფლით მონაგარი, არიქათ, მე გამომყევითო!

ციასა და ცისანას ყურადღება მოღალმა, წარმოსადეგმა, ხანში შესულმა ქალმა მიიქცია. მას ერთი ხელი თოთხმეტი წლის ბიჭისათვის ჰქონდა ჩაჭიდული. ბავშვს მარცხენა მხარი თაბაშირში ეჯდა, შუბლი კი ბანდით ჰქონდა შეხვეული. ქალი იმ მხარეს ედგა გვერდით ბიჭს და ხალხისგან იფარავდა, რომ მხარი არ გაეკრათ, ან არ დაჯახებოდნენ.

ბიჭი გამხდარი იყო, თვალებჩაცვენილი. ტკივილისაგან სახე ემანჭებოდა, ჯარისკაცის გიმნასტურა ეცვა, მისი კალთა მუხლამდე წვდებოდა. წვიმას თაბაშირი გაელღო და თეთრად ჩამოსდიოდა შარვალზე. ეტყობოდა, გამღღვალი თაბაშირი აყენებდა ტკივილს.

ქალს მეორე ხელი თორმეტი წლის გოგოს მხარზე ედო. წინ მოზრდილი ჩემოდანი ედგა. სველი, ჭაღარა თმა სახეზე მიწეპებოდა. დიდი, გაწამებული თვალებით მოლოდინით უყურებდა დამხვდურებს. ეშინოდა, ბავშვებიან ქალს არავინ შემომთავაზებს შეკედლებასო.

— ისინი წავიყვანოთ ჩვენთან, — უთხრა ცისანამ ციას, — შეხედე რა დღეში არიან საცოდავები.

ის იყო ცია და ცისანა ბავშვებიან, ხანში შესულ ქალთან მივიდნენ, რომ ლონგინოზ ლომჯარიაც მიიჭრა ქალთან.

— რას უდგეხართ. არ გეცოდებათ ბავშვები?! — უთხრა ლონგინოზმა ქალს და მაშინვე მიხვდა, რა უაზრო იყო მისი შეკითხვა.

— მეცოდებიან, — მწარედ უპასუხა ქალმა. ჯავრისა და სიცივისაგან ყბები გახევებული ჰქონდა. ნელა ასწია ხელი და სახიდან სველი თმა უკან გადაიწია.

— ჩვენს ოთახში გვინდა დავაბინაოთ, ბიძია ლონგინოზ, — უთხრა ციამ.

— თქვენს ოთახში როგორ დაეტევით ხუთნი?!

— დავეტევით, — თქვა ცისანამ.

— აბა, ჰა, — გაეხარდა ლონგინოზს. იგი ბავშვებზე ჰკუას კარგავდა, მათ ტკივილს საკუთარი ტკივილივით განიც-

დიდა, ბავშვების დიდი ქომაგი და შემწე იყო. — გტკივა მხარი, ბიჭიკო!

ბიჭმა მწყრალად შეხედა ტკივილით სავსე თვალებით. არ უპასუხა.

— კი გტკივა, ბიძიკო. განა არ ვხედავ, — უთხრა ლონგინოზმა და ხელში აყვანა მოუნდომა, რომ ურემთან მიეყვანა და დაესვა, მაგრამ ბიჭი განზე გადგა.

— მე ბავშვი არა ვარ, — უთხრა ცივად.

— დაჭრილი ხარ, ბიძია, დაღლილი ხარ.

— არა ვარ დაღლილი.

— გაყევი აბა ამ ქალიშვილებს. უკეთეს მასპინძელს ვერ ინატრებ, — უთხრა ბიჭს და მერე ხანში შესულ ქალს მიუბრუნდა: — მიბრძანდით, ქალბატონო, ამ ქალიშვილებთან დაბინავდით. თქვენს ურემზე, გოგოებო, სამი ოჯახის ბარგი დავაწყვეთ. ამათ რომ თქვენსა მიიყვანთ, მერე ის სამი ოჯახი კლუბში მომიყვანეთ. იქ გავანაწილებ. არ ჩამოიქცა ეს ოხერი ცა.

ბარგის პატრონები ურემთან იდგნენ და მეურმეს ელოდნენ. ცია ურემზე ავიდა, რამდენიმე ჩემოდანი და ფუთა უკან გადააწყო, ხანში შესული ქალის ჩემოდანი სიბრტყეზე დადო და გოგო და ბიჭი ზედ დასვა. თვითონ წინ გაუძღვა კამეჩებს.

ცისანა და ბარგის პატრონები უკან გაჰყვნენ ურემს. ხანში შესული ქალი ცისანას გვერდით მიდიოდა.

წვიმამ გადაიღო.

ურმები, ორთვალები, ეტლები და დილიჟნები ნავსადგურიდან დაწყებული ლენინის ქუჩაზე რიონის ხიდამდე გაიჭიმა. ეტლებმა, დილიჟნებმა და ორთვალებმა შორს მოიტოვეს ურმები.

ჭიშკრებზე მომდგარი, აივნების მოაჯირზე და ფანჯრების რაფებზე გადმოყუდებული დიდი და პატარა ხელების ქნევით და მისალმების შეძახილებით აცილებდნენ ლტოლვილებს.

ზოგს ეზოდან და სახლიდან გამოჰქონდა მჭადი და ყველი, ხორცი და პური, თევზი და ხილი და — „მიირთვით, თქვენი ჭირიმე, ინებეთ, გენაცვალე, ნამგზავრი ხართ, შემოგევლეთ", — ეუბნებოდნენ ქალებს, ბერიკაცებს, ბავშვებს და ხელში აჩეჩებდნენ შეთავაზებულს.

ციასა და ცისანას ურემზე ბარგი უკან იყო დახერგილი და ურმის თავის სიმსუბუქის გამო აპეურების თოკი ქვევიდან კისერზე აჭერდა კამეჩებს. ცია ურემზე ავიდა და ბავშვებს შორის ჩაჯდა.

— რა გქვიათ, ბავშვებო?

— მე ნატაშა ვარ, — მაშინვე მიუგო გოგომ და გაუღიმა.

— შენ? — ჰკითხა ციამ ბიჭს.

ბიჭმა შეხედა, თვალი უნდობლად დაამფახურა და უგულოდ მიუგო:

— მაკარი მქვია.

ცია ხედავდა ბიჭის ტკივილით მოქცეულ, შეწუხებულ სახეს, ჩამონარეცხ თაბაშირით გასვრილ გიმნასტურასა და შარვალს. უნდოდა საუბარში გამოეწვია, დავიწყებოდა ტკივილი, სიცივე.

— მე კი ცია მქვია, — უთხრა ბავშვებს.

— ცია... ჰმ, რა უცნაური სახელია, — გაიცინა ნატაშამ.

— ნატაშა კი ლამაზი სახელია, — მოუწონა ციამ, — ნატა ჩვენებურად.

— ნატა არა. ნატაშა, — გაუსწორა გოგომ და უკმაყოფილოდ შეანათა მსხვილი, თაფლისფერი თვალები. სიცივისაგან კბილს კბილზე აცემინებდა. მთელი ტანით ძაგძაგებდა.

— ნატას ქართულად ვამბობთ, ნატაშა, — უთხრა ციამ.

— ვიცი, — თქვა დინჯად მაკარმა. — ნატა ვაჩნაძე. კინოში მინახავს. ყველაზე ლამაზი ქალის სახელია.

— აი, ხომ ხედავ, ვის ჰქვია ნატა, — მიუბრუნდა ცია ნატაშას.

— სულერთია, — თავისაზე იდგა ნატაშა. — ნატაშა ჯობია ნატას.

— იყოს შენებურად, — გაუცინა ციამ. — ნატაშა ლამაზი სახელია. შენც ლამაზი ხარ.

— ჩემი და ლამაზი არ არის, —



კ. მარქსის სახ. საქ.
სსრ. სახელმწიფო
რესპუბლიკური

თქვა მაკარმა, — ჩვეულებრივია. პრანჭია და ენატარტარა.

ნატაშას არ ეწყინა.

— ჩემი ძმა კი ლამაზი იყო, დაბომბვის შემდეგ ხედავთ, რას დაემსგავსა. სამარიდან ამდგარსა ჰგავს. ექიმს ეგონა, მხარი მოგლეჯილი ჰქონდა.

ცა მოისარკა და მზემ უცებ დააცხუნა.

— სად დაგბომბეს? — ჰკითხა ციამ მაკარს.

— მინსკს რომ გამოვცდით, გზაზე დაგვესხნენ „მესერშმიტები“.

— თქვენი გვარი? — ჰკითხა ციამ, როცა გაიგო, რომ ბელორუსიიდან იყვნენ.

— ბაჩილოა ჩვენი გვარი.

— დედა იქვე მოკლა ყუმბარის ნატეხმა. გზისპირას დავმარხეთ, — ჩაერია ლაპარაკში ნატაშა. — ბებია ოლგა რომ არა, უპატრონოდ დავრჩებოდით იმ გზაზე.

— მამა სადაა?

— ფრონტზეა მამა, — მიუგო ნატაშამ, — მაკარი ძალიან ლამაზი იყო. დედის დალუპვისა და მხრის მოტეხის შემდეგ...

— არ დაუჯეროთ. არასოდეს არ ვყოფილვარ ლამაზი, ხომ გითხარით, ენატარტარაა-მეთქი. თქვენ კი ხართ ლამაზი, ცია. ძალიან ლამაზი. წვიმით გაწუწულიც კი მშვენიერი, — მაკარმა უცებ გაშალა შუბლი. გაუქრა ტკივილი, წუხილი, გახალისდა ციას ასეთი გულკეთილი, მეგობრული მოქცევით. მოეწონა ცია. — სახელიც ლამაზი გაქვთ.

— ცია კოლხური სახელია.

— კოლხური? — ჰკითხა გაოცებით მაკარმა.

— რათ გაიოცე?

— ჩვენ ფოთში ჩამოვედით, თუ კოლხეთში?!

— ფოთი კოლხეთის ერთ-ერთი ნავსადგურია, მაკარ.

— მაშ, ჩვენ იქ ჩამოვედით, სადაც ბიძაჩვენი მუშაობს?! — მაკარს თვალები ფოსოებიდან ამოეწია, სახე გაუნათდა.

— ვინ მუშაობს აქ?! — ციას გაახსენდა ბავშვებმა რომ უთხრეს, ბაჩილოები ვართო.

— ბიძაჩვენი, ანტონ ბაჩილო მუშაობს აქ. კოლხეთის ჭაობებს აშრობს. ექსკავატორის დრაგერია, — უთხრა ნატაშამ, — არ გაგიგონიათ? იქნებ იცნობთ კიდევაც.

— რას ამბობ, ნატაშა?! — ყურს არ დაუჯერა ციამ. — როგორ არ გაგვიგონია, ჩვენი ანტონი. — გადაეხვია ბავშვებს. — ჩვენი სიძე, — ურმიდან ისკუპა. ცისანას მიეჭრა.

ცისანას მკლავი გაეყარა ოლგა ბაჩილოსათვის და სახეგაბრწყინებული, საუბრით მოჰყვებოდა ურემს.

— ცისანა, იცი, ვის ელაპარაკები? — ჰკითხა ციამ.

— ვიცი. ჩემს მომავალ დედამთილს, დეიდა ოლგას.

— არ გადამრიო, ცისანა, — წამოიძახა ციამ და გულზე მიიკრა დეიდა ოლგა. — მე ცისანას დობილი ვარ... ანტონის მეგობარი. ცია მქვია. მე და ცისანა ერთად ვცხოვრობთ. ანტონი და ჩემი საქმრო, უჩა შამუგია ერთად წავიდნენ ფრონტზე.

— ვიცი, შვილო, — უთხრა დეიდა ოლგამ. — ანტონი მწერდა, — სიხარულისაგან თვალები ეცრემლებოდა. — კალმით ნახატებიაო, ცისანა და ცია. მართლა კალმით ნახატები ყოფილხართ.

— რა სასწაულია, — ჩურჩულებდა ცისანა. — ალბათ, მე და ციას გულმა გვიგრძნო, რომ თქვენ ანტონის დედა იყავით. ამიტომ მოვედით თქვენთან და ჩვენთან წამოსვლა შეგთავაზეთ.

— ალბათ, შვილო. ანტონისა და უჩას ბარათი არ მიგიღიათ ფრონტიდან? — ჰკითხა დეიდა ოლგამ.

— არ მიგვიღია, — უთხრა უცებ დანაღვლიანებულმა ცისანამ.

ტყეში განლაგებულ გენერალ შვერტმეირის სატანკო ბრიგადასა და პოლკოვნიკ ანოხინის სატანკო ბრიგადის

ტანკსაწინააღმდეგო თხრილებს შორის, გაშლილ ვრცელ ველზე ბევრი გერმანული და საბჭოური აფეთქებული და დალეწილი ტანკი იდგა და ეყარა.

აფეთქებულ ტანკებს ჯერ ისევ ეხვია ცეცხლის შენელებული ალი. მის შუქზე მუქმწვანე ჯავშანზე შავად ლივლივებდა სვასტიკა. ზოგი ტანკი აყირავებული იყო. ალით განათებული, ათასობით კილომეტრგავლილი მათი მუხლუხოები გაპრიალებული იყო და ციალებდა.

აფეთქებული და დალეწილი საბჭოთა ტ-34 ტანკი შედარებით უფრო ცოტა იდგა და ეყარა ველზე. ცოტა იმიტომ, რომ მათ ახლახან შეცვალეს ძველი ბტ-7 ტანკები, რომლებიც ვერ უმკლავდებოდნენ გერმანელების ტ-4-ს. კიდევ იმიტომ იდგა და ეყარა ცოტა აფეთქებული და დალეწილი ჩვენი ტ-34, რომ ისინი ბევრად ჯობდა გერმანელების ტ-4 ტანკებს, უფრო სქელი და მაგარი ჯავშნით, მანევრირების უნარით, ქვემეხის კალიბრის სიდიდით, ჭურვის გასროლის სიჩქარითა და მოხვედრილობის სიზუსტით.

მეორე დღე ღამდებოდა, რაც უჩა შამუგია და ანტონ ბაჩილო განაპირა თხრილში ტანკსაწინააღმდეგო თოფს უსხდნენ. თხრილი ბოლოში წინ წახრილი იყო და სხვა ჯარისკაცებს ვერ ხედავდნენ. მხოლოდ მევაზნე შემოდიოდა მათთან დღე-ღამეში რამდენჯერმე. დიდი ხნის გაუპარსავი იყო. ჩათეთქვილი, დენთის კვამლითა და ჭუჭყით ჩაშავებული სახე ჰქონდა, წამოწეული ყვრიმალები. უძინარი, ქუთუთოებდაწითლებული, ჩამქრალი თვალებით კუშტად გამოიყურებოდა ხშირ წარბებქვემოდან. ისეთი გამხდარი იყო, ცხვირში და ყურებში სინათლე გასდიოდა. მიუტანდა ვაზნებს უჩა შამუგიასა და ანტონ ბაჩილოს, წინ დაუდებდა ყუთს და ისე გაბრუნდებოდა, კრინტს არ დაძრავდა.

უჩა შამუგია თავში იყო დაჭრილი. მევაზნე მის სისხლშემხმარ, მიწით გასვრილი ბანდით შეხვეულ თავს, ჩაჩქანის ქვევიდან რომ მოუჩანდა, ერთს შეავლებდა თვალს და უმალ [illegible] და.

შამუგია და ბაჩილო ატყობდნენ, რაღაც მოუნელებელი ჯავრი ჰამდა ამ ჯარისკაცს, მაგრამ არაფერს ეკითხებოდნენ. აქ, ამ ხოცვა-ჟლეტაში, ამ სისხლის წვიმაში, ცეცხლსა და ნგრევაში, ჯავრი რა სახსენებელი იყო!

სანიტრებმა ველიდან დაჭრილები რომ გაიყვანეს და მკვდრები გაიტანეს, მერე არც ჩამიჩუმი ისმოდა, არც არავითარი მოძრაობის ნასახი შეიმჩნეოდა ტყისა და ტანკსაწინააღმდეგო თხრილებს შორის.

მთელი დღის ბრძოლით დაქანცული შამუგია და ბაჩილო ცივ, ნესტიან მიწაზე იწვნენ. კვამლითა და აფეთქებების მტვრით ჩახუთულებს ჰაერი არ ყოფნიდათ. უჩას ისიც აწუხებდა, რომ ჭრილობიდან გამონაჟონმა სისხლმა ბანდი გაუხევა და ნახვევი უჭერდა, აწუხებდა.

ბრძოლა მაშინ მთავრდებოდა, როცა გერმანელები შესასვენებლად და საჭურვლის შესავსებად იხევდნენ ტყეში. მაშინ ჩვენს სანგრებში და თხრილებში დაჭრილებისა და მოკლულების ადგილს სხვები იკავებდნენ.

უჩა შამუგიამ და ანტონ ბაჩილომაც გუშინ დილით სხვების ადგილი დაიკავეს. ის ორი სხვა დროზე ვერ გაიტანეს, ღამითღა გაასვენეს.

მევაზნემ, იმ გამხდარმა ჯარისკაცმა, სანიტრებს მკვდრები რომ გაჰქონდათ, მხოლოდ მაშინ ამოიღო ხმა, კვირის მანძილზე ამ ტანკსაწინააღმდეგო თხრილიდან მეოთხე წყვილი გაიტანესო.

— ალბათ, ჩვენ მეხუთე ვიქნებით, მეგობარო, — უთხრა უჩა შამუგიამ.

გამხდარმა ჯარისკაცმა ახლაც აარიდა თვალი გასისხლიანებული ბინდით შეხვეულ უჩას თავს.

უჩა შამუგია და ანტონ ბაჩილო იწვნენ და ყურს უგდებდნენ დიდი ხნით გამეფებულ სიჩუმეს. ორი დღის ჯოჯოხეთის შემდეგ პირველად ესმოდათ ასეთი ხანგრძლივი, აუტანელი, შიშიანი

სიწყნარე. უნდოდათ გულისყური სხვა რამეზე გადაეტანათ, მოესვენათ, დამშვიდებულიყვნენ, მაგრამ ვერ ახერხებდნენ, იმდენად დაძაბული ჰქონდათ გონება, სხეული. შიოდათ და ვერ ჰამდნენ, წყუროდათ და ვერ სვამდნენ, ძილი უნდოდათ და ვერ იძინებდნენ.

დაღამდა.

ველი ისევ მიყუჩებული იყო.

გვიან შემოდგომის ცივი მთვარე პირსავსედ ამობრძანდა, თეთრად გააჩახჩახა ველი, აფეთქებული და დალეწილი ტანკები, თვითმავალი ქვემეხები, ჯავშანტრანსპორტიორები, მკვდრები, ჭურვებით ამოთხრილი და მუხლუხოებით ამობრუნებული მიწა და ამ მიწაზე აქაიქ ჯერ კიდევ შემორჩენილი დენთის თხელი კვამლი.

— ძილი მაწვება და თვალს ვერ ვხუჭავ, ანტონ, — დაარღვია სიჩუმე უჩა შამუგიამ.

— ძილმა შორს ჩაგვიარა, უჩა!

— რა დრო იქნება?

— შუღამე.

— რაღაც დიდი ხანი დუმან, — თქვა მოთმინება დაკარგულმა უჩა შამუგიამ.

სიჩუმისაგან კიდევ უფრო დაეძაბა გონება, სხეული, თავი ასტკივდა და შიშის გადასაყრელად სიტყვა განაგრძო:

— ანტონ, როგორ გგონია, ცია და ცისანა, რას აკეთებენ ახლა? ნეტა სიზმარში მაინც თუ გვხედავენ ხოლმე, რა დღეში ვართ?

— ისინი არ ვიცი, უჩა და მე კი ხშირად ვხედავ სიზმარში ცისანას.

— მე ერთხელაც ვერ ვნახე, ცია, — გულდაწყვეტით თქვა უჩამ.

— მე კი საკმარისია თვალი დავხუჭო...

— მარტო ცისანას ხედავ? — არ აცალა სიტყვის დამთავრება უჩამ.

— ზოგჯერ ციასთან ერთად ვხედავ.

— აბა, დაიძინე. იქნებ ცისანასთან ერთად ახლაც ნახო ცია და მერე მომიყევი, — გაიცინა უჩამ. სიცილისაგან უფრო მაგრად ეტკინა დაჭრილი თავი.

— სიზმრის ნახვა ადამიანის ნებაზე რომ იყოს, შენც ნახავდი ციას.

— მართალია. ადამიანის ნებაზე რომ იყოს, მეც ვნახავდი, — უთხრა უჩამ. — რა მდგომარეობაში ხედავ ცისანას სიზმარში?

— ხან როგორ, ხან როგორ, — უპასუხა ბაჩილომ და გულში გაუღიმა ცისანას.

უჩამ შურით შეხედა მეგობარს.

— უკანასკნელად რა მდგომარეობაში ნახე, ცისანა?

— ვერ გეტყვი.

— ნეტა მეც მანახა, ცია ისეთ მდგომარეობაში, — უთხრა უჩამ. — ანტონ, მართლა არ გიკოცნია ცისანასათვის?

— შენ საიდან იცი?!

— ვიცი, — არ უნდოდა გაემხილა, რომ ციამ უთხრა.

— მაინც საიდან იცი?!

— ციამ მითხრა, — ველარ დაუმალა უჩამ.

— ციამ რა იცოდა?!

— ცოდნია.

— გასაგებია.

— ამდენი ხანი რანაირად მოითმინე, რა გაკავებდა, ანტონ?! — ჰკითხა უჩამ.

— მოვითმინე.

— რამ მოგათმენინა?!

— არ ვიცი, უჩა, — თავი მიაბრუნა ანტონმა.

— მაინც რამ მოგათმენინა?! — არ ეშვებოდა უჩა. და უკვირდა, წელან გონება და სხეული ისე დაძაბული ჰქონდა, თავი სტკიოდა, ხმის ამოღება უჭირდა, ახლა რამ გამკრიფაო ენად. იქნებ იმან, რომ ყოველ წამს სიკვდილს ელოდა: — დიდი გაძლება გქონია, ანტონ. მე და ციამ ვერ მოვითმინეთ.

— ვიცი, — უთხრა ანტონმა. — ჩემი თვალით გნახეთ ყულევის პლაჟზე.

— მაშინ ცია განგებ მკოცნიდა, რომ შენ და ცისანას დაგენახათ და თქვენც გაგებედათ კოცნა.

— ვერ გავბედეთ.

— უნდა გაგებედათ, — შეეცოდა ანტონი. — თურმე კაცმა არაფერი არ უნდა გადადო. ვინ იცის, იქნებ ვერც დავბრუნდეთ შინ.

— შენი სისხლი რომ მქონდეს, ალბათ, გავბედავდი.

— ეგ სისხლზე არ არის.

— აბა რაზეა?

— არავინ იცის რაზეა.

— ახლა ვჯავრობ, რომ ვერ გავბედე. ვინ იცის, იქნებ მართლა ვერ დავბრუნდეთ შინ.

— ღმერთმა დაგვიფაროს ანტონ. ცისა უნახავად არ მინდა სიკვდილი.

— ღმერთის იმედით შენი მტერი იყოს, — სევდიანად გაიღიმა ანტონმა.

— უნდა გაგებედა, — უთხრა ისევ უჩამ. ჩაჩქანი მოიხადა, გვერდზე გადაბრუნდა, თავქვეშ ხელი ამოიდო. გახევებული ბანდი ახლა უფრო უჭერდა, ტკივილს უმძაფრებდა და მაინც, მოულოდნელად, როგორც კი ჩაჩქანი მოიხადა და თავქვეშ ხელი ამოიდო, ტკივილი შეუნელდა. ვერ იგრძნო ძილმა როგორ წაართვა თვალი.

— უჩა!

უჩას ძილში ჩაესმა ბაჩილოს ხმა. ძილში გამეორდა მათი საუბარი. ძილში ჩაჰყვა თავისი ნატვრა და ცის ნახვის წყურვილით მოცულ გონებაში მაშინვე გაქრა თხრილი, აფეთქებული, დალეწილი, ცეცხლმოდებული, აყირავებული ტანკები, მათი გავარვარებული, შავსვასტიკიანი ჯავშნები, ალით განათებული, ათასობით კილომეტრ გავლილი, გაპრიალებული, მოციმციმე მუხლუხოები, თვითმავალი ქვემეხები, ჯავშანტრანსპორტიორები, მოკლულთა გვამები, მევაზნის დიდი ხნის გაუპარსავი, ჩათეთქვილი, დენთის კვამლითა და ჭუჭყით ჩაშავებული, გამხდარი სახე, წამოწეული ყვრიმალები, ქუთუთოებდაწითლებული თვალები.

გაქრა აფეთქებული ჭურვისაგან ატყორცნილი მიწის შავი შადრევნები, ველზე დაფენილი დენთის თხელი კვამლი, მათ ნაცვლად თვალწინ დაუდგა სანუკვარი სურათი: ყულევის პლაჟზე ზღვიდან გამოსული ცია წინ ეწვა სილაზე. მზეზე ბრწყინავდა წყლის მძივებადაყრილი მისი მწიფე, ხორბლისფერი ტანი, მისი მოღიმარი სახე, მბზინავი თმა, მკვრივი ძუძუები.

— მაჩში არ ვყოფილვართ, უჩა, მაგრამ ცოლ-ქმარი ხომ ვართ, — იმეორებდა იმ სიტყვებს ცია, ყულევის პლაჟზე რომ უთხრა ორი წლის წინათ. — გაიგონ, ცისანამ და ანტონმა, რომ ცოლ-ქმარი ვართ, დავქორწინდეთ... ყველამ გაიგოს, რომ ცოლ-ქმარი ვართ, — ეხვეწებოდა, ემუდარებოდა.

— დედასა და ბაბას პირი გავუტეხოთ?!

— დედასა და ბაბას დიდი ხანია პირი გავუტეხეთ. დედამ და ბაბამაც გაიგონ, მთელმა მშენებლობამ გაიგოს, რომ ცოლ-ქმარი ვართ.

— ცისანა და ანტონი ხომ ითმენენ, ცოტა ჩვენც მოვითმინოთ.

— არა, არა, უჩა. ეს „ცოტა“ აღარ თავდება. მეტს ველარ მოვითმენ. აღარ შემიძლია. მე ცისანა არა ვარ და შენ ანტონი...

— ძინავს, — შეერხა ბაჩილოს ტუჩები. თვალს არ აშორებდა უჩას გაწამებულ, მაგრამ მოღიმარ სახეს. — იქნებ ნატვრა აუსრულდა და სიზმარშია, — დაყურადდა: — საექვოდ ღუმან ის ოხრები, — ვერ მოასწრო ამის თქმა, რომ ძილმა მასაც წაართვა თვალი.

მთვარე ცის კაბადონზე ავიდა. დღესავით გაანათა ჭურვებით ამობრუნებული, მუხლუხოებით გადათხრილი ველი. სხვადასხვა ფერად ისახებოდა მთვარის შუქ-ჩრდილში მიწის წალმა-უკულმა, წრეებად ერთმანეთში ჩახლართული, სიგრძე-სიგანეზე დასერილი, ცეცხლითა და კვამლით გადარუჯული, მუხლუხოებით ამობურცული და ჩაღრმავებული მიწის ორმაგი ზოლები, სამუდამოდ დადუმებული ტანკები, ჯავშანტრანსპორტიორები, თვითმავალი ქვემეხები.

ტანკსაწინააღმდეგო თხრილებიდან ტყემდე ველი კვლავ სიჩუმით იყო მოცული; თითქოს რამდენიმე საათის წინ აქ ცოდვის კითხვა არ ტრიალებდა. მაგრამ ამ შემზარავ, გაჭიანურებულ სიჩუმეს უცებ დაუდგა ბოლო, სადღაც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიღრმეში, ნელა, შემპარავად კვლავ ახმაურდა ტყე.

მაშინვე დაბარებულივით თხრილში მევაზნე შევიდა, შამუგია და ბაჩილო უნდა გაეფრთხილებია, ვაზნები მომჭირნეობით ისროლეთო, თუმცა კარგად იცოდა, გაფრთხილება საჭირო არ იყო, როგორც სხვა ჯარისკაცები, შამუგიაც და ბაჩილოც მომჭირნეობით ისროდნენ.

შედგა თუ არა თხრილში ფეხი, უმალ იგრძნო მევაზნემ, იმისათვის კი არ გამოუწვია აქეთ გულმა, რომ შამუგია და ბაჩილო გაეფრთხილებია, უნდოდა გაეგო, როგორ იყო უჩა შამუგია, როგორ ჰქონდა ჭრილობა, მაგრამ რაკი დაინახა, რომ ეძინა, აღარ გააღვიძა.

უჩას ლოყა ხელისგულზე ედო, გვერდზე იწვა. მოღიმარ, ცივი ოფლით დაცვარულ სახეზე მთვარის ნათელი დასთამაშებდა. ფერმკრთალი, უფრო გამხდარი და ყბებჩაცვენილი ჩანდა.

მევაზნემ თანაგრძნობით გადაიქნია თავი, სისხლით შესვრილ ბანდს ისევ აარიდა თვალი და მაშინვე გაბრუნდა.

ვაზნებს ფრონტის მთელ უბანზე მომჭირნეობით ისროდნენ ყველა სახის იარაღიდან. ტანკსაწინააღმდეგო თოფებს, ქვემეხებს, ტყვიამფრქვევებს უმეტესად დაჭრილი ჯარისკაცები ემსახურებოდნენ. ყველგან ჭუჭყიანი, სისხლით გასვრილი ბანდით შეხვეული ხელი, მხარი, მკერდი, თავი და ფეხი მოჩანდა თხრილებში, სანგრებში და მიწის ზევით. უჭმელები, უძინარები, გაუპარსავები, გატანჯულები, სამარიდან წამომდგრებს ჰგავდნენ.

ტყეში ხმაური თანდათან მატულობდა.

ანტონ ბაჩილოს პირველს გაეღვიძა. ჩაჩქანი დაიხურა, თხრილის კედელს მოეჭიდა და თავი ამოჰყო.

ტყიდან ერთბაშად გამოიჭრა ტანკები, გამოჰყვა თვითმავალი ქვემეხები. აგრიალდა ორივე მხრიდან არტილერია. ჭურვები ზედიზედ სკდებოდა გერმანელების ტანკებს შორის.

გაიჭრა მათ შესახვედრად ათამდე ტ-34.

— ოჰო, — გაუკვირდა ბაჩილოს. საიდან ამდენი! ეს არც ისე ცოტაა.

— დაიწყო? — მოესმა ზედ ყურთან ნამძინარევი, სუსტი ხმა.

— დაიწყო, უჩა, — უთხრა ბაჩილომ.

მისი ხმა თხრილის წინ აფეთქებულმა ჭურვის გრგვინვამ დაფარა. გადაეყარათ მიწა. კიდევ ზედიზედ გასკდა ახლოს ჭურვები. მიწა განუწყვეტლად ეყრებოდათ ჩაჩქანზე, მხრებზე. მიწისა და კვამლის სქელი ფარდა ჩამოეფარათ. ტანკებს ველარ ხედავდნენ. მხოლოდ მოახლოებული გუგუნ-ღრჭიალი ესმოდათ ქვემეხებისა და ავტომატების ზათქსა და კაკანში.

მიწა ძაგძაგებდა. აფეთქებების ტალღა ტალღას ასკდებოდა.

მტრის ორჯერ მეტი ტანკი მოდიოდა ტყიდან.

— გაარღვევენ, ველარ შევაკავებთ, უჩა, — შესძახა ბაჩილომ კვამლითა და მიწის მტვრით ჩახლეჩილი ხმით. — შეხედე, რამდენია. გავლენ!

— ვიდრე სული გვიდგას, ვერ გავლენ, ანტონ, — უპასუხა უჩამ და მოახლოებულ ტანკს ესროლა...

გერმანელთა იერიში გათენებამდე გაგრძელდა. თავდაცვის უბანი სულს ლაფავდა. თხრილებში, სანგრებში და ქვემეხებთან ზედიზედ ეცემოდნენ ჯარისკაცები.

პოლკოვნიკ ანოხინის სატანკო ბრიგადას უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა.

„ვიდრე სული გვიდგას, ვერ გავლენ, ანტონ“. — ეს მარტო უჩა შამუგიას ფიქრი არ იყო. ასე ფიქრობდა ყველა, რიგითი ჯარისკაციდან დაწყებული, სარდლამდე.

სამოცი კილომეტრის იქით მოსკოვი იყო.

•

ტანკსაწინააღმდეგო თხრილის ნაპირზე ჭურვი დაეცა. აფეთქების ტალღა უჩა შამუგიას მძიმედ მოხვდა სახეში, თოფი გაუვარდა და წაიქცა. გონზე რომ მოვიდა, იგრძნო, კონტუზირებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი იყო. აღარ ესმოდა ქვემეხების ზათქი, მუხლუხოების ღრჭიალი, ტყვიამფრქვევების კაკანი, კვნესა, ყვირილი, გინება. მის გვერდით ბაჩილო ეგდო. მუცელი ხელით ეჭირა. პირაღმა იწვა და თითებს შუა შედედებული სისხლი ედგა.

— ანტონ, — დაუძახა უჩამ. თავისი ხმაც ვერ გაიგონა. პირის მოძრაობამ თავში ისეთი ტკივილი მოჰგვარა,ეგონა, გაუსკდებოდა. — ანტონ!

ანტონმა ვერ უპასუხა. უჩას განთიადის მღვრიე სინათლეზე მისი სახე სისხლისაგან დაცლილი ეჩვენა. პირს ფართოდ აღებდა და ჰაერს აჩქარებით ყლაპავდა. ქუთუთოები მძიმედ აწვა თვალებზე.

უჩას უნდოდა ბაჩილოსაკენ გადაბრუნებულიყო, მაგრამ ტანი ვერ დასძრა. თხრილის სხვა კუთხეს მიაყურადა. იქიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. — „ნუთუ ყველა ამოწყვიტეს... იქნებ ტალღამ სმენა წამართვა და იმიტომ არ მესმის“, — არ ახსოვდა, რამდენი ხანი იწვა სანიტრების მოლოდინში.

გათენდა.

ანტონი ისე დასუსტდა, სუნთქვა უჭირდა. მზის ცივი სხივი ეცემოდა სახეზე. მკვდრის ფერი ედო.

უჩა, როგორც იყო, გადაბრუნდა. ანტონს სისხლი მუცლიდან სახელოებში ჩასვლოდა და იდაყვებქვეშ მიწაზე იდგა შედედებული, შემუქებული. ფრთხილად შეხსნა ქამარი, მკლავები გვერდებზე გადაულაგა, გიმნასტურისა და პერანგის კალთები აუკეცა. შედედებულ სისხლში ახალი სისხლი ჟონავდა. არ იცოდა, რით შეეხვია ჭრილობა. ბინტი არ ჰქონდა. გაჭირვებით წამოდგა.

თხრილიდან მოშორებით გერმანელი ეფრეიტორის გვამი ეგდო. ავტომატი მკერდზე ედო. გაახსენდა. გუშინ ეფრეიტორი იმ ტანკს მოჰყვებოდა. თხრილს რომ გადაუარა.—„მედპაკეტი ექნება“. — გაიფიქრა. ჩაჩქანი დაიხურა. ძლივს აიტანა ტანი თხრილიდან. მძიმედ გახოხდა ეფრეიტორისაკენ. მიიწევდა მისკენ და უკვირდა, რატომ არ ესროდნენ გერმანელები. მიხოხდა გვამთან.

ეფრეიტორი ხანშიშესული იყო, მიისავსე, წამობერილი მუცლით და ღაღაბით. მედპაკეტი არ აღმოაჩნდა. გადაწყვიტა, გიმნასტურა და პერანგი გაეხადა და ანტონისათვის იმით შეეხვია ჭრილობა.

ავტომატი აართვა, ქამარი შეხსნა. მერე ჯიბიდან საკეცი დანა ამოიღო, ქვევიდან საყელომდე ააჭრა გიმნასტურა და პერანგი. საყელოდან და მხრებიდან ქვევით ჩამოჰყვა მკლავებზე, წელსქვევით ხელი ამოსდო, ასწია ცივი და გამეშებული ტანი, მეორე ხელით სწრაფად გამოაცალა გიმნასტურა და პერანგი. აიღო ავტომატი, შებრუნდა და უკან გახოხდა.

შუა გზა რომ გაიარა, მხოლოდ მაშინ დაინახეს გერმანელებმა. ტყვიები მიწას ცხრილავდა, ტკაცუნით ხვდებოდა უჩას ჩაჩქანს, მოხვდა ავტომატსაც, ასხლტა მის ლულაზე და იქვე დაეცა. — „ღმერთის იმედით მტერი იყოსო, მითხრა ანტონმა. აბა, რა ეშმაკი მიფარავს ტყვიისაგან!“

მაგრამ შეუხვია ჭრილობა. სახეზე დააცქერდა. ანტონს ტკივილისაგან წარბები შეეჭმუხნა, თვალი გაახილა, მაგრამ უჩა ვერ დაინახა.

— ანტონ!

ბაჩილომ ვერც ახლა გაიგონა უჩას ხმა. ისევ მძიმედ დააწვა თვალებზე ქუთუთოები. ტკივილისაგან წარბები უფრო შეეჭმუხნა.

უჩამ შიშით დახედა ნახვევს, გერმანელის გიმნასტურიდან და პერანგიდან სისხლი ჟონავდა. ისევ მიაყურა თხრილის სხვა კუთხეს. არც ახლა ისმოდა იქიდან ჩამიჩუმი. სანიტრები არ ჩანდნენ. — „სისხლისგან დაიცლება“, — შეშფოთდა უჩა. ხელში აიყვანა ანტონი, ნელა ასწია თხრილის ნაპირამდე და მიწაზე დააწვინა. მერე თვითონ ამოვიდა თხრილიდან, მაგრამ ანტონის ასაყვანად ველარ დაიხარა. ფეხზე ვერ შემაგრდა, მუხლებში ჩაიკეცა, თავბრუ დაეხვა, თვალთ დაუბნელდა, ფეხქვეშ

მიწა გამოეცალა. ხელები მოაფათურა მიწაზე. არა: არ გამოცლია ფეხქვეშ მიწა. ზის. ხელებით დაეყრდნო მიწას, რომ უფრო ეგრძნო იგი. იჯდა თვალდახუჭული და სულს იბრუნებდა.

ასე იჯდა დიდხანს. თვალი რომ გაახილა, დაინახა, ანტონი შემოსცქეროდა. ეტყობოდა ვერც ახლა ხედავდა უჩას. სახეზე სიმწრის ოფლი ასკდებოდა. კვდებაო, გაიფიქრა უჩამ შეძრწუნებით და ამ ფიქრმა უცებ შემატა ძალა. წამოდგა. მხრებსა და ფეხებქვეშ ამოსდო ხელები, აიყვანა და ნელა, ძალიან ნელა გაემართა სანბატისაკენ იმ იმედით, რომ სანიტრები გზაზე შემოეყრებოდნენ.

მიდიოდა ბაჩილოს სხეულის სიმძიმით წინ წახრილი. ტკივილისაგან კვნესოდა, ხვნეშოდა, ბარბაცებდა. მაინც მიდიოდა. მიჰყავდა იმის შიშს, რომ ანტონი ხელში შემოაკვდებოდა.

ისევ ახმაურდა ტყე.

გერმანელებმა საარტილერიო მომზადება დაიწყეს. ჭურვები უჩას ახლო ეცემოდა. მიდიოდა მიწისა და კვამლის ბულში. მალე ტანკები გამოვლენ ტყიდან. თხრილში უნდა დახვდეს მათ. რანაირად მიატოვა თხრილი. რა უფლება ჰქონდა. ბაჩილოსათვის რა ექნა. რა უყოს ბაჩილოს. შუა გზაზე ხომ ვერ დატოვებს. მკერდი, ხელები, მკლავები სველი ჰქონდა ანტონის წებოვანი სისხლით. ცდილობდა არ დასხლტომოდა მისი ტანი.

ყრუდ, გაბმულად ახლოვდებოდა ტანკების გუგუნ-ხრჭიალი. უნდა იჩქაროს, მაგრამ მუხლი არ ემორჩილება. სისხლიან ხელებზე, მკლავებზე, მკერდზე უსხლტება ბაჩილოს ტანი. მაჯა გამალებით უცემდა, ისეთ ტკივილს გრძნობდა, თითქოს გული ეფლითებოდა. ყელი ეწოდა. წელში სამად მოხარა სიმძიმემ. ნიკაპით იკავებდა ანტონის ტანს. ფეხებიდან ძვლები და ძარღვები გამოეცალა. მოემჩვარა, მოუდუნდა. მკლავებიდანაც, კისრიდანაც, მკერდიდანაც გამოეცალა ძვლები და ძარღვები. მოუდუნდა, მომჩვარდა და ნიკაპმა ვეღარ შეიკავა ანტონის ტანი. გაუსხლტება, გაუვარდება. ის იყო, გადაწყვიტა, დაეტოვებია ანტონი, წასულიყო და სანიტრები მოეძებნა, რომ წინ ამართული კვამლისა და მიწის მძიმე ფარდა ჩამოეცალა და სირბილით მომავალი მევაზნე შემოეფეთა.

ყუთით ვაზნები მოჰქონდა.

მევაზნემაც დაინახა უჩა შამუგია. შედგა. ყუთი მიწაზე დაუშვა, ბაჩილო ჩამოართვა და მკლავებზე გადაიწვინა.

— სულზე მომისწარი, — ამოიხრიალა უჩამ.

მევაზნემ სახეზე დახედა ანტონ ბაჩილოს.

— სუნთქავს. შენ ყუთი წაიღე, — უთხრა უჩა შამუგიას. იქით შებრუნდა, საიდანაც მორბოდა.

უჩა იდგა და უყურებდა, როგორ მიჰყავდა მევაზნეს ბაჩილო, როგორ ქანაობდა აფეთქებების გაელვებულ შუქზე ანტონის ულონოდ ჩამოყრილი მკლავები და თავი, როგორ უვარდებოდა მევაზნეს ჭურვებით ამოთხრილ მიწაში ფეხი. უკვირდა, არაქათგამოლეულ, ფულურო ხესავით გამოფიტულ კაცს საიდან ჰქონდა ამდენი ძალა..

გათენებული იყო, მევაზნე ტანკსაწინააღმდეგო თხრილში რომ შევიდა.

უჩას მკვდარივით ეძინა, მაგრამ შევიდა თუ არა მევაზნე, მაშინვე გაახილა თვალი. რა ჰქენიო, ჰკითხა და მოლოდინით შეაჩერდა.

— შენ გადაარჩინე იგი. — უთხრა მევაზნემ. — ბევრი სისხლი აქვსო დაკარგული, თქვა სანბატის უფროსმა, მაიორმა ჩუბამ.

— მერე რა, ეშველებაო?

— სისხლი გადაუსხეს, — არ გაუმხილა, რომ სისხლი თვითონ მისცა.

უჩამ შეხედა და დაინახა, ვინ იყო დონორი. — „რანაირად მისცა სისხლი?! სული კბილით უჭირავს". — მევაზნეს სახე ახლა უფრო ჩათეთქვილი ჰქონდა. უფრო გამხდარი ჩანდა. შუბლიდან დადენილი ჭუჭყიანი ოფლი წამოწეულ ყვრიმალებზე ჩამოსდიოდა.

უჩას ბანდით შეხვეულ თავს უყურებდა.

— ისევ გამოჟონა სისხლმა?

— კიდევ კარგი ჩაჩქანი მეხურა, — უთხრა უჩამ, — მაინცდამაინც თავში მხვდება ის ოხერი. მანდ შენს წინ გდია. დახედე რამოდენაა. თავს წამწყვეტდა.

ამ სიტყვების გაგონებაზე მევაზნე შეკრთა.

უჩამ ვერ დაინახა მისი შეკრთომა. იგი ახლა იმაზე ფიქრობდა, რომ ბაჩილო სანბატშია და სიცოცხლე ამ მევაზნემ შეუნარჩუნა.

— დიდი ხანია ფრონტზე ხართ? — ჰკითხა უჩამ.

— მთელი საუკუნეა.

— როგორ გადაურჩით ამ მეორედ მოსვლას?!

— მე კი გადავურჩი, მაგრამ... — სათქმელი პირზე შეაშრა მევაზნეს.

— მაგრამ რა?

— მანდ შენს ადგილზე ჩემი ძმა, სერგეი უჯდა მაგ თოფს, — მეტი ვერაფერი თქვა.

უჩა თანაგრძნობით უცდიდა. მიხვდა, რომ ამ თოფთან ძმა დაეღუპა მევაზნეს.

— ჭურვის ნატეხი მოხვდა თავში, — ძლივს ამოთქვა ჩახლეჩილი ხმით მევაზნემ სიტყვა. — ჩაჩქანი არ ჰქონდა... ცხრამეტი წლისა იყო. თავის ქალა გადახადა, — არეულად ლაპარაკობდა. ფეხზე ვერ შემაგრდა და ჩაჯდა, — მე არ მეკარება ტყვია.

— რამდენი წლისა ხართ? — ჰკითხა უჩამ, რომ სიტყვა ბანზე აეგდო.

— ორმოცდახუთისა ვარ.

— ამ ხნის კაცი როგორ გაგიწვიეს ჯარში?! — გაუკვირდა უჩას.

— თავად ვითხოვე, — უთხრა უჩას მევაზნემ. — ჩემი სოფელი საველევკაა. ომის დაწყების პირველ დღეებში დაგვბომბეს. პირველი ბომბი ჩვენს ქოხს დაეცა. სერგეის მეტი არავინ დამრჩა და ისიც...

— ერთ ნაწილში როგორ მოხვდით შენ და შენი ძმა?! — ისევ სცადა უჩამ სიტყვის ბანზე აგდება.

— ვითხოვეთ და ერთ ნაწილში გაგვამწესეს.

— მე და ბაჩილო ძმები არა ვართ ანტონი ბელორუსია, მე ქართველი. კოლხეთში ჭაობს ვაშრობდით. გაგიგონია კოლხეთი?

მევაზნემ თავი გაიქნია.

— საქართველოშია შავიზღვისპირეთის ასეთი ჭაობიანი მიწა. ეს ნაწილია ჭაობიანი. მთების მხარეს ედემია კოლხეთი... მე და ანტონ ბაჩილომ ერთ ნაწილში ვითხოვეთ გამწესება. ჰო, იმ ჭაობს ვაშრობდით მე და ანტონი. ჭაობიც სპობს ადამიანს. მთელი ჩემი ოჯახიდან, თქვენსავით, მარტო მე დავრჩი. ჭაობმა ამოგვწყვიტა დედაბუდიანად. იქ ჭაობს ვებრძოდით მე და ანტონი, აქ ფაშისტებს ვებრძვით, — ნერწყვი გადაყლაპა, გამშრალ, დამსკდარ ტუჩზე ენა მოისვა. — ბაჩილოც შენს ძმასავით ჭურვის ნატეხმა...

— ჩემს ძმასავით არა, — ხელი აუქნია მევაზნემ. — მაიორმა ჩუბამ თქვა, გადარჩებაო. ჭრილობა თურმე ნაწლავებს არ შეხებია. მე კი არა, შენ გადაარჩინე იგი. სერგეის ველარაფერი გადაარჩენდა. მოსკოვში სწავლობდა ტიმირიაზევის აკადემიაში. შარშან შევიდა, — თხრილის კედელს მიეყრდნო ზურგით. სისხლის მიცემის შემდეგ ისეთი სისუსტე იგრძნო, ტანს ვერ იკავებდა. — მაგ თოფს რომ მიუჯდა სერგეი, შემომხედა და მითხრა: ივანე, თუ მომკლეს, კომუნისტად მოვკვდებიო,— კრიჭა შეეკრა, კვლავ დაასხა ოფლმა.

სერგეი, ვუთხარი მე, შენ ცოცხალი უნდა დარჩე კომუნისტად... ვერ დარჩა ცოცხალი, მაგრამ კომუნისტად დარჩა, — სული მოითქვა, სახეზე ოფლი მკლავით მოიწმინდა და მერე ჰკითხა: — როგორ ფიქრობ, შევლენ მოსკოვში?

— მოსკოვი დიდია.

— ყოფილხარ დედაქალაქში? — ჰკითხა მევაზნემ და ისევ მოიწმინდა ოფლი სახიდან.

— კურსკის სატვირთო სადგურში გადასხეს ჩვენი ეშელონი. დედაქალაქი ჩაბნელებული იყო. მთელი ღამე მი-

ვდიოდით გადათხრილ, სავსე ტომრებით გადახერგილ ქუჩებში. ყველგან ბარიკადები იყო აღმართული. მთელი ღამე ისროდნენ მეზენიტეები. ცას პროჟექტორები სერავდა. ვერ შემოდიოდა „ჰეინკელები“ და „მესერშმიტები“.

— აი, „ჰეინკელები“, — უთხრა მევაზნემ.

ტყის თავზე ნელი, წყვეტილი, დახშული და თანდათან მზარდი ღმუილი გაისმა.

— აიხედე, რამდენია, — უთხრა მევაზნემ.

„ჰეინკელები“ ტალღა-ტალღა მოდიოდნენ. სანგრებს რომ გადაუქროლეს, ჩვენი საზენიტო ჭურვები აიჭრა ცაში. ჭურვები თვითმფრინავებს შორის სკდებოდა. ჰაერში დაკიდული ქულების თეთრი ფერი და „ჰეინკელების“ რუხი ფერი ერთმანეთში ირეოდა.

შეეგება ჩვენი „ილ-2“-ები.

მალე ორი „ჰეინკელი“ შავად აკვამლდა, ირიბად დაქანდა გრძელკუდგამოკიდებული.

— ასე, მე მაგათი დედა, — წამოიძახა საველიევმა და წამოდგა. — ბევრი ვერ აღწევს მოსკოვამდე, — პირველად გაიღიმა სერგეის დალუპვის შემდეგ.

მევაზნეს ღიმილმა სახე შეუცვალა. უჩას ლამაზი და კეთილი მოეჩვენა იგი.

„ტ-4“ პირდაპირ მისი თხრილისაკენ მოდიოდა. უჩას მიზანში ამოღებული ჰყავდა ტანკი. მოახლოებას უცდიდა, რომ არ აეცდინა.

— რას უყურებ?! — მოთმინება არ ეყო საველიევს და დაუყვირა. — ესროლე, — დააიწყდა გამოზოგვით რომ უნდა ესროლა შამუგიას.

ტანკი ჯიქურად მოჰქროდა.

— ესროლე, — სულშეგუბებით გაუმეორა საველიევმა.

უჩამ ესროლა. მოახვედრა, მაგრამ ტანკი არ შედგა. კიდევ ცოტა და თავზე გადაუვლიდა. უჩამ თოფს ხელი უშვა, გრანატი აიღო, მძლავრად მოიქნია და ქვეშ შეუგდო ტანკს.

„ტ-4“ აფეთქდა, ათუხთუხდა... და უცებ შედგა.

ბიბლიოთეკა

მაშინვე აიხადა მისი კოშკურა და ტანკისტმა თავი ამოჰყო. ჩაფხუტი არ ეხურა. გადმოხტა და ხელებაწეული გაიქცა თხრილისაკენ.

უჩა შამუგიამ და საველიევმა გონს მოსვლა ვერ მოასწრეს, რომ გერმანელი ტანკისტი შიგ ჩაუხტათ.

უჩას მისთვის არ ეცალა. სხვა ტანკი მოდიოდა თხრილისაკენ.

გერმანელი ისევე ხელებაწეული ჩაჯდა თხრილში, საველიევის წინ. პირტიტველი იყო, ქერათმიანი. ჯაგარივით გაფშეკილი მაღალი ქოჩორი უფრო ახალგაზრდავებდა მის ისედაც ჯეილ სახეს. დიდი, ცისფერი თვალები ნდობით შეანათა საველიევს, გაუღიმა.

მევაზნემ არ ირწმუნა მისი ღიმილი, გერმანელის პირდაპირ ჩაჯდა, რომ მიწვდომოდა იმ ავტომატს, უჩამ რომ ეფრეიტორს აართვა.

გერმანელმა ხელები დაუშვა. თან ავტომატს თვალს არ აშორებდა. ბავშვურად დარწმუნებული იყო, არ ესროდა რუსი.

საველიევის თვალებში გერმანელის ჯაგარივით გაფშეკილი მაღალქოჩრიანი თავი, სერგეის ქალაგადახდილმა თავმა შესცვალა. საველიევმა თვალი დახუჭა.

ტანკისტი სერგეის ხნისა იყო. ხელებაწეული ჩაუხტა საველიევს თხრილში, ნდობის ღიმილით შეჰყურებს.

საველიევმა თვალი გაახილა.

გერმანელის ჯაგარივით გაფშეკილი, მაღალქოჩრიანი თავი კვლავ შესცვალა სერგეის ქალაგადახდილმა თავმა.

საველიევი გამწარებული იშორებდა ზმანებას.

გერმანელი კი კვლავ ნდობის ღიმილით შეჰყურებდა.

საველიევს ყვრიმალები უფრო მეტად წამოეწია, თვალები სისხლით აენთო.

დაინახა გერმანელმა. ღიმილი სახეზე შეეყინა. ხელი თავისით წაუვიდა ავტომატისაკენ, მაგრამ საველიევმა დაასწრო, აიტაცა და თავში დაუმიზნა.

თხრილის კედელს ზურგით მიყრდნობილი ტანკისტი ავტომატის შავ ლულას შეჰყურებდა. მისი ფართოდ გახელილი ბავშვური თვალები არც საყვედურს გამოხატავდა და არც გაკვირვებას. მორჩილად, სინანულით ელოდა, როდის გამოკრავდა რუსი საკეტს.

მევაზნე გააბრაზა მისმა სიმშვიდემ. რატომ ფიქრობს, რომ დავინდობ.

გერმანელის თვალები ძმის თვალებმა შეცვალეს.

საველიევი ელოდა, სერგეის თვალები ეტყოდნენ, ესროლეო, მაგრამ ისინი ისევ ისე შეჰყურებდნენ, როგორც მაშინ, როცა უთხრა ტანკსაწინააღმდეგო თოფთან მიჯდომისას, ივანე, თუ მომკლეს, კომუნისტად მოვკვდებიო. მხოლოდ ეს ეხატა თვალებში სერგეის. სხვა არაფერი.

კვლავ გერმანელი ტანკისტის თვალები დაუდგა წინ საველიევს, ისევ ისეთი მორჩილი, მოლიმარი, შერიგებული თავის ბედს.

ავტომატის ლულის შავი პირი თანდათან ფართოვდებოდა გერმანელი ტანკისტის თვალში. ელოდა, როდის გამოიჭრებოდა იქიდან ტყვიების ჯერი.

საველიევმა ავტომატი დაუშვა. იქვე დადო, საიდანაც აიღო. სახე ოფლით ულაპლაპებდა. ცარიელ, უაზროდ გაშტერებულ თვალებში სერგეი ედგა. ულიმოდა. საფეთქლების ძარღვები შავად დაებერა, დაუმსხვილდა ივანეს. ახლა ნამდვილად ჰგავდა ფულურო ხეს.

ზამთარმა ადრე აიკრიბა ფეხი და გაზაფხულმა შუა თებერვალში შემოაღო კარი კოლხეთის ზღვისპირა დაბლობებში. გაზაფხული როგორც ყოველთვის, შფოთიანად მოვიდა აქ — ჰექა-ქუხილით, კოკისპირული წვიმებითა და სიცხით.

ადიდდა მდინარეები და ღელეები, მაგრამ ყორათის, ჭალადიდის, ყულევის, ნაბადასა და საბაჟოს დამშრალ მიწებზე წყალმა ვერსად დაიდო ბინა. შემკრებმა არხებმა, კოლექტორებმა, ქსელებმა და კვლებმა, ჯერ კიდევ ზამთარში რომ ამოწმინდეს და ამოასუფთავეს, ვასო ბრეგვაძის მეცადინეობით, ხალისით მიიღო წვიმის ერთბაშად მოვარდნილი წყალი და დედაარხისაკენ გააქანა ზოგან ლიკლიკითა და ზოგან ნელი დუდუნით.

ადიდებულმა, თავაწყვეტილმა დიდმა და პატარა მდინარეებმა, წინანდებურად ველარ გადალახეს თავისი კალაპოტი, ვერ გადავიდნენ ნაპირებზე, ვერ მოედვნენ მიწას, მაღალ დამბებში მომწყვდეულებმა თვინიერად, უშფოთველად ჩაიტანეს ზღვაში თავისი მღვრიე წყალი.

თეთრად გადაიპენტა ტყემალი და ალუჩა, შემდეგ ბალი და ამ ქათქათა, თეთრ ფონზე კოპწიად აჰრელდა ატამი, მწვანედ შეიმოსა მსხალი და ვაშლი, მათი დაბერილი კვირტები, ბარტყებივით პირდაღებული მოუთმენლად ელოდა თავის ყვავილობის ჟამს.

ახასხასდა მინდორი და ტყე, ბარი და მთა.

გამოიდარებდა თუ არა, მიწას ისეთი თაკარა მზე დაადგებოდა, რომ ადამიანი და პირუტყვი, ნადირი და ფრინველი ჩრდილს ეშურებოდა. მართალია, ეს სიცხე არა ჰგავდა ჭაობის ანაორთქლი, სნეული ჰაერის სიცხეს, ზღვის რბილი, გრილი ნიავით შეზავებული იგი საამოც იყო და სასურველიც, მაგრამ მზე იყო ფიცხი, მრუჯავი და მას გაურბოდნენ.

ავდარში ნატაშა და მაკარ ბაჩილოები ფანჯარასთან ისხდნენ, ოთახში გამომწყვდეულები და გარეთ ცხვირს ვერ ჰყოფდნენ. სევდიანი თვალით შეჰყურებდნენ ფანჯრის წინ დაშვებულ თქეშის უფერულ კედელს, რომლის იქით გამუდმებით მოისმოდა ზღვის შორეული, მონოტონური ხვნეშა.

ნატაშასა და მაკარს გემით მგზავრობამდე არასოდეს არ ენახათ ზღვა. გემზე განცდილი სიმწრით ისეთი შიში და ზიზღი შერჩათ ზღვის ღელვისაგან, რომ ახლაც ვერ იტანდნენ მის ხმას, ახლაც ერეოდათ გული და ეხვეოდათ თავბრუ. თავი მაკარს ისედაც ტკიოდა, ნახვევი

დიდი ხნის მოხსნილი ჰქონდა, თაბაშირიც. ჭრილობებიც შეუხორცდა და ძვალიც, მაგრამ ტკივილი ისევ აწუხებდა.

რა იცოდნენ ნატაშამ და მაკარმა, რომ ზღვა ყოველთვის არ ღელავდა ასე, რომ იგი უმეტეს დროს მშვიდი, თვინიერი და უმოძრაო იყო, მისი ზედაპირი სარკესავით ლაპლაპებდა და უღრუბლო ცის ქვეშ შავი ფერი კი არ ედო, ფირუზისფრად ლივლივებდა.

ყორათში სკოლა არ იყო, ნატაშა და მაკარი ვერც ისწავლიდნენ ქართულ სკოლაში. ცისანა და ცია ასწავლიდნენ ქართულს, მაგრამ მათთვის ქართული ადვილი დასასწავლი არ იყო. სოფელში გაზრდილი ბელორუსი ბავშვები ქართულს კი არა, რუსულს ძნელად ითვისებდნენ.

მიუხედავად ჩვენი ჯარების წარუმატებლობისა და ყველა ფრონტზე უკან დახევისა, ცია და ცისანა მაინც ფიქრობდნენ, რომ ომი მალე დამთავრდებოდა და ამიტომ მაინცდამაინც აღარ აძალებდნენ ბავშვებს ქართულის შესწავლას.

ნატაშასი და მაკარის ბებია, ოლგა ბაჩილო, ვიდრე მინდვრის სამუშაოები დაიწყებოდა, დროებით კოლმეურნეობის კანტორაში დამლაგებლად მოაწყვეს ციამ და ცისანამ. უთენია დგებოდა ოლგა, ჰგვიდა, რეცხავდა კოლმეურნეობის კანტორისა და კლუბის იატაკს, წმენდდა ფანჯრებს და ავეჯს, მერე შინ ბრუნდებოდა, უვლიდა ბავშვებს და ამზადებდა საჭმელს.

ციამ და ცისანამ ქართული კერძების გაკეთება ასწავლეს, მაგრამ გასაკეთებელი არაფერი ჰქონდათ, ლობიოსა და თევზის გარდა. ყველსა და თევზს ფოთის ბაზარზე ყიდულობდნენ მამასისხლად, ვახშამი და საუზმე მჭადი და ყველი იყო, ხანდახან სადილიდან მორჩენილი ლობიოც. თვეში ერთხელ სოფლიდან ციასა და ცისანას ძლვენს გამოუგზავნიდნენ და მაშინ ნატაშასა და მაკარის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, ისეთი გემრიელი იყო ნიგვზიანი სუნელით შემწვარი ქათამი, პიტნით შეზავებული ნადუღი, მოთლესილი, ქოთნის ლობიო და მხლის მწნილი.

„ოქროს საწმისში“ შუა ზამთარში დაიწყეს თესვისათვის მზადება. მიწა გადახნეს. კვლების მოწყობას კი თებერვალში შეუდგნენ.

ერთხელ სამუშაოდან დაბრუნებულმა ციამ და ცისანამ, ვახშმისას, კვლებზე ჩამოაგდეს სიტყვა. ბაჩილოები ვიდრე ცია და ცისანა სამუშაოდან არ დაბრუნდებოდნენ, არ ვახშმობდნენ.

— რანაირ კვლებს აკეთებთ? — ჰკითხა ოლგა ბაჩილომ ქალიშვილებს.

— სფერულს, დეიდა ოლგა, — მიუგო ციამ.

ოლგა ბაჩილომ ჭამა მიატოვა.

— რატომ მკითხეთ, დეიდა ოლგა? განა არის კიდევ სხვანაირი კვლები? — შეხედა ციამ ოლგა ბაჩილოს.

— არის, შვილო! ჩვენი კოლმეურნეობა, როგორც თქვენი, დამშრალ მიწაზეა გაშლილი. ჩვენშიაც ჭაობიანი იყო მიწები. პოლესიის მიწა ძალიან ჰგავს თქვენს მიწას. ჩვენც სფერულ კვლებს ვაწყობდით, მაგრამ არ გამოგვადგა.

— რატომ? — ჰკითხა ცისანამ.

— მცირე არხები ერთმანეთისაგან დიდი მანძილით იყო დაშორებული, ამიტომ ისევ დაჭაობდა მიწა. კარტოფილი მიწაშივე დალპა. თქვენც იგივე დაგემართებათ. თქვენთანაც შორიშორს იქნება მცირე არხები. სიმინდი, ლობიო და მუხუდო მიწაშივე დაგილპებათ.

— მერე რა ქენით, დეიდა ოლგა? — შიშმა გადაუარა სახეზე ციას.

— მეცნიერებს ვთხოვეთ დახმარება, შვილო. ჩამოვიდნენ ერთხელ, მეორეჯერ. რამდენიმე წელიწადი ატარებდნენ ცდებს დამშრალ მიწაზე.

— რა დასკვნამდე მივიდნენ, მეცნიერები?

— ოვალური კვლები უნდა მოაწყოთ და მიწა არ დაჭაობდება.

— ოვალური კვლები რაღაა?! — გაუკვირდა ცისანას.

— ოვალური კვლების მოსაწყობად მცირე არხები ერთმანეთისაგან უფრო ახლო ითხრება. დაახლოებით ოცდაათი მეტრის დაშორებით. არხიდან ამოღებული მიწა ოვალურად იყრება არხებს შორის და ამიტომ ჰქვია ოვალური კვლები.

— ბები, მართლა როგორა ჰგავს ჩვენი პოლესია ყორათს, — თქვა ნატაშამ.

— კი, როგორ არა ჰგავს, — გაიცინა მაკარმა. — როგორ ემგვანება, თუ კი აქ კარტოფილი არ მოდის.

— დაგიჩემებია, კარტოფილი, კარტოფილი, — გამოაჯავრა ნატაშამ ძმას. — შენ გინდა ყველგან კარტოფილი მოდიოდეს. კარტოფილით არა ჰგავს ყორათი პოლესიას, მაგრამ ბუნებით ხომ ჰგავს.

— მთავარია, კარტოფილით ჰგავდეს, — დინჯად მიუგო მაკარმა დას.

ცია და ცისანა ღიმილით შეჰყურებდნენ ბავშვებს.

— რა ცხოვრებაა უკარტოფილოდ. მჭადი და ლობიო. კარტოფილი ყველა საჭმელს ჯობია. მამა ამბობდა, კარტოფილი იგივე პურიაო.

— კარგით, დაწყნარდით, ბავშვებო, — უთხრა და-ძმას ბებია ოლგამ.

— ხომ მართალს ვამბობ, ბები, — მიმართა ოლგას მაკარმა, — შენ ხომ იმიტომ მუშაობდი მეკარტოფილეობის მერგოლურად, რომ კარტოფილი ყველა საჭმელს ჯობია.

— ჰო, შვილო. ბელორუსებს ძალიან გვიყვარს კარტოფილი და იგი ისე უხვად არსად არ მოდის, როგორც ჩვენს მიწაზე.

— და ყველაზე მეტ ცენტნერებს შენი რგოლი იწევდა კოლმეურნეობაში. აკი ამიტომ მოგცეს ორდენი.

— ამიტომ, შვილო!

— ეგეც შენ, — უთხრა მაკარმა დას. — ამ მიწაზე კი, ღმერთი რომ ჩამოიყვანო ციდან, ერთ ცენტნერ კარტოფილს ვერ მოიწევს. ასეა არა, დეიდა ცისანა? — ჰკითხა მაკარმა ცისანას.

— ასეა, მაკარ! ჩვენში არ უყვართ კარტოფილი და არ მოჰყავთ.

— სამაგიეროდ ამ მიწაზე ლიმონი, ფორთოხალი, მანდარინი და ჩაი მოგვყავთ,—უთხრა ნატაშამ ცისანას. — ჩვენთან კი ერთ ძირ ფორთოხლისა და მანდარინის ხეს ვერ ნახავთ. არც ჩაის ბუჩქს.

— ფორთოხალს, მანდარინსა და ჩაის ჩვენში მაღაზიაში ვყიდულობთ. აბა, აქ იყიდე კარტოფილი. სანთლით რომ ეძებო, ვერ იპოვნი. ნეტა როგორა ძლებს ადამიანი მთელი სიცოცხლე უკარტოფილოდ.

ციამ და ცისანამ ჯერ იფიქრეს, ტარიელ ქარდავასთვის ეთქვათ დეიდა ოლგას ნამბობი, მაგრამ მერე გადაიფიქრეს. სფერული კვლების მოწყობას მთელი ზამთარი მოუნდნენ კოლმეურნეობის ბრიგადები. დროის გარდა, დიდი შრომა და სახსარი დაჭირდათ. ახალი თხრილების გაყვანას და ოვალური კვლების მოწყობას ამდენივე შრომა და ხარჯი დაჭირდებოდა.

გარდა ამისა, ვინ იცის, აჯობებდა თუ არა კოლხეთის დამშრალ მიწაზე სფერულ კვლებს ოვალური. მართალია, პოლესიის მიწაზე უჯობნია, მაგრამ იქ სხვა მიწა და კლიმატია და აქ სხვა. ასეთ სარისკო ექსპერიმენტზე არც ტარიელ ქარდავა წავა და არც გამგეობის წევრები.

ამიტომ თავმჯდომარისათვის ამის თქმას აზრი არა ჰქონდა. გადაწყვიტეს, ლონგინოზ ლომჯარიასათვის, მათი მესაიდუმლისა და კეთილის მოსურნესათვის მიემართათ.

პარტორგანიზაციის მდივანი ციასა და ცისანას ბრიგადებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, ყოველნაირად უწყობდა ხელს მუშაობაში. ისინი ომის დაწყებისას ზოგიერთივით თავის სოფელში არ წავიდნენ, აქ დარჩნენ. აქ იყო მათთვის ომი. მტერს ჩვენი სათესი მიწის დიდი ნაწილი დაპყრობილი ჰქონდა. დარჩენილ მიწაზე ორჯერ მეტი პური უნდა მოეწიათ, რომ მიწის ის დანაკლისი შეევსოთ. როგორ? რომელი მუშახელით?

ვისაც პური მოჰყავდა ფრონტზე იყო.

ვის უნდა მოეწია ორჯერ მეტი პური? ქალებს, ბერიკაცებს, ბავშვებს? ყოველ მტკაველ მიწას უნდა გაფრთხილებოდნენ. ყოველი მტკაველი მიწა უნდა დაეთესათ.

ვაი, თუ მართლა დაჭაობდეს სფერული კვლები, იქნებ მართლა ჯობია ოვალური კვლები. ლონგინოზმა ყველაფერი იცის. მას არ შეეშლება. მას დაუჯერებს ტარიელ ქარდა. გამგეობის წევრებიც დაუჯერებენ.

ლონგინოზ ლომჯარიას, ციასა და ცისანას კარგი მუშაობა ჯერ კიდევ მაშინ ახარებდა, როცა ისინი საცდელი სადგურის სანერგეში მუშაობდნენ. ახლაც ასე იყო, მათი დარდიც თავის დარდად მიაჩნდა და აწუხებდა. ისე განიცდიდა უჩასა და ანტონის ბარათის მოუსვლელობას, როგორც თავის შვილების ბარათის მოუსვლელობას, ხშირად თვითონ მიდიოდა ფოსტაში — იქნებ შავი ქაღალდია მოსული და ფოსტის გამგე პავლე გვასალია გვიმალავსო.

ცია და ცისანა, დეიდა ოლგასთან ერთად, დილით ადრე მიადგნენ კოლმეურნეობის კანტორაში ლონგინოზ ლომჯარიას ოთახის კარს. ლონგინოზმა მშვენივრად იცოდა სოფლის მეურნეობის საქმე, ფეხის ადგმის დღიდან იწევდა სიმინდს, ლობიოსა და მუხუდოს, გაჰყავდა თხრილები, ბარავდა, ხნავდა, მარგლავდა სიმინდსა და ლობიოს, უვლიდა ვენახს.

ოლგა ბაჩილომ ლონგინოზს დაწვრილებით მოუყვა ოვალური კვლების ამბავი. ლონგინოზის გამჭრიახმა გონებამ მაშინვე იაზრა, რა უპირატესობა ჰქონდა ასეთ კვლებს.

— რასაკვირველია, სადაც არხების დაცილება დიდია, იქ დაჭაობება ადვილი მოსალოდნელია. სადაც დაცილება ახლოა, იქ ნაკლებად დაჭაობდება მიწა. ნაკლებად მოსალოდნელი იმითაც იქნება, რომ არხიდან ამოღებული მიწა კვლებზე იყრება. ამას ის უპირატესობაც აქვს, რომ ოვალური კვლების მოწყობას დრო და ხარჯიც უფრო ცოტა დასჭირდება. ვინ მოიფიქრა ასეთი ოქრო ამბავი, ოლგა უსტინოვნა?

— მეცნიერებს მოუფიქრებიათ, — უპასუხა ციამ, — კი არ მოუფიქრებიათ, მრავალი ცდების და დაკვირვების შემდეგ მისულან ასეთ დასკვნამდე.

ლონგინოზმა დაინახა მღელვარებით განათებული ციას სახე.

— რა ვქნათ, ბიძია ლონგინოზ? თქვენთან მოვედით რჩევის საკითხავად.

— სიფრთხილეს თავი არა ტკივა, ცია, — უთხრა არანაკლები მღელვარებით ლონგინოზმა, — ჩვენც უნდა ჩავატაროთ ცდა. ბრმად ვერ დავუჯერებთ იმას, რაც არ გვინახავს. პოლესიის მიწაზე ივარგა ოვალურმა კვლებმა, მაგრამ შეიძლება ჩვენთან არ ივარგოს.

— აკი თქვით, ოვალური კვლები ჯობიაო სფერულსო, — გაკვირვებით წამოიძახა ცისანამ.

ორივე ქალიშვილის სახეზე უცებ გაქრა მღელვარება და სიხარული.

— ვთქვი, ცისანა, მაგრამ მე მარტო ვერ გადავწყვეტ ასეთ დიდ საქმეს. ვიმეორებ, ჩვენც უნდა ჩავატაროთ ცდა.

— ცდისათვის სადა გვცალია?! — გაუკვირდა ციასაც. უკმაყოფილოდ შეხედა ლონგინოზს.

— მართალია, არა გვცალია, მაგრამ ეგ საქმე ხუთგროშიანი ამბავი არ არის, რომ მარტო მე გადავწყვიტო.

— ჩვენ კი ისეთი იმედით მოვედით თქვენთან, — უთხრა ჩავარდნილი, გაწბილებული ხმით ცისანამ.

ლონგინოზი ჩაფიქრდა და მალე ღიმილი შეეფინა სახეზე:

— იცით, რა, გოგოებო?

— რა? — ერთხმად წამოიძახეს ციამ და ცისანამ.

— ჯერ ერთი ბრიგადის ნაკვეთზე მოვაწყოთ ოვალური კვლები.

— ეს კარგად ბრძანეთ, — მოეწონა ოლგა ბაჩილოს.

— დარწმუნებული ვარ გაგვიმართლებს და გაისად სხვა ბრიგადებში გადავიტანოთ.

— ნამდვილად გაგიმართლებთ, — კვერი დაუკრა ოლგა ბაჩილომ.

— მჯერა, — სწრაფად მიუგო ლონგინოზმა. — მე გონების თვალით ვხედავ ოვალურ კვლებს, ისე როგორც ჩემი ხელის გულს, — ხელზე დაიხედა ლონგინოზმა და გაიცინა. — ვხედავ, წვიმის წყალი, როგორ იწრიტება, ფეხს ვერ იკიდებს ოვალურ კვალზე და თხრილში ჩადის, — შეხედა ციასა და ცისანას კვლავ განათებულ სახეებს, კვლავ აღელვებულსა და გახარებულს. — თქვენც ხომ ხედავთ, გოგოებო?

— ვერა, ვერ ვხედავთ, ბიძია ლონგინოზ!

— დაინახავთ, როცა მოაწყობთ.

— შაქარი თქვენს პირს, ბიძია ლონგინოზ, — უთხრა ციამ.

— ჰო, ჯერ ერთ ბრიგადაში მოვაწყოთ ოვალური კვლები. წელს ყველა ბრიგადაში მაინც ვერ მოვასწრებთ. არც დრო გვაქვს ამისათვის და არც სახსარი.

— რომელ ბრიგადაში მოვაწყოთ? — მოთმინება არ ეყო ციას.

— თუ გინდა, შენს ბრიგადაში.

— მინდა. როგორ არ მინდა, მაგრამ მოვასწრებთ, სფერული კვლების გადაკეთებას?

— მოვასწრებთ, თუ სხვა ბრიგადები დაგვეხმარებიან.

— სხვა ბრიგადები რატომ დამეხმარებიან?! — დაეჭვდა ცია, — ყველას თავისი გასაჭირი აქვს.

— იმიტომ დაგეხმარებიან, შვილო, — უთხრა ოლგა ბაჩილომ, — რომ ეს საქმე მარტო შენი ბრიგადის საქმე არ არის.

— რა კარგად თქვით, დეიდა ოლგა, — სიხარულით ხელი-ხელს შემოკრა ცისანამ, — კიდევ მეტს გაიჭირვებენ ბრიგადები და მოგვეხმარებიან.

— ვინ იტყვის უარს საერთო საქმეზე ასეთ დროს, როცა მიწას ცეცხლი უკიდია. იქნებ მეც ჩამრიცხოთ, ციას ბრიგადაში, — სთხოვა ლონგინოზს ოლგა ბაჩილომ.

— თქვენზე უკეთესს ვის ჩავრიცხავთ, ოლგა უსტინოვნა, — უთხრა მოწონებით ლონგინოზმა.

— მერგოლურადაც აგირჩევთ. ხომ იყავით თქვენს კოლმეურნეობაში მერგოლურად. ორდენიც მიგიღიათ, კარგ შრომისათვის.

— მთლად გაკეთებულა შენი საქმე ცია, — გაეხარდა ლონგინოზს. — ოლგა უსტინოვნა თვითონ გიჩვენებს, როგორ უნდა ოვალური კვლების მოწყობა, მაგრამ ამ ხნის ქალს როგორ ვაკადროთ ასეთი მძიმე საქმე.

— ახლა ყველა ხნის ადამიანმა უნდა იკადროს მძიმე საქმე, ლონგინოზ ესტატევიჩ, — უთხრა ოლგა ბაჩილომ გადაჭრით. — ჩვენ აქ იმათთან ერთად უნდა ვიბრძოლოთ, ვინც ფრონტზე სისხლსა ღვრის. თქვენს უჩასთან, ცია, თქვენს ანტონთან, ცისანა, თქვენს შვილებთან, ლონგინოზ ესტატიევიჩ. ჩვენს ძმებთან, დებთან, მამებთან.

— ბეჭედი დაურტყით ამ საქმეს, ოლგა უსტინოვნა, — მწარედ გაიღიმა ლონგინოზმა შვილების გახსენებაზე, — უკეთესად კაცი ვერ იტყოდა.

ოვალური კვლების ამბავი ციასა და ცისანას სამუშაოდან დაბრუნებამდე არ გაუმხილა ლონგინოზმა თავმჯდომარეს. თვითონ შეუძღვა ტარიელ ქარდავას კაბინეტში ოლგა ბაჩილოს, ციასა და ცისანას, და აქაც ოლგა ბაჩილოს მისცა პირველი სიტყვა. ამის მერე მოახსენა თავისი აზრი ტარიელს.

თავმჯდომარეს ოვალური კვლები ისევე წარმოუდგა გონების თვალით, როგორც ლონგინოზს და აღტაცებით შეხედა ოლგა უსტინოვნას. მერე ლონგინოზს, ციასა და ცისანას.

გადაწყვიტეს, ბრიგადებიდან ხუთ-ხუთი წევრი გაემწესებიათ ციას ბრიგადაში. ცისანამ თავისი ბრიგადიდან ათი წევრის გადაყვანა ითავა და თვითონაც დროებით მასთან გადასვლის პირობა მისცა ციას.

რაიკომის მდივანი ვახტანგ ქანთარია, ყოველ მესამე დღეს მიდიოდა, ან რეკავდა „ოქროს საწმისში“. ეს ყამირი მიწა, ეს უცნაურად ჩამოყალიბებული და მრავალეროვანი ლტოლვილებით შე-

მდგარი კოლმეურნეობა, სადაც მხოლოდ ქალები და ბერიკაცები მუშაობდნენ; მისი უპირველესი საზრუნავი და საფიქრებელი იყო. ათას ხუთასი ჰექტარი მიწის მოსავალი კარგი დახმარება იქნებოდა ქვეყნისათვის. კოლმეურნეობას განსაკუთრებული ყურადღება ჰირდებოდა — არაფერი გააჩნდა, შინ დარჩენილი ქალების მიერ შემოტანილი თოხების, ბარების, სახნისებისა და მათ მიერ შემოყვანილი რამდენიმე უღელი ხარ-კამეჩისა და ოცი ძროხის გარდა.

ამ უბედურებას ისიც ემატებოდა, რომ ლტოლვილები კოლმეურნის უფლებით ჰყავდათ შემოყვანილი კოლმეურნეობის წევრებად. შრომადღეზე კი ვერაფერს აძლევდნენ. რა უნდა მიეცათ? კოლმეურნეობას სულს აქეთ არა ებადა რა. არც აქაური წევრების შრომადღეზე ნაწილდებოდა რაიმე და არც ჩამოსულებზე.

აქაურებს თვითონ შემოჰქონდათ კოლმეურნეობაში თავისი სიმინდი, ლობიო, ხორცი და ყველი, თვითონ იკლებდნენ ლუკმას და ლტოლვილებს აძლევდნენ. მაგრამ ლტოლვილებს მარტო მათი ბოძებულით ვერ გაჰქონდათ სული.

რაიკომის მდივნის დახმარებით, ტარიელ ქარდამ სახელმწიფოსაგან სესხი მიიღო: სათესლე სიმინდი, ლობიო, მუხუდო, პურის ფქვილი და ფული.

ფქვილი შრომადღეებზე გაუნაწილა ლტლვილებს. ვერ დახნეს მიწა ვერც იმ დატოვებული, ნახევრად სარემონტო ტრაქტორებით, ვერც იმ შემოტანილი სახნისებით. ხარ-კამეჩებით ხობის რაიონის კოლმეურნეობები დაეხმარათ მიწის დახვნაში. არც თოხები და ბარები ეყოთ და ფულით თოხები და ბარები შეიძინეს.

ტარიელმა გადაწყვიტა ორმოცდაათი ძროხისათვის ასორმოცდაათი ძროხა მიემატებინა და დარჩენილი ფულით ბურდა კვარაცხელიას დაავალა მათი შეძენა. იცოდა, რომ ეს მეჯოგე მშვენბლობაზე ლაკადიდან, ოდიშის ამ ულამაზეს კუთხიდან იმიტომ ჩამოვიდა, რომ დაჭაობებულ მიწაზე, მისი დაშრობის შემდეგ, აქ, მეცხოველეობის, როგორც ოდიშელები ეძახიან, მეჯოგეობის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები შეიქმნებოდა.

ტარიელ ქარდას ამ საქმისათვის ბურდა კვარაცხელიაზე უკეთესი არავინ ეგულებოდა. კვარაცხელიას მისივე მეგობრები მეჯოგე ჯაჯუ ჯგერენაია და სარდიონ სართანია შეუამხანაგა. სამივენი ერთი ხნისანი იყვნენ და ერთნაირად უყვარდათ მეჯოგის საქმე.

ბურდამ, ჯაჯუმ და სარდიონმა ოდიშის ლაკადებს მიაშურეს. აქ ჰყავდათ ყველაზე კარგი მეწველი ძროხები, წელიწადში ათას ხუთას ლიტრს რომ იწველიდნენ. ხარებიცა და კამეჩებიც ლაკადაში უკეთესი ეგულებოდათ ბურდასა და მის ამხანაგებს და ხალხიც უფრო კეთილი და გულთბილი.

ლაკადელებმა რომ გაიგეს, კოლხეთის დამშრალ მიწაზე ახალი კოლმეურნეობა იმისათვის ჩამოუყალიბებიათ, რომ ამ მიწაზე მოწეული ჭირნახულით და ფერმაში მოწველილი რძით ფრონტს დაეხმარებოდნენ, ძროხები და კამეჩები ნახევარ ფასში მიყიდეს.

დიდმა ნაწილმა კი მთლად უფასოდ მისცა ძროხა ბურდას, ამის რძე და ხორცი მე არ შემერგება, — ამბობდნენ ომში წასული შვილების მშობლები, — იქ, ფრონტზე მყოფთათვის უფრო ალალი იქნებაო.

ერთი თვის შემდეგ ბურდამ, ჯაჯუმ და სარდიონმა ასორმოცდაათი ძროხა და თვრამეტი უღელი ხარ-კამეჩი დაძრეს ლაკადის სოფლებიდან.

ბურდას ისე მოუხაროდა „ოქროს საწმისში“, თითქოს ქვეყანა თან მოჰქონდა. გასახარებელი მართლაც ჰქონდა. ის ფული კოლმეურნეობამ რომ გაატანა, დიდი-დიდი ოთხმოცი ძროხისა და ხარ-კამეჩის საყიდლად ეყოფოდა. ის კი ასორმოცდაათი ძროხისა და თვრამეტი უღელი ხარ-კამეჩის ჯოგს მოერეკებოდა, თან მოჰქონდა თავისი ხელით ჩამოწერილი იმათი გვარები,

სახელები და მისამართები, ვინც უფასოდ მისცა საქონელი.

არა, კოლმეურნეობას კი არ მისცეს, იმათ მისცეს, ვინც ტყვიასა და ცეცხლს უდგას პირისპირ, ფრონტს მისცეს, პარტიასა და მთავრობას მისცეს, — ეუბნებოდა გზადაგზა ლობესთან და ჭიშკართან მომდგარ, ასეთი დიდი ჯოგით გაკვირვებულ სოფლელებს.

ზოგი ეზოდან გადმოდიოდა, ზოგი გზაზე ხვდებოდა და ბურდა სიამაყით უყვებოდა მათ, რომ მისი, ჯაჯუ ჯგერენაიას და სარდიონ სართანიას მეცადინეობით შეაგროვა ამოდენა ჯოგი.

საქონელი ბღავილით, ყოყინით, თქარათქურითა და ქშენით მოდიოდა სოფლების შარაგზებზე, არ ეტეოდა ვიწროებში, ერთმანეთს აწვებოდა, ღობეებს ტეხავდა, მტვრის ბუღს აყენებდა. მტვერი მაღლა ადიოდა. ეზოებს, ვენახებს და ბაღებს ეფინებოდა, ოდებში შედიოდა.

თვალებული მიუძღოდა ბურდა ჯოგს. ჯაჯუ ჯგერენაია და სარდიონ სართანია კი უკან მიჰყვებოდნენ, არანაკლებ გაამაყებულები და გახარებულები.

რაიკომის მდივანი და კოლმეურნეობის თავმჯდომარე ტარიელ ქარდა გამგეობის წევრებთან ერთად ხორგის გზაზე შეეგებნენ ბურდა კვარაცხელიას ჯოგს.

ბურდამ რაიკომის მდივანსა და თავმჯდომარეს გაუმეორა, რასაც სოფლების გზებზე ეუბნებოდა ქალსა და კაცს.

ვახტანგ ქანთარიამ თავმჯდომარეს ურჩია, საერთო კრება მოეწვიათ და იქ ეთქვათ ეს სამაგალითო და მართლაც საამაყო ამბავი, რომ სხვებისათვის მისაბაძ და საყოველთაო საქმედ ქცეულიყო.

ვასო ბრეგვაძეს იმ ხანებში ციხის უფროსისაგან ბარათი მოუვიდა, პატიმარი ისიდორე ტატაჩიას ძე სიორდია თქვენთან შეხვედრას თხოულობსო. უფროსი თავის მხრივ თხოვდა, უარი არ ეთქვა პატიმრისათვის.

მოხუცი ინჟინრის აღშფოთებას საზღვარი არა ჰქონდა: ოქროთი სავსე ქოთნის გატაცების შემდეგ, სიორდიას სახელის გაგონებაც კი ზიზღს ჰგვრიდა. ეს კაცი სამუდამოდ ამოირეცხა გულიდან. ციხის უფროსის ბარათი ბრაზით დააგდო მაგიდაზე. მთელი დღე ცუდ გუნებაზე იყო. ბევრი საქმე ჰქონდა იმ დღეს, მაგრამ ვერაფერს დაუდო გული.

საღამოს ტარიელ ქარდასთან შეიარა კოლმეურნეობის კანტორაში.

— უნდა შეხვდე, ვასო, — ურჩია ტარიელმა. — რაც უნდა იყოს, ადამიანის შვილია.

ბრეგვაძე არ ელოდა ასეთ რჩევას. კიდევაც მოეწონა მისი პასუხი და კიდევაც გაიკვირვა. — „რაც უნდა იყოს, ადამიანის შვილია“. — ამ სიტყვებმა გული მოულბო, ბრაზი გაუნელა, მაგრამ გაკვირვებას მაინც ვერ ფარავდა: — „რა უნდა. რატომ თხოულობს მაინცდამაინც ჩემთან შეხვედრას?!“ — იმ ღამეს ცუდად ეძინა. დილით ადრე ადგა და ისე წავიდა ფოთში, წვერი არ გაუპარსავს, არც უსაუზმია.

— რა უნდა ჩემთან?! — იმავე კითხვით მიმართა ციხის უფროსს მისალმების შემდეგ.

— არ ვიცი. ვერ გეტყვით, — უთხრა ციხის უფროსმა. — ომის დაწყების პირველ დღეებიდან ფრონტზე გაგზავნას თხოულობს, სისხლის ფასად უნდა გამოვისყიდო ჩემი დანაშაულიო. რამდენჯერმე მიმართა სამხედრო კომისარს. კომისიაზე გაატარეს, მაგრამ სამხედრო სამსახურისათვის უვარგისად სცნეს. სულითა და გულით მუშაობდა ციხეში, ხელფასიდან პაპიროსისათვისაც არ იტოვებდა ფულს, ცოლ-შვილს უგზავნიდა. მას შემდეგ, რაც ფრონტზე გაგზავნაზე უარი უთხრეს, მუშაობაზე გული აიცრუა. ჯავრისაგან ავად გახდა. მთხოვა, ისე ნუ მომკლავთ, ვასო ბრეგვაძესთან არ შემახვედროთო. ეტყობა, თქვენი დიდი ხათრი და იმედი აქვს. რაც უნდა იყოს, ადამიანის შვილია, ბატონო ვასო!

ციხის უფროსმა იგივე სიტყვები

რომ უთხრა, რაც ტარიელ ქარდამ, ბრეგვაძეს გაკვირვებისაგან თვალები გაუდიდდა, შეთქმულები ხომ არ არიანო.

— მიჩვენეთ პატიმარი, — უთხრა აჩქარებით ციხის უფროსს.

ციხის უფროსი გოდორა კაცი იყო, მაგრამ სანდომიანი სახე და ჭკვიანი, კეთილი თვალები ჰქონდა. ეს მაშინვე შეამჩნია ბრეგვაძემ. მისი ნათქვამიდანაც ჩანდა, რომ პატიმარზე გული შეტკიოდა, ზრუნავდა.

ციხის უფროსი საავადმყოფოს პალატაში შეუძღვა ბრეგვაძეს .იქვე შედგა და იქიდან უჩვენა, რომელ ლოგინზე იწვა სიორდია. ისიდორე ფანჯარასთან მდგარ საწოლზე იჯდა ფეხმორთხმით და ფანჯარას გასცქეროდა.

პალატაში რკინის ათი საწოლი იდგა ისე ახლო-ახლო, რომ შუაში ძლივს გაივლიდა ადამიანი. წამლისა და ოფლის სუნით დამძიმებული ჰაერი ბრეგვაძეს ოხშივარივით ეცა. გისოსიანი ორივე ფანჯარა დახურული იყო. აუტანელი სიცხე იდგა პალატაში. ავადმყოფებს ციხის ხალათები ეცვათ, ზოგი იწვა, ზოგი საწოლის ნაპირზე იყო ჩამომჯდარი და ბუზებს იგერიებდა. ყველას ჩაყვითლებული, ჩაყამებული სახე ჰქონდა.

— პატიმართან საუბრის შემდეგ, გთხოვთ, ჩემთან შემობრძანდეთ, — უთხრა ციხის უფროსმა ბრეგაძეს და უკან გაბრუნდა, კარი მიიხურა.

სიორდია კარის ჭრიალზე მობრუნდა. მაშინვე დაინახა მისკენ მომავალი ბრეგვაძე. სახე გაუნათდა. წამოდგომა დააპირა, მაგრამ ვერ წამოდგა. ისედაც გაფსხრიკული კაცი, ისე გალეულიყო, სული რომ შეგებერა, წაიქცეოდა.

ბრეგვაძემ შეატყო ეს. შორიდან ხელის აწევით ანიშნა, არ წამოდგეო და სწრაფად გაეშურა მისკენ.

— გამარჯობა ისიდორე, — თავაზიანად მიესალმა ბრეგვაძე. საწოლთან სკამი არ იდგა და ბრეგვაძე ლოგინზე ჩამოჯდა. — როგორა ხარ? — ისე ჰკითხა, თითქოს პატიმართან კი არ იყო მოსული, თავის ახლობელი ავადმყოფის სანახავად მოვიდაო. ბიბლიოთეკა

— შენ მტერ ჰყოს სე, პატენ ვასო, რავარც მე ვარ, — ძლივს ამოიკნავლა ისიდორემ და სახეზე უამრავი ნაოჭი აესახა.

— ან დღე მოკვდები, ან ღამე, არა? — გამხნევება სცადა ბრეგვაძემ და მეგობრულად გაუღიმა.

— არმნდა სე მოვკვდე, პატენ ვასო, ჩრქ არ მოვრეცხო.

— ჩირქი არ უნდა მოგეცხო, ისიდორე, — უთხრა ბრეგვაძემ თავშეკავებული სიმკაცრით და მაშინვე ინანა. შეებრალა ეს წაქცეული, უმწეო კაცი.

— შევცდ... თავ დავღუპე, წყეულმა ოქრომ დამაბრმავა. მე ნშნობს ბეჭედს მეტ მსდღემში ოქრო არ მნახავს. დდ, რა ძალა ჰქონია მ დაწყევლლს.

— უნდა გეჯობნა იმ ძალისათვის!

— ვერ ვაჯობე მე უბედურმა. სხარბემ დამამარცხა. ჭკუა დავკარგე. ჭკუა სედაც არ მქონდა.

— რა გჭირს. რად წევხარ აქ? — ბრეგვაძე გრძნობდა, როგორ უჭირდა თავის დანაშაულზე ლაპარაკი.

— თქვენს მტერს გაუჭრდეს სე, როგორც მე მჭრს. ჯავრ მჭამს. მნელებს. დამადნო. ზეზეურად ვკვდებ, პატენ ვასო. მნდა ჩრქ მოვრეცხო.

— მითხრეს, ფრონტზე ითხოვაო გაგზავნა.

— საჯარმო ბატალიონშ. ფრონტზე მოვრეცხდ ჩრქს. ბევრ ეცადა ხვთსნერ ციხის უფროსს, მაგრამ არ გამშვეს. არ ვარგხარო საფრონტოდ. ერთ ტყვას მეც ვესროდ მტერს და ერთ ტყვა მეც მომკლავდა.

— მე რითი შემიძლია დაგეხმარო? — უფრო შეებრალა ბრეგვაძეს სიორდია. თანაგრძნობით უყურებდა.

— თპვდებად დამდექ, პატენ ვასო, რომ გამანთავისუფლონ. სსხლთ თუ არა, შრომთ მანც მოვრეცხ ჩრქს. წელებზე ფეხს დავდგამ. გნებავთ თქვენთან, გნებავთ, ტარიელ ქარდასთან ვმუშავებ.

— კოლმეურნეობის წევრად რომ არ მიგიღონ ქარდასთან?

— თქვენ და ქარდას დახმარებით მმღებენ. ახლა ყველა მუშაკაც ჭრდება ქვეყანას. მე სამ კაცს საქმეს გავაკეთებ.

გულწრფელად, ტკივილით თხოვდა სიორდია. ბრეგვაძე ხედავდა, კაცს ცოდვა კისერზე აჰყერდა და კლავდა. მისი კარგი გული ფეხს ვერ ჩადგამდა ასეთ გაუბედურებული კაცის ცოდვაში და დათანხმდა თავდებად დადგომოდა, კოლმეურნეობის წევრად მიღებაშიც დახმარებოდა.

თქვენს მადლს სამარს კარამდე არ დავწყევ, პატენ ვახო, — გული აუჩუყდა ისიდორეს, თვალზე ცრემლი მოადგა. ეს რომ დაეფარა, ხელზე კოცნა დაუპირა მადლობის ნიშნად.

— ჰაჲ, გამაგრდი! ასე რამ წაგახდინა, ყაძახო! — გაუწყრა ბრეგვაძე და ხელი გამოსტაცა.

— ჩემმა უგვანო საქმემ... — მეტი ვერაფერი თქვა. ატირდა ისიდორე.

— მაგიც ეყოფა მაგ საწყალს. მართლა წახდა ყაძახი, — უთხრა ბრეგვაძეს ისიდორეს გვერდით მდგარ საწოლზე წამოწოლილმა, ხანშიშესულმა წვერიანმა ავადმყოფმა. — ცოდვა თუ არ მოინანია ავადმყოფმა, საფლავში ჩაჰყვება და იქაც არ მოასვენებს.

იმ ავადმყოფს იმდენი ცოდვა ჰქონდა ჩადენილი, ასი წელიწადი რომ ეცოცხლა, ვერ მოინანიებდა.

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბელა შალვაშვილი

## ვეღარას ვშველი...

საბრალო ჩემი სიყვარული... როგორ დამიჭკნა,
როგორ დამიჭკნა — უცაბედად, უეცრად, ულვთოდ...
როგორ დამიჭკნა! ვდგავარ და მის სინორჩეს ვუხმობ.
ვეღარას ვშველი... მის ყოფნასაც დაედო მიჯნა.

მახსოვს დუღდა და გადმოდუღდა, მრავალგზის იძრა
საგულე ჩემი ამ დუღილით... ახლა კი მწუხრით
ამოვსებულა ეს საგულე და... ვჭკნები უხმოდ, —
ფითრმოდებულმა და ცრიატმა დღეებმა მიძმო.

დღითიდღე ვკარგავ, მხოლოდ ვკარგავ, აღარას ვიძენ,
თანდისთანობით მიმეფდება ლეგა და რუხი...
აღარ მცემს ალი ჩემი გულის — ყოფილი ბუხრის,

სარკიდან ჩემი გარდაცვლილი თვალები მიმზერს...
საბრალო ჩემი სიყვარული... დამიჭკნა რარიგ,
მან, ჩემმა ერთამ, ეს რარიგად მომტეხა მხარი!

## როდესაც...

როდესაც გული თავის ქერქში ველარ ეტევა,
ეს იმას ნიშნავს, გაზაფხულმა შემოჰკრა ებანს...
როდესაც ვარდის ბაგე წითლად ხდება მეტყველი,
ეს იმას ნიშნავს — სანეტარო მაისი დგება.
მე ეს მაისი მაჯილდოებს იმგვარი თრთოლით,
რომ ჩემი თრთოლით ვხდები ლამის ტირიფის ტოლი.
მე ეს მაისი თავზე მახვევს მაისურს ყოველს —
გული, გონება მაისისდარ ჰანგებსა მთხოვენ...
როდესაც სუსხი დაფერმკრთალობს, ეცლება ძალა,
ეს იმას ნიშნავს, ფრენის სურვილს ვეღარა ვფარავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მე თქვენ მიყვარდით

მე თქვენ მიყვარდით და იქნებ ახლაც,
იქნება ახლაც... არავინ უწყის...
მაგრამ ის ვიცი ამგვარი დაღლა
არ ეტყობოდა ჩემს თვალებს უწინ.
მე თქვენ მიყვარდით, არა, თქვენ არა,
არა, ის.. .ერთობ მაღალი ჩანდა...
ან მართლა იყო სინათლის წყარო,
მეხსიერება მღალატობს ანდა.
დარად მიჩანდა ავდარიც, დარიც
და ბედნიერად — კენტიც და ლუწიც...
მე თქვენ მიყვარდით, ეგეც კი არი —
რაში გჭირდებათ რა იყო უწინ...

## თ უ...

მწვანედ აგიზგიზდა იფანი,
თეთრად აგიზგიზდა ბალი,
დარმა იძალა და... იდარა —
ცას ერტყმის ფერადი რკალი.
თავის პაწია სამეფოში —
ბუჩქში მეუფეობს ია...

ცივი თებერვლით განათოში
ჰაერი უხილავს მიაქვს.
დამდგარა სიმწვანის ბარაქა,
რა სჯობს ამ სიმწვანეს უყურო...
თუ ძალზე უგულო არა ხარ,
არეს ვერ გახედავ უგულოდ.

## რა ძლიერ მიყვარს

რა ძლიერ მიყვარს, რარიგად მიყვარს,—
ეს აწოწილი, გამხმარი კაცი,
თავის სიკეთით გიჟი და ბრიყვი,
სიკეთისათვის ბრძოლაში მკაცრი.
ის მოწოდებით რაინდი იყო
და მეოცნებე — გარჯა-ხელობით...
იგი სწორედაც ასეთი მიყვარს, —
მთელი სიცოცხლე მე მას ველოდი.
გვიან ვიგრძენი ასეთი კაცი
აღარ არსებობს და... უხმოდ ვტირი...

მე მის ლოდინში ჩემს გზასაც ავცდი,
თან... მის მოსვლასაც არ უჩანს პირი.
მეც მისებურად ვგიჟობ და ვბრძენობ,
მეც მისებურად—ოცნებით ვცხოვრობ...
ვით მაშინ, ხალხიც ისევე ჰრელობს
და... სანჩო პანსა არა მყავს მხოლოდ.
და თუმც ჩვენს შუა სამასზე მეტი,
სამასზე მეტი ჩამდგარა წელი...
არ იარება ეს კაცი კენტად, —
მე ვარ იმისი მიჯნური ხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სულ ცოტაც...

სულ ცოტაც, ცოტაც, ჩემო სხეულო,
ნათელი სულის ბნელო საკანო...
და... შენს კედლებში გამომწყვდეული
ეს სული უნდა ზეცას წავგვარო.
ჩემს სულს ვეებას, მართლა ბრალია —
ჩემი სხეულის ტყვეობა ერგო...
ის ცათა შინა უნდა გავრიო
და მეცხრე ცაზე დავუდგა ერდო.
სულ ცოტაც ჩემო ნაგვემო სულო, —
მოვა ბრძანება აღმასრულებლის...
და ამ სხეულზე ამხედრებულმა
ეგ შენი ყოფა მართე სულებრივ.

## შენ უნდა მიცნო!

ეს მერამდენედ ამეწვა თვალი,
ეს მერამდენედ მეტკინა გული,
მაინც არ მიდგას ცრემლების ღვარი,
საწუთროს მაინც არ ვიკლებ მდუღვით.
და რაც მომხდარა, ან რაც კი ხდება,
რაც ხდება, ანდა რაც უნდა მოხდეს, —
არ მიკვირს უკვე, რადგანაც წლებმა
გამაცნო ათას ცრუსა და ოხერს.
მოაქამომდე თვალ-გული გარეთ,
გარეთ მიწევდა, ახლა კი სენაკს —
ჩავმყუდროვდები და თავთან ცხარე
კამათში ხშირად მეხშობა სმენა.
ვინ ვარ და რა ვარ, მშვენივრად ვიცი,
და თუ არც ვცდილობ გაგაცნო თავი,
მხოლოდ იმიტომ, — შენ უნდა
მიცნო, —
თვითონ განსაჯო კარგი და ავი!

## ვინ ვარ და რა ვარ

ვინ ვარ და რა ვარ,რომელი მეტყვის,
ვიცოდე მაინც, რა ვარ და ვინ ვარ...
და ის მაწუხებს ყველაზე მეტად, —
თავად ამ კითხვად თუ მაინც ვღირვარ.
გადიგრიალეს ღრუბლებმა ღრუბლვით,
მწუხრით და მრუმით ამივსეს შუბლი,
ხანდახან ასე თალხსა და უგბილს,
მომეჩვენება ჩრდილი ვარ ღრუბლის.
ჩამოსხდებიან ხეზე ჩიტები, —
ყოველი თავის საწუხარს იტყვის...
ხანდახან მათებრ სტვენით ვირჯები
და მეჩვენება თავად ვარ ჩიტი.
იქნებ ღერი ვარ, ბალახის ღერი, —
ასფალტს რომ ხეთქავს ჟინით და ძალით,
მიწას რომ ამკობს ხასხასა ფერით
და ზეცისაკენ გაურბის თვალი...

* * * *

ვიცოდე მაინც, რა ვარ და ვინ ვარ,
თავად ამ კითხვად თუ მაინც ვღირვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ასე... ქამიქამ

თუ მეტისმეტად თავს იჩენს წყლული,
თუ გაგივეშდა სევდა ფარული,
დახუჭე თვალი და რეალური —
ასე გახადე ირეალური.
თუ შეამჩნიე, დაეტყო რული
გონებისა და თვალის სინათლეს,
აღახვენ თვალი... ირეალურით
რეალურისკენ გადაინაცვლე.
ასე... წაშალე წუხილის კვალი,
ასე... შეცვალე სიკეთით ავი,
ასე... ქამიქამ იტყუე თვალი,
ასე... ქამიქამ იტყუე თავი.

## ეს... ჩემი დარდი

ეს ჩემი დარდი წააგავს თქვენსას
და იმით არ ჰგავს, რომ ის ჩემია,
მას ჩემში მკვიდრად გაუდგამს ფესვი
და უმისობა არც მირჩევნია.
ის ჩემში იშვა, და თუკი იშვა,
ბუდობდეს უნდა ჩემსავე წიაღ...
მადლია დარდი... დარდები მთიშავს
მას, რასაც ქვეყნად არყოფნა ჰქვია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა ფორჩხიძე

## მამულო ჩემო!

უნდა დამასწრო ამ გაზაფხულზე,
მამულო, შენი ცის ახლად გახსნას,
უნდა მივუშვა ღარებით გულზე
სხვა ახალ ფერთა წვიმების თავსხმა.

ამ გაზაფხულზე ყველა ზაფხულის
უნდა დავკოცნო ლერწმის ღერები,
ფრთხილად დავწმინდო
ხმა სიყვარულის,
ცა ჩამოვიღო ძირს სიმღერებით!

თორემ, ვინ იცის,
ვინ იცის, მერე,
ამ სიყვარულის თავდავიწყებით
იქნებ ვერც შევხვდე
შენს უკვდავ ფერებს,
ჟრჟოლას
უეცრად ამტყდარ წვიმების.

მუშა ფუტკრების გაბმულ ხმაურზე,
ან გარინდებულ ხეთა ბურანში,
უნდა დაგადნე სიმღერად გულზე,
როგორაც რკინა დნება ქურაში.

მამულო ჩემო, ამ გაზაფხულზე,
თორემ, ვინ იცის,
ვინ იცის, მერე...
უნდა მივუსწრო ცის გახსნას სულზე,
თვალი დააკვდეს იმ უცხო ფერებს...

რომ ქრუანტელით შენი ცხელი მზე
წვავდეს,
ბუგავდეს
ამ გულის სიმებს,
ხორცს მილურჯებდეს ხანაც სიცივე,
ოღონდაც სიტყვას,
აზრს,
შთაგონებას
შენი ქედების ჰქონდეს სიმძიმე,
შენი ფოლადის შერჩეს სიმტკიცე!

მამულო ჩემო,
ამ გაზაფხულზე,
ამ სიყვარულის დალოცვილ ხნულზე,
ამ ფერთა წარღვნით,
როგორც ვინატრე,
უნდა დაგადნე სიმღერად გულზე
და მოვეფინო შენს მთებს სინათლედ!..

## ასე რამ შემაყვარა!..

ცამ იდარა, ცამ პირწყალი მოიწმინდა,
ტანზე წვიმას იწურავდნენ ტირიფები...
სულ სიცილში გავიარეთ ნინოწმინდა,
შენ რომ არა, მე ბავშვივით ვიტირებდი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიტირებდი, სიხარულით ვიტირებდი...
თეთრი მთები აილანძნენ უცებ ცაში.
კორდებიდან გვილიმოდნენ გვირილები
და ხალისით გვაჟრჟოლებდა ყველას ტანში...

თითქოს მიწას ვისუნთქავდით ფართო მკერდით,
სადღაც ქარი ცაცხვის მაღალ ხეებს ღლიდა,
გახსოვს, — უცებ როგორ შევკრთით,
ალაზნის ველს რომ დავხედეთ სიღნაღიდან!

რძისფერ ნისლებს დაეფარა კახთა მიწა
და ბაღებს რომ ვერ მოვწყვიტეთ წამით თვალი,
მოგვეჩვენა,
თითქოს ლურჯად ძირს ცა იწვა
და მთებს თავზე დასდიოდა იის წყალი!

დავცქეროდით ალტაცებით მწვანე ბაღებს
და სიღნაღის ძველ ხეობას...
მერე გავცდით ათასწლოვან ციხის თალებს
და ალაზნის სიო ყელზე გვეხვეოდა...

წინანდალში ვნახეთ ფერთა უკვდავება,
ვნახეთ,
ბაღში რა არ ვნახეთ!
ჰგავდა რაღაც ცრემლისმომგვრელ მდუმარებას
კატინას და ნინოს სახე...

მაშინ მივხვდი, რა ყოფილა ცა კახეთის,
რა ფერები, რა ვენახი და რა ყანა,
მაშინ მივხვდი
იმ გაცრეცილ ნახატებით
საქართველო
მე ასე რამ შემაყვარა!..

## *ისვენებს სული...*

ველანი ძველი ორღობეები,
ბორბალა შქერის მჭიდრო წნულები,
გზაზე მხვდებიან ანგელოსები
და ფეხშიშველა უფლისწულები.

ეზოში ისმის ტკაცუნი საცრის,
სახლში ფათურობს ლამაზი ქალი,
და მოდის სუნი კერიის ნაცრის,
ცისკენ
ცისფერი მიფრინავს კვამლი.

ბებერ მუხისქვეშ მოხუცი ხენეშის
პატარა ქოცოს მოხადა თავი,
შვილიშვილს დოქი უჭირავს ხელში
და ხტუნავს,
როგორც პატარა კრავი.

და ღვინისფერი დგება საღამო,
ისვენებს სული, — დაღლილი მგზავრი,

სადღაც ფოთლებში
ფათურობს,
დაობს
მოუსვენარი საწუთროს ქარი.

ვიცანი ძველი ორღობეები,
ბორბალა შქერის მჭიდრო წნულები,
ჰიშკარს მილებენ ანგელოზები,
მკოცნიან სოფლის უფლისწულები...

## თავს არ მავიწყებს!..

სარფის ცა —
ჩემი ზღვის მყუდრო ყურე,
სარფს მიღმა —
ჩემი ნაშენი ციხე...
იქ ლბილ სილაზე ჩემს ნაფეხურებს
ჟამი უსახო ვერ დაივიწყებს.

სარფის ცა —
ლურჯი ფოთოლი ვაზის,
სარფს მიღმა, —
ჩემი მართალი ფუძე,
ქვაზე ნატვიფრი ჩუქურთმა ლაზის,
ჩემი მაშვრალი მამა დ მძუძე.

სარფის ცა —
ჩემი გულის ფიცარი,
სარფს მიღმა —
ჩემი სამკვიდრო ფორჩხა,
გვიანღა ვნახე და მყის ვიცანი
წინაპრის ლანდი ქცეული ჩონჩხად.

სარფის ცა —
ჩემი მზის გაბრწყინება,
სარფს მიღმა —
ჩემი კერიის კვამლი,
ჩემი მწუხრი და თავდავიწყება,
ჩემი მფარველი ღვთისმშობლის თვალი.
სარფის ცა —
ლურჯი ფოთოლი ვაზის,
სარფს მიღმა —
ჩემი ნაშენი ციხე,
ქვაზე მოჭრილი ჩუქურთმა ლაზის,
ჰაი, ჰაი, რომ თავს არ მავიწყებს!

## ნ ა ტ ვ რ ა

ახლა ლურჯი ცა ისე მაქეზებს,
მე ხშირ ვარსკვლავებს,
როგორც კალმახებს,
ანთებულ ფიქრის ვესვრი ანკესებს
და ატმისფერად ღამე ჩახჩახებს.

ნეტა იქ ერთხელ
გავფრინდეთ ერთად,
მხარზე დამაყრდნო ფრთა სიყვარულის...
ციდან იმგვარი სინათლე წვეთავს,
სულს აღარ ბოჭავს ეჭვი ფარული.

იქ სხვა ნაზ ფერებს ვნახავთ საოცარს,
ბინა დავიდოთ
თეთრ ღრუბლებს იქით...
ბურუსში ვარდის შუქმა გამოსცრა,
იქ ჯადოსნური ხომალდი მიჰქრის!

იქ დაულოცე
გზა სასურველი
პოეტს —
ღვთაებრივ იდუმალ ენით,
ოღონდ მოირთვე ლურჯ საბურველით,
ცას არ შეშურდეს სითეთრე შენი!

ახლა ეს სივრცე ისე მაქეზებს,
მე ხშირ ვარსკვლავებს,
როგორც კალმახებს,
ანთებულ ფიქრის ვესვრი ანკესებს
და ატმისფერად ღამე ჩახჩახებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აკაკის

საიდუმლო ბარათი
    ვის არ დაუწერია,
მაგრამ შენი სხვა იყო,
    შენს ჩანგს ჯვარი სწერია!

შენ სხვა კაცი იყავი,
    სხვა საფიქრალს მღეროდი,
ერის გულში გაზრდილი
    ნედლი ლერწმის ღეროთი.

შენი ხატი სხვა იყო,
    სხვა საკმეველს აკმევდი,
კეთილსა და უკეთურს
    თავის სახელს არქმევდი.

შენი სატრფოც სხვა იყო,
    სხვა არავინ გწყუროდა,
ყველა წყალმა წაიღოს,
    ვისაც იგი სწუნობდა.

ყველა მას ენაცვალოს,
    ვისაც შენ ამღერთებდი,
შენი მტრისგან გამცალოს
შენს ჩანგს შევთხოვ ვედრებით...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მირიან მირნელი

## მეოცე საუკუნე

ზღაპარი ყოფილა სამანს გადასვლა —
გაასწარ მზისკენ მსრბოლავ ხალიჩებს,
და თუ მიწაზე არ ვიჩალიჩე,
რას ვაქნევ მარტო ფრენას ცა და ცა?

ვიცი, რადგანაც მიწაზე ვსახლობ:
თუკი არ დგახარ დედასთან ახლოს, —
თუნდაც ზეციურ ფრთებით ძლიერით
შორს ვერსად წახვალ ძეხორციელი.

დღეებიც რადგან ელვის უმალეს
მიქრიან ყოფნა-არყოფნის გზებზე, —
მე იდილიის თავსასთუმალზე
წუთით წათვლემის უფლებას ვეძებ,

თორემ სულ მუდამ ალმართზე ფარცხვამ
ვაითუ უკუმიქციოს ბედი...
და ვწნავ ჩუმჩუმად ძველებურ ფაცხას
კომფორტაბელურ სასახლის გვერდით.

* * *

მოფრინდი, სიხარულო! — ისეთი დარია,
მზემან ბარჩხალამან ლამის გადამრია, —
ნადირივით დამმუხტე გაზაფხულის გეშით.
და რწმენასავით ამომიდექ გვერდში;
ციხისკენ — მთაზე რომ კოხტაობს — ვეჩქარები:
მო, ერთად გადავხსნათ ყრუსავით დახშული კ ა რ ე ბ ი,
იქ სიბრძნის კვერთხი მევს — მუშა სახნისივით
ე ლ ვ ა რ ე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასახლე შოლტივით ავსხიპოთ გზა
წინამდებარე:
გადავთელ-გადავჭეგოთ ყველაფერიც, არარაც,
არ შევეპუოთ ციცაბო აღმართს და წავარნას;
აქეთ მოვალაჯებ — ათასი წელია
და ლოდი — სიზიფის — მეც ამიწევია;
მეც მიხნავს ხარივით — მიწა მიჩიჩქნია,
ეს მკერდდახეთქილი მთები — ჩემი ფესვი და ჩონჩხია;
სისხლივით ვბრწყინავდი ხალიბურ რკინაში,
მაგრამ მე შევცოდე ღმერთების წინაშე:
სულ მარტომ ვიარე აღთქმული ქვეყნისკენ
და ჩემს განთიადებს სულ მარტომ შევყივლე:
თურმე კლდე-ღრეებში ხეტიალით ქანცგაცლილი —
მომდევდნენ კვალდაკვალ ეშმა და მაცილი
და, თურმე, როდესაც ვხარობდი ესოდენ, —
ხმა ჩემი ზახილის არავის ესმოდა,
არც ჩასწვდეთებია არავის, არავის
იდუმალი შხუილი ჩემი საკალმახე დარანის,
თითქოს არც ყოფილიყოს ჩემი მოწეული —
იქვე მობრიალე მეწამული ბროწეულიც,
მაგრამ ოსანა! — შუადღეა ჯერ მხოლოდ:
კვალად ცერებზე დგანან ჩემი კოშკების ჭერხონი;
მოფრინდი, სიხარულო! — ისეთი დარია,
მზემან ბარჩხალამან ლამის გადამრია, —
ნადირივით დამმუხტე გაზაფხულის გეშით
და რწმენასავით ამომიდექ გვერდში!

გაიღვიძა ბავშვმა
და
დიდი
თბილი,
ნამძინარევი

თვალები შემომანათა უეცრად —
თითქოს ცის ლაჟვარდიან კენწეროზე
მოციალე წყვილი ვარსკვლავი
ჩამეწვეთა
სულში.

## თ ო ვ ლ ი

დიდხანს გაგრძელდა ღრუბლის ჭიდილი
მზესთან და როცა ზეცა დამძიმდა, —
მარად ჭირვეულ ქარის ჭრიჭინებს
ღმერთმა მიუგდო ლუკმა საძიძგნად.

მთებმა ტყეების იფარეს ფარი —
ხევში ჩაეშვა ყვითელი ფარდა...
და ყოველივეს ამჩნევდა ქარი,
ჩემი ხმამაღალ კივილის გარდა.

ვერ მოვიშორე ფიქრი თავიდან —
ქანცგალეული და გათოშილი,
რომელიც, როგორც მყუდრო ვანიდან
გამოგდებული თეთრი გოშია,
აწკავწკავებდა ზამთრის რექვიემს.

ვეძიე, მაგრამ ვერ გავერკვიე:
რა აწუხებდა, რა ახარებდა

თოვლს — დიდი თოვა დაიწყო რაწამს,
ცა თითქოს განგებ ახამხამებდა
ფიფქების გრძელ და ქაღარა წამწამს,

რომელიც გულში უყრიდა ისრებს
გადარეული ქარების ქროლვას...
სოფლის მდუმარე მგზავრები ისევ
ვიდოდნენ თოვლში, თოვლზე და
თოვლად.

* * *

თასი გვეჭირა —
მეგობრობის —
პირთამდე სავსე
და ძგერდნენ მზისფერ საკირეში
ჩვენი გულები,
მაგრამ...
ამოჰყვა
ჩემს ანკესებს
ორაგულები
და შენს ლიფსიტებს
შიშის ზარი დაატყდათ თავზე;

მე რა შევცოდე —
ისინი თუ მტრები არიან:

თევზს უყვარს თევზით დანაყრება —
ვისი ბრალია,
ვისი ბრალია —
არ ქლერს ძმობის სიმი წკრიალა,
ისიც —
სახეზე ღრუბელმა რომ გადაგიარა?..
. . . . . .

და...
ჩვენ დღეიდან
რამეთუ ერთად, —
გზა მშვიდობისა შენს ლიფსიტებს —
გიმრავლოს ღმერთმა!

* * *

ჰოი,
სულო ჩემო —
იდუმალების
მტოო ფერმკრთალო!
არა უწყის სოფელში ძეხორციელმა —
რამდენჯერ გადაგიფრენია შენ,
ვითარცა ფრთოსანს ჯერარგაგონილს,
ხიდან ხეზე,
ტყიდან ტყეზე,
გზიდან გზაზე,
ზღვიდან ზღვაზე,
მთიდან მთაზე,
ციდან ცაზე,
გარნა ტოტიდან ტოტზე
არც არაოდეს გადაგირბენია ციყვივით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

კვლავ ფეხშიშველა მიმოვირბენ
ჭალებს და ფშანებს —
იქ,
სადაც ყელი
ლერწამივით
სტვენს
მაფშალიის;
შევეგებები
შავწყალაში
ცვენას ვარსკვლავის
და გაზაფხულის მწვანე მეწყერს —
მთით რომ მოგორავს...
მაშ,
ამიყვავდი ჩემს მინდორზე,
ჭიაკოკონავ,
სიზმრად დანახულ ბავშვობასავით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შოთა ზოიძე

* * *

მე ვარ კოსმონავტი და მე ვარ პოეტი,
ვტოვებ მიწას და მივფრინავ ცაში.
სულის სიმყუდროვეს ვერსად ვპოვებდი,
რომ შემეცვალო უეცრად სხვაში.

მაღლიდან დამყურებს ლამაზი სამყარო,
დაბლიდან — მტრობა და შური,
მე მინდა დედამიწას იარაღი ავყარო
და ბავშვებს მივცე პური.

უიმედოს — იმედი,
წამალი — ავადმყოფს,
დაჩაგრულს — რწმენა და ღონე...
და, თუკი პოეტის ალღო არ მღალატობს,
თავისუფლება — მონებს.

მე ვარ კოსმონავტი
მე ვფიქრობ სტარტზე.
მე ვარ პოეტი და ვათენებ ღამეს.
როცა მოგვეძალება ცხოვრების დარდი,
ნარდს ვეთამაშებით ჭადარა მამებს.

თვლემს მოგონებაში ის ერთი საღამო —
იური გაგარინი, ვარსკვლაველთა ქალაქი,
ოცნება ლამაზი და დაუსაბამო,
რომელსაც პოეტების შეხვედრა დავარქვი.

და მინდა მოგიძღვნა ისეთი ლექსი,
ქვეყანა რომ გაიგებს თარგმანის გარეშე,
დიდი და პატარა გულების მწყემსი,
გამოძახილი ქარიშხლის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც ვერავის ვერ დაესესხები,
(შეიძლება ისესხო ჭირიცა და ლხინიც),
ლექსები იკითხეთ, ბატონებო, ლექსები,
ინებეთ, ბატონებო, სამეფო ხილი!

## სიმღერა

საქართველო — ნუგეში,
თავს ჩაგიდებ უბეში,
სიბერეშიც მეყვარები, როგორც სიჭაბუკეში.
მე ვარ შენი ლიდერი, შენი ლელოს გამტანი,
შენი გაზაფხული ვარ, ზაფხული და ზამთარი.
როცა თეთრად დაათოვს ხუდადოვს და მაღათოვს,
საქართველოს ვენახები ჩემმა სუნთქვამ გაათბოს.
საქართველო — ნუგეში,
თავს ჩაგიდებ უბეში,
სიბერეშიც მეყვარები, როგორც სიჭაბუკეში.
მარგალიტი ამოდუღდა არწივების ბუდეში...
არწივს ფრთების გაშლა უნდა, ცა უნდა და ნუგეში,
მწვერვალების ზვერვა უნდა, ლაჟვარდების თაყვანი,
ყრმას სოსელოს დილა უნდა, ბაზალეთის აკვანი,
ბაზალეთის ტბა უნდა და საგურამოს ნუგეში,
არწივს ფრთების გაშლა უნდა საქართველოს ბუდეში.
საქართველო — ნუგეში,
თავს ჩაგიდებ უბეში,
სიბერეშიც მეყვარები, როგორც სიჭაბუკეში.

* * *

იყო ერთი მაფშალია,
გალობდა და გალობდა,
დარდისაგან გამშრალა,
მე რომ გოგო მწყალობდა.
სულ იმისი ოინია, ზღაპარი და კაფია,
ეს კი ჩემი ლექსი არი, ჩემი ეპიტაფია.
ზღაპარი და სინამდვილე, ქვის სულო და ქვითკირო,
შენს ქორწილში ვინადიმო, შენს ქელეხში ვიტირო!
თუ მნახავენ, უნდა მნახონ, შენს ალმართში დაღლილი,
მინდა ვიყო შენი სახლი და ერთგული ძაღლივით
ჩაგატანო სული ჩემი, ციხეო სურამისა,
წელს თუ არა,
წელს თუ არა,
უსიკვდილოდ — გაისად!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

. . . . . .

სურამისა ციხეო,
სურვილითა გნახეო,
სიზერევ და სიყმაწვილევ,
სიმაღლევ და სახელო,
ჩემი სული გაზარია, კარგად შემინახეო!

## მ ა მ ა

მამას არ ჰყავს ქვეყანაზე ბადალი,
მამა არის კეთილი და მკაცრი,
შინ შემოდის, როგორც მთავარსარდალი
და მე ვხვდები, როგორც ჯარისკაცი.

მამამ იცის ქვეყნის ავან-ჩავანი,
ევროპა სულ მოვლილი აქვს ფეხით,
მამა არის საქართველოს მთავარი,
მამა არის საქართველოს გლეხი.

დილით ქონგურს ემატება ქონგური,
საღამოზე გაულიმებს ვარსკვლავს,
არ დაინდო საქართველოს ორგული
აიღო და ვენახივით გასხლა.

პურის ფასი ჩვენზე უკეთ იცის,
მაგრამ პურზე არ გაჰყიდის ნამუსს,
ყველა დღე და ყველა წუთი მისი
ბალავარად ეშენება მამულს.

გაჩენილა სათნოების მსახურად,
ვაზი უყვარს, როგორც ნავი ლაზებს,
ყოველ ღამე ვეფხვის სიზმრებს ნახულობს,
ყოველ დილით ეფერება ვაზებს.

წარბს შეკრავს და იცის რაზე ვწუხვართ,
შინ შემოდის, ფეხზე ვდგებით ყველანი,
ტყეში მუხას ემატება მუხა,
ზვარში მტევანს ემატება მტევანი.

სხვა მადლი აქვს მამის ალალ სუფრას,
სიტყვას გეტყვის — იანვარშიც გათბები,
იმის ქართულს, წყაროსავით სუფთას,
გვირგვინივით თავზე ადგას ნათელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამას არ ჰყავს ქვეყანაზე ბადალი,
მამა არის კეთილი და მკაცრი,
შინ ბრუნდება, როგორც მთავარსარდალი
და მე ვხვდები, როგორც ჯარისკაცი.

## ქართული ზღაპრის დასასრული

### 1.

რაც არ უნდა იმღერო და ილხინო და ინადიმო,
სინამდვილე ზღაპარია, ზღაპარია სინამდვილე.
ჩემი ბედი ზღაპარივით, ვიცი ჭინკას აბარია,
რაც არ კარგა — მართალია,
რაც კარგია — ზღაპარია.
ზღაპარს რითმა დავადევნე ძველია თუ ახალია,
დევებსა და ბაყბაყდევებს ვეჭიდები რა ხანია!

### 2.

დევს თავები წავაცალე,
ძაღლებს გადავუყარე,
მტრების დედა ავატირე, გავახარე მოყვარე,
უთავოებს უიარაღოდ შევეჭიდეთ მარტონი,
დავხოცე და დევის ცოლებს თვითონ დავეპატრონე.
ქარავანი მიდიოდა...
გზაზე ყეფდა ფინია...
ჭირი — იქა!
ლხინი — აქა!
ქატო — იქა!
ფქვილი — აქა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

# მძიმე ჯვარი

რომანი

წიგნი მეორე

მუმლი მუხასა

## თავი ოცდამეშვიდე

ტფილისში, მეფე ერეკლეს კარზე გაგზავნილი მაიორი რატიევი, ერთი იმ ქართველ თავადთაგანი, ვისი მამა-პაპაც იმპერატორ პეტრე დიდის მოიმედე მეფე ვახტანგ მეექვსეს 1724 წელს რუსეთს გაჰყვა და სხვადასხვა გარემოებათა გამო შემდეგ იქვე ხელმწიფის სამსახურშიაც შევიდა, ისნის სასახლეში უაღრესი პატივით მიიღეს და მაშინვე ლაშქრობიდან ახალ მობრუნებულ ბატონს წარუდგინეს. ომებსა და სხვა უთვალავ საზრუნავში გათეთრებულმა ერეკლემ ჩვეული გულისყურით მოუსმინა რუსის ოფიცერს, ოდესღაც მშობლიურ ქართულს ძლივს-ღა რომ ამტვრევდა და მაინც დაჟინებით ცდილობდა, თვისტომ გვირგვინოსან მეფესთან ამ ენაზე ელაპარაკა.

ხელმწიფის კარის მრჩეველ თავად მოურავოვზე, რომელიც ლიხთიმერეთის მეფის ელჩებს პეტერბურგიდან საგანგებო დავალების შესასრულებლად გამოაყოლეს, რატიევმა არაფერი იცოდა, სხვა მხრივ კი საქმე ისე დახატა, რომ ერეკლეს გული სიხარულით აევსო.

რუსის „იარანალის“ მიერ წარმოგზავნილი მაიორი რატიევი დაასაჩუქრეს და უკან გაისტუმრეს. ერეკლემ უფროსი ვაჟი, ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილი გიორგი და კათალიკოსი ანტონი მოიხმო. სამივე მეფის სამუშაო ოთახში ჩაიკეტნენ.

მესამე დღეს თავადი რატიევი ტოტლებენის ბანაკში დაბრუნდა და „იარანალს“ მეფე ერეკლეს მეგობრულ სალამთან ერთად სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ანტონის მამობრივი ლოცვა-კურთხევა მოუტანა.

— სალამი და მამობრივი ლოცვა-კურთხევა თავისთვის შეინახონ! — შეუკავებელი ზიზღითა და ათვალწუნებით წარმოთქვა ამდენი უქმი ლოდინისაგან გულშეღონებულმა გენერალმა. — გზად გავლის და სასმელ-საჭმელის შეძენის უფლებას თუ იძლევიან?

— მაგაზე პირადად მოველაპარაკებით, თქვენო მაღალაღმატებულებავ!..

— როგორ თუ პირადად, არ გვეყო, რაც ვიცადეთ?

— მისმა უმაღლესობამ, მეფე ერეკლემ, თვით ინება წამობრძანება. ხვალ დილას ადრე აქ იქნება.

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 1, 2, 3, 4, 5, 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელმა ცნობამ ტოტლებენი დააწყნარა და აჯანყებული პატივმოყვარეობა დაუცხრო. მას შემდეგ, რაც მეტიჩარა მოურავოვს საკადრისად გაუსწორდა და იმერეთის მეფის ელჩებიც იმ ვაჟბატონის კვალს გაუყენა, საექსპედიციო კორპუსის სარდალს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა დაძვრის ბრძანება გაეცა, ქართლში მეფისაგან ნებართვის მიუღებლად შესულიყო, სურსათიც საკუთარი ძალებით ეშოვნა და, თუ საჭიროება მოითხოვდა, იმერეთისაკენ გზა იარაღით გაეკაფა.

აქ ყოფნის განმავლობაში ტოტლებენი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მისი უდიდებულესობა ხელმწიფე-იმპერატორის კარი მთებში შეხიზნულ ბუსურმან მეფეებს მეტისმეტად ელოლიავებოდა, თითქოს ესენი არა ველური ტომების გაუთლელი წინამძღოლნი, არამედ მრავალმხრივ განსწავლული ევროპელი სიუზერენები ყოფილიყვნენ: დღეის ამას იქით ტოტლებენს საქმით უნდა დაემტკიცებინა, თუ როგორ ჯობდა მათთან მოპყრობა და რა გზით უნდა ევლო მომავალში რუსეთის დიპლომატიას.

ჯერ ხეირიანად გათენებული არც კი იყო, ტოტლებენმა რომ თავისი ადიუტანტი კაპიტანი დე გრაი დე ფუა მოიხმო და უბრძანა, მაიორი რატიევი გაეღვიძებინა. რატიევი უკვე ფეხზე დაუხვდათ და მაშინვე მოიჭრა, კორპუსის სარდალს დადგენილი წესის მიხედვით გამოეჭიმა.

— სად არის ის შენი „უმაღლესობა“, აკი ამ დილას აქ უნდა გვხლებოდა? — ჰკითხა ტოტლებენმა.

რატიევი აწრიალდა, უსასოოდ მიიხედ-მოიხედა.

— ჯერ ადრეა, თქვენო მაღალაღმატებულებავ, ექვსიც არ შესრულებულა, ცოტა კიდევ მოვითმინოთ და გამოჩნდება.

— წაიყვანეთ ერთი ოცეული და წადით, ააჩქარეთ, უთხარით, რომ მეტი დაცდა აღარ შეგვიძლია.

— ბატონი ბრძანდები, თქვენო მაღალაღმატებულებავ, მაგრამ ვგონებ აღარ დაგვჭირდეს მიგებება, ისინი უკვე მოდიან!

და მართლაც, თოვლიანი მთის ზურგს, რომლის თხემიდანაც საქარავნო გზა ტაფობში ეშვებოდა, რამდენიმე შავი წერტილი გამოეყო. შავი წერტილები სწრაფად ეშვებოდნენ დაბლა და თვალდათვალ იზრდებოდნენ. მალე მხედრების გუნდიც გაარჩიეს. ტოტლებენმა გულხელი დაიჭდო და ქართლ-კახეთის მეფის შესახვედრად მოემზადა. პირზე დამცინავი ღიმილი არ შორდებოდა. მას უკვე წარმოდგენილი ჰქონდა, როგორ ჩამოხდებოდა მეფე ცხენიდან, აღმოსავლური წესით როგორ დაიჩოქებდა, შუბლით სამგზის შეეხებოდა მიწას, ფორთხვით მიუახლოვდებოდა და დაგვიანების გამო, — თქვენი მაღალაღმატებულების მობრძანება გვიან შემატყობინესო, ბოდიშს მოუხდიდა. სხვა რაღა გზა იყო, რაკი ბოლოს მაინც მოვიდა, ტოტლებენს დიდსულოვნად უნდა შეენდო და თავის მხრივაც რაიმე ეთქვა!

რაოდენად გამტყუნდა ოცნების ბურუსში გახვეული გენერლის მოლოდინი, როცა მოსულ მხედართა შორის ერთადერთი დიდებული აღმოჩნდა და ისიც არა თვით მეფე ერეკლე, არამედ გორის მოურავი ოთარ ამილახვარი, რომელმაც გაქაფული ცხენი ზედ კარავთან მოაგდო, მიუხედავად ხანდაზმულობისა, გამოცდილი მხედრის სიჩაუქით ჩამოქვეითდა, წმინდა მერინოსის თეთრი ბოხოხი მოიხადა და გაოგნებულ სარდალს მდაბალი თავის დაკვრით მიესალმა.

ასევე მოიქცნენ სხვა მხედრებიც, თავ-თავიანთ ცხენებს წინ დაუდგნენ და შორიახლო გაჩერდნენ.

ამილახვარს თარჯიმანი, ტფილისის სასულიერო სემინარიის რუსული სიტყვიერების ახალგაზრდა ოსტატი ახლდა და მისი პირით გენერალს იმავე სიტყვებით მიმართა, მაიორმა რატიევმა წინადღეს ტფილისიდან რომ მოიტანა: ერეკლე, მეფე ქართლისა და მეფე კა-

ხეთისა, მემკვიდრე მთავარი სამცხე-საათაბაგოსი, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსი, მთავარი შამშადილისა, მთავარი კაკისა, მთავარი შაქისა, მთავარი შირვანისა, მპყრობელი და მბრძანებელი განჯისა, ერევნისა და სხვათა და სხვათა დიდი რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორის წარმოგზავნილს, საექსპედიციო კორპუსის სარდალს, მის მაღალაღმატებულებას გენერალ ტოტლებენს მეგობრულ სალამს უგზავნიდა და ქართლის მიწა-წყალზე მშვიდობით მობრძანებას ულოცავდა...

— გთხოვთ, მადლობა მოახსენოთ პრინც ერეკლეს, — თავისდა უნებლიეთ წარმოთქვა როგორღაც თავბრუდახვეულმა ტოტლებენმა. რამდენიმე წუთის წინ მისთვის რომ გეკითხათ, აზრადაც არ მოუვიდოდა, თუ ველური ქვეყნის ამ პაწია მპყრობელს მსგავსი თავაზიანობით და კრძალვით მოიხსენიებდა. — ჩვენ უკვე მეექვსე დღეა აქ ვდგავართ და იმერეთისაკენ, სადაც პრინც სოლომონის დასახმარებლად მივდივართ, გზის მოცემას ველით. ამას გარდა...

გენერლის სიტყვების თარგმნას მაიორი რატიევი შეუდგა, რათა გარსშემორტყმულ თანამემამულეთა შორის თავი ქართული ენის ზედმიწევნითი ცოდნით მოეწონებინა და ამ ადგილას რომ მივიდა, სადაც სარდალი გაჩერდა, თარგმნა შეწყვიტა და ყინქლილივით წამოჭარხალებულ ტოტლებენს მიაჩერდა.

— მისი უმაღლესობა მეფე ერეკლე თქვენს მაღალაღმატებულებას ელის! — წამიერი სიჩუმის ჩამოვარდნით ისარგებლა და თქვა ოთარ ამილახვარმა. — ფასანაურის მინდორზე თქვენს მისალებად კარვები გავშალეთ!..

— ჩვენ ჩვენი კარვები გვაქვს, — უგუნებოდ მოსჭრა ტოტლებენმა, როდესაც გორის მოურავის სიტყვები გადაუთარგმნეს და დარწმუნდა, რომ ერეკლესთან შესახვედრად აქედან სადღაც უნდა წასულიყო. — არავის მოწყალება არა გვჭირდება! სად არის ეგ ფასანაურის მინდორი?!

ოთარ ამილახვარს ეუცხოვა სტუმრის ამგვარი კილო, მაგრამ გაიფიქრა, ალბათ, სწორად ვერ მითარგმნესო და არ შეიმჩნია:

— კარგ ამინდში აქედან ნახევარი დღის სავალიც არ არის. დაღამებისას იქ ვიქნებით!

ბანაკი მხოლოდ ნაშუადღევს მოშალეს, რადგან ალალისა და ზარბაზნების სათრევად ოცდაოთხი ახალი ცხენის შოვნა დასჭირდათ, რაც აქ, მიუვალ მთებში, არცთუ აგრე ადვილი საქმე იყო და ჯარი ტაატით შეუდგა აღმართს. ღამემ ზედ ჯვრის უღელტეხილზე მოუსწროთ. გზის განგრძობა უკვე შეუძლებელი გახდა. ჩამობნელებისთანავე, როგორც კი მზე ცისკიდურს მიეფარა, საშინელი ყინვა დაიჭირა. ძვალ-რბილის გამთოშავი სუსხიანი ქარი უბერავდა. თვალი თითქმის არავის მოუხუჭავს. ცხენმა და კაცმა ფეხზე გაათენა. კარავში გაყინვას თვით ტოტლებენმაც აქეთიქით სიარული არჩია. გათოშილ ხელებს მაზარის სახელოებში მალავდა და ბედს იწყევლიდა, რომ თავი ამ ჯოჯოხეთში ჩაიგდო. დილას, მზე რომ ამოვიდა, ცა მოიწმინდა და უეცრად ისე დათბა, ვეღარც კი წარმოიდგენდი, თუ წუხელ აქ სწორედ ჩრდილოური ზამთრის ღამე მძვინვარებდა. უჩვეულოდ ცხელი მზე ლურჯი ცის თავანზე იყო ასული, როცა საქარავნო გზამ, თოვლში ძლივს-ღა რომ ჩანდა, მკვეთრად მოუხვია და ჯარი ფრიალო კლდის წვერზე აღმოჩნდა. ძირს, სადამდეც კი თვალს მიაწვდენდი, ბალებით თუ ტყით დაბურული ნაყოფიერი ველი ბრწყინავდა და მნახველს უთვალავი ფერის ლიცლიცით აბრმავებდა. თოვლი მხოლოდ ზემოთ, ერთიმეორეზე გადაჯაჭვულ მთებზე იდო. ხეებს ჯერ ფოთოლი არ გასცვენოდა. ტოტლებენი მოილუშა. ერთხანს მდუმარედ უყურა მის ფერხთით განრთხმულ ჯადოსნურ სურათს, რომლის მსგავსი არსად არაფერი ენახა, შემდეგ ბერლინის ბრძოლის სამახსოვრო ნაალაფევი დურბინდი მოი-

რგო და არაგვის თვალწარმტაც სათავეს დააკვირდა.

მზე ის იყო გადაიხარა, როდესაც ალალის უკანასკნელმა საზიდარმა ჩაიარა და ქანცგამოლეულმა ცხენებმა ფეხი სახელდახელოდ გადებულ ბოგირზე შესდგეს. მარტოდმარტო მიმავალ გენერალს ოთარ ამილახვარმა და მისმა მხლებლებმა მოაკითხეს, რაღაც უთხრეს ქართულად და გაიცინეს, რაზედაც ტოტლებენს არაფერი უპასუხნია. ამილახვარი დროდადრო, ზრდილობის გულისათვის უახლოვდებოდა, ცდილობდა, გამოლაპარაკებოდა, საუბარი გაება, წუხდა, რომ გზა ასე ძნელად სავალი იყო, მაგრამ ყოველთვის სტუმრის პირქუშ დუმილს წააწყდებოდა ხოლმე და კვლავ ჩამოშორებასა და შორიახლო სიარულს არჩევდა.

ბოგირი რომ გადაიარეს, ტოტლებენმა ადიუტანტი მოიხმო და თავადი რატიევი დააძახებინა. მაიორს არ დაუყოვნებია, უმალვე გენერლის წინაშე გაჩნდა.

— გამიგეთ, კიდევ შორს არის ფასანაურის მინდორი?

— შეიძლება ითქვას, ჩვენ უკვე იქა ვართ, თქვენო მაღალაღმატებულებავ!..

— მერე? აკი ერეკლე აქა დგასო? რატომ არ გვხვდება?

— მე ამის თაობაზე უკვე ველაპარაკე თავად ამილახვარს...

— მერე? რაო? — გენერალმა ცხენი შეაყენა და უკვე მზად იყო, მთელი მრისხანება, გულში რომ ჩაგუბებოდა და ველარსად ატევდა, ხელქვეითი ოფიცრისათვის თავზე დაეტეხა.

რატიევმა იგრძნო მოახლოებული საშიშროება და ფრთხილად შეაპარა:

— თუ ნებას დამრთავთ, გავბრუნდები და ახლავე თავად ამილახვარს გაახლებთ!

— ხმა! კრინტი! მე ამილახვარი კი არა, თვით ერეკლე მინდა. გესმის თუ არა, რეგვენო?! ახლა არ ამბობდი, ამილახვარს უკვე ველაპარაკეო?

— დიახ, ველაპარაკე, თქვენო მაღალაღმატებულებავ...

— მერე? ხმა ამოიღე, რას იღეჭები!

— თქვენთვის კარავი მზად გახლავთ. ამაღამ მოისვენებთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— და ერეკლე იქ გვეახლება?

— დარბაზობა დილისთვის არის დანიშნული...

— წადი, დამეკარგე, თვალით არ დამენახო!

— მესმის, თქვენო მაღალაღმატებულებავ!.. — მათრახიანი ხელი რატიევმა ყვრიმალთან მიიტანა, ცხენს ნაბიჯი შეანელებინა და განრისხებულ სარდალს ჩამორჩა.

თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ ფოთლებშეყვითლებული ხეხილის ბაღები უკან ჩამოიტოვეს და არაგვის პირზე, კარტნებში, საგანგებოდ გამართულ ღამის გასათევ ადგილს მიადგნენ. ჯარის დასაბინავებლად ყველაფერი უკვე მზად იყო. აქა-იქ ბრიალა ცეცხლი ენთო. ცეცხლის გარშემო ჩოხის კალთებამოკეცილი და ხელებდაკაპიწებული სხვადასხვა ასაკის გლეხები ფუსფუსებდნენ. უმეტესობა წვერიანი იყო. ზოგს წვერი მოკლედ შეეკრიჭა, გრუზა თმაც მოკლედ დაეყენებინა. თავზე შავი ნაბდის ქუდები ეხურათ, ფეხზე კი ლაზლის ჭრელი პაჭიჭები და კოხტად ამოწკეპილი ქალამნები ეცვათ. დიდსა და პატარას პირზე ღიმილი დასთამაშებდა. ასე იფიქრებდი, ცა გახსნიათ და ნანატრი აღსრულებიათო. გულმოდგინედ გახეხილ სასოფლო ქვაბებში, ცეცხლზე რომ შემოედგათ, ქაფმორეული წყალი თუხთუხებდა. ახალუხისამარა პირტიტველა ბიჭები კოხტად გათლილ შამფურებზე სამწვადე ხორცს აგებდნენ და შესაწვავად ცეცხლისაკენ მიარბენინებდნენ. ჰაერში ერბოსა და ნაკვერცხლებზე დაღვენთებული ცვრის მადისმომგვრელი სუნი ტრიალებდა. გადაბელილი კარტნის ქვეშ, რკინისსალტეებიანი ხის კასრიდან თუნგებში წითელ ღვინოს იღებდნენ და სადღაც მიჰქონდათ. გზის ორივე მხარეზე ლარიბულად ჩაცმული ქალები და ბალღები გამოფენილიყვნენ, შორეული რუსეთიდან საქრისტიანო საქართველოს დასახსნელად მომავალ ჯარს თვალებგაბრწ-

ყინებული უყურებდნენ, პირჯვარს იწერდნენ, გალობდნენ და ლიტანიობდნენ.

— რატიევ! — მთელი ხმით დაიძახა გენერალმა ტოტლებენმა და ბავშვებისა და ქალების ბრბო, თანდათან გარს რომ ეხვეოდა და გაუგებარ ენაზე რაღაც ერთსა და იმავეს შეჰღაღადებდა, მათრახის ტარით გაარღვია. — რას ნიშნავს ეს ყველაფერი?

— ქართველები პურ-მარილითა და ლოცვა-კურთხევით გვხვდებიან, თქვენო მაღალაღმატებულებავ! ნუთუ ვერ ხედავთ! აგერ საეკლესიო დროშებიც გამოუტანიათ... აქ ასეთი წესია!

ტოტლებენმა ბოლომდე არც კი მოუსმინა, ცივად მოჰკვეთა:

— ჩვენ ჩვენი წესი გვაქვს!.. გადაეცით ჩემი სახელით თავად ამილახვარს, რომ ახლავე შეწყვიტოს ეს უწესოება და მიგვანიშნოს, სად შეიძლება კარვები დავცეთ და ჯარი გავაჩეროთ!

რატიევს ცეცხლი წაეკიდა, თავზარი დაეცა, მის გულში ათეული წლების წინ მინავლულმა გრძნობამ გაიღვიძა.

— ეგ რა ბრძანეთ, თქვენო მაღალაღმატებულებავ, ეგ როგორ შეიძლება! სუფრა უკვე გაშლილია. ჩვენს მოსვლას-ღა ელოდნენ...

— ბევრი განსჯა გყვარებიათ, მაიორო: მე მაგას ჩვეული არა ვარ. მიფრთხილდით! ახლა კი შეასრულეთ, რაც გიბრძანეთ! — და გენერალმა საუბარი დასრულებულად სცნო, ცხენს სადავე მიუშვა.

— მაშ, ჯარი არ ვავახშმოთ? ისე დავაძინოთ? ამ ხალხს რაღა პასუხი გავცეთ, წიხლი ვუკრათ გულით მოძღვნილ პურ-მარილზე? საიდან არ არიან მოსულნი, გაწყვიტეს, რაც კი რამ ებადათ! — უკვე ცხადი იყო, ზედმეტი ხვეწნითა და შეგონებით სარდალს სიტყვას ვერ შეაცვლევინებდა, მაგრამ რატიევმა თავი გამოიდო და მაინც შეჰბედა.

ტოტლებენი სანახევროდ მოუტრიალდა:

— ვინ არის თავადები, რომ ეგ თქვენი ვახშამი მოწამლული არ იქნება? ყოველი მეორე კაცი, თუ ყველა არა, აქ სულთნის მოგზავნილი მკვლელი და ჯაშუშია. იცით თქვენ ეს? ამილახვარი თავი რისთვის ავიტკივო? მე ჯარზე პასუხს ვაგებ მისი უდიდებულესობა ხელმწიფის წინაშე. სხვათაშორის, თქვენც, მაიორო!

რუსის იარაღი არ გვენდობა, ღალატს გვწამებს, დიდსა და პატარას ურჯულო თათრის მსტოვრებად გვნათლავსო, — ეს გულისმომწყვლელი ამბავი საიდანღაც დაიძრა, გავრცელდა, პირიდან პირზე გადავიდა. ბევრს არა სჯეროდა: ეგ როგორ შეიძლება, ღმერთო კი მომკალი, ქვეყნის საშველად მოსულ ერთმორწმუნე მოკეთეს პატიოსანი ძაღლიც არ შეუყეფს, თუ არა სად გაგონილა, ვინმემ რაიმე ზიანი მიაყენოსო, ნამდვილად ვიღაცა ულმერთომ ყელი გამოგვჭრა, იარაღს ჩვენი თავი უკუღმართად დაუხასიათა და ეგ მამაცხონებულიც ამდგარა და სხვის მონაჭორს იმეორებსო.

თვითონაც შეწუხებულ ოთარ ამილახვარს სოფლის მამასახლისები შემოეხვივნენ და მუხლმოდრეკილი შეევედრნენ, გავლენა გამოეყენებინა, უმიზეზოდ შემომწყრალი რუსის სარდალი როგორმე საამქვეყნოდ მოექცია. ამილახვარი ერთხანს ყოყმანობდა, ფეხს ითრევდა, მაგრამ სხვა გზა აღარა ჰქონდა, თარჯიმანი გვერდში ამოიყენა, ტოტლებენს კარავში ეახლა და ვითომც არაფერი სცოდნოდეს, ხალისიანად შეეკითხა:

— ვახშამს აქ ინებებთ, თქვენო მაღალაღმატებულებავ, თუ საერთო სუფრაზე გამობრძანდებით?

ტოტლებენმა პასუხი არ დააყოვნა.

— ნუ წუხდებით, თავადო, მე უკვე ვივახშმე, ხვალ დილამდე აღარაფერი დამჭირდება.

— ნება გვიბოძეთ შეგნიშნოთ, რომ ეგ ჩვენი სირცხვილია. თქვენ ჩვენს მიწაწყალზე ხართ და ჩვენი სტუმარი ბრძანდებით!

— მე სტუმრად არსად დავდივარ, თავადო, ხელმწიფის სამსახურში ვიმყოფები და აქ ჩემს მოვალეობას ვას

რულებ. უფრო მადლიერი დაგრჩებით, თუ ერეკლეს ხვალ დროით შემახვედრებთ, რომ ხვალვე ჩემს გზას ვეწიო.

— ჯარს მაინც დართეთ ნება, რომ მასპინძლობა მიიღოს. სხვა რომ არა იყოს რა, ამდენ სანოვაგეს წყალში ხომ არ გადავყრით?!

— პირადად თქვენი პასუხისმგებლობით და ერთის პირობით, — ტოტლებენი ბოლოს მაინც გატყდა და დასთმო. — დახარჯული სანოვაგის საფასურს ნაღდი ფულით გადავიხდით. არა მსურს, ვინმეს ვაფიქრებინო, რომ ჩვენ მძარცველები ვართ და საჭმლისა და ფურაჟის ფულს არ ვიხდით. ღმერთმა დაგვიფაროს! რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორი ჯერ აგრე არ გაღარიბებულა.

ოთარ ამილახვარს ტუჩებზე მწარე ღიმილმა გადაუარა, მხრები აიჩეჩა, გამომშვიდობების ნიშნად გენერალს თავი დაუკრა და გაწბილებული კარავიდან გამოვიდა.

მეფე ერეკლეს მესტუმრეები, თორმეტი ხელჯოხიანი ბერიკაცი, რუსთა ბანაკში დილის სრულ ათ საათზე მობრძანდნენ და გულდაგულ კორპუსის სარდლის კარავს მიაშურეს. ტოტლებენი ისე იყო განრისხებული, დანა პირს არ უხსნიდა. ის, როგორც სამხედრო სამსახურში დაბერებულ კაცს შეეფერებოდა, დილაბნელზე წამოდგა, ტანთ ჩაიცვა, ადიუტანტს მდინარიდან წყალი მოატანინა, დაიბანა, ცირიულნიკს წვერი გააპარსვინა, მოემზადა და კარავში წინ და უკან სიარული დაიწყო, ან ახლა მაცნობებენ ერეკლეს მოახლოებას ან ახლაო, მაგრამ რაც უფრო დრო გადიოდა და სასურველი ამბის შემტყობინებელი კი არავინ ჩანდა, მას მოუთმენლობა ეუფლებოდა და ეს მოუთმენლობა თანდათან ფარულ, სხვების წინაშე ძნელად გასამჟღავნებელ ძრწოლაში გადადიოდა. სრულ რვაზე თავადმა ამილახვარმა მოაკითხა. მას ხელმწიფის კარის მრჩეველი, წინადღეს გენერლისაგან შერისხული მოურავოვი, ქართლის მენაპირე თავადი ყაზბეგი და იმერეთის მეფის ელჩები ახლდნენ. ნეთუ ესენი ისევ აქ იყვნენ? თუმცა სად უნდა მოეხერხებინათ წასვლა, როცა გზა ყველას ერთადერთი ჰქონდა და ტოტლებენს იქით ნაბიჯის გადადგმაც არ შეეძლო! გადატანილი მღელვარებისაგან სარდალი ისე იყო მისავათებული, იმის ღონეც აღარ შესწევდა, ნავსი გაეტეხა, პატივმოყვარეობა დაეთრგუნა, უსიამოვნო ლაპარაკის გამო, მასა და მოურავოვს შორის იმერელი ელჩების თანდასწრებით სტეფანწმინდაში რომ შესდგა, მწუხარება გამოეთქვა და ხელმწიფის კარის მრჩეველთან მოსათმენი ურთიერთობის დამყარება ეცადა. დღეს ეს მით უფრო აუცილებელი ჩანდა, რომ მოურავოვს, რომელიც ხელმწიფის კარის განსაკუთრებული ნდობით იყო აღჭურვილი, დიდი უსიამოვნების მოყენება შეეძლო.

— იმედი გვაქვს, კარგად მოისვენეთ, — თქვა ოთარ ამილახვარმა და დაკვირვებული კაცი მის ხმაში დაცინვის სულ მცირეოდენ ფიორს შენიშნავდა. — თუმცა წუხელ ძალიან ციოდა. თქვენთან ბოდიში და, ფერდები შემოგვაყინა.

— მე ყოველთვის კარგად მძინავს, თავადო, — რიხიანად მიუგო გენერალმა. — სიცხეს და სიცივეს დიდი ხანია შეჩვეული ვარ. ჯარსაც ამ სულისკვეთებით ვწრთვნი!

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ჩემო ბატონო!

— უმჯობესია, ის გვითხრათ, როგორ არის საქმე, მეფე ერეკლე კიდევ დიდხანს გვალოდინებს?

ამილახვარს არ გამოჰპარვია, გუშინდელი „პრინცი“ ტოტლებენმა დღეს უკვე მეფედ რომ მოიხსენია, კმაყოფილმა ჯიბის უბეში ხელი ჩაიყო, ოქროსძეწკვიანი საათი ამოაცოცა და ხუფი ახადა.

— წუთი-წუთზე ველით მესტუმრეებს, თქვენო მაღალაღმატებულებავ, ახლა ვგონებ მალე უნდა ინებოს დაძახება.

მაგრამ ეს „წუთი-წუთი“ და „მალე“ მთელი ორი საათი გაგრძელდა. ამილახვარი, იმის შიშით, რომ ტოტლებენს ისევ საწყენად არ მიეღო, რისამე თქმას

ვეღარ ხედავდა. ტკბილი მასლაათის გუნებაზე არც სხვები იყვნენ. თვით ტოტლებენს ხელები უკან შემოეწყო და ყელს მოწოლილი ბოღმისაგან გაგუდული კარავში ბოლთას სცემდა. მესტუმრეებმა რომ მოაკითხეს, მოწიწებით თაყვანი სცეს და ერთ-ერთმა მათგანმა, სანდომიანი სახის თეთრწვერა ბერიკაცმა, ყველას მაგიერ მეფის ბანაკში მიიწვია, ტოტლებენი უნებლიეთ თავ ადელდა და აჩქარდა, აღარც კი მოაგონდა, მგზავრობაში მისრესილ-მოსრესილი, გვარიანად შელანძღული საყოველდღეო მუნდირი რომ ეცვა, აუდიენციის დადგენილი ეტიკეტი კი საპატიმოდ ჩაცმა-დახურვას მოითხოვდა.

მეფის ბანაკამდე მისვლას ორსაათნახევარი მოანდომეს. უავგუსტოეს იმპერატორ ეკატერინეს ქრისტესმოსავ მხედრობასთან შესახვედრად ერეკლე ექვსასი მსუბუქად შეიარაღებული ცხენოსნით გამობრძანებულიყო ტფილისიდან და ბანაკი ანანურთან, ზედ არაგვის პირზე დაეცა.

ტოტლებენს სუნთქვა შეუგუბდა, თვალები აუჭრელდა. ნანობდა, გარდა ორიოდე ოფიცრისა, ჯარი რომ არ იახლა და ამ უცხო ტომის ხალხს ასე წინდაუხედავად მიენდო. ღალატი ყოველ წამს მოსალოდნელი იყო. აღმოსავლეთში ხომ ისე არ შეუძლიათ, თუ ვინმეს მიპარვით ზურგში დანა არ ჩასცეს! თავს როგორღაც დაჩაგრულად და დაჩიავებულად გრძნობდა. მით უფრო მას შემდეგ, რაც ცხენიდან ჩამოქვეითება და გზის ფეხით განგრძობა შესთავაზეს. ერთი დაპირება ტოტლებენმა გაძალიანება დააპირა. რას მიქვია ცხენიდან ჩამოსვლა, მე, ხელმწიფე-იმპერატორის ნების აღმსრულებელი სახელგანთქმული სარდალი, ბერლინის გმირი, ვიღაცა ხიტირეკია შიკრიკი ხომ არა გგონივართ, მაგას რომ მიბედავთო, მაგრამ გულის სიღრმეში გაღვიძებულმა შინაგანმა წინააღმდეგობამ ამის ხმამაღლა გამხელის უფლება არ მისცა და ისიც იძულებული გახდა, მასპინძელთა მშვიდობიანი წინადადება უყოყმანოდ მიეღო.

ვიდრე თვით მეფეს მიაღწევდნენ, კიდევ ორჯერ თუ სამჯერ მოუხდათ შეჩერება. ბანაკის შეიარაღებულ მცველებს პასუხს ყველგან თავადი ამილახვარი აძლევდა სტუმრისათვის გაუგებარ ენაზე და ისინიც, საყოველთაო ცნობისმოყვარეობით გარემოსილნი, წინ მიიწევდნენ.

ტოტლებენს გული უცნაურად შეუქანდა, თითქოს სუნთქვა აღარ ჰყოფნიდა. ყოველივე, რაც გარეშემო გუშინ და დღეს ხდებოდა, ოდნავადაც არ მიაგავდა იმას, რაც აქ მოსვლამდე ჰქონდა წარმოდგენილი. უზარმაზარი სამხედრო ბანაკი, შიგ გამეფებული სანიმუშო მხედრული წესრიგი, ქართლ-კახეთის ტახტის ქვეშევრდომთა მოხდენილი ჩაცმულობა, დარბაისლური მიხვრა-მოხვრა და სიტყვა-პასუხი ბევრის მნახველ უცხოელ სარდალს ერთხელ კიდევ არწმუნებდა, რომ ერეკლე, რომლის სახელი პირველად რუსეთ-პრუსიის შვიდწლიანი ომის დროს გაიგონა, მართალია, მცირერიცხოვანი, მაგრამ ღირსებით, სიმამაცითა და გარეგნული მომხიბვლელობით შემკული ხალხის გვირგვინოსანი მბრძანებელი იყო. გენერლის ეს აზრი თუ გუმანი კიდევ უფრო თვალნათლივი გახდა, როდესაც ხელჯოხიანმა ქეშიკებმა ის მეფის დიდებული კარვის კარამდე მიაცილეს, აქ ერთხელ კიდევ თავი დაუკრეს, გულხელი დაიკრიფეს და კარის აქეთ და იქით ჩამწკრივდნენ.

ტოტლებენი წამით დაიბნა. აქამდე ბედს მინდობილივით მოაბიჯებდა, ახლა კი ერთბაშად ვეღარ მოისაზრა, რა უნდა მოემოქმედა, უცნობ, გაუგებარ და საშიშ ქვეყანაში რის გაკეთება მართებდა. ამ დროს დაინახა სწორედ მაღალ-მაღალი, შავ წვერ-ულვაშიანი, ქართულ კაბაში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც თავზე ძვირფასი ქვებით მოქარგული ხავერდის ქუდი ეხურა და სწორედ კარის წინ იდგა. ტოტლებენი მიხვდა, ეს რომელიღაც

ბატონიშვილი, ან მეფე ერეკლეს ყველაზე უფრო დაახლოებული მოხელე უნდა ყოფილიყო და შეუჩერებლივ, როგორც მონატრებულ ნათესავს, მიეჭრა, ორივე ხელი მაგრად მოხვია, გულზე მიიკრა და სამგზის გადაჰკოცნა.

გენერალმა მოგვიანებით შეიტყო, რომ ეს, კარვის კართან პირველი რომ გამოეგება, მართლაც მეფე ერეკლეს პირმშო, ტახტის მემკვიდრე გიორგი ბატონიშვილი იყო, მაგრამ მისი გადაკოცნა კი არასგზით არ ეგებოდა, ვინაიდან საქართველოში, უმცროს-უფროსობის წესით და რიგით, მამაკაცები მხოლოდ მხარზე, შუბლზე ან მკერდზე ემბორებოდნენ ერთმანეთს, კოცნა კი სასირცხვო საქმედ მიაჩნდათ.

მამა-პაპის მიერ ძველთაგანვე დადგენილი ჩვეულების შეუვალობა სტუმარს აშკარად აგრძნობინა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა და მცხეთის მთავარეპისკოპოსმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ანტონმა, რუსის გენერლის მოახლოებისას ბატონიშვილ გიორგის ზურგსუკან რომ იდგა და გველისთავიანი სამღვდელმთავრო კვერთხით თვალისმომჭრელად მოელვარე კარვის კალთას ეხებოდა. ანტონმა იგრძნო, ბატონიშვილ გიორგის შემდეგ ახლა ჩემი ჯერი დგებაო და საკოცნელად გულდაგულ წამოსული ტოტლებენი აწეული ჯვრით შეაჩერა, ჯვარზე სამგზის ამთხვევვინა, შემდეგ მიტრიალდა და სიტყვის უთქმელად კარავში პირველი შევიდა.

ძვირფასი სპარსული ხალიჩებით მოფარდაგებული კარავი შიგნიდან კიდევ უფრო ვრცელი და ბრწყინვალე აღმოჩნდა, ვიდრე კაცს გარედან ეჩვენებოდა. ესეც უთუოდ ნადირ-შაჰის ნაჩუქარი უნდა ყოფილიყო, ანდა აღმოსავლეთის რომელიმე შორეული ქვეყნიდან, ჩინეთიდან ან იაპონიიდან, ვაჭრებს საგანგებოდ ჩამოეტანათ.

ერეკლე, იმ სანდომიანი ბერიკაცივით თმა-წვერგათეთრებული და ტანმორჩილი, ტოტლებენი მეფის ბანაკში რომ მოიპატიჟა, კარვის უკანა ნაწილში იჯდა ტახტზე, ტანთ საზეიმო ძოწეული ეცვა, მკერდზე იმპერატორ ეკატერინეს მიერ ნაბოძები წმ. მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ორდენი უბრწყინავდა, მხრებზე გულისკოვზთან დამაგრებული შინდისფერი პორფირის მოსასხამი წამოესხა და სამღვდელო და საერო პირებით გარსშემორტყმული საპატიო სტუმრის შემობრძანებას ელოდებოდა.

გენერალმა რომ კარავში ფეხი შესდგა, ერეკლე, როგორც ტოტლებენი მოელოდა, ტახტიდან არ წამომდგარა, სტუმარს მხოლოდ მეგობრულად გაუღიმა, თავი მოწყალედ დაუკრა, ასაკთან შეფარდებით კარგად შენახული მსხვილი ქათქათა კბილები გამოაჩინა და მთელი შეხვედრის მანძილზე ეს თავისი ქათქათა კბილები აღარ დაუმალავს.

— მობრძანდით, — ქართულად თქვა გვირგვინოსანმა და სტუმარს თავისი ტახტის გვერდით დადგმულ ალუბლისფერი ხავერდის ცინცხალ სავარძელზე აჩვენა. — დაბრძანდით აგერ, თქვენო მაღალაღმატებულებავ, ჩვენს ახლოს!

— არა, მე დგომა მირჩევნია! — სემინარიის ახალგაზრდა ოსტატის პირით მკვახედ მიუგო ტოტლებენმა და დეზებიანი ფეხი ფეხს მიარტყა, კიდევ უფრო გაიჭიმა, როგორც ფელდმარშლების წინაშე სჩვეოდა.

— არ შეგედავებით, მაგრამ გაგიჭირდებათ, რამდენ ხანს შეიძლება ფეხზე იდგეთ!

— რამდენი ხანიც არ უნდა იყოს!..

— ნება თქვენია, — შეცბუნებულმა მეფემ მხრები ძლივს შესამჩნევად აიწურა, მაგრამ კეთილისმყოფელ ღიმილს პირიდან მაინც არ იშორებდა. — ახლა მოგვახსენეთ, როგორ იმგზავრეთ, ძალიან ხომ არ გაგიჭირდათ მთებზე გადმოსვლა? ვწუხვართ, დროზე ვერ შევიტყეთ, თუ მობრძანდებოდით და ვერაფრით დაგეხმარეთ.

ტოტლებენმა შუბლი შეიკრა.

— გაჭირვება რა სახსენებელია, ჩვენ უფრო ძნელად სავალი ადგილებიც გადაგვილახავს! დიდი რუსხელმწიფის ძლევა-

მოსილი მხედრობისათვის კავკასიის მთების გადმოლახვა, წლის რა დროც არ უნდა იყოს, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. რაც შეეხება თქვენგნით რაიმე დახმარებას, ახლა რომ ბრძანეთ, ეს მე თავად ამილახვარსაც ვუთხარი, ჩვენ არავითარ დახმარებას არ ვსაჭიროებთ!

— აგრეც ვფიქრობდით, — კვერი დაუკრა ერეკლემ. ის კვლავ თავაზიანად იღიმებოდა და ამით წონასწორობას აკარგვინებდა ტოტლებენს, რომელიც კარავში იმ განზრახვით შემოვიდა, რომ მეფე აუცილებლად მოენუსხა და თავისი ზრახვების აღმსრულებელ იარაღად ექცია. ერეკლე წინასწარ განზრახულად თვალს არიდებდა თავისიანებს, რომელთაგან ყველა, გარდა კოპებშეკრულ ანტონ კათალიკოსისა, უცნაურად გამხიარულებული იყო და თვალები საეშმაკოდ უბრწყინავდა. — კმაყოფილი ვართ, რომ ჩვენი იმედი არ გამტყუნდა.

შემდეგ მეფემ, დადგენილი წესისამებრ, უავგუსტოესი ხელმწიფე-იმპერატორი, ქართველთა ქვეყნების უანგარო მფარველი და დედა, ეკატერინე, და მისი მცირეწლოვანი ვაჟი, ტახტის მემკვიდრე პავლე მოიკითხა და როგორც კი გენერლის ორჭოფული, მიკიბულ-მოკიბული პასუხი მიიღო, სიტყვა უმალ ფრანციის დიდ განმანათლებელ ვოლტერზე გადაიტანა. ქართლ-კახეთის მეფის კარზე იცოდნენ, რომ ეს განთქმული მწიგნობარი და ფილოსოფოსი, განათლებული ქვეყნიერების აზრთა მპყრობელი, ერთხანს პრუსიის დიდი ხელმწიფის, ფრიდრიხის, კარზე ცხოვრობდა, ამჟამად კი მეგობრული მიწერ-მოწერა ჰქონდა რუსეთის იმპერატორ ეკატერინესთან და, როგორც საქმეში ჩახედული კაცები ამბობდნენ, რუსეთში ჩამოსვლასაც აპირებდა. ერეკლე და მთელი მისი ერი ერთობ ბედნიერად ჩათვლიდნენ თავს, თუ მისი მაღალაღმატებულება გენერალი ტოტლებენი შუამდგომლობას გასწევდა დიდებული ხელმწიფის წინაშე და სანატრელ სტუმარს შორეული საქართველოს გასაცნობად შეაგულიანებდა. ჩვენ ამ ვეცდებით, სირცხვილი არ გაჭამოთო, ღიმილით დასძინა ზემოთ თქმულს ერეკლემ.

გენერალმა თავისთვის რაღაც წაიბუტბუტა, წაიბუტბუტა ისე, რომ სათარგმნელად მომზადებულ თარჯიმანს სიტყვა პირზე შეაშრა, და ფეხი მოინაცვლა. ადვილი მისახვედრი იყო, რომ ყოველივე ეს, ახლა ქართველების მეფე რომ ელაპარაკებოდა, სრულიად უაზრო მიეთმოეთად მიაჩნდა, რომლის უკანაც რაღაც ფარული განზრახვა იმალებოდა. ტოტლებენს არც ვიღაც ვოლტერი გაეგონა და არც, რასაკვირველია, იმპერატორ ეკატერინესთან მისი მიწერ-მოწერის ამბავი იცოდა...

ერეკლემ ფეხის მონაცვლეობას თვალი შეასწრო, ამით ისარგებლა, დაბრძანება ერთხელ კიდევ შესთავაზა და თარჯიმანს უსიტყვოდ ანიშნა, სავარძელი ოდნავ წინ წაეწია, პირით მისკენ მოებრუნებინა. სავარძელს რამდენიმე კაცი ერთად მისცვივდა და იგი სწორედ ისე დადგეს, როგორც ბატონი ბრძანებდა.

ტოტლებენი დაჯდა და მაშინვე ფეხი ფეხზე გადაიდო.

— გეტყობათ, ჩქარობთ, — ღიმილით შენიშნა ერეკლემ. — ჩვენ კი გვგონია, რომ საჩქარო არაფერი უნდა იყოს. აქედან ტფილისში, ჩვენს სატახტო ქალაქში, გეპატიჟებით. იმედია, ხათრს არ გაგვიტეხთ. საქმეებზე, ალბათ, იქ მოვილაპარაკებთ...

— არავითარ შემთხვევაში! — შესძახა ტოტლებენმა და ძლივს მოიცადა, სანამ მის პასუხს ოსტატი თავის მეფეს უთარგმნიდა. — ჩვენ აქეთ-იქით საწოწიალოდ არა გვცალია! ხელმწიფემ განა ამისთვის გამოგვგზავნა, აქვე უნდა მოვილაპარაკოთ!

ერეკლემ ისევ დაყვავება ამჯობინა:

— ნება თქვენია. ჩვენ მხოლოდ ის გვსურდა, თქვენი მაღალაღმატებულებისადმი ჩვენი გულწრფელი პატივისცემა გამოგვეხატა.

— აქ ზედმეტი ხომ არავინ არის: შეგვიძლია, დავიწყოთ?

— ყველა შინაურია. ხელმწიფის საქმეთა რწმუნებული ჩვენს კარზე, გვარდიის კაპიტანი ლვოვი, ავად გაგვიხდა, მგზავრობა ვერ შეიძლო და წუხს, რომ მოლაპარაკებას ვერ დაესწრება. იქნებ თქვენ გნებავთ, ვინმე თქვენიანი მოიწვიოთ?

— არავინ!

— მაშ, შევუდგეთ. სტუმარი ბრძანდებით და პირველი სიტყვა თქვენ გეკუთვნით, — ერეკლემ ერთხელ კიდევ გაიღიმა და სასმენად მოემზადა.

თეთრ ჩოხებში გამოწყობილმა ყმაწვილმა ბიჭებმა ამ დროს კარავში ხილით თავმოდგმული წნული ლანგრები, ბროლის ჭიქები, ვერცხლის დანა-ჩანგალი და სტავრაგადაფარებული გლეხური სუფრა შემოიტანეს და მეფისა და გენერლის შორის ფრთხილად ჩადგეს.

— ეს რაღა საჭიროა, — უკმაყოფილოდ, თუმცა არა სათარგმნელად თქვა ტოტლებენმა და მძიმე სალაშქრო ჩექმებში გამოკრული ფეხები უკან დასწია, რათა სირცხვილისაგან ბიბილოებწამონთებულ ყმაწვილებისათვის სუფრის ჩადგმაში ხელი არ შეეშალა.

— მუხრანბატონის მამულიდან მოგვართვეს ქსანზე, — ტახტის საზურგეზე დანდობილად მიყრდნობილმა ერეკლემ წინ გადმოიწია, ლანგარს მისწვდა და დანამულ ქარვისფერ მტევანს ყუნწი შეაწყვიტა. — გასინჯეთ! ამისთანა საარაკო ყურძენს, თავის ქებაში ნუ ჩამოგვართმევთ, რუსეთში ვერ იგემებდით!..

— თქვენო ბრწყინვალებავ, — დაიწყო ტოტლებენმა ისე, რომ მეფის უკანასკნელი სიტყვებისათვის ყურადღება არ მიუქცევია და არც სუფრისათვის დაუხედავს. — ჰუსართა პოლკის ოფიცერი მაიორი რატიევი მოგახსენებდათ, აქ რისთვისაც ვართ!

— დიახ, მოგვახსენა, — ერეკლემ თავი დაუკრა, სუფრიდან სამკუთხად გაკეცილი გახამებული ხელსახოცი აიღო და დათაფლული წვენით ოდნავ სველი ტუჩები შეიწმინდა.

— მისი იმპერატორობითი უდიდებულესობისაგან ნაბრძანები გვაქვს, იმერეთში გადავიდეთ და ოსმალეთთან ომის მდგომარეობაში მყოფ პრინც სოლომონს დახმარება აღმოვუჩინოთ. დიდებული ხელმწიფე-იმპერატორის სახელით სამ მოთხოვნას ვაყენებთ. პირველი: მოგვცეთ გზა იმერეთისაკენ!..

— იმერეთის გვირგვინოსანი მეფე სოლომონი, — სიტყვა „გვირგვინოსანი“ ერეკლემ ტოტლებენისეული „პრინცის“ გასაბათილებლად იხმარა, — რომელმაც თავისი საკუთარი ჯარებით არა ერთჯერ და ორჯერ სძლია აგარიანს და მთელ საქართველოში უებრო ვაჟკაცისა და გმირის სახელი მოიხვეჭა, ჩვენი მოძმე და მეგობარია. ერთმანეთთან საძმო ფიცით ვართ შეკრული და ამ ფიცს არც არასოდეს ვუღალატებთ. ჩვენი მეგობარი და მფარველია აგრეთვე უავგუსტოესი ხელმწიფე-იმპერატორი ეკატერინე. იმერეთის მეფის დასახმარებლად მიმავალ რუსხელმწიფის ჯარს ქართლ-კახელნი გზას არ დავუკავებთ, თუმცა გთხოვთ ანგარიში გაუწიოთ იმ გარემოებასაც, რომ ჩვენ სულთანთან კეთილმეზობლური ურთიერთობა გვაქვს.

— გვიტოვებს თუ არა ეგ უკანასკნელი განცხადება იმედს, რომ ამ ომში, რომელიც უკვე გამოაცხადა და დაიწყო კიდეც რუსეთმა ოტომანთა იმპერიის წინააღმდეგ, ჩვენს გვერდით იქნებით? პატივი გვაქვს გაცნობოთ, რომ საექსპედიციო კორპუსი, რომლის სარდლობაც უზენაესი ბრძანებულებით თქვენს მონა-მორჩილს მოენდო, ქართველთა ქვეყნებში სწორედ ამ მიზნით ჩამოვიდა. ხელმწიფე დარწმუნებულია, რომ თქვენ გამოსვლას არ დააყოვნებთ და ჩვენი მეორე მოთხოვნაც სწორედ ეს გახლავთ!

— თქვენო მაღალაღმატებულებავ, ბატონო იარანალო, გამოგიტყდებით, ცოტა არ იყოს უხერხულ მდგომარეობაში გვაყენებთ, რადგან ეს საკითხი, ახლა რომ დასვით, რთული საკითხია და ვიდრე საბოლოოდ გადავწყვეტდეთ,

მისი ყოველმხრივ აწონ-დაწონვა დაგვჭირდება.

— ბევრი ფიქრისა და ყოყმანის დრო, იცოდეთ, არა გვაქვს. ომი, როგორც მოგახსენეთ, უკვე დაწყებულია! თუ გადაჭრილ პასუხს მომცემთ, რომ საომრად აღდგებით, სხვა პასუხი სანქტ-პეტერბურგს ვერ წარმოუდგენია, მაშინ ჩვენ იმერეთში გადასვლისთანავე ავძრავთ სოლომონს და შეერთებული ძალით სამივე ახალციხის საფაშოს ვეკვეთებით!

ერეკლე დაფიქრდა, ჯიბიდან კრიალოსანი ამოიღო და მარცვლა დაუწყო.

— არა მგონია, საკმაო ჯარი და არტილერია გვყავდეს, თქვენო მაღალაღმატებულებავ. გამოცდილი მხედართმთავარი ბრძანდებით, ღვთის განგებით თვით დიდი ფრიდრიხის წინააღმდეგ გიომიათ და სხვებზე უკეთ უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ გამარჯვების მისაღწევად მარტო ომის გამოცხადება არ კმარა.

— მადლობა უფალს, აქ მარტო მე ვარ და ჩვენს საუბარს არ ესწრება ხელმწიფის კარის რომელიმე ინტრიგანი, — ტოტლებენმა, რასაკვირველია, თავადი მოურავოვი იგულისხმა, რომლის გასანაპირებლადაც, რათა ის მოლაპარაკებას არ დასწრებოდა, წინასწარ ყველაფერი გააკეთა, — დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მაგ თქვენი ყოყმანის ამბავს იმპერატრიცას ყურამდე სულ უმოკლეს დროში მიიტანდა!

ერეკლე პარტნიორის მიერ შემოთავაზებულ მსუბუქ ტონს არ აჰყვა, კვლავ დაფიქრებულმა განაგრძო:

— ეს ყოყმანი სულაც არ გახლავთ, თქვენო მაღალაღმატებულებავ, ადვილად ასახსნელი სიფრთხილეა. თუ ოსმალეთთან ომს დავიწყებთ, ისიც იმ დროს, როდესაც ჩვენსა და სულთანს შორის ყველაზე საუკეთესო ურთიერთობა სუფევს, ქართლ-კახეთს უკან დასახევი გზა არ რჩება. ან უნდა გავიმარჯვოთ, ჩვენს სამეფოს შემოვუმტკიცოთ უკანასკნელი სამასი წლის განმავლობაში დაკარგული ყმა-მამული, ანდა ყველა უნდა შევეწიროთ, ისიც დავკარგოთ, რაც სადღეისოდ შეგვრჩა.

ტოტლებენმა თარჯიმანს მოუსმინა, მაგრამ პასუხი უკვე მზად ჰქონდა და ის აღარ შეუცვლია:

— მე გადაჭრილ სიტყვას მოვითხოვ, თქვენო ბრწყინვალებავ. გადაწყვიტეთ, ან ასე, ან ისე!

— მაშ, რაკი-ღა აგრეა და კედელთან გვაყენებთ, — ერეკლემ ისევ გაიღიმა და ყურები სწორედ იმ პირტიტველა ყმაწვილებივით წამოუხურდა, წელან ხილი და სტავრაგადაფარებული სუფრა რომ შემოიტანეს, — უდიერობაში ნუ ჩაგვითვლით და, გვიბოძეთ რწმუნების სიგელი. ჩვენს მხარეს სურს იცოდეს, ვისი სახელით გველაპარაკებით, პირადად თქვენი მაღალაღმატებულების თუ მისი უდიდებულესობა ხელმწიფე-იმპერატორის სახელით!

ტოტლებენს ელდა ეცა. დასცხა. შუბლზე ოფლის მსხვილ-მსხვილმა წვეთებმა გამოჟონა. ეს დღე მაშინაც არ დასდგომია, მაბეზღარებისა და სასახლის ინტრიგანების წყალობით სენატის კომისიის წინაშე რომ წააყენეს და პირველად გამოუცხადეს, ბრალი რაშიაც ედებოდა. სარდალს არავითარი რწმუნების სიგელი არა ჰქონდა. არც კანცლერ პოტიომკინს, არც გრაფ ნიკიტა პანინს და არც, რასაკვირველია, თვით იმპერატრიცა ეკატერინეს, აზრადაც არ დაჰბადებიათ, გენერალ ტოტლებენისათვის ასეთი შინაარსის სიგელი მიეცათ. ეგ კი არა, საქმე რომ საქმეზე მიმდგარიყო, იმასაც კი ვერაფრით დაამტკიცებდა, რომ საექსპედიციო კორპუსის სარდლობა სწორედ მას მიენდო. ამის გამჟღავნება ერთბაშად გააცამტვერებდა მას როგორც თვით ერეკლეს, ისე ქართლ-კახელი დიდებულების თვალში და მაშინ კი წინასწარ მოფიქრებულ ყველა განზრახვის შესრულებაზე უარი უნდა ეთქვა და ერთხელ კიდევ თავლაფდასხმული და შერცხვენილი უკან გაბრუნებულიყო. აბა, მერე უნდა გენახათ, რა დღეს დააწევდა ხელმწიფის კარის მრჩეველი თავადი მოურავოვი,

რა ფასს დასდებდა ყოველ სიტყვას, სტეფანწმინდაში უცხო ქვეყნის ელჩების თანდასწრებით რომ ჰკადრა, და საძულველ მტერს სამარეს რა უაღრესი სიამოვნებით გაუთხრიდა!

— თავის დროზე ყველაფერი იქნება, თქვენო ბრწყინვალებავ, — ტოტლებენმა მაინც შესძლო გარეგნული სიმშვიდე დაეცვა და, ამავე დროს, მეფისათვის ეგრძნობინებინა, რომ მისი უკანასკნელი მოთხოვნით, როგორც პიროვნება, შეურაცხყოფილი იყო. — მთავარია, ჩვენ შეთანხმებას მივაღწიოთ, ოსმალეთს იქ ვეკვეთოთ, სადაც ყველაზე ნაკლებ ელის და ამის შესახებ მის უდიდებულესობა იმპერატრიცას ვაცნობოთ!

ერეკლე ყველაფერს მიხვდა, მიხვდნენ სხვებიც, რომ ამპარტავანი „რუსის იარანალი" თავის თავზე ბევრად მეტს იღებდა, ვიდრე უნდა აეღო, მაგრამ არც მისი განაწყენება და მომდურება ივარგებდა და ამიტომ რწმუნების სიგელის ხელახლა მოთხოვნის მაგიერ მხოლოდ ეს უთხრა:

— ჩვენ სწორედ აგრე ვვარაუდობთ, თქვენო მაღალამატებულებავ, რომ თავის დროზე ყველაფერი იქნება. ჯერ წაბრძანდით იმერეთს, საითაც გზა გიდევთ, შეხვდით მეფე სოლომონს, თვალი გადაავლეთ იქაურ მდგომარეობას და ვგონებ საქმისათვის უმჯობესი აღმოჩნდეს, თუ მოლაპარაკებას მეფე სოლომონთან ერთად გავაგრძელებთ. ამასობაში ქართლ-კახელნიც მივიხედ-მოვიხედავთ, ზარბაზნებს ჩამოვასხამთ, ნუზლსა და იარაღ-საჭურველს მოვიმარაგებთ, მსტოვრებს დავგზავნით, შევიტყობთ, რა ხდება საფაშოში და იმას იქით. გულახდილად რომ მოგახსენოთ, ომისათვის მზად ჯერჯერობით არც თქვენ ბრძანდებით...

ტოტლებენმა იუცხოვა, მეფის ეს სიტყვები კიდევ ერთ პირად შეურაცხყოფად მიიღო.

— როგორ გეკადრებათ, თქვენო ბრწყინვალებავ, ბრძოლაში თუნდაც დღესვე ჩავებმებით!..

— თუ საიდუმლოდ არ ინახავთ, გვიბრძანეთ, სულ რამდენი კაცი გყავთ?

გენერალს თვალიც არ დაუხამხამებია, ისე უპასუხა:

— რვაასი ქვეითი კაზაკი, პლასტუნებს ვეძახით, ათას ხუთასი დრაგუნი, ორი ათასი ჰუსარი და არტილერია, ალალს აღარ ვთვლით...

— ესე იგი მთლად რამდენი კაცი იყრის თავს?

— მოყინულებთან და ავადმყოფებთან ერთად სამი ათას ხუთასი, თქვენო ბრწყინვალებავ!..

— კარგი დაგემართოთ, ურიგო როდია, მაგრამ მე კი მომახსენეს, რომ სულ ხუთასი კაცი გყავთ. პლასტუნიც ეს არის, დრაგუნიც, ჰუსარიც და თოფჩიც. ამას გარდა, ოთხად ოთხი საველე ზარბაზანი „მარტორქა" გახლავთ. სანდო კაცებს შევამოწმებინეთ და თქვენი გამოგზავნილი ოფიცრის მიერ მოწოდებული ცნობა სწორი გამოდგა.

ტოტლებენი გაფიცხდა, მსხვილი ტუჩები შეუთრთოლდა, სახეზე მიწისფერმა გადაჰკრა, მაიორ რატიევს, ალბათ, კბილით დაგლეჯდა, სადმე ახლოს რომ ჰყოლოდა.

— მე მგონი, მე უფრო უნდა დამიჯეროთ, ვიდრე ვიღაც ოფიცერს!

— ჩვენ არავისაც არ ვუჯერებთ, თქვენო მაღალამატებულებავ, თვალები გვაქვს და ათასამდე დათვლაც შეგვიძლია. თუ არ მიწყენთ, ნება მიბოძეთ გკითხოთ, სად არის დანარჩენი ჯარი?

— დანარჩენი ჯარი გზაშია! — ვინ იცის, ეს მერამდენედ გაწბილებულმა და ხელმოცარულმა ტოტლებენმა თანამოსაუბრეს თვალი მოარიდა, განზე გაიხედა.

ერეკლემ ისევ დაუყვავა. ყოველ ღონეს ხმარობდა, უნებლიე შეკამათება, გენერლის აშკარა თვალთმაქცობამ რომ გამოიწვია, ჩხუბად არ გადაქცეულიყო.

— მერე არ დავიცადოთ, სანამ ის ჩვენს ქვეყანაში შემოვიდოდეს და გვერდში ამოგვიდგებოდეს? მაგრამ ვაითუ

ჯერ კიდევ სადღაც დგას და ადგილიდანაც არ დაძრულა?

ტოტლებენმა სახე მოაბრუნა, მაგრამ თვალები არ აუწევია.

— პატიოსნებას გეფიცებით, რომ ჯარი გზაშია და მალე აქ იქნება. ნუთუ თქვენთვის საკმარისი არ არის ჩემი პატიოსანი სიტყვა?

— პატიოსანი სიტყვით, ვისიც არ უნდა იყოს, თქვენო მაღალაღმატებულებავ, ოსმალოს ვერ დავამარცხებთ. ჩვენ პატიოსანი სიტყვა კი არა, ჯარი და ზარბაზნები გვჭირდება, რომლებიც, საწუხაროდ, არა გვაქვს. განა დიდი რუსეთი კი თადარიგის გაუწევლად ჩაება ომში? რამდენი წელიწადია, რაც ცათა სწორი ხელმწიფე ურჯულო სულთანთან საომრად ემზადება!

— ყაბულს ვარ, ჯერ იმერეთს წავიდე და თქვენ მომზადების დრო მოგცეთ! — შეატყო, მისაღწევი ასეთუ ისე უკვე მიღწეული იყო, ქართლ-კახეთის მეფე ოსმალეთის წინააღმდეგ გამოსვლაზე გადაჭრილ უარს არ ამბობდა, რაც ხელმწიფის კარზე უიმედო საქმედ მიაჩნდათ, და უცებ დაეთანხმა ტოტლებენი.

— მაგრამ თქვენ იქ ნუზლისა და ტყვია-წამლის მარაგის შევსება დაგჭირდებათ! — შეახსენა აქამდე წამოუყენებელი მესამე მოთხოვნა ერეკლემ.

— დიახ, დაგვჭირდება! — კვერი დაუკრა ტოტლებენმა.

— ინებეთ, რაც და რამდენიც გნებავთ. სირცხვილით სად გავამხილოთ, სალდათს რომ მოგვიშივდეს. გორის მოურავს, თავად ოთარ ამილახვარს, — ერეკლემ იმ მხარეს გაიხედა, სადაც ამილახვარი ეგულებოდა და მანაც ამის საპასუხოდ, ნიშნად მორჩილებისა, მარჯვენა ხელი მკერდზე მიიდო და თავი მდაბლად დახარა, — ჩვენგან ნაბრძანები აქვს, ყველაფრით მოგამარაგოთ. ხორბალი, ღვინო და საკლავი, სახსნილო და სამარხვო, იმდენი იქნება, რამდენსაც დაიჭირვებთ!..

გენერალი ტოტლებენი, ეს იმედიანი დაპირება რომ მოისმინა, მცირედ დაფიქრდა.

— ჯერ ფასებზე მოვრიგდეთ!

ქართლ-კახელ დიდებულებს, თავიანთ მწყალობელ მეფეს თავს რომ ადგნენ, ღიმილი მოერიათ, გაეღიმა თვით ერეკლესაც, ოღონდ ეს ღიმილი ახლა ყოვლად უწყინარი, მართლაც მეგობრული ღიმილი იყო.

— ეგ სად გაგონილა, თქვენო მაღალაღმატებულებავ, განა დუქანია, სტუმარს ლუკმა დავუთვალოთ და დანახარჯი ვუანგარიშოთ! ათადამ-ბაბადამ მოყვრის პატივისცემა მოგვდგამს. თქვენზე უკეთესი მოყვარე აბა ვინ-ღა უნდა მოგვივიდეს! აგრე არ არის, ბატონებო?

— მაშ, როგორ!.. — გაბედეს და ხმა დააწიეს დიდებულებმა.

— აქ გასაყიდი არაფერი გვაქვს, თქვენო მაღალაღმატებულებავ, — ერეკლე ისევ სარდალს მიუბრუნდა, — თუკი რამე ღვთისაგან ბოძებული მოგვეპოვება, ზოგი ჩვენ და ზოგი თქვენ, ამაზე არ წავიჩხუბებით. სამაგიეროდ პატივისცემა თქვენზე იყოს, როცა რუსეთში გესტუმრებით!..

ტოტლებენმა მეფის ხუმრობა ზედმეტ გაშინაურებად, თითქმის ფამილარობად მიიღო და პირქუშად განაცხადა:

— მაშინ ჩვენ უარს ვამბობთ დახმარების მიღებაზე, ვინაიდან, წელანაც მოგახსენებდით, სხვისი დასახმარებელი არაფერი გვიჭირს!

ერეკლე აილეწა, ამგვარ უხიაკ პასუხს უკვე აღარ მოელოდა.

— ნება თქვენია, მაგრამ ღვთისა და კაცის წინაშე გაფრთხილებთ: იმერეთში ვერაფერს იშოვნით. ქვეყანა გაღატაკებული და მოთხრილია ურჯულოების შემოსევებისაგან. დიდი ხანი არ არის, რაც სამ წელიწადს ტყეში გახიზნულმა სოლომონმა ტახტი დაიბრუნა. კაპიკს კაპიკზე ადებს, რომ წაქცეული ქვეყანა ისევ ფეხზე წამოაყენოს და ურჯულო მტრის ახალი შემოსევების მოგერიება ავად თუ კარგად კიდევ შეიძლოს. როგორ ფიქრობთ, შესწევს

თქვენი მხედრობის მიღებისა და შენახვის უნარი? იძულებული გახდებით, ძალადობას მიმართოთ და ხალხს უკანასკნელი ლუკმა გამოგლიჯოთ პირიდან. მაშინ ურჯულოსაგან რით-ღა უნდა განვსხვავდეთ? ამგვარ მეგობრობას და ჭირში თანადგომას, თქვენ ნუ მომიკვდებით, ვერავინ მოგვიწონებს!..

ტოტლებენმა აცალა, სანამ თარჯიმანი მეფის სიტყვას ბოლომდე თარგმნიდა, შემდეგ მოულოდნელად წამოდგა და ერეკლეს თავი დაუკრა.

— ეს რას ნიშნავს? — ჰკითხა გულწრფელად შეწუხებულმა მეფემ, — უკვე წაბრძანება განიზრახეთ?

— დიახ, — მოსჭრა გენერალმა, — ისედაც ბევრი დრო დაგვეკარგა!

— ჩვენ ხომ აქედან ტფილისში უნდა წავსულიყავით, ორი-სამი დღე, სანამ იმერეთში თქვენს გასასტუმრებლად სამზადისს გავწევდით, სასახლეში შეგვესვენა. იმერეთი ახლო არ გეგონოთ. აქედან სამი-ოთხი დღის სავალია. სურამის ქედზე დიდი თოვლი დევს. გზაში ხარ-ურმის მოშველება დაგჭირდებათ. თქვენი მაღალაღმატებულების ნებართვით აქედან ჩვენს ხალხს გაგაყოლებდით, მეგზურობასაც გაგიწევდნენ და მეფე სოლომონთანაც წარგადგენდნენ...

— ჩვენ თავად წარვდგებით! ტყეტყე მოწანწალე მეფეებთან ვის რა წარდგენა სჭირდება!..

უკანასკნელი სიტყვების წარმოთქმისას ტოტლებენმა ერთხელ კიდევ დაუკრა ერეკლეს თავი, დიდებულებსა და სამღვდელო პირთ მზერა მოავლო, ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილ გიორგის, აქ შემოსვლისას ახლო ნათესავივით გულში რომ ჩაიკრა და სამგზის გადაჰკოცნა, შეთქმულივით თვალი ჩაუკრა, მიტრიალდა და კარვიდან მხედრული ნაბიჯით გავიდა.

## თავი ოცდამერვე

მარიამ დედოფლის სამცხეში გამგზავრების მესამე დღეს გელათის მონასტრის კარიბჭეს ერთი უბრალო გლეხურ ჩოხაში გამოწყობილი, ჩაბალახით სანახევროდ პირახვეული მხედარი მიადგა, გენათელი მიტროპოლიტი ბატონიშვილი იოსები მოიკითხა და მასთან შეშვება ითხოვა. ამ უცხო კაცისა ბერებს არც ჩაცმულობა მოეწონათ, არც ცხენის ალკაზმულობა, არც ის, რომ პირს სანახევროდ ჩაბალახით იფარავდა და კარიბჭე არ გაუღეს, მონასტრის გალავანში არ შემოუშვეს.

— მაინც ვინა ხარ, ძმობილო, კაი სული არ უნდა იყო, რა გინდა, ხომ უნდა მოვახსენოთ მის მეუფებას, ვინ კითხულობს და რა საქმის გულისათვის!..

მხედარმა არც ახლა გაამჟღავნა ვინაობა, არც მოსვლის მიზანი გაამხილა, ცხენიდან ჩამოხდა და სადავე ერთერთ ბერს მიაჩეჩა.

— ღვთის სახლში შესვლას მიკრძალავთ? როდის აქეთ ხდება, რომ მორწმუნეებს კარიბჭეში აჩერებენ და სალოცავად მონასტერში არ უშვებენ?!

მოსულმა ეს სიტყვები ისე გულითა და მბრძანებლური კილოთი თქვა, ცხენიდან ისე ზვიადად ჩამოქვეითდა, ბერებს ალღომ უკარნახა, რომ საქმე უბრალო კაცთან არა ჰქონდათ და ძალაუნებურად ხმა გაიკმინდეს, მხედარს გზა დაუცალეს. უცნობი არ შეჩერებულა, არც მადლობა უთქვამს, პირდაპირ ტაძარს მიაშურა, ჩაბალახი მოიხადა, შიგ შევიდა და მბჟუტავი სანთლებით განათებული საკურთხევლის წინაშე მუხლი მოიყარა.

ბატონიშვილ იოსებს იმწამსვე აცნობეს, რომ ვიღაც კაცი კითხულობდა,

აუწერეს მისი გარეგნობა და უცნაური საქციელი, მოუბოდიშეს, იმისთანა რამე გვითხრა, კარიბჭეში ვეღარ შევაჩერეთ და ახლა ტაძარშია, ლოცულობსო.

იოსები გადამწერ ბერებსა და მორჩილებს ადგა თავზე აკადემიის დიდ დარბაზში, გადასაწერ ნუსხას ასწორებდა. ვიღაცის მოსვლის ამბავი რომ აუწყეს, მან საქმეს თავი მაშინვე მიანება, ნუსხა გადაშლილი დასტოვა, კუნკული დაიხურა, შავ ანაფორაში ხელი გაუყარა და ბერებს გაჰყვა.

უცნობი ჩოხიანი მხედარი იმავე მდგომარეობაში დაუხვდათ. იგი გულმხურვალედ ლოცულობდა და ორივე მუხლზე დაჩოქილი ტაძრის ქვის იატაკს დროდადრო შუბლით ეხებოდა. მლოცველი ვერავის და ვერაფერს ამჩნევდა და მიტროპოლიტი იოსებიც, რომელმაც ცნობისმოყვარე ბერები კართანვე ჩამოიტოვა და ტაძარში მარტოდმარტო შევიდა, თავზე ისე წაადგა, მისი ფეხისხმა და მიახლოება არც კი გაუგია.

— სოლომონ, ძმაო! — შესძახა უცებ მღვდელმთავარმა და მისი მოგუდული ხმა ტაძრის მაღალმა თაღებმა გაიმეორეს. — აქ რამ მოგიყვანა ამ დროს? ამალა რა უყავი? ეს რა გაცვია?

— სს! — ტუჩებზე ხელი მიაფარა ჩოხიანმა და ადგა, — განა ასე იმიტომ მოვედი, რომ ჩემი მოსვლა ქვეყანას გააგებინო!

— რა ამბავია ჩვენს თავს? შენი ეს საქციელი რას მივაწეროთ? მტერი ხომ არ დაგვეცა? ახალციხიდან გლახას ხომ არაფერს იტყობინებიან?

— ჯერჯერობით მშვიდობაა, იესე, მარიამი ფაშას პატივით მიუღია, მხოლოდ უწმინდესი კათალიკოსის მოსვლა თქვეს...

— ბესარიონის? — ცვილისფრად გაფითრებული ხელით ბატონიშვილმა პირჯვარი გადაიწერა, — მერე სად ბრძანდება?

— როგორ ფიქრობ, იმერეთში მოსვლას გაბედავდა? კაციას ხლებია ოდიშს...

— ჰო, ბრძანე ბარემ ბოლომდე, რაც იცი, რაღას მაჯახირებ!

— რაღა უნდა ვბრძანო, იესე, ცოლისძმამ საბოლოოდ იბრუნა პირი ჩემგან. არც დას მოერიდა, არც მოყვრობას...

— ახალია რამე?

— ახალი ის გახლავს, საეკლესიო განხეთქილების გზას დაადგა, რაც აქამდე არავის უნებებია, კათალიკოსის კათედრა დააწესა, მრევლი მოგვწყვიტა, გუშინ ბესარიონი სამეგრელოს კათალიკოსად აკურთხეს!..

— ღმერთო, ნუ გადამრევ, — იოსებს თვალები დაუმრგვალდა, ხელები გაასავსავა, — შეუძლებელია! ყველაფერს ვიფიქრებდი, ამას კი...

— გახსოვს ჩვენი საუბარი, ლაშხეთიდან რომ მოვბრუნდი და შენ მოწამეთაში მეწვიე?

— მახსოვს, როგორ არა, რა დამავიწყებს!

— გახსოვს, რა გითხარი მაშინ? ხომ ვამბობდი, ბესარიონის ნდობა კარებამდე არ შეიძლება-თქვა. შენ კიდევაც შემომწყერი, გამებუტე, ვახშმადაც აღარ დარჩი, ბნელი ღამე მოიმიზეზე. ხომ აღსრულდა ჩემი წინასწარმეტყველება!

— რა ვიცოდი! დედაო ღვთისავ, ეს რა დღეს შეგვასწარი, ეს რა საფიქრალი და თავსატეხი გაგვიჩინე! რას ფიქრობ ახლა, როგორია შენი გადაწყვეტილება?

— შენ რას მირჩევ?

— უნდა შევაჩვენოთ, უნდა მოიკვეთოს ეკლესიისაგან, როგორც ტახტის მოღალატე და ეშმაკთან წილნაყარი!

— ბედნიერი ვარ, რომ შენი პირიდან ეს სიტყვები მესმის, იესე. ეკლესიას უწინამძღვროდ ვერ დავტოვებთ. ეს აქამდეც უნდა გვექნა, მაგრამ ჯერ კიდევ თავს ვიკავებდი, რაღაცა იმედი კიდევ მქონდა. ლიხთიმერ-აფხაზეთის ეკლესიის საჭეთმპყრობლობა ბატონიშვილობითა და ქრისტეს ჯვრის უანგარო სამსახურით შენ გეკუთვნის. ერი-

სა და პირადად ჩემი სახელით გთხოვ, ეს მძიმე საქმე იტვირთო!..

— ჩემზე უფრო ღირსეულსა და სარწმუნოებისათვის მეტად გარჯილს ნუთუ ვერავის ხედავ?

— ვიცი, მაქსიმე ქუთათელს გულისხმობ, მართლაც ერთგულად გვემსახურა და ახლაც ერთგულად გვემსახურება, მაგრამ მომიტევე, თუ ამჯერად ვერ დაგიჯერებ. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა, მაღალი ღმერთის გარდა მას ვეღარავინ შესცვლის! ეკლესიის საქე ჩვენს ხელთ უნდა იქნეს. საერო და სასულიერო ხელისუფლებამ, როგორც სულმნათმა დავით აღმაშენებელმა გვიანდერძა, თავი ერთ მტკიცე ხელში უნდა მოიყაროს. როდესაც ეს ასე არ იყო, საქმე ყოველთვის უკუღმა მიდიოდა. შენზე უფრო ერთგული და მისანდო მე სხვა არავინ მეგულება!

— მარტო მე და შენ ნუ ვიღებთ თავს მაგას, სოლომონ, ნუ ვიხარბებთ, სხვებსაც დავეკითხოთ, საეკლესიო კრებამ იქნებ სხვა პირი წამოაყენოს.

— სანამ საეკლესიო კრებას მოვიწვევდეთ და ფიქრს ხორცს შევასხამდეთ, ჯერ ერთი საჭირბოროტო საქმეა მოსაგვარებელი და დღეს აქ სწორედ ამ საქმემ მომიყვანა!

— რა საქმეა აგრე საჩქარო?

— როსტომ ერისთავთან უნდა მიმეგზავნო შუამავლად და ჩვენს შორის საუკუნო ზავი ჩამოაგდო!

— ეგ ურიგო საქმე არ არის, ძმაო, დიდაც გვმართებს, ქვეშევრდომები თვინიერ მორჩილებაში ვიყოლიოთ, ჩვენი შიში და რიდი ჩავუნერგოთ, მაგრამ მას შემდეგ, რაც როსტომს შენ შეწყალების სიგელი გაუგზავნე და ერისთავად და ლიხთიმერეთის სარდლად ხელახლა დაამტკიცე, ღირს კიდევ თავის დამდაბლება და შუაკაცად ჩემი მიგზავნა? ერთ კვირაზე მეტია, შენგნით დაიმედებული როსტომი შინ, ბარაკონზე დაბრუნდა და ახლა ჩვენს მიერ გაფუჭებულ სახლ-კარს დასტრიალებს.

— ვიცი. მე ყველაფერი დაწვრილებით შემატყობინეს ჩემმა კაცებმა, — სოლომონმა სწორედ სიტყვა „კაცებმ“ იხმარა, არა თქვა „მსტოვრებმა“, — თუ ოდესმე შენი ხელისშეწყობა დამჭირვებია, ახლა მჭირდება და გაწბილებას სიკვდილი მიჯობს!

— მართალი მოგახსენო, ხეირიანად კი ვერ მივმხვდარვარ, რას მეხვეწები.

— კიდევაც გეხვეწები და კიდევაც გიბრძანებ, როგორც ძმასა და ქვეშევრდომს, ოღონდ ჩემი თხოვნა საიდუმლოდ უნდა დარჩეს და კაციშვილმა ვერ უნდა შეიტყოს, თუ მე დღეს აქ ვიყავი!

— მაინც ვერაფერი გამიგია. მაგ შენმა სიტყვებმა, შენს თავს ვფიცავ, მე სულ დამაბნია!..

— როსტომ ერისთავი და მისი ვაჟები აქ უნდა ჩამომგვარო და რაც უფრო მალე იზამ ამას, მით უფრო უმჯობესი იქნება!

იოსები აიფოფრა, აილეწა, სახეზე ალმური აუვიდა.

— რაო? ეგ რა თქვი, სოლომონ, ეგ რა სიტყვები ამოგივიდა პირიდან! გულში ღალატი გიდევს და გინდა, მეც ცოდვაში გამხვიო? ტყუილად მთხოვ! შეგიძლია, განკარგულება გასცე და შენს მხლებელ ქეშიკებს, სადღაც ამ კედლებს გარეთ რომ გიცდიან და ქურდებივით იმალებიან, ჩემი თავი შეაპყრობინო, რათა შემდეგ, როგორც ურჩი და შეუსმენელი, ჯურღმულში ჩამაგდო, მაგრამ მე მაგ საქმეს მაინც არ ვიქ, მოძმის სისხლში ხელს არ გავისვრი!

— ყური მიგდე, იესე, რატომ გგონია, გულში ავი განზრახვა მიდევს, ანდა მე კი მეხალისება, მოძმის სისხლში ხელი გავისვარო. ხატზე შემოგფიცავ, რომ ეგ შენი ეჭვი უსაფუძვლოა. რავარც შენ და არჩილს არ გაგიმეტებთ, არც ერისთავსა და მის შვილებზე აღვმართავ ხელს. მე ახლა ქვეყნის მშვიდობიანი შემომტკიცება მჭირდება და არა სისასტიკით ვისიმე დაშინება. პირიქით, შენ ხედავ, შეწყალების გზას ვადგივარ და ამ გზიდან არც არასოდეს გადავუხვევ!

— მაშ, რას მივაწერო ეგ შენი ჩაცმულობა, მონასტერში ქურდულად მო-

სვლა? ნუთუ არ შეგეძლო, მაგ გონივრული თხოვნით საჯაროდ, ეკლესიაში, თუნდაც დარბაზის ერის სხდომაზე მოგემართა და ერისთავთან შუაკაცობა ჩემთვის სხვათა თანდასწრებით დაგეკისრებინა?

— მე მაგ საქმეს სხვანაირად ვუყურებ, იესე. წელან შენც მითხარი, ღირს თუ არა ერთხელ კიდევ თავის დამდაბლებაო? ცამდე მართალი ხარ — არ ღირს! მაგრამ რა ვუყო, ერისთავის ერთხელ და სამუდამოდ შემოსარიგებლად ნაბიჯი ისევ მე უნდა გადავდგა, ოღონდ არ მინდა, შენს გარდა, ეს სხვა ვინმემ იცოდეს!..

— მაშ, გულწრფელი ხარ, ღვთისა და კაცის წინაშე მხოლოდ ეგ კეთილი განზრახვა გამოქმედებს?

— მრისხოს მამა-ზეციერმა, ცა ჩამომექცეს და ქვეშ მომიყოლოს, გამიწყრეს ღმერთი, თუ ჩემი ერთადერთი განზრახვა და სურვილი ერისთავისა და მისი შვილების მშვიდობიანი შემორიგება არ იყოს და რაიმე ქვენა გრძნობა გულში მქონდეს!

— მაინც არ მჯერა, სოლომონ, იქნებ ცოდვას ჩავდივარ, მაგრამ რა ვქნა, მაინც ვერ დაგიჯერებ. თუ ეგ შენი განზრახვა გულწრფელია და გლახას არაფერს ფიქრობ, რად გინდა იმათი აქ ჩამოგვრა, იყონ იქ, სადაც არიან და იცხოვრონ ისე, რავარც აქამდე უცხოვრიათ.

— იმას, რაც აქამდე იყო, დღეის ამას იქით უნდა გამოვეთხოვოთ, იესე, ცხოვრება ახლებურად უნდა წარვმართოთ და ურთიერთობებიც ახალი დავამყაროთ. მე მარტო ის კი არ მწადია, როსტომ ერისთავი და მისი ვაჟები მათდამი ჩემს კეთილ განზრახვებში დავარწმუნო, არამედ ისა მსურს, ძირფესვიანად მოველაპარაკო, საკუთარ სულში ჩავახედო, სინდისზე შევაგდო, „გარეშე მოხელეობისათვის“ ამიერიდან თავი დავანებებინო და ტახტის უყოყმანო მორჩილება ჩავუნერგო!

— ძნელ მოვალეობას მაკისრებ, ძმაო. რას არ დავთმობდი, ოღონდ ამ თხოვნითა და ბრძანებით ჩემთვის არ მოგვემართა. ვერც შენს თათბირს გავექცევივარ და ველარც ვერაფერი გადამიწყვეტია.

— ვიცი, ადვილი არ არის, სხვა რა არის ადვილი ამ უსწორმასწორო წუთისოფელში! ბედმა არჩევანი არ მოგვცა არც მე და არც შენ, ღვთის განაჩენი ორივეს შუბლზე დაგვაწერა. თავად მოგეხსენება, შენზე უფრო სანდო და უფლებამოსილ კაცს მე ერისთავის კარზე ვერ გავაგზავნი. შენს შეგონებას და რჩევას როსტომი ვერსად გაექცევა.

— სწორედ ეგ მკლავს, სოლომონ, და ძარღვებში სისხლს მიყინავს. სიტყვა რომ გატეხო, მტრისა და ავისას, გვიღალატო და ამ უბედურებთან პირშავად გამომიყვანო? მაშინ რაღა ვქნა, რაღა გზას დავადგე, თავი ხომ მოსაკლავი გამიხდება?!

— ღმერთმა დაგიფაროს, იესე, როდის იყო, შე დალოცვილო, მე სიტყვას ვტეხდი და საფიცარ ძმას თავის მოსაკლავად ვიმეტებდი!

— გული ცუდს შემომჩივის. რა ვქნა, თავს ველარ მოვრევივარ. ნუ დამძრახავ, ნურც გამირისხდები ამისათვის. დღესვე წავალ რაჭას, წუთს აღარ დავაყოვნებ, ოღონდ ერთი უკანასკნელი თხოვნა-ვედრება შემისრულე!

— ბრძანე!..

— ბარძიმზე უნდა შემომფიცო, რომ შენი განზრახვა მართლა კეთილია და გლახას არაფერს შეამთხვევ არც როსტომ ერისთავს და არც მის შვილებს. მე უფლება არა მაქვს შევცდე, სოლომონ, მაღალი ღმერთის წინაშე პასუხისმგებელი ვარ!

— მაშ, ფიცის გარეშე არ მენდობი?

— რა ვიცი, კაცნი ვართ. შენ ამით არაფერი დაგიშავდება, მე კი ცოტათი მაინც გულზე მომეშვება.

— შემოგფიცავ! თანახმა ვარ! რაკი შენ ისე არ გჯერა!..

თითქოს მხრებიდან მძიმე ტვირთი ჩამოხსნესო, გამოცოცხლებულმა ბატონიშვილმა იოსებმა ანაფორის. გრძელი კალთები აიკრიფა, საკურთხევლის კი-

ზისაკენ მიტრიალდა, მბჟუტავი სანთლების შუქზე მოციმციმე შანდლებს ჩქმის გაუღებლად ჩაუარა და ალსავლის კარში შევიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ გამოჩნდა საკურთხევლის წინ. ხელში პატიოსანი თვლებით შემკული ოქროს ბარძიმი ეჭირა. მეფე კრძალვით მიუახლოვდა, მღვდელმთავარი ძმის წინაშე ცალი მუხლი მოიყარა.

— ბარძიმს ხელი დაადე და დაიფიცე! — უბრძანა იოსებმა.

სოლომონმა მარჯვენა ხელი ბარძიმს შეახო, თვალი იატაკს გაუშტერა და ყრუდ დაიწყო:

— შევიშალო რჯულის ქრისტიანობისაგან, მრისხოს დაუსაბამო ღმერთმა და მისმა ყოველმა წმინდანმა, ზეცისამან და ქვეყნისამან, ხორციელმა და უხორცომ, შეჩვენებული ვიქმნე შვიდთა კრებისაგან, უკეთუ ვუმტრო და რაიმე მოვწიო ერისთავს, ბატონ როსტომს, და შვილთა მისთა, უკეთუ არ მივიღო და შევიტკბო ისე, როგორც მზრუნველ, ღვთისნიერ მამას მორჩილი შვილების მიღება და შეტკბობა შეჰფერის!..

— რა მოგდის, სოლომონ? — აღმოხდა უცებ ელდანაცემ იოსებს, რომელსაც ცად აპყრობილი თვალები ძირს დაეხარა და გვირგვინოსანი ძმის ფერწასული სახე დაინახა.

— ახლა ხომ გჯერა ჩემი? — აკანკალებული ხმით მიუგო სოლომონმა და წამოიწია, ფეხზე ძლივს დადგა, — კიდევ ხომ აღარაფერს მთხოვ?

— ჩემი ცოდვილი სული შენ გაბარია, ძმაო. გინდა, სასუფევლის კარს გამიღებ და გინდა ჯოჯოხეთის საუკუნო ბნელეთში ჩამაგდებ!..

— ასეა, იესჯ, ყველა თავის თავს ტირის. შენც კაცთაგანი ხარ!.. — და მეფეს ხუნთქვა შეუგუბდა, თვალები ცრემლით აევსო.

— მომიტევე, თუ გული გატკინე. ეს ისევ შენი ტახტის ძლიერებისათვის იყო საჭირო. თუ ტახტს სათნოების ბოძები არ უდგას, მას ყოველი მტერი ადვილად წააქცევს. აღივსე გული შენ-სათნოებით და შეუნდე ბოროტთ! სისხლსა და ძალადობას, რაც კაცობრიობას თავი ახსოვს, ჯერ სიკეთე არ მოჰყოლია!..

— დღესავე მიდიხარ?

— ახლავე, როგორც კი შენ გაგისტუმრებ. გადავდებ ყველა სხვა საქმეს, სხვა რა ღონეა! მაგრამ ასე სად გაიშვები, შე დალოცვილო, სახეზე კაცის ფერი აღარ გადევს, ჯვარი აქაურობას, საფლავიდან ამოღებულს გავხარ!

— მაგის ჯავრს ნუ იქონიებ, მე არა მიჭირს რა, ძალიანაც რომ მოვიწადინო, იმისთანა ვარსკვლავზე გავჩნდი, არ მოვკვდები.

— ღმერთმა გისმინოს!.

— შენ იცი, როგორ მარჯვედ და გაგებულად მოეკიდები საქმეს. მე ვარციხეში ან გეგუთში მნახავთ. სასახლეებსა და გალავნის კედლებს ხელისმუშა და ხუროები დავასიე. თუ ღმერთმა გადმოგვხედა და ამინდმა მაცალა, მინდა, მარიამის მოსვლამდე ერთიცა და მეორეც რალაცას დავამსგავსო.

— კეთილი იყოს შენი გზა და კვალი, სოლომონ! ღმერთს შევთხოვ, ყოველ საქმეში მწედ გექმნეს და ხელი მოგიმართოს!..

ძმები ერთმანეთს გადაეხვივნენ. სოლომონს ნაკვერცხლებზე გაღვივებული საკმევლის სუნი ეცა. მან სოფიის კენჭით მოჭედილ ღვთისმშობლის ხატებას აჰხედა, საოცრად მშვიდი და უდრტვინველი თაღიდან რომ დაჰყურებდათ, სამგზის პირჯვარი გადაისახა, ლოცვა წაიბუტბუტა, სახე ისევ ჩაბალახით აიხვია და ჩქარი ნაბიჯით გაემართა, კარისაკენ, სადაც ცნობისწადილით ხახაგამშრალი ბერები ისევ იდგნენ, მაგრამ გავლისას არც ერთი აღარ შეუმჩნევია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი ოცდამეცხრე

გენათელი მიტროპოლიტი ბატონიშვილი იოსები, დღეს-ხვალ ლიხთიმერ-აფხაზეთის უწმინდესი კათალიკოსი და მეფე სოლომონის მარჯვენა ხელი, როგორც მოსალოდნელი იყო, ერისთავ როსტომის კარზე გამორჩეული პატივითა და ზარ-ზეიმით მიიღეს. მიუხედავად იმისა, რომ რაჭის ბატონის სახლკარი ძაძებით იყო შემოსილი და როსტომსაც და მის მრავალრიცხოვან სახლეულსაც შავები ეცვა, გლოვობდნენ ამა სოფლიდან უდროოდ წასულ თამთას, მღვდელმთავარ ბატონიშვილის დარბაზობას გარეგნული შნო და ლაზათი მაინც არ მოჰკლებია. დიდებული სტუმრის მისაგებებლად თვით ბატონი როსტომი გამობრძანდა, რაც აქამდე არავის მოსწრებია, ჯორზე ამხედრებულ მიტროპოლიტს ხიდიკრიდან ვიდრე ბარაკონამდე ქვეითად მოჰყვა და გზადაგზა სიყვარულით მოიკითხავდა.

ნინიას ციხის ქონგურზე, სოფლის ბოლოში, ძელსა სცეს, მინდა-ციხეზე კვამლი ავარდა. მიდამო კიდით კიდემდე შესძრა ზარბაზნის გრიალმა, ბარაკონის ტაძრის სამრეკლოზე ხმაშეწყობილად რეკდნენ, გრგვინავდნენ, ბუბუნებდნენ და ლიკლიკებდნენ ზარები.

თითქმის წმინდანად მიჩნეული იოსების რაჭაში გამოჩენა ყველამ კეთილის მომასწავებელ ნიშნად სცნო და სულ ცოტა ხნის წინათ უწყალოდ გაპარტახებული სასახლის კარიბჭეც ფართოდ გაიღო.

ტაძრიდან ხატები და საეკლესიო ბაირაღები გამოესვენებინათ. ღობის გადაღმა, ახალგასხლულ ვენახში, გუნდი გალობდა.

შემოსილი სამღვდელოება სტუმარსა და მასპინძლებს სახარებისა და სძლისპირების კითხვით წინ გაუძღვა და სანთლებით გაჩირაღდნებულ ტაძარში შეიყვანა.

თუმცა ნამგზავრი და გვარიანად დაღლილი იყო, მოყვრული დახვედრით გულაჩუყებულმა იოსებმა თვით ინება პარაკლისის გადახდა. ხატებს აიაზმის წყალი ასხურა, როსტომის შვილი და მონაგარი სათითაოდ დალოცა, დალოცა ეს მადლიანი კუთხე, „ერთობით რაჭველები", აღსრულებულთა შორის მოიხსენია ღვთის განგებით დაღუპული თამთას სული, რითაც უკლებლივ ყველას, ტაძარში მყოფთ, თვით გოროზ ერისთავსაც ცრემლი მოჰგვარა და ნაწირვებს მრევლს მოკლე ქადაგებით მიმართა.

დიდი და პატარა სმენად გადაიქცა.

იოსების ქადაგება ზოგადი იყო. მღვდელმთავარი სარწმუნოების სიმტკიცის დოგმებს შეეხო და ორიოდე სიტყვით დაასურათა, თუ როგორ შეარყია „ჩვენთვის წამებული მაცხოვრის რწმენა" იმერეთში ურჯულო აგარიანთა ფეხის მოკიდებამ და ისლამის მომძლავრებამ, როგორ წარიწირა აქამდე შეურყვნელად მოტანილი სარწმუნოება და როგორ მართებდა ყოველ ჭეშმარიტ ქრისტიანეს თავი არ დაეზოგა სამშობლოს მიწა-წყლიდან უწმინდური თესლის განსადევნად...

ვინ არ მიხვდებოდა, რომ მისი მეუფება ბატონიშვილი იოსები უმისამართოდ არ ფანტავდა ამ ზოგად, ერთის შეხედვით უწყინარ სიტყვებს. ქადაგება თავიდან ბოლომდე ერისთვის შეცთომილებათა წინააღმდეგ იყო მიმართული და, თუ კარგად დაუკვირდებოდი, ბოლო დროს ტახტზე ხელახლა ასული სოლომონის განზრახვათა მარჯვე დასაბუთებას წარმოადგენდა.

იოსებს იოლად ვერ შეედავებოდი. მას ყოველთვის შეეძლო ეთქვა, რომ ერისთავი სულაც არ უგულისხმია, რომ მისი ქადაგება ერთნაირად შეეხებოდა ტახტის ყველა ქვეშევრდომს, ვისაც ოდესმე ღვთისა და სამშობლოს სამსახურის გზაზე ფეხი დასცდენია და ნებით თუ უნებლიეთ მტრის საამებელი საქმე გაუკეთებია. მაგრამ ღმერთი

მოწყალე და მიმტევებელიაო, იქადაგა ბოლოს იოსებმა, ეს რომ ასე არ იყოს, სააქაო ქვეყანა ცოდვის ზღვაში ჩაიხრჩობოდა და ცოდვას ცოდვა მიემატებოდაო.

შვილებსა და ერთგულ აზნაურებში ჩამდგარ ერისთავს გულხელი დაეკრიფა და მეუფის ყოველ სიტყვას ხარბად იჭერდა. ის თითქმის უკვე მიმხვდარი იყო ბატონიშვილი მღვდელმთავრის აქ მობრძანების ნამდვილ მიზეზს, მაგრამ სახეზე ცეცხლის ალი მაინც შემოეგზნო, როცა იოსებმა ცალკე გაიხმო და ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე მეფის ნება-სურვილი გამოუცხადა.

ვახშმად დასხდომის წინ შვიდივე ერისთვიშვილსა და ციხისთავ ალი-ენგიჩარს ბატონთან უხმეს. საგარეო ლურჯ კაბასა და წუღა-მესტებში გამოწყობილი როსტომი მარტო იყო და დაძმარებული თავის ოთახში წინ და უკან დადიოდა.

— რას გვიბრძანებ, ბატონო მამა?— ყველას მაგიერ ჰკითხა საგონებელში ჩავარდნილ მშობელს ნაბერალმა მეთოდემ, როდესაც ძმებმა ერისთავის ოთახში თავი მოიყარეს და ზურგსუკან კარიც მიიხურეს, — გლახა ამბავი ხომ არაფერია?

როსტომი ერთხანს დუმდა, ისევ წინ და უკან დადიოდა, მერე შუა ოთახში გაჩერდა და თავი არ აუწევია, ისე თქვა:

— მეფე ვარციხეში გვიბარებს, შვილებო, ძმა შუამავლად გამოგვიგზავნა...

წამიერი სიჩუმე ჩამოვარდა. იგი კვლავ ნაბერალმა მეთოდემ დაარღვია:

— როგორ თუ გვიბარებს, ბატონო, ყველას ერთად?

— ყველას ერთად, შვილებო, ყველას ერთად, საქმეც ეგ არის!

— მერე? რა უთხარი, თანხმობა ხომ არ გამოუცხადე?

— თქვენს დაუკითხავად რაობით ვიზამდი მაგას, შვილო, მეთოდე. აგერა ხართ შვიდივე, ალი ენგიჩარიც აგერ არის და... გადაწყვიტეთ! ოღონდ იცოდეთ, — როსტომმა მძიმედ მიიხედმოიხედა, თითქოს სადღაც აქვე მეფის მსტოვრები ეგულება და კედლებსაც კი ექრძალვისო, — სოლომონმა ბარძიმზე დაიფიცა, რომ ავს არას შეგვამთხვევს და გარდა შერიგებისა და სიამტკბილობისა, ჩვენგან სხვა არაფერი უნდა.

— ბარძიმზე დაიფიცა? —ერთხმად წამოიძახეს განცვიფრებულმა ერისთვიშვილებმა. მერე ისევ ნაბერალმა თქვა:

— ვინ დადგება თავდებად, რომ იოსები თავად არ გვღალატობს და ვარციხეში ჩვენს ჩასატყუებლად მეფის ბარძიმზე დაფიცება არ მოიგონა?

— ცოდვას ნუ იკიდებ, შვილო, მეთოდე, გესმის, რას ამბობ? — იწყინა როსტომმა, თუმცა შვილის სიფრთხილე საფუძველმოკლებულად არ ეჩვენებოდა.

— კეთილი ინებოს და ხატზე შემოგვფიცოს! — არ დაცხრა მეთოდე.

— მართალია! — სიტყვა დააწიეს ძმებმა, — შემოგვფიცოს!.. ისე არც მაგისი ნათქვამი გვჯერა!..

— შენ რაღას გვეტყვი, ალი? — ღრმად ჩაფიქრებულმა როსტომმა მრავალი წლის წინათ შემოკედლებულ სხვის შვილს მიმართა. — რა პასუხი მივცეთ მეფის შუამავალს?

ალი-ენგიჩარმა შეხორცებული ნაწიბურებით დასერილი მელოტი თავი მოიფხანა, იგივე ხელი მერე ნიკაპს ქვემოდან შეუყენა და ერთადერთი სალი თვალი მწყალობელ ბატონს მიაპყრო.

— ფიცი არც ჯაჭვია და არც ბაწარი, — თქვა მან, — ფიცით დაბმული კაცი მე ჯერ არსად მინახავს!

— თქვი უფრო გასაგებად, — შეუტია როსტომმა, მაგრამ მის ხმაში ყმის ერთგული სამსახურით კმაყოფილი ბატონის ალერსი უფრო მეტი ისმოდა, ვიდრე წყრომა.—რავა იგავებით გველაპარაკები!

— რჩეული ჯარი უნდა იახლო, თავის იმედი უნდა იქონიო.

— მართალს ამბობს! — ბეჭედი დაჰკრა ერისთვიშვილმა გიორგიმ, — თუ სხვა საშველი არ არის...

— ყურიც რომ არ შეგვებერტყა, სულ არ წავსულიყავით? — რაკი გიორგიმ ნავსი გატეხა და საკუთარი აზრის გამოთქმას არ მოერიდა, საუბარში ახლა მესამე ძმა, ყაბარდოს ბატონის სიძე იაგორა ჩაერია. — გზა ხსნილია. თავად მობრძანდეს!..

როსტომ ერისთავმა უგუნებოდ შენიშნა:

— მისმა მობრძანებამ, ხედავთ, რა გვიყო. ხელახლა გახელება არ ეგების. ისევ ჩვენ წავაგებთ...

მეთოდემ გულხელი დაიკრიფა და მამას გამომწვევად მიახალა:

— აბა, რა ვქნათ, ჩვენი ნებით პირში ჩავუვარდეთ?

წამოწყებული სიტყვა როსტომ ერისთავმა ისე უდრტვინველად დაასრულა, თითქოს შვილის გაფიცხება არც კი შეემჩნიოს:

— ალი სწორს ამბობს: ჯარი უნდა ვიახლოთ!

— შე დალოცვილო, — ნაბერალმა ისევ შეჰბედა მამას. — თუ გულში ღალატი უდევს, ჯარი იმას კი არა ჰყავს? სამჯერ და ოთხჯერ მეტ ჯარს დაგვახვედრებს და უადგილო ადგილას ჩაგვისაფრდება!

— ქვეყანა ჩალით არ არის დახურული, მეთოდე. ჩვენც ხალხი ვართ! აგრე საომრად რომ გვიწვევდეს, შენ რომ წარმოგიდგენია, მღვდელმთავარ ძმას შუამავლად არ გამოგვიგზავნიდა, არც ბარძიმზე დაიფიცებდა, ომით აქაც ამოვიდოდა, ან მაშინდელივით ლეკებს მოგვისევდა და ქვას ქვაზე დაანელებდა. ხვალინდელ დღეზედაც ხომ უნდა ვიფიქროთ, შვილებო? არ უნდა ვიფიქროთ, გიორგი, იაგორა, დიმიტრი? თქვენ არ მომიკვდეთ, საბუთი არა გვქონდეს რა, რომ ბატონიშვილ იოსებს უნდობლად მოვეკიდოთ და სამუდამოდ მოვიმდუროთ. რა ვუყოთ, იმ ძალლთაპირის ძმა არი, ერთი დედის ნაშობები არიან, მაგრამ ეგ მაინც სხვა კაცი დადგა. რალაი მეფესთან შერიგებას ვაპირობთ და თავის მხრივ სოლომონიც ამასვე გვეხვეწება, გაურჩება და ძველებურად განზე გადგომა როდილა გვმართებს. ვიახლოთ ხუთასი მხედარი, რაც იქნება, იქნება, შევიარაღდეთ, ამოვუდგეთ გვერდში ერთმანეთს და თუ მართლა სიგლახეს გვიპირებენ, იქით მივუხტეთ და ცხვირიდან ძმარი ვადინოთ!..

მოხუცებული ერისთავის ამ უკანასკნელმა, ფიცხად წარმოთქმულმა იმედიანმა სიტყვებმა მამისა და შვილების კამათი მეფის ნება-სურვილის აღსრულების სასარგებლოდ გადაწყვიტა. ერთი შეხედვით, საქმეს ისიც აიოლებდა, რომ მიტროპოლიტი იოსები, მეფის ძმა, როგორც მძევალი, მათ ხელთ იყო და უკეთუ გვირგვინოსანი ფიცს გასტეხდა, რაც ნაკლებ სავარაუდებელი ჩანდა, უნდა სცოდნოდათ, რომ საპასუხო დარტყმის მიყენება არც ერისთავსა და მის ვაჟებს გაუჭირდებოდათ.

გადაწყდა, აქაურობა ალი-ენგიჩარის ანაბარა დაეტოვებინათ, როსტომი კი შვიდივე ვაჟკაცი შვილითა და ხუთასი რჩეული მხედრითურთ, მეფე სოლომონს ვარციხეში ხლებოდა.

ჯარის შეყრა და სალაშქროდ მომზადება მეორე დღესვე დაიწყო.

იოსებს, ცოტა არ იყოს, ეუცხოვა, მეფის კარზე წარსადგომად ერისთავი რომ მეტისმეტად მრავალრიცხოვან ამალას ადგენდა, მაგრამ თავისი გაკვირვება და უკმაყოფილება ხმამაღლა არ გამოუთქვამს. როსტომი, შესაძლოა, სწორადაც იქცეოდა, აუცილებელ სიფრთხილეს რომ იჩენდა. ერისთავის თანმხლები ჯარი და ხალხმრავალი ამალა, რალა თქმა უნდა, სოლომონზედაც ჯეროვან შთაბეჭდილებას მოახდენდა და დადებული პატიოსანი სიტყვის პირნათლად შესრულება მასაც ნაკლებ გაუჭირდებოდა.

21 ნოემბერს, პარასკევს, მარადის ქალწული მარიამის ტაძრად მიყვანების დღეს, ბარაკონის ეკლესიაში პარაკლისი გადაიხადეს, ღმერთი ახსენეს და პირი ოკრიბისაკენ ჰქნეს, სადაც, ბატონიშვილ იოსების თქმით, ორივე ქაიხოსრო, აგიაშვილი და წერეთელი, შეხვ-

დებოდნენ და მეფის ბანაკამდე პატივით მიაცილებდნენ.

ძუძუებიდან მოგლეჯილ შვილზე გლოვით დაუძლურებულმა თანამეცხედრემ როსტომს სოფლის წყარომდე მოსდია. ცხარე ცრემლით ევედრებოდა, სულ ნუ დამღუპავ, კერიაზე ცეცხლს ნუ გამოაქრობ, იმედად ერთი ბიჭი მაინც დასტოვეო, დედა ვარ გული ცუდს მითქვამსო, მაგრამ როსტომის გადაწყვეტილება მტკიცე იყო და მას ცოლის მუდარის გაგონებაც არ უნდოდა. თავადიც გულაჩუყებულმა, ბოლო ხანს, უბედური თამთას შემდეგ რომ დასჩემდა, ცხენს მათრახი გადაჰკრა, ერთი ძველებურად დასჭყივლა, წინ გააჭენა და ცრემლი რომ არავისთვის დაენახვებინა, მტვრის ბოლქვებში განუწყვეტელი გუგუნ-გრიალით მიმავალ ჯარს მალე სათავეში მოექცა.

ღამე ხარისთვალზე გაათიეს. ნაბრძანები იყო, ცვარი ღვინო არავის დაელია და საძოვარზე გარეკილი ცხენებიც შორს არსად გაეშვათ. სწორედ დაძვრის წინ, ნანათლებს, ჩალველფილი კოცონები ჯერ ისევ ხრჩოლავდა, მზირებმა რომ ამბავი მოიტანეს — ნაქერალას მთაზე ვიღაც კაცები დავლანდეთ, აქაური ჩალვადრები გვეგონა და ყურადღება არ მივვიქცევია, მაგრამ როგორც კი მივუახლოვდით, მაშინათვე ძირს ჩამოვიდნენ, ჩირგვებში დამალულ შეკაზმულ ცხენებზე შესხდნენ და თვალთაგან დაგვეკარგნენო.

— არ მომწონს ეგ მე, — თქვა როსტომ ერისთავმა, რომელმაც სწორედ ამ დროს უზანგში ფეხისწვერი შესდგა და ცხენზე ჯდებოდა. — გიორგუნა, შვილო, გეიყოლე ოციოდე კაცი და გამიგე სასწრაფოდ, ვის ექავება ზურგი, აქ ხიფათს არაფერს გადავეყაროთ!..

ერისთვიშვილმა გიორგიმ, იმით გახარებულმა, რომ დამოუკიდებელი მოქმედების საშუალება ეძლეოდა, უმალვე შეყარა მარჯვე ბიჭების მცირე რაზმი, ორი ძმაც — იაგორა და სულ უმცროსი, ბატონიშვილ არჩილის კბილა დიტრიც გაიყოლა და წინ გაქუსლა, დანარჩენმა ჯარმა კი ნაბიჯით განაგრძო გზა. მზე სამუადღეოზე იყო, თვალწინ ოკრიბის პატარ-პატარა ბორცვებით დახორკლილი ტყიანი ვაკე რომ გადაიშალა და ჯარმა ცხრაჯვარის დაღმართზე იწყო დაშვება. ერისთვიშვილი გიორგი მამასა და ძმებს ტყიბულში უცდიდა. უღელტეხილზე ექვის აღმძვრელი ვერაფერი ეპოვნა და ახალი განკარგულების მისაღებად ღელის პირას შეჩერებულიყო.

საწირის გორაზე სწორედ იგივე განმეორდა, რის მოწმეც ნაქერალას კლდეებში გახდნენ: ერისთვიშვილ გიორგის მეწინავე რაზმის მიახლოებისას ვიღაც უცხო მხედრები აქაც მოფარებულში დატოვებულ ცხენებს მოახტნენ და, ვით უხორცონი, თვალსა და ხელს შუა გაუჩინარდნენ.

— ეს რა კუკუმალობიას გვეთამაშებიან, თუ ღმერთი გწამს, — თქვა გაკვირვებულმა გიორგი სარდალმა და ცხენი შეაყენა, თვალებზე დურბინდი მოირგო, თავდაღმართში დაკლაკნილ საურმე გზას დააკვირდა, — ვფიქრობ და ვერაფრით ვერ მივმხვდარვარ!

— აგიაშვილის მზირები უნდა იყონ, — გამოთქვა თავისი ვარაუდი იაგორამ და ცხენი ამანაც შეაჩერა, ძმას გვერდში ამოუდგა, — ჩვენს მოახლოებას თუ ატყობინებენ...

— ვის? ქაიხოსროს? ამას მზირობა კი არა, მსტოვრობა ქვია, იაგორა, თუ მართლა აგრეა და სხვა არაფერია. აგიაშვილს კაი დიდი საყვედური ეკუთვნის!

— მეფის ბრძანება იქნება, აუტკივარ თავს ქვე რისთვის აიტკივებს!

— რაღას გოუჩერდით, შვილო? — ამასობაში თვით როსტომმა და ჯორზე ამხედრებულმა ბატონიშვილმა იოსებმაც მოატანეს. — კიდევ ხომ აღარავინ დაგინახავთ?

გიორგი სარდალმა პასუხის გაცემაც ვერ მოასწრო, რომ ძირს, დაბლობში, წყალწითელას პირზე, საიდანაც საქა-

რავნო გზა საწირის ციცაბო ამოლმართებს მოჰყვებოდა, ცხენოსანთა კარგა მოზრდილი გუნდი შეამჩნიეს. თუ თვალი არ ატყუებდათ, სულ ცოტა, ასიასორმოცდაათი კაცი მაინც უნდა ყოფილიყო. მთის პაწაწინა მდინარის ვიწრო რიყე და თვით მდინარე, სამუადლეოდან გადახრილი მზის სხივებზე აქედან მართლაც წითელი, თითქმის სისხლისფერი რომ ჩანდა, ცხენოსნებმა ჰენებ-ჰენებით გადმოიარეს და აღმართსაც შეუჩერებლივ ამოუდგნენ.

როსტომმა შვილები შემოიკრიბა, ჯარით მაღლობზე დადგა. სანამ ქვემოდან მომავალი ცხენოსნები აღმართს არ ამოათავებდნენ და ზედ არ მოადგებოდნენ, ფეხი არავის უნდა მოეცვალა.

— კეთილი იყოს შენი მობრძანება, ბატონო როსტომ, ამ ჩვენს არემარეზე!

— ახალმოსულთ საკმაოდ შეჭაღარავებული, ქორულად მომზირალი, ხმელხმელი კაცი გამოეყო და რამდენიმე მხედრის თანხლებით ერთ მუშტად შეკრულ მხედართა გუნდს მოაშურა, — ხომ კეთილად იმგზავრე, ხომ კარგა გვყავს შენი თავი?

ეს ოკრიბის ბატონი, ციხისთავი და ქემიკთუხუცესი, მეფე სოლომონის ერთი უპირველესი თანამოაზჯრე თავადი ქაიხოსრო აგიაშვილი იყო. როსტომ ერისთავს ასე პირისპირ კარგა ხანს აღარ ენახა, თუმცა ნახვას კი ნატრობდა, რათა ბრძოლის ველზე ხმალდახმალ კვეთებოდა და თავი გაეჩეხა. ახლა მოტეხილი ეჩვენა და სანამ ხმა არ გამოიღო და არ დაილაპარაკა, ერთბაშად ვერც კი იცნო.

— რაღაცა დიდს შეიძენ, ბატონო ქაიხოსრო, — ნაძალადევი გულითადობით გაიცინა რაჭის მპყრობელმა. — კინაღამ ვერ გიცანი!

— დრო მიდის... — გულგარე სიცილითვე უპასუხა აგიაშვილმა და ერისთავის მარჯვნივ და მარცხნივ მდგომთ, რომელთა შორის გენათელი მიტროპოლიტი ბატონიშვილი იოსებიც იყო, მდაბალი თავის დაკვრით მიესალმა. — ვბერდებით, ბატონო როსტომ, თანაც იშვიათად ვხედავთ ერთმანეთს. გადავიწყებაც მაგან იცის!

— ეგეც მართალია, ჩემო ქაიხოსრო. შენ ქვე რა გიჭირს, ჯერ ახალგაზრდა კაცი ხარ, მე, ბერიკაცმა, უნდა ვიკითხო!

— ჯვარი გწერია, ბატონო როსტომ, საყვედური არც შენ გეთქმის, ჭარმაგად გამოიყურები, — და აგიაშვილმა ხმის კილო უეცრად შესცვალა. — სამძიმარი ველარ გითხარი... რა ვიცი, ვაითუ ახლა უადგილო იყოს-თქვა. გვერწმუნე, ერთობ დაგვამწუხრა თქვენს თავზე დამტყდარმა უბედურებამ!..

როსტომ ერისთავმა ამოიოხრა:

— რა ვუყოთ, ჩემო ქაიხოსრო, ღმერთმა ყველა ჩვენიანსა და ჩვენს კეთილის მოსურნეს აცილოს, მაგრამ ღვთის განგებას ვერავინ გავექცევით, — და, თავის მხრივ, ხმის კილო ახლა მან შეიცვალა. — ყველაფერი, ყველაფერი და, მეფის ამბავს რატომ არ გვეუბნები? ხომ მშვიდობით ბრძანდება?

— თუ ამას მშვიდობა ეთქმის, ბატონო. მეფე ვარციხეშია, თქვენ გელით. ხალხი გამოვიყვანეთ ბეგარაში. დაუქმებულ გზებს და ჩანგრეულ ხიდებს მიხედვა ჰირდება. ვაჭრებმა ფეხი ამოიკვეთეს. აქეთ აღარავინ იხედება. მიყრუვდა ჩვენი მხარე. სასახლეები და გალავნები ხელახლა ასაშენებელი განლავს. მეფე, მოგეხსენება, ყველგან უნდა მიბრძანდეს, ყველაფერი საკუთარი თვალით ნახოს, ყველა საქმე პირადად გაარიგოს...

— ღმერთმა შეძლება მისცეს, ჩემო ქაიხოსრო. აგერ ბიჭებს ვეუბნებოდი, მონდომება ერთია და, კაცს შეძლებაც ხომ უნდა მოგდევდეს. მაგ დალოცვილს, ქვეყნის საკეთილდღეოდ, არც მონდომება აკლია და შეძლებითაც ხომ სამი ვაჟკაცისოდენს ახერხებს. გაგვიძეხი აწი, რაღაი პატივი დაგვდე და ამ სიშორეზე მოგვეგებე. ჩვენც ნელა-ნელა, რაჭველობის კვალობაზე მოგყვებით. მართლა, ქაიხოსრო წერეთელს

ვერ ვხედავ, შენს სეხნიას, ეტყობა, გადაიფიქრა აქეთ გამოვლა!

— მართალი ბრძანდები, ბატონო როსტომ, აქ ბატონი ქაიხოსროც უნდა გვხლებოდა, თავდაპირველად ასე ვვარაუდობდით, მაგრამ მის უმაღლესობა მეფეს სასწრაფო საქმე გამოუჩნდა და გვგუთს გაგზავნა. შეიძლება იმარჯვოს და კიდევაც ამოგვისწროს ცუცხვათში!

— ცუცხვათში? — გულწრფელად გაიკვირვა როსტომმა. — ცუცხვათში ქვე რა გვინდა, შე კაცო, მეფე ვარციხეში გველის და ჩვენ ცუცხვათში გავჩერდეთ?

— მამული ჩემია და რა უფლება მაქვს, უპურმარილოდ გაგატაროთ!

— დიდ მადლობას მოგახსენებთ, ჩემო ქაიხოსრო. თუ გინდა, მთელი კვირა გადაბმულად გვექეიფოს და ჭერში ქუდი გვესროლოს! ამ შიმშილობის დროს ათასი დამშეული კაცის სტუმრობას ეხუმრები შენ?

„ათასი კაცისო? — გაუელვა მეფის ქეშიკთუხუცესს. — აკი, თუ ჩემს მზირებს რაიმე დევჯერება, ხუთას კაცზე მეტი არამც და არამც არ იქნებიანო?" ხმამაღლა კი ესა თქვა:

— თუ არ მკადრულობ, ან არ მენდობი, ბატონო, ახლავე მიბრძანე, თუ არა და, როდის იყო, ღმერთო მომკალი, ცუცხვათელ აგიაშვილებს ათასი და ორი ათასი ცხენოსნის სტუმრობის ეშინოდათ!

— არ იშლი და იყოს ნება შენი, არც ჩვენ გაგექცევით, პურმარილმა პურმარილის მეტი რა იცის!

როსტომ ერისთავს მოფიქრებისა და საქმის აწონ-დაწონისათვის მეტად ცოტა დრო ჰქონდა, მაგრამ რამდენიც არ უნდა ეფიქრა და ეჭოჭმანა, აგიაშვილის სტუმრობაზე უარს მაინც ვერ იტყოდა. ცუცხვათში შეჩერება, აქ პურ-მარილის მიღება და ღამის გათევა, ეტყობა, თვით მეფესთან იყო შეთანხმებული და მას რაღაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. მაგრამ სად აპირებდა ყავარზე კუდგადებული ღარიბ-ღატაკი აგიაშვილი მრავალრიცხოვანი სტუმრის მოთავსებას? ცუცხვათის აგიაშვილებისეული სასახლე და ყველა მიმდებარე ნაშრომი, ოდესღაც აგიაშვილთა წინაპარ ომათმათიძეს რომ ეკუთვნოდა, დამწვარი და დანგრეული იყო. გამოტეხილი რომ ითქვას, ეს ხომ მასპინძელსაც დიდებულად მოეხსენებოდა, არცთუ მცირეოდენი წილი ამ ცოდვიან საქმეში თვით რაჭის ბატონის ყმებსაც ედოთ. გუშინდელი მოსისხლე მტრის სამასპინძლოდ თავგამოდებულმა ქაიხოსრომ ნუთუ ასე საარაკოდ მოკლე დროში შესძლო ყოველივეს აღდგენა და იავარქმნილი მამაპაპური სახლ-კარის ადგილზე ახალი სახლ-კარის გამართვა?

ვაქებთან განმარტოება და ერთხელ კიდევ საგულდაგულოდ მოთათბირება არა და არ მოხერხდა. როსტომსა და ბატონიშვილ იოსებს ქაიხოსრო აგიაშვილი გვერდიდან აღარ შორდებოდა და საუბრით იყოლიებდა. ორპირში საცალფეხო ხიდზე გადავიდნენ. ამან დიდი დრო შეიწირა. ნაპირი აქ ჩახრამული იყო, რიყეზე ვეება წითელი ლოდები ეყარა. ხიდისთვის რომ გვერდი აგექცია, სადღაც ცხენს ფეხს მოატეხინებდი. წყალგაღმა, ხშირ მურყნარში, ჯერ თავ-ბოლოშექცევით დაყენებული აჩაჩი ურმები და ურმებიდან გამოშვებული დაუღლული ხარები დაინახეს, მერე ხეებს შუა მოფუსფუსე ხალხსა და მდინის პირზე გაკრულ კვამლსაც მოჰკრეს თვალი.

— მთავარი სუფრა ცუცხვათში დაგვხვდება, აქ, წყლის პირზე, პური გავტეხოთ და ცხენები შევასვენოთ, დალამებამდე ჯერ მაინც შორია!..

ეს ქაიხოსრო აგიაშვილმა თქვა, ხიდისყურში პირველი ჩამოქვეითდა და სადავე შემოგებებულ ახალგაზრდა გლეხის ბიჭს მიუგდო.

— სამხრობა წამოსულა, — როსტომმა ხელი მოიჩრდილა და გამოცდილი მეურნის სიდინჯით ცას აჰხედა. —

რაღა დაგიმალო, მგლებივით მოგვშივდა და ჩვენი საწყალი ცხენების არ იყოს, ხახაც გაგვიშრა, წყაროს ცივ წყალს დაეწაფებოდა კაცი!

აგიაშვილმა იუარა:

— აჰ, წყალი რა საკადრისია! ე ბიჭო, ახალი ამოღებული ცოლიკოური მოართვით ბატონ როსტომს!..

რამდენიმე ახალგაზრდა გლეხი, შორიახლო რომ ზურზუტებდა და ვერასგზით ვერ გაეგო, ქვეყნის ამომგდები ერისთავის ასე დიდი ამბით მიღება რას მოასწავებდა, ერთბაშად მოწყდა ადგილს და ბატონის განკარგულების შესასრულებლად უხალისოდ გაიქცა.

სამხრად დასხდომის წინ, მასპინძლის ყურადღება რომ არ მიექცია, ერისთავმა მარტო ერისთვიშვილი გიორგი დაიმარტოხელა და უჩურჩულა:

— სიფრთხილე გვმართებს, შვილო გიორგი, ეს აგიაშვილი თავს ნამეტანი იქაჩლებს, ფეხქვეშ გვეგება, აღარ იცის, რა ქნას. ჯარი, შენს გაზრდას, ასას კაცად დაყავი და სხვადასხვა ადგილას დასხი. ხალხი გააფრთხილე, სიცოცხლე თუ არ მოყირჭებიათ, იარაღი ყოველ წუთს მზად იქონიონ. ადგილებიც შესაფერი შეარჩიე. ეგ შენ არ შეგეშლება. ღვინით ნურავინ გასკდებით-თქვა. ამ ვაჟბატონებს გზა-კვალი უნდა ავუბნიოთ. ისიც კი არ უნდა გავაგებინოთ ხეირიანად, რამდენი ვართ!

გიორგიმ ხმაამოუღებლივ მოისმინა უფროსის დარიგება და შემდეგ ჩურჩულითვე თქვა:

— ყველაფერს ზუსტად შევასრულებ, მამაჩემო, მაგრამ ღირს ვითომ გზის გამრუდება და ცუცხვათში ასვლა?

როსტომმა მხოლოდ ერთ წამს შეაყოვნა პასუხი. მისი გონება გამალებით მუშაობდა.

— მეც აგრე ვფიქრობ, შვილო, არ ღირს. აგრეც მოვახსენებ ჩვენს მასპინძელს. გინდაც ეწყინოს, არ მოვერიდები. თუ რამე აოხრიათ, აქ ჩამოგვიტანონ. შესაჭმელი აქაც კარგად შეიჭმება და დასალევიც დაილევა. ნასამხრობებს, შენის სიკეთით,. კარვებს გავშლით, ოთხივე კუთხივ მზირებს დავაყენებთ და ხალხს ღამის გასათევად შევამზადებთ.

— ეგ გვინდოდა, მამა, შენთვის გვეთხოვა, შვიდივე ამის მახვეწარი ვართ!

— დიმიტრი აქ გამომიგზავნე, გიორგი, — დაადევნა ბრძანების ასასრულებლად წასულ შვილს როსტომმა. — უმცროსია და ჩემთან დაჯდეს. სხვები იმ ას-ას კაცში განაწილდით, მამა!..

— ბატონი ბრძანდები!..

ქაიხოსრო აგიაშვილს აშკარად არ ესიამოვნა, საპატიო სტუმრის, როსტომ რაჭის ერისთავის, თავმდაბლური თხოვნა და სურვილი რომ მოისმინა. ერთი ორჯერ კიდევ სცადა, როსტომისათვის გადაწყვეტილება შეეცვლევინებინა, მაგრამ როდესაც ზვიადი სტუმრის ყრუ წინააღმდეგობას წააწყდა, იძულებული შეიქნა ფარ-ხმალი დაეყარა და წინასწარ გაუთვალისწინებელ ახალ თადარიგს შესდგომოდა.

❏გაგრძელება იქნება❏

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ქუთათელი

# ზეკარზე

დრო და ჟამი რაღაც უცბად,
შეუმჩნევლად გავიდა —
მას შემდეგ რაც არ მენახა
საირმე და ზეკარი,
მთის ბილიკი დავითოკე,
გავიარე თავიდან,
თუ სადმეა სილამაზე, —
ჭეშმარიტად ეგ არი!
ზეკრის მთაზე შემეფეთა
ირემივით მზე-ქალი,
ჯერედ ნორჩი, მთამ რომ მანკი
ჰხლოს არ გააკარა,
ვით ასკილმა ახლად გაშლილ
თავის ყვავილს ეკალი,
წყაროს ჩაველ, მომაწოდა
ქალმა წყალი ანკარა;
გიშრის თვალთა ელვარებით
ხელად მომაჯადოვა,
მივაშტერდი ტანაშოლტილს,
გული ამიკანკლა,
მინდვრის ნაზი ყვავილების
სურნელება დატოვა,
თვისი ეშხი და სიტურფე
თავზე გადამაყარა;
ქალის ეშხით თავდათრობა
გულში ახლაც მშთენია,
მიჯნურობა ბრძენისათვის
ძნელად ასახსნელია.
განა იგრძნობს იმის ძალას
რეგვენი და ვერანი!
მე კი კაცად მან გამხადა,
მანვე მომასმენია
სერაბიმთა გალობების
ჰანგი, კილო, ჟღერანი;
ზეკარისკენ გავეშურე,
არსად შემისვენია.
ტყეში შეველ, გავირინდე
სილამაზის მზვერავი,
მე ასეთი ქარშოშმანი
ბავშვობაში მსმენია,
როცა მკვდრის მზით განაშუქი
კრთოდა ხეთა მწვერვალი.
უფსკრულიდან არ ისმოდა
ხანისწყალის გრიალი
და ვაგნებდი დაგორებულ
ლოდით სანაპიროთა,
ირგვლივ იდგა მდუმარება,
ტყის სიჩუმე ტიალი,
მხოლოდ სადღაც გულსაკლავად
ხარირემი ყვიროდა.
ეს არ იყო მყვირალობა
ჩხებიანი ირემის.
დაღუპულ ძმას გავსძახოდი,
ჰქუხდა ჩემი ნაღარა,
არსად ჩანდნენ თურქთა მიერ
განგმირული გმირები
და შევიქენ უკულმართი
ჟამისაგან ჭაღარა:
დრო და ჟამი რაღაც უცბად,
შეუმჩნევლად გავიდა,
მას შემდეგ რაც არ მენახა
საირმე და ზეკარი,

მთის ბილიკი დავითოკე,
გავიარე თავიდან,
თუ სადმეა სილამაზე, —
ჭეშმარიტად ეგ არი.
ვთქვი და ციდან ჩამომესმა
თვითმფრინავის გუგუნი,
გაახუნა მთის არწივი,
არწივი ცას გაკრული.
გაარღვია ტყის სიჩუმე,
მღვიმეების უკუნი
და ჩაახშო შავ კლდეებში
ხანის წყალის მაყრული.

## ხეთა ჩივილი

როგორც ზღაპრული ქურანი,
ქარი მოვარდა ისეთი,
რომ დაარბია სურამი,
ტაშისკარი და ქვიშხეთი.
ასწლოვან მუხას შეება,
ის ამოიღო მიზანში.
ვერ ამოძირკვა ვეება
ფესვი გადგმული მიწაში,
განა ბრძოლაში დაეცა
მუხა, წაბლი და წიფელა, —
მზეს რომ ეტრფოდნენ და ზეცას
მწუხრის ჟამს ლოყაწითელას!
ქარს მიუშვირეს მკერდები
ბრძოლაში განაცხელები,
თითქო მოვარდნენ მხედრები
ატოტებული ცხენებით.
სურდათ ცისაკენ ავლენა,
ხმა მესმის დანაკვნესები,
მაგრამ უშლიდნენ გაფრენას
მიწას გადგმული ფესვები.

თავის დარდი აქვს მცენარეს,
ფიქრი, ენა და ქარაგმა,
ატყვია პირმომცინარეს
შავ დედამიწის ბარაქა.
რუხი, ბეხრეკა მუხლებით,
ჯანით და ღონით ქებული,
მწარედ ჩიოდნენ მუხები
ერთმანეთს ჩახუტებული.
„ტყეს ჩვენი ძალა ვუჩვენოთ,
ბრძოლაში გზა დავუდაფნოთ,
რათა არ იქცეს უჩვენოდ
ეს დედამიწა უდაბნოდ“ —
თქვეს და აზიდეს ვედრებით
ცისკენ შრიალა ხელები,
თითქო მოვარდნენ მხედრების
ფაფარაშლილი ცხენები.
სურდათ მტკვრის გაღმა გარბენა,
ხმა მესმა დანაკვნესები,
მაგრამ უშლიდნენ გაფრენას
მიწას გადგმული ფესვები.

## ძველებურ ბაღში

ძველებურ ბაღში, ძველი სახლის ღია სარკმლიდან
არ ისმის ხმები როიალის, ჭიანურისა...
ვარდისუბანი გაიხაზა, სული გაჰკმინდა
და გავიგონე ხმა და ჰანგი სიჩანულისა.

## როცა მესმის სიმფონია მეცხრე

ბეთჰოვენის სიმფონია მეცხრე
შევადარე გაზაფხულის მოსვლას,
როცა სოფელს მწვანე ფერი მოსავს
და მოველით შორეთიდან მერცხლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემო ძველო მეგობარო, ნიკო,
მერცხალი ხომ ასეთივე იყო
ბაბილონში, ეგვიპტეში, რომში,
როგორც ახლა — ჩვენს ატომურ დროში?!
არ იცვლება მისი ყოფა, სახე,
კაცს კი ჟამმა თუ რა უყო, — ნახე,
ახლა კაცი ცის ხომალდით მიჰქრის,
არ ასვენებს ვარსკვლავებზე ფიქრი.
სურს იხაროს კაცთა შორის ძმობამ,
არ გაიდგას ფესვი ახალ ომმა...
ჰა, მოაფრენს გაზაფხულის მერცხლებს
ბეთჰოვენის სიმფონია მეცხრე,
რომ შეერთდეს ამ პლანეტის ხალხი
სიყვარულის და სიკეთის არხით,
რომ მოისპოს სამუდამოდ ომი
და დამყარდეს აწ სუფევა შრომის.

## შაშვის გალობაზე

ბაღში გალობს გალაღებით შაშვი,
ვით ალალი, გულმართალი ბავშვი.
ნათლად ვხედავ ჩიტის ყვითელ ნისკარტს —
ალიონზე მოელვარე ცისკარს.
გალობაში ჟღერს ნაღველი, სევდა,
უხილავად გულს რომ სწვავდა, ხევდა,
შაშვს უსმენდა ნეტარებით დედა,
ახლაც ისევ თვალნათლივ რომ ვხედავ;
გამოვიცან შაშვის უცხო ენა,
რადგან არ მაქვს დაჩლუნგული სმენა.
ახლაც მესმის შაშვის ტკბილი ჰანგი,
მე რომ გულის განმიკურნა მანკი.

## ვერაზე ერთი სახლი მიტაცებს

ვერაზე ერთი სახლი მიტაცებს
ბავშვობიდანვე აჩემებული,
სადაც ცხოვრობდა გრიგოლ ჩიტაძე —
ბრძენი ექიმი, ხალხში ქებული;
ახლაც იმ სახლის მახლობლად ვცხოვრობ,
აგურის სახლის აივანს ვზვერავ,
მაგრამ არ მესმის ძმაკაცთა ქორო
და მთვარიანში თვლემს ძველი ვერა.
მახსოვს იმ სახლის ყველა სარკმელი
და აივანი რკინის რიკულით,
წარსულზე ბევრი თუმც მაქვს სათქმელი,
განა აწმყოდან ვარ გარიყული!?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მე და ტოროლა

ცხრა წყარო გადავიარე,
ცაში იძახდა ტოროლა,
გულში ჰბადებდა სიამეს
ტოროლა თითო-ოროლა.
მზისაკენ მისებრ ვისწრაფვი,
ქციაში ღამენათევი;
ჩონგურს ვაჟღერებ მიზრაფით
და მზისგან მისებრ ვთავდები,
მიწაში გუდა მარხია,
თუხთუხებს ჩონჩის ყაურმა,
აგერ, მცირე რუს არხია,
მომხიბლა მისმა ხმაურმა.
ჩემ წინ ვეება ველია,
დიდ მთებით შემორაგვული,
ცაში გრიალებს ელიას
ეტლი, ჩანს ელვა გაბმული,
ეს ჩვენი ჯავახეთია
ქერით, კალმახით ქებული.

## ღამე მთაში

ძალლი ყმუის ღამით
თრიალეთის მთაში,
ეზმანება ალბათ
გაფრენილი რაში
და ტორების ცემა
ჩაჭედილი ქვაში;
არ ასვენებს ძაღლებს
თრიალეთის ღამე
და მეც კაცის მოთქმა
ყმუილს შევუხამე.
მოდი, მითხარ მთაო,
წარსულ ჟამზე რამე.
თრიალეთის მთაო,
მოდი და ხმა გამე,
ვიდრე ცოცხალი ვარ,
არ ვქცეულვარ ნიღბად,
ვით მოიგო ნეტავ,
თრიალეთის მიღმა,
დიდმა დავით მეფემ
მძლე დიდგორის ომი,
როს მუსრავდა მტრის ჯარს,
ვით მძვინვარი ლომი!?
მოიმწყვდია მთების
ვიწროებში, ხევში,
მტრის ურიცხვი ჯარი,
მგლის ხროვასებრ უნდო,
და გაწყვიტა სულმთლად,
ტომმრავალი ურდო;
აღადგინა ქართლის
კვლავ სამეფო ტახტი,
და მოგვიშთო მრავალ
საუკუნის დარდი.

## როცა გათენდა ატენთან

როცა გათენდა ატენთან,
კლდეზე გამოჩნდა ტაძარი,
არ იყო უზარმაზარი...
ისე მხიბლავდა, რაც არი,
რომ სიტყვა ველარ დავძარი.
თავს ედგა ზეცის ცისფერი,
გადაჭიმული თალები,
გარს ერტყა ქართლის ბაღები
და ქარვისფერი ყურძენი,
სწორედ ისეთი, მზისფერი,
მე რომ ლექსები ვუძღვენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გაზაფხულის სასწაული

გაზაფხულის სასწაული
საკუთარი თვალით ვნახე.
მან გამითბო ბედშავს გული,
მან დამიგო ძველი მახე.
ვნახე, როგორ იშლებოდა
ნუშის, ატმის, ვაშლის კვირტი
და შემოჯდა ხის ტოტებზე
უთვალავი ჩიტი, გვრიტი.
დილით ნუშის ტოტი თრთოდა,
ხეს ფუტკარი დახვეოდა.
ხე ზარივით გუგუნებდა
და არღვევდა უკუნეთსა.

## ჭადარი

მდინარის პირას ხარობდა
ჯავარიანი ჭადარი,
ზედ შავი შაშვი გალობდა,
დღე უხაროდა სადარი.
ჭადარს დროდადრო ვსხეპავდი
ცისკენ ავარდნილს ლაღადა,
მის მწვერვალიდან ვხედავდი
სამშობლოს გაშლილს ბაღადა —
მაღალ, თოვლიან მწვერვალებს
და მწვანე ტყიან მთაგორებს,
მზე თავზე მედგა ელვარე,
ვით ინდოეთში თაგორეს...
მზით შეღებილი, ფერადი, —
ყველა ტაძართა ბელადი,
მთაში ელავდა გელათი,
ვით მარმარილო ელადის.
გარს შემოუვლის სტუმარი,
ავ ფიქრის გადაკიდებით
და კვლავ მალონებს მდუმარი
ნაშთი წარსული დიდების.
მაგრამ ისევ სჭრის ქართველთა
სიმხნე და ძალა გრძნეული,
გაქრა დრო, როცა გვართმევდა
მამულს მტრის ურდო წყეული.

## როკეთი

შემთხვევა მთაში

ავი სიზმარი ცხადად ამიხდა,
როცა დავშორდი ჩემს მეგზურ გლეხებს,
გასიპულ ქვაზე ფეხი დამიცდა
და კლდიდან ხევში გადავიჩეხე.

აქ გამოვცადე ძალუმი მაჯა
და ბასრი თვალის სისწრაფე ძველი;
ჯუჯა ბუჩქს ხეშეშს, ეკლიანს, არჯალს
სალ კლდის კედელზე წავავლე ხელი.

მაგრამ კლდის ჯაგმა იწყო ღალატი
და ამოძირკვა ძეძვის ფესვებმა...
სისხლმა შეღება ჩემი ხალათი
და შიშის ზარით გული მევსება.

ვერ მოვიკიდე სალ კლდეზე ფეხი,
ხელს ნაიარევს მოაკლდა ძალა,
მხრებზე სიმძიმის მაწვება კეხი
და თან მზედაკრულს მისკდება ქალა.

კლდესთან ამაო ბრძოლით გარჯილი,
ფარ-ხმალდაყრილი, შიშით გვემული,
სიკვდილ-სიცოცხლის შორის გაჩრილი
ვარ შავ უფსკრულზე დაკიდებული.

თავს დამტრიალებს, მზვერავს არწივი,
ჩაექანება შავ კლდეს ყორანი,
მზისგან გრძნეული გველი არ წივის
ჩასაქოლი და ჩასაყორავი.

ქვეშ ჩანს ნაპრალი, ლეშთა საფარი,
თვალჩაუდგამი შავი საყორნე,
მაღლა ვარვარებს მზე, ცის ლამპარი, —
ორთავ დამღუპავს, თუ დავაყოვნე.

უღაბურ მთაში არავინ მოვა,
რომ განიზრახოს დახსნა მოკეთის,
მთის სიჩუმეში ჩამდგარა გლოვა
და გულ-ღვიძლს მიღრღნის მუნჯი
როკეთი.

შორს, ქედზე მესმის კვნესა, გოდება.
ვამბობ: იქნების ამირანია!
აღარაფერი არ მაგონდება,
მხოლოდ ვჩურჩულებ: „წმინდა
მარიამ!“

თვალს ეფინება შავი ოლარი,
მე თვით არ ვიცი, რად მიხარია
ხმა ნაღვლიანი ჰანგი, ხორალი,
ბავშვთა გალობა, „დედა მარიამ!“

ჩაქრა მზის შუქი, აწ რამე ხერხი
გადასარჩენად არ მიხმარია.
შორს ქუხილივით სკდება კლდის
ქერქი
და კვლავ ჩამესმის, „ავე მარია!“

კლდესთან ამაო ბრძოლით გარჯილი,
ფარ-ხმალდაყრილი, შიშით გვემული,
სიკვდილ-სიცოცხლის შორის გაჩრილი,
ვარ შავ უფსკრულზე დაკიდებული.

და აწ ვერ არღვევს ღამის უკუნეთს
ლალადი, ღვთისკენ ხელის გაშვერა.
ჰა, ვერტმფრინავი ცაში გუგუნებს,
გამოგზავნილი კაცის საშველად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმედი ჯახუა

## წყურგილე

ჩემი ცის ცრემლი —
ჩემი მიწის ჭრილობებს ალბობს,
ჩემი მზის სხივი —
ჩემი სულის ფსკერს ეწვეთება...
დახარბებული გაჩენიდან
მწვერვალთა ამბორს —
ციცაბოს მივდევ
და ეს ლტოლვაც მეიმედება...

აქ ჩავიმუხლებ —
ხარლაღებმა აქ კლდეს ურქინეს;
როს მყვირალობამ წაუკიდა
სურვილს ალმური...

და მთების სისხლმა
ამოხეთქა კლდიდან წყურგილედ
და ასე გაჩნდნენ
ცივწყარონი ჩემი მამულის!..

შენებრ უშრეტი
გვინდა სული — ჩქერო ცინცხალო!
სისხლიც ქართული —
ათასწლეებმა რომ გადურბინეს!
ასე სიცოცხლედ მომჩქეფარე —
ჩემო ცივწყაროვ,
უბერებელი და უმღვრევი —
ჩემო წყურგილევ!

* * *

უძირო ცათა სიანკარეში
ვარსკვლავი ვარსკვლავს ეხმიანება...
მზიან ქარებში,
ფრთიან ქარებში
ჩაიშრიალეს ვერხვიანებმა...

რამე ისეთი უნდა ინატრო,
რამე ისეთი უნდა ისურვო,
რომ უსხივოდ და უათინათოდ
არ დარჩე სულო, ცა დანისლულო!..

მერე გაუძლო უნდა მოლოდინს
თვეობით,
წლობით,
ათეულწლობით...
ვინმემ ხომ უნდა განვლოს ბოლომდის
იმედიანი გზა შეუცნობლის...

* * *

გული მუდამ გრძნობს რისი დროც არის!..
არ გამაგონოთ გულის გაბზარვა!
მზე ჩამორეკეთ, მზე — ოქროს ზარი —
სამყარო მინდა შესძრას ზანზარმა!
ადუღდეს სისხლი,
მთა ამოძრავდეს,
ფრთები ოცნებას ყველას — ასახდეს!
გამოდით ყველა — დილა მობრძანდა,
აქ, ჩვენს მეზობლად უნდა დასახლდეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ის დადიოდა ფერებით ხელში.
გამსჭვალავ მზერით ღამისფერ თვალთა,
ეძებდა ფერებს
და ყველაფერში
კიდევ რაღაცას, ფერების გარდა.

ფერებს ეძებდა...
და ნამეტნავად —
ერთ ფერს
მუდამ და ხან სად, ხან სად და,
დაშვრა თუმცაღა ძებნით ერთთავად —
მან იგი ფერი... ვერ შეამზადა...

ვერსად იპოვა. ძებნამ დაღალა.
მოტყდა.
ჩამოხმა და ჩამობერდა...
მოხრილი წელში (მაინც მაღალი)
მაინც ჯიუტად იდგა მოლბერტთან.

ეწადა კვლავაც მინდვრად ევლო და
მუხლთაგან ღალატს ძალზე ნაღვლობდა,
ვით ძვირფას სტუმარს, ისე ელოდა
ქარებს, რომ ეგრძნო სუნთქვა
მაღლობთა...

და ბოლო ქარმაც ბოლოს... დაჰბერა...
რაც მოეტანა — თვითვე მიჰქონდა...
მიწამ რომ იხმო,
ფერად შავ ფერმა,
კვლავ კაცის გულის ფერზე ფიქრობდა...

* * *

მე დავიღალე
და სიმშვიდე ვიგრძენი უმალ
და განვერიდე საფიქრალს ყოველს.

ამოდ და ჩუმად
დაისის ბინდი მიეფინა ნაჯაფარ
სოფელს
და გადაედოთ სიმშვიდე ჩემი
(რაიც დაღლილმა ანაზდად ვპოვე),
გზისპირ ასვეტილ,
სანთლებივით ჩამოქნილ ალვებს.

ათასი ყური გამოისხეს ჩამქრალმა
მთებმა
და ყოველ ჩქამს აყურადებენ...
ათასი თვალი გამოება ცას
შეუჩნევლად...

სრულიად მარტოდ
მათ პირისპირ ანაზდად შთენილს
სულის უფსკრულთა ძირისძირამდის
გამჭოლი მზერა მეღვრება უღვთოდ...

და ვგრძნობ შემკრთალი:
პირთავდება ნელინელ სული
იდუმალებით სიმშვიდის სრულის...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალუდა არაგული

## ნოველა

დილა სისხამზე
გამოიტანა მთიბელმა ცელი,
გამოიყვანა ჭაბუკმა ცხენი
და ნაპირას დააბა ღელის.
ქალი ფურს წველის...
მზემ გორისფხასთან ამოყო წვერი, —
და ილასტება მზვარეში ქერი...
ჩამოვლო ვინმე მღერით სოფელი...
ისმის: —
მდინარის,
ხმა,
გუგულის და
ჭრიჭინობელის...
„კრავებს მიდენის სოფლის მადონა"...
ცხენს გადაუსვა ჭაბუკმა ხელი, —
ქუჩს შეაწმინდა მთიბელმა ცელი...
. . . . . .
ნეტავი ახლა მე მეპყრას ცელი,
მე მყავდეს ცხენი
და ფურს დიაცი წველიდეს ჩემი...
ან გამოვლილ წლებს
ოცი მაინც კვლავ მიკლდეს წელი...

■ ■ ■

წიგნიდან — „მე, შენ, ისინი, სხვანი"

იქ სადაც მოკვდა ერთად სამასი
და სადაც წვანან ისინი ახლა, —
მიმოდის ხალხი, — (დღეა ლამაზი).
გამთილვიძა უკვე ჩანს ხალხმა.

იგონებს ხალხი: —
— იყვნენ არაბნი,
თურქნი იყვნენ და იყვნენ მონგოლნი,—
მტარვალნი: —
სჯულის,
ენის,
ანბანის, —
და დამპყრობელნი მერე როგორნი...
და იყვნენ კიდევ სხვანიც მრავალნი,
მავანთა იმათ შემდგომ მავანნი...
მაგრამ რომ იყვნენ...
აღარ არიან, —
აღარ არიან ცოცხლად მავალნი.

რუსთველის ქუჩით მოდის თბილისი, —
ღირდა, —
სიკვდილი ღირდა ამისთვის...
აჰყვავებია გულზე ირისე
ცას მთაწმინდის და მამადავითის.
იქ სადაც მოკვდა ერთად სამასი
და სადაც წვანან ახლა იგინი, —
მიმოდის ხალხი...
დღეა ლამაზი, —
ღირდა, ამ დღისთვის ღირდა სიკვდილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტოლხას ციკლიდან

* * *

ტოლხამ თქვა:
კაცის თუ გინდა ძმობა,
ძმობისთვის ღონეც შეგწევდეს უნდა:
შური არ უნდა შერიო გრძნობას
და არც სხვის დიაცს შეხედო მრუდად.
ერიდო უნდა ლაპარაკს ზედმეტს,
თქმას მითუმეტეს ტყუილი სიტყვის.
და არც გოლეულს არ უნდა ზელდე
ერთისთვის, —
ხოლო სამსალას სხვისთვის.
უნდა გაუგო სიხარულს სხვისას,
იგრძნო ტკივილად, —
ტკივილი სხვისი.
თუ შეხვალ, თუნდაც პალატსა მტრისას,
ძმა უნდა იყო,
შესვლიდან, — მისი...
აი, ამგვარი გრძნობით და ცნობით,
ამგვარი ღონით თუ გიძგერს გული, —
იქნები მუდამ მდიდარი ძმობით, —
მაგრამ სიმდიდრის, რა გითხრა, პურით...
ხოლო თუ საზღვარს ყოველგვარს
გადცდით, —
(აქ ეღიმება ცბიერად ტოლხას.)
დახარბებული ჭამადზე კაცი,
არა კაცია, — არამედ ძროხა...

* * *

რისთვის დაალცვდა მკლავები
მთიბველს?..
რისთვის ატირდა ნამი სამყურის?..
რისთვის გამოხტა ხმალმოღერებით
და გაიცინა ხმალმა ბაკურის?!

რისთვის ჩაიცვეს ვეფხვის ტყავკაბა?..
რისთვის იმღერეს—მგლის სალეკვეთი?..
რაა ეგეთი სამშობლოს ზეცა, —
ან ეგ სამშობლო რაა ეგეთი?!.

მაგრამ იცინის თვითონ მარაბდის
დღე უმზეო და ღონემიხდილი, —
ისეა ტკბილი და სასურველი
ამ მშობლიური ცისქვეშ სიკვდილიც...

უბერავს ქარი, — ფოთლის ნამქერი
მიიხვეტება ტყეზე ქედებად...
ღმერთო, სამშობლო ნუ მომიკვდება —
და ნურასოდეს დამიბერდება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერიკო წერეთელი

## წვიმა ქალაქში

მოდის წვიმა თქეშით,
მოდის ოხვრით, ხვნეშით...
ეძებს მიწას წვიმა,
მიწას — თავის აკვანს,
ვერ ჰპოვებს და ასფალტს
თავს ამსხვრევს და აკლავს.

არაფერი ესმის
მიწას, სუნთქვა ეკვრის,
ენატრება ფესვი
ვარდისა და ეკლის.

არც მკვდრებშია მიწა,
არც ცოცხლებში არის,
ენატრება სხივი,
სხივი მზის და მთვარის.

ენატრება წვეთი,
ერთი წვეთი წვიმის,
ყური უგდეთ მიწას,
მიწა წუხს და წივის!

მოდის წვიმა თქეშით,
მოდის ოხვრით, ხვნეშით...
ეძებს მიწას წვიმა,
მიწას, თავის აკვანს,
ვერ ჰპოვებს და ასფალტს
თავს ახლის და აკლავს.

## ნუ აგვიანებ

ნუ აგვიანებ,
სანამ დღეა,
არ მეფობს ღამე,
იქნება მოხდეს სასწაული,
ინატრე რამე.
და სანამ ეშმაკს შეუცვლია
ეგ ანგელოზი,
სანამ სიწმინდით შუქიანობს
ეგ ავგაროზი,
სანამ თავს გადგას მეამინე
ტუჩმომღიმარე,
ნუ აგვიანებ,
სანამ დროა, ინატრე რამე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ აგიხდეს ყველა ფიქრი
და საწადელი,
რომ მზესთან ერთად ანათებდეს
შენი კანდელი.

სანამ თავს გადგას
მეამინე ტუჩმომღიმარე,
ნუ აგვიანებ,
სანამ დროა, ინატრე რამე!

ნუ აგვიანებ,
სანამ დღეა,
არ მეფობს ღამე,
იქნება მოხდეს სასწაული,
ინატრე რამე!

## ს ა ღ ა მ ო

ალმოციმციმე სანთელთან
ფურცლებს ვფურცლავდი ძველს,
გულს ახსენებდა ფურცელი
წარსულს მძიმეს და ძნელს.

იცრემლებოდა სანთელი,
ვიცრემლებოდი მეც,
სევდით კრთებოდა ნათელი,
სევდით ვკრთებოდი მეც.

საღამო გულს მინისლავდა,
თვალებს ახელდა ბნელს,
შავი ფრთების ქვეშ ისვამდა
ბორცვებს, ტყესა და ველს.

იცრემლებოდა სანთელი,
ვიცრემლებოდი მეც,
მენატრებოდა ისიც და
მენატრებოდი შენც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჭელიძე

# აია-კოლხიდელი ზღვაოსანი

## პოემა

### XV

გამოდიან და ქალაქში
ხივრის სუნი დატრიალებს,
ეხარშებათ სადღაც ხაში
კოლხ ზღვაოსნებს — მადიანებს,
მაგრამ მეფის ქალი სახლში
მისვლას რატომ აგვიანებს?
აიეტის სასახლისკენ
გაჰყვნენ ორნი ძველ უბანს,
გრძელი ქუჩა ახალისებს
და აოცებს ჩვენს ბუბას,
მაგრამ განა აბდალივით,
ყინჩად მიდის ყმაწვილი,
თითქოს ასგზის თავდავლილი
ჰქონდეს დიდი მანძილი...
არ უვლია აქ აროდეს,
არც იმ მხვრინავ ბოლოზთან,
მაგრამ როგორ არ ახსოვდეს,
რაც ძველ სისხლში მოხავსდა.
მრავალ წარყვნილ უბნის შემდეგ
ამდენ ყვავილს ვერ ფერობს,
ბუბას უნდა წუთით შედგეს
და დიდ ქუჩას ეფეროს,
სადაც ბევრი ხე შრიალებს
და შორიდან კაეშნით
კოლხ გოგონებს — ეშხიანებს
მთვარე კოცნის თვალებში.
ვარდის ბუჩქთა სურნელებას
ზღვიდან სუნი იოდის
სასიამოდ უნელდება
და ზღვაც ხალხთან მიმოდის.
გვიანია, მაგრამ ტაძართ
განათებულს დღესავით
თვალი სოფლელ ახალგაზრდის
ვერ უსხლტება ვერსაით.
უცებ დგება და ბუბა
ეცხოთ მზერას დაალახვრავს,
თითქოს დღეს დაელუპა —
ვინც ყავდა და აღარა ყავს.
ფილაქნებთან სუფრებია
ბოძსმიბმული ვერძებით,
ღამის კერძით სუქდებიან
დაბერილი ბერძნები...
ყველას ისე მოაქვს თავი,
თითქოს ღმერთმა დაბადა,
თითქოს ყველა ძე-მოკვდავი
ნადირია, მათ გარდა.
ყველა ძლომისმოყვარეა
და სმა-ჭამით ორსულნი
არც ფიქრობენ, რომ არიან
სხვის მიწაზე მოსულნი.
მათ შეუბღვერს ოდოერია:
„კარგად ჭამეთ, იქვებეთ.

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 5, 6.

თქვენი მადლით ობოლი ვარ,
ბედი თქვენ დამიკვებეთ.
გარდიგარდმო ჭადრებიან,
ვაზნარიან სწორ ქუჩას
დუქნის ფარდებ-ჩადრებიდან
მრუდე პირიც მოუჩანს.
და ბუბა ითაკილებს:
„ჩვენს სატახტო აიაში,
ლამაზ უბანს რად იკლებს,
რაში არის საქმე, რაში?..
ყრის ჩონჩორიკს და ტლინკებს
ეს ამდენი შავი რაში.
ურიცხვ ფლოქვთა თქარათქური
სოფელს ეუცხოება
და შეზარავს ქალაქური
შიშის ზარით ცხოვრება.
იმწამს შავი იორღით
დიდვეზირიც გაიელვებს:
— ქუჩა არის თუ ღორღი
გაუმართავთ აიელებს?
რატომ ჩვენებრ არ დადიან,
თუ არიან ჩვენები?
რად აფრთხობენ ადამიანს
დამთხვეული ჭენებით?
— მათი მოდგმა, მათი ჯიში
თავის ჭიას ახარებს. —
თქვა მედეამ და ძლივს, შიშით
გადავიდნენ სხვა მხარეს.
და შეთანხმდნენ ერთმანეთში,
გზა როდესაც გალიეს:
აშფოთებდა ეს თარეში
თვით უმაღლეს აიელს.
მათ ცხელ გულზე, ძველ თალარში
ხილის წყალი დალიეს.

## XVI

რა ედრება აიეტის
სრასასახლის დარბაზებს,
ზღვა სიმდიდრის და დიდების
ელვარებას ზარდამცემს,
სადაც ერთი კაცის მეტი
ყველა შეთვრა, ბარბაცებს...
და ის ერთი კაციც თავად
მზისძე აიეტია,
დიდვეზირთან ჩანს ტიტანად —
ათი თავით მეტია,
ოქროს მაღალ ტახტზე ნაღდად
მეფე არა — ღმერთია.
მის ზღაპრულად ლამაზ გვირგვინს —
ალმასებით ნაწვიმარს —
იაგუნდი რკალავს ირგვლივ
და ხელმწიფის თვალწინაც
ოქროს სვეტებს რა დაითვლის
და უამრავ სხვა წვრილმანს...
ჭერად ბალახშ-მარგალიტის,
ფირუზ-ლალის ცა ბრწყინავს.
აი თურმე ვის ეღირსა
თელვა ამაოების!..
მის ფერხთით ძევს, ის რაც ისარს
მსხვერპლად აღარ მოელის:
ტყავ-ნოხები ჯიქებისა,
ვეფხების და ლომების,
ღელავს ნანადირევის ზღვა
და ნადავლი ომების,
რასაც ბუბამ პატივი სცა
თვალის ერთი მოვლებით.
მას ზიმზიმი ზღვა სიმდიდრის
თუმცა მზერას ულაღებს,
მაინც არჩევს მათი მინდვრის
ცვრიან ბალახ-ბულახებს.
ჩასჩურჩულებს იგი გვერდზე
ნიღაბმოხსნილ მედეას:
— ახლა ჩავხვდი, ოქროს ვერძი
თურმე რად გდომებია —
ცხვარს იმდენი არ აქვს ბეწვი,
თქვენთან რაც ლომებია.
მეფე ასულს გადაკოცნის
ჯიშიანი ლაშებით,
მისთვის უკვე კარგად ცნობილ
ყმაწვილს კითხავს: — რას შვრები? —
გაუღიმებს თანაგრძნობით, —
რას იქმს ბაბუაშენი?
მან იმ ღამეს, რა ჩამოთვლის
რამდენჯერ თქვა „რას შვრები“...
თუმცა ყურს ჭრის ჯანკა-მგოსნის
ანეგდოტნი მლაშენი,
მაგრამ გული კი არ მოსდის,
ჩუმად ტუქსავს: — რას შვრები?..
ალისფერი კრიალოსნის
ხელში შეთამაშებით.
მაშ, დღეს რა სჭირს და რა უჭირს
კოლხთა რწმენას და იმედს?...
თვალი თუმცა კარგად უჭრის,
მაგრამ ყველას არიდებს;
რა სჭირს ჭარმაგს, განა დუხჭირს —

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა აჭმუნვებს აიეტს? —
„რას შვრებიო“ — თვალმოხუჭვით
არას ამბობს ამის მეტს.
ყველა დროის სპათა რისხვას,
მლახვრელს უკანდამხევის,
მოწიფული ასაკისას
ხელმწიფისა აქვს ხელიც —
ოქროს ტახტი მან აღირსა,
განთქმაც დიდი სახელის,
მტრისას!... სწვდება ვადას ხმლისას
სიღრმე მისი ნახმლევის.
ჰექს მუსიკა, ისვრის პეწკლებს
მაჭარი ოჯალეშის,
ჩქეფს და თვალებს უნაპერწკლებს
სტუმრებს — უკვე გალეშილს,
მათ ხორხოცში მეფე ვერ ძლებს,
არ სვამს, ჭმუნვას არ იშლის,
შორით ჰვრეტს და უალერსებს
უსაყვარლეს ქალიშვილს.
მეფის ჭმუნვა შავ კაეშნით
თვითონ მეფემ იწყინა,
ღვინო მოსვა აზარფეშით,
დაემგვანა სიცხიანს;
შვილს გახედავს და ძარღვებში
იგრძნობს ტკივილს სისხლისას,
იტყვის: „ჩემსავ სასახლეში
ვინ მომიშლის მის ხილვას?“
მიაკითხა მეფემ ჰადრაკს,
დასძრა შავი რაშები.
წამოიჭრა ზეზე ჯანკა:
— დიდო მეფევ, რას შვრები?
თქვენმა ცხენმა გამიჭაკა,
ფეხს ვერ ადგამს ეს ვირი!
თითქოს დიდად დაიჩაგრა,
ღრმად დამწუხრდა ვეზირი.
ჰექს მუსიკა და ირყევა
ძრო ვეება შენობის,
შიშით, ძრწოლით გარბის ყველა,
ნიშნად უსაშველობის,
დიდ დარბაზში ხარისხელა
ხვადი ლომი შემორბის.
ძლივს მოასწრო აიეტმა
გაკეთება როქის...
ჰექს მუსიკა და მედეა
წრეში ცეკვით მოქრის;
ნადირთ მეფეს ზედ შესდგება
ბედისწერის როკვით.
ხალხმაც, შიშით შეპყრობილმა,
იწყო თავისმოყრა,
უზარმაზარ შენობიდან
ზღვას გადასწვდა ოხვრა...
და უწყდებათ წამით სუნთქვა
იმ სცენისას, სადაც
მონამ მზისა თავისუფლად
ამოსუნთქვა სცადა.
ჰექს მუსიკა და ეს ცეკვა
აღწევს ერთ დიდ მწვერვალს,
სადაც მსხვერპლი გაექცევა
თავის ბედისწერას.
ხვადი ლომი გარეთ გარბის
და მუსიკა წყდება,
დაქანცული ჯადოქარი
ლომის ტყავზე წვება.
მას თვალთაგან წამოსწვეთავს
ორი წვეთი ცრემლის
და მთავრდება წარმოდგენა —
როკვა ბედისწერის.
გაალმერთეს მეფის ქალი,
ვაშა შეაგებეს...
და პაიკით დედოფალი
გაუცოცხლდა მეფეს.
არგონავტთა მაგიდიდან
თქვა ვილაცამ ნაკვესი:
— არ გვიყვარდეს — რას მიქვია,
ღვინო, ქალი და ლექსი?..
ვაჟკაცთათვის რა რიგია —
არ სწყუროდეთ ალერსი!...
დიაცობამ გაიღიმა,
გულში მოხვდათ ანკესი.
ფიქრობს ბუბა: „ანგარიშით
ჩამოსულან აქ ადრიან,
ოცნი ჩანან სასახლეში,
სხვანი სხვაგან დადიან...“
გულის კართან მოსდგომია
რაღაც უცხო სხვა განცდა,
თითქოს ბუბა ოდორია
ახლა, ამწამს დაკაცდა.
ჰაერს ხარბად ჩაისუნთქავს
და გაივლის მხარგაშლით,
თავს გრძნობს ისე თავისუფლად,
როგორც წელან — შავ ზღვაში,
როგორც სოფლად და მის უფალ
ჯოტო ბაბუასთან — შინ,
თუმცა უხმობს ხმაიდუმლად
წინათგრძნობა განგაშის,
რისხვით უმზერს ღამის სტუმართ,

მაგრამ ზეიმს არ დაშლის.
არგოსელთა მაგიდიდან
ვინც ისროლა ნაკვესი,
ერთი ზორბა ტანის ვირგლა —
სახით ულამაზესი —
ის ბერძენი აიზრიქა
და ექსპრომტად თქვა ლექსი:
— აიაში მტრედია,
იცით ვისი ბედია?
ვისი მოიმედეა?
მას რა ჰქვია?...
— მედეა!.. მედეა!.. მედეა!.. —
დაიჭექა სამჯერ მეხად
იმ ოცივე ბერძენმა
და ოცივემ მარჯვედ, ერთხმად
მედეა ადღეგრძელა.
მეფის ქალმა არ იკადრა
მას ხლებოდა ალერსით,
გაუღიმა და მიმართა:
— წაგვიკითხე სხვა ლექსიც.
თქვი იაზონ...
და რაც სურდა,
რაც ეწადა იაზონს —
გულს უხსნიდა ქალს კაცურად,
როგორც დიდიხნის ამფსონს:
— რომელს ეტრფის ბევრი ერი,
სხვა ერთია რომელი?
თუ ვინმეა ბედნიერი
მისითაა ყოველი.
ის ერია ჩემი ერი —
სიბრძნის მანათობელი;
მისი შვილი ერთს ვუმღერი,
კოლხეთს მისთვის მოველი,
ვპოვე ქალი მშვენიერი,
მის ხელს მალე მოველი! —
ტაშით ყველა ფეხზე ადგა,
მაგრამ ლექსი ვის ახსოვს!
ტაშს უკრავენ მედეას და
ულამაზეს იაზონს.

XVII

როცა დაცხრა და მიწყნარდა
ხმები ტაშის და ლექსის,
ბუბა გაწყრა:
— მაგის გარდა
სხვას ბერძნული არ ესმის?
ლექსიც ისე გაიაფდა —
მას დარჩა ასპარეზი?..
ხალხი გაშრა და გახევდა,
მაგრამ რა მიზეზია? —
მეფე თვალებს არ ახელდა,
არა, კი არ ეძინა;
არ მოსწონდა მას ბერძენთა
თავის ასე აგდება,
შერჩეულ დროს დაეძებდა
ანდერძის ასაგებად,
მაგრამ სისხლში რაღაც შიში
გასჯდომოდა ხანდაზმულს,
ველარ ყრიდა ანგარიშში
სასტიკ ომებს გარდასულს.
ბერძენთ ძალა აღმართს ხნავდა...
თუ იტყოდა საძრახისს —
მყისვე ცოცხლად დამარხავდა
კარი მისივ სასახლის;
ან ზურგსუკან „მომუშაკე"
წამოყოფდა ყველა თავს
და აშკარად მოშურნალნიც
წაჰკიდებდნენ ელადას.
მეფე მტერთან რიდით, ბრძნულად
პოულობდა საერთოს,
ფლობდა ბერძნულს და ბერძნულად
არ მართავდა სამეფოს,
კი ეკუთვნის საყვედური,
ოღონდ, ახლა რა ექნა?
ბიჭი მძლე და გაბედული
ჯალათის ხმლით აექნა?
ორად ქცეულს — ლომს და მძევალს;
ომების გმირს და დუხჭირს
სხვა გზა ველარ მოეძებნა,
გარდა თვალის დახუჭვის.
არ გაუწყრა იგი ბუბას,
სიტყვა მოუსმინა რა,
შეადარა მის ბაბუას,
თავი მოიმძინარა.
მორღვეოდა ჯანკას ყბები,
ენა ველარ მოკეტა,
სხვა ვერ ნახა გასაღები
მეფის ვეზირ-პოეტმა:
— რადგან ლექსმა აგამხედრა,
ლექსი ახლა შენზეა! —
თქვა და ყმაწვილს გადახედა
სულწასულმა ვეზირმა.
ეს ვისი ხმა ესმა ბუბას?...
იცნობს სამტროდ გაჩენილს;
„თუ დამღუპავს, ეს დამღუპავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტერი ბაბუაჩემის“, —
ადგა იგი და თარჯმნისთვის
ბევრი რომ არ ეზრუნათ,
საპასუხოდ საკადრისი
ბალადა თქვა ბერძნულად:
— დიდი საბერძნეთი სხვის შვილს
როცა აღმერთებდა ერთხმად,
გმირი პელასგოსის შიშით
ქედი მოიხარა ღმერთმაც.
ყველას, ელინების გარდა,
ვით დღეს, ბარბაროსი ერქვა,
უცხოს ადიდებდა ზართა
გამაყრუებელი რეკვა.
ოდეს დაუღამდა მოკლულს
ციხე-გალავანთა რბევით,
მაშინ დააბრალეს ლომგულს:
„სისხლი დაღვარაო ბევრი“
როცა ელინები ჭირშიც
პელაზგს აღმერთებდნენ ერთხმად,
შუქი პელასგოსის ჯიშის
შარავანდედივით ერტყათ.
როგორ დააფასეს ბოლოს
პირმშო უშიშარი ხალხის?
უცხოს დააცქერდნენ, როგორც
ომში გადატეხილ მახვილს.
ქვეყნად აღზევების ღირსის
ფესვიც მოიძიეს, სისხლიც,
ძველი გაუხსენეს მოდგმა,
დასწვეს, მიაყარეს მიწა,
გმირი პელასგოსის ცოდვად
მისი უცხოობა იქცა! —
დაამთავრა ბუბამ ლექსი —
ბერძენთათვის ღვთის წყევლა
და მედეას ლურჯ თვალებში
შიში ამოიცრემლა.
შიშმა საკუთარი ბედის
და მომავლის წინაშე
კვლავ აგემა აიეტის
ასულს ცრემლის სიმლაშე.
ლხინი ღამისმთეველთა
შეწყდა ყველა მაგიდასთან,
ხროვა ფარისეველთა
აყაყანდა, აგნიასდა.
ჭროღა თვალებს აცეცებდა
და იმ ოქროს ვერძივით
ოდორიას დაეძებდა
აიეტის ვეზირი.
და ბრბო აბა რის ბრბოა,
რომ შეცვალოს დრომ და ხანმა:
ყველამ იმ დროს იდროვა
ლანძღვით გულის მოსაფხანად.
ოღონდ ეპყრას სასმისი,
ვინმე რამეს შეაჭმევდეს,
იგი მზესაც ხალისით
და უფალსაც შეაჩვენებს.
გაეპარა სტუმარი
ოჯალეშით დამბალ ვეზირს,
თუმცა მსტოვრის გუმანით
მოვლო ეზოც, დარბაზებიც,
ბოლოს მთელი უნარით,
ბანოვანთა თანდასწრებით,
ბუბას და ბაბუამისს
შეუკურთხა გაბრაზებით.

XVIII

სადღაც ისმის ყივილი
მთვარის და მზის შუამავლის,
ქუჩას სიმწრის ღიმილით
მისდევს მგზავრი შუბლმაღალი,
და ეხვევა მღილივით
ნისლი გრილი შუაღამის.
მიდის მთავარ ქუჩაზე,
მდევარს კი არ ემალება,
ის არც ნაბიჯს უჩქარებს,
არც სიცოცხლე ენანება,
უცქერს ვარდის ბუჩქნარებს
და ოქროს თმა ენამება.
„ნუთუ მეფის მრჩეველი
შინ გამიშვებს ჩაუქოლავს?“
თქვა და ფიცხელ ჭენებით
უცხომ როცა ჩაუქროლა —
ფიქრის შეუჩერებლივ
უქო ბუბამ ჩაუქრობა.
„მხრებზე რისთვის გაბია?
დორაა თუ გოდორია?
თუ საარყე ქვაბია —
თავი — დინჯი რომ გგონია?
ეგრე რამ გადაგრია
ჩემო ბუბა ოდორია...?“
ის, ვინც გახლდათ სანუკვარ
საწუთროზე სულ სხვა აზრის,
თავს იწყევლის საკუთარს —
ობლობაში ჩუმად გაზრდილს,
ვიდრე ძველ ნავსაყუდარს
მიადგება შუაბაზრით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს ესმა ხმა ბუბას,
სადაც შარა ქუჩავდება,
შეწყვეტს თავთან საუბარს:
დიაც მხედარს ბუჩქნარებთან
შავი რაში დაუბამს
და ხმამაღლა უჯავრდება.
შედრკა, თითქოს მთვარიანში
ბუბას შუბი ესროლეს:
„აქ რა უნდა შავი რაშით
მწყემს გოგონას — ჩემ სოფლელს
ასე გვიან აიაში,
ჩემი კარის მეზობელს?...“
გოგო იგი — ლურჯთვალება
მთვარიანში ჰგავს იას,
ბუბას სუნთქვა უჩქარდება
და ნამუნჯარ ბაიას
ერთს შესძახებს უცაბედად:
— ჩემს თავს რა ამბავია?!...
ნაბრძოლს მეფის სასახლეში,
დაღლილს, თავბრუგაჩენილს,
ყმაწვილს ძალა აღარ ერჩის,
დღეს იწყევლის გაჩენის:
„ბაიაა, ალბათ, ელჩი
საწყალ ბაბუაჩემის...“
— გიკვირს რა მსჯის, რა მაწამებს?
ბალღო, რა ჰქმენ ამ ღამეს?! —
კითხავს ქალი და წამწამებს
როცა დაახამხამებს,
ბუბა მეფის უფალ ასულს
იცნობს თმებით და ხმითაც,
ძლივს მოითქვამს სუნთქვას და სულს,
ხმას უძლურად გაკმინდავს:
„ჩემსავ ხელით ვარ საცემი,
თვალმა რად გამაწბილა?
წინ გამისწრო წელან ცხენით“, —
გაიფიქრა ყმაწვილმა
და ძლივს უთხრა მას დარცხვენით:
— რა ვქნა, სულმა წამძლია.
გაუღიმა ქალმა ლაღად,
შუაღამით მოდგა მზე,
აღარცერთმა დაახანა,
საქმე მიდგა კოცნაზე.
— დაგეძებენ. გასწი ახლავ,
გასწი, გიცდის ბოლაზი.
იქ დაგხვდება შენ ის გლახა —
ჩვენი კეთილ-მოყვასი,
ვინც იკლავდა თავს ამაღამ
და წამალი რომ ვასვი;

ნუ მოაკლებ, თუ გთხოვს არაყს,
ყაბულია ცოტასი.
არ გვყოლია ქვეყნად, არც გვყავს
ბრძენი მისი ტოლ-ფასი.
უნდა მოვითმინოთ ცოტაც,
შეგვეწევა მზით ღმერთი! —
თქვა და თქარათქური ფლოქვთა
შარას შესძრავს ისეთი,
თითქოს გზაზე ათას ქოთანს
ამსხვრევს ეშმაკისერთი.

## XIX

ახსოვს ბოლაზ-ნავსადგურის
ბახუსისგან ნაბრძანები:
არ დააფრთხოს, დაათროს
ხომალდები და მგზავრები.
რის დაფრთხობა!... პირიქით,
მუშტრით ეზოც ავსებია,
ნაგებს თეთრი თლილი ქვით
ქვეყნის ხალხი დასევია.
მუხის მკვრივი დახლები
დაზნექილა პურმარილით,
მგზავრი, მათი მნახველი,
არ ჩაუვლის სტუმარივით;
კათხა ღვინოს რომ დალევს,
რას დააკლებს ზღვა და რყევა,
კიდევ მოხვრეპს ოჯალეშს
და ელარჯით დანაყრდება.
საქმე აქ არც საქვეყნო,
არც სხვა ვალის მოხდაზეა;
ლატაკების სათიხნო
და ოჯახიც ბოლაზია.
მათრობელი ჰაერი
ბაკხ დიაცზე მაცდურია;
თვლემს კუპრებში ჩხავერი,
რუმბში ალადასტურია.
მაგრამ მაინც სხვა რამ უყვარს
ზღვის მგელს და ძველ ზღვაოსანს.
არაყს ისე გადახუხავს,
ლუკმასაც არ დაყნოსავს.
სანთლის, თუთის, ქერის, ანწლის,
ჭაჭის მოჩქეფს სასმელი,
როგორც მწირი ბერიკაცის
შვება უკანასკნელი.
ძველ მეკობრეს ლოთობა
ვიდრე საპყრად დაგდებდა,
დათვრებოდა და ხომალდს
შმაგ სიმთვრალეს გადასდებდ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვის დოსტი და ძმაკაცი —
ჯანში გამჯდარ არყის ეშხით
წუთისოფელს ბარბაცით
დაათრევდა ქარიშხლებში.
ახლა წევს და ელის ყმაწვილს.
რომ აღირსოს არაყი —
თაფლის, ჭაჭის, ქერის, ანწლის,
თუთის... იყო ან რახი.
როგორც ცხვარი იალალზე —
ხვატით გადამშეული,
ყრია ხალხი იატაკზე,
ლოგინს გადაჩვეული.
გლახაკებში იცნობს უცბად —
ვისაც ყოფნა მოსძაგდა,
მივა ბუბა იმ მოხუცთან
ვითარც წმინდა მოძღვართან...
წამოდგომის თავი არ აქვს,
ჰაერს ხაფავს, არ ყოფნის.
ოდორია ანწლის არაყს
აწვდის იავარყოფილს.
გაუჭირდა გლახაკს მოსმა
და მედეას დაწყევლის:
— მკვდარი რისთვის გამაცოცხლა,
თუ იცოდა რაც მელის:
თუ მიწამლა, რად არ მომცა
ძალა კათხის აწევის? —
ბერიკაცმა ხმა გამოსცა
სიმწრით ნაგვემ-ნაცემის.
მათხოვრებთან ძირს ზის, იქვე
და შესცქერის ყმაწვილი;
დაანარცხა ზიზღით პირქვე
მწირმა კათხა დაცლილი.
წუხს, წრიალებს, შფოთავს ლოთი;
— ჯერ ნუ წახვალ, აქ დარჩი.
მზეს უმადლე, რომ არ მოვკვდი
ლატაკთ თავშესაფარში, —
თქვა მელოტმა, ფეხშიშველმა,
სიმწრით ნაცემ-ნაგვემმა, —
უსაშველოს შენი შველა
დამაკისრა განგებამ...
მან მედეას ბაგეთაგან
სასომიხდილს მიბრძანა
და ანდერძად დამიბარა
ჩემმა შემწე მისანმა —
გაუწინდროს გზანი შარად
იმ ყმას დიდმა მიზანმა,
ვინც ნამლევი მთვარის დარად
ღამით გამომიგზავნა.

ეს ბოლაზი სოდომია,
სადაც სძლევენ ღვთისავ შიშს,
ხალხი ცოდვით მოგროვილა,
იბილწავენ სისხლს და ჯიშს,
შენ კი, ბუბა ოდორიავ,
გიცნობ ჯოტოს ზრდილ ბიდიშს...
არ დამძრახავ სიტყვაძვირი
გლახაკს — არაყმორეულს,
ვკვდები, ვეძებ სიყმაწვილის
ჩემს შორეულ ორეულს.
მკერდზე იშენს იგი მჯიღებს,
უბეს შემოიტრიტავს,
ძლივს აგლეჯავს შიგნით ჯიბეს
თიხის ფერშავ ფიროფიტას.
თვალს შეავლებს ყმაწვილკაცი
შავზე თეთრად დანახაზს,
ერთად, განა ნაწილ-ნაწილ
ასწრებს გემის დანახვას.
დიდი ბორბლის ლვედ-ლატანი
ტარზე ეკვრის ას ნიჩაბს,
იგრძნობს იგი მთელი ტანით —
ეს მანქანა რას ნიშნავს:
ზღვაში მძლავრი ფრთების დაკვრით
გაკვეთს გრიგალ-ქარიშხალს.
და გალვარა ოფლით ბუბა
სულში ქროლვამ ქარცეცხლის;
შურით სახე მოელრუბლა
ყმაწვილს სახეალეწილს:
„ერთხანს რაზე დამიმდურე,
რატომ მტანჯე, უფალო?
სისხლი რითაც დამიმდუღრე,
რითაც დამწვი უკვამლოდ,
რითაც ტვინი გამიხურე,
რაც ვერ ვპოვე, უფალო,
რა იოლი არის თურმე
და რარიგად უბრალო!“
ბერიკაცი უგებს ყმაწვილს:
— ნუ იმღვრევი კაეშნით,
ხვედრი განა უმალ გაწვდის,
რაც სიბრძნეა ჰაერში.
ბოლმით ბევრჯერ გულზე გავსკდი,
მზეს შევჩივლე: „რას მერჩი?“
საიდუმლოს სულში ჩავწვდი
ბრძოლით უკუნ ღამეში.
სასწაული ქვეყანაზე
ხდება დროის გარეშე!
მტრის ხომალდთა რბევა-ძარცვით
ზღვა მეც მოვითარეშე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხო გზებზე თრევით გავცვდი,
წლებმა სიმწრით დამგუშეს,
ჩემი ერთადერთი განძი
გიანდერძე, განდე შენ.
დროს და ჰაერს გამოსტაცა
კაცმა რწმენა მომავლის...
ჰქონდეს ხომალდს, აფრის ნაცვლად,
ასფრთიანი ბორბალიც.
ამირანმა საოცრებად
ცეცხლი ჩამოგვიტანა,
მაგრამ თვალის აღმოჩენა
შესძლო სულ სხვა ტიტანმა —
ვინც ქამთასვლას წარუშლია,
ვინც იომა ღმერთებთან,
ვინც უხსოვარ წარსულიდან
სხვა მყობადში ენთება
რწმენად, სწრაფად და წყურვილად
ქცეულ სულისკვეთებად.
სისრულისკენ ილტვის მარად
თავი აზრით ალსავსე
და მზის დარად, ისიც მრგვალად
ნათობს ამ ქვეყანაზე.
ჩარხს და დოლაბს, ეტლს და ურემს
რა ძალაც ძრავს მბორგავი —
ხუნდებდაკრულ მეზღვაურებს
ხვალ-ზეგ შეცვლის ბორბალი.
და ხომალდი ერთი მოსმით
ზღვას რომ დასცემს ას ნიჩაბს,
დრო აღნუსხავს, ჩვენი მოსვლის
დღე ამ სოფლად რას ნიშნავს.
აიეტი ქებით მოსილს
ამირბარად დაგნიშნავს...
მე კი წავალ, — თქვა მან ხვნეშით, —
ვინ მახსენებს ამბოკარს,
ზიზღს ველოდი სასახლეში
და პანღურის ამოკვრას.
ვერ შეუველ კარისკაცებს,
ვერ წარვდექი მეფესთან;
ტახტის რისხვა და სიმკაცრე
ჯანკად შემომეფეთა.
მან წამგვარა ეს ფირფიტა,
მან ჩამაგდო ხაროში;
დავჯაბანდი და იმ დღიდან
ველარაფრით გამოვრჩი.
იავარმყო და უნდოდა
ჩემი ცოცხლად დამარხვაც,
მაგრამ ვერრა გაუგო რა
უგუნურმა მაგ ნახაზს.

ის უფრო დიდ წარჩინებას
და მეტ ალაფს ელოდა;
მე კი ხარომ — საშინელმა
დამხრა, გამამელოტა.
ერთი შავი მორიელი
ცხრა თვეს მიდარაჯებდა
და ვფხიზლობდით ორივენი,
უძილობა დაგვჩემდა.
მე მეწადა მოკვლა მისი,
მჭვრეტდა ისიც ზემოდან...
მე ვცხოვრობდი მომავლისთვის,
ის ჩემზე ოცნებობდა.
ჩამომიგდო თავად ჯანკამ
ბოლოს თოკით ფირფიტა
და იფიქრა, ალბათ, ჭკამა
ცოდვა გამოისყიდა...
სჯობდა ლოდი ჩამოეგდო,
გვიშველიდა ორივეს,
დაგვმარხავდა სასიკეთოდ
მე და იმ ჩემს მორიელს.
რომ გგონივარ ღრმა მოხუცი
სახეს ბნელი ორმო ცვლის;
ჩემი წლები ხარომ უწყის —
შარშან გავხდი ორმოცის.
ეჰ, დამჩაგრეს რა გულმკაცრად!
ხვედრი არც მათ შეარჩენს...
ეჰ, მივაჩნდი სწავლულ კაცად
მარტო საწყალ დედაჩემს.
ოდეს აიეტის ქალთან
მაგ ფირფიტით მივედი, —
ტკბილად გადიმების გარდა,
ვერცხლიც მიძღვნა მცირედი,
მაგრამ დაპირების ვადა
გადის და დროს მივენდვი;
ჩემი წასვლის ჟამი დადგა,
დამრჩა შენი იმედი.

### XX

— დაძონძილო, ფეხშიშველო
გლახურ სიკვდილს გადავრჩი,
რამეთუ შენ, შენ მიშველი,
შენ დამმარხავ შავ ზღვაში,
ვგრძნობ, დილამდე ველარ გავძლებ;
ნავით შევალთ მარტონი...
შენ იქნები ქვეყანაზე
ამ ზღვის ბატონ-პატრონი.
გაქროლებ ფრთამალ ხომალდს,
ჯილდოც ბლომად გერგება.

მაგრამ ერთი კაცის ხსოვნაც
გაისაგზლო ეგება.
ოდორია მოხუცს უჭრის:
— მმართებს შენებრ ჭირთთმენა,
ბრძენო, როცა კოლხეთს უჭირს,
ჯილდო რისთვის მჭირდება! —
წარმოიდგენს ბუბა წამით
მტერს ქედმოხრილს, მორეულს,
თან ამხნევებს გულდამწვარი
თავის საპყარ ორეულს.
მწირს მის ხმაში თავი ეცნო
და წასვლამდე თქვა ოხვრით:
— სისხლი უნდა წარირეცხოს
მხოლოდ სისხლის ამბოხით.
ზღვისპირ ხალხი მოგროვილა,
ბრძენს ბოლო გზას ულოცავს,
აწვენს ბუბა ოდორია
თავის ნავში სულთმობრძავს.
დინჯად ქაჩავს იგი ნიჩბებს,
აღარ ესმის მგზავრის ხმა, —
ვისაც მალე მიანიჭებს
სრულ სიმშვიდეს შავი ზღვა.
მიყავს ლატაკ-ამბოკარი
ლოთი-შფოთი თავნება;
ნაპირიდან ჯადოქარი
უმზერს ზღვისფერთვალება.
მეფის ქალი მიაცილებს
წყვილად — აწმყოს და წარსულს —
დაბრძენებულ სიყმაწვილეს
და სიბერეს დათარსულს.
ზღვიდან პირი იბრუნა,
გაქრა იგი ხალხში ბოლოს,
ორნი როს დაიგულა
ბერძენთაგან სამშვიდობოს.
ყმაწვილს იერგამოცვლილს
შუბლზე ემჩნა საფიქრალი,
როგორც ქვიშას — ჯადოსნის
ნატიფ ფეხთა ნატერფალი.
ბუბა ხვალის საზრუნავთა
ჩვეულ დარდით და ფიქრით
თითქო სიზმრად დაცურავდა
ასი ნიჩბის ასი ფრთით.
მისი ნატვრის მძლე ხომალდი
აფრის ჩეროს ნატრული
იყო ხალიბ მეფოლადის
რკალით შემოსალტული.
მაგრამ მალე სხვა განცდა
ამჩატებს, როგორც ნიავს,

საპყარისგან ანაზდად
ხმა მოესმის ოდორიას:
— დრო გარბის, გარბის,
დროს ვერ ვეწევით
და ყველა თავის
დროზე ვეცემით...
დრო გარბის, გარბის,
დროს ვერ ვეწევით...
შენც იმღერე, იმღერე,
ჩემო ბუბა ოდორია,
მჭკნარი ხეა სიბერე,
სიჭაბუკე კოკორია.
ვჭექოთ ომახიანი,
შენი ძმობით მომაქვს თავი! —
თქვა და ბოლოს ხრიალით
გაირინდა მომაკვდავი.
სულის ამოხდომამდის
სათხოვარი უხმოდ ბრძანა:
უძლურ ხელით ხომალდი
შემოხაზა სულთმობრძავმა.
აღისრულა, რაც სურდა —
მყობადისთვის თავდადება.
ბუბას აღარ ძალუძდა
ცხედრის წყალში გადაგდება.
არა, როგორც შორეულს —
უმრწემესი ძმის ნუგეშით,
იგი თავის ორეულს
ჩასცქეროდა ცივ გუგებში.
„ალბათ, კიდევ შევხვდებით,
სადაც ტალღა გადაგვისვრის:
არ გაწყდება შემთხვევით
გზა უზღვარო მარადისის.
მიცურავდა ყმაწვილი
ორეულის მკაცრი ხვედრით,
საწუთროსგან გაცლილი,
გატანჯული კაცის ცხედრით.
ვინც იგემა კარგახანს —
სულის ჯვარცმა როგორია
და ვინც აგრე ამაყად
ჭირს გაუძლო, როგორც გმირმა,
მას, ანდერძის თანახმად,
სადაც ლურჯი კოდორია,
იქვე, ჩუმად დამარხავს
ზღვაში ბუბა ოდორია.

XXI

სამი წელი გადის და...
კვლავ უკითხავს ზღვა მოძღვრებას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ყოველდღე თავიდან
იწყებს ბუბა სხვა ცხოვრებას;
თავი ვერ გაარიდა
ძველ ნაფიქრალ-ნაოცნებარს.
ქვეყნად, გარდა ერთისა,
სხვარამ კარგი არ მომხდარა:
ქალმა აიეტისამ
კოლხებს ჯავრი ამოჰყარა —
ის ბერძენი შერისხა,
გააძევა ჯადოქარმა.
რახანია მედეა
მოდის, მაგრამ სამი წელი
გადის შეპირებიდან
და შინ რჩება წამომსვლელი,
გლოვობს თავის ბებიას,
გლოვის შავი სამოსელით;
კოლხეთს ისევ ხლებია
ის ბერძენი — არგოსელი...
ბელზებლური, მზაკვრული
ნატვრა ვინც ვერ აღისრულა —
სამ წელს გადაკარგული
მათთან სტუმრად არ მისულა;
ხალხი წყევლით და კრულვით
გარბის მათი ნახვის უმალ.
სამი წელი გადის და...
სხვა რა მოხდა ამას გარდა?
ბუბა იალალიდან
ისევ ნავზე გადაბრძანდა,
მერე ფიქრი ნავიდან
იმ ნახაზზე გადაზარდა...
და ბაბუა, ცხადია,
ოქროს ქვიშას არ დაზარდა.
უკვე წელიწადია.
რაზმით ერთგულ თანამგზავრთა,
ყრუ და ვერან ადგილას
ხომალდს აგებს ახალგაზრდა.
ხელოსნებთან ხალისით
ხან ნადირის ხორცი მიაქვს,
ხან ჭედილა, ხან თევზი;
სასოებით, ლოცვით მიაქვს
ღვინო უანკარისი.
გეგონება ქორწილი აქვს.
დღეს ბაიას რვა ძმანი,
რომ იჭერენ ზღაპრულ სვიას,
არც ის გახლავთ ჯაბანი! —
ნავი ისე აუვსია
ზუთხითა და ჯარღალით,
გეგონება — აუზია,

მაგრამ თევზის ხელხვავად
ჭერა კი არ აოცებდა,
ბუბას კლავდა ხელახლა
გამოჩენა არგოსელთა.
ჭერი მათი ფაცხისა
ახლო როცა გამოჩნდება,
შეირხევა შავი ზღვა,
სახე დაუნაოჭდება,
მსგავსად ბერიკაცისა,
ქარში თეთრად აქოჩრდება.
ვიღაც ყვირის: — არ გინდა,
ნუ გადმოხვალ ნავიდანო!...
ოდორია დაფიქრდა,
განა მარტო ამის გამო —
მრუმე კვამლმა დაბინდა
მთელი მათი კარმიდამო.
წეროს — ცალად დარჩენილს,
ავის ნიშნად, ისიც ახლა,
გუნდი მისდევს ყანჩების
და წივილი ისმის მაღლა.
ჩქარობს ბუბა, დრო გადის,
გადილავდა რიბირაბო;
ახლო მოჩანს ხომალდი
თითქო ზღვაში დილამ დარგო,
ფერი დაკრავს ფოლადის
და ზედ აწერია, „არგო“.
გადაყარა ნავიდან
ზღვაში თევზი ეგზომ ბევრი;
ბუბა ბუჩქნარ ნაპირთან
შედგა ხვითქით მკერდსოველი,
წინ შემოხვდა, ატირდა
მისი კარისმეზობელი.
აქვითინდა ბაია,
ცრემლმა სახე დაუღვარა,
უთხრა რაც ამბავია,
შავი ამბით დამდუღრავმა
და ისედაც ნაღვლიან
ბუბას დილა დაუღამა.
უსმენს იგი ნამუნჯარს
და ნაფუძვარს გადახედავს,
სადაც გოგო გადურჩა
ბერძენთაგან გაბახებას.
— განძი ნახეს სახლის წინ,
შედგნენ ბაბუაშენს და
ჰკითხეს ოქროს საწმისი
ვინ რას გამოაჩენდა!...
ბოლოს, ოცმა ბერძენმა
არ აკმარა მარტო ცემა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო ვიხელთე. მეწერა
ალბათ ზღვისკენ გამოქცევა.
მოკლეს ბაბუაშენი...
თუ გწამს მზე და თუ გწამს ღმერთი,
ახლა გამოსარჩლებით
რას გახდები ოცთან ერთი!
ვნახოთ სხვა რამ საშველი,
ორნი ხალხსაც უცბად შევყრით!
გოგო — ვარამნაჩვევი —
დაიჩოქებს ბუბას ფერხთით.
მას არმისვლას სოფელში
ევედრება ლურჯთვალება.
— ადექ, დაო, მომეშვი! —
ოდორია უჯავრდება.
ბოლოს ობოლს ობოლმა,
როგორც იქნა, დაუჯერა,
გაუგო, გაუგონა,
არც ძალუძდა გაურჩება;
ადგა, მაგრამ უღონოდ
ჩაიკეცა და ბუჩქებთან
ნამუნჯარი გოგონა
სამუდამოდ დამუნჯდება.
ჩაქრა, სული დალია
და სიმშვიდე ძლივს ეღირსა...
მხრებზე ესხა ბაიას
ფრთები ელინთ ისრებისა.
ზეირთთა ზავთი არ ცხრებოდა.
და ზღვისპირას, ზღვის გარდა,
ნავის კედლებს აწყდებოდა
ვუნდი ფრთოსან ისართა.
მწყემსი გოგო იწვა ლაღად,
ბუბაც გაწვა სილაზე;
მხოლოდ ახლა იგრძნო დაღლა
და სიკვდილის სინაზე.
რისხვით ერთზე მოდის ოცი
ოქროს ვერძის მოცილე,
ბუბა ზღვისკენ ცოცვა-ცოცვით
იძვრის, მისდევს ოცივე.
და რაც მოხდა, ეს ამბავი
ითვლის ათასწლეულებს —
პოემებს თუ შევადარებ —
დიდ მითოსად ქცეულებს.
ოცივ მოყავს მის ბაბუას —
ოცთა წინგამოძღოლილს
და ბადიში იკლავს ბოღმას
ყელში სისხლად მოწოლილს.
„ხდება რაღაც საოცარი
საწყაული“ — თქვა ბუბამ,
შეუშლიათ საცოდავი
ჩემი ჯოტო ბაბუა“...
იაზონიც აწრიალდა:
„რა მხეცია, რა ჯიშის?
ყველაფერს გავს, კაცის გარდა!
ეგ ბებერი რძალს და შვილს,
რა თქმა უნდა, გასწირავდა...
ჯერი დგება ბადიშის“...
და, რაც მოხდა, ღმერთმა უწყის,
იყო უმაგალითო?
თქვა მოხუცმა: — რაღას უცდით!
ესროლეთ, მოკალითო!..
დიდმა ოდორიამ როცა
მტერს ანიშნა მიზანი,
უმცროს ოდორიას ოცმა
ერთად სტყორცნა ისარი:
მაგრამ ბუბა წამის უმალ
ტალღამ ისე დამალა,
არ ესროლათ — აიძულა
იაზონის ამალა.
ისე ხარბად ჩაისუნთქა
ჯოტოს ხელით გაწვრთნილმა,
წყალქვეშ ცურვა თავისუფლად
სამმაგ გაიხანგრძლივა.
შეყოყმანდა ჩაყვინთული:
„ესეთ ყოფნას აჰ, ბიჭო,
არ სჯობია — გაყიდული
თავი ახლავ დაიხრჩო?“
წართმევოდა უმეურად
ცას, წყალს, ტყეს, მთას, ბალახს ეშხი
და ყანჩები უჩუმრად
ფათურობდნენ ლაშქაშებში.
შავ ზღვას, როგორც აცადმყოფს,
თავზე ედგა ოცეული.
„თავს როდისმე ამოყოფს?...
წყეულ იყოს, ო, წყეული...“
შუქდაფენილ სულმნათად
ძირს ესვენა მკვდარი ბავშვი
და ობლად დაცურავდა
უპატრონო ნავი ზღვაში.
იმ ნავივით ცარიელ
„არგოს“ მზერა გაქცეოდა,
ჯანღიან დასალიერს
უღიმღამოდ გასცქეროდა.
უქმად დგომა მოსწყინდათ,
ბოლმით ყველა დაიშანთა,
უცებ, შორს ამოყვინთა
და შვილთ გრიგალ-ქარიშხალთა

საქმე მისცა მოისართ,
ბუბა წყალზე გაიშხლართა.
ისევ სტყორცნეს ისრები
და ოცივე დარწმუნდება,
რომ ის ეშმაკისერთი
ველარსაით გაცურდება.
უსასოოდ, უმწეოდ
შეფართხალდა წამით ბუბა
და უტირლად, უცრემლოდ
ზღვაში ჩუმად ჩაიღუპა.
ოქროს ვერძის მოცილეშ
ყველამ გული დაიმშვიდა,
ტალღებს გვიან მოსცილდნენ
და უსულო ქალიშვილთან
გაიფიქრა ოცივემ:
„ჰე, რა სუფრას გაგვიშლიდა...“

XXII

რომ გასრულდა ის სცენა —
კარგად გათამაშებული,
კვლავ თვლემას მიეცემა
„არგო“ აფრადაშვებული,
ხომალდს სტუმრად ეწვევა
ვილაც დაღლილ-დამშეული.
ყველა ჰურჭლის თავის ახდა
იწყო მან მოთმინებით,
პურის ლუკმაც არსად დახვდა...
ბუბა ბოლოს, გინებით
ქვაბს მივარდა და დანაყრდა
ნუგბარ ლოკოკინებით.
კვეს-აბედის ალმა-წალმა
დიდხანს ძებნით გაწამდა,
არდახანძვრამ დაანაღვლა
აფრათა და ანძათა,
ცეცხლის კვალი ვერსად ნახა,
თორემ ნაღდად დასწვამდა,
დანაცრავდა „არგოს“ ახლავ,
ბერძნებს მშრალზე დასვამდა...
მერე წამით ეს იაზრა —
წინ გაეხსნა გზა დიდი,
მაგრამ ღუზა ვერც კი დაძრა —
ათი კაცის საზიდი.
„ამით მაინც დავსვამ მშრალზე,
გავამწარებ მაგ ღორებს“:
ბუბა წიხლს კრავს, გადააქცევს
ღვინით სავსე ამფორებს,
ყველას დაცლის და გემბანზე
დაატბორებს შავ მორევს.
მან არაფერს ახლო ხელი,
გარდა ერთი ბებუთის:
„ცხარე ომი ახლა მელის,
იარაღი მეკუთვნის,
ისე, როგორც მთიბავს — ცელი,
და გუთანი — მეგუთნეს“
ჩქარობს, ბალთავს, რასაც ასწრებს.
დგას ხიფათი მახლობლად,
დანით დაჭრილ თასმებს, აფრებს
ბუბა გორად ახორგავს
„აწი ჩქარა ვერ გააფრენს
ქარიშხალიც ამ ხომალდს.
უბედური დღის სახსოვრად
ამას დავიმეგობრებ“, —
თქვა და ბასრი პირი ფოლადს
მოუსინჯა მეორედ
და გაშორდა ელინთ ხომალდს
ახალბედა მეკობრე.
ვერ აუხდა, რაც მას სურდა,
ნეკნქვეშ რეჩხი დასჩემდა,
წყალქვეშ ჩუმად გადაცურა
ლაქაშებში, ყანჩებთან,
მიიყუჟა და დამწუხრდა:
„რა ქნა ბაბუაჩემმა?...“

XXIII

— ჩაკვდა! — თქვა იაზონმა
და ზვიადად, როგორც გმირმა,
სამგზის აზომ-დაზომა
ჯმუხა ჯოტო ოდორია.
ჩააცივდა თვალებში,
არ აცალა დატირება:
— მოგიკალით ბადიში?..
აგისრულეთ დაპირება?...
საქმე ახლა შენზეა;
სიტყვობს სიტყვა მოცემული?
თუ არა და შედგება
შენს საფლავზეც ოცეული!
სიკვდილზედაც თანახმა
შეევედრა ახმახს ჯოტო:
— ამ უბედურს დავმარხავ,
ჯავრით ნულარ დამახრჩობთო.
იაზონის საამოდ
და ნაცნობი გოგოს ხათრით
ოცი ოცის საკმაო
ღრმა და ფართო ორმოს გათხრის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ შეეშვნენ ნაშუნჯარს,
ჯოტომ ჯალათს დაუტია:
— აწი მაგას რა უშავს
და ჩემს ბუბას —დაუტირალს...
თავს ნუ იგდებ აბუჩად,
ნუ მთხოვ სიტყვის შესრულებას.
შეგიძლია ნაბუშარს —
მომკლა, როგორც გესურვება!
მეშინოდა ბადიშის —
საიდუმლო არ გაეცა.
ჩვენი გვარის და ჯიშის
მეღა დავრჩი, სხვა დაეცა;
აწი რა მაქვს ხამიში,
გული კაჟად გადამექცა:
დამრჩა ოქროს საწმისით
ჩემი მიწა, ზღვა და ზეცა
და სიკვდილის სახნისით
თქვენი ძვლების დაცალუწვა!

და იქ, სადაც კოდორია
ზღვასთან ჩუმად შემდგარი,
სადაც მღვრიედ მოტბორილა
წყალი დაუდეგარი —
მიწაწაყრილ ორმოს პირას
მწუხრში შედგა მხედარი;
ნახა ჯოტო ოდორიას
აჩეხილი ცხედარი.
ვინც ამ დილით თავის ბადიშს
მწარე ხვედრი არგუნა,
გაახვია შავ ნაბადში
ბუბამ ჯოტო-ბაბუა
და მედეას შავი რაში
სოფლისკენ მიაბრუნა.
მან ფიქრებში თავი ჩარგო:
„დავალ ცალად შთენილი,
მალე უნდა ავიბარგო..."
და შორს, დასასჯელივით,
ძლივს იძვროდა ზღვაში „არგო" —
დაწვას გადარჩენილი.

XXIV

სდუმს ზღვისპირას ისლის ფაცხა
მრუმე ნისლით ნაბური,
სდუმს ღამეში სიმწრით დამწვარ
შეთქმულ კოლხთა სადგური,
სდუმს ბაიას ღვიძლი რვა ძმა —
გლოვობს რვა მებადური.

ზღვაში ოყო რჯაჯე მაშინ,
როცა არც მიშველება
არ ძალუძდათ ბადეგაშლილთ
და არც თვალის შევლება,
ოდეს მოდგა მათ ოჯახში
დიდი საშინელება.
სდუმს ფაცხაში ჩია-ბიჭიც —
ერთდროს მხარმოქცეული,
კაცთა სულის სიმახინჯით
თავს ხრის დამორცხვებული,
შეთქმულთაგან რაც ითქმოდა,
უკვე ითქვა სათქმელი,
ათვეს სახე გაცრეცოდა
მთელი ღამის ნათევი,
თუმცა არცერთს საგოდებლად
არ ეცალა ათთაგან,
ბუბა მაინც წამოდგება,
უჭირს რამის თქმა, რადგან
სადაცაა წამოსკდება
ცხელი ღვარი თვალთაგან:
— მოწამებრივ ვინც იცხოვრა —
მოკლეს ჩვენი დაია,
რა ავუგეთ იმის ხსოვნას,
განა საკითხავია?
შურისმაძიებელ ხომალდს
დაერქმევა „ბაია".
მან სათქმელი ძლივს დამარცვლა,
შედგა ენადაბმული,
აძაგძაგდა ისლის ფაცხა —
მრუმე ნისლით ნაბური
და გამხნევდა სიმწრით დამწვარ
შეთქმულ ძმათა სადგური.
ძმურ ფიცს დებდა კოლხი ათი,
ათივ ზღვაში ნაგეში,
ათივ სავსე ბოღმით, დარდით,
ღონით ათივ ანგეში,
რომ მძლე ხომალდს გოლიათნი
ჩაუშვებდნენ სამ დღეში.
ძველთა კოლხთა ადათ-წესებს
კოლხიდაში ვინ მოშლის!
სათითაოდ ჩააწვეთა
ათმა სისხლი ღვინოში
ითქვა ლოცვა ათთა ერთად
წმინდა, განა რიოში.
და მინავლდა ბოლოს ნისლით
ათ წყვილ თვალში ხანძარი,
რას არგებდათ მხოლოდ ფიცი
და ბუბას ნასახლარი?...

მათ ხომალდის ფოლადისთვის
აღარ დარჩათ სახსარი.
მთელ წელს ხომალდს ვინც აგებდა
ყრუ და უღრან უბეში,
ახლა სამ დღეს ძლივს ატევდა
მწუხრის გულს საგულეში.
ჯერ რვალ-აბჯარს იმზადებდა
შეთქმულ ძმათა ნუგეში,
იტყვის ბუბა — სამწუხაროდ
მთელი ჩვენი შეძლება —
ოქროს ქვიშით სავსე ხარო
ამოხაპა ბერძენმა.
მაგრამ, ძმანო, განძის წყარო
აქვე, ჩვენსავ გვერდზეა, —
და ათივე რომ გაყუჩდა,
მან განაგრძო ქადილით, —
ოქროს შოვნა როგორც უნდა,
მე გიჩვენებთ ხვალ დილით!
თქვა და ვიღაც მოდგა ჩუმად
კართან, შავი ლანდივით.
შეცბენ გაოცებულნი,
და გარინდდნენ შავოსანთან.
დიდი მოგვი გრძნეული,
წინამძღვარი ჯადოსანთა,
ძაძებშემოხვეული
შეთქმულებთან გამოცხადდა...

XXV

სიმძიმილი დასძლია
და ბაიას ნათლისთვალმა
რვა ძმას მიუსამძიმრა
იდუმალი ძალის ქალმა,
იძრო შავი ძაძიდან
თეთრკბილება თავის ქალა:
— კოლხთა მეფის აუგს ფიქრად
თავში ვინაც გაივლებს,
ვინც უგნურად და უბირად
უმტრობს დიად აიელს,
ნათავარზე ამ უპრიან
თავს მივაბამ ცარიელს...
აიეტის მტრის არის,
ვისაც ავი ზნე დასჩემდა...
ხედავთ, ახლა ვით არის
აზარფეშად ხელთა ჩემთა,
ერთდროს მხნე და მდიდარი! —
თქვა და ბუბას შეაჩერდა.
თენდებოდა იისფრად,
ოდეს ფიცხმა ოქროპირმა,
ვინც დიდყადრი სიტყვის
კარგად უწყის როგორცა,
პასუხის თქმა იკისრა
თავად ბუბა ოდორიამ:
— თავის ქალა ამივსეთ,
შეგვეწიოს დილის მადლიც...
ჩვენში სახე არის მზედ
დიდი მეფის, დიდი სარდლის,
მზემ მოავლო აიეტს
შარავანდი სიდიადის,
მაგრამ გული არ მითმენს,
რომ არა ვთქვა სიკვდილამდის:
მთელ სამეფოს აოცებს —
საით სად არ მოხვეტილან
და ბილწავენ სალოცველს
უცხოელნი კოლხეთისას,
მაინც ვითმენთ არგოსელთ
და სხვა ყაჩაღ-ოხერტიალთ.
დიდ ხელმწიფეს რას ვერჩით,
სხვებს ვისტუმრებთ საიქაოს,
ჩუმად, მეფის გარეშე
ვიქმთ საქმეთა საიგავოს,
ეძებ მათი თარეში
საუკუნოდ აღიგავოს.
რად არ ამცნეს თავის დროს
მეფეს ვეზირ-ევნუქებმა?..
მტერს აგრერიგ რად ინდობს,
გული რად არ ექუფრება —
მის დიდ სამწყსო-სამკვიდროს
ოდეს წარღვნა ემუქრება?...
ეზავთება არყოფნით
და გვიშრება ზღვა იმედის...
თქვა და სასმისს დამხობილს
არ ჩამოსწყდა ცვარი ერთიც;
ნიშნად სრული თანხმობის
თავს ხრის ქალი აიეტის.
მის გონიერ თვალებში
განა პეწი სადარბაზო,
ჩრდილი ენთო კაეშნის —
„რას იქმს, ძალა ალმართს ხნავსო...“
და ათსავე შეთქმულს ეტყვის
მხნედ მზირალი მედეა:
— გწამდეთ, ქალი თქვენი მეფის
თქვენი მოიმედეა.
ყველგან თქვენად დამიგულეთ,
თქვენი ცეცხლი დამბუგავს,
წრფელ სიზმრებში დაგიბრუნებთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიას და ბაბუას.
გადასახდელ ხვალის ვალად
დარჩეს ეს საუბარი, —
კოლხეთის მტრის თავით ქალმა
შესვა შესანდობარი, —
გაგვახსენოს თავის ქალამ
სიკვდილი მარადისი! —
თქვა და გადმოაპირქვავა
დაწრეტილი სასმისი.
ყველამ დუმილს დაანება
მყუდროება იმ დილის,
თერთმეტივეს ავალებდა
ერთი დიდი ტკივილი —
კოლხეთისთვის თავდადებას
წამებულის სიკვდილით.
არც შინ და არც გარეთ ჯობდა,
რომ დაეწყოთ მათ მაშინ
ცხარე სჯა და ცხარე ბჭობა —
აეტეხათ განგაში —
რად და რისთვის თარეშობდა
სამ წელს „არგო“ შავ ზღვაში.
ეს დუმილი ჰგავდა მათი
კოლხურ ტაბუს დადებას,
არ ეწადა ათს კამათი —
არც ჯადოსან ღვთაებას;
სიკვდილივით გახლდათ ცხადი
„არგოს“ გამოცხადება.
სიკვდილივით იყო ნაღდი,
რომ კოლხიდას ხელახლა
მოთარეშე მტრის ხომალდი
მხოლოდ სამტროდ ეახლა.

XXVI

დილა თვალებს უნაპერწკლებს
დიდი ჯოტოს შთამომავალს,
რაც მას სისხლით უანდერძეს —
შეთქმულთ როგორ დაუმალავს!...
მათ დუმილში ჩუმად ვერ ძლებს,
მზეს გახედავს აღმომავალს,
მიაკითხავს ბუბა ვერძებს
და შარაზე გამოლალავს;
ჩიას გუდას შესდგამს წამსვე,
ზურგს ხელახლა ადრეკინებს,
რაშს მედეას შესთავაზებს
და ძმებს გულხელდაკრებილებს
გაიყოლებს ყველას გზაზე,
ყოჩებს ურჩებს და რქენიებს,
ოდორია სველ ბალახზე
პირს არ დააკარებინებს.
წყალთან დგება იგი, როგორც
ძველი ფრთხილი ცხენის ქურდი
და გახედავს დილის კოდორს
შეთქმულების მთელი გუნდი.
გასჭვრეტს ქალი მტკივან გულით
ულამაზეს, უვალ ჭალას,
წარმავლობის სინანული
მის ფორიაქ სულს გამსჭვალავს.
— ახლავ ოქროს ნამცეცებად
გამოვცანცლავ კოდორს ქირას, —
სალაღობოდ გაეხსნება
გული ბუბა ოდორიას;
მოიყენებს სტუმარს გვერდზე,
თეთრ კენჭებად აკრთობს კბილებს
და ისედაც მწყურვალ ვერძებს
მარილს დიდხანს ალოკვინებს.
აცქერდება ყოვლისშემძლე
ჯადოსანი კარგა დიდხანს:
ბუბა ცხრა ცხვარს მოქნილ ბეწვზე
წვენს წააცხებს ბალახისას.
მწყურვალთ დიდხანს ალოდინებს,
სტანჯავს წყალში ჩაუშვებლად,
მარილს ბლომად ალოკვინებს,
ვიდრე ხახა ჩაუშრებათ.
და ჩრდილმოსილ ლოდებივით
სითბოს გადაჩვეულები,
სასწაულის მოლოდინით
ჩუმად დგანან შეთქმულები.
გაილია ქვამარილი
და ბღავილი ატყდა ცხვართა,
დაუმცხრალი მტარვალივით
ბუბა მაინც არ დაწყნარდა.
ცხრავეს იგი უცბად აშლის,
ჩამოუფრენს შევარდენად,
ცხრავე ცხვარი შუაწყალში
ელვისუმალ შევარდება.
ცხრავე ხარბად ეწაფება
მთის მდინარეს ლურჯტალღებას,
დარწყულება ესწრაფებათ,
თითქოს სვამდნენ უკვდავებას.
— ახლა ნახავთ, დაგარწმუნებთ:
ცხრავე ქვასებრ დამძიმდება,
წყალი ვერცერთს დაარწყულებს,
ვერც თავქვეზე დააცურებს,
მოცდა გაგვიხანგრძლივდება.
მათ საწმისზე სასწაულებრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდრე ოქრო დამძივდება.
და ჩვენ — განძის მაძიებართ —
ღამენათევ დაქანცულებს —
აქ მოგვიწევს დაძინება.
წყალნასვამი მძიმე ვერძი
ტალღას ხვდება, როგორც ნიავს,
კი არ იძვრის, ისე ებრძვის
ჩქერს, რომელსაც ოქრო მიაქვს, —
მეფის ქალი უსმენს გვერდზე
მომღვარ ბუბა ოდორიას —
რად დიდია და მძიმეა,
მეტად უძლებს კოდორს ცხვარი,
უფრო თმენახანგრძლივია,
მეტი ესხმის ოქროს ცვარი! —
თქვა და ბუბა გაშორდა...
რადგან უკვე დრო არ აცლის
გაიხსენოს ბავშვობა —
ჯოტო ბაბუ, ობლის თვალწინ,
ცეცხლზე როგორ აშრობდა
ზღაპრად ქცეულ ოქროს საწმისს.
წამოიწყებს საუბარს
ძმებთან ჯადოსანი ქალი,
სულ მოითქვამს და ბუბას
გადახედავს ცალი თვალით:
— ჩუმად, როგორც ყანა — ხორბალს
და ხე ისხამს ფოთოლს ხისას,
სასწაულის მახარობლად
ოდეს ცხვარი ოქროს ისხამს,
ზღვაც მოისხამს ახალ ხომალდს
მტრის წინარე, როგორც რისხვას.
სასაფლაოს ლოდებივით
სითბოს გადაჩვეულები,
საოცრების მოლოდინით
ქალს უსმენდნენ შეთქმულები.
სამხრობამდე გაგრძელდა
წყლიდან ვერძთა ამოყვანა,
ბოლოს როცა გაძნელდა,
სახლდამწვარმა ამბოკარმა
ცხვრები ოქროს განძებად
ქვების სროლით ამოყარა.
დანა დასცა გასაოცრად
აბედიან ტალს ყუით
და მან ცეცხლად გააცოცხლა
კაცის დიდი მსახური.
იჯდა მოგვი ლბილ ბალახზე,
შეთქმულ გულთამხილავად
და იმ ბერძნის სილამაზე
სძაგდა, აღარ ხიბლავდა.
და მიმწუხრიც ჩუმად მოდგა.
ხეობაში ტაატით,
მუშაკი კი მუშაკობდა
ზუსტად, როგორც საათი.
ბოლოს, შებინდებისას,
ბუბა გრძნეულ ასულს აწვდის,
დასტურ შეპირებისა —
ოქროს მძივებასხმულ საწმისს.
საღამოჟამს ტყავი ვერძის,
კეთილ თვალთა საცქერი —
ალზე გამომშრალი ბეწვის
ოქროვანი მარცვლებით,
ანათებდა ზღაპრულ პეწით,
როგორც მთვარის ნაცრემლი.
ბუბა ოდორია ცეცხლთან
შეთვრა ოდნავ და გაშრა,
ღამით, ტყისპირ ოქროს ვერძმა
ყველა კარგად ავახშმა.
შორით, მალვით უალერსა
ერთურთს ქალმა და ვაჟმა.
წიფლის კუნძი ჩაიშლება —
ნაკვერჩხლებად ქცეული,
ღველფში დასანახშირებლად
ცხვრის ღვიძლს ისვრის გრძნეული —
კარგს არაფერს ანიშნებდა
შემწვარი შიგნეული.
გადიხარა მთვარე ოდნავ
ზღვის უდაბურ ნაპირთან,
გრილი შუაღამე მოდგა,
სადღაც ტურა ატირდა,
ტყის იდუმალ გარემოდან
ესმათ ჩქამი ნადირთა.
და ჩია-ბიჭს ჩვენმა ბუბამ
ჩუმად თვალი რომ უყო,
ხეზე ჰოტი შეფათურდა,
ბნელს შეერწყო მორუხო,
ცხრა მებადურს მებადურთა
საქმემ ზღვისკენ მოუხმო.
ვისაც ბუბამ მოკრძალებით
ჰკადრა ნაბდის მოხვევა,
მას ჩრდილები მლოცავ ძმების
განეფინენ ნოხებად,
თაყვანი სცეს მოწამებრივ
სტუმარს ზრდილმა კოლხებმა.
დარჩნენ ორნი წყალთან მარტო
და საწმისი ბრწყინვალე
შეეცილა მართლა მნათობს,
მაგრამ ბუბას წინარე

ჰგავდა მნათთა მნათ ქალბატონს
ქალი პირმომცინარე.
— დღეს მკათათვის ცამეტია,
არ მიმელის მამა შინ,
არც მას სურდა — გამეთია
მათ ზრიალში და სმაში.
რადგან ცეცხლი დაგინთია,
მიყვარს ცეცხლთან თამაში —
ორაზროვნად თქვა მედეამ,
წამოწითლდა და მაშინ...
ბედნიერად დაეტია
ერთ ნაბადში ქალ-ვაჟი.

### XXVIII

„სად მიფრინავს ის წერო,
რად დასტოვა საბუდარი?...
ფრთებქვეშ საბედისწერო
ჩრდილი მისდევს საკუთარი...
სად მიფრინავს, სად უწევს
საბოლოოდ დაბუდრება?
წივის, ალბათ მაუწყებს,
რომ არასდროს დაბრუნდება.
სადღაც უსასრულობაში
წერო გაქრა წივილით.
მიუსაფრად, ულვთოდ დავრჩი,
ცოცხლად გარდაცვლილივით". —
ბუბა ზღვისფერ ღრმა თვალებით
დასალიერს გასცქერის,
თითქოს მისდევს ნაკვალევით
სივრცეს — ფრთებით დასერილს.
მიაცურებს ნავს და მიდის;
ჰპოვებს რაც დაჰკარგვია?
ზღვა წყნარია და ამინდიც
სხვისთვის, ალბათ კარგია.
მას სიზმარშიც ევლინება,
თვალწინ უდგას წმინდანად,
ვინც წაჰგვარეს ელინებმა
ოქროს საწმისიანად,
ვისაც განა გზად და ხიდად,
მტრად ჰქცევია ვეზირიც,
გაუწირავს გასასყიდად
გაბაწრული ვერძივით.
ახალ ნილაბს — ოხერ-ტიალს,
რომ ირგებდა სარკის წინ,
ელინთ ხელში მიხვედრილა
იგი ოქროს საწმისით.
ვინ იცნობდა სახეშეცვლილს,
პირში ურცხვად ჩვარჩაჩრილს?
გრძელ ანძაზე მთვარე ვერცხლის
ენთო „არგოს" შავ აჩრდილს.
და მედეას რომ ეგონა
იმ ანძაზე თოლია,
მისი მტრედი, როგორც მონა,
თურმე თან გაჰყოლია.
ვეზირს, ქალი ვინც გასწირა,
უთქვამს: „ცოტას იშმაგებს,
მაგრამ მაინც დიაცია,
თვითონ ეძებს შიშაკებს"...
ეს ყოველი დაწვრილებით
ბუბას ამცნო წერილმა,
სადაც ბოლო წერტილივით
ერთი წვეთი ცრემლია.
და იმ მტრედმა — წამომღებმა
ელდიანი ბარათის —
რა იცოდა, რა მოჰყვება
წვეთ ცრემლს — ზღვაზე მარადისს!
მაგრამ ბუბას წყურია
სისხლი ახლა, განა ცრემლი!
ბევრჯერ გასაწური აქვს
გასისხლული ტანსაცმელი,
სისხლში გასაცური აქვს
კიდევ ბევრი განსაცდელი.
ახლა სულ სხვა საფიქრალს
გაჰყვა, გული გაეკაწრა;
ენდო იგი სხვა გრიგალს
და საწუთრო გაიმკაცრა,
რადგან მტრად სცნო აღრიან
ყოვლისშემძლე კარისკაცმა.
რაც თავს გადახდენია,
ბუბას რაც ხვდა — მისი თვალი,
მისი ხელი ერთა,
მისი ენა, სისხლის კვალი —
ყველა მისმიერია,
მაგრამ, ვაი მისი ბრალი!
ვეზირს იგი უზრდელი
გლეხის ლლაპი რომ გონია —
ბრიყვი და გაუწვრთნელი;
ჯერ რა იცის როგორია,
მტრობაშიაც გულწრფელი
„მისი" ბუბა ოდორია!
არა, მსტოვართ მეურვეს
ის ჯერ უნდა გაქცეოდა;
გამრჯე ძმათა შემყურეს
ჯერ ჯანკასთვის არ სცხელოდა;
არც ახსოვდათ შეთქმულებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაკაცის არსებობა.
მათი აწმყო, მყობადი,
მათი რწმენა, წავა და შვება
იყო მძლავრი ხომალდის
სწრაფლ აგება და ჩაშვება,
ხალიჩური ფოლადით
შეკვრა მისი, გადაჭედვა.
მოდიოდა დრო მათი
და მოჰყავდა გამარჯვება.
იცის როგორ კეთდება,
ხე და რვალი როგორი აქვს,
მყუდრო ყურეს კლდეებთან
შეჰყავს ნავი ოდორიას,
ხუროთა და მჭედელთა
გასამრჯელოდ ოქრო მიაქვს,
მიაქვს ბუბას სავსე უბით
ოქროს ქვიშის ბარაქა
და საფულეც ცალკე უდევს,
განა იმ წრფელ ბარათთან.
იგი ცალკე მალავს გულთან
უსპეტაკეს იმ წერილს:
ერთად ყოფნა სადა თქმულა
ოქროსი და სიწრფელის!
ღომის ზვინი, პურის ძნები,
რაც დატოვა ბაბუამ —
ბედელ-ხულა და საბძელი
ჟამთასვლამ რომ გაბოლა,
ჭურ-მარანი ძველისძველი —
ჯანკა რომ გააბრუა,
ნაფუძვარი — გასაცელი —
მოვასვასე ზღაპრულად,
ვაზი — ცვარით დანაცრემლი —
ბიაზე რომ გაბმულა.
ლომ-ხარები — ყანწებგრძელი,
თხები — ჩლიქებბაკუნა,
ყველაფერი, რაც ბერძნების
ხანძარში არ დაფლულა, —
რამა, კოლტი და ვერძებიც
თან მოყვება მას ფულად.
ქცევამ მეფის ასულის,
მეგობრობამ მედეასთან,
ბუბას ხორციც და სულიც
დაუხვეწა ერთი ასად...
ახლა, სოფლად შეკერილ
ძველი ტანსაცმელის ნაცვლად,
მოსავს, ის რ··ვ შეფერის
წარჩინებულ მეფის კაცთა.
ცოტა რამ აქვს ჭაბუკს ნავში,
რაც არ გაუყიდია,
მთელი სამოსახლის ნაშთი
საგზლად აუკიდია.
მიაქვს ბუბას ერთი ხონჩაც —
საგანძური სიბრძნეთა;
უკვირს — ცეცხლს რომ გადაურჩა
წიგნი ვარსკვლავმრიცხველთა...
მოგვთა დიდი ავგაროზი
მოაქვს ფურცელმრავალი —
კაცისა და სამყაროის
ბრძენი შუამავალი.
ცოცხლობს ბუბა ცოდნის მადლით,
მაგრამ სიტყვა არ ყოფნის
ამ ვეება ფოლიანტის
გადარჩენით კმაყოფილს.
ძილგატეხილ ჭაბუკს თან აქვს
სიკვდილთან ნაჩხუბარი
კოლხეთის მტრის თავის ქალაც —
მედეას ნაჩუქარი.
და მეტყველებს შუბლქვეშ მისი
წყვილი წვრილი ნახვრეტი,
რომ აქვს ძმათა შურით სისხლი
უამრავჯერ ნახვრეტთ;
რითაც ძვლები უხრავს ხშირად,
აღარ უჩანს ის კბილი
და იცინის: „ნუ ხარ მშვიდად,
გახსოვდესო სიკვდილი“.

XXVIII

ყურე-ყუჩი, მიუვალი
დაზაფრულა დუმილით,
იცდის, რაღაც იდუმალი
ზრახვით გარინდულივით.
ზღვა მებოძირს ეფოფრება
და ოდითგან აქ არი
ხელმოცარულ მეკობრეთა
ძველი თავშესაფარი.
სხვათა ფეხის არდანადგამ
ამ უდაბურ ადგილას,
ეშმას გარდა, რა ალანდავს
ხომალდს ასე ალკილად.
კლდე აწვდილა ცატეხია,
ძირს ერხევა რთა ნისლის,
უთვალავჯერ დამეხილი
ჭაბუკისთვის არ იცლის.
კონცხს გასცდები — თავაწყვეტილ
ზღვას რომ დაუხრამია —
მიხვალ და ქოხს წააწყდები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყვავის საზურავიანს,
სადაც უწევთ ღამის თევა
ხის და რკინის ხელოსანთ
და ხომალდიც სამი დღეა
ელის ჯავშნით შემოსვას.
მკვიდრად ეწნეს-ესალტება
ქიმიც, კიჩოც, კედლებიც,
ერკალება ცისარტყელად
რკალი ხალიბ მჭედლების.
მაგრამ ახლა რად არ ისმის
ხმა გუგუნის, რახუნის,
კვერვის, ჭედვის და საჭრისის,
საბერველიც არ ღმუის.
ურო თა და რკინის კეტთა
არ რეკს ზარი ხმატკბილი,
უცხო მხარის ტინის კედლად
სდუმს ნაცნობი ადგილი.
აღარ ისმის არც ჩაქუჩის
და არც ცულის ცემის ხმა.
„ალბათ, ხომალდს რაღაც უჭირს,
ჰოი, მზემ თუ შეგვრისხა!..“
ფიქრობს ბუბა და მის ხომალდს
ღრჯუ კლდე აუჩინარებს.
თვლემს სიჩუმე. ნავქვეშ მხოლოდ
ცის სილურჯე შრიალებს.
არც ქვაბურში დაბუდრებულ
მეკობრეთა ხმა ისმის,
თრიაქისგან გაბრუებულთ
ესაბნებათ ფრთა ნისლის,
ენატრებათ დაპურება,
სითბო დიასახლისის,
სად აქვთ ზღვიდან დაბრუნებულთ
ხმის გაღების ხალისი!
„შრიალი თუ ისმის ფიჭვთა
ახლო ჭალაკებიდან,
იმ რვა ძმას და ჩია-ბიჭსაც
ხმა რამ ჩააკმენდინა?
სად წაშავდნენ? სად არიან?
ეგ ოხრები სად ყრიან?...“
ლამის შიშმა გადარია
ბუბა დილაადრიან...
საფიქრალმა გაუძნელა
კლდის პირუკუ შემოვლა,
ნისლმა თვალი დაუბნელა,
თითქოს ლურჯად შებოლა,

ჭაბუკს თვალწინ გაუელვა
ხვედრის უსაშველობამ.
მაგრამ ხალხი მას მოელის,
ძმებს ადარდებს უფრო ის,
ვინც ბრძანდება მასპინძელიც
და ხომალდის უფროსიც.
მისი მარად ერთგულები
ზღვისპირ დგანან, ელიან,
კრინტს ვერ ძრავენ შეთქმულები,
გული გადაელიათ.
არ აფიქრებთ გემის ვალი
კოლხ და ხალიბ ხელოსნებს,
მოელიან კეთილ თვალით
ყურ-ყურეში შემომსვლელს;
რის სამი დღე — გემი რვალით
ბევრად ადრე შემოსეს.
შფოთავს რვა ძმა ბაიასი:
„რა ვქნათ? არ ჩანს! რას შვრება?...“
მათ ხომალდის ამ დილასვე
უნდათ ზღვაში ჩაშვება.
ჩია ბიჭსაც კუზი თითქოს
ისევ ამოუვიდა,
მოხრილა და გულში ფიქრობს:
„რა სჭირს, რა მოუვიდა?...“
ძვლებიც, სულიც გასტანჯია,
მაგრამ ასე? — აროდეს!
უცებ ცაში ახტა ჩია...
როგორ არ უხაროდეს...
— მოდის! — ერთხმად იგრიალეს
— მოდის!.. სჭექეს ზედიზედ.
მოდის ის, ვინც იგვიანებს
თავის პირველ ზეიმზე.
რაც ბოთეს და დარბაისელს
ღრღნის ათადან-ბაბადან —
ეჭვი — უმალ გაქრა მისი
და მგზავრობაც დამთავრდა.
ზარზეიმის საკადრისი
ატყდა დაფი დაფდაფთა.
აქვე, თვალწინ ცხადად ისმის;
— ბუბა!... ბუბა!... დაფ—დაფ!
დაფ!...

ვაშა, ზრინვა-შეძახილი
ალაღეწვდა ხომლამდის
და ბავშვივით შეხტა ჩრდილიც
ახალშობილ ხომალდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერარსმენილ ორომტრიალს
მეკობრეთა კლდეც აჰყვა:
— ვაშა ბუბა ოდორიას! —
ექოს ბანით შესძახა.
აგუგუნდა უცბად გრდემლიც
და შეთქმულთა წინაშე

მლაშე სივრცეს ბუბას ცრემლის
შეეზავა სიმლაშე.
წამით შედგა ყალყზე ტალღა
და ხომალდ-ადამიანს
თვით ეახლა ზღვა — ხელახლა
დაბადებულ „ბაიას“.

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბეჟან ხორნაბუჯელი

# მოთხრობები

## მაძიებელი

საკოლმეურნეო კულტურის სახლის საზეიმოდ მორთულ დარბაზში კანტი-კუნტად იკრიფებოდა ხალხი. დისერტაციის დაცვა თორმეტ საათისათვის იყო დანიშნული, მაგრამ რატომღაც აგვიანებდნენ. არ ჩანდნენ არც კოლმეურნეობის ხელმძღვანელები და არც სტუმრები — ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრები, ქალაქიდან რომ ელოდებოდნენ.

დღის პირველ საათზე დარბაზში სოფლის აქტივისტმა აბელმა შემოიხედა. მისი წამოჭარხლებული სახე აშკარად ამტკიცებდა, რომ სუფრიდან ახალი ამდგარი გახლდათ. იგი კარებშივე გაჩერდა და ხალხს მოავლო თვალი. ერთხანს თითქოს ითვლიდა კიდეც შეკრებილთ. პირველი ორი რიგი გულისყურით ჩაათვალიერა, მერე უკმაყოფილოდ რაღაც წაიბურტყუნა. ეტყობოდა, არ ესიამოვნა, რომ ცოტანი იყვნენ.

— ხალხი დაიშალა, რაღას უცდით! — ვიღაცამ გამოთქვა საყვედური აბელის დანახვაზე.

— ფეხი არავინ მოიცვალოს, სადაცაა დაიწყება... — თქვა აბელმა და უკან გაბრუნდა. ეზოში ხუთიოდე კაცი იდგა. ერთმანეთს ემასლაათებოდნენ. აბელმა ისინიც გააფრთხილა — დარბაზში შედითო, თვითონ მანქანაში ჩაჯდა და მოტორი ჩართო. კოლმეურნეობის დარაჯმა სწორედ ამ დროს თავი გამოჰყო კანტორიდან და დაუყოვნებლივ მასთან მიიჭრა. აბელმა მანქანის კარი გააღო და მისკენ გადაიხარა.

— თავმჯდომარე არ ჩამოსულა რაიონიდან? — ჰკითხა დარაჯს.

— არა, ვინ იცის, როდის დამთავრდება თათბირი.

— იმათაც რაღა დღეს მოუნდათ თათბირი... — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა აბელმა. ნათბილარევი დარაჯი სიცივისაგან უკვე კანკალებდა. აბელმა, მას რომ შეხედა, უნებურად ლუმელი ჩართო, თითქოს ახლაღა შეამჩნია, რომ მანქანა ყინვისაგან შეკირჩხლულიყო.

— სიცივეს რომ აუტანიხარ, შე კაი კაცო, გაინძერი, ხალხი სად არის, რას ფიქრობ?!

— რა ვქნა, აბელ, იყვნენ და წავიდწამოვიდნენ, თოფით ხომ ვერ დავადგებოდი, კაცო!

— კარგი, ნუ დაიწყებ შენებურად, ახლავე ჩამოურბინე სოფელს, ვინც შინ დაგხვდება, ყველა გამოიყვანე,

სკოლის დირექტორიც ნახე, მოწაფეები მოიყვანოს.

— პიონერები ორი საათისთვის იყვნენ დაბარებულები, — გაახსენა დარაჯმა.

— ვიცი, ვიცი, მაინც უთხარი. არაფერი არ დაშავდება, თუ თავიდანვე დაესწრებიან, დარბაზში ადგილი ეყოფათ! — თქვა ბრაზით აბელმა, კარი მიიჯახუნა და მანქანა ადგილიდან დაძრა.

დღის ორ საათზე სცენაზე გამოჩნდნენ სტუმრები. მათ ფეხდაფეხ შემოჰყვათ აბელი და უმალვე ტაში დასცხო. მას ჯერ თითო-ოროლანი აჰყვნენ, მერე მთელ დარბაზს მოედო ტაშის გრიალი. განსაკუთრებით არ ცხრებოდნენ უკანა რიგებში, სადაც ყველა ასაკის ბავშვს მოეყარა თავი. ტაშის ხმა იქამდე ისმოდა, სანამ აბელი კათედრაზე არ ავიდა და ხელი მაღლა არ ასწია სანიშნებლად, გაჩუმდითო.

— პატივცემულო თა.., ნასოფლელებო, დღეს ჩვენთან ზეიმია. ჩვენს სასიქადულო მამულიშვილს ბოტოს ორმოცდაათი წელი შეუსრულდა! — ბოლო სიტყვები განსაკუთრებული სიმკვეთრით წარმოთქვა და ტაშიც დააყოლა. ისევ აიყოლია დარბაზი, ისევ დააწყნარა ხალხი ხელის აწევით. ქალაქელი სტუმრები ერთობ აჩოჩქოლდნენ, ჯერ გარკვევით არაფერი არ ესმოდათ, რა ხდებოდა. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემაც ყურები ცქვიტა, ფერხორცით სავსე, ფართო სახეზე მწუხრის ღიმილი აესახა. მას ეგონა, რომ სიმთვრალის გამო ურევდა აბელი. ყველა დეკანს შეჰყურებდა, რაკი აბელი მისი მეგობარი იყო და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მთელი ამ გამსვლელი სხდომის მოწყობის თაოსნობაც დეკანმა იკისრა. დეკანმა გერმანული გაზეთი ფრთხილად დაკეცა და აბელს აუღელვებლად, სასხვათაშორისოდ მიაპყრო მზერა. გუნებაში კი აღტაცებული იყო აბელის მოხერხებით. იგი მაშინვე მიხვდა, რომ აბელის ფანდი წინასწარ იყო კარგად მოფიქრებული და აწონ-დაწონილი. საიუბილეო თარიღთან დისერტაციის დაცვის დაკავშირება დისერტანტისთვის მხოლოდ სასარგებლო იქნებოდა, რა ფორმითაც არ უნდა მომხდარიყო ეს.

— ეს თარიღი დაემთხვა ბედნიერ შემთხვევას, ძვირფასი სტუმრების ჩვენს სოფელში ჩამობრძანებას! — კვლავ ტაში დააყოლა. აბელმა ისევ აიყოლია დარბაზი და ისევ გააჩუმა ყველა ხელის აწევით. აბელი ლაპარაკობდა გულმხურვალედ, გრძნობით, მკაფიო და ხატოვანი გამოთქმებით, თითქოს ვიღაცა ბრალს დებდა ბოტოს და ამიტომ იყო საჭირო, რაც შეიძლება, ბევრი და კარგად ყოფილიყო ნათქვამი მის სასარგებლოდ. ორატორის სიტყვით, ბოტო რომ არა, თითქოს სოფელსაც, კოლმეურნეობასაც აქამდე წყალი წაიღებდა... სტუმრები უკვე მოთმინებით და აუღელვებლად ისხდნენ, მათ ისევე არ აკვირვებდა აბელის თავგამოდება, როგორც სუფრის ძღვნის წევრის ზრდილობის გამო ქება... ყველასათვის აშკარა გახდა აბელის მიზანი და დროც იყო დაემთავრებინა სიტყვა აბელს, მაგრამ გაუჭირდა (ღვინის ბრალიც იყო). იმის იმედით, რომ უფრო კარგს ვიტყვიო, უფრო განვაცვიფრებო ყველას, არ ცხრებოდა...

— როგორც მუშაკი, ბოტო შეუცვლელია! — აბელმა მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი მაღლა ასწია და ისეთი გულისყურით მიაცქერდა, თითქოს იგივეობის კანონის დამტკიცებისათვის ემზადებოდა...

— დიახ, ბოტო, ერთადერთია ფილოსოფიური გაგებით! ხომ გახსოვთ ერთის პრობლემა, — განაგრძო აბელმა, — მას არ ჰყავს ბადალი არც ნიჭიერებაში, არც თავის პროფესიაში, არც მამობაში...

— რეებს ბოდავს! — აღმოხდა ვიღაცას.

სცენაზე მყოფი ბოტო სიცივისაგან ტაოაშვებული და ერთთავად გალურჯებული იყო. იგი ყველასაგან განმარტოვებით იჯდა. მისთვის სპეციალუ-

რად შერჩეული და მოტანილი სავარძელი დარბაზში პირველი რიგის მახლობლად იდგა გამოუყენებელი. სცენაზე ამოტანა დაივიწყებოდათ. ერთიორჯერ ნაღვლიანად გადახედა მას ბოტომ. სანამ სტუმრები მოვიდოდნენ, იგი გართული იყო სცენის მოწყობით. გრძელ მაგიდაზე გადაფარებული წითელი სუფრა ჭუჭყიანი ეჩვენა, მოაძრო და მეორე პირიდან გადააფარა. რბილი სკამები, რომლებიც სტუმრებისათვის იყო განკუთვნილი, სათითაოდ შეამოწმა, მორყეული არ იყოსო რომელიმე. აბელის რჩევით, თავისი გადიდებული სურათიც მოიტანა, მაგრამ ადგილი კი ვერ მოუნახა. არ იცოდა, სად დაეკიდა, თანაც დარაჯმა რომ დახედა, ვისიაო, ჰკითხა, ვერ იცნო; სამწუხაროდ, ბოტოს ადრე ჰქონდა გადაღებული ეს სურათი, როცა ჯაგარივით მაგარი და ხშირი თმა ჰქონდა და, აბა, მას რაღა მსგავსება ექნებოდა გამელოტებულ ორიგინალთან. ბოლოს ხელი აიღო სურათისათვის ადგილის ძებნაზე. გაზეთჩამოფარებული სურათი სცენის სიღრმეში კედელზე მიაყუდა. ბოტო ბრაზობდა და ნერვიულობდა, რომ აბელმა მას დააკისრა სცენის გაფორმება. განსაკუთრებით მაშინ გაწიწმატდა და გაავდა, როცა ლუმელს ვერაფერი მოუხერხეს. გარეთ წალმა-უკულმა უბერავდა ქარი, და ზოგჯერ ისეთი სიმძლავრით გამოვარდებოდა ხოლმე ღუმელის კარებიდან ბოლი, როგორც ორთქლმავლის საკვამლე მილიდან, როცა მძიმე მატარებელს უჭირს ადგილიდან დაძვრა. სხვა რომ ვერაფერი გააწყეს, იძულებულნი გახდნენ მხრჩოლავი მუგუზლები გამოელოთ და კარში გადაეყარათ (ალბათ მაშინ დაავიწყდათ სცენაზე სავარძლის ამოტანაც). მაგრამ ასეთ გაწამაწიაში მყოფი ბოტო, თან ვერც ამტყუნებდა აბელს, რადგან იგი სტუმრებს უნდა დახვედროდა, მათთვის უნდა ეცა პატივი. სანამ სხდომა დაიწყებოდა, სტუმრებს დანაყრებაც დასჭირდებოდათ, მგზავრობის შემდეგ დაღლილებს და, აბელის გარდა, სხვა ვინ ითავებდა ამ ფრიად აუცილებელ საქმეს. თანაც აბელის მეგობარი იყო დეკანი, მხოლოდ აბელს შეეძლო სტუმრებთან საერთო ენის გამონახვა, დისერტანტის სასარგებლოდ საუბარი...

ბოტომ წინასწარ იცოდა რა უნდა ეთქვა აბელს საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად. სიტყვა უნდა ყოფილიყო მოკლე და რაც შეიძლება. ზოგადი — იუბილარისადმი მომავალ წარმატებების სურვილების გამომხატველი. მთავარი იყო მხოლოდ საზეიმო განწყობილების შექმნა და მეტი არაფერი. მაგრამ. საუბედუროდ, აბელმა ძალიან გადაამლაშა. როცა იგი როლში შეიჭრა და გაცვეთილი სიტყვებით ბოტო და მისი ღვაწლი ეპოქალურ მოვლენებს დაუკავშირა, სიცივისაგან ფერდაკარგული საცოდავი იუბილარი, ერთთავად გალურჯდა და ცახცახმა აიტანა. იგი ვიწრო, ტანზე შემოტმასნილ ღია ფერის კოსტუმში იყო გამოწყობილი. მოყვითალო პერანგის საყელოს ჰალსტუხის კვანძი საკმაოდ ჩამოშორებოდა. ეს იმიტომ, რომ სცენის მოწყობის დროს გახურებულ მუშაობაში, ცოტა არ იყოს, შემოსცხა და სწორედ მაშინ გაიხალვათა კისერი, მაგრამ, ეტყობოდა, მერე დაავიწყდა გაესწორებინა, ზეიმის შესაფერისად რომ ყოფილიყო.

ბოტო ტაბურეტზე იჯდა, ოდნავ გვერდულად. საქმე ის იყო, რომ ტაბურეტის ერთი ფეხი, ეშმაკურ-ქაჯურად მაინც და მაინც იატაკის ამოფუტურებულ ხვრელში მოხვდა და ბოტოს ტანის სიმძიმე რომ დააწვა, ისე ჩაიჭედა, რომ სტუმრებისაგან შეუმჩნეველი ცდით ვეღარაფერი გააწყო. სხდომის დაწყების პირველ წუთებში ცალ გვერდზე იჯდა და ამ გზით ინარჩუნებდა წონასწორობას, მაგრამ მერე რაკი დაიღალა და თან აბელის მიერ მოუზომელმა და დაუმსახურებელმა ქებამ გაალიზიანა, წონასწორობა დაკარგა და თავისდაუნებურად, დაჰყვა სკამს, როგორც მოიმთვენდა. მას ეგონა, დიდ უზრდელობად ჩაუთვლიდნენ სხდომაზე პალტოჩაცმული რომ ყოფილიყო

და ამიტომ, სანამ სტუმრები მოვიდოდნენ, იგი იქამდე მოიშორა, კანტორაშივე დატოვა; როცა, საგანგებო შემთხვევის გამო, სტუმრები იძულებულნი გახდნენ პალტოებით მისხდომოდნენ საზეიმო მაგიდას, უკვე გვიან იყო. მხოლოდ ბოტო შემორჩა მსუბუქად ჩაცმული მოუთბუნებელ დარბაზს, რომელიც უამინდობას საკმაოდ გაეცივებინა. აბელისთანა შექეიფიანებული და შუბლგახურებული კაცისთვის ეს ყურადღების მისაქცევიც არ იქნებოდა; ეს სიცივე, რასაკვირველია, მას შვებას თუ არა, გულისწყრომას ვერ მოჰგვრიდა. ამის მაგალითს თვითონ აბელი იძლეოდა. ორატორული მისიის შესრულების დროს, შუა ლაპარაკში რომ შევიდა, მხრებზე წამოსხმული პალტო ისე სწრაფად მოიძრო, კათედრის უკან თავისუფალ სკამზე მიაგდო და მოიშორა, თითქოს სიცხემ შეაწუხაო.

— ორმოცდაათი წლიდან, — აბელმა ხმას საგრძნობლად აუწია, — მეცნიერი იფურჩქნება; დიახ, გაფურჩქნულიყოს დღეიდან ჩვენი ბოტო იმ უჭკნობ ყვავილად, რომლის მადლი და სურნელება ყველას აღელვებს და დაატკბობს! — ლოზუნგს ტაში მიაყოლა, დარბაზიც აიყოლია... როდესაც ყველა დაცხრა და სიჩუმე ჩამოვარდა, აბელი ერთხანს დაყოვნდა კათედრაზე. მერე დამუჭული მარჯვენა ხელი ისე გამოჰკრა დარბაზისაკენ, თითქოს წინ მოწინააღმდეგე აელანდა და მას პირდაპირ დარტყმა უნდა მიაგებოსო. ეს უცნაური მოძრაობა და... ერთბაშად უკანა რიგებიდან წამოცვივდნენ ბავშვები, სირბილით გამოემართნენ სტუმრებისაკენ, სცენის წინ გაჩერდნენ მწკრივად და ერთმა გოგონამ წკრიალა ხმით წამოიწყო: „პიონერები, როგორც მეცნიერს, ბიძია ბოტოს იმას ვუსურვებთ: არ მოერიდოს ძნელად სავალ გზებს!“ გოგონა რომ გაჩუმდა, ჩასუქებულმა ბიჭუნამ შეუძახა: „თქვენ ორმოცდაათი წელი, ოფლითაც რომ გაქვთ ნანამი, გვინდა მოგიძღვნათ ცხოველი პიონერული სალამი!“

— სალამი! სალამი! სალამი! — გაისმა საერთო მისალმება. ბოტო ისე იყო გაშტერებული, მადლობის გამომხატველი ღიმილიც კი ვერ მოახერხა. პიონერები ტაშით გაიცილეს უკანა რიგებამდე. სახეგაბადრული აბელი დეკანისაკენ გაემართა იმის იმედით, შემაქებსო. დეკანი ღირსეული მოძრაობით შებრუნდა მისკენ და კითხვის ნიშნის გამომხატველი თვალებით შეხედა. ამ დროს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე წამოდგა და სამეცნიერო საბჭოს გამსვლელი სესიის სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

— კოლმეურნეობის თავმჯდომარეს არ დავუცდით? — ჰკითხა გაკვირვებულმა აბელმა დეკანს.

— როდემდეღა ვუცადოთ, ჩვენ ჩვენი თავმჯდომარე გვყავს, — უთხრა დეკანმა და თავმჯდომარეს გადახედა. რაკი დაატყო, რომ თავმჯდომარეს ასიამოვნა, სხვათა შორის, თავის გამოჩენის მიზნით, გაბედა და დარბაზის საყურადღებოდ დაიტრაბახა:

— გერმანიაში რომ ვიყავი, ჩემი სტატია იბეჭდებოდა „ნოიე ცაიტუნგში“, დანიშნულ დროზე თუ არ მივიდოდი კორექტურისათვის, უკვირდათ...

ამ ცნობამ მართლაც მოახდინა ეფექტი, დეკანმა იგრძნო დარბაზში მყოფთა ცნობისმოყვარეობისა და მოკრძალების გამომსახველი მზერა. მან ღირსეული პოზით გერმანული გაზეთი ისევ გაშალა და უცებ ისე გულისყურით დააცქერდა, თითქოს პირველად ჰეროდეს ხელში და საინტერესო ამბავს წასწყდომოდეს. გაზეთს იგი დილიდან მოყოლებული ათვალიერებდა...

თავმჯდომარემ სიტყვა მისცა სამეცნიერო საბჭოს სწავლულ მდივანს. საშუალო ხნის მელოტი, ფერმკრთალი სახის მეცნიერი, ოდნავ წელში მოხრილი ავიდა კათედრაზე და სანამ უბის ჯიბიდან სათვალეს ამოიღებდა, დარბაზისაკენ უსანდომოდ იყურებოდა. მერე ჩაახველა, თითქოს ბრაზით გადაფურცლა საქაღალდე და დისერტანტის ანკეტური მონაცემების გამოქვეყნებას

შეუდგა. თითო წინადადების ამოკითხვის შემდეგ იგი რატომღაც (ეტყობოდა, უნებურად) მუშტს კათედრაზე არტყამდა. სხვადასხვა ქალაქებიდან შემოსული რეცენზენტების დასკვნები მან ერთობ არტისტული გამომსახველობით და ისეთი დიდი ხალისით გამოაქვეყნა, გეგონებოდათ საკუთარი აზრების გამოფენას ახდენდა და მოწადინებული იყო არცერთი წინადადების აზრი არ დარჩენილიყო უყურადღებოდ. რეცენზიები გახლდათ: როსტოვიდან, ხაბაროვსკიდან, ოდესიდან, მინსკიდან, დუშანბედან, ქუთაისიდან, ყულევიდან, ალიაბადიდან და სხვა მრავალი ქალაქიდან და სოფლიდან. დარბაზში მყოფნი ისე იყვნენ გაკვირვებულნი — ამდენი კუთხის ხალხს საიდან იცნობსო ბიჭი, რომ აღარც ესმოდათ რას კითხულობდა სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი.

შესავალი სიტყვა დისერტანტმა თითქმის ხუთ წუთში ჩაიკითხა, დაბალი და უსიამოვნო ხმით. იგი ახლა თვითონვე ატყობდა, რომ აღარ ღელავდა, მაგრამ სიცივისაგან ისე კანკალებდა, მსმენელები მაინც ფიქრობდნენ, ღელავსო და ეცოდებოდათ.

პირველი ოფიციალური ოპონენტი, უცხვირპირო ქოსა, რომელსაც მუდამ მედიდურად ეჭირა თავი, მაღალი თანამდებობის წყალობით, იქამდე დაიძრა კათედრისაკენ, სანამ თავმჯდომარე მისთვის სიტყვის მიცემის შესახებ წინადადებას დაამთავრებდა. ოპონენტი რომ კათედრაზე ავიდა, თითქოს მხოლოდ მაშინ შეამჩნიეს, რომ ცალხელა იყო, ფრონტელი ყოფილაო, თქვა დარბაზში ვიღაცამ თანაგრძნობით და ამოიოხრა. „ფრონტელი არა! ტრამვაის შეახტა და გაიუბედურა თავი“, — განმარტა მეორემ დაბეჯითებით და ამ თემაზე კითხვა-გამოკითხვაც შეწყდა.

ოპონენტი ტრიბუნის მოყვარული გამოდგა. იგი ხალისიანად, მჭუხარე ხმით ამბობდა სათქმელს, სათქმელი კი, ეტყობა, ბევრი ჰქონდა... საკმაო დრო მოანდომა დისერტაციის პოლიტიკური მნიშვნელობის დასაბუთებას. მერე ილაპარაკა ავტორის ენთუზიაზმზე. ძალიან მოეწონა თემა; მართალია, თემა ერთობ გაცვეთილიაო, ბევრი ავტორი შეხებიაო მას, მაგრამ დისერტანტის დამსახურებას იმაში ხედავდა, რომ მან სხვადასხვა წიგნებში გაბნეულ აზრებს ერთად მოუყარა თავი და თავისი სიტყვებით გადმოგვცაო მათი შინაარსი. თუმცა, რასაც დისერტანტი ამტკიცებს, ადრეც იყო დამტკიცებულიო, მაგრამ ამით როდი მცირდებაო ავტორი. შეიძლება ორ კაცს ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლადაც დაებადოსო ერთი და იგივე აზრი; ეს არგუმენტი, სხვათა შორის, ისეთი კილოთი წარმოთქვა, ეტყობოდა, თვითონაც ძალიან მოეწონა. სამეცნიერო ხარისხის მინიჭების დროს გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს არა იმდენად დისერტაციამ, როგორც დისერტანტის პიროვნულმა ღირსებებმაო. აქ შეურყეველ საბუთად მოიშველია აბელის საიუბილეო სიტყვის რამდენიმე ნაწყვეტი. ისიც თქვა: დისერტანტის ცხოვრების გზა ია-ვარდით არ ყოფილა მოფენილიო, თორემ მას აქამდეც უნდა დაეცვაო დისერტაცია. ამ თეზისის დამადასტურებელი საბუთები არ მოუტანია, ეტყობოდა, უბრალოდ მისი ორატორული ეშმაკობა გახლდათ, რომ მსმენელების უფრო მეტი ინტერესი გამოეწვია. ოფიციალური ოპონენტის სიტყვა რატომღაც ძალიან გავდა აბელის სიტყვას. თითქოს აბელის სიტყვა სტილისტურად იყო შესწორებული და ხელმეორედ წარმოთქმული. ოპონენტმა სიტყვა მაღალფარდოვნად დაამთავრა, იმედი გამოსთქვა, რომ საძიებელ სამეცნიერო ხარისხს უეჭველად მოიპოვებსო დისერტანტი.

დისერტანტს საპასუხო სიტყვა რომ მისცეს, მან უბეში ჩაკეცილი ქაღალდები ამოაცურა და სანამ გადაშლიდა, პატივცემულო საზოგადოებაო, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა. მაგრამ ამ სიტყვებს მოჰყვა ერთობ ხანგრძლივი და საჩოთირო პაუზა, იგი აცახცახებული

ხელებით ქაღალდებში რაღაცას ეძებდა... როგორც იქნა დაიწყო კითხვა. საბჭოს წევრების ყურადღება სწორედ მისმა დაბნეულობამ მიიქცია. მერე, რაკი დისერტანტმა ხმა ამოიღო, იგი თითქოს უკვე დაივიწყეს. სამეცნიერო საბჭოს ყველა წევრი რაღაცით იყო გართული: კათედრის ახლოს ხანში შესული, ჭაღარა, მაგრამ საკმაოდ ხშირთმიანი, ჩასუქებული მამაკაცი იჯდა. მას სათვალე პატარა შუბლზე აეტანა და ფანქრით რაღაც ნაწერს ასწორებდა, ერთი დასტა რომ ედო წინ. შორიდან გეგონებოდათ, ოთხი თვალით იცქირება. მის გვერდით ფერმიხდილი მანდილოსანი, მკაფიოდ რომ ჰქონდა გამოსახული სახის ნაოჭები, გულმოსული ელაპარაკებოდა სიმპათიურ მამაკაცს, რომელსაც ეტყობოდა, არ სიამოვნებდა საუბრის თემა და ქვედა ტუჩი რაღაცნაირად მოგრეხოდა, საპასუხოდ გამზადებული, მაგრამ ქალი არ აცლიდა, თავისი აზრის ცხადად გამოხატვისათვის ქაღალდზე რაღაცას უხაზავდა კიდეც. სიმპათიურ კაცს თავისი გარეგნობის შესაფერისი მანერებიც აეთვისებინა. მას ამაყად და, თან ერთობ ცინიკური გამომეტყველებითაც ეჭირა თავი, თითქოს იგი ცივი და თავის თავზე ზედმეტად შეყვარებული ჩანდა; იგი აშკარად გამოხატავდა უკმაყოფილებას, როდესაც ქალი პაპიროსის კვამლს შემთხვევით მის უზადო მოყვანილობის ცხვირისაკენ გაუშვებდა. მეცნიერი ქალი პაპიროსს არ უნდა ეწეოდესო, უხამსი შენიშვნაც კი დასცდა საპატიო კოლეგას ქალის საყურადღებოდ.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ზომაზე მეტად ჩასუქებული გახლდათ. იგი მუდამ მხიარულ ხასიათზე იყო. ყველას ულიმოდა, ჩუმჩუმად ქათინაურებსაც კი ისვრიდა ვიღაცის გულის დასაამებლად. ახლა კი, როცა დისერტანტი დაწერილ სიტყვას კითხულობდა, პატარა ტანის კაცს არიგებდა, თუ რა გზით შეეძლო რომელიღაც კარგი ოთხოთახიანი ბინის ხელში ჩაგდება. პატარა კაცს მორჩილების გამომხატველი თვალები ისეთი სასოებით ჰქონდა მიპყრობილი თავმჯდომარისაკენ, თითქოს მადლიერების გარდა, ერთგულებასაც უმტკიცებდნენ, მაგრამ თავმჯდომარე იმ პატარა ეშმაკზე გაცილებით ჭკვიანი იყო. იგი კარგადატყობდა მის ახლომახლო ჩასმულ წოწოლა თვალის კაკლებში რა ცბიერება ელვარებდა. ცხვირისაკენ წამოფენილი და წამოგრძელებულ მის სახეზე გადარბენილი ყალბი ღიმილი ტუჩის ქიმამდე ჩააღწევდა თუ არა, ქვედა ყბას გვერდზე მოუქცევდა ხოლმე და ამ დროს რატომღაც თავმჯდომარეს მელიას აგონებდა და გუნებაც უფუჭდებოდა.

პატარა კაცის გვერდით მისივე მსგავსი, ოღონდ გარეგნულად სრულყოფილი კაცი იჯდა. თითქოს ერთი დაპატარავებულა და მეორე გაზრდილაო, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა. ოღონდ სრული გარეგნობის კაცს უფრო სწორნაკვთებიანი ხორბლისფერი სახე ჰქონდა, პატარა კი შავი იყო, თანაც ცხვირმსუქანი. თმა გათეთრებოდა, მაგრამ შავი ზოლი უცნაური სიმკვეთრით მხოლოდ კეფის გასწვრივ შემორჩენოდა. სრული გარეგნობის კაცი დეკანს შესჩიოდა, რომ ჰონორარი შემომცირესო ათი პროცენტით, მერე „დინამოს" ფეხბურთელებზე ჩამოუგდო ლაპარაკი, ჩემპიონობა ძალით დააკარგვინესო, ხელი არ შეუწყესო... ათასი არგუმენტები მოჰყავდა დეკანის წინაშე.

დეკანი მხოლოდ იმით უკეთებდა გულს თანამოსაუბრეს, რომ გერმანიაშიც იცნობენო მაგ გუნდს. დეკანი თავითფეხებამდე გერმანულ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი და რა თემაზეც არ უნდა დაეწყოთ მასთან საუბარი, მუდამ გერმანიას იგონებდა, გერმანულ მაგალითებს უკავშირებდა ყველაფერს.

დეკანის მეორე მხარეს საშუალოზე ოდნავ მაღალი, გრძელკისერა კოლეგა იჯდა. იგი უფრო რუხი ფერის ზორბა მეჭეჭით გამოირჩეოდა, რომელიც ზედ ცხვირის ბოლოს მიჰკვროდა. იგი ხანში იყო შესული, მაგრამ თავი ყინჩად ეჭირა. სახეზე გამკილავი ღიმილი უთამა-

შებდა. იგი დეკანისაკენ მალიმალ გვერდულად წაავრძელებდა ხოლმე კისერს და ისე ჩუმად ეჩურჩულებოდა, რომ ვერაფერს გაიგებდით. თხელი, ფერდაკარგული ტუჩები გაყინულივით ჰქონდა. მხოლოდ ხვინჩი უმოძრავებდა ამ დროს. ვიღაც დიდი თანამდებობის პირის სამუშაოდან მოხსნის ამბავი რომ გაიგო, თითქმის შეჰყვირა: ის მამაძაღლი უნდა დაეჭირათო. მაგრამ როცა უთხრეს — უკეთეს ადგილზე გადაიყვანესო, სახეზე უნდილი ღიმილი შეეპარა და ერთობ ნირწამხდარმა თქვა: — მერე რა, დიდი გამოცდილება აქვს. ასეთი კაცის გაფუჭება ზარალი იქნებოდაო.

მის გვერდით მყოფი, სახის გაურკვეველი ფერის კოლეგა, რომელსაც ცოლის რჩევით ულვაშები ჩამოეპარსა (უფრო ევროპიელი იერი რომ მისცემოდა) რაღაცას წერდა. მერე ეს ნაწერი მეჭეჭცხვირას წინ დაუდო. იმან ცერად დახედა. ქაღალდი მეორე გვერდზე გადააბრუნა, კარგა ხანს უყურა, თუმცა იმ მხარეზე არაფერი ეწერა. ბოლოს ნიშნის მომგები კილოთი უთხრა: „ყველაფერს გაგიკეთებდით, ოვსიანოვსაც დავითანხმებდი ოპონენტობაზე (თუმცა სუსტიაო, არ მოსწონს შენი დისერტაცია) მაგრამ... შენი ბრალია. შენ, ჩემო ძმაო, ჩემი ადგილი გდომებია... ხრიკებს მიწყობ?! ხომ იცით თხა-თხაზე ნაკლები, მგელმა შეჭამოსო!“... ჩაურთო გესლიანად და თითიც დაუქნია.

ამჯერად, ცოლის რჩევით ულვაშებჩამოპარსულმა უკან დახევა არჩია, არ შეედავა; კისრიდანვე მოკრეფილი და ქეჩოზე დაწებებული შავად პრიალა თმა შეამოწმა — თავის ადგილზე მაქვს თუ არაო და დისერტანტს მიაშტერდა. მაგრამ იმავე წამს მეორე კოლეგამ საკმაოდ მკაფიო ხმით რაღაცის სანიშნებლად გამოსძახა: „რა გააჭირათ საქმე!“ პასუხი რომ ვერ მიიღო, მანვე იკითხა: „სადილს სად ამზადებენ?“

დისერტანტს არ უსმენდნენ ოფიციალური ოპონენტებიც. პირველი ოპონენტი მეორე ოპონენტს ეჩხუბებოდა დისერტაციის თაობაზე. მწარე შენიშვნები პირადად უნდა გაგვეზიარებინაო ავტორისათვის, გამოტოვე ეგენი და ისე წაიკითხე რეცენზია, თორემ დისერტაცია ჩავარდებაო. მეორე ოპონენტი, ეტყობოდა, დიდ ანგარიშს უწევდა პირველს, ამიტომ მოკრძალებით უქნევდა თავს და ხშირ-ხშირად იმეორებდა, ვეცდებიო, თან რატომღაც მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითით საფეთქელს დაუსრულებლად იფხანდა. უცებ შემოესმათ, რომ მეორე ოპონენტის სახელი ახსენა დისერტანტმა. მეორე ოპონენტმა უნებურად დაუგდო ყური დისერტანტს და თითქოს შიშის ჟრუანტელმა დაუარა ტანში. დისერტანტი, პირველის ნაცვლად შეცდომით მეორე ოპონენტის საპასუხო სიტყვის ტექსტს კითხულობდა, მეორე ოპონენტმა თავმჯდომარის საყურადღებოდ საყვედური გამოსთქვა: მე ჯერ სიტყვა არ მითქვამს, რას მეკამათებიო.

თავმჯდომარემაც ახლაღა მიაქცია ყურადღება, იდიოტიო, თავისთვის ჩაილაპარაკა და ის იყო უნდა გაეფრთხილებინა დისერტანტი, პირველ ოპონენტს გაეცი პასუხიო, რომ დისერტანტმა უკვე ბოლომდე ჩაიკითხა ტექსტი, რომელიც მთავრდებოდა მეორე ოპონენტისადმი უღრმესი მადლობით; პირველმა ოპონენტმა ეს რომ მოისმინა, თვალები დაბრიცა და საბჭოს წევრებს ისე გადახედა, როგორც გამოსუწორებელ დამნაშავეებს...

დიდი ვაივაგლახის შემდეგ, სამეცნიერო საბჭოს გამსვლელი სხდომა როგორც იყო დამთავრდა და დისერტანტმა მოიპოვა მოხსპოვგირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გახსენება

არჩილი ბაღში სეირნობდა, შეშფოთებული იყო, აქეთ-იქით აწყდებოდა და ხანგამოშვებით ისე მედიდურად უბრწყინავდა სახე, გეგონებოდათ რაღაც მაღალ აზრს რომ ეძებდა, უკვე იპოვა და გამარჯვებას ზეიმობსო; მერე უცებ შეჩერდა, უცხო სანახაობასავით მოავლო თვალი ბაღს, მაგრამ გარკვევით ვერაფერი დაინახა, ფიქრებმა სახე დაუგრძელა. თავისუფალ სკამზე ჩამოჯდა. სულ რამდენიმე წამის წინ რაღაც სასიხარულო ამბის გახსენებამ ახლა თითქოს შეაშფოთა იგი, განსჯისათვის კი ნებისყოფა აღარ ეყო. სულიერმა დაძაბულობამ თანდათან შეუმჩნევლად გაიარა. დაჭიმული ნერვები დაწყვეტილი თოკებივით მოძონძდნენ და დარბილდნენ. აზრები შემოეფანტნენ და სადღაც ისე გაუქრნენ, თითქოს არასოდეს არ ჰქონოდეს მათთან საერთო.

კარგახანს გარინდებული მხოლოდ მაშინ შეტოკდა, როცა თავისი წარსულის ერთი ამბავი სიზმარივით გამოეცხადა და უნებლიედ ფიქრის უნარი თავგადასავლის ხელახლა განცდისათვის დაუბრუნა...

ახლაც სწორედ იმ სკამზე ეგონა თავი, მაშინ რომ იჯდა, ვაგზლის ბაღში. და იმიტომ შეტოკდა, რომ უფრო მოხერხებულად დამჯდარიყო.

უცებ დაბრუნდა მისი სტუდენტობის დრო. აღარ ახსოვს რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ. იმ ბაღში შემთხვევით არ შემოსულა. იგი თითქმის ყოველდღე გაივლიდა ხოლმე მას გზად; და უცებ ხელახლა გათენდა ის დღე, როცა ბუჩქის ძირში სკამზე განმარტოვებული გოგონა დაინახა, უმალ მისკენ წავიდა და მის მორიახლო დაჯდა. ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისა იქნებოდა გოგონა. არჩილისთვის მას ყურადღება არ მიუქცევია. ოდნავ ზურგშექცევით იჯდა და თითქოს გაოცებით სივრცეში იცქირებოდა. არჩილი გრძნობდა მის სიახლოვეს, რაღაც დამათრობელ სურნელს მისი თმებისას, ლაწვებზე რომ ჰქონდა ჩამოვარცხნილი და მოხდენილ თეთრ კისერს მედიდურობით რომ აჩენდნენ. შინდისფერი კაბა ეცვა. ხელები მუხლებზე დაეწყო და ისეთი სინაზით ეჭირა თითებით რაღაც ძაფის ნაწყვეტი, თითქოს ცოცხალი არსება იყო და ფრთხილობდა არაფერი ვავნოო. არჩილმა მალული მზერა მოაშორა ქალიშვილს. მერე ისიც სივრცეში იყურებოდა, სწორედ იქით, ქალიშვილი რომ გასცქეროდა. უზარმაზარი ვაგზლის გადაღმა კლდოვანი მთის ქონგურებივით ისახებოდნენ ღრუბლები; ცა მშვიდი იყო და ხის კენწეროებიც არ ირწეოდნენ.

— რომელი საათია? — ჰკითხა გოგონამ ვაჟს.

არჩილი მისკენ გადაიხარა და მაჯის საათი თვალებთან ახლოს გაუჩერა.

— ინებეთ, — უთხრა ვაჟმა. გოგონას არ დაუხედავს საათზე. იგი ისევ სივრცეს გასცქეროდა. დაბნეულმა ბიჭმა ხელი უნებურად უკანვე წაიღო.

— ოთხი სრულდება, — სწრაფად თქვა არჩილმა და საათი რატომღაც მომმართა.

— გმადლობთ, — ქალიშვილი ყურადღებას არ აქცევდა. ისევ ძალდაუტანებელი მოკრძალებით იჯდა. მერცხლების გუნდმა ისე დაბლა გაიქროლა, რომ ნიავის ფრთების რბილი ამბორი ორივემ იგრძნო.

— ბუდიდან ახლად ამოფრენილები ჩანან, — თქვა ბიჭმა.

— რაზე ატყობთ? — დაინტერესდა ქალიშვილი.

— ვერ ხედავ, დედ-მამა რა ყოფაშია. სანამ ბარტყები ფრენას არ ისწავლიან. ბრმებივით უმწეონი არიან... მოგწონთ?

— რაა?

— მერცხლები.

— რა ვიცი...

— არც ცა?

ქალიშვილმა მხრები შეატოკა.

— თქვენი თვალებივით ნაზია და ლურჯი, — უცებ თქვა ბიჭმა და თვითონვე გაუკვირდა თავისი გამბედაობა.

ქალიშვილი ვაჟისაკენ გაოცებით მოტრიალდა. მას მართლაც ჰქონდა ცისფერი და დიდრონი თვალები. ვაჟმა ერთი შეხედვით ისიც შენიშნა, რომ ის თვალები ცასავით უტყვნი და მიუკარებელნი იყვნენ.

— წავიდეთ, ლექსო, — თქვა ქალიშვილმა, როგორც კი ცამეტიოდე წლის ბიჭი მიუახლოვდა. ბიჭსაც წაბლისფერი თმა ჰქონდა და დიდრონი თვალები.

— წავიდეთ, მაიკო! — უთხრა ბიჭმა და ხელი გაუწოდა. ქალიშვილმა შავი წვრილი ჯოხი აიღო, სკამის ზურგზე რომ იყო მიყუდებული და ბიჭს მორჩილად გაჰყვა ხელჩაკიდებული. ისინი მიდიოდნენ ფრთხილად: ბიჭი წინ მიუძღოდა და ქალიშვილი მიჰყავდა. ქალიშვილი ორჯერ მაღალი იყო. ხომ გინახავთ, როგორ ადგამს ფეხს მიწაზე უსინათლო: ქალიშვილი თითქოს პირველად იყო დედამიწაზე, ისე უნდობლად სინჯავდა ჯოხით გზას და ადგამდა ნაბიჯებს...

არჩილიც ადგა, რაღაც უხილავმა ძალამ დაიმორჩილა და ქალიშვილს აედევნა. მიწისქვეშა გზით გავიდნენ სადგურში. იმანაც აიღო ბილეთი და მატარებელში წინ დაუჯდა მაიკოს. ლექსოს მისთვის სულაც არ მიუქცევია ყურადღება. რაღაც ამბავს უყვებოდა მაიკოს, რომელსაც ეღიმებოდა და თავისი სახის ცხოველმყოფელ ბრწყინვალებას კიდევ უფრო აასკეცებდა ეშხით. არჩილი ხმას არ იღებდა. იგი მონუსხულივით შეჰყურებდა მაიკოს და გულში ნატრობდა, მალე არ [illegible]სო გზა. სასწაულებრივმა მოულოდნელობამ გულის ნაღველი და სულის დრტვინვა აადევნა. მან თითქოს საკუთარ თავზე გამოსცადა ადამიანური ლხენისა და უზრუნველობის უკულმართი საწყაული. სიბრალულით მოავლო ირგვლივ თვალი ყველას, უმწეობის გრძნობით დაზაფრული განშორების შიშის სევდამ შესძრა, ნაპოვნი განძი ახლა მისთვის სასოწარმკვეთ სინანულად გადაიქცა. უწყრებოდა ბედისწერას სასტიკი განსაცდელის მირგუნებისათვის. ნაღველით აღსავსემ უნებურად ამოიოხრა და...

როცა კვლავ მიმოიხედა, შენიშნა რომ ბიჭი გასასვლელისაკენ მიუძღოდა მაიკოს. არჩილი ერთხანს ადგილზე გაქვავდა, ცუდ საქციელში უდანაშაულოდ ეჭვდებულივით აილეწა, მერე თავის თავს სძლია და გარეთ გავარდა...

მატარებელი დაიძრა. არჩილი გრძნობდა გრუხუნა ბორბლებიდან ქარის გამოყრილ მტვერს. მოპრიალებული ლიანდაგი ჯერ ჩრდილებისაგან დაწყვეტილი აციმციმდა და მერე მზის სხივებით გაბრწყინებული სიგრძივ გაწვა და დადუმდა.

არჩილი იდგა ერთ ადგილას და გასცქეროდა მიმავალ მაიკოს, სანამ იგი ერთ პატარა ფიცრულში არ შეიყვანა ბიჭმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ხოშტარია

## „მტკვრის კიდესა ზედა"

„ზეით არს, მტკვრის კიდესა ზედა, ხამხრით პეტრეს ციხე, ფრიად მაგარი და შეუვალი მტრისაგან".

ვახუშტი

ლიკანში როცა ღამდება,
ციხე საოცრად ინთება,
ცადამართულო მშვენებავ,
შენა ხარ ერის დიდება!

აზანზარებდა მიდამოს
გამარჯვების დროს აქ ლხინი,
ხმა აბჯარსხმული მხედრების,
დარახტულ ცხენთა ჭიხვინი.

ეცემოდა მტრის ლაშქარი,
მტკვარს მიჰქონდა ბლუჯა-ბლუჯა,
და ბორჯომის დიდ ხეობას
პეტრეს ციხე ედგა ბურჯად.

გოგიასას ეძახიან,
მასაც დიდი უდევს წილი,
შორით მოსჩანს აქ მეორე —
ციხე მტრისგან დალეწილი.

ჩვენს წინაპართ სასოებით
მოვიგონებთ ალტაცებით,
ეჰ, რამდენი საფლავები
დაკარგულა ვაჟკაცების.

გული ხარობს, რომ შევყურებ
ძმად ნაფიცრებს — ამ ორ ციხეს,
იმათ ნახვას ვესწრაფოდი,
სადიდებლად თითქოს მიხმეს.

ულამაზეს ამ მხარეში
იყვნენ ხალხის გადამრჩენი,
დღესაც ზღაპრულ მდევებივით
დგანან ძველი სიმაგრენი.

## გრძნობდნენ მაშინ რაჭის მთები

ვხედავ აწმყოს პოეზიის
თვალმიუწვდენელ ვრცელ სამყაროს,
ასე ვფიქრობ: გალაკტიონს
დღეს ვინ უნდა შეედაროს!

თითქოს ხომლი დაჰკიაფებს
ანგელოსთა ხუჭუჭ თმებში,
ძალა დიდი ხელოვნების
ნიკორწმინდის ჩუქურთმებში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთების გუგუნს, მეხთატეხას,
ის უძლებდა მძლავრ სტიქიონს,
ნიკორწმინდა თავს უხრიდა
მოწიწებით გალაკტიონს.

გრძნობდნენ მაშინ რაჭის მთები, —
ჯადოქარი ედგათ გვერდით,
გაოცებით შესცქეროდა
წმინდა ტაძარს, ლექსის ღმერთი.

მისებურად, დიდებულად,
მიმოქარგა ათასფერად,
უტყვი ქვები სამუდამოდ,
ხალხისათვის აამღერა.

## შთაგონება

ეკალ-ბარდებს არ დავზოგავ,
სურნელოვან ვარდს ვახარებ,
რა სჯობია თუ კი ვინმეს
ახალ ლექსით გავახარებ!

როგორც ქარი ჭადრის ფოთლებს
ატკაცუნებს გაშლილ ალამს,
სათნოება მოგვანიჭოს
პოეზიის უშრეტ ძალამ.

მზეო, შენმა ელვარებამ,
შფოთვა, გმინვა დაგვიწყნაროს,
დე, სიცოცხლემ იზეიმოს
იყოს მუდამ შვების წყარო!

ძლიერ სიტყვას ჰქონდეს ფასი,
ოქროსა და იაგუნდის.
სიყმაწვილის შთაგონებავ,
ხელმეორედ დამიბრუნდი!

## მზეს შეჰხარის!

ზეცა ღრუბლით დათალხულა,
რა ძლიერი ქროდი ქარი,
ალბათ ზღაპრად მასზე თქმულა,
რომ მიჰქონდა მთა და ბარი.

მე არ ვიცი რა დაძლევდა,
შავბნელ უკუნს, ქარის ზუზუნს.
ამ მჭექარ ხმას ვინ აძლევდა
ჰგავდა მართლაც ზღვების გუგუნს.

მეორე დღეს მიჰყვა ნებას,
დასცხრა დიდი სტიქიონი.
და ბუნების განახლებას
ლექსად ვუძღვენ ეს სტრიქონი.

დღე რაც უნდა იყოს მკაცრი,
ახალისებს მას ცისკარი,
ასე არის: სანამ კაცი
ცოცხალია, მზეს შეჰხარის.

ვლადიმერ ჯანჯღავა
გენერალ-ლეიტენანტი
საბჭოთა კავშირის გმირი

# ე რ თ გ უ ლ ე ბ ა

## დივიზიის მეთაურის ჩანაწერები

## ორმოცდაორი წელი

### არცერთი ნაბიჯი უკან!

სატანკო ბრიგადის მეთაურს მაიორ გორელოვს 2 ივლისს საღამოხლა შევხვდი სოფელ ოგრიზკოვოს მახლობლად. მისალმებისთანავე ვითარების დაზუსტებაზე გადავედი.

— მოწინააღმდეგე ცხვირწინაა, — ვუთხარი მე, — მდგომარეობა — უარესი რომ წარმოუდგენელია!

მერე გორელოვს ვუთხარი, ტანკით ერთად წავიდეთ და ვითარება ადგილზე დავაზუსტოთ-მეთქი.

— რა თქმა უნდა, თქვენ მართალი ხართ, — დამთანხმდა გორელოვი, — ადგილზე უკეთ გამოჩნდება.

რამდენიმე ტანკის თანხლებით წავედით ოგრიზოვკოს მიმართულებით. თითქმის ზედ სოფელთანავე გერმანელ მეავტომატეთა ასეულს წავაწყდით. ეტყობოდათ არაფრით არ მოელოდნენ საბჭოთა ტანკების აქ გამოჩენას. ჩვენმა ტანკებმა კარგად ისარგებლეს ამ შემთხვევით და სულ რაღაც ოც წუთში მტრის მთელი ასეული გაანადგურეს. დევნას, ცეცხლსა და ტანკების მუხლუხებს ძალიან ცოტანიღა თუ გადაურჩნენ.

როცა მე და მაიორი გორელოვი პოლკის საკომანდო პუნქტში დავბრუნდით იქ უკვე გველოდა დივიზიის შტაბის მეკავშირეთა ოფიცერი. მან გვითხრა, რომ ხვალ, ესე იგი 3 ივლისს, იგეგმება ერთობლივი დარტყმა პირველ სატანკო კორპუსთან ერთად იმ მიზნით, რომ მოვსპოთ მოწინააღმდეგე ზახაროვკის რაიონში და ალვადგინოთ მდგომარეობა კშენის აღმოსავლეთ ნაპირზე. ამ გეგმის მიხედვით, კერძოდ, 676-ე პოლკს 89-ე სატანკო ბრიგადასთან ერთად, უნდა ემოქმედა სოფელ კალინოვკის მიდამოებში და მტერი მდინარის გაღმა გაედევნა.

ოგრიზკოვოს დატოვების შემდეგ ჩვენმა პოლკმა ამავე სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით მოაწყო თავდაცვა. ახალი თავდაცვითი ზღუდე ტექნიკური თვალსაზრისით არც თუ მთლიანად ხელსაყრელი იყო — ხელისგულივით სწორ მინდორზე ერთი ბუნებრივი დაბრკოლება არსად ჩანდა. მაგრამ რა გვექნა, იძულებით უკან დახევისას სადაც მოგვიხერხდა, იქ გავმაგრდით.

ღამის ორ საათზე ჩემს მიწურში შემოვიდა ახალგაზრდა, წარმოსადეგი გარეგნობის მეთაური. ჭრაქის მბჟუტავ შუქზე უცბად ვერ ვიცანი ჩემი ძველი დამრიგებელ-მასწავლებელი, რომელთან ერთადაც ხანგრძლივად ვმსახურობდი 178-ე დივიზიაში, ვიბრძოდი თეთრფინელებთან და ვმონაწილეობდი ბესარაბიის განთავისუფლებაში.

— გამარჯობა, ვალოდია! — მითხრა სტუმარმა უბრალოდ და ხელი გამომიწოდა.

ხმაც ძალიან ნაცნობია. ნუთუ ეს პოლკოვნიკი კრავჩენკოა? დიახ, სწორედ ის იყო — ანდრეი კრავჩენკო. მე და ის უკანასკნელად ორმოცდაერთი წლის შემოდგომაზე, პავლოგრადთან შევხვდით ერთმანეთს. ერთმანეთს მეგობრულად გადავეხვიეთ.

---

იხ. „მნათობი", № 5, 6.

— მომიყევი, როგორ მიდის საქმეები, — მკითხა კრავჩენკომ და მაგიდასთან ჩამოჯდა. — ვხედავ, იზრდები, უკვე პოდპოლკოვნიკი ხარ. მე და შენ რომ დავშორდით კი, მგონი, კაპიტანი იყავი, არა?

— კი, ასე იყო.

— მე ახლა პირველ სატანკოში ვარ, შტაბის უფროსი ვარ გენერალ კატუკოვთან, — თითქოს სხვათაშორის თქვა ანდრეი გრიგოლის ძემ.

— მე კი, როგორც მხედავთ, მსროლელთა პოლკს ვმეთაურობ. თქვენ მეკითხებით, საქმეები როგორ მიდისო? ძალიან ცუდად, ანდრეი გრიგოლის ძევ, პოლკიდან ერთი ბატალიონიღა თუ მოგროვდება, არტილერია თითქმის აღარა გვყავს.

— არა უშავს, ვალოდია, ყველაფერს მოევლება.

ბევრი რამ მინდოდა მეკითხა ანდრეი კრავჩენკოსათვის, გამეგო ყოფილ თანამოსამსახურეთა ასავალ-დასავალი, მაგრამ მოგონებებისა და პირად თემებზე საუბრის დრო არ იყო. გამოკითხვის მაგიერ მე შტაბის უფროსი გამოვიძახე და მომავალი ბრძოლების თაობაზე ერთმანეთს აზრი გავუზიარეთ. პოლკოვნიკმა კრავჩენკომ რამდენიმე შენიშვნა გამოთქვა ტანკისტებთან ურთიერთმოქმედების შესახებ და მოუცლელობის გამო მალე წავიდა. მას მართლაც უამრავი საზრუნავი ჰქონდა. სატანკო კორპუსი სულ ახალი მოსული იყო ფრონტზე და ბევრი რამ უნდა მოეგვარებინა — უნდა დაეზუსტებინა საერთო მდგომარეობა და, მასზე დაყრდნობით, ტანკების კონკრეტული მიმართულებით მოქმედების გეგმაც განესაზღვრა.

პოზიციების გაუმჯობესების მიზნით გათვალისწინებული კონტრიერიშის დაწყება დანიშნული იყო 3 ივლისს. 19 საათსა და 30 წუთზე. ჩვენი პოლკის დასახმარებლად დივიზიის მეთაურმა ერთი საარტილერიო დივიზიონი გამოყო. ხანმოკლე საარტილერიო მომზადების შემდეგ ქვეითი და ტანკები იმავ წამს იერიშზე გადავიდნენ. აშკარად ჩანდა. საარტილერიო მომზადება და კონტრიერიში ფაშისტებს მოულოდნელად დაატყდა თავს. მტრის ბევრმა დაზარალებულმა ქვედანაყოფმა უკან დახევა დაიწყო. ამისდა მიუხედავად, სოფელ ოგრიზკოვოს ქუჩებში მაინც გააფთრებული ბრძოლები გაჩაღდა. განსაკუთრებით ძლიერ წინააღმდეგობას გვიწევდნენ ცალკეულ სახლებში ჩასაფრებული ჰიტლერელები.

676-ე პოლკის ბატალიონებმა მტრის წინააღმდეგობა გატეხეს, ტანკების აქტიური მხარდაჭერით სოფელ ოგრიზკოვოს მიდამოებში კიდევ ორი დასახლებული პუნქტი გაანთავისუფლეს. ამ ბრძოლაში მათ გაანადგურეს სამასამდე ჰიტლერელი, ნადავლის სახით ხელთ იგდეს ერთი ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი, სამი ტყვიამფრქვევი და რამდენიმე ავტომობილი. ეს მცირე გამარჯვება განსაკუთრებით სასიხარულო იყო ხანგრძლივი თავდაცვითი ბრძოლების შემდეგ. რა თქმა უნდა, თავდაცვითი პოზიციებიც მნიშვნელოვნად გავიუმჯობესეთ, ხოლო მტერი მდინარისაკენ გადავრეკეთ.

ღამით და შემდეგ დღეებშიც ფაშისტური არმიის ნაწილები და ქვედანაყოფები არაერთგზის შეეცადნენ კიდევ ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით წამოწევას, თავგამოდებით უტევდნენ ჩვენსა და მომიჯნე პოლკების პოზიციებს, მაგრამ ყველგან მსროლელთა, მეტყვიამფრქვევეთა და ტანკისტების ერთობლივ ცეცხლს ხვდებოდნენ და სისხლისაგან დაცლილნი კვლავ უკუიქცეოდნენ.

ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლა 2 ივლისამდე გაგრძელდა, რის შემდეგაც როგორც მთელი მეცამეტე არმიის, ისე მეთხუთმეტე მსროლელი დივიზიის უბანზე ფრონტი სტაბილური გახდა. ყოველივე იმის შემდეგ, რის გადატანა და გაძლებაც 676-ე პოლკის პირად შემადგენლობას მოუხდა ტიმსა და კშენთან ბრძოლებში, თავდაცვაზე გადასვლა მებრძოლებმა, სერჟანტებმა და ქვედანაყოფების მეთაურებმა დიდ სასიხარულო მოვლენად მიიჩნიეს. გამუდმებულმა მრავალდღიანმა ბრძოლამ ადამიანები უკიდურესობამდე დაქანცა. საჭირო იყო დასვენება. უბრალოდ ადამიანური გამოძინება, თავისი თავის მოწესრიგება. ჭუჭყიანი საცვლების გადაყრა და ახლების ჩაცმა. ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი ყოველდღიური საყოფაცხოვრებო აუცილებლობა, რაც მიუწვდომელი და შეუძლებელია ბრძოლის მსვლელობაში.

აქტიური საბრძოლო მოქმედების შეწყვეტის შემდეგ. პირველ დღეებში დივიზიის მეთაური აფანასი სლიშკინი დივიზიის ინჟინერ გ. ნ. შენგელიასთან (იგი ცოტა გვიან კაპიტანმა ვ. პ. ეგოროვმა შეცვალა) და დაზვერვის უფროს კაპიტან ი. ვ.ეროფეევთან ერთად თითქმის სულ პოლკებში იმყოფებოდა და თავდაცვის ზღუდის ავ-კარგიანობას პირადად ამოწმებდა.

— სანამ შევსებას მივიღებთ, ჩვენ ერთი საშუალება გვაქვს — დედამიწა. — გვიმეორებდა გამუდმებით სლიშკინი, — რაც უფრო ხშირად და კარგად ჩავესანგრებით, დედამიწაში უფრო ღრმად ჩავალთ, მით მეტი შანსი გვაქვს მტრის ახალი იერიშების უკუგდებისა.

4 ივლისს თითქმის მთელი დღე ჩვენს პოლკში გაატარა დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსმა, ბატალიონის კომისარმა ნ. ი. რომანოვმა. იგი ესაუბრებოდა ჯარისკაცებსა და მეთაურებს, ეკითხებოდა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობაზე, პრაქტიკულ საქმიანობაზე გადაათვალიერა პარტიასა და კომკავშირში შესვლის მთხოვნელთა განცხადებები. პოლკი ასე მამაცურად და თავგანწირვით რომ იბრძოდა მტრის ჭარბ ძალებთან, ეს, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტებისა და

კომკავშირლების დამსახურება იყო. ბრძოლების დროს პოლკში, შესაბამისად, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილებაც იზრდებოდა, ივსებოდა ახალ-ახალი შინაარსით და სულ უფრო დახვეწილ, ქმედით ფორმას იძენდა. ამიტომ 9 ივლისს, ჩვენს პოლკში ყოფნისას, ნიკოლოზ ივანეს ძე რომანოვი უმთავრესად დაინტერესებული იყო ბრძოლების მსვლელობაში დაგროვილი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილებით, რათა შემდეგ შესაბამისი სახით განეზოგადებინა და დივიზიის დანარჩენი ნაწილებისათვისაც ხელმისაწვდომი გაეხადა.

9 ივლისს, გვიან საღამოს ჩვენგან იგი მეზობელ 821-ე მსროლელ პოლკში წავიდა, სადაც მეორე დღეს შტაბის ხელმძღვანელი მუშაკების თანხლებით დივიზიის მეთაური უნდა მისულიყო.

და აი, 10 რიცხვში, მთელ დივიზიას სამწუხარო ამბავი მოედო: დაიღუპა პოლიტგანყოფილების უფროსი, ბატალიონის კომისარი ნიკოლოზ რომანოვი. ეს ასე მოხდა: მოწინააღმდეგემ 821-ე მსროლელი პოლკის განლაგებას უცაბედი საარტილერიო ცეცხლი გაუხსნა. ნიკოლოზ ივანეს ძე ამ დროს თურმე მებრძოლებს ესაუბრებოდა, და პირველ რიგში იმაზე ზრუნავდა, რომ ისინი დროულად გადასულიყვნენ ხანგრებსა და ბლინდაჟებში და საბრძოლველად მომზადებულიყვნენ. თვითონ კი ბლინდაჟამდე სამი მეტრის გარბენაც ველარ მოასწრია და ჭურვის ნამსხვრევით განგმირული უსულოდ დაცემულა.

დივიზიისათვის, პოლკებისა და ყველა ჩვენთაგანისათვის ეს იყო უდიდესი დანაკლისი. ჩვენ მისი სახით დავკარგეთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ავტორიტეტული ხელმძღვანელი და ორგანიზატორი, ფაშიზმის წინააღმდეგ თავგამოდებული მებრძოლი, საიმედო ამხანაგი და მეომრების იდეურ-პოლიტიკური მეთაური. დანაკარგი მით უფრო მძიმე იყო, რომ ნ. ი. რომანოვი დაიღუპა სწორედ იმის წინა ხანებში, რაც დივიზიამ შემდეგში ყველა ფრონტელისათვის კარგად ცნობილი ბრძანება მიიღო, რომელშიც გაანალიზებული იყო ფრონტზე შექმნილი ფრიად რთული და ძნელი ვითარება.

ბრძანება 30 ივლისს იქნა მიღებული. იმავე დღეს მე და სამხედრო კომისარი დივიზიის საკომანდო პუნქტში გამოგვიძახეს. დანიშნულ დროს აქვე მოვიდნენ სხვა პოლკებისა და სპეციალური ქვედანაყოფების მეთაურები და კომისრები, დივიზიის შტაბის სამსახურებისა და განყოფილებათა უფროსები. ბრძანებისთანავე ორმწკრივად მოვეწყეთ. ვდგავართ და ველოდებით.

ბრძანებას კითხულობს დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი სლიშკინი. ყველანი დაძაბული ყურადღებით ვუსმენთ. ყოველი ფრაზა ხსოვნაში ბურღივით იჭრება. „ხალხი თანდათან კარგავს თავისი არმიისადმი რწმენას“, გვესმის მკაცრი სიტყვები.

ჩვენ ყველამ კარგად ვიცოდით, რომ ბრძანება უმთავრესად ეხებოდა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის სამხრეთის ფრთის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, იმ არმიებსა და დივიზიებს, რომლებმაც ვერ გაუძლეს მტრის ჭარბი ძალების დაწოლას და მძიმე ბრძოლებით სულ უფრო შორს იხევდნენ ვოლგის, სტალინგრადისა და კავკასიის მთისძირებისაკენ. მაგრამ საერთო წარუმატებლობაში თვითეული თავის საკუთარ ბრალსაც ვხედავდით. ჩვენც ხომ დავიხიეთ ტიმსა და კშენიდან, ვერ გავუმკლავდით და მტერს ათობით დასახლებული პუნქტი დავუტოვეთ.

სიძნელეების, რეზერვების უქონლობისა და ტექნიკითა და საომარი ძალებით მოწინააღმდეგის უპირატესობის მომიზეზება თავისმართლებად არ გამოდგება. „იდექი სიკვდილამდე! არც ერთი ნაბიჯი უკან!“ — აი რა არის ახლა ყველაზე მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი. ძნელია, გაუსაძლისია, მაგრამ მაინც იდექი! სხვანაირად საქმეს არაფერი ეშველება.

ბრძანების მოსმენის შემდეგ მწყობრი ყველამ მწარე ფიქრებით დავტოვეთ. ბრძანების მწარე სიტყვები: „ხალხი კარგავს თავისი არმიისადმი რწმენას“ — გულზე ყველას ლოდივით დაგვაწვა.

## ას შვიდი მეტრი მიწის ქვეშ

ოპერატიულ რუკაზე სიმაღლე აღნიშნული იყო ციფრით „224“. იგი მდებარეობდა სოფელ მაშინოს მახლობლად, მდინარე კშენის ნაპირს რამდენიმე ასეული მეტრით იყო დაშორებული და ირგვლივ მდებარე ადგილებს შორის გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა. ამ სიმაღლეს ერთი სხვა თავისებურებაც ახლდა: მის ჩრდილო ფერდობზე, თითქმის ზედ მწვერვალთან, ყოველი მხრიდან კარგად ჩანდა ორი, ერთმანეთზე შემდგარი ფოლადის უზარმაზარი ყუთი — დამწვარი საბჭოთა ტანკები. მათგან ერთი, უფრო მომცრო და ძველი კონსტრუქციისა ტ-26, ქვეშ იყო მოქცეული, მეორე — ვეებერთელა „კვ“ — ზედ მჯავდა წამომჯდარი.

დამწვარი ტანკები — ჩვენიც და გერმანელებისაც — ბრძოლის შემდეგ ნეიტრალურ ზოლზე საკმაოდ ბევრი რჩებოდა. ისინი თითქოს ემსახურებოდნენ თავდაცვის გამმიჯვნელ კონტურებს, მაგრამ ის ორი, გორის ფერდობზე ერთმანეთზე შემდგარი ტანკი ყურადღებას სულ სხვა რამით იქცევდა.

ეს მოხდა მდინარე კშენზე ერთ-ერთი ბოლო ბრძოლის დროს. ორივე ტანკი ბრძოლაში წინ გაიჭრა და მტრის იერიშას მოგერიებისას მსროლელ ქვედანაყოფებს თავიანთი ცეცხლით იფა-

რავდნენ. ტ-26 ტანკი, ბრძოლის დასაწყისშივე დაზიანებული, მცირე სიღრმის სანგარში ჩავარდა და ფაშისტებმა არტილერიის ცეცხლით მწყობრიდან გამოიყვანეს. მძიმე „კვ" ტანკი მის სიახლოვეს მოქმედებდა. მანევრირების დროს მცირე ხნით უკუსვლით დაიძრა. ტანკისტი ალბათ უკან არავითარ დაბრკოლებას არ მოელოდა. მოხდა მოულოდნელობა: უცბად მუხლუხები დაბუქსავდა, მანქანა აწრიალდა და სანგარში გაჩხირულ ტანკს მოექცა მაღლიდან. ფაშისტმა არტილერისტებმაც არ დააყოვნეს, — ჯერ დააზიანეს და მერე დაწვეს.

ბრძოლის შემდეგ სიმაღლე მტრის ხელში გადავიდა. ფაშისტებმა ამით კარგად ისარგებლეს, თავდაცვაზე გადავიდნენ და დამწვარ „კვ" ტანკში საარტილერიო სათვალთვალო პუნქტი მოაწყეს, საიდანაც ხელისგულივით მოჩანდა ჩვენი პოლკის თავდაცვის არა მარტო წინა მხარე, არამედ სიღრმეც. ამით მოწინააღმდეგეს შესაძლებლობა ჰქონდა ნათელ დღეებში დაუბრკოლებლად ეთვალთვალა ჩვენი საცეცხლე წერტილებისათვის, ჩვენი ყველა მოქმედებისა და მოძრაობისათვის, სისტემატურად დაეშინა არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლი ჩვენი ავტომანქანებისათვის, მებრძოლთა მცირე ჯგუფებისა და თვით ცალკეული სნაიპერებისათვისაც კი. ერთი სიტყვით, დამწვარი „კვ" ტანკი ჩვენთვის პირდაპირ უბედურებად გადაიქცა.

პოლკისა და დივიზიის არტილერისტები არაერთგზის შეეცადნენ ტანკში თავშეფარებული მტრის სათვალთვალო პუნქტის მოსპობას, მაგრამ ვერც ჯავშანსაწინააღმდეგო და ვერც ფუგასური ჭურვები მიზანს ვერ აღწევდნენ. ტანკის ჰაერიდან დაბომბვა შეუძლებელი იყო, რადგან ჩვენი წინა ხაზის ტრანშეები სულ ასი მეტრითაც არ იყო ტანკს დაშორებული.

რა ვქნათ? კიდევ რა ღონე ვიხმაროთ? ამ კითხვაზე პასუხი არა და არ ჩანდა. თუმცა უამრავი შესაძლო წინადადება, რჩევა და რეკომენდაცია გამოითქვა, მაგრამ ყველა ერთნაირად უშედეგო და განუხორციელებელი რჩებოდა.

დაახლოებით აგვისტოს შუა რიცხვებში პოლკის საკომანდო პუნქტებზე დივიზიის მეთაური სლიშკინი და დივიზიის ინჟინერი ეგოროვი მოვიდნენ. საკომანდო პუნქტის მახლობლად, ხილის ბაღში შედგა თათბირი იმის შესახებ, თუ როგორ და რა ხერხით მოგვესპო მტრის სათვალთვალო პუნქტი. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შედეგად, ყველა ერთ დასკვნამდე მივედით, რომ მიგვეღო ინჟინერ ეგოროვის წინადადება და ჩვენი თავდაცვიდან ტანკამდე გაგვეთხარა მიწისქვეშა გვირაბი, ჩაგვეწყო ძარბი რაოდენობით ფეთქებადი ნივთიერება და დაწყევლილი სათვალთვალო პუნქტი აგვეფეთქებინა. ამისათვის საჭირო იყო არანაკლებ ასი მეტრის სიგრძის მიწისქვეშა გვირაბის გათხრა.

ესოდენ უჩვეულო საბრძოლო ამოცანის შესრულების პასუხისმგებლობა მე დამეკისრა, ხოლო მიწისქვეშა სამუშაოების ზედამხედველობა და უშუალო ხელმძღვანელობა დაევალა მესანგრეთა ქვედანაყოფის მეთაურს, იმჟამად ლეიტენანტს ი. ვ. კორნეევს. სამუშაოდ გამოიყო მესანგრეთა ორი ასეული და ჩვენი 676-ე მსროლელი პოლკის ზოგიერთი ქვედანაყოფი.

უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყო იმისი დაზუსტება, თუ საიდან დაგვეწყო თხრა ისე, რომ მოწინააღმდეგეს ვერაფერი შეემჩნია, აგრეთვე ამოცანის ადგილმდებარეობასთან შეფარდებით გადაჭრა. მე და ლეიტენანტი კორნეევი თითქმის მთელ ღამეს დავდიოდით ტრანშეებზე, დავფოფხავდით წინა ხაზზე. ბოლოს, როგორც იქნა, ვიპოვეთ შესაფერი ადგილი — ტრანშეიდან დამწვარ ტანკამდე ყველაზე ახლო მანძილი. მეორე ღამეს მესანგრეებმა — უფროსმა სერჟანტმა ხილკომ და სერჟანტმა ბეზნოსენკომ სპეციალური ზონარით ზუსტად განსაზღვრეს მანძილი მტრის სათვალთვალო პუნქტამდე — 107 მეტრი.

მესანგრეებმა ჯერ სამი მეტრის სიღრმის ჭა ამოთხარეს, მერე იქიდან გაიყვანეს საკმაოდ ღრმა და ფართო ტრანშეა, რომ მასზე მტრის შეუმჩნევლად გაეტანათ მონათხარი მიწა და უახლოეს ხრამში გადაეყარათ.

გვირაბის ზომა ასეთი შევარჩიეთ: სიმაღლე 110, სიგანე 90 სანტიმეტრი. დასაწყისში საქმე კარგად მიდიოდა, 15 მეტრი მესანგრეებმა შედარებით ადვილად გათხარეს, მაგრამ მერე სამუშაო ყოველ მეტრზე თანდათან გაძნელდა. თხრილში არ ჰყოფნიდათ ჰაერი, ხოლო სამუშაო ჯოჯოხეთური იყო. მყარი გრუნტი ძნელად ითხრებოდა, საჭირო ხდებოდა ძალაყინითა და წერაქვით გაფხვიერება, თორემ ნიჩაბი ველარ ილებდა. თანაც ადამიანებს მხოლოდ წოლელა და ჯდომელა შეეძლოთ მუშაობა. ვიწრო და ჭერდაბალი გვირაბი ფეხზე დგომის საშუალებას არ იძლეოდა. და რაც უფრო ღრმავდებოდა საქმეც შესაბამისად ძნელდებოდა — ჭერი და კედლები თითქოს დავიწროვდა და შიგ მომუშავე მესანგრეებს, რომლებიც ყოველ ხუთ წუთში ცვლიდნენ ერთმანეთს, მთელი თავისი დედამიწური სიმძიმით აწვებოდა.

ერთდროულად ორ-ორი მუშაობდნენ, მაგრამ ჰაერი არც ორს ჰყოფნიდა. გადავწყვიტეთ ყოველ 2-3 მეტრზე მაღლიდან საჰაერო ხვრელები გაგვეკეთებინა, გავჭერით პატარ-პატარა ხვრელები, რომ მტერს არ შეემჩნია, მაგრამ საქმეს არც ამან უშველა. ჰაერის უკმარობა კვლავ დიდი იყო. ჟანგბადის ზედმეტი სიმცირე და ხვრელის მაღალი ტემპერატურა ადამიანებს უკანასკნელ ძალღონეს აცლიდა. ასე გრძელდებოდა დღიდან დღემდე, კვირიდან კვირამდე და საქმეც ასევე დღითიდღე, საათობით, წუთობით მიიწევდა წინ.

მიწისქვეშა სამუშაოებისთვის მოწინააღმდე-

გის ყურადღება რომ ჩამოგვეცილებინა, პოლკის მზვერავები, მეავტომატეთა და მსროლელთა პატარ-პატარა ჯგუფები ყოველ ღამე ატარებდნენ საბრძოლო ძიებას, გადიოდნენ მტრის წინა ხაზზე და აიძულებდნენ ჰიტლერელებს, ნაღმსატყორცნებისა და ტყვიამფრქვევების სროლა აეტეხათ. ასეთი ღამის სროლები ჩვენებს არავითარ ზიანს არ აყენებდა, გერმანელებს კი ჩვენს საიდუმლო საქმიანობაზე ყურადღების გამახვილების დროსა და საშუალებას ართმევდა. ხშირად ისეც ხდებოდა, რომ ჩვენი მზვერავები, მსროლელები და მეავტომატეები კარგად სარგებლობდნენ მტრის ბანაკში მომხდარი არეულობით და მათ სანგრებსა და ბლინდაჟებში ხელყუმბარებს ყრიდნენ, მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ საგრძნობ ზარალს აყენებდნენ.

ბოლოს, სექტემბრის შუა რიცხვებისათვის, გვირაბის გათხრა დამთავრდა. საჭირო იყო მხოლოდ საბოლოოდ დავრწმუნებულიყავით, სამუხტე კამარა მართლა იმ ტანკს უპირისპირდებოდა, რომელშიც სათვალთვალო პუნქტი იყო მოწყობილი, თუ არა. მე და უფროსი ლეიტენანტი კორნევი შევძვერით გვირაბში ბოლომდე და მივაყურეთ — მაღლიდან გარკვევით ისმოდა ნაბიჯებისა და ლაპარაკის ხმა, მაშასადამე, საეჭვო აღარაფერი იყო — სამუხტე კამერა ზუსტად დამწვარი ტანკის ქვეშ იყო მოთავსებული.

იმავე ღამეს მესანგრეებმა სამუხტე კამერაში 1200 კილოგრამი ფეთქებადი ნივთიერება შეზიდეს და კამერიდან აფეთქებულ მანქანამდე ზონარიც გაჭიმეს.

პოლკს მიეცა ამოცანა: აფეთქებით ესარგებლა და სიმაღლე 224-ს დაუფლებოდა. ამისათვის ორი ნაკრები რაზმი გამოვყავით. თვითეული გაძლიერებული ასეულის ოდენობით.

14 სექტემბერს ნაკრებმა რაზმებმა იერიშისათვის საწყისი მდგომარეობა დაიკავეს. პოლკის საკომანდო პუნქტზე მოვიდა დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი ა. ნ. სლიშკინი. პოლკის მთელს თავდაცვითს უბანზე სრული სიწყნარე იყო. სექტემბრის შუა რიცხვებისათვის უჩვეულოდ თბილი დღე უკვე იწურებოდა. მზის ჩასვლამდე სულ რამდენიმე წუთიღა რჩებოდა. პოლკოვნიკ სლიშკინის ბრძანებისთანავე გადმოვატრიალე ამფეთქებელი მანქანის სახელური. გაისმა გამაყრუებელი აფეთქების ხმა. სიმაღლეს შავი კვამლის ბოლქვები შემოეხვია. წამის შემდეგ კიდევ მეორე აფეთქების ხმაც გაისმა, — ეს დანაღმული მინდორი ავარდა ცისკენ, რომელიც მტრის სათვალთვალო პუნქტს ერტყა ირგვლივ.

პოლკის ნაკრები რაზმები „ურას“ ყვირილით გაიჭრნენ წინ და იერიშზე გადავიდნენ. ხანმოკლე ხელჩართული ბრძოლის შემდეგ სიმაღლე უკვე ჩვენს ხელთ იყო.

მესანგრეთა გმირული შრომა და ჩვენი პოლკის ნაკრები რაზმების მედგარი ბრძოლა წარმატებით დასრულდა.

ორმოცდაორი წლის მთელ შემდეგ თვეებში, როგორც მთელი დივიზია, ჩვენი პოლკიც გამუდმებით ამაგრებდა თავდაცვას, სრულყოფდა საბრძოლო ჩვევებს, ლებულობდა შევსებას და წვრთნიდა მათ, ასწავლიდა ნებისმიერ დროს მტრის უკუგდების ხერხებს, შთააგონებდა საბჭოთა მიწაწყლის ყოველი მტკაველის სისხლით დაცვას და სიკვდილის წინაშე წარბშეუხრელად დგომას. თუმცა 1943 წლის იანვრამდე ფრონტის ჩვენს უბანზე შედარებით სიწყნარე სუფევდა. გერმანელ ფაშისტთა ჯარები სტალინგრადთან და კავკასიაში გააფთრებულ ბრძოლებში იყვნენ ჩაბმული და ლივნის მიმართულებით საიერიშოდ აღარ ეცალათ.

ჩვენ, რაც შეგვეძლო, თავდაუზოგავად ვეხმარებოდით ვოლგაზე და კავკასიაში მებრძოლ ჯარისკაცებს. ჩვენს დივიზიაში იმხანად ფართოდ გაიშალა სნაიპერული მოძრაობა. დღე ისე არ გავიდოდა, რომ სნაიპერებს მწყობრიდან არ გამოეყვანათ... 

მთავარი და უფრო რთული ბრძოლები ჯერ კიდევ წინ იყო.

## ორმოცდასამი წელი

# შფოთიანი მოლოდინი

უკვე რამდენიმე თვეა, რაც ჩვენი 676-ე მსროლელი პოლკი, როგორც მეცამეტე არმიის სხვა ნაწილები, თავდაცვაზეა გადასული. მოწინააღმდეგე არმიის ზოლში შეტევის განახლებისათვის არავითარ სერიოზულ ცდას არ მიმართავს. დროდადრო, რა თქმა უნდა, ხდება ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები, მზვერავთა ცალკეული შეტაკებები, მაგრამ ისინი, როგორც წესი, ჩქარა თავდება ხოლმე და ჯარების ცხოვრებასა და ამბავთა მსვლელობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ვერ შეაქვს.

ფრონტული სიწყნარე... ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ, გერმანელ ფაშისტთა ჯარების შემოტევების დროს, შესვენების ერთი დღეც კი ყველა ჩვენგანს განუზომელ სიკეთედ გვეჩვენებოდა. ბრძოლებს შორის, წყნარ საათებში შეიძლება კაცმა ცოტა სული მოითქვას, მისწეროს წერილი შინაურებს, გაეხვიოს მაზარაში და დაიძინოს ცოტა ხანგრძლივად, ჭამოს ადამიანურად, აუჩქარებლად, მშვიდად გაპარსოს წვერი, გამოელაპარაკოს სანგრის მეზობელს, და ბრძოლაგამოვლილ, უვნებლად გადარჩენილ მეომარსაც მეტი არაფერი უნდა.

დიახაც, სასიხარულოა: არც ბრძოლებია, არც მსხვერპლი. მეტი რაღა უნდა უნდოდეს დაღლილ ჯარისკაცს? მაგრამ პოლკის მებრძოლების, მეთაურებისა და პოლიტმუშაკების სახეებს რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვუყურებ, მაინც და მაინც დიდ სიხარულს ვერ ვამჩნევ.

— აბა, როგორ არის იქ საქმე, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, რამე ხომ არ ისმის, როდის დავიწყებთ შეტევას? — მეკითხებოდნენ ხშირად მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები. მეკითხებოდნენ ფარული იმედით, რომ ახლოვდებოდა აქტიური საბრძოლო მოქმედების დრო და მალე ფრონტის ჩვენი უბანიც გადავა შეტევაზე.

ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ გარკვეულ დრომდე ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მაინც მიჭირდა. ან რა უნდა მეთქვა? თავისთავად ცხადი იყო, რომ შეტევას დავიწყებდით, დადგებოდა დრო და წითელი არმია მტერს დახავლეთისაკენ გარეკავდა, გაანთავისუფლებდა მშობლიურ მიწა-წყალს ფაშისტი დამპყრობლებისაგან. მაგრამ დრომდე ჩვენი ამოცანა ის იყო, რომ მოთმინებით დავლოდებოდით ბრძანებას და ყოველ წამს მზად ვყოფილიყავით მედგარი ბრძოლისათვის.

ორმოცდაორი წლის შემოდგომის მიწურულს მოვიდა პირველი სასურველი ცნობა სტალინგრადის მისადგომებიდან, სადაც წითელმა არმიამ შეაჩერა მტრის შეტევითი წინსვლა, გარშემოერტყა გერმანელ ფაშისტთა ჯარების უზარმაზარ დაჯგუფებას, ალყის გარღვევის ყველა ცდა და საშუალებაც მოუსპო, უკუაგდო, გაანადგურა. ასეთი ახალი ცნობა ფრონტებზე ჩვენი ჯარების წარმატებათა შესახებ, სულერთია ვოლგაზე მოხდება იგი თუ სხვაგან, ჩვენს მებრძოლებს უზომოდ ალაფრთოვანებდა და მომავალი შეტევითი ბრძოლების სურვილს, რწმენას და მოლოდინს უძლიერებდა.

1942-43 წლის ზამთარი ორიოლის მხარეს მეტისმეტად ყინვიანი და უხვთოვლიანი იყო. პოლკში ტაქტიკური მეცადინეობის ჩატარებამ დაგვანახვა, რომ უზომოდ ღრმა თოვლში მსროლელი ქვედანაყოფები შეუწყნარებლად ნელა მოძრაობდნენ. თოვლის სიღრმე კიდევ უფრო მეტად აძნელებდა არტილერიის მოძრაობას.

— ხალხი თხილამურებზე უნდა შევაყენოთ, — გამოთქვა ამის თაობაზე თავისი აზრი შტაბის უფროსმა მაიორმა ვ. ფომინმა. — უთხილამურებოდ ასეთ დიდ თოვლში ძალიან გაჭირდება საბრძოლო მოქმედება, მით უფრო შეტევა.

— საქმიანი წინადადებაა, — მაიორს მხარი დაუჭირა არტილერიის უფროსმა ნ. კოვრიგინმა, — არ იქნებოდა ცუდი, რომ ამას გარდა, რამდენიმე ათეული მარხილიც გვქონოდა პოზიციებზე საომარი მასალის მისატანად და დაზგის ტყვიამფრქვევებისა და მძიმე ნაღმსატყორცნების ჩქარა გადასაზიდად. მაგრამ სად ვიშოვოთ ან ერთი ან მეორე?

— ჩვენ თვითონ გავაკეთოთ! — გადავწყვიტე მე.

პოლკსა და მის ქვედანაყოფებში საკმაოდ ბევრი გვყავდა დურგლები და ხის დამუშავების კარგი ოსტატები. ახალი, 1943 წლის დამდეგისათვის ჩვენ უკვე გვქონდა დაახლოებით ხუთასამდე წყვილი თხილამური და რამდენიმე ათეული მარხილი. გადავწყვიტეთ, რომ პირველ რიგში კაპიტან შვენდიკის ბატალიონი გადაგვექცია „მეთხილამურეთა“ ბატალიონად, აგრეთვე მოგვემზადებინა ერთი მეავტომატეთა ასეული და მზვერავთა ოცეული. პირადი შემადგენლობიდან ბევრი მებრძოლი და მეთაური კარგად იყო დაუფლებული თხილამურებით სიარულის ხელოვნებას, მაგრამ გაცილებით ბევრნი იყვნენ ისეთები, რომელთაც ვარჯიში და სწავლება სჭირდებოდათ, თანაც ისე, რომ სწრაფი და ძალდაუტანებელი მოძრაობის გარდა, ფეხდაფეხ დამიზნებით სროლაც შესძლებოდათ.

მეთხილამურეთა ქვედანაყოფების შექმნამ და მზადებამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა მომავალი შეტევითი ბრძოლებისათვის პოლკის მომზადების საქმეში, ბრძოლებისა, რომლის დაწყების დრო ჩვენთვის ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, თუმცა მისი მოახლოება თანდათან სულ უფრო აშკარად იგრძნობოდა და ამისდაკვალად საქმე და საზრუნავიც მატულობდა.

## „გააძლიერეთ დაზვერვა!“

ორმოცდასამი წლის პირველსავე დღეებში ბევრი ისეთი რამ მოხდა, რაც აშკარად მოწმობდა ცვლილებების მოახლოებას. გაიზარდა საომარი მასალისა და იმ დროისათვის ახალი საბრძოლო ტექნიკის შემოზიდვა, პოლკს მნიშვნელოვნად შეუმცირეს თავდაცვის უბანი, რაც საშუალებას გვაძლევდა, აგვემაღლებინა მისი სიმჭიდროვე და თავდაცვის მეორე ხაზიც შეგვექმნა.

თუმცა ყველაფერი ჯერ კიდევ საიდუმლოდ იყო დაცული, მაგრამ ხმა მაინც დაირხა, რომ ბრიანსკის ფრონტის სარდლობა მტრის თავდაცვის გასარღვევად ძლიერ დამკვრელურ დაჯგუფებას ამზადებსო. ჩვენი პოლკის ჯარების ცხოვრებაში მოახლოებულ ცვლილებას, მითქმა-მოთქმის გარდა, ერთი აშკარა ფაქტიც მოწმობდა: დივიზიის შტაბის უფროსი პოდპოლკოვნიკი კაზარინოვი და დივიზიის დაზვერვის უფროსი კაპიტანი ეროფეევი მოულოდნელად პოლკის მიერ რეგულარულად ჩატარებული დაზვერვა-ძიებების შედეგებით დაინტერესდნენ: იმავე დროს მოითხოვეს, ყოველნაირად გაგვეძლიერებინა მტრის თავდაცვის წინა მხარის დაზვერვა.

დივიზიის მზვერავების მიერ ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში დაჭერილი ტყვეების

ზოგიერთი ჩვენებიდან ვიცოდით, რომ მეთხუთმეტე სივაშის დივიზიის უბანზე თავდაცვა ეკავა გერმანელების 82-ე ქვეით დივიზიას მისი კუთვნილი ტანკებითა და არტილერიით. ისიც ის იყო ჩვენთვის საიდუმლო, რომ მტრის თავდაცვას ჰქონდა ზოგიერთი ძლიერ გამაგრებული წინააღმდეგობის კვანძები, რომ ბევრი ფრონტისპირა სოფელი, დაბა და სიმაღლე ჰიტლერელების მიერ წინააღმდეგობის საყრდენ პუნქტებად იყო გადაქცეული, ხოლო თავდაცვის წინა მხარე დაცული იყო სამრიგად გაბმული ეკლიანი მავთულხლართის ღობურით და დანაღმული მინდვრით.

მაგრამ ჩვენს ხელთ ნაქონი ცნობები მტრის თავდაცვის შესახებ საკმარისი არ იყო. საჭირო იყო, ზუსტად განგვესაზღვრა მისი სიღრმე, გვცოდნოდა ტანკსაწინააღმდეგო კვანძები, უნდა დაგვეზუსტებინა მოწინააღმდეგის რეზერვებისა და მეორე ეშელონების შესაძლო დაჯგუფების მიმართულებები და ადგილსამყოფელი.

თითქმის ყოველღამე დავიწყეთ საძიებო დაზვერვების ჩატარება. მტრის თავდაცვის წინა მხარეს ასევე გულმოდგინედ ჩხრეკდნენ დივიზიის სხვა პოლკების მზვერავთა ჯგუფებიც — იმ იმედით, რომ ბოლოს და ბოლოს ჰიტლერელების შეუმჩნევლად როგორმე მოახერხებდნენ სიღრმეში შეღწევას და თავდაცვის პირველი ზოლის მეორე და მესამე პოზიციის იქით გადასვლას. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც პოლკის მზვერავთა ჯგუფმა და ვერც დივიზიის მზვერავთა ასეულმა, რომელსაც მაშინ კაპიტანი კოლესოვი მეთაურობდა, დასაწყისში ამას ვერ მიაღწიეს.

ჩვენი მხრიდან დაზვერვის ასე გაძლიერება მტერს მოსვენებას უკარგავდა. ჰიტლერელებმა სულ უფრო ხშირად დაიწყეს ჩვენი თავდაცვის წინა მხარის ნაღმსატყორცნების ცეცხლითა და არტილერიით დაბომბვა. იყო დღეები, როცა მარტო პოლკის თავდაცვის უბანზე 1200-დან 1500-მდე მტრის ჭურვი და ნაღმი სკდებოდა.

ღრმა სანგრები და ტრანშეები საიმედოდ იცავდა ადამიანებს ნამსხვრევებისაგან. პირდაპირი მოხვედრის შემთხვევებში ძალიან იშვიათი იყო, მაგრამ ცხენოსანი შემადგენლობისათვის ასეთი ცეცხლდაშენა უხიფათოდ არ თავდებოდა. მართალია, ჩვენ ვცდილობდით, რომ ცხენები წინა მხრიდან ყოველთვის მოშორებით გვყოლოდა, მაგრამ ფაშისტთა ჭურვები ხშირად იქაც უწევდა. მარტო იანვრის რამდენიმე დღეში პოლკმა მთელი გამწევი ძალის თხუთმეტი პროცენტი დაკარგა. სამაგიეროდ იმ დროისათვის ჯარისკაცთა მეტად მწირ რაციონში გაჩნდა ახალი ულუფა: ცხენის ხორცი ხახვითა და წიწაკით მზადდებოდა და მშვენიერი საჭმელიც გამოდიოდა.

20 იანვრის ღამეს ერთი ჯგუფი უფროს ლეიტენანტ ტერეშოვის მეთაურობით დაზვერვაზე წავიდა. მონაწილენი თვითონ მეორე ბატალიონის მეთაურმა მაიორმა ივანე ბელოუსოვმა შეარჩია. შეარჩია უველაზე მამაცები, რომელთა შორის იყვნენ ახალგაზრდა, მაგრამ გამოჩენილი მეომრები — ალექსანდრე პოგორელიუკი, ვადიმ კუშნირი და გიორგი მარკუშინი.

— გამიშვით დაზვერვაში მეც, — ითხოვა ბატალიონის სამხედრო ფერშალმა სიმონ ბონდარენკომ.

— არ შეიძლება, — უთხრა თხოვნაზე მაიორმა უკრაინულად, — შენი საქმე ხალხის მორჩენაა და გააკეთე ის, რაც გევალება.

ივანე ვლადიმერის ძე ბელოუსოვი ოდნავი აქცენტით მშვენივრად ლაპარაკობდა რუსულად, მაგრამ ყოველთვის, როცა სამხედრო ფერშალ სიმონ ბონდარენკოსთან უხდებოდა საუბარი, ღელავდა და თავისდაუნებურად მშობლიურ უკრაინულ ენაზე გადადიოდა. სამისოდ მას თავისი განსაკუთრებული მიზეზი ჰქონდა, რომელიც მე ცოტა მოგვიანებით ჩემი შოფრისგან — ყოვლისმცოდნე და ყოვლისმნახველ ლევ მაისაგან გავიგე.

## შეუვარებულნი

მე კარგად ვიცნობდი მეორე ბატალიონის მეთაურის გულკეთილ ხასიათს და, რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ შემემჩნია, რომ მასა და ბატალიონის ფერშალ სიმონ ბონდარენკოს შორის საქმე რაღაც კარგად ვერ იყო. მათს დამოკიდებულებაში ურთიერთისადმი რაღაც უნდობლობა და აშკარა არაკეთილგანწყობილება იგრძნობოდა.

იმხანად ბელოუსოვი და ბონდარენკო ოცდახუთი წლისანი იყვნენ — თანატოლები. ლისიჩანსკის საშუალო სკოლის ყოფილი მათემატიკის მასწავლებელი ივანე ბელოუსოვი და კოლმეურნეობის მედპუნქტის ყოფილი გამგე სიმონ ბონდარენკო სამამულო ომის დაწყების პირველივე დღიდან ფრონტელები გახდნენ. თადარიგის ლეიტენანტი ბელოუსოვი მსროლელთა ოცეულს მეთაურობდა. იბრძოდა გაბედულად, მაგრამ ფრთხილად და დაკვირვებით. ხელქვეით მებრძოლებს მალე შეუყვარდათ, ასევე ჩქარა შეამჩნია სარდლობამაც და ბატალიონის მეთაურობა მიანდო. ბელოუსოვი კარგად ამართლებდა ნდობას: სიმამაცის, გაბედულების, ძნელ საბრძოლო ვითარებაში სიმტკიცისა და მაღალი სამხედრო ოსტატობისათვის მალე ორი ორდენით დაჯილდოვდა. მაშინ, ორმოცდაორ წელში, ეს იშვიათობა იყო. — თადარიგის ახალგაზრდა მეთაურებს მხოლოდ ძალიან ცოტას თუ ჰქონდა მიღებული ორ-ორი ორდენი.

ბრძოლაში სიმამაცითა და შეუპოვრობით პოლკში განთქმული იყო სიმონ ბონდარენკოც, მაგრამ როგორც სამხედრო ფერშალს, მას საქ-

მე უმეტესად დაჭრილებთან მქონდა, უწევდა მათ პირველ სამედიცინო დახმარებას და ზოგჯერ ბრძოლის ველიდანაც თვითონვე გამოჰყავდა.

„ნეტა რატომ ემდურებიან ერთმანეთს, — ვფიქრობდი მე, — თითქმის ორი წელი ერთად არიან. ასეთები მხოლოდ უნდა მეგობრობდნენ, — ამათ კი მეგობრობისა არაფერი ემჩნევათ".

ერთხელ, მის ბატალიონში ყოფნისას, შევეცადე ივანე ვლადიმერის ძეს ამ საკითხზე მეგობრულად გამოვლაპარაკებოდი, მაგრამ ბელოუსოვმა გულახდილ პასუხს თავი აარიდა.

— მაპატიეთ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, და ნება მიბოძეთ, ამის შესახებ არაფერი გიპასუხოთ; — წარბშეჭმუხვნით წაილაპარაკა ბატალიონის მეთაურმა, — ჩემი და სამხედრო ფერშალის ურთიერთდამოკიდებულება მხოლოდ ჩვენ ორს გვეხება და საქმეს ხელს არ უშლის.

გვიან ჩემმა შოფერმა მაიმ მიამბო მათი უსიამოვნების რომანტიკული და ნაღვლიანი ისტორია.

ომის დასაწყისში ივანე ბელოუსოვი და სიმონ ბონდარენკო განუყრელი მეგობრები იყვნენ. მერე ბატალიონში გაჩნდა ქალიშვილი — სანიტარული ინსტრუქტორი ვერა დაციუკი, ისიც ლისიჩანსკელი, ბელოუსოვის თანამემამულე. ვერა შავგვრემანი გოგო იყო, საკმაოდ ლამაზი, მხიარული და გაბედული. მარტო ერთ ბრძოლაში სოფელ კამენკასთან, დნეპრზე, როცა მტრის ბევრად ჭარბი ძალების დაწოლის გამო პოლკი უკან იხევდა, ვერამ ცეცხლქვეშიდან ოთხი მეთაური და თორმეტი წითელარმიელი გამოიყვანა. ასევე გაბედულად მოქმედებდა იგი ბევრ სხვა ბრძოლაშიც. ბატალიონში ყველა ღრმა პატივისცემით ეპყრობოდა, სიყვარულით და ალერსით სანინსტრუქტორის მაგიერ ყველანი დაიკოს ეძახდნენ.

საქციელში ვერა სიმკაცრეს იჩენდა — უფრთხილდებოდა თავის ქალწულურ სიწმინდეს, მაგრამ თვრამეტი წლის ქალიშვილი სიყვარულს ვერსად გაექცევა. მიუხედავად ფრონტული ყოფის სიმკაცრისა — ბრძოლისა, სისხლისა, სიკვდილისა და ათასგვარი გასაჭირისა, მკაცრი ვერა მაინც გაიხლართა სიყვარულის ბადეში და ერთდროულად ორი გული დაიპყრო — ივანე ბელოუსოვისა და სიმონ ბონდარენკოსი, თვითონ კი მარტო ერთი — ბონდარენკო შეუყვარდა.

ბელოუსოვისთვის ეს დიდად სამწუხარო იყო, ძალიან ვერაფერს გახდებოდა, რა უნდა ექნა? თავის თავში ჩაიკეტა. ამ დღიდან მათი მეგობრობა გაქრა და ურთიერთობაც გაცივდა.

ვინ იცის, როგორ დასრულდებოდა მათი საქმე, რომ ომს თავისი მკაცრი კორექტივი არ შეეტანა. მდინარის დაჭაობებულ ნაპირებზე გაჩაღებულ მკაცრ ბრძოლაში ვერა დაციუკი მძიმედ დაიჭრა. ივანე ბელოუსოვმა ხელში აყვანილი გამოიყვანა ცეცხლიდან და სანიტარულ ნაწილში მიიყვანა. სიმონ ბონდარენკომ პირველი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა და ქალიშვილი სასწრაფოდ მედსანბატში გაგზავნა, იქიდან კი — ჰოსპიტალში.

გამოჯანმრთელების შემდეგ ვერა სხვა ნაწილში გაამწესეს, სადაც მალე, როგორც გავიგეთ, დაჭრილების გადარჩენისას დაიღუპა კიდეც. ვერას სიკვდილმა მეტოქენიც გაათანაბრა. დარჩათ მხოლოდ ტკივილი აუნაზღაურებელი დანაკარგის გამო და გაუნელებელი სევდა, რომელსაც ორივენი თანაბრად განიცდიდნენ და ალბათ, კიდევ დიდხანს ვერ მოახერხებდნენ ისინი იმ მეგობრობის აღდგენას, რომელიც მათ შორის წინათ არსებობდა.

...პოლკის საკომანდო პუნქტზე რომ დავბრუნდი და ბლინდაჟში შევედი, მეკავშირემ ტელეფონის ყურმილი გამომიწოდა და მითხრა:

— აქ თქვენ გკითხულობენ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, მეორე ბატალიონიდან.

ბონდარენკო რეკავდა და მთხოვდა უსათუოდ დაზვერვაში გაშვებას. მიეცით შესაბამისი განკარგულება ბატალიონის უფროსს, რომ გამგზავნოსო. თუმცა, ბონდარენკოს თხოვნით ჩემდამი მომართვა, როგორც იტყვიან, თავისი უშუალო მეთაურისათვის თავზე გადახტომას ნიშნავდა და სამხედრო წესების დარღვევად ითვლებოდა, მაგრამ მე მაინც მხარი დავუჭირე და ტელეფონთან ბელოუსოვი მოვითხოვე.

— ივან ვლადიმიროვიჩ, რატომ არ გინდათ, რომ ტერეშოვის მზვერავთა ჯგუფში ჩართოთ სამხედრო ფერშალიც?

— ის სანიტარული ნაწილის უფროსია და სჯობია, თავისი საქმე აკეთოს, — მიპასუხა ბატალიონის მეთაურმა.

— იქნებ ამჯერად გამონაკლისი დაუშვათ? გთხოვთ, დააკმაყოფილოთ მისი თხოვნა.

ბოლოს და ბოლოს, ბატალიონის მეთაური დამთანხმდა და სიმონ ბონდარენკო მზვერავთა ჯგუფში ჩართო.

ჯგუფთან ერთად მიდიოდა ვადიმ კუშნირიც. თუმცა ამჯერად მას შეეძლო არ წასულიყო დაზვერვაზე. მისმა უშუალო უფროსმა, მზვერავთა ოცეულის მეთაურმა უფროსმა ლეიტენანტმა გავრილა რიაბუშენკომ უთხრა კიდეც:

— შენ, ვადიმ, დღეს ტყუილად მიდიხარ, ჩვენს ოცეულს დღეს დასვენების ნება აქვს დართული. შენც, ჯობდა, დაგესვენა. ვიცი, წასვლა თვითონ გითხოვია.

— არ შემიძლია უსაქმოდ ჯდომა, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო!

მზვერავთა ოცეულის მეთაურს გავრილა რიაბუშენკოს, უკრაინული გვარის ნამდვილ რუს ჭაბუკს, სიშავის გამო პოლკში მეტსახელად ბოშას ეძახდნენ. ხასიათის სიფიცხით ის მართლაც ჰგავდა ბოშას. თუ თავისი თავი მართლად მიაჩნდა, თვით უფროს მეთაურებსაც კი არ დაუთმობდა. მზვერავი კი მართლაც საუკეთესო იყო. ამ ძნელ სპეციალობას თითქმის ერთ წელიწადს სწავლობდა დივიზიის მზვერავ-

თა ასეულის უფროსთან, კაპიტან ნიკოლოზ კოლესოვთან, მერე პოლკში „დამოუკიდებელ სამუშაოზე“ გადმოიყვანეს. იმდენჯერ იყო ნამყოფი „მოენეებზე“ თავის თანამებრძოლებთან ერთად, რომ სათვალავიც აღარ ახსოვდა. რა თქმა უნდა, ყოველთვის წარმატებით ვერა, იმიტომ, რომ დაზვერვა რთული და ფაქიზი საქმეა და წარმატება დამოკიდებულია არა მარტო გაბედულებასა და ოსტატობაზე, არამედ გარემოებაზეც. გერმანელები სულელები როდი იყვნენ და ჩვენზე ნაკლებად არც სამხედრო საქმე იცოდნენ. ერთი პაწია გაფაჩუნება და ასობით ტყვიას, ნაღმსა და ჭურვს დაგაყრიდნენ.

იმ დაზვერვაში, რომელიც 20 იანვრის ღამეს მოეწყო, გავრილა რიაბუშენკო ვერ წავიდა იმიტომ, რომ ოცეულში ხალხი ცოტაღა დარჩა — ზოგი დაიხოცა, ზოგი ჰოსპიტალში იწვა, ზოგიც მედსანბატში მკურნალობდა. მას „უცხო ჯგუფთან“ არც თავისი ხელქვეითის ვადიმ კუშნირის გაშვება უნდოდა, მაგრამ კუშნირმა წასვლა ნამდვილად თვითონ ითხოვა. ის არც ერთ შემთხვევას არ გაუშვებდა ხელიდან, რითაც ფაშისტებზე შურს იძიებდა და განსაკუთრებული შურისძიების მიზეზიც ჰქონდა.

ვადიმს სანინსტრუქტორი ზინა ოსიპენკო უყვარდა. ზინასაც უყვარდა ვადიმი. შეყვარებულნი ომის შემდგომ ბედნიერ ცხოვრებაზე ოცნებობდნენ. ვადიმს უხაროდა და ამაყობდა, რომ იგი თვრამეტი წლის ცხვირპაჭუა, ლურჯთვალა ზინამ შეიყვარა. მართლაც საამაყო იყო მისი სიყვარული, ეს პატარა, ხუსტი ქალიშვილი სიმარჯვის, სიმამაცისა და გაბედულების განსახიერება იყო. იგი პოლკში პირველი ქალიშვილი იყო, რომელმაც ბრძოლის ველიდან ორმოცი დაჭრილი გამოიყვანა თავის იარაღიანად და წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოვდა.

როგორც ბევრი მისი თანატოლი, ზინაც ღირსი იყო, ეცოცხლა და ესარა სიცოცხლით, სიყვარულით, მაგრამ ომმა არც სიყვარულის დანდობა იცის, არც ახალგაზრდობისა. ზინა დაიღუპა ორმოცდაორი წლის თებერვალში, ლისიჩენკოს მახლობელ მინდორში, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი „მხიარულ ველს“ ეძახიან, დაიღუპა სწორედ იმ დროს, როცა მორიგ დაჭრილ მეომარს პირველ სამედიცინო დახმარებას უწევდა. სიმონ ბონდარენკომ და პოლკის შტაბის უფროსის მოადგილემ ანატოლ კედიკმა ზედ თვალწინ აალეს ფაშისტებს მომაკვდავი ქალიშვილი და ისე გამოიყვანეს, მაგრამ სიცოცხლე აღარ შერჩა — მშველელების ხელშივე დალია სული. დავასაფლავეთ წესისამებრ. ვადიმ კუშნირმა საყვარელი ქალიშვილის საფლავთან ფიცი დადო, რომ დაუზოგავად იძიებდა შურს ფაშისტ ბარბაროსებზე და ამ საჯაროდ, მებრძოლი ამხანაგების თანდასწრებით მიცემულ ფიცს იგი ზედმიწევნით ასრულებდა. ორმოცდასამი წლის 20 იანვრის ღამესაც სწორედ ამიტომ თქვა უარი კანონიერი დასვენების უფლებაზე, უარი უთხრა თავის უშუალო მეთაურს გავრილა რიაბუშენკოსაც და მაინც დაზვერვაში წავიდა.

## მზვერავები

ივანე ბელოუსოვი და მისი მოადგილე უფროსი ლეიტენანტი ნიკიფორე ჟუკოვი მზვერავთა ჯგუფის თვითეულ მონაწილეს ცალ-ცალკე ესაუბრნენ. ბატალიონის მეთაური გამოემშვიდობა დაზვერვის მონაწილეებს, ჯგუფის მეთაურს, უფროს ლეიტენანტს ტერეშოვს ხელი მჭიდროდ ჩამოართვა და უთხრა:

— ნამეტანსაც ნუ იზამთ, თორემ ხომ ხედავთ, მთვარე ანათებს და დღესავით ღამეა. იმოქმედეთ ფრთხილად, თუ აუცილებელი არ არის ბრძოლაში ნუ ჩაებმებით, თქვენი მთავარი ამოცანა მოენის მოყვანაა.

უფროსმა ლეიტენანტმა ჟუკოვმა დაუმატა:

— ფრთხილად იყავით, ემანდ ჩვენს საბრძოლო დაცვას არსად წააწყდეთ და შემთხვევით ერთმანეთი არ გადაცხრილოთ.

ბელოუსოვმა ბოლოს სიმონ ბონდარენკოსაც ჩამოართვა ხელი.

— შენ, სიმონ, ბრძოლაში არ ჩაერიო, — უთხრა უკრაინულად და სადღაც გვერდზე გაიხედა, — შენ ფერშალი ხარ და არა მზვერავი. დაიხსომე, რაც გითხარი.

თუ როგორ ჩატარდა ღამეული ძიება, ამის შესახებ მოგვიანებით ხშირად ესაუბრებოდა ახალგაზრდა მებრძოლებს დაზვერვის მონაწილე ჩვენი სამხედრო ფერშალი სიმონ ბონდარენკო. ეს ნალაპარაკევი მე დაახლოებით ასე დამამახსოვრდა: „...ცივი, მთვარიანი ღამე იყო. ირგვლივ სრული სიწყნარე სუფევდა. ამ სიწყნარეს დროდადრო გადასერავდა მანათობელი ტყვიების ცისფერი, მწვანე და წითელი ხაზები. მზვერავისათვის ასეთ მთვარიან, ვარსკვლავიან ღამეში ერთი გაუფრთხილებელი გაფაჩუნებაც კი ნაღდი სიკვდილია.

ჩვენ ნელა, უხმაუროდ მივდიოდით. თეთრი, სანიღბო ხალათები გვეცვა და დათოვლილ მინდორში თითქმის არ ვჩანდით.

მე წინ მივდიოდი და სულ იმას ვფიქრობდი, როდის ან რომელ ფეხს დავადგამ-მეთქი პირველად დანაღმულ ადგილს. ყველაზე მეტად ნაღმით აფეთქებისა მეშინოდა.

ჩემს უკან კვალდაკვალ მობაიჯებს ვადიმ კუშნირი. მე მესმის მისი ცხელი სუნთქვა და მეგობრის სიახლოვე მამხნევებს. ვადიმიც ჩემსავით მოხალისედ წამოვიდა დაზვერვაზე, მაგრამ ჩემსა და მას შორის დიდი განსხვავებაა: ვადიმი გამოცდილი მზვერავია, მე კი სრულიად ახალბედა ვარ.

ნახევარი გზა რომ გავიარეთ, შევჩერდით. ღრმა თოვლში სიარულმა ყველა დაგვღალა და დავისვენეთ — პირდაპირ თოვლში ჩამ[illegible]-

დით. დგომა არ შეიძლებოდა — მოწინააღმდეგემ შეიძლება ცის ფონზე შეგვამჩნიოს.

მარცხნივ რკინიგზის მიწაყრილი გასდევდა. უფროსმა ლეიტენანტმა ტერეშოვმა ორი მზვერავი — ვადიმ კუშნირი და ალექსანდრე პოგორელიუკი გაგზავნა შესამოწმებლად — ხომ არ იყო დანაღმული რკინიგზის ჯიხურთან მისასვლელები.

დანარჩენებმა კიდევ ორასიოდე მეტრით გადავინაცვლეთ წინ. მცირე ღრმულში უფროსმა ლეიტენანტმა ტერეშევმა დაგვასვენა აქედან რკინიგზის ჯიხურამდე კიდევ რჩებოდა ორასი მეტრი. ნეტა მტრის უახლოეს სანგრებამდე რალა მანძილია?

პოგორელიუკი და კუშნირი დაბრუნდნენ და განაცხადეს: ჯიხურის მისადგომები დაუნაღმავია, ჯიხურის გვერდით ერთი გუშაგი მიმოდის, დანარჩენები შიგნით სხედანო.

— გარმონს უკრავენ, წუეულები, ლუმელს ახურებენ და თბებიან. შემწვარი ხორცის სუნიც გამოდიოდა, — დაუმატა პოგორელიუკმა, — მე და ვადიმს გვინდოდა უველანი იქვე მივვეხვრიტა.

— მიგახვრეტავ მე შენ, — დაუცაცხანა ტერეშოვმა, — ჩვენ მოენე გვინდა და არა ფაშისტთა გვამები.

იგი ჩურჩულით ლაპარაკობდა — ყინვიან სიჩუმეში ხმა შორს გადის, თანაც სულ რაღაც ორასიოდე მეტრში ფაშისტები იყვნენ.

მას შემდეგ, რაც ცოტა დავისვენეთ, ჯგუფის უფროსმა უბრძანა კუშნირს, პოგორელიუკსა და მარკუშინს, რომ რკინიგზის მიწაყრილს გაჰყოლოდნენ და ჯიხურთან ისე მისულიყვნენ.

— გუშაგს ცოცხლად შეიპყრობთ, ჯიხურში ორ ხელყუმბარას შეაგდებთ და ნახევარი საათის შემდეგ აქვე მოხვალთ. გასაგებია?

— გასაგებია! — ყველას მაგიერ უპასუხა ვადიმ კუშნირმა.

მზვერავები წავიდნენ და მიწაყრილის მოსახვევთან მალე თვალს მიეფარნენ.

ახლა მოქმედების ჩვენი ჯერიც დადგა. ჯიხური თავისთვის იყოს, დაიჭერენ იქ თუ ვერა მოენეს, ეს ჯერ კიდევ საკითხავია, მაგრამ მანამდე ჩვენ უმოქმედოდ ხომ არ ვიქნებით?

მთლად ახლო ვართ მოწინააღმდეგის თავდაცვის წინა მხარესთან. მთვარე ყველაფერს ანათებს. ჭოგრიტში გარკვევით მოჩანს ექვსი ბლინდაჟი და ერთი ხანგრძლივი საცეცხლე წერტი. მათ წინ მავთულხლართის ღობურაა. ბლინდაჟიდან კვამლის გრაგნილი ამოდის. იერიშისათვის ყველაზე მახლობელი ბლინდაჟი ავირჩიეთ.

მაგრამ ეს რაღაა? პირდაპირ ჩვენსკენ შვიდი ჰიტლერელი მოაბიჯებს, ისინი უჭოგრიტოდაც კარგად ჩანან. ნეტა, სად ჯანდაბას მიდიან? ჩვენი ჯგუფი დალანდეს?

— საბრძოლველად! — ჩუმი ხმით ბრძანა უფროსმა ლეიტენანტმა ტერეშოვმა. — ჩემი ბრძანების გარეშე არ ესროლოთ!



მტრის ჯარისკაცები ნელა მოდიან, ტორტმანტორტმანით, თითქოს სასეირნოდ არიან გამოსულებიო. ყველანი თხილამურებზე დგანან. წინ ერთი აულაუდა ახალგაზრდა მოუძღვით, ალბათ მეთაური. კისერზე ყველას ავტომატი ჰკიდია, ხოლო წინას — ავტომატთან ერთად ჭოგრიტიც. სათხილამურო ჯოხი არც ერთს არ უჭირავს, ხელები შემსიღბავი ხალათების ჯიბეებში უწყვიათ.

ჰიტლერელებს ყველაფერზე ემჩნეოდათ, რომ ისინიც ჩვენსავით „დავლაზე" იყვნენ გამოსული. ჩვენ რომ ცოტა გვიან გამოვსულიყავით დაზვერვაზე და მათთვის არ დაგვესწრო, შეიძლება მათი ავტომატების ცეცხლშიც მოვხვედრილიყავით, მაგრამ დავასწარით და ახლა შანსი ჩვენს მხარეზე იყო.

მტრის ჯარისკაცები მოახლოვდნენ. წინ კვლავ მაღალი აულაუდა მოუძღოდათ. აი უკვე სულ ახლოს არიან. რას უცდის ტერეშოვი? რატომ არ გვიბრძანებს ცეცხლის გახსნას?..

მაღალმა რაღაც გასძახა თავისიანებს, ალბათ რაღაც უბრძანა. როცა ყველანი გაჩერდნენ, ჭოგრიტი ასწია, თვალებთან მიიტანა და წინ გამოიხედა, პირდაპირ ჩვენს მხარეს, მაგრამ რანდა, ვერ შეგვამჩნია.

უცბად რკინიგზის ჯიხურთან აფეთქების ხმა გაისმა, ერთი, მეორე... აჰა, იქ ჩვენი ბიჭები თავიანთ საბრძოლო დავალებას ასრულებენ.

— ჰალტ! — შიშნეულად იყვირა მაღალმა ფაშისტმა.

იგი ცდილობს ჭოგრიტით დაინახოს, რა ხდება ჯიხურთან. დანარჩენი ფაშისტებიც მაღალს შემოერტყნენ ირგვლივ.

ახლა კი ტერეშოვმაც გასცა ნალოდინევი ბრძანება. ჰიტლერელებს ფეხებში ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარა ვესროლე. იმავ წამს ჩემმა ამხანაგებმა ავტომატები ააკაკანეს და შვიდივე ჰიტლერელი თოვლზე დასცეს.

— აღარ ესროლოთ! — გვიბრძანა ტერეშოვმა. — ფლანგებიდან შემოვუაროთ, იქნებ ერთი ცოცხალი ფრიცი მაინც წავიყვანოთ.

ამ ბრძანების შესრულება არც თუ ისე ადვილი გამოდგა. საკმარისი იყო, მე და ბოგდანოვს ოდნავ გაუფრთხილებლად წამოგვეწია თოვლიდან, რომ ჩვენს თავზე მაშინვე ტყვიები აწივლდებოდა. ისროდა მხოლოდ ერთი, დანარჩენი ჰიტლერელები ან დაჭრილები იყვნენ, ან დახოცილები. პირდაპირ მიახლოება საშიში იყო, უნდა თოვლში ფრთხილად გავხოხებულიყავით და ფაშისტისთვის უკან გასაქცევი გზა მოგვეჭრა. ახლა ისღა დაგვრჩა, რომ ხელით ვსწვდომოდით და გაგვეკოჭა. მტრის ჯარისკაცი მიხვდა, რა თქმა უნდა, რომ მას ბედი მოენეობას უმზადებდა და გაქცევას შეეცადა. მე და ბოგდანოვმა სწორედ მას დანაღმულ მინდვრის პირას ვტაცეთ ხელი და უკან წამოვათრიეთ.

ჯიხურიდან კუშნირი, პოგორელიუკი და მარკუშინიც დაბრუნდნენ. მოენის დაჭერა ვერ მო-

უხერხდათ, გუშაგიცა და ჯიხურში მყოფი გერმანელებიც ერთიანად ამოხოცეს.

— მოენე არის, — შეაგება პასუხად უფროსმა ლეიტენანტმა ტერეშოვმა, — ახლა მთავარია, რომ ბატალიონშიც ცოცხლად მივიყვანოთ. აბა ჩქარა, ყველანი უკან, სიმაღლის იქით!

ბრძანება უკან დახევის შესახებ სწორედ დროული იყო. ჩვენმა სროლამ ჰიტლერელები ააფორიაქა და ტყვიამფრქვევის თუმცა უწესრიგო, მაგრამ ძლიერი ცეცხლი გაგვიხსნეს. თითქმის იმავდროულად ნაღმსატყორცნებიც აგრუხუნდა. ჩვენ მაინც მოვასწარით უკან წამოსვლა და ფეხში დაჭრილი ტყვე-გერმანელიც გამოვიყვანეთ. ბატალიონში დაბრუნებისთანავე მე მას პირველი სამედიცინო დახმარება აღმოვუჩინე და ფეხი შევუხვიე.

გერმანელმა დაუფარავი გაკვირვებით მიყურა და მერე მკითხა:

— ვინ ხართ, თქვენ, — მზვერავი თუ ექიმი?

კითხვა დივიზიიდან მოსულმა თარჯიმანმა სავჩენკომ გადათარგმნა და პასუხიც თვითონ გასცა, რომ მე სამხედრო ფერშალი ვარ.

— ჩვენთან ექიმები არ დადიან დაზვერვაზე. ისინი კონიაკს სვამენ და „სამოთხის ჩიტუნებთან" ერთობიან, — თქვა გერმანელმა.

ტყვე გამოდგა გერმანელი სნაიპერი და ნაცისტური პარტიის წევრი; დაკითხვისას აღიარა, რომ იგი ძირითადად საბჭოთა მეთაურებზე „ნადირობდა" და თავის ანგარიშზე კარგა მოზრდილი საბრძოლო სათვალავიც ჰქონდა.

პრივილეგირებული ფაშისტი სნაიპერი ბევრ რამეს იყო გაცნობილი და ჩვენს პირისპირ თავდაცვაზე მდგარი გერმანელთა 82-ე ქვეითი დივიზიის ძალებსა და საბრძოლო საშუალებებზე ძვირფასი ცნობებიც მოგვაწოდა. ასეთივე საჭირო ცნობები მოგვცა თავდაცვის ნაგებობათა შესახებაც.

ბრძოლაში თავგამოჩენილი ამ დაზვერვა-ძიების ყველა უშუალო მონაწილე დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით. რამდენიმე დღის შემდეგ დივიზიის მეთაურმა პოლკოვნიკმა ა. ნ. სლიშკინმა, არმიის სარდლის დავალებით მეც გადმომცა წითელი ვარსკვლავის ორდენი.

## გარღვევა

ბოლოს მეცამეტე არმიის ჯარებსაც მიეცათ შეტევაზე გადასვლის ბრძანება.

25 იანვრის დილით მე და შტაბის უფროსი ფომინი დივიზიის შტაბში წავედით. გზა შორი არ იყო, მაგრამ ქარბუქისა და ნამქერების გამო სიარული ჭირდა და თათბირზე კინაღამ დავიგვიანეთ.

მტრის თავდაცვის ვითარების შესახებ მოხსენება გააკეთა დივიზიის შტაბის უფროსმა პოდპოლკოვნიკმა კაზარინოვმა. მისი სიტყვით, მტრის თავდაცვის პირველი ზოლის სიღრმე 6-8 კილომეტრამდე აღწევდა. ნახევარი წლით თავდაცვაში ყოფნისას გერმანელებმა მინდორი საფუძვლიანად გადათხარეს და უამრავი თავდაცვითი ნაგებობა შექმნეს. ჩანდა, გერმანელ-ფაშისტთა გენერლები, განსაკუთრებით სტალინგრადიდან მიღებული მათთვის არასასურველი ცნობების შედეგად, მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ წარმატებათა დრო წავიდა და როლები უკვე საპირისპიროდ იცვლება.

თათბირზე დივიზიის მეთაურმა ჩვენ გაგვაცნო ფრონტისა და არმიის საერთო მდგომარეობა და დივიზიის მომავალი ამოცანები.

გენერალმა სლიშკინმა თქვა:

— მეთხუთმეტე სივაშის დივიზია მტრის თავდაცვის გარღვევაში მონაწილეობს არმიის მეორე ეშელონში. მისი ამოცანაა მერვე მსროლელი დივიზიის მიერ მოწინააღმდეგის თავდაცვის პირველი ზოლის გარღვევისთანავე დაიწყოს შეტევა დასახლებული პუნქტების — ბორკის, დანილოვკასა და ურიცკოეს საერთო მიმართულებით, რომლებიც მტერმა წინააღმდეგობის ძლიერი თავდაცვით კვანძად გადააქცია, გაანადგუროს იქ მოწინააღმდეგე და შეტევის მეორე დღის ბოლოს დაეუფლოს ურიცკოეს.

676-ე მსროლელ პოლკს ნაბრძანები ჰქონდა, დაეწყო შეტევა ალექსანდროვკაზე, ნატალოვკაზე, ნიკოლსკოესა და ურიცკოეზე. შემდეგ, 321-ე და 47-ე მსროლელ პოლკებთან ურთიერთმოქმედებით მოესპო ურიცკოეში თავმოყრილი მტრის დაჯგუფება.

ჩვენი დივიზიისა და მისი პოლკების არტილერიას მერვე მსროლელი დივიზიის უბანზე გარღვევის პირველ დღეს საერთო საარტილერიო მომზადებაში უნდა მიეღო მონაწილეობა.

გარღვევის წინა ღამე განსაკუთრებით ცივი იყო. ყინვა ოცდახუთ გრადუსს აღწევდა, საღამოს მკვრივი, მსუსხავი თოვლი წამოვიდა, ბობოქრობდა გრიგალი, მაგრამ მიუხედავად ამ სიძნელეებისა, სამზადისი მაინც გეგმის სრული შესაბამისობით მიდიოდა.

25 იანვარს, სრულ 8 საათსა და 26 წუთზე ამოქმედდნენ გვარდიის ნაღმსატყორცნები — „კატიუშები". მათ მიჰყვა არტილერიის ძლიერი ცეცხლის პირველი ბათქები. ავიატორებმა ისარგებლეს ამინდის რამდენადმე გაუმჯობესებით და მტრის თავდაცვის გარღვევაში თავისი წილი მათაც დადეს.

მოწინააღმდეგის თავდაცვის წინა მხარის საარტილერიო და საავიაციო მომზადებამ ერთ საათსაც არ გასტანა. 9 საათსა და 12 წუთზე მსროლელ ნაწილებთან ერთდროულად დაიძრნენ ტანკები პოდპოლკოვნიკ ი. კ. ბრეგაძის მეთვრამეტე სატანკო ბრიგადის შემადგენლობიდან. ოღონდ ეგ იყო, ნამქერებში ტანკები სწრაფად ვერ მოძრაობდნენ, რის გამოც ქვეითი ჯარი მტრის გაძლიერებულ შემხვედრ ცეცხლში ხვდებოდა და საგრძნობლად ზარალდებოდა.

მერვე მსროლელი დივიზიის უბანზე დასაწყისში საქმე რამდენადმე შეფერხდა. ეს მოხდა

ჯერ ერთი იმიტომ, რომ მტერი მას დასახლებული პუნქტის ბორკის მხრიდან საკმაოდ ძლიერად ეწინააღმდეგებოდა და მეორეც — დივიზიისათვის გამოყოფილმა 43-ე სატანკო პოლკმა თავის დროზე ვერ გაუწია საჭირო დახმარება: ტანკები ღრმა თოვლში ჩაიფლო, დაბუქსავდა და მსროლელებს გარკვეული დროით ჩამორჩა.

მოწინააღმდეგე კვლავ მტკიცედ იდგა ფლანგებზე, გარღვევის უბანს არტილერიის და ნაღმსატყორცნების გააფთრებული ცეცხლით იცავდა. 148-ე მსროლელი დივიზიის გმირულ იერიშებს, ტანკების მხარდაჭერით, რომ მტრის თავდაცვის ზოლის გარღვევა უშუალოდ ფრონტით გაეფართოებინა, არსებითი შედეგი არ მოჰყოლია.

არმიის სარდალმა, როგორც ოპერაციის გეგმით იყო გათვალისწინებული, გარღვევაში შეიყვანა ჩვენი მეთხუთმეტე სივაშის დივიზია. 821-ე მსროლელ პოლკს მიცემული ჰქონდა ამოცანა, რომ ზურგიდან დარტყმით დაუფლებოდა დასახლებულ პუნქტს — ბორკის, ხოლო 676-ე პოლკი დღის ბოლოსათვის უნდა დაუფლებოდა სოფელ ალექსანდროვკის ზღუდეს და შემდეგ განევითარებინა შეტევა ნიკოლსკოესა და ურიცკოეს მიმართულებით.

დღის ბოლოსათვის ჩვენი მე-8 მსროლელი დივიზიის ნაწილები გააფთრებული ბრძოლების შედეგად 7-8 კილომეტრით შეიჭრნენ მტრის თავდაცვის სიღრმეში და მოწინააღმდეგის თავდაცვის მთავარ ზოლს უკვე ფაქტიურად დაეუფლნენ.

დღის ამოცანა შესრულებული იყო. ახლა მთავარი ის იყო, რომ მოწინააღმდეგისათვის სულის მოთქმის საშუალება არ მიგვეცა — არ მიგვეცა ახალი ძალების წინ წამოწევისა და თავის თავის მოწესრიგების საშუალება. დივიზიის შტაბიდან შემატყობინეს არმიის სარდლის გადაწყვეტილება, რომ 27 იანვრის ღამით შეუქმნიათ მოძრავი ჯგუფი 84 ტანკისა და ავრომანქანებზე დამსხდარი მეთხილამურეთა ორი ბატალიონის შემადგენლობით და დაუყოვნებლივ შეტევა ვოლოვოსა და კასტორნოეს მიმართულებით. ამ ცნობამ ყველა გაგვახარა, — მაშასადამე, შეტევის ტემპი 27 იანვარს უფრო გაიზრდება. ოღონდ, გარღვევაში ხელახლა შეყვანილ პოლკებს ღამით მტრის ბოლომდე დევნაში მეტი გამძლეობა და გაბედულება მართებდათ.

ამ ამოცანის შესრულებაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჩვენი პოლკის მეთხილამურეთა ბატალიონი, რომელსაც კაპიტანი შვენდიკი მეთაურობდა. ღრმა თოვლში თხილამურებზე შემდგარი ბატალიონის მებრძოლები ჭიქურ გადადიოდნენ შეტევაზე და ჰიტლერელებს გონს მოსვლის საშუალებას არ აძლევდნენ. ალექსანდროვკის დაცვიდან ჰიტლერელები გაქცევით ცდილობდნენ თავის გადარჩენას, მაგრამ ღრმა თოვლში მეთხილამურეებს სად წაუვიდოდნენ, და ისინიც იძულებული იყვნენ, იარაღი დაეყარათ, ხელები აეწიათ და ტყვედ დანებებოდნენ.

იმავე ღამეს მეთხუთმეტე სივაშის დივიზიის 321-ე პოლკმა ბორკის სამხრეთიდან შემოუარა და ზურგიდან უცაბედად დაესხა თავს სოფელში მდგარ მოწინააღმდეგის საკმაოდ მოზრდილ გარნიზონს. გერმანელები, ეტყობოდა, არ მოელოდნენ ღამის იერიშს და ანაზდად დაიბნენ. პოლკის მეომრებმა ამ ხანმოკლე ბრძოლაში ექვსასამდე მტრის ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპეს და ბორკი მთლიანად გაანთავისუფლეს.

დღისა და ღამის ბრძოლების შედეგად გარღვევის სიღრმე 22 კილომეტრამდე გაფართოვდა. ახლა მოწინააღმდეგის არტილერიას ჩვენი ნაწილებისათვის ცეცხლის მიყენება მხოლოდ შორსმსროლელი ზარბაზნებითღა შეეძლო. ასეთი სროლა კი, დაუმიზნებლად, ფართობზე, რასაკვირველია, ისე საშიში აღარ არის.

შეტევა იზრდებოდა. გარღვევაში ჩაება მოძრავი სატანკო ჯგუფი და ავრომანქანებზე დამსხდარი ქვეითი ჯარები, რომელსაც არმიის სარდლის მოადგილე გენერალ-მაიორი გლუხოვი მეთაურობდა. ჩვენი ჯარები გაშლილ კოლონად დაიძრნენ მტრის თავდაცვის მხწვილი მთავარი საყრდენი პუნქტების მიმართულებით ვოლოვოსა და კასტორნოესაკენ.

## გრიგალში

ხანამ ივანე შვენდიკი თავისი მეთხილამურეებით ფაშისტი დამპყრობლებისაგან სოფელ ალექსანდროვკას ანთავისუფლებდა და მერე მტრის გარნიზონის ნარჩენებს სდევნიდა, 8-ე მსროლელი პოლკის სხვა ქვედანაყოფები, ღრმა თოვლში ჩაფლულნი, სოფელ ნიკოლსკოესაკენ დაიძრნენ. დაზვერვის მონაცემების თანახმად, ნიკოლსკოე საკმაოდ დიდი სოფელი იყო, მოწინააღმდეგე მას უბრძოლველად არ დატოვებდა, ხოლო მისი დაუფლების გარეშე, ურიცკოეში დასაყრდენი პუნქტის ლიკვიდაციაზე ფიქრიც ზედმეტი იყო.

პოლკის შტაბი ივანე ბელოუსოვის ბატალიონის კვალდაკვალ მიდის. ბატალიონის ასეულებისა და ოცეულების კოლონები სადღაც სულ ახლოს არიან, შეიძლება, ჩვენგან მხოლოდ რამდენიმე ასეული მეტრით იყვნენ წინ წაწეული, ქარბუქში არაფერი ჩანს. გრიგალი კვლავ გაშინდელი სიძლიერით ამოვარდა. მივდივართ ქარიშხალის საპირისპიროდ, ქუდები და წარბწამწამი ყველას თოვლით გვაქვს შესუდრული, თითქოს ბამბის ფთილები გვედოს. მივდივართ კომპასის მიხედვით, ბატალიონების მეთაურებთან კავშირს რაციით ვამყარებთ — რადისტი კვალდაკვალ მომდევს და ერთი ნაბიჯით არ მცილდება. შტაბს იცავს ლეიტენანტ გავრილა რიაბუშენკოს მზვერავთა ოცეული და თავისი შემადგენლობით მცირერიცხოვანი საკომენდატო ოცეული. სადღაც უკან სანიტარული ნაწილი და პოლკის სხვა სამსახურები მოდიან.

შტაბის რუკაზე აღნიშნულია, რომ ნიკოლსკოესაკენ მიმავალ გზაზე სამი პატარა სოფელი უნდა გავიაროთ: ნატალევკა, ნიკოლაევკა და ეფიმოვკა. პირველი აქედან ნატალევკაა. მაშ სადღა ჯანდაბასაა ეს დაწყევლილი სოფელი? იქნებ იმისთვისაც მოგვიხდეს ბრძოლა?

ქარს ზურგს ვაქცევ, ვანთებ ჯიბის ფარანს და რუკას დავყურებ. ჩემს გვერდით კაპიტანი მაზნიჩენკო და მაიორი ფომინი ჩერდებიან. როგორმე ქარის ღმუილში რომ გავაგონო, ხმამაღლა ვეკითხები:

— როგორ გგონიათ, კიდევ შორია ნატალევკამდე?

ორივე ჩემი მოადგილე დუმს. ან რა უნდა ეპასუხათ ამ რიტორიკულ და მდგომარეობის შეუფერებელ კითხვაზე?

— დაზვერვა უნდა გაგვეგზავნა, — არცთუ გაბედულად ამბობს დუმილის შემდეგ პოლიტგანყოფილების უფროსი.

— უნდა გაგვეგზავნა, ვიცი, მაგრამ საით?

ივანე ივანეს ძე ხელს სადღაც გაურკვეველი მიმართულებით იშვერს და რაღაცას მეუბნება, მაგრამ ქარის ძლიერმა შემობერვამ მისი სიტყვები ჩაახშო.

— აუცილებლად უკეთ უნდა გავერკვეთ, თორემ ასე ფეხზე დგომით არაფერი გამოვა, — ამბობს შტაბის უფროსი ვასილ ფომინი და სახეს ტყავის ხელთათმნიანი ხელით იფარავს.

— თანახმა ვარ, მოდით, გავერკვეთ.

საკომენდატო ოცეულის მებრძოლებმა წამოსასხამი ლაბადებისაგან თავისებური კარავი შეაკოწიწეს და ქარს რომ არ აეგლიჯა, ბრეზენტს აქეთ-იქიდან ჩაეჭიდნენ. შევედით შიგნით, გავშალეთ თოვლზე რუკა და ზედ კომპასი დავდეთ. თითქმის ყველაფერი ნორმალურად არის, წყეული ნატალევკა სადღაც აქვე უნდა იყოს.

— როგორა აქვს საქმე ბელოუსოვს? — კითხულობს მაზნიჩენკო.

— იტყობინება — ყველაფერი წესრიგშიაო. თუმცა ნატალევკამდე ჯერ კიდევ არ მისულა.

კვლავ წინ მივდივართ. დაყოვნება არ შეიძლება, ყოველი წუთი ძვირფასია. გათენებამდე პოლკი ნიკოლსკოეს უნდა მიადგეს, იერიში მიიტანოს მასზე და სოფელი ფაშისტებისაგან გაწმინდოს. უამისოდ ჩავშლით მოწინააღმდეგის ტერბუნის ჯგუფების განადგურების ოპერაციას.

ჰიტლერელები ასეთ ქარბუქში, რა თქმა უნდა, სახლებში სხედან და თბებიან. მათ ძალიანაც არ ეხალისებათ ღამით ბრძოლა, მით უფრო ასეთ ყინვაში. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე იყო. ისიც შეიძლება, რომ ჩაგვისაფრდნენ, და ჩვენ უნდა ვეცადოთ, არ წავაწყდეთ. მივდივართ ნელა და ფრთხილად, თუმცა ამ ღრმა თოვლში ამაზე ჩქარა სიარული არც შეიძლება.

უცბად წინ, სულ ახლოს, სინათლე გამოჩნდა. პირველად იგი მაიორმა ფომინმა დაინახა და ჩემსკენ შემობრუნდა:

— იქნებ გერმანელები არიან?

ვგზავნით უფროს ლეიტენანტ რიაბუშენკოს მებრძოლთა ჯგუფით დაზვერვაზე. მზვერავები დაახლოებით ნახევარ საათში დაბრუნდნენ, იღიმებიან, უხარიათ, რომ ეს მართლაც სოფელი ნატალევკა აღმოჩნდა. მაიორ ბელოუსოვის ბატალიონმა ეს-ეს არის, დაიწყო სოფელში შესვლაო, გვითხრა რიაბუშენკომ, მან ისიც გვაცნობა, რომ შვენდიკის ბატალიონს წარმატებით მიჰყავს ბრძოლა სოფელ ეფიმოვკასათვის.

— პოლკის შტაბისათვის ჩვენ იქ ერთი განაპირა სახლიც დავიგულეთ, — მითხრა რიაბუშენკომ და ბოშასავით შავი თვალები მოჭუტა, — იქ გათბობაც შეიძლება.

განაპირა სახლში, სადაც „გათბობაც შეიძლება", ორი ახალგაზრდა, წარმოსადეგი ქალი დაგვხვდა. ქალები გულკეთილად შეგვხვდნენ, მაგიდასთან მიგვიწვიეს და ქერქიანად მოხარშული ცხელი კარტოფილი შემოგვთავაზეს. სამწუხაროდ, ჩვენ დრო არ გვქონდა, რომ მასპინძლების სტუმართმოყვარეობით გვესარგებლა.

— მიპატიჟებაზე მადლობელი ვარ, — ვუთხარი ახალგაზრდა ქალებს, — ახლა ჩვენ საამისოდ არ გვცალია, სხვა დროს იყოს, თუკი კიდევ შევხვდებით... ახლა, ძვირფასებო, მინდა ერთი რამ გკითხოთ: აქედან ნიკოლსკოემდე შორია?

— თუ გზიურ წახვალთ, რვა კილომეტრია, — მიპასუხა იმან, რომელიც უფრო უფროსი ჩანდა.

— რვაა? — აღმომხდა გულიდან ოხვრასავით.

— კი, გზიურ რვაა, ხოლო ღელეზე სანახევროდ ახლოა, ოთხი კილომეტრია. გინდათ, ღელეზე გაგაცილებთ და გზას მიგასწავლით?

— სოფელში კაცები არ არიან?

— მარტო მოხუცები და სნეულებიღა დარჩნენ. ახალგაზრდები წყეულმა ფაშისტებმა გერმანიაში გარეკეს. თქვენ ეგ ნუ გაწუხებთ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, კაცებზე ნაკლებად არც ჩვენ გაგაცილებთ. ჩვენ აქაურები ვართ და ყოველ კუთხე-კუნჭულს ვიცნობთ. ოღონდ ფრთხილად უნდა ვიაროთ, თორემ ნიკოლსკოეში გერმანელებია.

— ბევრნი არიან?

— ბევრნი და ზარბაზნებიც სულ სხვადასხვანაირები აქვთ. მდინარე ოლიმის გაღმიდან იმ ზარბაზნებით ჩვენებს ესვრიან.

ქალები კითხვებზე მპასუხობდნენ, თან სწრაფად ემზადებოდნენ ძნელი და საშიში მოგზაურობისათვის. მოწინააღმდეგეს ნიკოლსკოეში რომ საველე და საზენიტო არტილერია ჰქონდა, ეს ჩვენ ადრევეც ვიცოდით არა მარტო დაზვერვის ცნობებით, არამედ ცეცხლდაშენით გამოწვეული დანაკარგის მიხედვითაც. სხვათაშორის, სოფლის მიდამოებში ფაშისტებმა საზენიტო ზარბაზნებით სამი თუ ოთხი საბჭოთა თვითმფრინავიც ჩამოაგდეს.

მოვიდა მაიორი ბელოუსოვი. გამყოლი ქალები მას ჩავაბარე და ვუბრძანე, რომ მთელი გულისყურითა და გულმოდგინებით დაეცვა ისინი ყველა შესაძლო ხიფათისაგან.

— ყველაფერი ისე იქნება, როგორც საჭიროა, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, — ღირსეულად მიპასუხა ივანე ვლადიმერის ძემ.

პირველი ბატალიონის მეთაურმა მაიორმა კონცედალოვმაც მიიღო ბრძანება რადიოთი, რომ მარშრუტი შეეცვალა და ნიკოლსკოესაკენ სოფლებზე გავლით, უმოკლესი გზით წასულიყო. მესამე ბატალიონის მეთაურს კაპიტან შვენდიკს მიეცა ბრძანება, რომ შეეწყვიტა მოწინააღმდეგისათვის დევნა და რაც შეიძლება აჩქარებული მარშით ბატალიონი ნიკოლსკოეს რაიონში გაეყვანა. ნიკოლსკოეს გარნიზონზე თავდასხმა და დარტყმა უცაბედი და ძლიერი უნდა ყოფილიყო. სხვაგვარად ბრძოლა გაგვიჭირდებოდა და, მაშასადამე, მსხვერპლიც მეტი მოგვივიდოდა.

ჩვენმა მოხალისე გამყოლებმა, რომელთა სახელები, სამწუხაროდ ხსოვნაში აღარ შემომრჩა, თავიანთი სიტყვა აასრულეს — ნიკოლსკოეში პოლკი საათნახევრით ადრე მიიყვანეს იმ დროზე, რასაც ჩვენ წინასწარ განზრახული მარშრუტით წასვლისას დავკარგავდით.

ნიკოლსკოე მართლაც საკმაოდ დიდი სოფელი გამოდგა. ვიწრო ზოლად გასდევდა მდინარე ოლიმის დამრეც ნაპირს. ჩვენ შორიდანვე დავინახეთ მისი თბლად გაფანტული სინათლეები. ქარბუქი დროდადრო კლებულობდა, მაგრამ თოვლში სიარული მაინც ისევ ისე ჭირდა. როცა მსროლელი პოლკები უკვე მჭიდროდ მიადგნენ სოფელს, გათენებას ბევრი აღარ აკლდა.

ორივე ბატალიონის მეთაური საჩქაროდ მოვიდნენ საკომანდო პუნქტში, რომელიც პატარა სოფლის ერთ განაპირა სახლში იყო მოთავსებული. იერიშის წინ საჭირო იყო ამოცანის დაზუსტება. მაიორ კონცედალოვს ვუბრძანე: შემოუვლი ნიკოლსკოეს ჩრდილოეთიდან და სოფლიდან დასავლეთისაკენ მიმავალ გზაზე გამაგრდები, რითაც მტრის გარნიზონს მოუსპობ უკან დახევის საშუალებას. ამის შემდეგ გადაკეტავ ტერბუნ-ურეცკოე-კასტორნის გზატკეცილს, რომ მოწინააღმდეგემ ეს გზა თავისი ჯარების მანევრირებისათვის ვეღარ გამოიყენოს.

მოწინააღმდეგის ნიკოლსკოეს გარნიზონის განადგურებაში ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ბელოუსოვისა და კონცედალოვის ბატალიონებს, პოლკის არტილერიასა და პოლკის დამხმარე საარტილერიო დივიზიონს. ხოლო შვენდიკის მეთხილამურეთა ბატალიონს დაევალა, ეფიმოვკაში მტრის ლიკვიდაციის შემდეგ, განევითარებინა სწრაფი შეტევა ნიკოლსკოეზე სამხრეთიდან. ხუთწუთიანი საარტილერიო ცეცხლდაშენა დაიწყება 7 საათსა და 25 წუთზე. იერიში — 7 საათსა და 30 წუთზე.

მე, ი. მაზნიჩენკო და მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების წარმომადგენელი პოდპოლკოვნიკი ი. კ. ბელომესტნი ჩვენი არტილერიის თავმოყრის ადგილზე წავედით, რომელსაც მეთაურობდა პოლკის არტილერიის უფროსი კაპიტანი ა. ნ. კოვრიგინი.

ჯერ კიდევ ყველა არ იყო მოსული. საარტილერიო დივიზიის ერთი ბატარეა სადღაც თოვლში იყო ჩაფლული. მაგრამ ჩვენ ლოდინის დრო აღარ გვქონდა, სხვები ხომ აქ იყვნენ, დივიზიის თავმოყრის ადგილზე. და კაპიტან კოვრიგინს ვუბრძანე: გააკეთე ყველაფერი, რომ მტრის არტილერია ცეცხლით გააუვნებლო და არ მისცე ჩვენი მსროლელი ქვედანაყოფების წინააღმდეგ მოქმედების საშუალება.

— შევასრულებთ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, — მოკლედ მიპასუხა ნიკოლოზ ალექსანდრეს ძემ.

იგი შესანიშნავი არტილერისტი იყო. მან არა ერთხელ დაამტკიცა თავისი მხედრული ოსტატობა თავდაცვით ბრძოლებში. მაგრამ ახლა ვუტევთ ჩვენ და არა მოწინააღმდეგე. ამიტომ კაპიტნის სიტყვაში — „შევასრულებთ“ — ურყევი რწმენა და თავდაჯერება იგრძნობა.

სანამ ჩვენ ჯერ არტილერისტებთან და შემდეგ საიერიშო სანზადისში მყოფ მსროლელ ქვედანაყოფებთან ვიმყოფებოდით, ლეიტენანტი შვეიკინის მესანგრეთა ჯგუფმა უკვე მოასწრო დანაღმულ მინდორში გასასვლელის გაკეთება.

სათვალთვალო პუნქტში რომ დავბრუნდით, რადისტმა მომახსენა, თქვენთან — „სოლოვიევს“ სურს ლაპარაკი. „სოლოვიევი“ ჩვენი დივიზიის მეთაური სლიშკინი იყო, რომელმაც სწორედ იმ ხანებში მიიღო გენერალ-მაიორის წოდება. ამხანაგმა სლიშკინმა საქმის ვითარება გამომკითხა და მერე მითხრა. ალექსანდროვკიდან თქვენსკენ მოდის დივიზიის მზვერავთა ასეული კაპიტან ნ. ს. კოლესოვის მეთაურობით და საცაა მანდ გაჩნდებაო.

ამაზე სასიხარულო რაღა უნდა ყოფილიყო! კოლოსოვის მეთხილამურეთა ასეული პირდაპირ მისწრება იყო შემოვლითი მანევრებისათვის. ჩვენს საკუთარ მეთხილამურეებს — კაპიტან ი. ლ. შვენდიკის ბატალიონის მეომრებს ძნელად, რომ იერიშისათვის დასაწყისშივე მოესწროთ და უცბად აი ასეთი დამხმარე ძალა!

ნიკოლსკოეში სიწყნარეა. თბილ ქოხებში მოკალათებულ ჰიტლერელებს, ეტყობა, ჩვენი თავმოყრისა ჯერაც არაფერი გაუგიათ.

საცეცხლე პოზიციიდან სათვალთვალო პუნქტზე დაბრუნდა კაპიტანი კოვრიგინი. იყურება საათზე, მექანიკურად მეც იგივეს ვაკეთებ. შვიდი საათი და ოცდახუთი წუთია. დროა. არტილერიის უფროსს წყნარად ვეუბნები:

— დაიწყე, ნიკოლაი ალექსანდროვიჩ, დროა!

კოვრიგინი ტელეფონის ყურმილს იღებს,

იდებს ყურზე, დაჰყურებს საათის ციფერბლატს და მთელი ხმით ყვირის:

— ცეცხლი!

ბათქის ხმა სიწყნარეს თითქოს შუაზე ხევს. ერთი, მეორე, მესამე... რამდენიმე წამის შემდეგ სოფლიდან უფრო ძლიერი აფეთქების ხმები ისმის.

— მიდით, მიდით, ბიჭებო!.. ცეცხლი! დასცხეთ მაგ გველის წიწილებს! დაე, წაისაუზმონ ჩვენი ფოლადის ცხელი კარტოფილებით! დასცხეთ! — აზარტში შესული კაპიტანი კოვრიგინი თავს უკვე ველარ იკავებს. — ცეცხლი! — გაჰყვირის ხმამაღლა, — ცეცხლი! ჩვენი სამშობლოსათვის! ფაშისტ ყაჩაღებს... ცეცხლი!..

პირველი საარტილერიო ბათქებისთანავე, მის საფარქვეშ, თოვლყინულით გადალესილ მდინარე ოლიმაზე დაიძრნენ ივანე ბელოუსოვის მეომრები; „როგორც ყოველთვის, იგი ახლაც წინ არის“, — გავიფიქრე მე. სათვალთვალო პუნქტიდან ჭოგრიტით ვხედავდი, როგორ ცდილობდნენ მებრძოლები მდინარის დამრეც კიდურამდე, ზევიდან ცეცხლუშენ ადგილამდე ჩქარა მიღწევას, მაგრამ თოვლი, წყეული თოვლი!.. სირბილი შეუძლებელია, ნაბიჯით სიარულიც ჭირს.

ტვინს ერთი აზრი მიბურღავს: „ოღონდ მიაღწიონ! ოღონდ კი მტრის არტილერიისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლში ნუ მოხვდებიან!..“ თუმცაღა, სანამ ჰიტლერელები საპასუხო ორგანიზებულ ცეცხლს გახსნიდნენ — ჩვენი უეცარი საარტილერიო თავდასხმის გამო, ძილიდან უცბად გამოფხიზლება ვერ მოასწრეს — თითქმის მთელი ბატალიონი უკვე დამრეც კიდურს იყო ამოფარებული. მხოლოდ რამდენიმე ჯარისკაცმა ვერ მოასწრო ნაპირამდე მისვლა და მტრის ტყვიისა და არტილერიის ცეცხლს რომ გადარჩენილიყვნენ, თოვლში ჩაწოლა მოუხდათ.

მაიორი ბელოუსოვი ისე მოქმედებდა, თითქოს მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მტერზე შეტევისა და მისი დასაყრდენი პუნქტების განადგურების მეტი არაფერი უკეთებიაო. მან კარგად ისარგებლა დამრეცი ნაპირის საფარით და ორი ასეული მდინარე ოლიმის სახვევს იქით, სამხრეთის მხარეს გაიყვანა, საიდანაც ისინი უფრო დავაკებული ნაპირით ქარის გადაცვეთილ, თითქმის შიშველ ნაპირზე აცვივდნენ და ჯიქურ ჩაებნენ მტრის გარნიზონის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბატალიონის კიდევ ერთი ასეული მტრის პოზიციებს სოფლის აღმოსავლეთ მხრიდან უტევდა.

დაახლოებით ამავე დროს კაპიტან კოლესოვის მზვერავთა ასეულმა თხილამურებით გაიარა ფეხდაუდგამ თოვლში, მოუარა ნიკოლსკოეს ჩრდილოეთიდან, მტრის გარნიზონს ურიცკოესა და კამერისკენ დასახევი გზა გადაუკეტა და თვითონაც სოფელში შეიჭრა. კონცედალოვის ბატალიონის მოსვლამდე მზვერავებმა გზატკეცილზე საფარი რაზმი დატოვეს, ხოლო ძირითადი ძალებით სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან მტრის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა გააჩაღეს.

ბრძოლა თითქმის ისე მიმდინარეობდა, როგორც ჩაფიქრებული იყო. ეს სულ უფრო ცხადი ხდებოდა რადიოთი მაიორ ბელოუსოვის, კაპიტან კოლესოვისა და რამდენადმე გვიან მაიორ კონცედალოვის მოხსენებებიდან. ამასვე მოწმობდა სოფელში ჩვენი ტყვიამფრქვევ-ავტომატებისა და ნაღმსატყორცნების სროლის მზარდი ხმები. ყველა, ვინც კი პოლკის სათვალთვალო პუნქტზე იმყოფებოდა, წარსული ბრძოლების გამოცდილებით, გრუხუნზე, ხმაურზე და ტყვიამფრქვევ-ავტომატების კაკანზე კარგად არჩევდა ვის მხარეზე იყო ძალა და მაშასადამე, გამარჯვებაც.

პირველ შეტევით ბრძოლაში ადამიანები გაფთრებითა და სიმამაცით იბრძოდნენ, იბრძოდნენ დაკვირვებით და გერგილიანად, წინათ განუცდელი ძნელი, მაგრამ აუცილებელი გამარჯვების სიხარულით შთაგონებულნი. ისინი აღარ ერიდებოდნენ საშიშროებას იმიტომ, რომ იბრძოდნენ არა თავდაცვისათვის, არამედ გამარჯვებისათვის, სოფლის, და მაშასადამე, მშობლიური მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის. და ეს გრძნობა მათს ძალებსაც ათმაგად და მეტად ზრდიდა. ფრონტელებმა იციან, რა სიხარული მოსდევს ხოლმე გამარჯვებას. იქნებ პატარაც იყო ეს გამარჯვება, საერთო, საყოველთაო გამარჯვებასთან შედარებით სრულიად პაწაწკინტელაც, მაგრამ მებრძოლის გულს კი წარმატების რწმენითა და ზეიმით ავსებდა.

კაპიტან კოლესოვის მზვერავებმა სოფელში შეჭრისთანავე განაპირა ნაგებობები დაიკავეს და მტერს იქიდან დამიზნებით ცეცხლი გაუხსნეს. ბრძოლის პირველსავე წუთებში მზვერავებმა მტრის ერთ ოცეულამდე ქვეითი და ორი საქვემეხო გათვლა გაანადგურეს. ამან სწრაფად წინ ვაჭრის საშუალება მისცა არა მარტო მზვერავთა ასეულს, არამედ მის საშველად მოსულ მაიორ ბელოუსოვის მსროლელი ბატალიონის მეოთხე ასეულსაც, რომლის რიგებშიც ჯარისკაცების გვერდით გმირულად იბრძოდა ბატალიონის მეთაურის მოადგილე უფროსი ლეიტენანტი ნ. დ. ჟუკოვი.

ნიკოლსკოეს ბრძოლის წარმატება ძირითადად ჩვენმა უეცარმა თავდასხმამ განაპირობა. როცა ჩვენი ქვედანაყოფები სოფელში შეიჭრნენ, ჰიტლერელები მას შემდეგღა შეეცადნენ წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ უკვე გვიან იყო. იმ ოთხი ტანკიდან, რომლებიც ჩვენი თავდასხ-

ზის დროს სოფელში აღმოაჩნდათ და რომლებითაც სცადეს ცეცხლის გახსნა, ჩვენმა არტილერისტებმა პირდაპირი დამიზნებით ორივე მაშინვე გამოიყვანეს მწყობრიდან, დანარჩენი ორი მებრძოლებმა ააფეთქეს ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარებით.

ფაშისტებმა ჩვენი მსროლელი ქვეგანაყოფების წინააღმდეგ სრულად ვერც არტილერიის გამოყენება მოახერხეს იმიტომ, რომ რამდენიმე საარტილერიო გათვლა ჩვენმა მებრძოლებმა დასაწყისშივე საცეცხლე პოზიციებზე გაანადგურეს, დანარჩენებმა საერთოდ თავიანთ იარაღთან მირბენა ვერ მოასწრეს.

უფრო შეუპოვრად იბრძოდნენ მტრის ცალკეული მეტყვიამფრქვევეები, მაგრამ ჩვენი ქვედანაყოფების გააფთრებულ იერიშებს ბოლომდე ვერც იმათ გაუძლეს.

დაახლოებით, ნაშუადღევისათვის ყველაფერი დასრულდა. ნიკოლსკოეს ფაშისტური გარნიზონის ნარჩენებმა, სოფლის ქუჩებში უიმედო წინააღმდეგობის შემდეგ, საჩქაროდ გარეუბნისკენ დაიხიეს. იქ მათ გამანადგურებელი ცეცხლით დახვდნენ კონცედალოვის ბატალიონის ქვედანაყოფები, რომლებიც საგანგებოდ იყვნენ ჩასაფრებულნი. გერმანელ არტილერისტთა ძალიან მცირე ჯგუფმა გააღწია ურიცკოესაკენ, მაგრამ სრულიად უიარაღოდ — უზარბაზნოდ და უტყვიამფრქვევოდ. უმეტესობა კი ჩვენმა ქვედანაყოფებმა ან გაანადგურეს ანდა ტყვედ ჩაიგდეს.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ გვერდწითელი

# ქართული მოთხრობის ავ-კარგი

ეგრეთწოდებულ „წლიურ მიმოხილვებს“ ცუდი თვალით თუ არა, ცოტა ამრეზით მაინც ბევრი უყურებს. არც მე მეხატება მაინცდამაინც გულზე. აღარ იცი კაცმა, როგორი მოუყარო თავი ამ უამრავ და ჭრელ მასალას, რა პრინციპით დაალაგო და დააჯგუფო. ძალაუნებურად დახარისხებაც გამოგიდის მხატვრული ნაწარმოებებისა (მაშასადამე, მათი ავტორებისაც), რაც არა მარტო მრავალმხრივ ხიფათიანი საქმეა, არამედ — შინაგანად უსიამოც. კიდეც რომ ხმამაღლა მომდურავი არავინ გამოგიჩნდეს (თუმცა ამას რა გადაგარჩენს), სხვისი თუ საკუთარი გაუმხელელი უკმარობის გრძნობა ხომ მაინც შეგაწუხებს.

და მაინც, ვერ ველევით ამ „მიმოხილვით ჟანრს“ კრიტიკაში. როგორც ჩანს, მასაც აქვს არსებობის უფლება, მასზეც არის მოთხოვნილება. ვიდრე ცალკეულ ნაწარმოებს, ან ტენდენციას ჩაუღრმავდებოდე, მასალისათვის თვალის ერთი გადავლებაც საჭირო ჩანს, თუნდაც აი ისე, ადრე ბრძოლის ველს რომ დასჩერებოდნენ ხოლმე შემაღლებიდან.

ამიტომ ისმენენ „მიმოხილვებს“ მოწყენილი სახით და გაფაციცებული გულისყურით გაჭიანურებული დისკუსიების დროს და გაწელილ წერილებსაც იქნებ კიდეც უხალისოდ, მაგრამ ჩაკირკიტებით კითხულობენ. მეც, სხვისი არ იყოს, სანახევროდ კრიტიკოსის ვალის მოსახდელად, სანახევროდ კი გულწრფელი ინტერესით დროდადრო გავულებ ხოლმე ხარკს ამ „ჟანრს“. ახლაც ასე მომიხდა.

ამჯერად გასული, 1979 წლის მოთხრობა იქნება ჩემი საერთო დაკვირვებისა და განსჯის საგანი. ქართულ მოთხრობას ძველი და ახალი ტრადიციებიც საკმაოდ მნიშვნელოვანი და მდიდარი აქვს. ამიტომ მისი დღევანდელი დონე კიდევ უფრო საინტერესოა.

წერილის სათაურის პრობლემა იოლად გადავწყვიტე. საქმე მერე უფრო გართულდა.

ჯერ ერთი, არც სათაური გამოდგა დიდად ორიგინალური და, რაც მთავარია, ზუსტი. ავკარგი ყველაფერს გააჩნია და ყველაფერზე ითქმის, მაგრამ უკანასკნელი დროის, ან თუნდაც მარტო გასული წლის მოთხრობებს რომ გადახედავ და დააკვირდები, ერთბაშად იმ დასკვნამდე მიხვალ, რომ მნიშვნელოვნად ამაღლდა მათი საერთო საშუალო დონე. ამიტომაც უფრო კარგი და თბილი სიტყვები გემეტება, ვიდრე ცუდი და ავი. მართებულად გეჩვენება მოძალებული აზრი, რომ ახლა ქართული მოთხრობა უფრო ექვებს, სურვილებს, რჩევებს ბადებს, ვიდრე საყვედურებს, რომ წერის კულტურაც ბევრად დაიხვეწა და თვალსაწიერიც ძალზე გაიზარდა. თუ ასეა, მაშ ავის ხსენება სათაურში თითქოს უადგილო უნდა იყოს. მაგრამ, ამასთანავე იმის შეგრძნებაც არა გტოვებთ, რომ რაღაც მნიშვნელოვანში, არსებითში უჭირს დღევანდელ ქართულ მოთხრობას.

მეორეც კიდევ, ცხადია, ვერც მთელ მასალას გავწვდი. ზოგი რამ იქნებ გამომრჩა (ვერ შევნიშნე და დავაფასე), ზოგიც ნებით გამოვტოვე, როგორც ნაკლებ მნიშვნელოვანი და საყურადღებო (რა თქმა უნდა, მხოლოდ ჩემი აზრით). ასე რომ, ამ „ჟანრის“ ყველა დამახასიათებელი თვისება (სამწუხაროდ, ალბათ უფრო უარყოფითი) ჩემს წერილსაც დაჰყვა და ამას მე თავად ამთავითვე, უოპონენტებოდაც კარგად ვგრძნობ.

სანამ უშუალოდ საქმეს, კონკრეტული მასალის შესახებ მსჯელობას შევუდგებოდე, რამდენიმე ზოგადი შთაბეჭდილება მინდა გაგიზიაროთ.

გასულ წელს „მნათობის“, „ცისკრის“, „განთიადის“, „ლიტერატურული საქართველოს“

ფურცლებზე დაბეჭდილ მოთხრობებს (საკმაოდ მრავლად რომ ყოფილა) ერთად, მიყოლებით, მუშტრის თვალით რომ ვკითხულობდი, აშკარა კმაყოფილება ვიგრძენი. შეიძლება ითქვას, არ შემხვედრია მოთხრობა, რომელიც რაღაც მიზეზით, აზრობრივით თუ მხატვრულით, მაფიქრებინებდა, ეს რამ დაიბეჭდვინათო, მითუმეტეს ამის დაბეჭდვა როგორ შეიძლებოდაო. ცხადია, ზოგი ძალიან მომეწონა, ზოგიც — მეტად ან ნაკლებად, რიგი მოთხრობებისა უბრალოდ არც მომეწონა. მაგრამ ყოველი მათგანი, თვით ისინიც კი, პირადად მე ემოციური კონტაქტი რომ ვერ დავამყარე, ვგრძნობ და მჯერა, ასე თუ ისე სასარგებლოა მკითხველებისათვის, რაღაც დიდად მნიშვნელოვანზე თუ არა, საგულისხმოზე მაინც მიაქცევინებს ყურადღებას, ჩააფიქრებს, ადამიანურ დასკვნებს გამოატანინებს. ასე რომ, ყველას და ყველაფერს აქვს თავისი აზრი და მნიშვნელობა, თუნდაც სწრაფწარმავალი. რა ვუყოთ, ადრე თუ გვიან ბევრს რამეს დღევანდელს დაეცემა დავიწყების ჩრდილი. ჩვენი კრიტერიუმი ის უნდა იყოს, დღევანდელი ნაყოფი რამდენად შემწეა საერთო პროგრესისა, კეთილ აზრსა და გრძნობას ულვივებს თუ არა თანამედროვეთ. გუშინდელზე უკეთესი ხომ არის? მხოლოდ ამ გზაზე, ასეთ წადილიან ატმოსფეროში იბადება განგების ნებით ის ერთადერთი, რასაც უკვდავება უწერია. მდგომარეობას თუ ამგვარად შევხედავთ და შევაფასებთ, აშკარად კმაყოფილებას ვიგრძნობთ. ქართული მოთხრობის დღევანდელი დონე, გუშინდელთან შედარებით, თვით პროფესიულ წუნიებსაც კი ვერ ათქმევინებს ძვირს. ამის მიზეზების რკვევა შორს წაგვიყვანს. ეს, ცხადია, უპირველესად მნიშვნელოვანი ეროვნული ტრადიციების წყალობაა და, ამასთანავე, თანამედროვე მსოფლიო მწერლობის გამოცდილების ზიარების შედეგიც. დიახ, ქართული მოთხრობა კარგ თუ არა, უკეთეს დონეზე მაინცაა დღეს.

მაგრამ... მასაც გააჩნია სხვა თუ არაფერი, საკუთარი აქილევსის ქუსლი. მე სწორედ ამ მთავარ, და არა ერთადერთ, ნაკლზე მინდა მიგაქცევინოთ ყურადღება, რომელიც, ჩემი აზრით, ყველაზე გავრცელებულ და გადამდებ სენად ჩანს. იქნებ მკითხველთა ფართო მასებისათვის ეს სენი შედარებით ძნელი შესამჩნევი იყოს, მაგრამ პროფესიონალი ლიტერატორებისათვის იგი, ვფიქრობ, აშკარაა. ეს არის კარგად შენიღბული ეგრეთწოდებული „ლიტერატურშინა", როცა მწერლის შთაგონების წყარო თვით ცხოვრება და რეალობა კი არ არის, არამედ — უკვე შექმნილი და არსებული ლიტერატურული სამყარო. კითხულობთ ამგვარ ნაწარმოებებს, საკმაოდ მომზადებულს და მარტო ის აზრი კი არ გიჩნდებათ, რომ ყველაფერი ეს ერთხელ, თუ მეტად არა, უკვე წაკითხული გაქვთ ადრე და ამდენად ნაცნობია თქვენთვის, არამედ ის უსიამო გრძნობაც გეუფლებათ, რომ აქ თითქოს ყველაფერი თავის ადგილზეა, თითქოს ცოცხალი ცხოვრებიდანაა, — მაგრამ მაინც გატყუებენ, რადგან იმიტირებულია, ხელოვნურია, მოწადინებულად მიმსგავსებულია, უსიცოცხლოა და, მაშასადამე, უინტერესოა.

უცნაურია, მაგრამ აქედანვე იღებს სათავეს ის ნაკლიც, რაც მწერლობაში ყოფითთან არის დაკავშირებული. თითქოს ეს მაინც უშუალოდ ცხოვრებიდან უნდა იყოს გადმოსული მოთხრობაში. მაგრამ აქაც თურმე დიდი განსხვავებაა ნამდვილსა და ხელოვნურს შორის. საქმე იმაში გახლავთ, რომ უაღრესი ყოფითობა მიმსგავსებულ ნაწარმოებებში უმიზნო ყოფითობაში იზრდება, რადგან აქ აღარ არის დაჭერილი ის ცხოვრებისეული ძარღვი, რომელიც ამ არაფრით გამორჩეულ სიტუაციას თუ ხასიათს ერთი შეხედვით შეუმჩნეველი, მაგრამ სინამდვილეში დიდი ადამიანური სათქმელითა და ვნებით აავსებს. ამიტომ იმიტატორს, თუნდაც დახელოვნებულს, მთავარი ეცლება ხელიდან და რჩება უმიზნო ყოფითობა, რომლის აზრსაც და მნიშვნელობასაც, მიუხედავად მოწადინებისა, მაინც ვერ ვხვდებით.

ამგვარი მოთხრობები მაცდურნი არიან, ყურადღებას იქცევენ თავიანთი კოლორიტით, პორტრეტებით, მაგრამ ბოლოს ირკვევა, რომ ამ დახელოვნებული ოსტატობით შესრულებულ არც პეიზაჟს იქით არ ჩანს ცხოვრების ფეთქვა და არც პორტრეტს იქით — ცოცხალი ხასიათი. ამიტომაა, მე პირადად უკვე ერთგვარი უნდობლობით და ეჭვით ვეკიდები იმ მოთხრობებს, სადაც სოფლის მიდამოები, ეზო-გარემო თუ სახლი და სამზადი სიზუსტით არის აღწერილი, ხოლო იქაური მცხოვრებლების, მეტწილად მოხუცების ხატვისას კი გულმოდგინებით არის გამოკვეთილი დაღარული სახეები თუ დაძარღვულ-დანაოჭებული ხელები. მათი მეტყველების დროსაც ხომ, ცხადია, მხოლოდ კუთხური კილოკავი ისმის. დიახ, ეჭვით ვეკიდები, რადგან ამას იქით ხშირად მხოლოდ სიცარიელეა.

ამგვარი ხერხებითა და მეცადინეობით მცირე მოთხრობას კიდევ რაღაცას დაამგვანებს ავტორი იმდენად, რომ იქნებ კიდეც შემოგვასაღოს საინტერესო ნაწარმოებად. მაგრამ ეგრეთწოდებულ ვრცელ მოთხრობას მარტო ყოფითა და კოლორიტით ვერ აავსებ, მას მნიშვნელოვანი სათქმელიც სჭირდება. მე ვფიქრობ, ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, ჩვენში რომ ამ სახის პროზამ, ვრცელმა მოთხრობამ ისერიგად ვერ იხეირა, როგორც მას დროისა და მკითხველის ინტერესები მოითხოვს.

ქართული მოთხრობა ბევრწილად ცხოვრებისაგან კი არა, თვით ლიტერატურისაგან რომ იკვებება, ამის გამოცაა იგი ხშირად მიმსგავსებული ერთისა და, რაც უფრო დასაფიქრებელია, ამავ მიზეზით ღარიბად, ცალმხრივად არის წარმოსახული მასში ცხოვრება. თუ ხმამაღლა და

მკვახედ არ გამომივა ნათქვამი, ვიტყვი იმას რასაც ვფიქრობ, რომ ქართული მოთხრობა და საერთოდაც პროზა, მიუხედავად მათი მნიშვნელობის დამსახურებული აღიარებისა და სამართლიანი ფართო მოწონებისა, მაინც არ არის მრავალფეროვნებით აღბეჭდილი და ჩვენი თანამედროვე ცხოვრების არაერთ, მეტიც, ბევრ მნიშვნელოვან უბანს, მოვლენას, პრობლემას ან სულ ვერა სწვდება, ან ნაკლებ სწვდება. ჩვენ რომ ქართული პროზით ვიმსჯელოთ ჩვენს დღევანდელ ცხოვრებაზე, ძალზე არასრული და ცალმხრივი შთაბეჭდილება შეგვექმნება.

ამგვარი აზრები და სურვილები (ვინ იცის, იქნებ უმართებულოც და მიუღებელიც) მებადება ქართულ პროზაზე ფიქრის დროს, მაგრამ ეს მაინც არ მიშლის ხელს ვაღიარო, რომ საერთო დონე ქართული მოთხრობისა (და საერთოდ მწერლობისა) აშკარად და შესამჩნევად ამაღლდა. ამის ნათელი დადასტურებაა გასულ წელს გამოქვეყნებული მოთხრობებიც.

მე მგონი, არამცთუ ორი ათეული წლის წინ, არამედ უფრო ახლო წარსულშიც ჩვენ ნაკლებად გვქონდა იმის უფლება და საშუალება, რომ გულგრილნი ვყოფილიყავით ისეთი მხატვრული ნაწარმოებების მიმართ, როგორებიცაა, ვთქვათ, ვაჟა ჩორდელის „ტატე". „როდის ამოდის მზე" („ცისკარი", № 10), ჯემალ ქირიას „ტრამალების სევდიანი სიმღერა" („მნათობი", № 6). და სხვა მრავალი მისთანანი.

ნორმალურადაა დაწერილი ჯემალ ქირიას და ვაჟა ჩორდელის მოთხრობები, მაგრამ ახლა ესეც აღარ გვაკმაყოფილებს. „ტრამალების სევდიანი სიმღერაც" თითქოს ნაცნობი სათაურია ჩვენთვის და არც სათაურს იქით მოთხრობილი ამბავი ახდენს ახლის და ცინცხალის შთაბეჭდილებას. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ომის დროს ობლად დარჩენილი ვიტიას შეხვედრა ოცი წლის უნახავ მამასთან — პეტრ ნიკოლაევიჩ ვოროპანოვთან, მათი ოჯახის ტრაგიკული ისტორია და ამითვე გამოწვეული შემზარავი ფინალი მოთხრობისა, მაინც ახდენს ემოციურ ზემოქმედებას მკითხველზე. ვაჟა ჩორდელიც კარგი მთხრობელია, მაგრამ არც მისი ხიფათიანი გმირის ტატეს და არც მალაქიას ნათელასადმი სიყვარულის ისტორია არ არის დატვირთული რაიმე საინტერესო, მნიშვნელოვანი სათქმელით და ამიტომ აღარც შეფარული ავტორისეული იუმორი შველის საქმეს.

აი ამგვარი მოთხრობები ახლა ბევრი იბეჭდება, სადაც, როგორც ზემოთ ვთქვი, თითქოს ყველაფერი თავის ადგილზეა, სრულ წესსა და რიგზეა, სადაო და სასაყვედუროც თითქმის არაფერია და მაინც უინტერესოა, რადგან ან უშუალობას მოკლებული და მშრალია, ან უმნიშვნელო და არაფრისმთქმელია, ორთავ შემთხვევაში კი ნამდვილ ღრმა ლიტერატურას არ განეკუთვნება, მხოლოდ სასხვათაშორისო საკითხავ ნაწარმოებებად რჩება. თუმცა ესეც რაღაცას ნიშნავს.

მომრავლებულია სხვა სახის მოთხრობებიც, სადაც თანამედროვე ცხოვრების და მაშასადამე, მწერლობისთვისაც მტკივნეული პოლიტიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური პრობლემებია წამოჭრილი, მაგრამ აზრობრივადაც და მხატვრულადაც ზერელედ არის დამუშავებული. კუბელი კონტრრევოლუციონერების და ამერიკელი იმპერიალისტების ანტიჰუმანურობის მხილებაა როლამ ჩაჩანიძის მოთხრობები „ტერეზა პირს იბანს" და „ლენიადორო" („ცისკარი", № 11), მაგრამ ეს გაუბრალოებულად, „ლენიადოროში" კი პირდაპირ პრიმიტიულად არის შესრულებული.

ცივილიზებულ სამყაროში, ურბანიზაციისა და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციების ეპოქებში ადამიანის სულიერი მდგომარეობის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე და გავრცელებულ, დამახასიათებელ სენზე — გაუცხოებასა და სიმარტოვეზე ახლა იმდენი იწერება, ვერც კი გაადევნებს კაცი თვალს. ზოგიერთი მწერალი მხატვრულად ღრმად და საინტერესოდ იკვლევს ამ პრობლემას. დიახ, სწორედ იკვლევს, უბრალოდ კი არ სვამს ან ასახავს. მეტი ნაწილი კი ამ მნიშვნელოვანი და საინტერესო პრობლემის ექსპლუატაციას ეწევა. პრობლემის ამგვარი ზედაპირული ხედვა ჩანს როლამ ჩაჩანიძის მოთხრობაში „ჟამი მიმწუხრისა" („მნათობი", № 12), სადაც მწერალი გვიყვება მოხუც ჩერნოგორიელ კაპიტანზე, ვინც მთელი ცხოვრება ზღვას შესწირა და, როგორც თვითონ ამბობს, ცოლისა და შვილის წილი ტანჯვის გაზიარებას გონების კარნახით აარიდა თავი. ახლა, მიმწუხრის ჟამს მას სახლში მთელი საზღვაო მუზეუმი მოუწყვია. მოხუცი კაპიტანი თავს თითქოს ბედნიერადაც კი გრძნობს, მაგრამ მოზღვავებული წუხილით მაინც გამოგვიტყდება: „იცით რა, არის ხოლმე წუთები, როცა მარტოობა აუტანელი ხდება. ადრე ამას არ ვგრძნობდი... ახლა კი, ზოგჯერ საშინელი სევდა შემბოჭავს ხოლმე. იმასაც ვფიქრობ, მთელი ცხოვრება უქმად ხომ არ მინაყია-მეთქი წყალი".

მე არა მგონია, რომ ეს ან მსგავსი მოთხრობები რამეს აშკარად აშავებდნენ. ზედაპირულობა მათ მართალია ჭეშმარიტ მწერლობასთან კავშირებს უსუსტებს, მაგრამ სამაგიეროდ გარკვეული დონის, პირდაპირ თუ ვიტყვით, არცთუ მაღალი დონის მკითხველებთან უძლიერებს იმავ კავშირებს. ამგვარ მწერლობას თავისი მრავალრიცხოვანი მკითხველი ჰყავს და რაკი მისი სათქმელი სადი და სარგოა, იგი თავის საქმეს ასე თუ ისე ასრულებს კიდეც.

ეს მით უმეტეს როლამ ჩაჩანიძის ახალ მოთხრობებზე ითქმის, რომლებიც შორეული მოგზაურობით არის შთაგონებული. მწერალმა რამდენჯერმე დაჰყო ხანგრძლივად საზღვარგარეთ

მომუშავე თევზსაჭერ გემებზე, მსოფლიოს ბევრი კუთხე მოიარა და ახლა იმკის ამის შემოქმედებით ნაყოფს. ამგვარ ლიტერატურას, მოგეხსენებათ, მკითხველი ეტანება და ალბათ არც როდამ ჩაჩანიძის მოთხრობებს აკლია ყურადღება. მაგრამ წარმატების ეს იოლი გზა გაიოლებული ცხოვრებისაკენ არ უნდა უბიძგებდეს მწერალს. ამგვარი ნაწარმოებებით, რომელთაც მკითხველთა ფართო აუდიტორია ჰყავს, მწერალმა სწორედაც მეტის თქმა და ზემოქმედება უნდა მოახერხოს შემეცნებითი თვალსაზრისითაც და იდეოლოგიურადაც. „სამოგზაურო" ჟანრის თავისთავადი პოპულარობის იმედით კი ზოგი საერთოდ სერიოზულად აღარც იწუხებს თავს. მე მგონი ასე დაემართა როდამ ჩაჩანიძესაც, ვისგანაც უკეთეს მოთხრობებს ველოდით.

სანიმუშოდ ერთი მოთხრობა „ჟამი მიმწუხრისა" ავიღოთ და ცოტა გულდასმით ჩავიხედოთ მასში.

როდესაც მწერალი სხვა ქვეყანაზე და სხვა ხალხზე წერს, რაღაც არსებითი უნდა გვითხრას მათზე და მათთან დაკავშირებით კიდევ რაიმეზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედების სხვაგან გადატანას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ბიელას „ლადარივით დაჭირხლულ" რიჟრაჟს, „ნაცრისფერი კანიონების უზარმაზარი რკალს" და სხვა ამისთანა გასაკვირვებლად ნათქვამ ფრაზებს აზრი ნაკლებ აქვთ, რადგან კანტი-კუნტად წამოსროლილნი არც პორტისა და მისი შემოგარენის პეიზაჟს გვისურათებენ სრულად და ნათლად, არც სხვა რაიმე განსაკუთრებული ფუნქცია გააჩნიათ.

სხვაზე წერა მეტ ტაქტსაც მოითხოვს. მწერალი აშკარად სიმპატიურად არის განწყობილი ჩერნოგორიელებისადმი, მაგრამ ის თითქოს მსუბუქი და შინაურული ტონი, თავიდან რომ აიღო, მაშინვე მცდარი იყო, მერე კი დაუდევრად წერის გამო სულ უფრო ნაკლებ მისაღები გახდა.

იქაური ლოცმანი, მიშო, ვისაც ჩერნოგორიელთაგან პირველს შეხვდნენ, დათვივით დაბაჯბაჯებდა, ჯერ კონიაკითა და შამპანურით გაიჭყიპა, გემი მერე შეიყვანა ნავსადგურში; ნავსაბმელთან მეორე ჩერნოგორიელი შემოხვდათ, „ჩვენი საკვამურივით გაბერილი კაცი" გამოეცხადათ, „ძლივს ამოზოზინდა", „როგორც იყო ამოლოლდა გემბანზე".

ბოლოს ამ მოთხრობის მთავარი ფიგურაც გამოჩნდება — ძველი კაპიტანი კარლ შტუტბერგენი. „გამოფრუტუნდა მოჩვენებასავით ეს გალეული მოხუცი" — გვეტყვის მწერალი და თუმცა იქვე „ცეროდენა ჩარლის" შეადარებს თავის გმირს (ეტყობა ჩაპლინს. რას იზამ, უნდა მიხვდე, რაკი ავტორი ასე ფამილარულად მოიხსენიებს), ეს საქმეს დიდად ვერ შველის, რადგან მოხუცი კარლი უკვე მარტო გარეგნულად კი არ გვაკვირვებს, და არც იმდენად თავისი უცნაური ცხოვრების წესით, რამდენადაც „შვილის წილი ტანჯვის" თავიდან აცილების საკუთარი ფილოსოფიით და ასეთი განზოგადებით:

„ძალიან ძნელია სხვისი ტანჯვისა და ტკივილების გაზიარება. ყოველთვის გავურბოდი და სწორედ ამიტომ არც ცოლქმრობისა მწამდა არაფერი და არც მამულიშვილობისა".

ხედავთ საქმე სადამდე მივიდა, ცოლქმრობას ვილა დაეძებს, თურმე მამულიშვილობაც უსარგებლო და ზედმეტი ბარგი ყოფილა კარლ შტუტბერგენისათვის. რატომ მიაწერს ამას მწერალი მაინცდამაინც იუგოსლაველ კაცს, გაუგებარია (აბა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ასეთ რამეს ქართველი ამბობდეს იუგოსლაველი მწერლის მოთხრობაში. მოგვეწონება განა?). მეორეც, იმ კაცისადმი რა სიმპათიებზე შეიძლება ლაპარაკი, ვისაც „მამულიშვილობისა" არაფერი სწამს. მესამეც, ამგვარ მრწამსს ჩაღრმავება თუ არა, რაღაც რეაქცია მაინც ხომ სჭირდება მწერლისა. არაფერი ამის მსგავსი არ ხდება. კაპიტანთან სტუმრად მისულ მწერალს, შეიძლება ითქვას, არც კი ესმის მისი ეს ფრაზა, რადგან როდამ ჩაჩანიძე უფრო ხშირად „კაზმულსიტყვაობის" ეშხით თვითონაც ბევრ რამეს ამბობს დაუფიქრებლად ამ მოთხრობაში და სხვასაც ათქმევინებს.

ასე მაგალითად, რატომღაც დარწმუნებულია მწერალი, რომ „სახუმარო ამბებს ხომ მაშინ აქვს მადლი, როცა მომყოლიცა და მსმენელიც მთლად დალაგებულ ჭკუაზე არ არიან". მრავალმნიშვნელოვნობის პრეტენზიითა და ბანალურობით არის აღბეჭდილი მწერლისა და ანა ბორისოვნას საუბარი (გემის კაპიტნის პირველი თანაშემწე და მწერალი რომ ერთი პიროვნებაა, ეს ბიოგრაფიულადაც ვიცით და მოთხრობიდანაც ასე გამოდის).

ავტორი ნათქვამისადმი უკონტროლობას ყველაზე მეტად კარლ შტუტბერგენთან ვიზიტის ეპიზოდში ამჟღავნებს. კაპიტანი შტუტბერგენი მართალია 87 წლისაა და უკვე კარგა ხანია აღარ ცურავს, მაგრამ მაინც გასაკვირზე მეტია, რაც მან მოასწრო. „ათი ათასი ხის" შესანიშნავი ბაღნარი გაუშენებია საკუთარი ხელით. ნერგები საიდან არ მოუტანია და „ყველა ქვეყნის ხე" ერთად გაუხარებია ჩერნოგორიაში. ბაღნარში სახლი აუშენებია, უფრო სწორად, გამოუთლია ქვის დიდი გემი. გემის კორპუსი ერთი მთლიანი ქვისაგანაა გამოკვეთილი. გემს აქვს თავისი აივნები, წინა და უკანა ერდოები, ფორშტევენი, კაიუტები, სამსართულიანი კოშკი და კიდევ სხვა უამრავი რამ. ერთი სიტყვით, ეს მთლიანი ქვისაგან გამოთლილი საოცრება ნამდვილი საოკეანო გემია. თანაც უნიკალური კოლექციების მუზეუმია აქ გამართული. ხუთასი ცეცხლმსროლელი იარაღი, მოყოლებული უძველესი საუკუნეების ნიმუშებიდან, ინახება აქ. ცალკეა ხმლებისა და დაშნების გამოფენა. კიდევ ცალკე — კართაგენის ნაპრი-

ბიდან ამოღებული ამფორებისა. ეს კიდევ არაფერი, 365 გემის სხვადასხვა მაკეტი აქვს ხისაგან გამოჭრილი საკუთარი ხელით. რამდენი დღეცაა წელიწადშიო — განმარტავს კაპიტანი. დღეების რაოდენობას რა მნიშვნელობა აქვს მაკეტებისათვის, ეს მწერლისა და მისი გმირის საიდუმლოებად რჩება, რადგან ამის მიხვედრა შეუძლებელია. ამის შემდეგ მუნდირებისა და ჩინ-მედლების უნიკალური კოლექციაც კი, რომელიც სხვათაშორის აქვს კაპიტანს, უკვე აღარავის აკვირვებს.

კალამს პატრონობა უნდა, თორემ თუ გაგექცა, საოცრებებამდე მიგიყვანს, უზუსტობებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ამ მოთხრობას კი არც ერთი აკლია და არც მეორე.

„გემის წარწერა რომ წავიკითხე, ისევ ხიდურზე დავბრუნდი. მაშინვე იმ იუგოსლაველს მივვარდი“, — გვიყვება კაპიტნის თანაშემწე. იგი გემის წარწერამ გააკვირვა და აალელვა. ამიტომ თავიდანვე მაღალი ტემპი უნდა აეღო და არა ასეთი: ხიდურზე დაბრუნდა (მშვიდი მდგომარეობა) და მერე მივარდა (აღელვების, მოუთმენლობის გამოხატვა).

„მილებზე და რკინებზე ლაქლაქით ენა რომ მოვიფხანეთ, მე ვკითხე, ექსკურსიების საქმე როგორღა იქნება-მეთქი“, — ეს კაპიტნის თანაშემწის ტექსტია. ნავმისადგომში რომ კაცი ძლივს ამოღოღდა, გვარად ღრიგა, სამუშაოთა მწარმოებელი აღმოჩნდა, ვინც გემის რემონტს უნდა უხელმძღვანელოს. „მაშინვე საქმეში ჩავერთვეო“ — ამასაც გვეტყვის თანაშემწე. მილებზე და რკინებზე ლაქლაქით ენის მოფხანა, თურმე ამ დიდად საქმიან საუბარს გულისხმობს, და არა მართლაც ენის ფხანას, რაც უფრო ჭორიკანა ქალების საუბარს უხდება და აქ კი სავსებით უადგილოდ არის ნახმარი. უადგილოა, მაგრამ სამაგიეროდ მწერალს მოსწონს ასე თავისუფლად მეტყველება. თავისუფლად და დაუდევრად.

ამ დაუდევრობის გამოა, რომ აღარც გმირი გამოვიდა საინტერესო, აღარც სხვა პერსონაჟები. სტილიც აღრეული და ეკლექტურია — ხან მაღალფარდოვანი, ხანაც ნატურალისტური. მოგზაურობას და თავგადასავალს თავის მიმზიდველობა აქვს, მაგრამ არც იმდენად თავისთავადი და უეჭველი, რომ მარტო ამის იმედით დარჩეს მთხრობელი.

* * *

შეიძლება ისეც მოეჩვენოს ვინმეს, რომ მე იმედიანად დავიწყე საუბარი დღევანდელ ქართულ მოთხრობაზე და მერე სხვა, ნაღვლიანი კილო შემეპარა თითქოს. არა მგონია ასე იყოს. უბრალოდ მინდოდა მეთქვა, რომ იმ მრავალრიცხოვან მოთხრობებსაც კი, რომლებიც საშუალო დონეს ვერ სცილდებიან, თავისი სათქმელი მიაქვთ მკითხველამდე, ამდენად აქვთ გამართლება და მათდამი ჩვენი დამოკიდებულება შემწყნარებლური უნდა იყოს მანამ, სანამ ისინი მეტის პრეტენზიას არ განაცხადებენ და დაბრკოლებად არ იქცევიან ჭეშმარიტი მწერლობისათვის.

ამის შემდეგ კიდევ უფრო გასაგები იქნება ჩემი გულწრფელი დამოკიდებულება იმ არაორდინალური, გამორჩეული, მაღალი პროფესიულობითა და ნიჭიერებით აღბეჭდილი მოთხრობებისადმი, რისი ნიმუშები გასულ წელს საკმაოდ დაიბეჭდა. თუმცა ეს არ შემბორკავს და არ მაიძულებს თავი ავარიდო შენიშვნებს მათ შესახებ.

მინდოდა, როგორადაც კი შეიძლებოდა, შემომეფარგლა წერილის მასალა. ამიტომ გადაწყვეტილი მქონდა მხოლოდ თანამედროვეობისადმი მიძღვნილი მოთხრობები განმეხილა, ისტორიულზე ხელი ამეღო. მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან გასულ წელს დაიბეჭდა ისეთი მშვენიერი ისტორიული მოთხრობები, რომელთა გვერდის ავლა ყოვლად გაუმართლებელი და უპატიებელი შეცდომა იქნებოდა. ეს, პირველ რიგში, აკაკი გაწერელიას მოთხრობებია: „ორეული“ და „ნაზარის უკანასკნელი ლოცვა“ („ცისკარი“, № 11).

აკაკი გაწერელიამ, ამ შესანიშნავმა მწერალმა და მკვლევარმა ქართულ ლიტერატურას მრავალმხრივ დასდო ამაგი. კერძოდ, მისი ისტორიული თხზულებები შამილზე და იმ ეპოქაზე ქართული პროზის ერთ-ერთი მშვენიერი ფურცელია. ახლა კიდევ ორი ისტორიული მოთხრობა შემოგვთავაზა აკაკი გაწერელიამ. მოთხრობები განსხვავებულია ეპოქებისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით, მაგრამ მათ ის აერთიანებთ, რომ კლასიკური ნიმუშების მსგავსად ორთავეს, აზრის სიღრმესთან და ემოციურ მუხტთან ერთად, ახასიათებს მკაცრი სიუჟეტური დასრულებულობა, მხატვრული სისადავე და სინატიფე.

შამილის ვაჟი მუჰამედ-შაფი მდუმარედ ატარებდა თავის დიდ დარდს. მხოლოდ ერთხელ წამოსცდება, როცა გაიგებს ბისმარკი მეკავშირეებს როგორ იკრებდა ნაპოლეონ მესამესთან ომის დროს, ისიც თავისთვის ჩაილაპარაკებს ხუსტი და ნაღვლიანი ხმით: „მამაჩემი ოცდახუთი წელიწადი ეომებოდა მთელს დუნიაზე ყველაზე ძლიერ იმპერიას და არც ერთხელ არავინ დამხმარებია!“

მუჰამედ-შაფიმ ამაყად აიტანა ყველა ტანჯვა და სიმძიმე, მისი ხალხისაც და საკუთარიც, მაგრამ სახელის შერყვნას, ვინაობის მიტაცებას და ლაფში ამოსვრას ვერავის აპატიებდა. ვერც იმ სულმოკლე სალახანას აპატია, პარიზელი საზოგადოების წინაშე შამილის მემკვიდრეს, მთიელ კეთილშობილ რაინდს უჯიშო და ულაზათო, თვალებგადმოკარკლულ ველურად რომ ანსახიერებდა და ასე შოულობდა ფულს. გარეგნულად დაოკებული, მაგრამ უშელავათო რისხვის განსახიერებაა ბინძურ ორეულს გადა-

ყრილი შამილის ზვიადი მემკვიდრე. თავისთავადაც ნათელია და მნიშვნელოვანი ამ მოთხრობაში ჩადებული სათქმელი მწერლისა, მაგრამ იგი დასასრულ მაინც სთავაზობს მკითხველს საგულისხმო შეგონებას, რომელშიც ეს კერძო ამბავი უზოგადეს გაფრთხილებად, მარადიულ სიბრძნედ ისმის:

„მთვარის ქვეშ არაფერია ახალი. მაინც, სასაცილო და საძრახისია, როცა ვინმე თვითმარქვია მიითვისებული ან ნაქურდალი ორდენით იმშვენებს გულმკერდს, ან შეუფერებელ თავზე იდგამს გმირის ჯილას!

არც ყალბი გარდერობით გასტროლიორობა მართებთ მავანთა და მავანთ. ყველას როდი ხელეწიფება მირონცხებულთა ბატის ფრთის ხელთ პყრობა, თვალთა პატრონთაგან შემკული გვირგვინი, ხმალი, პორფირი და ბისონი!“

ღრმა ფსიქოლოგიური დუელის მოწამენი ვხდებით „ნაზარის უკანასკნელ ლოცვაში“. უნდა ითქვას, რომ ეს მოთხრობა მართლაც ბრწყინვალედაა დაწერილი, ხოლო პოლკოვნიკ ნიჟარაძის და მღვდელმთავარ ნაზარის პორტრეტები კლასიკური რელიეფურობითა და სისრულითაა გამოკვეთილი. აკაკი გაწერელია ვიზუალურადაც ბეჯითად, დიდი სიზუსტით წარმოგვიდგენს ორთავეს. იმასაც კი ვხედავთ, თუ როგორ უთრთის პოლკოვნიკს ლაწვის ზემოთა კიდური, ან რა კონტად აქვს მღვდელმთავარს დაწნული კეფასთან თმა. მაგრამ კიდევ უფრო მეტი დაკვირვებით და სიღრმით არის დანახული მათი სულიერი ხატი და აქ მწერლის მხატვრული სიტყვის ძალა განუზომელია. აი ერთი, თითქოს სხვათაშორის მინიშნებული, მაგრამ უაღრესად ნიშანდობლივი შტრიხი უთვისტომოდ ქცეული ავანტიურისტის, ნიჟარაძის დასახასიათებლად:

„ეს კაცი ჩინებულ მოქალაქედ და დახვეწილი ასოციაციებით მოსაუბრე ოფიცრად ითვლებოდა. ძალიან დიდი ხნის წინ კი დაეტოვებინა იმერეთის მხარე და რუსეთში გადახვეწილა, ქართული მაინც არ დავიწყნია სატახტოში მოსწავლე თანამოძმეებთან ურთიერთობის მეშვეობით. თავის ნახევარ ცოდნას ოსტატურად იყენებდა...“

ამ ბოლო მოკლე წინადადებით ყოველი დროის ცივილიზებულ უთვისტომოთა ჯილაგია ზუსტად და სარკაზმით დანახული.

„ნაზარის უკანასკნელ ლოცვაში“ ტირანი და ტირანიზირებული, ჯალათი და მსხვერპლი დგანან ერთმანეთის წინაშე. დგანან პირისპირ და მარტონი. ამგვარ სიტუაციებსა და ხასიათებზე უამრავი რამ არის შექმნილი მსოფლიო მწერლობაში, არაერთი კლასიკური ნაწარმოებია დაწერილი. მათი გახსენებაც კი შორს წაგვიყვანს. ამიტომ მით უფრო ძნელი ამოცანის წინაშე იდგა მწერალი. მაგრამ ინტერესი მოთხრობისადმი მხოლოდ იმით არ აიხსნება, რომ აქ განუმეორებელი ისტორიული ფონი უდევს ხასიათთა დაპირისპირებას, თავად ხასიათები კი ღრმად ეროვნულია. იქნებ ესეც საკმარისი ყოფილიყო ისეთი მშვენიერი მთხრობელისათვის, როგორიცაა აკაკი გაწერელია, მაგრამ მან კიდევ მეტი ძალა და მნიშვნელობა მიანიჭა ნაწარმოებს.

არა, არც დახვეწილი არისტოკრატის და ულმობელი ტირანის ერთ სახეში შერწყმაა ამ მოთხრობისათვის ორიგინალურობისა და მხატვრული ღირსების მთავარი წყარო. უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი აქ ის გახლავთ, რომ მწერალმა ტირანიის და ჰუმანიზმის დაპირისპირებას აქ პათეტიკური ტონი და თეატრალური პოზა კი არ მისცა, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, როცა კაცთმოძულე ბოროტებას მართალი კაცის სიამაყეს და რწმენას, ან ფანატიზმს თუ სხვა რამეს უპირისპირებენ კატეგორიულად და გამომწვევად, არამედ მან ყოველივე ამის ადამიანური, ყოფითი გამოხატულება არჩია.

ნიჟარაძის განთქმული ულმობელი ლოგიკა და საშიში დემაგოგიაც თანდათან ჩაიფუშა და გაქრა ნაზარის ყოველგვარ პათეტიკას მოკლებულ, ჩვეულებრივ სიტყვებთან შეჯახებისას. დიახ, სწორედ ასე ლაპარაკობდა მღვდელმთავარი ადამიანურ სიკეთეზე, ურთიერთთანადგომობასა და თანაგრძნობაზე, ასე უპირისპირებდა ნიჟარაძის რკინისებურ ლოგიკას ადამიანურ გრძნობასა და სიყვარულის მოთხოვნილებას.

ნიჟარაძისა და ნაზარის გრძელი დიალოგი მხატვრული პოლემიკის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია, გაუნელებელი ინტერესით იკითხება. ორი დაპირისპირებული კონცეფციის სიმძაფრეს კიდევ უფრო ამწვავებს მოპაექრეთა ძველი ბიოგრაფიული კავშირები, რისი ხსოვნა — არხსოვნის ეჭვი და ცნობისწადილი მოსვენებას არ აძლევს ნიჟარაძეს. პოლკოვნიკი გრძნობს, რომ სულ უფრო ჰკარგავს მისთვის აქამდე მყარ ლოგიკურ საყრდენებს და ცდილობს მღვდელმთავარი დემაგოგიის ანკესზე წამოაგოს, მაგრამ ნაზარის არგუმენტაცია მწყობრ თვალსაზრისზე მეტად ადამიანურ გულისთქმას ემყარება.

მოთხრობის ფინალში აკაკი გაწერელია კიდევ ერთხელ გვანცვიფრებს იმით, რომ თანაბრად ძლიერად წარმოგვიდგება როგორც ანალიტიკოსი, ფსიქოლოგი და მხატვარი.

ნიჟარაძე მხოლოდ აქ, სხვათა საფლავის წინ იგრძნობს საკუთარ ყოველმხრივ მარცხს. აქ მას ნატამალიც კი აღარ შერჩენია იმ სარკასტული სისასტიკისა, თავდაჯერებული ჯალათის ირონიით შეფერილი სიამაყისა, როცა მისგანვე განწირულ პატიმრებს რაინდული სიმტკიცისაკენ მოუწოდებდა, რომ დასახვრეტად გარეკილთ სალორიის ტყემლე ხშის ამოუღებლად ევლოთ და არ ეყვირათ, ხალხისათვის ძილი არ დაეფრთხოთ. ხალხის ნებიერი ძილი რომ არ აწუხებდა და აფიქრებდა, ამას არც ნიღბავდა, უბრალოდ, თავის ირონიას და საკუთარ სიმტ-

კიცეს უჩვენებდა პატიმრებს, მათგან კი სულმდაბლობას თუ აღარ, შიშის გამოვლენას მაინც ელოდა.

ყველა სიკვდილმისჯილი პატიმარი და მათ შორის ნაზარიც ბოლომდე ინარჩუნებს ნებისყოფის სიმტკიცეს და სულიერ წონასწორობას, ამით ამარცხებენ რაფინირებულ, არისტოკრატ, დაუსჯელობით და ძალაუფლებით განებივრებულ ჯალათს. ხოლო მორალურად გამარჯვებული ნაზარი ზვიადად თავამართული კი არ შეჰყურებს შემკრთალ, წაბარბაცებულ ნიჟარაძეს, არამედ თითქოს ყოფით წვრილმან საქმეზე მიეშურებოდეს, ისე ფაცი-ფუცით ჩადის ანაფორაგაშლილი ფერდობზე, საკუთარი სამარისაკენ. ტირანიაზე სულიერად გამარჯვებულ მსხვერპლთა მრავალი სახე და პოზა გვახსოვს ჩვენ, მაგრამ ამგვარი ყოფითი, ადამიანური, ამდენად გულისამაჩუყებელი და მომხიბლავი გამომეტყველება, როგორიც ნაზარს აქვს, აკაკი გაწერელიას ამ მშვენიერ მოთხრობაში ვიხილეთ.

ქართულ ისტორიულ მოთხრობას კიდევ ერთი ღრმად მხატვრული, საინტერესო ნაწარმოები შეემატა გივი მაღულარიას „ღეხპანის" („ცისკარი", № 7), სახით. მწერლის ნიჭი და ოსტატობა კარგა ხანია ცნობილია, ამდენად „ღეხპანი" მოულოდნელი არ არის მკითხველისათვის; ასე სავსედ, ცოცხლად, ღრმად დანახული და დახატული ძველი ისტორიული, მეთვრამეტე საუკუნის თბილისი, მე მგონი, ვრცელ მხატვრულ ტილოებშიც კი იშვიათად თუ შეგვხვედრია. არჩილისათვის, მეფის ძისა და საქართველოს ერთიანობის იდეით შთაგონებული მამულიშვილისათვის, შეურაცხმყოფელია თბილისის აღმოსავლურ-მაჰმადიანური იერი. არჩილს ჯერ მისი მოსახლეობის სიჭრელე ეცემა ხიწვივით თვალში, მერე კი ამ ჭრელი ბრბოს უსამშობლოობა.

მწარედ ენიშნება ირაკლის დროშის ქვეშ გახაერთიანებლად ჩამოსულ უფლისწულს, რომ მეფის სასახლისათვისაც კი აღმოსავლური იერი ჯერაც ვერ მოუცილებიათ და მისი ნიშნებიდან ვერც გამაჰმადიანებული როსტომ მეფის დროიდან შემორჩენილი სუნი განუდევნიათ.

ქალაქის ამ გარეგნულ იერს იქით მწერალი არჩილის თვალით მისი ერის ცხოვრების კიდევ უფრო მძიმე სურათებს ხედავს. ხალხის სულში უნუგეშობა, ეჭვი დაბუდებულა, აღარავის სჯეროდა, რომ „საუკუნეობით აშლილი ცხოვრება უსისხლოდ დალაგდებოდა.. დაუბრუნდებოდა ქვეყანას ის ნდობა და სიყვარული, რომელიც დრომ თუ სივრცემ დაითრია და... სხვა ხალხებს გადაუყარა საკენკად".

ამ საყოველთაო უნდობლობას არჩილის ირგვლივ უკვე მოესწრო და ორიოდ დღეში შეეკრა წრე, უკვე რაღაცაში დაედანაშაულებინა იგი. არჩილთან ერთად ჩვენც მწარე სინამდვილეს ვხედავთ: ორმოც მოციქულთა კვლავაც დანგრეულ ეკლესიას, რის „თლილსა და გრილ ქვებს ჯერ კიდევ აბო თბილელის მოწამეობის სითბო ახსოვდა", სასახლის კარის ანგარებულობას და ინტრიგებს, „შენილბულთა" შეჯავშნულობას, მარჯვედ დაგებულ ხლართებს, შურს, გაიძვერობას, ქვეგამხედველობას, მზაკვრობას...

„აქ, ამ გაუცხოებულ სამყაროში, აღარავის სჯეროდა, რომ ერთმანეთისადმი კეთილი განწყობა, მათი მომავალი ურთიერთობა მათივე სურვილზე და მონდომებაზე იყო დამოკიდებული. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ქვეყნისა და მეფის კარის საქმეებს უცხო, უხილავი ძალა განაგებდა და ამ ძალას ვერავინ აღუდგებოდა წინ, ვერავინ შეაცვლევინებდა ზნესა და ხასიათს".

მაგრამ სინამდვილეში იყო ისეთი ეროვნული ძალა, რომელიც არჩილივით ვერ შეეგუებოდა საკუთარ მიწა-წყალზე მტრების დაუსჯელად ფარფაშს, ვერ განუდგებოდა ხალხსა და ცხოვრებას განზე, ვისაც ჭაბუა ორბელიანივით სწამდა მწარე სიბრძნე, რომ „სუსტი, სამოწყალოდ ხელგაწვდილი კაცი თუ ერი არავის უყვარს, ასეთებს ან სპობენ, ან იმორჩილებენ".

არჩილის ნასროლი ტყვია, მინარეთიდან თბილისის თავზე ავად გამკივანი მუეძინი რომ ქვაფენილზე დაანარცხა, მარტო წამიერი შურისგების მოციქულად კი არ გვეჩვენება, არამედ მაჰმადიანური სამყაროს წინააღმდეგ საბოლოო ლაშქრობის დასაწყისად. იქნებ უფრო მნიშვნელოვანი სიმბოლური აზრის შემცველიც იყოს იგი და ქართველი კაცის ეროვნულ შეუდრეკელობასაც ნიშნავდეს.

* * *

გასულ წელს, როგორც ვთქვი, საკმაოდ ბევრი საინტერესო მოთხრობა გამოქვეყნდა. ყველას სათითაოდ განხილვა, ცხადია, არ მოხერხდება ასეთ შემთხვევაში, როცა მიმოხილვა კეთდება, ჯერ რაღაც პრინციპით დააჯგუფებენ ხოლმე მათ და მერე იწყებენ ანალიზს საერთო ნიშნების მიხედვით. დაჯგუფების სხვადასხვა პრინციპებია ცნობილი, უფრო ხშირად თემატიკურს ირჩევენ. მე სხვა ნიშნის მიხედვით დავაჯგუფებ. შეიძლება უჩვეული, გაუმართლებელიც. იქნებ მცდარიც გეჩვენოთ ჩემი პრინციპი, მაგრამ მე მაინც მას შემოგთავაზებთ, რადგან ამ უკანასკნელ ხანს აშკარად გამოიკვეთა ეს ორი ტენდენცია ქართულ მოთხრობაში და, ვფიქრობ, მას ამ თვალსაზრისითაც უნდა ჩაკვირვება.

მაშ ასე, გასული წლის მოთხრობებს ორად გავყოფ — „რთულ" და „ნათელ" მოთხრობებად. არ გეგონოთ „რთული" მოთხრობები სიმარტივით არა სცოდავდნენ, ან კიდევ „ნათელთ" ღრმა და მნიშვნელოვანი, თუნდაც რთული პრობლემები და ხასიათები აკლდეთ. ამ შემთხვევაში „რთული" და „ნათელი"

სტილს, მხატვრული აზროვნების და თხრობის სტილს გულისხმობს.

ამას უფრო იმიტომაც უნდა ჩაკვირვება, რომ ახალგაზრდობისათვის ძალზე მაცდუნებელ ორიენტირად იქცა ევროპეიზირებული ინტელექტუალური პროზა, რომლის სინონიმადაც „რთული" არ გამოდგება, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ემთხვევა მას, ან ესწრაფვის ამ დამთხვევას.

როდესაც ახალგაზრდობის, უფრო სწორად, ახალბედების პირველ ნაწარმოებებში იგრძნობა „სირთულის" წადილი და წვალება ასოციაციური მხატვრული აზროვნების ნაყოფის შესაკოწიწებლად, მე მუდამ ერთი ანალოგია მახსენდება. ეს იმას ჰგავს, როცა ზოგნი მხატვრობას პირდაპირ უკიდურესი მოდერნიზმით იწყებენ ისე, რომ ჯერ ანა-ბანაც არ იციან და ნატურიდან უბრალო საგანს ვერ გადახატავენ. ვიდრე კლასიკურ სტილს და პროპორციებს დაარღვევდე, ჯერ უნდა დაეუფლო მათ. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ახლის გაკვალვა და შექმნა. ასეა მწერლობაშიც. ჯერ უნდა კარგად გაიწაფო დალაგებულ თხრობაში, რომ მერე ძალად დაქუცმაცებულის და გადანაცვლებულის თავმოყრა შესძლო. ჯერ უნდა შეისისხლხორცო სიუჟეტის გრძნობა, ჩასწვდე მის საიდუმლოებას და მნიშვნელობას, რომ მერე შენი ევროპეიზირებული „უსიუჟეტო" პროზა რაღაც ამორფულ მასას კი არ დაემსგავსოს, არამედ სწორედ მკაცრი მხატვრული ლოგიკით აგებულ ნაწარმოებს. პროპორციების დარღვევაზე, პროზის დაქუცმაცებაზე, სიუჟეტის უარყოფაზე, სტილის გართულებასა და გაბუნდოვანებაზე ადვილი არაფერია, მაგრამ აქედან რომ რაიმე საინტერესო გამოვიდეს, ეს უკიდურესად ძნელი მისაღწევი საქმეა, რასაც მარტო დიდი ნიჭიც კი არ ეყოფა და მასთან ერთად დიდი გამოცდილების შეძენაც სჭირდება.

კიდევ უფრო გულსატკენია, როცა ამგვარი ნაადრევი და ნაჩქარევი სწრაფვა ხელოვნური გართულებისაკენ მართლაც ნიჭიერი და იმედისმომცემი ახალგაზრდა მწერლის ნაწერებში იჩენს მეტ-ნაკლებად თავს.

ზაურ კალანდიას უკვე ვიცნობთ „ცისკრის" მკითხველები და ჩვენი იმედები, დაკავშირებული ამ ახალგაზრდა პროზაიკოსთან, არ არის ილუზორული, მათ რეალური საფუძველი გააჩნიათ. ამიტომაც გულწრფელად მინდა ვუთხრა, რომ ეგებ ამ თვალსაზრისით, რაზეც მე ახლა მქონდა საუბარი, არც მას აწყენდეს ჩაფიქრება. მისი ახალი მოთხრობა „სხვა სახელი..." („ცისკარი", №7) ასე იწყება: „...საწოლზე, სად მიწის გრძელი და უფორმო კუზი იყო გაწოლილი (აქაურები გორაკს ეძახდნენ), მოულოდნელად კაცის შავი, აწოწილი სილუეტი გამოჩნდა".

ბევრი ვიფიქრე, ვეძებე კიდეც მოთხრობაში ამ ფრაზის ასეთნაირი აგების აუცილებლობის, ან გასამართლებელი მიზეზი, თუნდაც საბაბი მაინც, მაგრამ ვერ მივაგენი და დავასკვენი, რომ ეს მხოლოდ ჩვენი, მკითხველის გასაკვირვებლად არის მოფიქრებული. აქაურები გორაკს ეძახდნენო, თვითონვე განგვიმარტა ავტორმა და რა უშავდა მასაც რომ ასე ქრისტიანულად ეწოდებინა საწოლზე გაწოლილი მიწის გრძელი და უფორმო კუზისათვის. მაგრამ არა, ახალგაზრდა მწერალს უნდა პირველივე ფრაზით მოახდინოს ჩვენზე შთაბეჭდილება, როგორც მისი ტოლები იტყვიან — „თავიდანვე აგვიყვანოს".

ზაურ კალანდიას ამისი ნამდვილი შესაძლებლობაც გააჩნია, საამისო ნიჭი აშკარად აქვს მას, ასე რომ, ხელოვნური და ნაძალადევი საშუალებების მოხმობა არ უნდა სჭირდებოდეს, მითუმეტეს არაფრად გამოადგება. ზაურ კალანდიას პროზას ამგვარი საშიშროება ადრეც ეტყობოდა. ამ მოთხრობაშიც იჩინა მან თავი. ისლა დაგვრჩენია, დაველოდოთ ახლებს და ვიმედოვნებთ, რომ ახალგაზრდა ნიჭიერი მწერალი დაძლევს ამ ნაკლს, უფრო ღრმად და ნათლად გვეტყვის სათქმელს. სინათლე მის მარტო ფრაზას კი არ სჭირდება, არამედ სახეებსაც.

სულ ახლა მოვიდა ქართულ მწერლობაში მარინე წოწკოლაური და ერთბაშად მიიქცია ყურადღება, ხალასი ნიჭით დაწერილი მოთხრობებით. გასულ წელსაც გამოაქვეყნა რამდენიმე ახალი ნაწარმოები. მე მგონი, ხელოვნურად გართულებული თხრობის საშიშროება მის პროზაშიც გამოკრთა და ახალგაზრდა მწერლის სწორედ ყველაზე დიდ ღირსებას — ბუნებრიობას ამით ვაითუ საფრთხე შეექმნას. შეიძლება ეს ნაადრევ განგაშად მოეჩვენოს ვინმეს. მაინც ნაკლებსაფუძვლიანი ნაადრევი განგაში ჯობია მეტადსაფუძვლიანს და ნაგვიანევს. მართლაც, „მნათობში" (№ 7) დაბეჭდილი მოთხრობები „ტყისმცველი" და „თეკლე-დამლაგებელი" მარინე წოწკოლაურის სტილშია დაწერილი, ნათელი ხედვით და ნათელი ფრაზით. მაგრამ იქვეა მისი კიდევ ერთი მოთხრობა „დასასრული და... დასაწყისი", რომელმაც აღმიძრა ეჭვები.

„ცისკრის" (№ 2) ფურცლებზე დაიბეჭდა კიდევ ერთი მოთხრობა მარინე წოწკოლაურისა — „ცისფერი ოცნება". ძალიან კარგი მოთხრობაა. სულ ერთი გვერდია ჟურნალისა, მაგრამ არა მარტო დაძაბული სიტუაციაა ახსნილი, არამედ ქალ-ვაჟის ხასიათებიცაა გახსნილი. მართლაც რომ მშვენიერი მოთხრობაა. მას ეხმიანება „დასასრული და... დასაწყისი". ისეთი შთაბეჭდილება კი შეიძლება შეგვექმნეთ, რომ ის მშვენიერი მოთხრობა, ადრე დაბეჭდილი „ცისკარში", ავტორმა აქ გააგრძელა და განავრცოო, განავრცო და გააფუჭაო. რამდენადაც ცოცხალი და მართალია ხასიათები „ცისფერ ოცნებაში", იმდენად ხელოვნური და პოზიორულია „დასასრულ და... დასაწყისში", რამდენა-

დაც ბუნებრივია ყოველი ფრაზა და სიტყვაც კი პირველ მოთხრობაში, იმდენად ყალბია მეორეში.

...იწვა სიცხისაგან გათანგული ვაჟი უბრალო, რკინის, ალაგ-ალაგ სალებავგადაცლილ საწოლში და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ დიდი უნამუსო და მამაძაღლი კაცი იყო, პატარა ქალს რომ ასე უსინდისოდ ექცეოდა...

...იჯდა ხის, ოდესღაც თეთრად შეღებილ, ეხლა უკვე ჭუჭყისფრად მოქცეულ, ჭიისაგან გამოხრულ ფეხებიან, მოტორიკავე ტაბურეტზე პატარა ქალი და ცისფერი, ფერმკრთალი ძარღვებით ახლართული, ცერებაშვერილი, ხელისგულებით ერთმანეთზე მიწებებული ხელები მჭიდროდ მიტყუპებულ გალეულ მუხლებს შუა ჩაეწყო. წინ ჩამოშლილი თმის ქვემოდან ჩაძვის წიწვისფერი თვალებით უხმოდ ათვალიერებდა ვაჟს და უკვირდა, რომ ქვეყანაზე იმდენი კარგი კაცი იყო და მაინც და მაინც ეს უნამუსო და მამაძაღლი ბიჭი შეუყვარდა".

ასე იწყება „ცისფერი ოცნება" და მომდევნო სულ კიდევ რამდენიმე ფრაზაში, ასეთსავე სადასა და უბრალოში, ბიჭისა და გოგოს ნამდვილი, რთული, ადამიანური ურთიერთობაც სავსებით გაირკვევა.

ასევე „აყაყული" ტანის ბიჭზე და „ტანმორჩილ" გოგოზე, თანაც დაახლოებით იმ მოთხრობის გმირების მსგავს გრძნობებზე და ვნებებზეა დაწერილი „დასასრული და... დასაწყისი", მაგრამ, სამწუხაროდ, ასევე ლაღად და უშუალოდ არც იწყება იგი და არც მთავრდება. ხელოვნურად შეკოწიწებული და ახორხლილი ფრაზებით, დახვავებული შედარებებით და მეტაფორებით იწყება იგი და თანდათან სულ უფრო მეტად მძიმდება, რთულდება, ხელოვნური ხდება არა მარტო სიტყვიერი მასალა, არამედ ისიც, რაც იმით უნდა გამოიხატოს.

„ხახაგაფხროკილს რაღაც ადამიანებისადმი გამოუცნობი შიში აკაწკაწებული კბილებით ჩაგიძეძკავდათ აფართქალებულ ქვედა ტუჩს. სუნთქვაშეკრულნი უხმოდ შეათვალიერებდით ბიჭს თავიდან ფეხებამდე, ფეხებიდან თავამდე. ზიზღი თუ სიბრალული დაგიკეჭნიდათ ლოყებს და აბედივით გაგიხევებდათ ოდნავ დაშორებულ ბაგეებს".

ასეთი რეაქცია გვექნებოდა თურმე ჩვენ იმ „აყაყული" ბიჭის შემხედვარეთ. ჯერ ერთი, რატომ არაფერს მეკითხება ავტორი მე, მკითხველს, როცა მოთხრობის გმირთან ჩემს ასეთ დეტალურ დამოკიდებულებას მომაწერს. მეორეც კიდევ, გამაგებინოს მაინც რას მომაწერს.

ქვემოთ ხელოვნურ, ყალბ ფრაზებს ხელოვნური, ყალბი განცდები ემატება.

ამ მოთხრობაშიც მიხვდება გოგო, რომ ბიჭი ატყუებს და აი რა სიტყვებით გამოხატული რეაქცია მოჰყვება ამას:

„ლამნაშავეები ხშირად ამპარტავნები ხდებიან! — გაიფიქრა გოგომ.

გიჟურმა ხარხარმა გაჰკვეთა გამოღვიძებული სიჩუმე. იყო ამ სიცილში რაღაც საშინელი და ამაზრზენი, ბიჭს ტანზე დაზრიკლა და ძვლებიც კი აუზრიალა...

...და მართლაც რომ სისულელეა, — მოძალებული ცრემლებისაგან ხითხითებდა შისავათებული გოგო, — ვითომ რაო, რა მინდა-მეთქი. რას მოვითხოვ ამ კაცისაგან... საბრალო! სულს იქით თურმე არაფერი აბადია... მაშ, ეს კაცი ყველასაგან უპატრონოდ მიტოვებული, სიცოცხლეჩამკვდარი ციხე-სიმაგრე ყოფილა, დროეამის მნგრეველ მარჯვენას უბრძოლველად რომ მინებებია..."

არა, „დასასრული და... დასაწყისი" არ არის ამ ახალგაზრდა ქალის შემოქმედებითი სტილის და ბუნების გამომხატველი მოთხრობა. იგი მოდისათვის გაღებული ხარკია და ვფიქრობ სავსებით საკმარისია. მეტი არ არის საჭირო.

ხელოვნურად გართულებული თხრობის საშიშროება გამოკრთა მაკა ჯოხაძის მოთხრობაში „გადარჩენილი პეიზაჟი" („მნათობი", № 4). მაკა ჯოხაძეს, ამ ახალგაზრდა მწერალ ქალს, მის მოთხრობებსა და წერილებს კარგა ხანიცაა და კარგადაც ვიცნობთ. იგი უკვე მოთხრობების კრებულის ავტორიცაა. აქამდე შედარებით მცირე მოთხრობებს წერდა. „გადარჩენილი პეიზაჟი" მისი პირველი ვრცელი მოთხრობაა. აქაც ძალზე საინტერესო შემოქმედებითი სამყაროს პატრონად მოგვევლინა და აშკარა გახდა ჩემთვის, რომ მისთვის არც რომანის მასშტაბები იქნება ძნელი დასაძლევი. ამ ახალ მოთხრობაში ავტორმა მისთვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური სიღრმით და ემოციური დაძაბულობით ისეთი ვნებები დაატრიალა, ისეთი დრამატიზმით და ტრაგიზმითაც სავსე ადამიანური ბედიღბლის მოწამენი გაგვხადა, ისეთი მრავალფეროვანი, ტკივილებით სავსე სამყარო გადაგვიშალა თვალწინ, რამაც ალბათ შეუძლებელია ღრმად არ ჩააფიქროს მკითხველი, გულით არ განაცდევინოს ეს ყველაფერი.

ვფიქრობ, არ სჭირდება ამ მოთხრობას ხელოვნური ჩამუქება და თითქოს მრავალმნიშვნელოვანი პასაჟებით დროდადრო შეჯერება მეტი წონის მისანიჭებლად. ეს ტენდენცია მოთხრობაშიც შეინიშნება და მის სათაურშიც სჭვივის. „გადარჩენილი პეიზაჟი", რაც ბავშვობისეულ ხილვებს და სიკეთეს ნიშნავს, ცოტა ლამაზ სათაურად მეჩვენება ამ ღრმა და მტკივნეული სოციალური, ფსიქოლოგიური, ზნეობრივი პრობლემატიკით სავსე მოთხრობისათვის. ისევე როგორც არაორგანულად მიმაჩნია თხრობის ალაგ განზრახ დამძიმებული და გაბუნდოვანებული სტილი. ამ მოთხრობას თავისი საკუთარი და ნამდვილი სიმძიმეც ეყოფოდა სავსებით.

„ლუარსაბს მისი (თანამოსაუბრის, გ. გ.) აზრთაღენის უხილავი ძაფი ერთთავად ხელიდან

უსხლტებოდა და ამიტომ ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს კუნაპეტ ღამეში ხრამის პირას დადიოდა", — გვეტყვის ჯემალ ქარჩხაძე თავის გმირზე. რაღაც დაახლოებით ამგვარი გრძნობა გიჩნდება კაცს, როცა ფილოსოფიური განსჯით დატვირთულ მხატვრულ ნაწარმოებს კითხულობ მაგრამ მაინც არ ეშვება მას, რადგან ისევე როგორც ლუარსაბისათვის, შენთვისაც უაღრესად მნიშვნელოვანია ამ თითქოს მოუხელთებელი აზრის წვდომა. ამ წადილისა და მისი აღსრულების სიძნელის ერთიანობაშია ის მომხიბლაობა, რაც ამგვარ პროზას გააჩნია მაგრამ როცა ნაწარმოებში მხატვრული აზრის სირთულეს კიდევ მისი გამოხატვის ბუნდოვანებაც ემატება, მაშინ მასთან მკითხველის ურთიერთობა ძნელდება და დამოკიდებულებაც ფუჭდება. ეს არ ითქმის ჯემალ ქარჩხაძის ვრცელ მოთხრობაზე „დღე ერთი" („ცისკარი", № 5), თუმცა ამგვარი შიში თავიდან შეიძლება კიდეც შეგეპაროთ მისი კითხვის დროს. მალე აშკარავდება ამგვარი შიშის უსაფუძვლობა, სულ უფრო მეტი ინტერესით გაკითხებთ თავს მოთხრობა და ბოლოს ნათელი ხდება, რომ „დღე ერთი" თანამედროვე ქართული პროზის ერთი კარგი ნიმუში ყოფილა.

მოთხრობაში „დღე ერთი" მოქმედება არა მარტო ერთი დღით არის შემოფარგლული, არამედ ერთი პატარა სააგარაკო ადგილითაც, მაგრამ ასეთ ლოკალურ გარემოში ორი უზარმაზარი კონტრასტული სამყაროა ჩატეული და მათში განსხვავებულად ჩანს მოთხრობის გმირი ლუარსაბ რაზმაძე. ეს სამყაროები მარტო არსით კი არ განსხვავდებიან, არამედ იმ ფერებითაც, რომლითაც გვიხატავს მწერალი. პირობითად ეს სამყაროები ასე იყოფა: ლუარსაბ რაზმაძის და ანაპოდისტე ბუაძის. მაგრამ ეს ყველაფერი სინამდვილეში მთლიანია, რადგან ერთ შემთხვევაში ლუარსაბის ცხოვრების გარეგნული გამოხატულებაა, მეორეში — მისი შინაგანი არსის გაშიშვლება.

ამ მოთხრობაში კიდევ ერთხელ გამოჩნდა ჯემალ ქარჩხაძის მხატვრული ოსტატობაც და მისი შემოქმედებითი ინტერესების სიღრმეც. იგი ერთდროულად კარგი მხატვარიცაა, დაკვირვებული ფსიქოლოგიც და ფილოსოფიურად მოაზროვნე მთხრობელიც. ეს არის მოთხრობა წარჩინებულ მეცნიერზე და ბედნიერი ოჯახის თავზე ლუარსაბ რაზმაძეზე, ვისაც სწორედ საიუბილეო დღეს, სადღესასწაულო განწყობილების დროს უნებურად მოუხდება საკუთარ თავში ჩაღრმავება, განვლილი ცხოვრების გზის ახალი, ფხიზელი, მკაცრი და დაუნდობელი თვალით დანახვა. მოუხდება ყველაფრის გადაფასება, რადგან აქამდე თურმე ჭეშმარიტი ფასეულობანი თავადვე დაუფანტავს საკუთარი უდარდელობის, სხვების წაქეზების და გარემოებათა წყალობით.

მწერალი როცა ლუარსაბ რაზმაძის გარემოზე მოგვითხრობს, მკითხველის ცნობისმოყვარეობა მთლიანად დაკმაყოფილებულია, ყოველ მის შესაძლო კითხვაზე, არსებითზე თუ არაარსებითზე, პასუხი გაცემულია. აქ ჩვენ წინ, როგორც იტყვიან, ჭეშმარიტი რეალისტი მწერალია, ვინც მშვენივრად იცის როგორ ახახოს ყოფითი სიტუაციები, როგორ გამოკვეთოს ხასიათები, როგორ მიამსგავსოს მის მიერ შექმნილი მხატვრული სამყარო ნამდვილს, ცხოვრებისეულს. მაგრამ როგორც კი ანაპოდისტე ბუაძე შემოდის მოქმედებაში, ბევრი რამ გაურკვეველი ხდება. თუნდაც ის, თუ ვინ არის ეს ანაპოდისტე (ერთხელ ხომ ასეც ეტყვის ლუარსაბ რაზმაძეს, რომ ლუარსაბ რაზმაძე ვარო), საიდან იცის ასე ზედმიწევნით ამ უცნობმა კაცმა ლუარსაბის არა მარტო ბიოგრაფია, არამედ მისი ფიქრებიც, განცდებიც, ეჭვებიც, თანაც მარტო დღევანდელი კი არა, ძველიც. იქნებ მართლაც სულაც ლუარსაბის სიზმრიდან არის გადმოსული? არავითარ მისტიკასთან არა გვაქვს აქ საქმე და არც ჭეშმარიტი რეალიზმის ღალატთან. უბრალოდ რეალურობის მიმანიშნებელი შტრიხები აქ ნაკლებ მკვეთრად აქვს გავლებული მწერალს, რომ ამით მრავალმნიშვნელოვნების შთაბეჭდილება შეგვიქმნას. თუნდაც ისიც კი გვაფიქრებინოს, რომ ანაპოდისტე ლუარსაბის ოპონენტი კი არა, ორეულია, ან მისი სულის სარკეა, ან გაღვიძებული სინდისია, ან ყველაფერი ერთადაა. მთავარი ისაა, რომ ანაპოდისტესთან დაკავშირებით რატომღაც აღარ გვიჩნდება მისი რეალურობის შესამოწმებელი და დასაზუსტებელი კითხვები (თუმცა ამისი ნიშნები თავისთავად საკმაოდაა მოთხრობაში), რადგან მთელი ჩვენი ყურადღება იმ ფილოსოფიური დავისკენ არის მიმართული, რომელიც მას გაუჩაღებია ლუარსბთან, იმ მრწამსის ჩაწვდომას ვცდილობთ, რომელსაც იგი ასე დაბეჯითებით ამხელს.

ამდენად ჯემალ ქარჩხაძის ამ მოთხრობაში „დღე ერთი", მითუფრო მოთხრობის იმ პლასტში, სადაც ანაპოდისტესა და ლუარსაბს შორის ვრცელ დიალოგში მათი ფილოსოფია და მორალი იხსნება, სავსებით ბუნებრივად ჩანს აზრის კონდენსირებაც და მასთან ერთად ფრაზის, თუ საერთოდ სტილის სირთულეც. მე მგონი ეს მოთხრობა იმის თვალსაჩინო ნიმუშიც შეიძლება იყოს, თუ როდის რა სტილს უნდა მიმართოს მწერალმა, რადგან აქ ორთავე, „რთულიც" და „ნათელიც" დანიშნულებისამებრ არის გამოყენებული. როდესაც საქმე ყოფას, მოქმედების რეალურ განვითარებას, ხასიათების ხატვას ეხება, ჯემალ ქარჩხაძე თხრობის „ნათელ" სტილს არჩევს, ხოლო ფილოსოფიური დავის, განსჯის დროს — „რთულს".

არის ისეთი ნაწარმოებებიც, სადაც რეალურობის, ცხოვრებას მიმსგავსებულობის კანონებით არაფერი გაირკვევა და არც შეიძლება გაირკვეს, სადაც „სირთულე" განზრახ არის მო-

ხმობილი მკითხველის ღრმად დასაფიქრებლად, მისთვის მრავალგვარი წაკითხვის შესაძლებლობის მისაცემად. ამგვარ იშვიათ ნაწარმოებთა რიგს განეკუთვნება ოტია პაჭკორიას მოთხრობა „შენდობა“ („ცისკარი“, № 5).

ოტია პაჭკორია რომ ეგრეთწოდებული „ინტელექტუალური პროზის“ მიმდევარი იყო, ეს მისი წინა მოთხრობებიდანაც ვიცოდით, ამ ახალმა კი კიდევ უფრო დაგვარწმუნა ამაში. „შენდობა“ ბევრწილად ახლებურიცაა ავტორისათვის. ხელოვნური კონსტრუირების ნიშნები ადრეც შეიმჩნეოდა მის მოთხრობებში, თუმცა ბევრად უფრო მკრთალად და მორიდებით. აქ კი იგი მთელ პრინციპად იქცა. იმდენად რომ მოთხრობაში ბუნებრივი, ცხოვრებისეული ეპიზოდები (მაგალითად, ომთან დაკავშირებული: რადიომიმღებების ჩაბარების, მამის სამხედრო სამსახურში გაწვევის) უკვე უჩვეულოდ, თითქოს უცხო სხეულებად აღიქმება.

ოტია პაჭკორიამ „შენდობაში“ თვითონ შექმნა ცხოვრების საკუთარი მოდელი, სადაც ანტიკური მითების მსგავსად მოქმედება დამძიმებულია ბედისწერის ძალით დატრიალებული უბედურებით და თანაც ეს ტრაგედია გათამაშებულია განზრახ ხელოვნური სცენიურობით. იისფერ-მოყვითალო ჯანღში მოტივტივე მცირე ზეგანი, ორსართულიანი გრძელი შენობა, რომლის სიღრმიდანაც ყრუდ რეკს ზარი და მის ეზოში მდგარი ორი ძეწნა — სევდიანი და გრაფიკული, ყველაფერი ეს ცოცხალ პეიზაჟზე უფრო მეტად კარგად შესრულებულ სცენიურ დეკორაციას ჰგავს. მოთხრობის გმირიც, ვისაც „მიჰქონდა... წინგაწვდილი ხელები ისე, როგორც სამარხში ნაპოვნი განძი მიაქვთ, ან ძველი მიტრა, ან გვირგვინი“, უფრო როლში შესულ მსახიობს მოგვაგონებს, ვიდრე ცხოვრებისეულ სიტუაციაში მყოფ რეალურ ადამიანს.

ეს ყველაფერი ასეც უნდა იყოს, რადგან „შენდობაში“ მწერალმა ოტია პაჭკორიამ მთხრობელის ნაცვლად რეჟისორის როლი იკისრა და დაგვიდგა საოცარი სპექტაკლი, სადაც სამი მთავარი გმირი, სამი მსახიობი — ექიმი შამანიძე, ევგენი და ბესო — სამ ტრაგიკულ პიროვნებას ანსახიერებენ. შენდობას მარტო შამანიძე ითხოვს აქ, მაგრამ შენდობას ყველა იმსახურებს, არა მარტო სპექტაკლში უშუალოდ მონაწილე გმირები, არამედ სხვებიც, თუნდაც ის ქალბატონიც, ვინც თურმე პატარა ბიჭს ტამბურმაჟორობა მიუსაჯა.

ოტია პაჭკორიას ეს მოთხრობა-სპექტაკლი არა მარტო საოცარია თავისი ხელოვნურობით, არამედ — ღრმად დამაფიქრებელიც ცხოვრებისეული მწარე, მტკივნეული სიმართლით. იგი მრავალ პრობლემას წამოჭრის ჩვენს წინაშე, სწორედაც მრავალს, თანაც მათი მრავალგვარი წაკითხვისა და ახსნის საშუალებას გვაძლევს. მაგრამ მთავარი სათქმელი აქ ალბათ მაინც ძალადობის სიმახინჯეა, თუნდაც ეს ძალადობა კეთილშობილური ზრახვებით იყოს ჩაგონებული. ამ სიმახინჯის ლოგიკური ბოლოა ექიმ შამანიძის და ევგენის დედის იდეების სრული კრახი და მათ მიერ ტანჯული კაცის განახლებული, განწმენდილი გამოსვლა ამ კოშმარული ზმანებებიდან იმ იმედის რწმენით, რომ „ვინ იცის, იქნებ არაფერი არ არის გვიანი ამქვეყნად, ვიდრე სული გიდგას პირში“.

* * *

თავისი წილი საფრთხე სხვა ხასიათის, ეგრეთწოდებული ნათელი სტილის პროზასაც ჩასაფრებია. თუ სირთულის ხშირი თანამგზავრი ბუნდოვანებაა, სინათლეს კიდევ უფრო მეტად სდევს თან სიმარტივე და პრიმიტიულობა. უბრალოება და სისადავე, რაც ასე მომხიბლავია მწერლობაში, იოლად მისაღწევ თვისებებად ჩანს და ბევრს გულუბრყვილოდ აღებინებს კალამს ხელში. მაგრამ ამ მოძალებულ სუროგატსა და ნამდვილ მწერლობას შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც ნატურითა და მზის სხივებით ფენილ სახეებში. ნუ გამოვეკიდებით ახლა ამგვარი გულუბრყვილობის შედეგად შეკოწიწებულ ნაწარმოებებს, რადგან გასულ წელს გამოქვეყნებულიდან მხოლოდ თითო-ოროლა თუ შემოგვხვდება ასეთი. და კიდევ იმის გამოც, რომ ისინი ნაკლებად განეკუთვნებიან მწერლობას და, მაშასადამე, ჩვენი განხილვის საგანსაც.

ერთი რამ ცხადია, ის, რაც ჭეშმარიტ მწერლობას, მის მაღალმხატვრულ ნიმუშებს განეკუთვნება, რა სტილისაც არ უნდა იყოს, თანაბრად და უაღრესად საინტერესოა. საშუალო დონის მოთხრობები კი უფრო მეტად სწორედ უბრალოებისაკენ ამჟღავნებენ მიდრეკილებას და ამით იგებენ კიდეც, რადგან სხვა შემთხვევაში პრეტენციოზული ბუნდოვანება შეგვრჩებოდა ხელში. მაგრამ მათზე უკვე საკმაოდ გვქონდა დასაწყისში საუბარი და ახლა არა საშუალო დონის, არამედ უფრო გამორჩეულ მოთხრობებზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება.

ზემოთ, როცა მოთხრობები სტილური ნიშნებით პირობითად ორ ჯგუფად დავყავი, ვთქვი, რომ არ გეგონოთ „რთულები“ სიმარტივით არა სცოდავდნენ, ან კიდევ „ნათელთ“ ღრმა და მნიშვნელოვანი, თუნდაც რთული პრობლემები და ხასიათები აკლდეთ-მეთქი. ეს იმიტომ გავიხსენე, რომ საერთოდაც მართლაც ასეა და, გარდა ამისა, გასულ წელს გამოქვეყნებული ის მშვენიერი მოთხრობები, რომელთაც ქვემოთ მოკლედ შევეხები, იოლად დაგვარწმუნებენ ამ მოსაზრების სისწორეში.

არჩილ სულაკაურის „ბრმა ლეკვები ივანე ბერიტაშვილისათვის“ („ცისკარი“, № 5), ვფიქრობ უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობაა თანამედროვე პროზაში. არჩილ სულაკაური არ მიეკუთვნება ხელ-

ხვავიან მწერალთა რიგს, შეადრებით იშვიათად და ცოტას ბეჭდავს. მაგრამ მისი ყოველი ახალი ნაწარმოები ყოველთვის მნიშვნელოვანი მოვლენაა ხოლმე. ასე იყო, როცა მისი პირველი მოთხრობა „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან“ გამოქვეყნდა ოცი წლის წინ, ასეა დღესაც. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ხნის მანძილზე არჩილ სულაკაურის მოთხრობამ ცვლილება არ განიცადა, რომ მას ახალი თვისებები და ნიშნები არ გაუჩნდა.

ეს განსაკუთრებით იგრძნობა ამ ახალ მოთხრობაში. იგრძნობა იმიტომაც, რომ „ბრმა ლეკვებს“ არჩილ სულაკაურის ერთ-ერთი ადრინდელი მოთხრობის „წყალდიდობის“ ეპოქაში, გარემოში, პერსონაჟთა შორის გადავყავართ. ისევ ის მტკვრის სანაპირო, ჩუღურეთი, სტეფანე და მისი წისქვილი, მწვანე ფრენჩიანი მამაკაცი და ზოგი სხვაც ძველი ნაცნობი პერსონაჟი თუ ადგილ-გარემო კვლავ შემოგვხვდება ამ მოთხრობაში. შემოგვხვდება და გაგვახსენებს იმ მშვენიერ სამყაროს, რომელიც მწერალმა ადრე შექმნა და შეგვაყვარა, რომელსაც ახლა კვლავ მიუბრუნდა და ახალი ფერები, ხასიათები, ტკივილები შემატა.

და მიუხედავად იმისა, რომ არჩილ სულაკაური ერთ-ერთი იმ ქართველ მწერალთაგანია, ვინც მუდამ უაღრესი სიფაქიზითა და სერიოზულობით ეკიდებოდა და ეკიდება სიტყვას, მაინც ამ ახალ მოთხრობაში შეუძლებელია არ განგვაცვიფროს მწერლის ენამ, ერთდროულად საოცრად უბრალომ და უმდიდრესმა, უზუსტესმა და უმშვენიერესმა, უხინჯომ და უზადომ. ეს ის ბედნიერი შემთხვევაა, როცა მწერალი მთლიანად ფლობს სიტყვას და ეს უკანასკნელიც კარგი ბედაურივით არასოდეს ღალატობს მხედარს, ლაღად და ნავარდით ატარებს. ამ თვალსაზრისით არჩილ სულაკაურის ეს ახალი მოთხრობა პირდაპირ კლასიკური სიძლიერისაა. და განა მარტო ამ თვალსაზრისით?

არჩილ სულაკაურის გმირები ყოველთვის ღრმად აღიბეჭდებიან ხოლმე ჩვენს მეხსიერებაში. ეს იმიტომ ხდება, რომ იგი მშვენიერი მხატვარია და ცოცხლად, შთამბეჭდავად გვიხატავს მათ პორტრეტებსაც და იმ გარემოსაც, რომელშიც ისინი ტრიალებენ, ცხოვრობენ. ეს იმიტომაც ხდება, რომ ამას გარდა იგი ღრმა ფსიქოლოგიცაა და საოცარი ძალით გვიხსნის თავისი ყოველი გმირის სულის განუმეორებელ თვისებებს, უფრო ზუსტად, გვიხსნის ადამიანურ გრძნობათა, განცდათა მისეულ გამოხატულებას. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ მისი გმირები ყოველთვის რაღაც მნიშვნელოვანი ბიოგრაფიული მომენტით წარმოგვიდგებიან, როცა განსაკუთრებით მკვეთრად მჟღავნდება მათი ხასიათი, ფსიქიკა, სული, მაშინ ნათელი გახდება ზემოთგაცხადებულის საფუძველი.

აქაც, „ბრმა ლეკვებშიც“ ძველი დაბალის, ცხოვრებაგალეული ბერიკაცის დიდი სულიერი მღელვარების, საბედისწერო ტკივილის, სიკეთისათვის უკანასკნელი გაბრძოლების მოწმესაც გვხდის მწერალი. და ისევ, თუმცა [illegible] რო მეტი მხატვრული სისრულითა და მშვენიერებით გამოიხატება ჩვენს თვალწინ არჩილ სულაკაურის უბრალო, მაგრამ დიდი ადამიანური სიკეთით სავსე გმირი. მწერლის ოსტატობის წყალობით ჩვენ ვხედავთ ბერიკაცის კმაყოფილ ფუსფუსს, რომლითაც დასტრიალებს თავს ახალდაყრილ ჯერ კიდევ ბრმა ლეკვებს, ვხედავთ იმ რიყის ქვით მოკირწყლულ ეზოსა და ქუჩებს, რომლითაც მიიჩქარის წისქვილისაკენ სალაფავისათვის ფქვილის სათხოვნელად, ვხედავთ მისი სიხარულით სავსე თვალებს, რომ მასაც ერგო დიდი სიკეთის სამსახური, მერე კი — ტკივილით დაღდასმულ სახეს, როცა მოტყუებულად იგრძნო თავი.

„უბირი ვინმე არ გეგონო. სახარება ორჯერ მაქვს წაკითხული“ — ეტყვის ამაყად ბერიკაცი ოქროსსათვალებიან კაფანდარა უცხო კაცს, ვისაც ბევრი ვერაფერი გაიგო. მაგრამ ის კი ირწმუნა, რომ რაღაც დიდი საქმისათვის სჭირდებოდა ძაღლები. ძველი დაბალის მთავარი ღირსება იმაშია, რომ მისი გული ღიაა სიკეთისათვის, საიდანაც და ვისგანაც არ უნდა ელვარებოდეს იგი, სახარებიდან თუ გზად შემოხვედრილი უცნობისაგან.

ახლაც ბოლომდე ირწმუნა ამ კაფანდარა კაცის, ვინც თურმე ანგელოსების და ღმერთის სიზმრებს ხედავდა. მისთვის მიცემული სიტყვით სულდგმულობდა ბერიკაცი. დიდი საქმისათვის უზრდიდა ლეკვებს ივანე ბერიტაშვილს და ამის შეგნებამ ძველი ძალა და სიხალისე დაუბრუნა. მაგრამ ეს რწმენა ეჭვში ჩაუხშო იმ კაცმა, ვისაც მეორე დღეს ალარაფერი ახსოვდა თავისი ბრტყელ-ბრტყელი საუბრიდან სიკეთესა და ცოდვაზე, ვინც ყოველთვის და იმ დღესაც „გულსგარეთ ლაპარაკობდა, ქვეყანაზე არაფერი არ აინტერესებდა, ერთი ჰიქა არყის გარდა“. ბერიკაცმა კი ეს „გულსგარეთ“ ნათქვამი სიტყვები დაიჯერა, იფიქრა ოქროსსათვალიანმა მეცნიერმა მომატყუაო და სიკეთით გამთბარი გული შურისძიებით აივსო. ადამიანების ამ ულირს და ბოროტ ჩვეულებას, „გულსგარე“ ლაქლაქს ემსხვერპლება ხუთი ბრმა ლეკვიც, მათ მოვლა-გაზრდაში ჩადებული დიდი სიკეთეც და ამ სიკეთის ჩუმი მატარებელი ძველი დაბალიც.

ამ მწარე და ნაღვლიანი ისტორიით მწერალმა მძაფრად განგვაცდევინა მოტყუებული ადამიანის ბედი. იგი ღრმად გვაფიქრებს საკუთარი თუ სხვისი სიკეთის გრძნობის გაფრთხილების, საერთოდ მოყვასის ადამიანურ ვალზე.

მშრომელი გლეხი ქალის საგალობელი (დიახ, მე მგონი სწორედ ეს სიტყვა მოუხდება) რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „თინა და სანდრო“. („ცისკარი“, № 10). **რევაზ ინანიშვილს რაღაც**

მადლცხებული ნიჭი აქვს სულ უბრალო სიტუაციებში უბრალო ადამიანების საოცარი გულისფეთქვის შეგრძნებისა, მათი სულის ნათელის ხედვისა, ამისი სხვათათვის გადამდებად გაზიარებისა. ასეა აქაც. თითქოს არაფერი არ ხდება: თინა ვენახში მუშაობს, ღამით კიტრი მიაქვს ქალაქში ბაზარზე გასაყიდად, მერე ბრუნდება სახლში. ესაა და ეს. არაფერი რამეთი გამორჩეული არც ცუდი და არც კარგი აქ არ ხდება, რომ ამით გმირს თავისი ან ავის ან კარგის გამჟღავნების საშუალება მიეცეს. მაგრამ მწერალი ისეთი სიღრმით გვიხსნის ამ ჩვეულებრივ სიტუაციებში გმირის ბუნებას, რომ თინას სახე მთელი სისრულით და სიმშვენიერით წარმოგვიდგება. მარტო ეს შტრიხიც უკვე რამდენსა ნიშნავს:

„დაეხვა, დაეხვა თინას თავბრუ და... რომ არ წაქცეულიყო, ფეხი განზე გადგა. აქეთ-იქით გაწეული ხელებით თითქოს ჰაერს ეყრდნობოდა. წავიდა ასე, ტაატ-ტაატით, ღიმილით, ერთი დიდი ვაზის ძირში მიჯდა, მიიყუნჭა, თავი ფოთლიან რქებს მიაყრდნო, თვალები მილულა. ფეხის ძარღვები უფეთქავდა და თავბრუ ისევ ესხმოდა. „აქ რომ მოვკვდე!“ სანდრო მოუნდა“.

ასე იწყება ეს მოთხრობა და ამ ერთ ფრაზაში თინას თითქოს მთელი ხასიათი და ბუნებაა გახსნილი. ჩვენ უკვე ვიცით, რომ იგი ნაღდი და უბრალო მშრომელი ქალია, ეს თავბრუც იმის გამო ესხმის დღე და ღამ ჯაფა რომ არ აკლია. და კიდევ ხალასი, თბილი, ნათელი სულის პატრონია იგი. ამ გასაჭირის ჟამსაც კი თავისთვის უხმაუროდ, ყოველგვარი ქოთქოთის გარეშე, ტაატითა და დააკვირდით, ღიმილით, სწორედ ღიმილით მიდის ვაზის ძირისაკენ, უხმოდ მიიყუნჭება. აი ამგვარ თავისთავად თითქოს არაფრისმთქმელ სიტუაციებში და ასეთნაირი მრავლისმეტყველი ხერხებით გვიხატავს რევაზ ინანიშვილი თავის გმირს მთელი მოთხრობის მანძილზე — ოჯახშიც, სოფელშიც, ქალაქშიც — და ჩვენი თანაგრძნობაც ამ სიყვარულით, შრომით, სიკეთით, ეშხით სავსე შუახნის გლეხი ქალისადმი სულ უფრო იზრდება. იზრდება და თან ერთ აზრსაც აგვიკვიატებს: ვინ იცის რამდენი თინა, ან მისი მსგავსი დიდი ადამიანი შეგვხვედრია ქალაქის ქუჩებშიც კალათ-გოდორზე შემომჯდარი, ან ბაზრის დახლს იქით მდგარი და ვერაფერს კი მივმხვდარვართ.

ახლა რევაზ ინანიშვილის მადლის წყალობით ჩვენც უფრო მეტს დავინახავთ და ვიგრძნობთ, რომ თინასთანა ადამიანების ცნობით საკუთარ თავს ბედნიერება მივანიჭეთ.

ასეთივე მადლცხებული ნიჭით არის დაჯილდოებული ნუგზარ შატაიძე. ეს უკვე კარგად იცის ყველამ, ვინც ქართულ მწერლობას თვალს ყურადღებით ადევნებს. მისი ახალი მოთხრობებიც („ლიტერატურული საქართველო“, № 21), ამასი მშვენიერი გამოხატულებაა. ეს პატარა, ერთი ციცქნა მოთხრობები ძვირფასი თვლებივითაა, რადგან ამ ქვეყნად ყველაზე უძვირფასესს, ადამიანის სულის სინათლეს გამოასხივებენ. მათ შესაგრძნებად, მათი მადლის და სილამაზის გასაგებად ერთადერთი საშუალებაა, მათივე წაკითხვაა აუცილებელი. წაიკითხავთ და ყველაფერს მიხვდებით გარდა ერთი რამისა, საიდან და როგორ იბადება ამგვარი მაღალი პოეტური სიტყვა. დიახ, პოეტური, რადგან ეს მოთხრობები, განსაკუთრებით კი „კაცი“ მხოლოდ უმაღლეს მშვენიერებას, პოეზიას განეკუთვნება. მაგრამ არც საკუთრივ პროზას აკლია მშვენიერება და ამის ნიმუშადაც კვლავ ნუგზარ შატაიძის „სისუა“ („ლიტერატურული საქართველო“, № 49) გაგვახსენდება, ეს საოცარი მოთხრობა საოცარ ადამიანებზე, ამ ქვეყნად მხოლოდ სიმღერისათვის გაჩენილ ცოლ-ქმარზე, მათ ბედნიერ, მაგრამ მაინც სევდიან და ტრაგიკულად დასრულებულ ცხოვრებაზე.

ახლა ამათ, რევაზ ინანიშვილს და ნუგზარ შატაიძეს კიდევ ერთი თანამოძმე შეემატათ — გოდერძი ჩოხელი, ეს სულ ახალგაზრდა კაცი, ვინც ბოლო ორი-სამი წელია რაც ქართულ მწერლობაში მოვიდა. მოვიდა და ერთბაშად დაიმკვიდრა ადგილი, რადგან შეგირდობის, ჩამოყალიბების, დაოსტატების ხანა არა ჰქონია. მისი პირველივე გამოქვეყნებული მოთხრობები დიდი გულით იყო დანახული და დასრულებული ოსტატის ხელით იყო დაწერილი.

გოდერძი ჩოხელმა გასულ წელს რამდენიმე მოთხრობა გამოაქვეყნა. მისი მოთხრობების გამოც შეიძლება ყველა იმ ალტაცების გამეორება, რაც რევაზ ინანიშვილის და ნუგზარ შატაიძის ნაწარმოებებზე საუბრის დროს გამოვხატე. მხოლოდ ამას კიდევ ერთი განსხვავებული და საოცარი ნიჭი ემატება, რომელიც მხოლოდ გოდერძი ჩოხელს გააჩნია. მისი მოთხრობები ლირიკულ პროზას ნაკლებ განეკუთვნება, რადგან პატარა, მართლაც ერთი ციცქნა ნაწარმოებებში იგი არა უბრალოდ ეპიურ, პირდაპირ მონუმენტურ სახეებს ატევს. როგორ ახერხებს ამას, ძნელი მისახვედრია. წაიკითხეთ მისი „სწორი თეთრი ხაზი“ („ლიტერატურული საქართველო“, № 50) ან „ხილული სამზეო“ („მნათობი“, № 1) და დარწმუნდებით ამაში. არც სხვა მოთხრობებს — „ბაკურხეველ ხევსურს“, „კოტორიანთ ქალის საათს“ და მოთხრობა-ზღაპარს „წერილი ნაძვებს“ („მნათობი“, № 1) — აკლიათ არც ეს და არც სხვა სიკეთე გოდერძი ჩოხელის ნიჭისა.

სოფლის სიკეთით, სინათლით, კოლორიტით არის სავსე ოთარ ჩხეიძის მოთხრობების ციკლი „ჩემი სოფლის ეტიუდები“, რომელიც კარგა ხნისაა და კარგადაც არის ცნობილი მკითხველისათვის. გასულ წელს ეს ციკლი კიდევ ორი ეტიუდით შეივსო — „აეროდრომით“ და „ზედაშეთი“ („ლიტერატურული საქართველო“ № 2 და № 40). ოთარ ჩხეიძის მწერლური მად-

ლი არცერთ მათგანს არ აკლია, მაგრამ მე განსაკუთრებით მომხვდა გულზე მოხუცი გლეხის დოლარას ამბავი, მისი მარტოხელა ბრძოლა სიკვდილთან, უიმედო ბრძოლა დავრდომილისა და განწირულისა, მისი დაუჯერებელი გამარჯვება სიკვდილზე, გამარჯვება გაფუებული მიწის, აყვირებული ვაზის, ატუტუნებული ბილის, გამონათებული ქვევრის ერთგული და გაუმაძღარი სიყვარულის წყალობით. ოთარ ჩხეიძის „ზედაშეც" იმ სულის ნათელით სავსე მოთხრობათა რიგშია, როგორებიცაა ზემოთნახსენები „თინა და სანდრო", „კაცი", „სწორი თეთრი ხაზი" და სხვა საგალობლები ადამიანისა, გლეხისა, მიწის შვილისა.

მიწისა და ბუნების შვილები არიან შოთა არაბულის მოთხრობის „ბაბრი და ხევსურები" („განთიადი", № 1) მოხუცები, რომლებიც სოფლის ამაწიოკებელ მგელთან ბრძოლაშიც კი არ ღალატობენ მთიელთა ვაჟკაცობის კოდექსს. ისინი თანდათან სულ მეტი ალტაცებით ადევნებენ თვალს აქეთ ადამიანებთან, იქით კი ზვავთან უთანასწორო ბრძოლაში მართლაც ვეფხვივით შემართულ ბაბრს. ბოლოს კი მოხუცი მონადირე თავად ჩაიგდებს ხიფათში თავს და ისე დაიხსნის განწირულ ცხოველს. კარგად, საინტერესოდ, შინაგანი ექსპრესიით დაწერილი მოთხრობაა.

საგულისხმოა, რომ შოთა არაბულის მოთხრობაში მოხუცი მონადირე გულისტკივილით აკვირდება ახალგაზრდებს, რომლებიც სიხარულის ყიჟინით შემყურებენ ბაბრის გასაჭირს და მწარედ ფიქრობს: „გულები არა აქვთ ამ ძაღლიშვილებს... ამათგან რანაირი კაცები დადგება?!"

მოხუცი მთიელი ახალგაზრდებში ველარ ამჩნევს ბუნებასთან იმ შერწყმას, გამთლიანებას, რაც მისი თაობის და მისი იწნაპრების წმინდა, შეუვალი მცნებაც იყო და მოთხოვნილებაც. ნუ შევედავებით ნურც მოხუც მონადირეს და ნურც ამ მოთხრობის ავტორს ამაში. მათ ამგვარად ფიქრის სრული საფუძველი აქვთ. მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ მაშინ სულხან ქეთელაური სტყუის თავის მოთხრობაში „პატარა კაცი" („ცისკარი", № 2).

სულხან ქეთელაურმა სწორედ პატარა თორნიკე ჯულურაულში, თაკუნისაც რომ ეძახიან, დაინახა და ჩვენც დაგვანახა სოფლის, ბუნების, მთის შემნახველი, მცველი, ერთგული მეგობარი, მოხუცი მონადირის ჭეშმარიტი მემკვიდრე. ობლად დარჩენილი თორნიკე თორმეტი წლისა დაბრუნებია მამისეულ სახლს, მარტო ცხოვრობს, მარტო უვლის სახლ-კარს, კარ-მიდამოს, ცხვარსა და საქონელს, უვლის საკუთარ თავსაც და ირგვლივ ბუნებასაც. „სხვა გზა არა მაქვს, როგორმე უნდა შევიძლო" — აი მისი ამტანობის მკვებავი წყარო. ასე უბრალოდ და ასე დიადად არის მისთვის გადაწყვეტილი ცხოვრების ყველაზე რთული და საჭირბოროტო საკითხი. ჩვენ გვჯერა ამ პატარა კაცისა, ვისზეც ბევრად არის დამოკიდებული დღევანდელიც და განსაკუთრებით კი ხვალინდელი დღე, გვჯერა მწერლისაც, ვინც ამგვარი უბრალო და ნათელი ძალა დაინახა ახალგაზრდობაში, ვინც ამის გამო თვითონაც იმედიანად უყურებს სოფლის და ბუნების მომავალს და ჩვენც ამ საფუძვლიანი იმედით გვავსებს.

მოთხრობა „პატარა კაცი" ასე მთავრდება:

„აი ასეთ საკვირველ ბიჭს გადავეყარე წელს. ჩემდა სამარცხვინოდ, დანაპირები ვერ ავუსრულე, სტუმრად ვერ ვეწვიე, — იქით წასვლა არა და აღარ მომიხერხდა, ისე კი ხშირად ვიგონებ, უფრო მაშინ გამახსენდება, როცა რუსთაველზე ჩავივლი და ჭადრების ჩრდილში ჩამომდგარ, მხარ-მკლავებდაკუნთულ და უშინაარსოდ მოლაყბე ოცი-ოცდაერთი წლის ვაჟკაცებს შევხედავ. ასეთ დროს ბიჭი თვალწინ ცოცხლად დამიდგება, მისი მაშინდელი ნათქვამიც — „ვხნავ, ვთესავ, ვმუშაობ და ვცხოვრობო", — ისევ ცხადად ჩამესმის და გულზე ძლიერი სინანულის გრძნობა შემომაწვება ხოლმე".

შოთა არაბულმა მოხუცი მონადირის პირით მთიელი ახალგაზრდების მისამართით გამოთქვა საყვედური, სულხან ქეთელაურმა კი სწორედ პატარა კაცში, მთიელ ახალგაზრდაში დაინახა სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღე, თავის მხრივ კი იგი ქალაქელ ახალგაზრდებს შემოსწყრა. არც ამას გაემტყუნება. ჩვენც ხშირად გვინახავს ამგვარი ჭაბუკები, მარტო რუსთაველზე კი არა, სხვა „ბირჟებზეც" დაყუდებულნი, შეგვიმჩნევია მათი ლაყბობაც, ყიამყრალობაც და ახალგაზრდულ კუნთებში მოზღვავებული ენერგიის უაზრო ფლანგვაც.

სწორედ ამაზეა დაწერილი ამირან ჭიჭინაძის „უცნაური ეტიუდი" („ცისკარი", № 9), სადაც „ბირჟაზე" შეკრებილი ახალგაზრდები ცოცხლადაც არიან დახატულნი და ამბავიც ისე საინტერესოდ ვითარდება. ფინალიც ისეთი მოულოდნელი აქვს, რომ ბევრ მოკლემეტრაჟიანი კომედიური ფილმის ავტორს შეშურდება. კინო აქ შემთხვევით არ გამხსენებია. ამირან ჭიჭინაძე ცნობილი კინოდრამატურგია და მის მხატვრულ პროზასაც ეტყობა კინოესთეტიკის კვალი. ამ მოთხრობაშიც თითქოს უკვე დასრულებულ, გადაღებულ ფილმსა ვხედავთ, რაც მთავარია — ძალზე საგულისხმო, ცოცხალ და მშვენიერ ფილმს.

სხვათაშორის, რაიონულ ცენტრებში და მოზრდილ სოფლებშიც გაჩნდა „ბირჟები", არც დაკუნთული უქნარებია იქ ძნელი მოსაძიებელი. ასე რომ, ამ თვალსაზრისით სოფლისა და ქალაქის დაპირისპირება, — თითქოს პირველი მშრომელებს ამრავლებდეს და ეროვნულ სულს ინახავდეს, ხოლო მეორე უსაქმურებისა და კოსმოპოლიტების ბუდე იყოს, — ძალზე მცდარიცაა და ძალზე უსამართლოც. არადა, ამგვარი დამოკიდებულება, უფრო შეფარულად გა-

მოხატული, მეტ-ნაკლებად იგრძნობა იმათ შემოქმედებაში, ვინც სოფელზე წერს.

არც ქალაქია მარტო „ბირჟებისა“ და მისი ერთგული წევრების ანაბარა. აქაც დუღს და გადადუღს ცხოვრება, აქაც იწრთობა ახალი იდეალები და ეროვნული სული, აქაც ხალხის სულიერი და ფიზიკური ენერგიის უდიდესი ნაწილი ქვეყნის თუ ადამიანის საკეთილდღეოდ იხარჯება. ქალაქსაც ჰყავს თავისი გამორჩეშილი თუ გამოუჩენელი ადამიანები, დიდადაც საინტერესონი თავისი საქმიანობით თუ სულიერი ცხოვრებით. ქალაქელებსაც აქვთ თავისი კოლორიტი.

მე მეჩვენება, რომ ქართული მოთხრობა ნაკლებად სწყალობს ქალაქურ ცხოვრებას. სტატისტიკას რომ მივმართოთ, იქნებ რაოდენობრივი განსხვავება არც ისე დიდი აღმოჩნდეს, მაგრამ ამგვარი შთაბეჭდილება ალბათ იმიტომაც გვექმნება, რომ თბილისსა და თბილისელებზე დაწერილ მოთხრობებს უფრო იშვიათად გასდევთ ის აშკარა სითბო და სიყვარული, რომლითაც სავსეა სოფელზე და სოფლელებზე დაწერილი მოთხრობები.

სწორედ ამგვარი სითბო და სიყვარული ვიგრძენი რამაზ გიორგობიანის „მარინასა“ და „ბელურაში“ („ცისკარი“, № 12), რითაც ეს მხატვრულად საინტერესო მოთხრობები ჩემთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა.

ახე ვთქვათ, ქალაქური მოთხრობები გამოაქვეყნა ზაზა დარასელმაც („ცისკარი“, № 6), მაგრამ აქ უფრო საყურადღებო ის არის, რომ, თუ არ ვცდები, ეს ახალგაზრდა მწერლის სადებიუტო გამოსვლა უნდა იყოს. აშკარად იღბლიანი, სასიხარულო დებიუტია, როცა საყოუმანოდ არა რჩება ავტორის მწერლური ნიჭი და შესაძლებლობები. სამივე მოთხრობა საინტერესოა თავისი სათქმელითაც და მისი გამოხატვის პროფესიონალური უნარითაც.

„გატაცება“ აშკარად კარგი მოთხრობაა, ემოციურიც, ოსტატურად დაწერილიც, საინტერესო ფინალით. ერთხელ კიდევ ვხედავთ და ვრწმუნდებით, რომ მოკლე საგაზეთო ქრონიკებს იქით ხშირად დიდი ადამიანური ტკივილები, ზოგჯერ ტრაგიკული განცდებიც იმალება.

ჩემზე უფრო მეტი შთაბეჭდილება მოახდინა სხვა ორმა მოთხრობამ — „ცუდმა სიზმარმა“ და „იუბილემ“. მე მგონი, აქ სხვა ღირსებებთან ერთად, უფრო აშკარად და ნათლად გამოჩნდა ავტორის ორიგინალური ხედვა. „ცუდ სიზმარში“ ირონიით და სარკაზმითაც არის დანახული ისიც, თუ როგორ იქმნება კასტური აზრი პიროვნებაზე და ისიც, თუ რა ფასი აქვს ამ აზრს, რამდენად შეესაბამება იგი რეალურ ვითარებას. „იუბილე“ კი უკვე ავტორისეული სითბოთი და თანაგრძნობით არის სავსე. ეს მოთხრობა უკვე იმაზეა დაწერილი, თუ როგორ აცოცხლებს, ალამაზებს, აკეთილშობილებს ადამიანის ცხოვრებას ემოციური მუხტი. ორთავ მოთხრობაში ახალგაზრდობის — ყოფას ვაკვირდებით, რასაც, ეს აშკარად ჩანს, საფუძვლიანად და ღრმად იცნობს ავტორი.

ზაზა დარასელის მოთხრობები საინტერესოა უშუალობით, ცხოვრებისეული სიმართლით, კარგად მიგნებული ხასიათებით, ცოცხალი შტრიხებით, კიდევ სხვა ღირსებებითაც, რისი უნარიც ავტორს, თუკი იგი დაკვირვებული და ნიჭიერი კაცია, თავიდანვე შეიძლება ჰქონდეს. მაგრამ პროფესიული ოსტატობა და განსაკუთრებით მისი ზოგიერთი მხარე უფრო დროს მოაქვს ხოლმე თან. ამიტომ უფრო გამიკვირდა, ზაზა დარასელის სამივე მოთხრობა სიუჟეტურად საინტერესოდ რომ არის გააზრებული. მათში არც არაფერია ზედმეტი, არც არაფერი — დაუსრულებელი. ამას გარდა, ტექნიკურადაც ოსტატურად არის აგებულიც და შეკრულიც. ეს განსაკუთრებით „იუბილეში“ მომეწონა, იქ უფრო შეფარვით და ნატიფად არის შესრულებული.

დაბოლოს, გასულ წელს გამოქვეყნებული მოთხრობებიდან უნდა აღინიშნოს ისინი, რომლებშიც მთავარ იარაღად იუმორია მოხმობილი. ამ ხასიათის ნაწარმოებები საკმაოდ მრავლად დაიბეჭდა, მაგრამ მათ შორის, ვფიქრობ, გამოირჩევა გურამ დოჩანაშვილის („ცისკარი“, № 8), რევაზ მიშველაძის („მნათობი“, № 3, „ცისკარი“, № 6, „განთიადი“, № 6, „ლიტერატურული საქართველო“, № 34), გურამ კაპანაძის („მნათობი“, № 5) მოთხრობები.

იუმორი რომ მხოლოდ გასამხიარულებელი მსუბუქი საშუალება არ არის და მისი მეშვეობით უაღრესად სერიოზულ, ზოგჯერ კი დრამატულ ამბებზეც შეიძლება საუბარი, ამის გამოცდილება ქართულ მწერლობას დიდი ხანია გააჩნია. გასულ წელს კიდევ ერთი ამგვარი შესანიშნავი მოთხრობა გამოქვეყნდა — გურამ დოჩანაშვილის „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება ანუ მესამე ძმა კეჟერაძე“ („ცისკარი“, № 8). მიუხედავად იმისა, რომ მოთხრობა სავსეა კომიკური სიტუაციებითა და ხასიათებით, ეს არის ღრმად დამაფიქრებელი მხატვრული ნაწარმოები სამშობლოზე, მის მიწა-წყალზე, წარსულსა და მომავალზე. ძმები კეჟერაძეები უცნაური ხალხია, ახირებული სიყვარული იციან: გრიშას ადამიანები უყვარს ძალიან, ვასიკოს — ლიტერატურა, შალვას კი — საკუთარი ქვეყანა. ამ მესამე ძმის სიყვარულზეა აქ მოთხრობილი, რასაც მისი ღრმა რწმენით, როგორც ყველა დიდ და წრფელ გრძნობას, დაფარვა, მაგრამ ერთგულება და თავგანწირვა სჭირდება. ამ სიყვარულის საოცარი წამალიც გააჩნია მას და უსამშობლოობით დაავადებულთა მკურნალობის საკუთარი, მეტად ორიგინალური მეთოდებიც აქვს შემუშავებული. ეს ყველაფერი მხოლოდ თავად მოთხრობიდან უნდა გაიგოს კაცმა, რადგან მისი

მოყოლა არამცთუ ეფექტს არ გამოიღებს, უბრალოდ მკრეხელობა იქნება. მოთხრობა კი მართლაც მშვენიერია, დამაფიქრებელია და ჩამთავრებისას ავტორთან ერთად თქვენც გულით გათქმევინებთ: „ღმერთო, კეთილად გეტარებინოს ხამთავე (ძმა კეჟერაძე, გ. გ.) საქართველოს ძნელ, მიმოხვეულ გზებზე...“

ხალასი იუმორით არის სავსე გურამ კაპანაძის მოთხრობები „სად ხარ, წიქარავ!“ და „უყისმათო“ („მნათობი“, №5), სადაც მკითხველი ხალისიანი თანაგრძნობით მიადევნებს თვალს მოდებაძეების მთელ გასაჭირს სადალაქოდან სტადიონამდე, ან კიდევ უიღბლო, უღიარებელი მწერლისა და ექიმის ნირწამხდარ ცხოვრებას.

შარშანდელი წელი ნაყოფიერი გამოდგა რევაზ მიშველაძისათვის. მისი იუმორისტული მოთხრობები კარგა ხანია იბეჭდება ლიტერატურული პრესის ფურცლებზე, ცალკე წიგნებადაც გამოიცა. ასე რომ, რევაზ მიშველაძეს არა მარტო როგორც კრიტიკოსს, არამედ როგორც პროზაიკოსსაც უკვე კარგად იცნობს მკითხველი. მისი ახალი მოთხრობებიც თითქოს არ გამოდიან მწერლის შემოქმედებითი ინტერესების სფეროდან. რევაზ მიშველაძემ კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ მას შესწევს უნარი ანეგდოტური სიუჟეტებიც კი აიყვანოს ჭეშმარიტი მწერლობის დონეზე („ილაჯი“, „პანღური“, „ნამუსის ქუდი“ — „ცისკარი“, № 8, „ნადია“ — „განთიადი“, № 8) და მათ მხატვრული განზოგადება მიანიჭოს.

რევაზ მიშველაძის მწერლური და იუმორისტული ნიჭი არა მარტო თავისი სიმახვილით იქცევს ყურადღებას, არამედ — მრავალფეროვნებითაც. მის მოთხრობებში აქამდე თუ ირონია და სარკაზმი სჭარბობდა, ბოლო ხანს სულ უფრო მეტად იჩენს თავს ლირიკული იუმორი, რისი შესანიშნავი ნიმუშებიცაა „ურჩი“ („განთიადი“, № 6), „ფათუშა“, „ჟინი“, „ქვევრი“ („მნათობი“, № 8), „იმედი“ („ლიტერატურული საქართველო“, № 34).

ამ ახალი მოთხრობებით რევაზ მიშველაძემ კიდევ უფრო განგვიმტკიცა იმის რწმენა, რომ მისთვის მხატვრული პროზა კრიტიკაზე ნაკლებ მნიშვნელოვანი ჟანრი როდია, რომ მისი, როგორც პროზაიკოსის არა მარტო სურვილებია სერიოზული, არამედ ის ნაყოფიც, რომელიც მან უკვე მოიწია და რომ მისი წვლილი თანამედროვე პროზის განვითარების საქმეში სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი იქნება.

გასული წლის მოთხრობების ჩემეული ანალიზითაც აშკარად უნდა ჩანდეს, რომ მოსავალი ნაყოფიერი იყო. ეს მითუფრო სარწმუნოა, რომ ჩემი მიმოხილვა, ცხადია, ვერ ჩაითვლება სრულად, ზოგი რამ მნიშვნელოვანი და საინტერესო, ალბათ, მაინც გამომრჩა. მაშასადამე, სრული საფუძველი გვაქვს ქართული მოთხრობის, საერთოდ პროზის დღევანდელ დონეს და მის ხვალინდელ დღეს აშკარად იმედიანად ვუყუროთ. ოღონდ ამან არ უნდა დაგვავიწყოს, რომ წარმატებისათვის გამუდმებული ზ[illegible] და გარჯაა საჭირო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვალერიან ითონიშვილი

# ილია ჭავჭავაძე და ქართული ეთნოგრაფია

ილია ჭავჭავაძის ღვაწლის ღირსეულად დაფასება მრავალმხრივ კვლევას მოითხოვს. მისი შემოქმედებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესწავლა დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს არა მარტო ლიტერატურათმცოდნეობას, არამედ, მრავალ სხვა დარგთან ერთად, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მეცნიერებასაც. დროთა ვითარებაში, რაც უფრო გაიზარდა ეთნოგრაფიის პრობლემათა მეცნიერული და საზოგადოებრივი მნიშვნელობა, რაც უფრო დაკონკრეტდა მისი როლი სადღეისო ცხოვრებისეული პრობლემების გადასაჭრელად, რაც უფრო დიდი ფუნქციები დაეკისრა ამ დარგს დადებითი ეროვნული ტრადიციების, დრომოჭმული გადმონაშთების ან ნეგატიურ მოვლენებად მიჩნეულ მავნე წეს-ჩვეულებათა გენეზისის, გამძლეობის ფაქტორებისა და ცხოვრების სოციალისტური წესისათვის შესაფერისი ტრადიციების შეფასების სფეროში, მით უფრო ღაფასდა ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა და ამ ესოლენ დიდი ეროვნული მეცნიერების მოამაგეთა დამსახურება. მათ შორის განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ილია ჭავჭავაძემ, რომლის სამოღვაწეო სარბიელზე გამოსვლის დროისათვის ქართულ ეთნოგრაფიას განვითარების საკმაოდ გრძელი გზა ჰქონდა განვლილი.

XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის ქართული ეთნოგრაფიული ცოდნის ევოლუციის ისეთივე ხანგრძლივი ისტორია გააჩნდა, როგორიც ქართულ კულტურას, ყოფას და ტრადიციებს. ქართველი ისტორიკოსები, მწერლები და სჯულმდებლები ისტორიულ-ლიტერატურულსა და საკანონმდებლო ძეგლებში გარკვეულ ადგილს უთმობდნენ ხალხურ წეს-ჩვეულებათა ამსახველ მონაცემებსაც, მაგრამ ძველი ქართული საისტორიო მწერლობა მარტოოდენ ეთნოგრაფიული აღწერილობის დონეზე როდი გაიყინა. გვიანფეოდალური ხანის ისტორიოგრაფიამ მეცნიერული კვლევის საფუძვლებიც შეამზადა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ვახუშტი ბაგრატიონის ფუნდამენტური ნაშრომი, რომელშიც, ქართველი და კავკასიელი ხალხების ყოფა-ცხოვრების მრავალმხრივ აღწერილობასთან ერთად, მოცემულია ეთნოგრაფიული მასალის კლასიფიკაციისა და მეცნიერული კვალიფიკაციის სერიოზული ცდებიც, თუმცა ყოველივე ეს მაინც მხოლოდ მოსამზადებელი საფეხური იყო მომავლისათვის — ეთნოგრაფიული მეცნიერების ცალკე დარგად ფორმირებისათვის.

XIX საუკუნეში, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში, მაშინ როდესაც დასავლეთის ქვეყნებსა და რუსეთში ეთნოგრაფია სამეცნიერო დარგის სახეს ღებულობს, როდესაც კაპიტალურ გამოკვლევებს წერენ საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები (ბახოფენი, რატცელი, ტეილორი, მორგანი, კოვალევსკი), როდესაც დიდ ეთნოგრაფიულ პრობლემებს აშუქებენ მარქსი და ენგელსი და ამით თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები მომზადდა ურთულესი საკითხების კვლევის მარქსისტული ეტაპისათვის, ყოფისა და კულტურის შესწავლისადმი ინტერესი თანდათანობით იზრდება საქართველოშიც. ეთნოგრაფიული მასალების შეგროვებას საქართველოში თავდაპირველად თუ მხოლოდ ცალკეული ენთუზიასტები მესვეურობდნენ, ამ საქმიანობას შედარებით ორგანიზებული ხასიათი მიეცა XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან, როდესაც შეიქმნა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოება ეთნოგრაფიული განყოფილებით (1845 წ.), ხოლო ამავე სამეცნიერო ორგანიზაციის ინიციატივით თბილისში 1851 წელს დაარსდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების

კავკასიური განყოფილება. ამ განყოფილების მიერ წამოწყებულ ეთნოგრაფიულ მუშაობაში, რუს მოხელეებთან და მკვლევარებთან (ვ. სოლოგუბი, ა. ბერჟე, ი. ბარტოლომეი...) ერთად თანამშრომლობდნენ ცნობილი ქართველი მოღვაწეები: გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, პლატონ იოსელიანი, რაფიელ ერისთავი და სხვები. აღნიშნული პერიოდისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო კავკასიური მუზეუმის (ახლანდელი აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი) დაარსება თბილისში (1852 წ.), რომლის ეთნოგრაფიულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა რაფიელ ერისთავი.

სულ მალე ფართო სამოღვაწეო სარბიელზე გამოდიან ქართველი სამოციანელები, ი. ჭავჭავაძის და ა. წერეთლის მესვეურობით, რომელთაც ხალხის ყოფისა და კულტურის შესწავლის ამოცანები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესებს შეუფარდეს. ისტორიული წარსულისა და ტრადიციების ხსოვნა მათ მიაჩნდა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების უცილობელ პირობად. კერძოდ, ი. ჭავჭავაძე წერდა: „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს... ისტორია თავის გულისფიცარზე იქდევს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაჭდევითა, როგორც სარკე, გვაჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისათვის და გაძლიერებისათვის“ (ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV, თბ., 1955, გვ. 179).

ისტორიული წარსულისა და ეთნოგრაფიული ყოფის სრულფასოვანი შესწავლისათვის ილია თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებდა ისტორიული წყაროებისა და ეთნოგრაფიული მონაცემების კრიტიკულად დამუშავება-ათვისებას. ილიასთვის უცხო იყო პატრიოტიზმი მჟღერალა ფრაზებით. საქართველოს ისტორიისადმი სიყვარული და ობიექტურობა ისტორიული მოვლენების შეფასების საქმეში მან დაამტკიცა თავის შესანიშნავ შრომებში („აი ისტორია, „ქვათა ღაღადი“, „ხიზნების საქმე“, „ცხოვრება და კანონი“ და მრავალი სხვა), რომელთა შეფასება მოცემულია ჩვენი ისტორიკოსების მიერ. სახელდობრ, ივ. ჯავახიშვილმა ილიას დაბადებიდან 100 წლის თავზე ბრძანა: „ვინც მომავალში ქართული ისტორიოგრაფიის თავგადასავლის მე-19 ს. ამბების შესწავლასა და აღწერას შეუდგება, ის ვალდებული იქნება ისიც აღნიშნოს, რომ ილ. ჭავჭავაძე დიდებული იყო მარტო პოეზიასა და პუბლიცისტიკაში კი არა, ანდა კიდევ მარტო ვითარცა ახალი სალიტერატურო ქართულის შემქმნელიც კი არა, არამედ რომ საქართველოს ისტორიოგრაფიაშიც მას ისეთი ღვაწლი ჰქონდა, რომლის დავიწყების უფლება არც ერთს ქართველს არა აქვს“ (ივ. ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, ტფ., 1938, გვ. 16).

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ი. ჭავჭავაძეს ასეთივე ადგილი აქვს დამკვიდრებული ქართული ეთნოგრაფიის ისტორიაში, როგორც ამ დარგის დიდ მოამაგეს და სწორუპოვარ ხელმძღვანელს. ესოდენ დიდი მისიის შესრულება მას წილად ხვდა იმიტომ, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ეთნოგრაფია წარმოადგენდა ერთ-ერთ ორგანულ ნაწილს საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში, რომლის მედროშედ ილია ითვლებოდა. ი. ჭავჭავაძე რაკი ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ეთნოგრაფიას, იგი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა ყველას, ვინც შეგნებულად ან გაუგებრობის საფუძველზე ამ დარგის დაკნინებას შეეცდებოდა. ამ მხრივ აღსანიშნავია, მაგალითად, მისი იუმორისტული წერილი — „სხარტულა“, რომელშიც, მრავალი საინტერესო საკითხის განხილვასთან ერთად, ი. ჭავჭავაძემ საკადრისი პასუხი გასცა გ. თუმანიშვილს ეთნოგრაფიისა და საერთოდ მეცნიერების გაბიაბრუების გამო. გ. თუმანიშვილის შეცდომამ თავი იჩინა ჟურნალის საზოგადოებრივი დანიშნულების შეფასებაში, რის გამო ილია წერს: „ბატონებო, ის კაცი, რომელიც გამოსულა და თამამად იძახის: — „ჟურნალს შეუძლიან უძღვნას თავისი ფურცლები მხოლოდ ძველს, დამჴკნარს, ამბობს, მაგალითებრ, ისტორიულ, ეთნოგრაფიულ და საზოგადოდ (???) მეცნიერების (???) სტატიებს“ — თქვენ ის კაცი ხუმრობა კაცი გგონიათ. კაცს, რაც საზოგადოდ ქვეყნის მეცნიერებაა, მჩვრად და მჴკნარ რაღათაც გახდომია და თქვენ აქ მოჰყოლიხართ და ამისთანა საზოგადო მეცნიერების უარმყოფელს, რასაკვირველია გიჟს დაუძახებთ. ბარაქალა თქვენს კადნიერებას, ბარაქალა... აბა თუ კაცები ხართ და ამისთანა ახალს ჭეშმარიტებას იტყვით სადმე, რომ ისტორია, ეთნოგრაფია და საზოგადოდ მეცნიერება — ერთი რაღაც ძველი, დამჴკნარი ამბებიაო. ღმერთი, რჯული, ვერ გაჰბედავთ“ (ი. ჭავჭავაძე, ტ. III, თბ., 1953, გვ. 355).

ეთნოგრაფიის დიდი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის შესახებ ი. ჭავჭავაძე ლაპარაკობს არა ერთსა და ორ წერილში, ხოლო თავის კონცეფციას ყველაზე მკაფიოდ აყალიბებს ხალხური ყოფისა და ტრადიციების შესწავლისადმი მიძღვნილ საპროგრამო სტატიაში — „ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ“, რომელიც გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა 1887 წელს. ამ სტატიით ი. ჭავჭავაძე გამოეხმაურა ქართველი ინტელიგენციის პატრიოტულ თაოსნობას ზეპირი სიტყვიერების შეგროვება-პუბლიკაციის საქმეში, ეს წამოწყება დიდ ეროვნულ და საზოგადოებრივ მოვლენად მიიჩნია, მაგრამ როდესაც შემკრებლობითმა მუშაობამ ცალმხრივი ხასიათი მიიღო, მასალის შემგროვებლები მხოლოდ ხალხურმა პოეზიამ გაიტაცა, ხოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხური ტრადიციების შესწავლას ყურადღება არ მიაქციეს, ილიამ მდგომარეობა კრიტიკულად შეაფასა. მისი აზრით, ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის შესწავლა საჭიროებდა როგორც ხალხური სიტყვიერების, ისე და კიდევ უფრო მეტად ეთნოგრაფიული მასალის შეგროვებას. კომპლექსური კვლევის ეს მეთოდი ილიას მიერ შემდეგნაირადაა ფორმულირებული: „ამ ბოლო დროს ჩვენს განათლებულ საზოგადოებაში გაჩნდა ერთი საყურადღებო მოვლენა, რომელსაც დიდი გავლენა უნდა ჰქონდეს ხალხის გონებისა და ცნობიერების განვითარებაზე, ეროვნულ წარმატებაზედ. ეს მოვლენა სახალხო ლექსების შეკრება და ბეჭდვაა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. სამწუხაროდ, როგორც თითქმის ყოველთვის და ყველაფერში, სახალხო სიტყვიერების ნაწარმოებას შეკრების შესახებაც ცალკერძი გატაცება ეტყობა ჩვენს საზოგადოებას. აქაო-და სახალხო პოეზიას დიდი მნიშვნელობა აქვსო ჩვენის მწერლობისათვის და მდაბიო ხალხის ესთეტიურის გემოვნებისა და აზროვნების გასაცნობადო, ხელი მოვკიდეთ მარტო ამ პოეზიის შეკრებას და სხვა საგნები — კი ხალხის ნაწარმოებისა სრულიად დავიწყებული გვაქვს. მდაბიო ხალხის გონებითი და სხვადგვარი საუნჯე მარტო იმის ლექსებში ანუ პოეზიაში როდი გამოიხატება, არა, ეს საუნჯე უხვად დათესილი და დარჩენილია ისეთს ნაწარმოებებში, რომელნიც სრულებით არ ეკუთვნის პოეზიის სფეროს. ამგვარი, მაგალითებრ, ხალხის ჩვეულებანი, რომელნიც შეეხებიან ეკონომიურს და იურიდიულ ცხოვრებას“ (ი. ჭავჭავაძე, ტ. IV, გვ. 191).

ამ სტრიქონებით ი. ჭავჭავაძემ შემოხაზა ის სფერო, რომელიც თანამედროვე გაგებით მოიცავს ნივთიერი კულტურის, სამეურნეო ყოფის, სოციალური ურთიერთობისა და სულიერი კულტურის საკითხებს და გააერთიანა ერთ ცნებაში — „ხალხის ჩვეულებანი“. ილიამ აქვე აღნიშნა ყოფის შესწავლის პრაქტიკული მნიშვნელობა, რამდენადაც XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ხალხის ცხოვრებისათვის დამახასიათებელი იყო ძველი და ახალი ტრადიციების თანაარსებობა. ასეთი ვითარება თავისთავად მოითხოვდა მამა-პაპური წეს-ჩვეულებებისადმი ფაქიზ დამოკიდებულებას, ვინაიდან ბევრი არქაული ტრადიცია ჯერ კიდევ მოქმედების უნარს ინარჩუნებდა. საყოფაცხოვრებო ურთიერთობის მოწესრიგება ზოგჯერ მხოლოდ ტრადიციული წესების გამოყენებით იყო შესაძლებელი და არა ოფიციალური სახელმწიფო კანონმდებლობით. ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ი. ჭავჭავაძეს, როდესაც აღნიშნავდა: „უვალას, ვისაც კი უცხოვრია მდაბიო ხალხში, ეცოდინება, რომ ხალხს თავისი საკუთარი ეკონომიური წესწყობილება და იურიდიული ჩვეულებანი აქვს, რომლითაც ხელმძღვანელობს, როცა საჭიროება ამას მოითხოვს. მამულის გაყიდვა და დაგირავება, საქონლის გაბარება მოსაშენებლად, ერთურთ შორის აღებ-მიცემობა, სხვადასხვა მცირე დანაშაულობის გასამართლება და ათასი ამგვარი მოვლენა, სულ ხალხის ჩვეულების ძალით სწარმოებს, ხალხის ადათზეა დაფუძნებული და ამ ადათს ემორჩილება. ჯერ ეხლაც, ხალხმა დაწერილის კანონისა არა იცისრა და სასოფლო სასამართლოში რომ მიხვიდეთ, შეიტყობთ, რომ სოფლის მსაჯულები ადათითა და ჩვეულებით ხელმძღვანელობენ საქმის გადაწყვეტის დროს. მართალიც არის, მდაბიო ხალხის ეკონომიური და იურიდიული ცხოვრება ჯერ-ჯერობით ისე ვიწროთ და მკვიდრად შემოფარგლული წრეა, რომელსაც მაგრე მალე და ადვილად დაწერილი კანონი ვერ დაარღვევს და ვერ შეუვა“ (ტ. VI, გვ. 191-192).

საპროგრამო წერილში ილია თანდათანობით ავითარებს თავის შეხედულებას ქართველი ხალხის წეს-ჩვეულებების შესწავლის ორმხრივი მნიშვნელობის შესახებ. მისი შეხედულებით, ყოფისა და ტრადიციების ეთნოგრაფიული შესწავლა პასუხობდა მეცნიერების ინტერესებს, იმის საჭიროებას, რომ მკითხველს რეალური წარმოდგენა შექმნოდა წინაპართა ცხოვრების შესახებ. მისივე მტკიცებით, ეკონომიური, სოციალური და იურიდიული ურთიერთობის მოწესრიგებისათვის საჭირო იყო ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინება, რომლის შესაძლებლობას ქმნიდა ხალხური წეს-ჩვეულებების ცოდნა. ილიას თვალსაზრისით, „ფრიად სასარგებლო უნდა იყოს ყველა შეგნებული ქართველისათვის იცოდეს, — რაგვარ და რომელ ჩვეულებებს მისდევს მდაბიო ხალხი თავის ეკონომიურ და იურიდიულ ურთიერთობის შესახებ. ეს სფერა ცხოვრების მთელ სურათს გადაუშლის ჩვენს მოწინავე საზოგადოებას და ცხოვრების სურათი კიდევ დაგვანახებს ხალხის ავსა და კარგს, იმის შეხედულებას სამართალზედ, ერთურთის დამოკიდებულებაზე და სხვა“ (ტ. IV, გვ. 192).

ი. ჭავჭავაძე იქვე კიდევ უფრო აღრმავებს თავის შეხედულებას ეთნოგრაფიული მასალის, როგორც ისტორიული წყაროს დიდ მნიშვნელობაზე და ყოფა-ცხოვრებაში მისი გამოყენების შესაძლებლობაზე. ყოფისა და ტრადიციების შესწავლას ილია მიიჩნევდა დიდ საზოგადოებრივ საქმედ, რაც ქმნიდა როგორც ისტორიული წარსულის შესახებ ცოდნის გამდიდრების საფუძვლებს ,ისე ხალხის მდგომარეობის რეალური შეფასების შესაძლებლობას. ილიას რწმენით, „სადაც მდაბიო ხალხის ცხოვრების შესწავლა ნამდვილ გზაზედ არის დაყენებული, სადაც შეგნებული აქვთ, თუ რა საუნჯეა დარჩენილი სხვადასხვა ჩვეულებებში, იქ მდაბიო ხალხის ყოველგვარ ჩვეულებას, ცხოვრების ყოველგვარ საგანს ჯეროვან ყურადღებას აქცევენ და გამოუკვლევლად არაფერსა სტოვებენ. სწორედ ამგვარ შესწავლას და გამოკვლევას მოაქვს

სასარგებლო და კეთილი ნაყოფი, მხოლოდ ამნაირის შესწავლით და გამოკვლევით შეიძლება ყოველმხრივ შევიგნოთ ხალხის წარსული და აწმყო, იმისი ავი და კარგი, იმისი წადილი, საჭიროება. სადაც ასე არ არის, იქ ყოველთვის შესაძლოა შევცდეთ და ვერ შევიტყოთ, — რა სურს ხალხს და რას აქცევს ზურგს იგი“ (ტ. IV, გვ. 192).

ი. ჭავჭავაძე როდესაც ესოდენ რთულ ამოცანას უსახავდა ეთნოგრაფიული მასალების შემკრებთ, მათ კვლავ მოაგონებდა, რომ მარტოოდენ ფოლკლორული მასალების მიხედვით შეუძლებელია ყოფის ძირითად თავისებურებათა შესწავლა. თავისთავად ხალხურ ზეპირსიტყვიერებაშიც ასახულია არაერთი ეთნოგრაფიული მოვლენა, მაგრამ „მარტო პოეზიის მიხედვით დასკვნა და მსჯელობა ხალხის ცხოვრების საჭიროებაზედ და მის მოთხოვნილებაზედ შეცდომა იქნება და ამ შეცდომას საზარალო შედეგი უნდა მოჰყვეს. თუ ამ შემთხვევაში შეცდომის თავიდან აცილება გვსურს, პოეტურ შეხედულების გარდა ხალხის სხვა შეხედულებას და მსჯელობასაც ყური უნდა ვთხოვოთ, და ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ხალხის ყველაგვარი ნაწარმოები შესწავლილი გვექნება“ (ტ. IV, გვ. 193).

ყველა ზემოთ გადმოცემული შეხედულების მიხედვით გარკვევით ჩანს, რომ ილია მოითხოვდა კომპლექსურ კვლევას, ეთნოგრაფიული მონაცემების, ზეპირსიტყვიერებისა და ისტორიული წყაროების სრულად გამოყენებას. ეს შეხედულება გამოჩნდა მისი საპროგრამო წერილის დასკვნით ნაწილშიც, სადაც ის ქართველ მოღვაწეებს მოუწოდებდა: „ხალხის ცხოვრება ყოველმხრივ და ჰარმონიულად უნდა შევისწავლოთ; იმის ყოველგვარი გონებითი ნაწარმოები უნდა შევკრიბოთ (ტ. IV, გვ. 193). საამისოდ კი იგი თვლიდა, რომ ხალხურ პოეზიასთან ერთად „სხვა საგნებისაკენაც მიიხედოს განათლებულმა საზოგადოებამ“ (ტ. IV, გვ. 194). ასე ჰქონდა წარმოდგენილი ი. ჭავჭავაძეს ეთნოგრაფიული მასალის მნიშვნელობა, მაგრამ იგი მარტოოდენ თეორიულ მსჯელობას არ დაჯერდა. მის მიერ დასახული მიმართულება საჭიროებდა პრაქტიკულ ღონისძიებებს, მოწინავე ადამიანების ერთობლივ მონაწილეობას, რაზედაც თვით ი. ჭავჭავაძე წერდა: „საჭიროა, რომ ჩვენმა ნასწავლმა საზოგადოებამ ერთად თავი მოიყაროს, მოილაპარაკოს, აწონ-დაწონოს ყოველიფერი ამ საგნის შესახებ და პროგრამა შეადგინოს ზნე-ჩვეულებათა შეკრებისა და შესწავლისათვის. თუ ყველგან ამას მისდევენ, განა ჩვენთვის კი დრო არ არის?“ (ტ. IV, გვ. 194).

ი. ჭავჭავაძე ქართველ მოღვაწეებს როდესაც ასეთ დიდ ამოცანას უსახავდა, ეთნოგრაფიული მასალის შეკრებას საქვეყნოდ გავრცელებულ მოვლენად თვლიდა და სხვა ქვეყნების მაგალითით ამხნევებდა მათ, მწერალს მხედველობაში ჰქონდა ეთნოგრაფიით დიდი დაინტერესება რუსეთსა და დასავლეთის ქვეყნებში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XIX საუკუნის მეორე ნახევარში ეთნოგრაფია ამ ქვეყნებში მეცნიერების ცალკე დარგად ჩამოყალიბდა და მას კვლევაძიების დიდი ასპარეზი შეექმნა. ეს მოვლენა დაკავშირებულია კაპიტალისტური ურთიერთობის ფართო მასშტაბით განვითარებასთან, როდესაც ეთნოგრაფია, ისევე როგორც მეცნიერების სხვა დარგები, აღმავალი ბურჟუაზიის სამსახურში ჩადგა და ვითარდებოდა ცალკეული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის, პოლიტიკური ამოცანებისა და ეროვნული ინტერესების შესაბამისად. იმ ქვეყნებში, რომლებიც სხვისი ტერიტორიების დაპყრობისა და სხვა ხალხების დამორჩილების პოლიტიკას ახორციელებდნენ, ეთნოგრაფიის ძირითად მიზანს შეადგენდა კოლონიური ხალხების ყოფისა და კულტურის შესწავლა, რათა მათი ჩამორჩენილობის დამტკიცებისა და ცივილიზაციის შეტანის საჭიროების მოტივით გაემართლებინათ კოლონიური მეთოდები. ასეთ ქვეყნებში საკუთარი ხალხის ეთნოგრაფიულ შესწავლას შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ამ მხრივ სულ სხვა მიზანდასახულობის წინაშე აღმოჩნდა ეთნოგრაფია იმ ქვეყნებში, რომლებიც ნაციონალურ ჩაგვრას განიცდიდნენ. ასეთ ქვეყნებში ეროვნული თავისთავადობის ერთ-ერთ მყარ საფუძველს წარმოადგენდა საუკუნეებს გამოვლილი ყოფის, კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნება, რაც თავის მხრივ მოითხოვდა სათანადო მონაცემების გამოვლინებას, კვლევას და მასებში მისი ცოდნის განმტკიცებას. ამ საპატიო ამოცანის გადაწყვეტაში მთავარი როლი დაეკისრა ეთნოგრაფიას, რაც საკუთარი ხალხის შესწავლის მიმართულებით ვითარდებოდა და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესებს ემსახურებოდა.

საკუთრივ, ერთი ქვეყნის შიგნითაც (მაგალითად, რუსეთში), ეთნოგრაფია ორი სხვადასხვა მიმართულებით ვითარდებოდა. განვითარების პირველი მიმდინარეობა იყო კონსერვატიული, რეაქციული, რომელიც გამოხატავდა გაბატონებული კლასების ინტერესებს. ამ გზას ადგა აზნაურულ-მემამულური და სახელისუფლო ეთნოგრაფია — გვიანდელი მემამულურ-ბურჟუაზიული ეთნოგრაფია. ამავე დროს ეთნოგრაფიაში არსებობდა პროგრესული — რაზნოჩინული, რევოლუციურ-დემოკრატიული მიმდინარეობა. ბრძოლა ამ ორ მიმართულებას შორის მაგისტრალურად გასდევს რუსული ეთნოგრაფიის ისტორიას.

საქართველოში, XIX საუკუნისათვის ერთ-ერთ დამახასიათებელ მომენტს შეადგენდა ეროვნული ეთნოგრაფიის განვითარება, რასაც წარმატებით ლიდერობდა ილია ჭავჭავაძე, ვინაიდან ქართველი ხალხის ისტორიასა და ეთნოგრაფიასთან ერთად ის შესანიშნავად იცნობდა იმდრო-

ინდელ მიღწევებს ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში. ქართულ სინამდვილეში ფიქსირებული ფაქტობრივი მონაცემების გაანალიზების დროს იგი ხშირად იმოწმებდა გამოჩენილ ევროპელ და რუს მეცნიერთა ნაშრომებს (ტეილორი, ლებოკი, ვებერი, ჰომელი, ლენორმანი, ნიკოლსკი, ანუჩინი და მრავალი სხვა). ამასთან ერთად, ილიას შესწავლილი ჰქონდა არსებული ქართული ისტორიული წყაროები. ამდენად, ქართველ საზოგადო მოღვაწეებს ეთნოგრაფიული მუშაობის გაფართოებას და ამ მხრივ სხვა ქვეყნებისადმი მიმბაძველობას ილიას სახით უქადაგებდა ღრმად განსწავლული მოღვაწე, რომლის შეხედულებით მეცნიერულ ნიადაგზე ქართული ეროვნული ეთნოგრაფიის განვითარების პირველ აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ხალხში შემორჩენილი მასალების შეგროვება და ამ გზით უნიკალური ისტორიულ-ეთნოგრაფიული წყაროს დაღუპვისაგან გადარჩენა.

ეთნოგრაფიულ მასალას ი. ჭავჭავაძე ისტორიული წყაროს მნიშვნელობას ანიჭებს არა მარტო ზემოთ განხილულ საპროგრამო წერილში, არამედ მრავალ სხვა ნაშრომშიც. „ხალხის ყოველ-გვარ ნაწარმოებთა“ რიგში იგი აყენებს ზეპირსიტყვიერების ისეთ ნიმუშებს, როგორიცაა ზღაპრები და თქმულებები. მისი დაკვირვებით, ამ რიგის მასალების გამოყენება შესაძლებელია წყაროდ მმართველობის უძველესი ფორმების, საზოგადოებრივი ურთიერთობის, ზნე-ჩვეულებისა და სულიერი კულტურის შესწავლისათვის მით უფრო, რომ „ყოველივე ეს, თუ ისტორიის წინად-ყოფილ დროს ავიღებთ, ცხრა კლიტით დაკეტილი სალაროა და განძი ზღვაშია გადაგდებული“. ილია იქვე შენიშნავს, რომ „ადამიანის გონებამ მაინც იპოვა ეს გასაღები და ამ სალაროს კარი გაგვიღო ცოტად თუ ბევრად. ეს გასაღები ზოგში იგი ამბებია, რაც ადამიანს დაუხსომებია ზღაპრულად“ (ტ. IV, გვ. 29).

ი. ჭავჭავაძე, ფოლკლორული მასალის ასეთ შეფასებასთან ერთად, მისდამი კრიტიკულ დამოკიდებულებასაც სავალდებულოდ თვლის. ისტორიულ- ეთნოგრაფიულ კვლევაში ზღაპრებსა და თქმულებებს ილია უფრო მეტ ნდობას უცხადებს ხალხური წეს-ჩვეულებათა ასახვას მხრივ, მაგრამ ისტორიული ფაქტების დასადგენად ამ რიგის მასალა საეჭვოდ მიაჩნია. ილიას კონცეფციით, „ეს ზღაპარ-ნარევი ამბები, თქმულებანი, რა თქმა უნდა, მოწმად და საბუთად მოსატანი არ არიან რომელისამე ყოფილის საქმისა .ამ მხრივ იგინი ძალიან ცოტად დასაჯერნი და სანდონი არიან, მაგრამ ხშირად ამისთანა ამბებში ვპოულობთ ბევრს მართალს აღწერას ზნე-ჩვეულებისას“ (ტ. IV, გვ. 29).

ჭეშმარიტად შესწავლილი და კრიტიკულად გააზრებული ეთნოგრაფიული მასალის გამოუყენებლად ილია ნორმალურ მოვლენად არ თვლიდა ქართველი ერის ისტორიის საკითხების გაშუქებაში. მას ვერ აკმაყოფილებდა „ქართლის ცხოვრებაში“ შესული საისტორიო თხზულებები, რადგან მასში კანტი-კუნტად არის ან სრულებით არ მოიპოვება „ფაქტები ჩვენი ხალხის ცხოვრების შესახებ... ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული, თითქო ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია“ (ტ. IV, გვ. 175).

როგორც თანამედროვე ისტორიული მეცნიერების მიღწევებიდან ნათლად ჩანს, მშრომელი ხალხის, როგორც მწარმოებელი ძალის ისტორიის, საუკუნეების სიგრძეზე დაგროვებული სამეურნეო ცოდნა-გამოცდილების და ტრადიციების შესწავლა სწორედ ეთნოგრაფიის საგანს წარმოადგენს. ეკონომიური და სოციალური ურთიერთობის ამსახველი წერილობითი წყაროების გვერდით ეთნოგრაფიული მასალაა ის მნიშვნელოვანი წყარო ხალხი სისტორიის შესწავლისათვის, რომლის ნაკლებობას ახე განიცდიდა ქართული კულტურის ეს დიდი მესვეური.

ხალხის ყოფისა და კულტურის შესწავლისათვის ილია თუ ეთნოგრაფიულ მასალას ძირითად წყაროდ მიიჩნევდა და ფოლკლორულ მონაცემებსაც ამ მხრივ გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდა, მათ პარალელურად ის მოითხოვდა აგრეთვე არქეოლოგიური და ლინგვისტური მასალების გამოყენებასაც, მაგრამ ეთნიკური შედგენილობის გარკვევის, მოსახლეობის მოძრაობის პროცესის თუ ყოფის შესწავლაში მეცნიერების ყველა ზემოხსენებულ დარგს ილია დამხმარე საშუალებად თვლიდა და გადამწყვეტ სიტყვას ეთნოგრაფიას აკუთვნებდა. ილიას აზრით, „ეთნოლოგიური აღწერა კაცთა ნათესავისა, ყოველის ცალკე თესლისა მთელს დედამიწის ზურგზედ, ბევრს რასმე მოგვითხრობს მასზედ, თუ ვინ და რა საიდამ ჩამოსულა, როგორ უვლია და სადამდე მოსულა“ (ტ. IV, გვ. 29).

ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის ილია საკმარისად არ თვლიდა მარტოოდენ ქართული მასალების გამოყენებას. მისი შეხედულებით, როდესაც ამა თუ იმ მოვლენის ახსნა ადგილობრივი მონაცემების საფუძველზე შეუძლებელია, საჭიროა შესადარებელი მასალების მოშველიება სხვა ხალხების ცხოვრებიდან. თვით ი. ჭავჭავაძე არაერთგზის იყენებდა შედარებითი კვლევის მეთოდს როგორც უძველესი ეპოქიდან შემორჩენილი რელიგიურ-სოციალური გადმონაშთების რაობის გასარკვევად, ისე მოძველებული შეხედულების უარყოფის ან ახალი დებულების დამტკიცების მიზნით. ილიას მიერ შედარებითი მეთოდის გამოყენება ნაკარნახევი იყო იმ აუცილებლობით, რომ აღედგინა „აზრი ჩვეულებისა, რომელიც ოდესღაც ასულდგმულებდა თითონ ჩვეულებას. ამ გზით იგი ხელს უწყობს გაგებას და ახსნას ეხლანდელისას, რომელიც თუმცა შერჩენია ცხოვრებას,

მაგრამ არც თავი უჩანს, არც ბოლო, და სასაცილოდ-ღა ასაგდები გაგვხდომია, მაშინ როდესაც ერთს დროს თავისი შემაწუხარებელი მიზეზი ჰქონია და, მაშასადამე, საპატიო ყოფილა. ისტორია სხვა რაა, თუ არა გამორკვევა, თუ არა ახსნა აწმყოსი წარსულისაგან" (ტ. IV, გვ. 35).

შედარებითი მეთოდის გამოყენებით ილიამ საქართველოს ეთნოგრაფიის სფეროდან მრავალი საკითხის მეცნიერული გააზრება შესძლო. მაგრამ სხვა ხალხების ყოფის ელემენტებთან ქართულის მსგავსების მიზეზების ახსნის დროს იგი არ გამოდის სესხების აუცილებლობიდან. ილია უმთავრეს ყურადღებას აქცევს სპეციფიკურ თავისებურებას იმ ქვეყნისას, სადაც ესა თუ ის მოვლენა იქნა ფიქსირებული და ადგილობრივი მონაცემებით ცდილობს მის გარკვევას. ილიას შეხედულებით, „ყველაზედ უწინარეს კაცმა გონება უნდა მიაქციოს ადგილობრივს ვითარებას, რადგანაც ყოველ საგანს აქვს ამ შემთხვევაში თავისი სათავე, თავისი ძირი და თავისი გზა მსვლელობისა და განვითარებისა" (ტ. IV, გვ. 118).

ამა თუ იმ მოვლენის აღმოჩენა-შესწავლის პირველ პირობად ილია სახავს ადგილობრივი ვითარების ცოდნას და გათვალისწინებას, მაგრამ კვლევის ამ საფეხურზე შეჩერებას იგი დამაკმაყოფილებლად მაინც არ მიიჩნევს. როგორც ილია წერს, „ძალიან შესცდება ის, ვინც მარტო ამას დასჯერდება და მარტო აქედან გამოიყვანს თავის დასკვნას. ბევრი, ძალიან ბევრიც, იმისთანა ნაშთია საზოგადოებრივის თუ ეკონომიურის წყობისა, რომელიც თუმცა არსებობს, მსვლელობის კვალი კი წაშლილი აქვს ჟამთა მდინარეობისაგან და ამის გამო მისი ვერც თავი გაიგება, ვერც ბოლო, თუ მარტო ადგილობრივს ვითარებას შეაჩერდა კაცი. ამ შემთხვევაში აუცილებლად საჭიროა იგივე საგანი გამოიძიოს სხვა ქვეყნებშიც, სხვა ქვეყნების ისტორიაც მოიშველიოს" (ტ. IV, გვ. 118).

ამგვარად, ი. ჭავჭავაძის გაგებით, მოვლენის შესწავლა უნდა ხდებოდეს თავდაპირველად მისი წარმომქმნელი პირობების ადგილზე გარკვევის, ხოლო შემდეგ პარალელური ანალოგიების დაძებნის გზით, რათა შესაძლებელი გახდეს სპეციალური და ზოგადი ნიშნების დადგენა, მისი ბუნების შედარებით ზუსტი შეცნობა და გავრცელების არეალის განსაზღვრა.

ი. ჭავჭავაძის შეხედულება ეთნოგრაფიული მეცნიერების ამოცანებისა და ეთნოგრაფიული მუშაობის მეთოდის შესახებ სახელმძღვანელო დებულებად იქნა აღიარებული ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შორის. ილიამ თითოეულ მათგანს ამოცანად დაუსახა საქართველოს ყველა კუთხის შესწავლა; ასე, მაგალითად, ფშავ-ხევსურეთში ეთნოგრაფიულ მასალებს კრებდა და პრესაში ფრიად საინტერესო ნარკვევებს აქვეყნებდა ამ კუთხის შეუდარებელი მცოდნე ვაჟა-ფშაველა. იქ ასეთსავე მუშაობას ეწეოდა ნიკო ხიზანაშვილი (ურბნელი), რომელსაც თიანეთის მაზრაში ხანგრძლივი სამსახურის გამო შესაძლებლობა მიეცა კარგად გასცნობოდა მთიულების ყოფა-ცხოვრებას და გამოექვეყნებინა შესანიშნავი ნაშრომები სოციალური ურთიერთობის, რელიგიისა და რიგი სხვა საკითხების სფეროდან. ასეთივე გულმოდგინებით ხევში მასალებს კრებდა და ქართულ პრესაში ეთნოგრაფიულ წერილებს აქვეყნებდა ალ. ყაზბეგი, საინგილოში — დიმიტრი და მოსე ჯანაშვილები, სამცხე-ჯავახეთში — ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი), სვანეთში — ბესარიონ ნიჟარაძე (თავისუფალი სვანი), აფხაზეთში — პეტრე ჭარაია და ნიკო ჯანაშია, აჭარაში, გურიაში, სამეგრელოსა და აფხაზეთში — თედო სახოკია და ა. შ.

ხსენებულ მოღვაწეთა ეთნოგრაფიული წერილების გამოქვეყნების საქმეშიც ილია დიდ მზრუნველობას იჩენდა. ამას გვიჩვენებს პირველ რიგში გაზეთი „ივერია", რომლის ფურცლებზე ილიას რედაქტორობით სისტემატურად იბეჭდებოდა როგორც ეთნოგრაფიული მასალები და წერილები, ისე სახალხო დადგენილებანი დრომოჭმულ წეს-ჩვეულებათა მოსპობის ან შეზღუდვის მიზნით. საყურადღებოა, რომ ყოველ ასეთ ღონისძიებას საფუძვლად ედო ადგილობრივ წეს-ჩვეულებათა საფუძვლიანი შესწავლა და კრიტიკულად შეფასება ისეთი მოვლენებისა, რომლებიც აღარ შეესაბამებოდნენ ეპოქის მოთხოვნილებებს.

იმასთან ერთად, რომ ი. ჭავჭავაძე სათავეში ედგა ეთნოგრაფიული მასალების შეკრება-პუბლიკაციის საქმეს, ის თვითონ იყო ამ შემკრებლობითი მუშაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილეც. სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დღიდან მის სმხატვრულსა და პუბლიცისტურ შემოქმედებას ეთნოგრაფიაში მოღვაწეობაც ორგანულად ერწყმის. რუსეთიდან დაბრუნებულმა მწერალმა შემოალო თუ არა დარიალის კარები, მოხევეს გაესაუბრა და არაჩვეულებრივი სიზუსტით აღბეჭდა თავის უკვდავ „მგზავრის წერილებში" მთხრობლისაგან მოსმენილი ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტები. ეთნოგრაფიული მასალები ილიას გამოყენებული აქვს სხვა მხატვრულ ქმნილებებშიც, უმთავრესად მოთხრობებსა და პოემებში, ხოლო პუბლიცისტურ ნაწერებში მოცემულია ეთნოგრაფიული მასალის მეცნიერული ანალიზი, განხილულია არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის, სოციალური ურთიერთობისა და სულიერი კულტურის სფეროდან, ზოგი საკითხის შესწავლაში გამოყენებულია სპეციალური ლიტერატურა და მოცემულია მრავალი ამ საკითხის განზოგადოება. ილიას დიდი დამსახურება ეთნოგრაფიაში იქიდანაც კარგად ჩანს, რომ იგი იყო მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა

და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საიმპერატორო საზოგადოების ნამდვილი წევრი.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ილია ჭავჭავაძის თაოსნობით გაშლილმა ეთნოგრაფიულმა მუშაობამ დიდი როლი შეასრულა ქართული ეთნოგრაფიის შემდგომ განვითარებაში. ის დიდი მემკვიდრეობა, რაც ამდროინდელი მოღვაწეების დაუღალავი შრომით და პატრიოტული ენთუზიაზმით შეიქმნა, ქართული ეთნოგრაფიის ისტორიის მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს. ილიას გარდაცვალების შემდეგ ეთნოგრაფიული მუშაობა გააგრძელა ქართულმა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ე. თაყაიშვილის თაოსნობით, ხოლო ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის ძირითადი პრობლემების კვლევას და საველე მუშაობის თუ სამეცნიერო კვლევის მეთოდს მყარი საძირკველი ჩაუყარა ივ. ჯავახიშვილმა. მისმა ფუძემდებლურმა შრომებმა საშინაო ყოფის, სოციალური ურთიერთობის ფორმებისა და სულიერი კულტურის სფეროში გეზი მისცა ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის განვითარებას.

ჩვენს ეპოქაში ეთნოგრაფიას განსაკუთრებით დიდი მისია აკისრია. მის ამოცანას შეადგენს როგორც ძველი ყოფისა და ტრადიციების, ისე ახალი მოვლენების ყოველმხრივი შესწავლა თანამედროვეობის პრაქტიკულ ამოცანებთან კავშირში. ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებას [illegible] მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ 1975 წლის ნოემბერში მიღებული დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმა „კომპლექსურად, მეცნიერულ საფუძველზე გამოიკვლიონ ქართველი ხალხის ძველი ტრადიციების გენეზისი, ფესვები და გამძლეობის ფაქტორები“. ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებაში მთავარი სიტყვა ეთნოგრაფიას ეკუთვნის, რამდენადაც ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს, რასაც დადგენილება ეხება, ძირითადად ეთნოგრაფია სწავლობს. ამ ესოდენ საპატიო ამოცანის გადაწყვეტისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიულ ეთნოგრაფიას, სახელდობრ XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოპოვებულ მდიდარ მემკვიდრეობას, რომლის შექმნის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ილია ჭავჭავაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ანთელავა

# „ხელმწიფის კარის გარიგების“ დათარიღებისათვის

„ხელმწიფის კარის გარიგება“ საქართველოს შუა საუკუნეთა ისტორიის უმნიშვნელოვანესი და უძვირფასესი წყაროა. ამ დოკუმენტის აღმომჩენი და პირველი გამომცემელი ე. თაყაიშვილი მას ათარიღებდა XIV საუკუნის პირველი ნახევრით. იგი აღნიშნავდა: „ძეგლი უნდა ეკუთვნოდეს მეთოთხმეტე საუკუნეს, განსაკუთრებით გიორგი ბრწყინვალის დროს (1318-1346)“.[1] ე. თაყაიშვილის დათარიღებას მხარი დაუჭირა ი. ჯავახიშვილმა.[2] XIV საუკუნითვე დაათარიღეს „ხელმწიფის კარის გარიგება“ ძეგლის შემდგომმა გამომცემლებმა ი. დოლიძემ[3] და ი. სურგულაძემ.[4] ხსენებული დათარიღება მიღებულია „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ III ტომშიაც.[5]

უკანასკნელ ხანს შ. მესხიამ სერიოზული ეჭვი გამოთქვა „ხელმწიფის კარის გარიგების“ ტრადიციულად ქცეული დათარიღების საფუძვლიანობაში. მან მიუთითა, რომ „დღეს უყოყმანოდ გაზიარებული თვალსაზრისი — მისი გამოცხადება XIV ს. პირველი ნახევრის ძეგლად გადასინჯვას საჭიროებს“.[6] შ. მესხიამ, სხვა არგუმენტებთან ერთად, მიუთითა იმაზეც, რომ „ხელმწიფის კარის გარიგების“ ცნობით, მანდატურთუხუცესობა და ამირსპასალარობა „შანშეთ სახლისა“, ე. ი. მხარგრძელების სახლისა იყო.[7] XIII საუკუნის მიწურულიდან კი, როგორც სამართლიანად მიუთითა შ. მესხიამ, მანდატურთუხუცესობა „შანშეთ სახლისა“ კი აღარ იყო, არამედ ჯაყელების სახლისა.[8] ამიტომაც, შ. მესხიას აზრით, „ხელმწიფის კარის გარიგება“ XIII საუკუნის მეორე ნახევარში უნდა იყოს შედგენილი და არა XVI საუკუნის პირველ ნახევარში.[9]

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ შ. მესხიას აზრს, რომ „ხელმწიფის კარის გარიგება“ არაა XIV საუკუნის პირველი ნახევრის ძეგლი. ამასთან, საშუალება გვაქვს მოვიტანოთ სხვა არგუმენტებიც საამისოდ. შესაძლებელია „ხელმწიფის კარის გარიგების“ შექმნის უფრო ზუსტი დათარიღებაც.

ჩვენთვის საინტერესო დოკუმენტში მოიპოვება რამდენიმე საყრდენი, რომელიც საშუალებას გვაძლევს საკმაოდ დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ „ხელმწიფის კარის გარიგება“ შექმნილია არა გიორგი ბრწყინვალის დროს, არამედ დავით ნარინის კარზე, მისი მეფობის მიწურულს, ე. ი. XIII საუკუნის 90-იან წლებში.

„ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ორჯერ მოიხსენიება „პატრონი“, ე. ი. მეფე, მისი სახელის აღუნიშნავად.[10] ჩვენი აზრით, ეს „პატრონი“ დავით ნარინია. „კარის გარიგების“ ავტორი აღნიშნავს: „საწოლის მწიგნობრის წვევა დაუწერია და პატრონისაგან არ მასმია, მისმან კეთილმან! და ალის ქალას, ოდეს მათი შვილი მოვიდა, შეიყარნეს, კათალიკოზი თანა ჰყვა და ალს ეკლესიის კარს დგა. და რა წვევას ჟამი მოვიდეს, საწოლის მწიგნობარი ინასარიძე პატრონს წინაშე დგა და პატრონმან ბრძანა: „ვინ უწყის კათალიკოზიო“. და მიბრძანეს მე ვაწვიე. ამის სიტყვისათვის სოფრომისძე იტყვის: მე მეორეს წელს ეგრე ბრძანა: „ამირეჯიბს მართებსო... მაშინ ამირეჯიბი ქვაბლიძე... არა იყო მანდა“.[11]

ციტირებულ ტექსტში, ჩვენი აზრით, საუბარი უნდა იყოს დავით ნარინისა („პატრონი“) და მისი ვაჟის, აღმოსავლეთ საქართველოს მეფის ვახტანგის შეხვედრაზე ალის ქალას. როგორც ცნობილია, 1289 წელს, დემეტრე თავდადებულის სიკვდილით დასჯის შემდეგ, აღმოსავლეთ საქართველოში გამეფდა დავით ნარინის უფროსი ვაჟი ვახტანგი.[12] ვახტანგი სულ სამი წელი იყო მეფედ[13] და ალის ქალას დავით ნარინისა

და ვახტანგის შეხვედრა დაახლოებით 1289-1292 წლებს შორის უნდა მომხდარიყო. შემთხვევითი არ იყო შეხვედრის ადგილად ალის არჩევაც, რომელიც ახლო იყო აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოთა სამეფოების საზღვართან. „ხელმწიფის კარის გარიგების“ ციტირებულ ადგილას რომ ნამდვილად დავით ნარინისა და მისი ვაჟის ვახტანგის შეხვედრაზე უნდა იყოს საუბარი, ამტკიცებს ამ შეხვედრის ზოგიერთი დამსწრისა თუ დასახელებული პირების ვინაობა. ალის ქალას შეხვედრის დამსწრენი ყოფილან ვინმე სოფრომის ძე, საწოლის მწიგნობარი ინასარიძე, „კარის გარიგების“ ანონიმი ავტორი და სხვანი. მითითებულია, რომ ამირეჯიბი ქვაბლიძე ავად იყო („უგემურად იყო“ და არ ესწრებოდა შეხვედრას.

შევეხოთ ვინმე სოფრომისძის ვინაობას. სოფრომისძე, როგორც მითითებულია სამეცნიერო ლიტერატურაში, „ხელმწიფის კარის გარიგების“ მსგავსი თხზულების ავტორი უნდა ყოფილიყო.14 ხსენებული სოფრომის ძე უნდა იყოს ოპიზარი ბერი ილარიონი, რომელიც მოიხსენიება იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ხელნაწერთა ანდერძში.15 ილარიონ ოპიზარი დავით ნარინის დავალებით XIII საუკუნის 70-იან წლებში იმყოფებოდა იერუსალიმში და შეესწრო 1274 წელს ჯვარის მონასტრის მუსულმანთა მიერ „დატყვევებას“.16 „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ მოხსენებული სოფრომისძე და „მეფეთ-მეფისა დავითის მოძღვარი ოპიზარი ბერი ილარიონი“ რომ ერთი და იგივე პირია, ეჭვმიუტანლად დასტურდება ერთ სახარების ანდერძმინაწერით: „...დავწერე ანდერძი ესე ამა წმინდასა სახარებასა შინა მეფისა მოძღუარმან ბერმან ილარიონ (sic) სოფრომის ძემან მას ჟამსა ოდეს პატრონმან დავით მეფემან ძემან რუსუდანისამან ოპიზით წარმომიყვანეს და გელათს ქედს წმიდათა მთავარანგელოზთა წინაშე მამყოფეს“.17 „მოძღუარს ჩუენს ილარიონს“ იხსენიებს დავით ნარინი გელათისადმი ბოძებულ სიგელშიაც.18

ამრიგად, დგინდება, რომ სოფრომის ძე იყო დავით ნარინის მოძღვარი ოპიზარი ილარიონი.

დავით ნარინის და არა გიორგი ბრწყინვალის გარემოცვაზე მიგვითითებს ამირეჯიბი ქვაბულიძეც, რომელიც ავადმყოფობის გამო არ ესწრებოდა ალის ქალის შეხვედრას. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ მოხსენიებული ამირეჯიბი ქვაბლიძე უნდა იყოს იგივე პირი, რომელიც დადასტურებულია დავით ნარინის ცოლის, თამარ ემენელაშვილის ასულის სიგელში. დედოფლის სიგელში აღნიშნულია: „კითხვითა და ბრძანებითა ღმრ(თ)ისა სწორისა მეფეთ-მეფისა დავითისათა... ვიყიდე სოფელი კვახჭირი მათისა ამირაჯიბის ქობულისძისა ბეღასაგან“.19

სამეცნიერო ლიტერატურაში სავსებით სწორადაა შენიშნული, რომ „ხელმწიფის კარის გარიგება“ დასავლეთ საქართველოში უნდა იყოს შექმნილი, რაზეც მრავალი რეალია მიუთითებს.20 ამას ადასტურებს საწოლის მწიგნობრის ინასარიძის გვარიც, რომელიც უნდა იყოს XIII საუკუნის მიწურულს და XIV საუკუნის დამდეგს იერუსალიმის აღაპებში მოხსენიებული ინასარიძეების სახლიდან.21

ამრიგად, ვფიქრობთ საკმაო საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ მოხსენებული „პატრონი“ არის დავით ნარინი; სოფრომისძე — დავით ნარინის მოძღვარი ილარიონ ოპიზარი, ხოლო ამირეჯიბი ქვაბლიძე — დავით ნარინის ამირეჯიბი ბეღე ქობულისძე.

შესაძლებელია გამოითქვას ვარაუდი, რომ „ხელმწიფის კარის გარიგება“ შედგენილი უნდა იყოს დავით ნარინის სიცოცხლეშივე, მისი მეფობის მიწურულს. დოკუმენტი რომ დავით ნარინის მეფობის მიწურულსაა შედგენილი, ამას რამდენიმე გარემოება ამტკიცებს; დოკუმენტში აღწერილი ფაქტი დავით ნარინისა და ვახტანგის შეხვედრისა ალის ქალას, რომელიც აღნიშნულისამებრ 1289-1292 წლებში უნდა მომხდარიყო; ნარინის ძე ვახტანგისა და მისი ძმის კონსტანტინეს „დალოცვილ“ მეფეებად მოხსენიება.22 გარიგებაში აღნიშნულია, რომ ქუთაისის საყდარში „პირველ ვახტანგ დალოცეს და მერმე კონსტანტინე“.23 ამან შეიძლება შეგვიქმნას შთაბეჭდილება, რომ დავით ნარინი გარდაცვლილია, მაგრამ საფიქრებელია, რომ აქ ვახტანგისა და კონსტანტინეს დავით ნარინის თანამოსაყდრეებად „დალოცვა“ უნდა იგულისხმებოდეს და არა მათი მეფედ კურთხევა მამის სიკვდილის შემდეგ. ვახტანგი უფრო ადრე გარდაიცვალა, ვიდრე მამამისი დავით ნარინი და ცხადია „პირველ ვახტანგის დალოცვაში“, რაც ქუთაისის საყდარში მომხდარა, მხოლოდ მისი თანამოსაყდრეობა შეიძლება იგულისხმებოდეს. აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ ვახტანგი აკურთხეს არა ქუთაისში, არამედ აღმოსავლეთ საქართველოში. ჟამთააღმწერლის ცნობით, აღმოსავლეთ საქართველოს დიდებულებმა ვახტანგი „დასუეს ტახტსა სამეფოსა და აღასრულეს წესი კურთხევისა“.24 ვახტანგის თანამოსაყდრეობა დოკუმენტურადაც დადასტურებულია.25 აღმოსავლეთ საქართველოში დავით ნარინის თანამოსაყდრე ვახტანგის გამეფებისა და მცირე ხნის შემდეგ მისი სიკვდილისთანავე, უეჭველია დავით ნარინმა კონსტანტინე „დაალოცვინა“ თანამოსაყდრედ. ასე რომ, ჩვენი აზრით, „ხელმწიფის კარის გარიგება“, რომელზეც მუშაობაც ალბათ დიდხანს გრძელდებოდა, დავით ნარინის სიცოცხლეშივე უნდა იყოს დასრულებული. იმ ფაქტს, რომ დოკუმენტის დასრულებისას დავით ნარინი ცოცხალი იყო, ზოგიერთი დეტალიც გვემოწმება. ძეგლის ავტორი არც ვახტანგსა და არც კონსტანტინეს „პატრონობით“ არ იხსენიებს. მისთვის „პატრონი“ ერთია და იმდენად

ცნობილი, რომ მისი სახელის მოტანასაც არ თვლის საჭიროდ. ყურადსაღებია ასეთი დეტალიც: „პატრონისაგან არ მასმია, მისმან კეთილმან“. გამოთქმა „მისმან კეთილმან“ მიუთითებს, რომ ის, ვისაც იგი მიემართება, ცოცხალია. გარდაცვლილ „პატრონზე“, თუ ანალოგიებით ვიმსჯელებთ, ავტორს უნდა ეთქვა: „სულკურთხეული პატრონი“, ან „სანატრელი პატრონი“.

ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ხელმწიფის კარის გარიგების“ ანონიმი ავტორი მეფის დაახლოებულ წრეს ეკუთვნოდა, რაკი მას საშუალება ჰქონდა პირადად მოესმინა „პატრონის“ აზრები სამეფო კარის ეტიკეტის ამა თუ იმ საკითხზე. იგი ესწრებოდა ალისჭალის შეხვედრას და სხვ. ამასთან, უეჭველია, რომ „გარიგების“ ავტორი უაღრესად განათლებული პიროვნება იყო. ცხადია, ასეთი პირი სათანადო ასაკისაც იქნებოდა და საეჭვოა რომ იგი ცოცხალი ყოფილიყო თითქმის ორმოცი წლის შემდეგაც, როდესაც გიორგი ბრწყინვალემ კვლავ გააერთიანა აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო.

ყოველივე ზემონათქვამი, ვფიქრობთ, გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ:

1. „ხელმწიფის კარის გარიგება“ შედგენილია XIII საუკუნის 90-იან წლებში.

2. დოკუმენტში მოხსენებული „პატრონი“ არის დავით რუსუდანის ძე.

3. ვინმე სოფრომის ძე, რომელსაც თავისი წვლილი შეუტანია სამეფო კარის ეტიკეტის დადგენაში, არის დავით ნარინის მოძღვარი ოპიზარი ილარიონი.

შენიშვნები:

1 ციტ. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბილისი, 1967, გვ. 421.

2 ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი 1, ტფილისი, 1928, გვ. 67.

3 ქართული სამართლის ძეგლები, ც. II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი, 1965, გვ. 80-97, 601-608.

4 ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის გამოცემა, თბილისი, 1970. იხ. მისივე სტატია „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“, ტ. III, გვ. 5.

5 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბილისი, 1979, გვ. 850.

6 შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბილისი, 1979, გვ. 71.

7 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 96, შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 71, სქოლიო 1.

8 იქვე.

9 იქვე.

10 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 89-90.

11 იქვე, გვ. 90.

12 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 607.

13 ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 295.

14 იხ. ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, გვ. 66.

15 ნ. მარი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, თბილისი, 1955, გვ. 35, 62.

16 იხ. პ. ინგოროყვა, თხზულებანი, ტ. I, თბილისი, 1963, გვ. 740.

17. ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 399.

18 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 74.

19 იქვე, გვ. 75.

20 იხ. ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, გვ. 66.

21 ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბილისი, 1962, გვ. 156, 160 და სხვ.

22 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 91.

23 იქვე.

24 ჟამთააღმწერელი, გვ. 293.

25. იხ. საისტორიო მოამბე, ტ. I, ტფილისი, 1925, გვ. 233; მ. ბერძენიშვილი, ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან, ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. V, თბილისი, 1978, გვ. 55.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავთანდილ ნიკოლაიშვილი

# მწერალი და ჯარისკაცი

## დავით კვიცარიძის დაბადებიდან 60 წლის გამო

თავისი რჩეული ნაწარმოებების წინასიტყვაობაში დავით კვიცარიძე აღნიშნავდა: „მე ვიყავი ჯარისკაცი ომში. ვიბრძოდი ისე, როგორც ეკუთვნოდა და ეკადრებოდა საბჭოთა ადამიანს, ქართველი კაცის ღირსებას. და მინდა, ძალიან მინდა, მწერლობის გზაზე, ყველა გზათა შორის უმძიმეს და ურთულეს გზაზეც, პატიოსანი ჯარისკაცის სახელი მერქვას. ესაა ჩემი ნატვრა“.

ამავე წინასიტყვაობაში მწერალმა მკითხველს მიანიშნა თავისი შემოქმედებითი გზის განვითარების მთავარ მომენტებზეც. მოკრძალებით აღბეჭდილი ამ წინასიტყვაობის ყოველი სიტყვის უკან საკუთარი შესაძლებლობებისადმი კრიტიკულად განწყობილი შემოქმედი დგას, რომელიც დიდი პასუხისმგებლობითაცა და საზეიმო განწყობილებითაც მოელის მკითხველთან შეხვედრის ამაღელვებელ წუთს. ეს რჩეულიც სწორედ ამ პასუხისმგებლობის გამჟღავნებით იწყება. „დიდხანს, ძალიან დიდხანს ვიფიქრე, მწერლური სინდისით ავწონ-დავწონე ჩემი მოკრძალებული ადგილი მშობლიურ ლიტერატურაში, ფურცელ-ფურცელ გადავიკითხე ძველი და ახალი მოთხრობები, ადრეული ლექსები, პიესები, რომანები, ვესაუბრე და ვეთათბირე მეგობარ მწერლებს და გავბედე“.

ეს მოკრძალება მწერლის შინაგანი მომთხოვნელობიდან, მისი კეთილსინდისიერებიდან მომდინარე უკმარისობის გრძნობაა, რომელიც დ. კვიცარიძის, როგორც შემოქმედის დამახასიათებელ ნიშან-თვისებად უნდა მივიჩნიოთ.

რჩეულის გამოსვლიდან საკმაო დრო გავიდა. მწერლის შემოქმედება გამდიდრდა და გამრავალფეროვნდა ახალ-ახალი ნაწარმოებებით, სიტყვამ მეტი ელვარება და სიმტკიცე შეიძინა, მაგრამ ამით შინაგანი პასუხისმგებლობა არ შემცირებულა.

ოთხი ათეული წელია, რაც დ. კვიცარიძე ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას ეწევა. იგი ავტორია ჟანრობრივად მრავალფეროვანი ნაწარმოებებისა, რომლებშიც დახატულია დიდი სამამულო ომის პერიოდისა და შემდგომდროინდელი ჩვენი ცხოვრების საჭირბოროტო მოვლენები. რომანები — „სადა ხარ, მარინე“, „ნდობა“, „მშვიდობით, უსიერო ტყეებო“, „ძეგლები მიწას არ ამძიმებენ“, „მწვანე ქალაქი“, მოთხრობებისა და ლექსების რამდენიმე კრებული, თეატრების სცენებზე დადგმული ხუთი პიესა, — ასეთია სია იმ ნაწარმოებებისა, რომლებიც დ. კვიცარიძემ შექმნა თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის პერიოდში.

ამ ნაწარმოებთა თვალსაწიერი ვრცელია და მრავალფეროვანი. მათში ავტორი აღწერს პარტიზანული ბრძოლების ამაღელვებელ ეპიზოდებს, გვიჩვენებს საბჭოთა ადამიანების თავდადებისა და გმირობის მაგალითებს ომის დროს, წარმოგვიდგენს დღევანდელი ცხოვრების საინტერესო მხარეებს, ხატავს თანამედროვეობის შემოქმედ აქტიურ ადამიანთა სახეებს, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით ამხილებს და ებრძვის ნაკლოვანებებს. მწერლის დამოკიდებულება ცხოვრებისეულ მოვლენათა მიმართ კრიტიკულია და სათანადოდ დასაბუთებული. სწორედ ეს კრიტიციზმი, მოვლენათა გააზრების დროს გამოვლენილი პირდაპირობა და მამხი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებლური ტონი ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა დ. კვიცარიძის მხატვრული პროზისა.

ნეგატიურ მოვლენათა მხილების ტენდენცია კიდევ უფრო მეტად გაღრმავდა ბოლო წლებში დაწერილ ნაწარმოებებში. მწერლის ახალი რომანები — „ძეგლები მიწას არ ამძიმებენ“ და „მწვანე ქალაქი“ ამ თვალსაზრისით მრავალ საინტერესო საკითხს აღძრავს მკითხველის წინაშე. ამ რომანების გმირები ნაკლოვანებათა მხილებას არ სჯერდებიან. ავტორმა მათს ხასიათებში წინა პლანზე წამოწია მებრძოლი და შემტევი ნიშან-თვისებანი.

დ. კვიცარიძის დადებითი პერსონაჟებისათვის სიმართლისა და პატიოსნებისათვის ბრძოლა მათი სიცოცხლის ძირითადი აზრია. ამ ბრძოლაში ისინი ზოგჯერ ხელმოცარულნიც რჩებიან, გამარტოებულნიცა და შესაბრალისიც, მაგრამ ეს ბოროტების წუთიერი ზეიმია, წუთიერი უკანდახევა და მარცხია, ძალთა მოკრძალებისთვის დაუოვნებაა.

მწერლის ნაწარმოებებში ბევრი ეპიზოდი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. პირადად ნახულისა და განცდილის გამოხატვა მეტ დამაჯერებლობას მატებს მის შემოქმედებას. „ვეცადე, ჩემი თაობის იმდროინდელი ტკივილი მომეტანა თქვენამდე, ძვირფასო მკითხველებო, თაობისა, რომელმაც იწვნია ომის პირველი დღეების ბოღმა, შეკრთა, მაგრამ სულით არ დაცემულა, გამწარდა, გამოიწრთო, გამოკაჟდა და ფეხზე დადგა“.

და, მართლაც, მწერლის მიერ დახატულ მრავალრიცხოვან პერსონაჟთაგან ყველაზე საინტერესო და რთული ბიოგრაფიის ადამიანები ამ თაობისანი არიან. პირდაპირობითაც, მომეტებული დარდითაც და გულჩათხრობილობითაც ისინი თავიანთი თაობის ფრიად ტიპიური წარმომადგენლები არიან.

მათ სიხარულზე მეტი ტკივილი უნახავთ და განუცდიათ, მაგრამ ქვეყნისა და კაცობრიობისადმი ერთგულება ოდნავაც არ განელებიათ. ომიდან დაბრუნებული ჯარისკაცის გულში მშობლიურ ქუჩაზე გავლით აღძრული სიხარული უნაპირო და ბოლომდე საზეიმო არ შეიძლება იყოს, რადგანაც იგი საძმო საფლავების გახსენებითაა შებოჭილი; რადგანაც „შავად შეღებილი უბრალო ხამის ფარდებით გადაშავებული ქუჩის“ მწუხარება შეუზღუდველი სიხარულის უფლებას არ აძლევს მას.

სამამულო ომში საბჭოთა ადამიანების საბრძოლო თავდადების გამოხატვა გახდა დ. კვიცარიძის მოთხრობების მთავარი თემა. ავტორი ახერხებს ინდივიდუალური ნიშნებით აღბეჭდოს მებრძოლთა მრავალრიცხოვანი სახეები .მრავალფეროვანია ამ მებრძოლთა სამყარო: აქ არიან ჯარისკაცებიც, პარტიზანებიც, მტრის მიერ დაპყრობილი სოფლის მკვიდრნიც — ბავშვები და მოხუცები. ყოველ მათგანს ერთი გრძნობა აერთიანებთ — თავგანწირული ბრძოლა მტრის წინააღმდეგ.

დ. კვიცარიძის შესაძლებლობანი ყველაზე მეტად რომანებში გამოვლინდა. იგი ავტორია ხუთი რომანისა. ამათგან უშუალოდ ომის ამბავთა აღწერას ეძღვნება მხოლოდ ერთი — „მშვიდობით, უსიერო ტყეებო!“ ხოლო დანარჩენი ოთხი რომანი ომისშემდგომი ცხოვრების მხატვრულ ასახვას წარმოადგენს. თუმცა აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მათშიც მნიშვნელოვანი, უფრო ზუსტად განმსაზღვრელი ადგილი უჭირავს საომარი ეპიზოდების თხრობასა და ომისგან მიღებულ განცდათა წარმოსახვას, რომელსაც ავტორი სხვადასხვაგვარი ფორმით აწვდის მკითხველს. დ. კვიცარიძის რომანების მთავარი მოქმედი პერსონაჟები საომარი ადამიანები არიან. მათი ხასიათების წრთობა, მათი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება ომის ქარცეცხლიან დღეებში მოხდა. ეს მომენტი ყოველთვის წინა პლანზე აქვს მწერალს წამოწეული. ავტორის თვალსაზრისით, სწორედ ამითაა უპირველესად განპირობებული მათი უკომპრომისო, კრიტიკული მიდგომა უარყოფითი ცხოვრებისეული მოვლენებისადმი და შეურიგებელი ბრძოლა მანკიერებათა მიმართ. ისინი არა მარტო ამჩნევენ ნაკლს, არამედ იბრძვიან მის გამოსასწორებლად. მათი პოზიცია პასიური მჭვრეტელის პოზიცია კი არაა, არამედ გულშემატკივრისა, იმ ადამიანისა, რომელიც, როგორც საზოგადოების აქტიური წევრი, თავადაც მთელი სიმწვავით გრძნობს პასუხისმგებლობას ნაკლოვანებათა არსებობის გამო.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს 1973 წელს დაბეჭდილი რომანი „ძეგლები მიწას არ ამძიმებენ“. ნაწარმოების შექმნის თარიღი აქ შემთხვევით არ მიხსენებია. მისი შექმნა უშუალოდ დაემთხვა იმ უკომპრომისო ბრძოლის დაწყებას, რომელიც სწორედ ამ დროიდან განახლებული ძალით დაიწყო რესპუბლიკის პარტიულმა ხელმძღვანელობამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ 1972 წელს თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაზე დადგენილების მიღების შემდეგ.

დ. კვიცარიძის რომანი, შეიძლება ითქვას, პირდაპირ ეხმაურება ამ ამბებს და უნდა ითქვას, რომ მასში ცხოვრებისეულ ნაკლოვანებათა მხილება საინტერესო მხატვრულ დონეზეა შესრულებული. რომანში ორიგინალურად მოძებნილი ფორმის მეშვეობით მოთხრობილია დღევანდელი ცხოვრების შუქ-ჩრდილებზე. მწერლის თვალსაზრისი, უპირველესად, იმით ვლინდება, რომ მის მიერ დახატული პერსონაჟები — ყოფილი პარტიზანები — ბოლომდე რჩებიან ქვეყნად სიკეთისა და პატიოსნების გამარჯვებისათვის მებრძოლ ერთგულ ჯარისკაცებად. რომანის შინაარსობრივი სამყარო იშლება იმის ჩვენებით, თუ რა საქმიანობას ეწევიან ომის შემდ-

გომ წლებში ყოფილი პარტიზანები, რომლებიც ერთ პატარა დაბაში ცხოვრობენ.

მწერალი იმ აზრს ავითარებს, რომ სიმართლისათვის ბრძოლა პარტიზანული მიწურებსა და ცეცხლის ხაზზე არ დამთავრებულა, რომ ეს ბრძოლა კვლავაც გრძელდება, ოღონდ სახეშეცვლილი ფორმით, რომ გაცილებით ძნელია შენიღბული ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა. ამისთვის ახალი გზების მოძებნაა საჭირო. ამ გზებს ეძებენ ყოფილი პარტიზანებიც, რომელთაც სათავეში უდგას გიგა ვარდოსანიძე.

მართალია, ნაწარმოებში მთავარი ომისშემდგომა წლების აღწერაა, მაგრამ მასში საომარი ამბების მოთხრობასაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. მოქმედების განვითარების ცენტრში დგას გიგა ვარდოსანიძე, მეტად საინტერესო ბიოგრაფიის კაცი. რომანი ომის დაწყების ტრაგიკულ ამბავთა მოთხრობით იწყება. ნაწარმოების მთავარი პერსონაჟები ერთბაშად აღმოჩნდებიან ამ ტრაგიკული ვითარების ცენტრში. დაბის მყუდრო ცხოვრება ააფორიაქა ომიდან გამოგზავნილმა სიკვდილის ბარათებმა. „პატარა, ძალზე პატარა იყო ეს ქუჩა თუ შესახვევი, სადაც მხოლოდ თოთხმეტი ოჯახი სახლობდა... თოთხმეტივე სახლის ფანჯრებზე მუქშავი ფარდები ეკიდა...“ ამ ტრაგიკულ ვითარებაში გადაწყდა გიგას ბედი. იგი მიდის ომში და ყურადღების ცენტრში ექცევა მისი ფრონტული თავგადასავალი. ამ თავგადასავალში, ისევე როგორც ნაწარმოების სხვა პერსონაჟთა საომარი ცხოვრების აღწერაში, მხატვრული სიმძაფრით მოიყარა თავი თავად ავტორის მიერ ნახულმა და განცდილმა. ეს პერსონაჟები იმდენად სისხლხორცეულად არიან დაკავშირებულნი ომთან, რომ ამ მომენტის გამორიცხვა მათი ცხოვრებიდან დაარღვევდა ხასიათების მთლიანობას. ერთგვარ განმარტებად შეიძლება მივიჩნიოთ ავტორის სიტყვები: „ომი ომია და საუკუნეს რომ წვდება მილიონთა კვნესა-გოდება, ჩემზე უკეთ მოგეხსენება. ვერ დავიხსენი თავი, ვერ დავივიწყე, ვერ ჩავაჩუმე ნაღველი და ახლაც, დღევანდელ დღეზე რომ ვწერ, მაინც იმ ადამიანთა ბედზე ვფიქრობ“.

ასე მიიყვანა მწერალი ამ რომანშიც თანამედროვეობაზე ფიქრმა სამამულო ომის ქარცეცხლიან დღეთა გახსენებასთან, ასე დაიბადა ნაწარმოებში გიგა ვარდოსანიძის, ტასოს, გაბრიელ ჩხიკვაძის, კაკო ცნობილაძის, სილოვან რუსაძის, სანდრო ბერიძის, ალექსანდრე ჩხობაძის, ვალოდია ჯიმჯარიანის, იასონა ჟორჟოლიანისა და სხვათა ფრონტული ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ეპიზოდები.

ფრონტზე შეიტყო გიგამ მშობლების დაღუპვის ამბავი. ამიტომაც ომის დამთავრების შემდეგ გაპარტახებულ ოჯახისკენ გულმა აღარ გამოუწია. აღარავინ ეგულებოდა იქ მახლობელი და თანამგრძნობი. ერთ პატარა რუსულ სოფელში დარჩა. იქ იშრომა, ილვაწა, მაგრამ ბოლოს მაინც მშობლიურმა მიწამ, ეზო-კუთხემ დაუძახა. და ომის დამთავრებიდან საკმაო ხნის გასვლის შემდეგ გიგა ვარდოსანიძე მშობლიურ ნაფუძვარს მიადგა. ბიძისთვის მოულოდნელი და შემაძრწუნებელი აღმოჩნდა ძმისშვილის ჩამოსვლა, ძმისშვილისა, რომელიც, კარგა ხანია, დაღუპულად შერაცხა და მის ფუძეზე თავად გაშალა ფრთები. გიგას სულში კი სინანულის ზარმა დარეკა .აღარსად იყო ის სითბო და სინათლე, რომელსაც წარმოსახვაში გადარჩენილი ნაფუძვარი ასხივებდა. ეს მონატრება ერთბაშად მილებულმა გადაწყვეტილებამ ჩაახშო: „მიაფურთხე სასახლეს, ეკლის ხის ახალთახალ მესერს, რკინის ჭიშკარს, გარაჟს... მიაფურთხე ყველაფერს, თვითონ ბიძა-ბიცოლასაც და წადი!

სხვაგან მოხვდი. აქ არაფერი გესაქმება“.

და გიგა ვარდოსანაძემაც ერთბაშად აქცია ზურგი ნაფუძვარსაც და მთელ ქვეყანასაც და ტყის პირას სახელდახელოდ აგებულ ქოხში დაიდო ბინა. ამ უჩვეულო ფაქტით მწერალმა საბოლოოდ მიგვანიშნა იმაზე, რომ ბრძოლა მტერთან პირისპირ შეტაკების დროს, გათხრილ სანგრებსა თუ პარტიზანულ ბანაკებში არ დამთავრებულა; რომ ეს ბრძოლა კვლავაც გრძელდება და ჯარისკაცად დაბადებულ კაცს უფლება არა აქვს ჯარისკაცის საპატიო ტვირთი არ ზიდოს. სიკეთე და ბოროტება კვლავაც ერთმანეთის პირისპირ დგანან. შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ გიგას კარავი ხდება სიკეთისათვის ბრძოლის გზაზე ყოფილ პარტიზანთა თავშეყრის შტაბი. აქედან აწყებინებს მწერალი თავის პერსონაჟებს პატიოსნებისთვის ბრძოლის ახალ ეტაპს.

ეს ბრძოლა არაა იოლი. ბოროტება არ თმობს პოზიციებს. ეს კარგად იციან რომანის გმირებმა და მიუხედავად იმისა, რომ რომანის იდეური ჩანაფიქრი სიკეთის უძლეველობის დადასტურებას გამოხატავს, მაინც ბოლომდე ამოუძირკვავი რჩება ბოროტების ფესვები, რომლის ნაკუწებიც რაჟდენ ბოდოკიასა და მის მსგავსთა სახით მწერალმა კვლავ დატოვა ცხოვრების სცენაზე. ამით მეტი დამაჯერებლობა შეიძინა ნაწარმოებში მოთხრობილმა ამბავმა.

„მშვიდობით, უსიერო ტყევბო!“ სამამულო ომის თემაზე დაწერილი ერთ-ერთი საყურადღებო წიგნია. დ. კვიცარიძემ ყურადღების ცენტრში ადამიანი, ომში მისი ბედ-იღბალი მოაქცია. მწერალს, პირველ ყოვლისა, პიროვნება, მისი სული აინტერესებს, ის ფსიქოლოგიური ძვრები იზიდავს, რომელიც ადამიანის ფსიქიკაში წარმოშვა ომის საშინელებამ.

რომანის იდეურ-მხატვრულ ჩანაფიქრს სამი მთავარი საყრდენი გააჩნია: გვიჩვენოს ის წმინდა პატრიოტული გრძნობა, რომელიც ადამიანს ადამიანად ტოვებს ყოველგვარ სიტუაციაში, მძაფრად გვაგრძნობინოს სამამულო ომის სახალხო ხასიათი და ხაზი გაუსვას საბჭოთა

ადამიანების ინტერნაციონალურ თანამეგობრობასა და ურთიერთგანუყოფელობას.

ნაწარმოების პუბლიცისტურ შესავალში მწერალმა მოკლედ გაგვაცნო რომანის შექმნის ისტორია, მიგვითითა მის ავტობიოგრაფიულობასა და დოკუმენტურობაზე, თავიდანვე შეამზადა მკითხველი რთული პარტიზანული ცხოვრების გასაცნობად.

მწერლის მიერ წარმოსახული მკაცრი სინამდვილე, რომანის დაძაბული და ტრაგიკული სამყარო მშვიდი ლირიზმისა და რომანტიკისათვის თითქოს არც ტოვებს ადგილს.

თუმცა ამით იმის თქმა სულაც არ მინდა, თითქოს ნაწარმოებში ნაღმების სკდომისა და ქვემეხების გრიალის გარდა სხვა არაფერი ხდებოდეს, თითქოს მწერლისათვის მხოლოდ საბრძოლო ეპიზოდების თხრობა და ომის საშინელებათა ხატვა იყოს ერთადერთი მიზანი. რა თქმა უნდა, არა, გვხვდება ისეთი ადგილებიც, სადაც ავტორი გმირების სულში წუთიერად გადარჩენილ ლამაზ განწყობილებებსაც და ინტიმურ გრძნობებსაც მოწიწებითა და ერთგულებით წარმოსახავს. გავიხსენოთ ბავშვობის წლების, პირველი სიყვარულის სევდიანი სილამაზის მოგონება, საშასა და ტატიანა სვეტლოვას ტრფიალების ლამაზი ისტორია, ოჯახური კერის სითბოსა და სიმყუდროვის მონატრება.

ომის გრიალში, სიკვდილ-სიცოცხლის მძაფრ ჭიდილში ამგვარი რომანტიკული გაელვებები მწერალს იმისთვის ჭირდება, რომ ადამიანი დახატოს, მისი სული დაგვანახოს, ამ ბრძოლების მიუხედავად მის გულში გადარჩენილი სიცოცხლის სილამაზე და მშვენიერების უკვდავება გვაგრძნობინოს.

რომანის დასაწყისში მწერალი თანმიმდევრული სიზუსტით აღწერს მტრის პირველ შემოტევებს, პირველი მარცხით გამოწვეულ განცდებს. გვიჩვენებს დაბნეულობას, რომელიც ზურგს მოწყვეტილ საბჭოთა მეომრებში წარმოიშვა თავდაპირველად, გვიხატავს იმ პროცესს, როგორც ხდებოდა პირველი პარტიზანული რაზმების ჩამოყალიბება. ეს ყველაფერი დოკუმენტური სიმართლით არის რომანში მოცემული.

და, აი, გაჩნდა პირველი პარტიზანული ბანაკი, ბელორუსიის უსიერი ტყეები მიმოიფანტა მიწურებით. „ალაგ-ალაგ ქარბები, ნაძვნარი, ფიჭვნარი, აქა-იქ არყის ხეები, ხის ტოტებისაგან შეკრული კარვები, ღამის სიმყუდროვეში ჩვენი თვითმფრინავების შორეული გუგუნი. ჩამქრალ კოცონთან ნაღვლიანი სიმღერა. მთელ რაზმზე ერთი გახვევა თუთუნი"... ასეთია მოკლე სქემატური მონახაზი ერთი ტიპიური პარტიზანული ბანაკისა.

რომანის მთავარი მოქმედი გმირი თვით ავტორია. მას მწერალი განგებ აძლევს სხვა სახელსა და გვარს — საშა ვასკალიშვილს. ოცდაორი წლის საშას თავგადასავალი იმითაა საინტერესო, რომ იგი ფაქტიურად მთელი თაობის ბიოგრაფიაა. ამ თაობას არაფერი დაჰკლებია ცხოვრების ნარ-ეკლიან გზაზე. მისთვის მკაცრ აუცილებლობად იქცა ნაადრევი გამოთხოვება ბავშვობასთან და საკუთარი სიცოცხლის ფასად სიკეთისა და პატიოსნების გადარჩენისათვის ბრძოლა. სწორედ, ტანჯვისა და წამების ამ წმინდა გზის მხატვრულ წარმოსახვას ისახავს მიზნად დ. კვიცარიძის რომანი.

ნაწარმოების გმირები ძირითადად ახალგაზრდები არიან. მწერალი დაწვრილებით აღწერს პირველი პარტიზანული რაზმის ჩამოყალიბებას, იმ სიძნელეებს, რომელიც გამოუცდელი მებრძოლების წინ აღიმართება. ნაწარმოების იდეური ჩანაფიქრის ღერძია საბჭოთა ადამიანების გაუბზარავი პატრიოტიზმი, საკუთარი მიწისადმი ერთგულების შეგნება. ეს მასაზრდოებელი ნაკადი მწერალმა კონკრეტულად, ცალკე ადამიანების სახით წარმოგვიდგინა ნაწარმოებში. ავტორი ცდილობს ბელორუსული სოფლის მცხოვრებთა დახატვით შექმნას ის ტიპიური განწყობილება, რამაც ფეხი ვერ მოადგმევინა მტერს ჩვენს მიწაზე. მეტ-ნაკლები სისრულით ხატავს მწერალი სახალხო შურისმაძიებელთა სახეებს. ისინი კი ძალიან ბევრნი არიან. რა თქმა უნდა, ყველას სახე არაა დასრულებული, ხასიათებს აკლია ინდივიდუალობა და სიღრმე, მაგრამ ავტორის ერთ დიდ მიზანს ემსახურებიან: სახალხო შურისმაძიებელთა სახეს ქმნიან.

რომანის იდეურ-მხატვრული თვალსაზრისის ერთ-ერთი ძირითადი დასაყრდენი, როგორც ითქვა, საბჭოთა ადამიანების ინტერნაციონალური მეგობრობის გამოხატვაში ვლინდება. მწერალმა თავის ნაწარმოებში ერთმანეთის გვერდით დახატა რუსი, ქართველი, უკრაინელი, ბელორუსი მებრძოლები, დახატა ბელორუსული სოფელი, ყველას ამათ ერთი საერთო მიზანი ამოძრავებთ, — დაუნდობელი ბრძოლა მტრის წინააღმდეგ, სიკეთისა და სიმართლის გადარჩენა, მშობლიური მიწის სიწმინდისა და ღირსების დაცვა. აქ არ არსებობს ჩემისა და შენის გარჩევა.

მრავალრიცხოვან პერსონაჟთა შორის ცალკე უნდა გამოიყოს ივანე გრებნევის სახე. ეს არის ტიპიური წარმომადგენელი საბჭოთა ჯარისკაცისა, მისი ამაღლებული სულისა, მორალური კეთილშობილებისა, ჰუმანიზმისა და ოპტიმიზმისა. ივანე გრებნევი ერთგან გამოჩნდება მხოლოდ რომანში, მაგრამ ეს ეპიზოდი ნაწარმოების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ადგილია, — თავისი ფსიქოლოგიზმითა და სიმართლით გამოსარჩევი.

რომანის მთავარი პერსონაჟი კონტუზიის მიღების გამო ომის დამთავრებამდე გამოეთიშა ბრძოლას. შინ მიმავალი საშას თვალწინ მწერალმა გაატარა ნანგრევებად ქცეული, გაპარტახებული ქვეყანა და, მიუხედავად სასოწარკვეთისა, მაინც რწმენის, სიცოცხლის უკვდავებას

გაუსვა ხაზი. ხალხის სულიერი ქედუხრელობა დაგვანახვა ბოლო ფურცლებზე.

მშობლიურ სოფელში მიბრუნებული მეომარი ხედავს დანგრეულ და გაპარტახებულ მიდამოს. არსად თბილი კერია, არსად კაცის ჭაჭანება. მხოლოდ დუმილი და ყვავის ყრანტალი ავსებს ნასოფლარს. მაგრამ ეს კაცი მშობლიურ ნაბუხრალს ვერ მიატოვებს, მან განახლებულ სიცოცხლეს უნდა ჩაუყაროს საფუძველი.

ცხოვრებისეულ მანკიერებათა მხილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ტენდენციებმა ძლიერი გამოვლინება ჰპოვეს დ. კვიცარიძის ახალ რომანში „მწვანე ქალაქი". ნაწარმოების ბიოგრაფია, როგორც ავტორი წინასიტყვაობაში წერს, 1978 წელს დაიწყო და იგი პირდაპირ დაუკავშირდა რესპუბლიკის განახლებული პარტიული ხელმძღვანელობის მიერ გაჩაღებულ ბრძოლას ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში დამკვიდრებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. „მწვანე ქალაქი "ამ ბრძოლის სქემატურ აღწერას არ წარმოადგენს. მასში ნაჩვენებია ბრძოლის სირთულე, ხაზგასმულია ისიც, რომ სიკეთისა და პატიოსნების ნიღბით აღჭურვილი ბოროტება ზოგჯერ ძნელი გამოსაცნობი ხდება.

როგორც წინასიტყვაობიდან ჩანს, რომანი სამ ნაწილადაა ჩაფიქრებული. ჯერჯერობით კი მხოლოდ პირველი ნაწილია გამოქვეყნებული. ამიტომ ძნელია სრულყოფილი და ამომწურავი წარმოდგენა შეგვექმნეს ყოველ იმ საკითხზე, რომელსაც ნაწარმოები წამოჭრის ჩვენს წინაშე. ხასიათების ხატვის პროცესი ჯერ კიდევ დაუსრულებელია. მაგრამ იმის მიხედვითაც კი, რაც პირველ წიგნშია დახატული, აშკარად ვგრძნობთ ავტორის მისწრაფებათა მიმართულებას, იხაზება შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელი კონტურები.

საგულდაგულო გალავნით შემოსაზღვრული კირილე დავლიანიძის კარ-მიდამო ახალი დროის ფეოდალის წუთიერ გალაღებაზე მიგვანიშნებს. დასაწყისიდანვე გაინასკვნა კონფლიქტი კირილესა და იოსებ ლეშკაშელს შორის. იოსები, ეს ნამუსიანი და ნატანჯი კაცი, პატიოსნების განსახიერებად წარმოგვიდგინა მწერალმა. იმ დროს, როცა კირილე დავლიანიძემ და მისმა მსგავსმა ადამიანებმა წარყვნეს და წაბილწეს ქვეყანა, ქალაქში დგას ლეშკაშელის [illegible] [illegible] სახლი, როგორც შეუმუსრავი და [illegible] რწმენის სიმბოლო. ამ ეზოდან უნდა ამობრწყინდეს პატიოსნების მზე, მისი დანგრევა არ შეიძლება. ასე წამს ლეშკაშელს და მის ამ რწმენას არასოდეს გაჩენია ბზარი. ესაა ის უტყუარი ბალავერი, რომელზედაც აშენებს მწერალი სიკეთისა და სამართლიანობის ხელთუქმნელ შენობას.

რომანში მოთხრობილი კოლორიტული სახის განმსაზღვრელი ეპიზოდების მეშვეობით მწერალმა ორი სამყარო, ორი ქალაქი დაუპირისპირა ერთმანეთს: სამყარო სიკეთისა და პატიოსნებისა, რომელსაც იოსებ ლეშკაშელის ჯილაგის ადამიანებთან ერთად რომანში ჩართულ ლირიკულ გახსენებებში დახატული ძველი ქუთაისელები ქმნიან, და სამყარო ბოროტებისა, რომელიც დროებით საკმაოდ მომძლავრებულია, მაგრამ მის მიერ გაწვლილი გზა მწვანე ქალაქელთა მეხსიერებიდან ისე ამოძირკვულა, რომ მისგან მოსაგონარი არარაფერი გადარჩენილა. ამით ავტორმა სიმბოლურად მიგვანიშნა იმაზე, რომ ბოროტების ფესვებს ხალხი სპობს და ძირკვავს, რომ მას არც ხვალინდელ უწერია დიდი დღე.

ჩვენს თვალწინ იშლება დახლართულ ამბავთა ერთმანეთზე გადაბმული წყება, რომლის სიღრმეშიც სიკეთე და ბოროტება ებრძვის ურთიერთს. ავტორი ცდილობს ამ ჭიდილის ფსიქოლოგიურად დასაბუთებული ახსნა მოგვცეს. ჯერჯერობით მწერალმა მეტი ენერგია მანკიერებათა მხილებას შეალია და უარყოფით პერსონაჟთა სახეები მეტი სიმკვეთრითა და ცხოველმყოფელობით დახატა. ბოროტებასთან დაპირისპირებული ძალა რომანის ამ ნაწილში თანდათან შლის ფრთებს და გადამწყვეტი შეტევისათვის ემზადება. ნაწარმოებში აღწერილ მოვლენათა განვითარების ლოგიკური გზა სიკეთის უძლეველობის დადასტურებისკენ მიმავალი გზაა. ამ ფაქტის შემდგომ გაშლა-განვითარებას მოელის მკითხველი სიუჟეტური ხაზის შემდგომი განვითარებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი შანიძე

# მოგონებანი

## თურქული ენის სწავლების შემოღება უნივერსიტეტში, ჩემი „გარდაცვალება“ და სხვა ამბები

როცა თბილისის უნივერსიტეტი დაარსდა 1918 წლის დასაწყისში, დიდი ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით, იმთავითვე განზრახული იყო, რომ ამ უმაღლეს სასწავლებელში აღმოსავლური ენებიც იქნებოდა სწავლების საგანი.[1]

აღმოსავლურ ენათაგან ჩვენს უნივერსიტეტში თავდაპირველად ისწავლებოდა სანსკრიტი (გ. ახვლედიანი), ახალი სპარსული (იუსტ. აბულაძე), არაბული (ა. შანიძე) და ძველი სომხური (ა. შანიძე); გვაკლდა თურქული. მაგრამ ერთი წლის შემდეგ (1919 წლის 7 აპრილს) თურქულის ლექტორად მოვიწვიეთ ჰალაბის ლიცეუმის დირექტორი აჭარელი ჯემალ მემარნიშვილი, რომელსაც უმაღლესი განათლება სტამბოლში ჰქონდა მიღებული. იგი სემესტრის ბოლომდე ასწავლიდა სტუდენტებს ანატოლიურ თურქულს, აგრეთვე მომდევნო სასწავლო წლის სექტემბერშიც. იმ ხანებში ჩვენში დიდი ეკონომიური გაჭირვება იყო, ჯ. მემარნიშვილმა ვერ აიტანა ეს გაჭირვება და თურქეთში დაბრუნდა.

იმავე 1919 წლის შემოდგომაზე ამავე საგნისთვის მოვიწვიეთ (26 სექტემბრიდან) თაჰსინ ხიმშიაშვილი, იგიც აჭარელი. როგორც ლექტორი, იგი ძალიან კარგი გამოდგა. ერთხელ დავესწარი მის ლექციას და ძალიან მომეწონა. სტუდენტებს აძლევდა კითხვებს, პასუხებს უსწორებდა, ცდილობდა აელაპარაკებინა თურქულად, ძალიან ცოცხლად და საინტერესოდ მიჰყავდა მეცადინეობა.

თაჰსინმა შეადგინა თურქულის სახელმძღვანელო და 1920 წელს მისი ბეჭდვაც დაიწყო, მაგრამ ამ სახელმძღვანელოს ბეჭდვა არ დასრულებულა, რადგან თაჰსინი 1921 წელს, როცა ჩვენში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, აქტიურად ჩაება პოლიტიკურ მუშაობაში და მარტიდან მას აღარ ეცალა უნივერსიტეტისათვის და შემოდგომაზე, თანახმად მისი თხოვნისა, განთავისუფლდა (ცხრა ნოემბრიდან). ამის შემდეგ თურქული ენა ჩვენს უნივერსიტეტში კარგა ხანს აღარ ისწავლებოდა.

საქმე ითხოვდა, რომ როგორმე მოგვეგვარებინა თურქულის სწავლების საქმეც. რადგანაც მაჰმადიან ქართველთაგან არა გამოვიდა რა, ამიტომ ვიფიქრე: მოდი, ეგების ქრისტიან ქართველებში აღმოჩნდეს ვინმე, რომ ამ საგანს გაუძლვეს-მეთქი. არჩევანი სერგი ჯიქიაზე შევაჩერე, რომელსაც კარგად ვიცნობდი, როგორც ნიჭიერს, ბეჯითსა და მშრომელ სტუდენტს. მან უნივერსიტეტი 1924 წელს დაამთავრა და შემდეგ მიწვეული მყავდა „უნივერსიტეტის მოამბის“ კორექტორად. იგი 1926 წელს დავტოვეთ უნივერსიტეტში, რომ საგანგებოდ მომზადებულიყო თურქულ ენაში. ვუშოვე რაღაც წიგნები და 1926 წლის ზაფხულში მივავლინე ჯერ ს. ვარხანში, ხოლო 1927 წლის ზაფხულში — ადიგენში, სადაც მან შეისწავლა გათურქებული ქართველების ენა და დაბრუნდა თბილისში.

იმ ხანად ვცხოვრობდი ლუნიბის ქუჩაზე № 52 სახლში,[2] პირველ სართულზე. ეს სახლი აეშენებინა თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის დირექტორს ჩეხ დრობოგლავს, რომლის წიგნთსაცავი, რომელიც უმთავრესად კლასიკურ ლიტერატურას ეხებოდა, 1919 წელს შეიძინა უნივერსიტეტმა. ერთ დილით ჩემთან

---

1. „აღმოსავლური ენები“ ევროპის ქვეყნებში გავრცელებული ტერმინია და იგი იქ ქართულ ენასაც შეიცავს. მაგრამ ამ შემთხვევაში ვგულისხმობ სხვა „აღმოსავლურ“ ენებს, რომლებიც ჩვენთვის უფრო სამხრულია, ვიდრე აღმოსავლური.

2. ეს ქუჩა ამჟამად ბარნოვის სახელს ატარებს, ხოლო იმ სახლის ნომერია 74.

მოვიდა ს. ჯიქია თავის საქმეზე. მე რაღაც საქმისთვის ეზოში გავედი. იქ ზემო მხარეს იდგა პატარა დაბალი ხულა, რომელშიც ნაშალაშინევი ბურბუშელა ეყარა. კარი გამოღებული იყო და შევნიშნე, რომ ბურბუშელა ინძრეოდა. ვთქვი გულში: აქ ძაღლი ან ღორი არ შეიძლება იყოს, ალბათ ადამიანი იქნება-მეთქი. დავუძახე სერგის. მოვიდა. შევუძახე ბურბუშელაში დამალულს, რომელმაც იკადრა გამოსვლა. შევხედეთ, აღმოჩნდა ვიღაც ახალგაზრდა, ასე 20-21 წლის ბიჭი, რუსი. აშკარა იყო, რომ იგი საქურდულად იყო ჩამოსული ეზოში. რომ შევეკითხე: რა გესაქმება აქ, რად იმალები-მეთქი, მან პასუხის ნაცვლად არც აცივა, არც აცხელა და გადახტა ღობეზე. ვერ წამიხვალ-მეთქი მივაძახე. მას მიჰყვა სერგი და ისიც გადახტა დასაჭერად. ახლოს ხევი იყო, ირბინეს ხევ-ხევ თავქვე, უნივერსიტეტისაკენ. რომ მივიდნენ ხიდთან, რომელიც გადებული იყო ამ ხევზე უნივერსიტეტთან და რომელიც ვაკეს აერთებდა ქალაქთან (იგი ამჟამად აღარ არის), ბიჭი გადახტა ხიდიდან, სერგიმ დაუარა ერთი მხრიდან, ჩავიდა და, ვიდრე ბიჭი მოასწრებდა გაქცევას, სტაცა მას ხელი და ამოიყვანა ლუნიზის ქუჩაზე. ამასობაში მე გავედი ქუჩაში. იქვე გაჩნდა ჩემი მეზობელი ალექსანდრე ნეიმანი, რომელიც 54 ნომერში ცხოვრობდა. ა. ნეიმანს იმ ხანებში რაღაც მოჰპარეს და იფიქრა: ეს იქნებოდა მომპარავი, ან ერეოდა მაინც მოპარვაშიო, და დაუტია. იმ ბიჭმა თვითონ შემოუტია: შენ ხომ არ გგონია მენშევიკების დრო იყოსო? — რაო? ცხარედ უპასუხა ა. ნეიმანმა: შენ კი გგონია, რომ ბოლშევიკები ქურდებს სწყალობენო? მერმე, რამდენადაც მახსოვს, ეს ახალგაზრდა ბიჭი მილიციას გადავეცით.

ს. ჯიქია 1921-27 წლებში ცხოვრობდა ვერის ბაზართან ახლოს, ვაშლოვანის ქუჩის კუთხის სახლში, მე-2 სართულზე. ერთ დღეს (ეს უნდა ყოფილიყო 1925 წ.) სერგი შინ დაბრუნდა, შეაღო კარი, მიიხურა, ჩაკეტა, გამოაძრო გასაღები, რომელსაც ხანდახან მეზობლის ბავშვები უჩხიკინებდნენ, მივიდა საწერ მაგიდასთან და სამეცადინოდ მიუჯდა. გავიდა ცოტა ხანი და მოესმა, რომ კარს აღებენ. არ მიაქცია ყურადღება, იფიქრა, ბავშვები იქნებიანო, მაგრამ ვიღაცამ გააღო კარი მორგებული გასაღებით, შემოვიდა, მიიხურა კარი და შეჩერდა. სერგი წამოდგა და დაინახა ახალგაზრდა ლამაზი ქალი, რომელსაც, მართალია, არ ესიამოვნა ოთახის მდგმურის შინ ყოფნა, მაგრამ არ დაიბნა, მოიმიზეზა, რომ სხვას ეძებდა, ბოდიში მოიხადა და გავიდა. სერგიმ ვეღარც კი მოასწრო, ეკითხა რამე. ამაზე სერგის უხუმრეს: კაცო, ბედნიერება თავის ფეხით მოგდგომია კარზე: საცოლო მოგსვლიაო (მაშინ ჯიქია უცოლო იყო). შენ ის ქალი კი არ უნდა გაგეშვა, არამედ მაგრად ჩაგეჭიდა ხელები, შინ დაგეტოვებინა და ცოლი იქნებოდაო.

— აბა, ქურდი ქალი რაში გამომადგებოდა ცოლადო, უპასუხა სერგიმ.

1927 წლის შემოდგომაზე ს. ჯიქია ერთი წლით გაგზავნა უნივერსიტეტმა სტამბოლს, სადაც იგი იქაურ უნივერსიტეტში უსმენდა ცნობილ ენათმეცნიერს მეჰმედ ფუად ქეფრიულუს და სხვებს. იქიდან მომწერა: სასურველია, კიდევ დავრჩე აქაო. ალვძარით სათანადო შუამდგომლობა, რომლის დამტკიცებას დააგვიანდა. ამასობაში შეიცვალა სტიპენდიების საზღვარგარეთ გაგზავნის წესი: თუ უწინ უნივერსიტეტი და სხვა უმაღლესი სასწავლებლები უშუალოდ უგზავნიდნენ საზღვარგარეთ მივლენილ პირებს სტიპენდიას, ამ საქმეს ცენტრალიზაცია უყვეს და [illegible]ლასთვის განათლების კომისარიატს უნდა ეზრუნა. ს. ჯიქიას, რომელსაც თურქები სერჯიბეის ეძახდნენ, ფულები შემოელია... სტიპენდიის მოლოდინში მეტად შეწუხდა და მომწერა: ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ თქვენ თუ დამივიწყებდით, ეს კი არ მეგონაო.

იმ ხანებში პროფ. ვლ. გორდლევსკი, რომელიც მოსკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში თურქულს ასწავლიდა, სტამბოლს ჩასულიყო და თან თავისი სტუდენტი-პრაქტიკანტები ჩაეყვანა. მან ს. ჯიქიას შესთავაზა, რომ დახმარება გაეწია ამ სტუდენტებისათვის, ამით სერგიმ ცოტაოდნად მოითქვა სული. შემდეგ სტიპენდიაც მიიღო და მდგომარეობა გამოუსწორდა.

სტამბოლს წასასვლელად ს. ჯიქიამ პასპორტი აქ აიღო, თბილისში. სხვათა შორის, იქ გარეგნულ ნიშანთა შორის ჩაუწერეს: ცხვირი მოდიდო. ეს „მოდიდო" რუსულად ითარგმა **большой** სიტყვით, ეს კი ფრანგულად *grand* გამოვიდა. სტამბოლს რომ ჩავიდა და პასპორტი გაუშინჯეს, აზედ-დახედეს და სურათში კი დაინახეს მსგავსება, მაგრამ იქ რომ ცხვირის შესახებ *grand* („დიდი") ეწერა, გაეღიმათ. ჩვენში ეგეთ ცხვირს „დიდი" არ ეთქმისო. ჩვენში „დიდი ცხვირი" სულ სხვა ზომისააო. ს. ჯიქიამ თურქ ჩინოვნიკს უპასუხა: ამაზე ის შემიძლია ვთქვა, რომ თბილისიდან წამოსვლის შემდეგ ჩემი ცხვირის სიდიდე არ შეცვლილაო.

ს. ჯიქიამ სტამბოლში ზუსტად ორი წელი დაყო. აქედან გაემგზავრა 1927 წლის 14 ოქტომბერს და იქიდან გამოემგზავრა 1929 წლის 14-სავე ოქტომბერს. შემდეგ ცოტა ხანს თბილისში დარჩა. შემდეგ კი მივავლინეთ ლენინგრადში, სადაც 1929 წელს მეცნიერებათა აკადემიასთან გაიხსნა ასპირანტების ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტში თბილისიდან გაიგზავნა ოთხი კაცი: ვიქტორ კუპრაძე, მიხეილ ნოდია, გიორგი წერეთელი და სერგი ჯიქია.

მიხეილ ნოდია და ს. ჯიქია აქედან ერთად გაემგზავრნენ დეკემბრის ბოლოს და ახალწელიწადი გზაში გაუთენდათ. იქ რომ ჩავიდნენ, მათ დროებით ბინა მისცეს აკადემიის შენობაში, დაბალ ოთახში, რომელიც მოთავსებული იყო

სართულებს შუა. მის თავზე იყო მეცნიერებათა აკადემიის საკონფერენციო დარბაზი.

ერთ საღამოს ამ დარბაზში დანიშნული ყოფილა სხდომა. ს. ჯიქია და მ. ნოდია ისვენებდნენ წამოწოლილნი. ამ დროს გაუღია ვიღაცას კარი და უკითხავს: სად არის საკონფერენციო დარბაზიო. მერე წასულა და ისევ მობრუნებულა საკითხავად. ს. ჯიქიას ვერ მოუთმენია და მკვახედ მიუძახებია: Что вы беспокоите нас? Оставьте, пожалуйста-ო.

იმ კაცს ბოდიში მოუხდია და გაბრუნებულა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ს. ჯიქიაც და მ. ნოდიაც ასულან საკონფერენციო დარბაზში და დაუნახავთ, რომ ის კაცი, რომელსაც ს. ჯიქიამ კარის გაღება უსაყვედურა, აგერ პრეზიდიუმში ზის. შემდეგ, როცა თავმჯდომარეს გამოუცხადებია: სიტყვა ეკუთვნის განათლების კომისარს აკადემიკოს ანატოლი ლუნაჩარსკისო, წამომდგარა ეს კაცი და სიტყვა უთქვამს. ს. ჯიქია ამის დანახვაზე ცოტა ოდნავ შემკრთალა, მაგრამ საბოლოოდ საქმე მაინც კარგად დასრულებულა: სხდომის შემდეგ ა. ლუნაჩარსკის ს. ჯიქია უცვნია, ხელი ჩამოურთმევია და კვლავ ბოდიში მოუხდია, ისევე, როგორც სერგიმაც მოუხადა ბოდიში.

ლენინგრადში ს. ჯიქიას ხელმძღვანელობდა ცნობილი თურქოლოგი, იმ ხანად ახლად არჩეული აკადემიკოსი ალექსანდრე სამოილოვიჩი, რომელიც ს. ჯიქიას კვირაში ერთხელ ამეცადინებდა აღმოსავლეთმცოდნეობის კაბინეტში. ამას გარდა, ს. ჯიქია ესწრებოდა სამოილოვიჩის ლექციებს უნივერსიტეტში.

ერთიც ვნახოთ, ა. სამოილოვიჩი მიიწვიეს თურქეთში მოხსენების წასაკითხავად. ვიდრე წავიდოდა, მან იქ წასაკითხი მოხსენება რუსულად დაწერა და ს. ჯიქიას მისცა, რომ თურქულად ეთარგმნა. მანაც უთარგმნა და, როცა სამოილოვიჩმა ეს მოხსენება სტამბოლში წაიკითხა, ძალიან მოიწონეს: კაი თურქული იყოო. ეს „კაი თურქული" არსებითად სერჯი-ბეის თურქული იყო.

ს. ჯიქიამ აკადემიის ასპირანტურა 1932 წელს დაასრულა, მაგრამ ჯერ კიდევ 1930 წელს სექტემბერში იგი მიიწვიეს ლენინგრადის უნივერსიტეტში თურქული ენის ლექტორად, ხოლო 1931 წელს აგრეთვე აღმოსავლურ ინსტიტუტში, სადაც მთელ ექვს წელიწადს (1931-1936 წ. წ.) მოღვაწეობდა.

თბილისის უნივერსიტეტში იმ ხანებში იხსნებოდა თურქული ენის კათედრა. ჩვენი უნივერსიტეტის რექტორმა კ. ორაგველიძემ შეახსენა ს. ჯიქიას, რომ იგი თბილისის უნივერსიტეტის მიერ მზადდებოდა თურქოლოგიაში, და წინადადება მისცა გადმოსულიყო და აქ განეგრძო მოღვაწეობა.

ლენინგრადიდან დაბრუნების შემდეგ, 1938 წლის შემოდგომაზე, ს. ჯიქიამ ერთბაშად ბინა ვერ იშოვნა, და მოათავსეს პლეხანოვის პროსპექტზე მდებარე სასტუმროში, რომელიც ძველად ვეტცელს ეკუთვნოდა, მერმე კი — ნოე სიხარულიძეს. ამ სასტუმროში მისი ოთახის გვერდით ცხოვრობდნენ ცირკში მოთამაშე ლილიპუტები. კორიდორში ხშირად ზედმეტი ხმაურობა და აყალ-მაყალი იყო.

ერთხელ სერჯი-ბეიმ შემომჩივლა, რომ ძალიან მემლება ხელი მეცადინეობაშიო. მაგრამო, დააყოლა მან მისთვის ჩვეული ხუმრობის კილოთი: ერთი კია კარგი: ამ ლილიპუტებთან რომ კიბეზე ჩამოვდივარ, დიდ გოლიათად ვჩანვარო.

როგორც კარგად ცნობილია, ს. ჯიქიამ შეისწავლა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი", რომელიც შედგენილია თურქულ ენაზე მე-16 საუკუნის ბოლო ხანებში და რომელშიც აღნუსხულია სოფლობრივ გადასახადები, რომლებსაც იხდიდა საქართველოსგან მოწყვეტილი და იმ ხანად ოსმალეთის საზღვრებში მოქცეული მხარეების მოსახლეობა; ამ დავთარს დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიისათვის. ს. ჯიქიამ ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო პირველად გამოაქვეყნა ამ ძეგლის ქართული თარგმანი 1941 წელს, მალე მას უნდა მოჰყოლოდა თურქული ტექსტის გამოცემა, მაგრამ მისი დაბეჭდვა მოხერხდა 1947 წელს, ხოლო ვრცელი გამოკვლევა დაიბეჭდა 1958 წელს.

როდესაც ქართული თარგმანი დაიბეჭდა 1941 წელს, ერთი კაცი გადაეკიდა ს. ჯიქიას: ზოგიერთი ადგილი არ არის სწორად ნათარგმნიო. ეს ის კაცი იყო, რომელიც ვერ ერკვეოდა ძეგლის არაბულ-თურქულ პალეოგრაფიაში და ვერც თურქული ტექსტის ენაში და მაინც თავისას გაიძახოდა. დაინიშნა კომისიის სხდომები საკითხის გასარჩევად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შენობაში. ამ კომისიაში მეც ვიღებდი მონაწილეობას და მაკვირვებდა კრიტიკოსის გაბედული შეტევა გამოსული წიგნის მიმართ. ამ შეტევამ წიგნს ვერაფერი დააკლო, მაგრამ თურქული ტექსტის გამოცემას კი ხელი შეუშალა. თუმცა იგი დაიბეჭდა 1947 წელს, მაგრამ მისი გავრცელება მხოლოდ 1954 წელს მოხერხდა, ისიც იმის გამო, რომ რამდენიმე კაცი ჩაერია საქმეში. პირდაპირ გასაკვირია სერგი ჯიქიას დიდი ტაქტი და თავის დაჭერა ასეთ აღსაშფოთებელ ვითარებაში.

ერთხელ, ერთ საზოგადოებაში ერთი ქართველი მეცნიერი მუშაკი მყვებოდა თურმე თავისი დისერტაციის დაცვის ამბავს ლენინგრადში; მას, სხვათა შორის, უთქვამს: სამეცნიერო საბჭოს ყველა დამსწრე წევრმა დისერტაცია მოიწონა და დადებითი ხმა მომცესო, გარდა ერთისა, რომელმაც უარყოფითი კენჭი ჩამიგდოო.

ამის გაგონებაზე ს. ჯიქიას უკითხავს: იმ ერთმა მაინც საიდან იცოდა შენი ამბავიო?

მსმენელებს ღიმილი მოსვლიათ, სიცილისაგან კი თავი ძლივს შეუკავებიათ.

დიდი ხანია მსურდა სამეგრელოში წასვლა და იქ ცოტა წამუშავება მეგრულზე, რომელიც საკმაოდ მიმვიწყებოდა.

მინდოდა, 1967 წლის ზაფხულს ორი კვირა მაინც გამეტარებინა სამეგრელოში, მაგრამ ჯერ თბილისში ბინის საქმემ არ მომცა ამის საშუალება: პარკეტს ვაგებდი, რადგანაც შეღებილი იატაკი მალე გაფუჭდა, საღებავი ბევრგან ავარდა და ძალიან უხეირო შესახედავი გახდა. უჩა ჟვანიამ მომინახა მეპარკეტე მამია ადამია, რომელმაც მიყიდა საპარკეტე მასალა მუხისა, მოზიდა და შეუდგა დაგებას.

ივლისის ბოლოსთვის პარკეტის დაგებას მორჩნენ და უკვე შევუდექი ფიქრს, რომ სამეგრელოსკენ გავმგზავრებულიყავი. ვიყიდე ბილეთი 4 აგვისტოსთვის ფოთის მატარებელზე.

იმ დროს კორნელი დანელია თბილისში იმყოფებოდა და იმანაც გადაწყვიტა წასულიყო თავის სოფელში. ჩემი წასვლის დრო რომ შეიტყო, მანაც შეიძინა რკინიგზის ბილეთი.

აქ ერთი ამბავია გასახსენებელი. წინა დღეებში ხმა გავრცელებულიყო, რომ აკაკი შანიძე მოკვდაო. პირველად ამის შესახებ მე ჩემმა ამხანაგმა და მეგობარმა ტერენტი ვეფხვაძემ მაცნობა ტელეფონით. ეს იყო შაბათს, 29 ივლისს, საღამოს. ტერენტიმ დასძინა: დიდხანს იცოცხლებო.

მეორე დღეს, კვირას, მე წყნეთში ავედი ჩემს აგარაკზე, სადაც იმ დროს ჩემი უმცროსი ქალიშვილი ლელა იმყოფებოდა თავისი ქმარ-შვილით. წყნეთიდან დავურეკე ჩემს დისწულს ნელის და ვსთხოვე, რომ ამოსულიყო და თავისი ქმარ-შვილიც ამოეყვანა. ნელიმ თავისი ვაჟი ზაზა კი ამოიყვანა, მაგრამ მეუღლე ლევან კიკნაძე რაღაც მიზეზის გამო არ ამოვიდა.

დავუძახე აგრეთვე ტერენტი ვეფხვაძეს: თუ სდგახარ, ნუ დასჯდები, და, თუ ზიხარ, ახლავე ადექი და მალე ამოდი ჩემთან-მეთქი. მართლაც, ტერენტი მალე გაჩნდა წყნეთში.

ვიდრე სადილი მომზადდებოდა, ცოტა გავიარეთ ახლო-მახლო ადგილებში. ერთიც ვნახოთ, ქუჩაში შემოგვეყარა „მოსკვიჩი" და სწრაფად გაჩერდა. იქიდან გადმოვიდა ჩემი ძველი ამხანაგი პროფ. ანატოლი კიზირია, რომელსაც ზოგჯერ ხუმრობით მივმართავდი ხოლმე:

ანატოლი, ტოლი, ტოლი,
ქვეყანაზე არ გყავს ტოლი.

ეს ანატოლი მომეგება და გახარებულმა მითხრა: ძალიან მიხარიან, რომ გნახე: მოდი, უნდა გადაგკოცნოო, მაგრამ არ გეტყვი, რატომ ასე უზომოდ ვარ გახარებულიო. — ვხვდები-მეთქი, ვუპასუხე. გაგიხარდა, რომ ცოცხალი დამინახე-მეთქი. თურმე მასაც გაეგო ჩემი „გარდაცვალების" ამბავი.

მეორე დღეს, ორშაბათს, თბილისში რომ ვიყავი, ასე 12 საათი იქნებოდა, ვიფიქრე: სტუმარი რომ მეწვიოს, მოდი ვნახო, ღვინო მაქვს თუ არა-მეთქი. ვნახე, ერთი ბოთლი-ღა იყო. მაშინვე მოვაგროვე რამდენიმე ცარიელი ბოთლი, ჩავაწყე ხელჩანთაში, გავაღე კარი, შევედი ლიფტში და ჩავედი ქვემოთ. თურმე წვიმს საშინლად. მე ეს არ ვიცოდი, თორემ ღვინისთვის არ წავიდოდი. ლიფტიდან რომ გამოვედი, დავინახე, რომ რამდენიმე საფეხურის ქვემოთ, კარებთან, შეკრებილან ჩემი ნასტუდენტარი ვაჟები: ალექსანდრე ღლონტი, ლეო კვაჭაძე, გრიგოლ ბარამიძე და დავით გეწაძე. იცქირებოდნენ ქუჩისაკენ, სადაც ძლიერად წვიმდა, და საუბრობდნენ. ვიფიქრე: ნამდვილად ჩემი „სიკვდილის" ამბავი გაუგიათ და მოსულან, რომ დაწვრილებით გაიგონ ამბავი-მეთქი. შევუძახე: გამარჯობა მეგობრებო! ისინი მობრუნდნენ და, რომ დამინახეს, ღიმილი გამოეხატათ სახეზე. მე განვაგრძე: ეს-ეს არის დავბრუნდი საიქიოდან, სადაც ვნახე პეტრე მელიქიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ნიკო მარი და იოსებ ყიფშიძე-მეთქი; მათ ბევრი იცინეს. ჩემი „გარდაცვალების" ამბავი, რა თქმა უნდა, მათაც გაეგოთ.

რაკი წვიმდა, ღვინოზე წასვლა არ ეგებოდა; ავიყვანე ეს ოთხეული ჩემს ბინაში და ის ერთი ბოთლი ღვინო დავცალეთ, ცოტა არაყიც დავაყოლეთ.

ჩემი „სიკვდილის" ამბავი ძალიან გავრცელებულიყო. გიორგი ახვლედიანმა ბორჯომიდან დამირეკა: რა ამბავია, რაშია საქმეო? მე ავუხსენი: ალბათ, აკაკი კვანტალიანი რომ გარდაიცვალა წყნეთში, იმასთან ამრიეს-მეთქი.

ვიდრე ტერენტი ვეფხვაძე ჩემი გარდაცვალების ამბავს მაცნობებდა შაბათს, იმ დღეს დილით ვიღაცამ ტელეფონით დამირეკა და ჩემი უფროსი ქალიშვილი მზექალა იკითხა. მე ვუთხარი, რომ მზექალა აქ არ არის-მეთქი. შემდეგ კი: ბ-ნი აკაკი როგორღა არისო? — მკითხა. — მე კარგად ვარ-მეთქი, ვუპასუხე. ეჭვი არ არის, რომ ამით ამოწმებდნენ ჩემი „გარდაცვალების" ამბავს. იმაზე ადრე ვიღაცას დაერეკა და ეკითხა: ბ-ნი აკაკი როგორ არისო? ჩემს დის შვილიშვილს რუსიკოს ეპასუხნა: კარგადო. — მართლა კარგადო? — რუსიკოს განმეორებით უთქვამს: კარგადო, და შემომკითხველს დაუკიდნია ტელეფონი.

ერთი სიტყვით, ჩემი „სიკვდილის" ამბავი ძალიან გავრცელდა თბილისში და მის გარეთ, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ.

შაბათი. 5. VIII. 1967. ფოთის მატარებელში მე რბილი ვაგონით ვიმგზავრე, კ. დანელიას ვერ ეშოვნა რბილი და კუპეებიან ვაგონში მოუხდა მგზავრობა. დილით გავიხედე, წვიმს. წვიმა ძალიან დიდი იყო სამტრედიიდან აბაშამდე. პირდაპირ ასხამდა და წყალი ვაგონის სარკმლებს წურწურით ჩამოსდიოდა გარედან. აბაშას რომ

მივედით, ცოტა გადაიღო. იქვე მანქანა დაგვახვედრა კორნელის ძმამ (კორნელიმ, ალბათ, წინასწარ შეატყობინა). მე სერგი ჯიქიასთან მივდიოდი ონოღიაში, მაგრამ კორნელიმ ჯერ თავის სახლში წამიყვანა ნაჯახაოში. გზაში ვარლამ თოფურიას სოფელში, ონტოფოში შევჩერდით და მისი სახელობის სკოლა დავათვალიერეთ. აფსუს, რა უდროოდ ჩავიდა მიწაში ჩინებული მეცნიერი და კარგი ადამიანი!

ნაჯახაოში კორნელის დედა და ძმები დაგვხვდნენ. ერთ ძმასთან ჭადრაკიც ვითამაშე.

საუზმის შემდეგ ნაჯახაოდან ონოღიას გავემგზავრეთ ბანძის გზით, რომელიც უფრო კარგია. ურიაკარში (ბანძის ცენტრში) ებრაელების სალოცავში შევიარეთ. ხალხი ლოცვად იდგა, იქ ორი სალოცავია, დიდი და მცირე. დიდი ერთი გვარის კუთვნილებააო, მითხრეს. სინაგოგაში არას დროს არ ვყოფილვარ ლოცვის დროს, პირველად აქ ვნახე და გამახსენდა, რომ, როცა ქუთაისში ვსწავლობდი, ხშირად გამიგონია, დიდი ხმაურობისა და აყალმაყალის დროს რომ იტყოდნენ: აქ ურიების სინაგოგა ხომ არ არისო? იქ ზოგმა მიცნო.

ამჟამად ურიაკარში (ბანძაში) ებრაელობა ცოტაა. წავიდ-წამოვიდნენო. დამრჩალი იქნება ასე 60 კომლით.

ბანძიდან ონოღიას გავსწიეთ, სადაც ს. ჯიქია სახლობს. ნოღა რამდენიმე სოფელია გურიასა და სამეგრელოში. ერთი მათგანი ჩემი სოფელია, რომელიც ამჟამად სამტრედიის რაიონში შედის, წინათ კი ოზურგეთის მაზრას ეკუთვნოდა. „ნოღა“ ლაზურში (ჭანურში) დღესაც იხმარება, როგორც საზოგადო სახელი, და ნიშნავს „ბაზარს“. „ონოღია“ კი, რომელიც ნოღა-საგან არის ნაწარმოები, ნიშნავს „საბაზრო ადგილს“.

ს. ჯიქიასას რომ მივედით, შინ დაგვხვდა თვით სერგი, მისი მეუღლე ეენია (გურული, მეფარიშვილის ქალი), სერგის და მაგდა და ვაჟი ძვირი, რომელსაც მე სახელი შევუცვალე და ჯგირი დავარქვი. მარიკა, სერგის უფროსი შვილი, ცხუმს (სოხუმს) წასულიყო, რადგანაც მე არ მიმელოდნენ. პირველად მინდოდა ჩემს დასთან წავსულიყავი არგვეთას, რომელიც ზესტაფონს ქვემოთ მდებარეობს 7-იოდე კილომეტრის მანძილზე, და იქიდან შემდეგ სამეგრელოში. ამის შესახებ მივსწერე კიდეც სერგის და, რაკი იმხანად არ მიმელოდნენ, ჩემი მოსკოველი მეგობარი[3] მარიკა შინ არ დამხვდა. მაგდა, სერგის და, ზამთარშიც უმთავრესად სოფელში ცხოვრობს, რადგანაც თბილისს როგორღაც ვერ იხდენსო.

სერგის კოხტა სახლი ჰქონია. ძველი გაუყიდნიათ და ახალი დაუდგამთ, ორ-სართულიანი. ქვეშ სამზარეულოა, უდგას გაზის ქურა (გაზი მოაქვთ ბალონებითო). ქვედა სართულის მეორე ნახევარი გარაჟისთვის არის განკუთვნილი (ძვირს ძალიან უყვარს ავტო).

მითხრეს: ონოღიაში ძველად, ძმების გაყრისას უმცროსს უტოვებდნენ მამისეულ სახლკარს და ეზოს. ეზო, სადაც ს. ჯიქია ცხოვრობს, დარჩენია მის მამას სიმონს, უფროსებისთვის იქვე გვერდზე, უყიდეს ადგილებიო.

ეზო საკმაოდ დიდია და მე რომ მივედი, იქ სიმინდი უკვე ჩატაროებული იყო. — ღომი რატომ არ მოგყავს-მეთქი? ვკითხე მასპინძელს, რომელმაც ამის გამო საინტერესო ამბავი მიამბო.

ღომს ვთესავდი, მაგრამ ნაყოფს ცოტას ვიღებდი, რადგანაც ჩიტები მიჭამდნენო. აგრე იყო ოთხ წელიწადს. მეხუთე წელიწადს ვცადე, ღომის მოსავალი ჩიტებისაგან დამეცვა საფრთხობელას საშუალებითო, მაგრამ ამანაც არ გაჭრაო. ეს საქმე ასე იყოო.

აკად. ისიდორე დოლიძემ ქორი მოკლა და ეს ქორი აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორმა, არაბისტმა გიორგი წერეთელმა თავისი თანამშრომლის ლია ჩლაიძის ხელით გაუგზავნა მის მამას — ზოილოგს გიორგი ჩლაიძეს და მშვენიერი ფიტული გააკეთებინაო. გ. წერეთელმა ეს ფიტული მე მაჩუქაო. იგი სოფელში ჩავიტანე, ხელში დავიჭირე და, ეზოში რომ გავიარე, ქათმები და ჩიტები მის დანახვაზე დაფრთხნენ და გადაიკარგნენო. ვიფიქრე: კაცი გავკეთდით. მაგრამ, როცა ეს ფიტული ჭოკებზე ჩამოვჰკიდე ღომის ნათესში, ჩიტები ერთხანს კი ერიდებოდნენ, მაგრამ რომ შეატყვეს, რომ ქორი არ ინძრეოდა, მიმიხვდნენ ეშმაკობას და ჩემი გულის გასახეთქად ზედ ფიტულს ასხდებოდნენ. იმ წელიწადს მაინც სულ შემიჭამეს მოსავალიო.

ასე რომ ყველგან გამარჯვებული ს. ჯიქია, ჩიტებთან ბრძოლაში უძლური აღმოჩნდა და ფარხმალი დაყარა: სულ მიანება თავი ღომის თესვას და უცდის იმ დროს, როცა ეგების სოფლის კოლმეურნეობამ დათესოს ძველად დასავლეთ საქართველოში განთქმული სუფრის მშვენება და მაშინ ს. ჯიქიაც დათესავს მას თავის ეზოში, რადგანაც იმედი აქვს, რომ ჩიტები კოლმეურნეობის ღომსაც შეესევიან და მისი ეზოს ღომს ნაკლები ზარალი მოუვა. მაგრამ კოლმეურნეობა აღადგენს კი ამ ძვირფას კულტურას?

იქ, ეზოში, სახლის წინ, ს. ჯიქიას ერთი ბებერი მსხალი უდგას, რომლის ნაყოფს მეც კარგად შევიქცეოდი. ერთხელ ვეხუმრე: ეს მსხალი უნდა მოვთხარო, ვერტმფრინავით ავიტაცო მაერში, გავაქანო თბილისისაკენ, ავიტანო წყნეთში და იქ ჩემი სააგარაკო სახლის ეზოში უნდა დავრგო-მეთქი.

სერჯი-ბეი დიდი სიამოვნებით დამეთანხმა.

კვირა. 6. VIII 1967. გამოიდარა. დილით სერგიმ მითხრა: ქუთაისს წავიდეთ, ვარლამ დონდუას დის დასაფლავებას დავესწროთო, და-

3. მოსკოველიო, რომ ვამბობ, ვგულისხმობ, რომ იგი პირველად გავიცანი მოსკოვში, სადაც იგი მამასთან ერთად იყო წინა წლებში.

ვთანხმდი. წავედით: მაგდა, სერგი, ჟენია და მე. გავიარეთ ხუნწი, გავედით ცხენისწყლის ხიდზე და მათხოჯში გავჩნდით. იქიდან — ხონში (წულუკიძეში) და ხონიდან — ქუთაისში. მივაკითხეთ მიცვალებულის ბინას. ეზოშივე გვითხრეს, რომ მიცვალებული უკვე გუშინ გაასვენესო. მოხდა გაუგებრობა: „თბილისში" იყო ცნობა, რომ 6 აგვისტოს დაასაფლავებენო, ქუთაისის გაზეთში კი დაებეჭდათ, რომ გასვენება 5-ს იქნებაო და გაესვენებინათ კიდეც. ვარლამ დონდუა შაბათს საღამოსვე გაბრუნებულიყო თბილისში.

ჩვენ ცოტა ხანს დავრჩით დონდუას ქალის აღზრდილ კობალაძესთან, ცოტა წავიხემსეთ და შემდეგ დავბრუნდით, ბაზარში შევიარეთ, საზამთრო და ნესვები ვიყიდეთ და წავიღეთ თან. ქუთაისიდან წყალტუბოს მივაშურეთ, იქიდან მათხოჯი და ხუნწი გავიარეთ და ბანძაში შევედით. ბანძაში მაგდამ ჩაის ქარხანაში წაგვიყვანა დასათვალიერებლად. უკვე დაღამებული იყო და ორმა ქალმა აგვიხსნა ჩაის დამზადების პროცესი: როგორ აჭკნობენ ჩაის ფოთოლს, გრეხენ, ახარისხებენ და სხვ. დასახარისხებელ განყოფილებაში რომ ვიყავით, გვითხრეს: კაი ხარისხის ჩაის ასაწონად და გასახვევად აქედან ვგზავნით მოსკოვში, ირკუტსკში და თბილისში (ავჭალაში), ცუდი ხარისხისას კი — სამტრედიაშიო. ამის გაგონებაზე მე, ვითომ გაჯავრებულმა, წამოვიძახე: რაო? რა ბრძანეთ? სამტრედიაში ცუდი ხარისხისას ჰგზავნით? ეგ როგორ იქნება? მე სამტრედიის რაიონის მცხოვრები ვარ-მეთქი.

იცინეს. — მათ ვინა ჰკითხავს, სად როგორი ხარისხის ჩაი გაიგზავნოსო.

ორშაბათი. 7. VIII. 1967. დილით გეგეჭკორის რაიკომის პირველი მდივანი ნოდარ ჩხოლარია ჩამოსულიყო ნაჯახაოში და შეხვედროდა კორნელი დანელიას, რომელსაც ეთქვა, რომ მე ონოლიაში ვარ, მეგრულზე ვმუშაობ და მარტვილის ნახვაც მაინტერესებს.

ამოიარეს ონოლიაში და ნ. ჩხოლარიამ გეგეჭკორში მიმიწვია, რაზედაც დიდი სიამოვნებით დავთანხმდი. წამომყვნენ: სერგი, მაგდა და კორნელი. ვიმგზავრეთ ორი მანქანით, მე ნ. ჩხოლარიას ვუჯექი მანქანაში.

ვიდრე გეგეჭკორში გავემგზავრებოდით, სერგი ჯიქიას და მე კარგი მოსაკითხი მოგვივიდა: ბანძის ჩაის დირექტორს ჩვენთვის გამოეგზავნა თითო მოზრდილი შეკვრა ჩაისა, რის გამოც დიდი მადლობა შევუთვალეთ.

რომ გავუდექით გეგეჭკორის გზას, ნ. ჩხოლარიამ ახლჩაყრილი ვაზისა და ხეხილის ბაღი დაგვათვალიერებინა, რომელსაც კარგა ვრცელი ადგილი უჭირავს. იქნება ოჯალეშის ყურძენიო.

გეგეჭკორში დავათვალიერეთ სამხარეთმცოდნეო მუზეუმი, რომელსაც სათავეში უდგას ენერგიული გივი ელიავა. აქ შეუგროვებიათ ადგილის სახელები (ტოპონიმები) და გადაუტანიათ რუკებზე. ამას გარდა, შეუკრებიათ სოფლის მეურნეობის დამახასიათებელი ნივთების სახელები და ჩაუხატავთ ეს ნივთები. მესიამოვნა ასეთი ნამუშევარი, რომელიც უნდა გამოყენებულ იქნეს საენათმეცნიერო და საეთნოგრაფიო მიზნებისათვის. მუზეუმის დათვალიერების შემდეგ, იქვე ეზოში მეგრული ქოხი ყოფილა დადგმული და შიგ საუზმე გაგვიწყვეს. საუზმის შემდეგ მარტვილის მონასტერში ავედით. იქ მონასტერი დავათვალიერეთ, რომლის მხატვრობა ძალიან გადალეულა. ცნობილი სვეტიც ძალიან დაზიანებულა. იგი 1919 წელს დაინგრაო, მითხრეს. მოღწეულია სვეტის ნაწილი, რომელიც სამი მხრიდან სუროთია დაფარული.

მონასტრიდან რომ დავბრუნდით, ნ. ჩხოლარიამ სადილად მიგვიპატიჟა. სადილზე იყვნენ, ჩვენს გარდა, აკაკი სურმავა, რაიაღმასკომის თავმჯდომარე, ოთარ ჯღარკავა, მისი მოადგილე, და გივი ელიავა. კარგად გაგვიმასპინძლდნენ. ნ. ჩხოლარიამ ორი დიდი ყანწი მაჩუქა.

შემდეგ ორი მანქანითვე სალხინოს წავედით, სადაც მიურატის სასახლე დგას. გზა ბევრგან ცუდია, მაგრამ ავტოები მაინც გავიდნენ.

გზაში აბშესის შენობები დავინახეთ შორიდან.

სალხინოში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ორპირად ჩარიგებულმა ვეებერთელა ჰანდრებმა. მაგრამ ორ-სართულიანი სასახლე ძალიან შელახულა მოუვლელობის გამო. მითხრეს: აპირებენ სასახლის აღდგენას რომელიღაც თევზსაჭერი გემის თანხებით, მაგრამ შეძლებენ კი ძველი ბრწყინვალების აღდგენას?

დავბრუნდით გეგეჭკორში. გამოვემშვიდობეთ ნ. ჩხოლარიას დიდი მადლობით უზომო პატივისცემისთვის და ჩვენი ავტოთი გამოვეშურეთ ონოლიასაკენ.

სამშაბათი. 8. VIII. 1967 წ. ეს სამი დღეა დარია. სერგი ჯიქიას დისწული მალი, ოციოდე წლის წინათ ჩემი სტუდენტი, შემპირდა ხალხური სიმღერებისა და ზღაპრების ჩაწერას. საამისოდ დავუტოვე რვეულები. მან იქვე ჩემს რვეულში ჩაწერა „ჩიტი ვჭოფი".

მაგდას რჩევით საღამოს დავათვალიერეთ ონოლიის სკოლა, რომლის დირექტორს სტეფანე დარჯანიას ბევრი გაუკეთებია სკოლისთვის. სხვათა შორის, ქუჩაში ჰანდრის ხეები ჩაურიგებია და დიდი ხეხილის ბაღი გაუშენებია.

ამ სტეფანე დარჯანიამ გადმომცა მისი მამის პავლე დარჯანიას ნათქვამის მიხედვით ჩაწერილი მოგონებანი პავლეს და ივანე გომართელის ურთიერთობის შესახებ, აგრეთვე თავისი მოგონებანი იმავე ი. გომართელის შესახებ. ეს მოგონებანი 1967 წლის ნოემბერში გადავეცი საქართველოს მუზეუმის თანამშრომელს ვლადიმერ წოწელიას, რომელმაც ეს დარჯანიების მოგო-

ნებანი შეიტანა თავის წიგნში ი. გომართლის შესახებ.[4]

შემდეგ დავათვალიერეთ წყაროები, დიდ თვალად რომ გამოდის სამ ადგილას, და შემდეგ ერთ ოჯახში გადაგვიპატიჟეს.

ოთხშაბათი. 9. VIII. 1967. ჩემი ძვირფასი მასპინძლები ჯერ კიდევ გუშინ გავაფრთხილე მორიდებით, რომ ხვალ უნდა წავიდე-მეთქი, და დღეს მოვემზადე წასასვლელად .მთხოვეს, ჯერ ნუ წახვალო, მაგრამ: მაგვიანდება და რა ვქნა, ვერც აქ ვაკეთებ რასმე, რადგანაც სულ მოლხენაში ვარ-მეთქი.

დღეს კორნელი დანელიას უნდოდა გადავეპატიჟებინე ნაჯახაოში, მაგრამ არ ხერხდება და რა ვქნა!

დილით რომ ბ-ნ სერგისას ვისაუზმეთ კარგად. გამგზავრების წინ მისმა მეზობელმა და ერთ დროს ჩემმა სტუდენტმა ვარლამ ქაჯაიამ გადაგვიპატიჟა. მას ორ-სართულიანი სახლი წამოუწყია, მაგრამ ჯერ დამთავრებული არა აქვს. იქ ჯერ ეზოში პურ-მარილს შევექეცით და შემდეგ გამოვემშვიდობეთ.

არ ვიცი, რით გადავუხადო ამდენი პატივისცემა ს. ჯიქიასა და მის ოჯახს.

გამოვემშვიდობე ყველას დიდი მადლობით. მიშოვეს სამგზავრო „ვოლგა" და გამოვსწიეთ. გამოვიარეთ ბანძა, სადაც განსვენებული პროფ. სერგი დანელიას სახლი დგას.

ონოღიიდან ავტო მომყავდა ს. ჯიქიას დისწულს, დათო გაბუნიას. ხოლო ცოტა ხანს გამომყვა აგრეთვე კოლმეურნეობის პარტკომის მდივანი რურუა, რომელსაც აინტერესებდა ჩემი აზრი ქართველური ენების შესახებ.

ქუთაისში ამოვლისას მე და დათომ ბაზარში შევიარეთ და ვიყიდე საზამთრო და ნესვი საარგვეთოდ. იქიდან გამოვემშურეთ და საათ-ნახევარში არგვეთაში ვიყავით. ჩემი დის თეოლინესა და სიძის კონსტანტინე ლეჟავას სახლში, სადაც, თეოლინესა და კონსტანტინეს გარდა, დაგვხვდნენ: ჩემი დისწული ნელი, ჩემი დის შვილიშვილი რუსუდანი (რუსიკო აკაკის ასული).

ორი წლის შემდეგ 1969 წ. ზაფხულში, განვიზრახე სვანეთს წასვლა და იქ უმთავრესად სვანურ ანდაზებზე წამუშავება. ჩავედი ქუთაისში, საიდანაც თვითმფრინავით მესტიაში უნდა გადავფრენილიყავი. მაგრამ ცუდი ამინდები დაიჭირა, გადაფრენა აღარ მოხერხდა და დავლონდი, მაშინ ფიქრად მომივიდა: რაკი სვანეთში გადაფრენა არ ხერხდება, მოდი სამეგრელოში წავალ და ცოტას იქ წავიმუშავებ-მეთქი.

ქუთაისიდან ხონზე გავლით (ხონს ამჟამად წულუკიძეს ეძახიან) ავტობუსით მარტვილს (გეგეჭკორს) მივედი. იქიდან კი, რაიკომის პირველი მდივნის ნოდარ ჩხოლარიას დახმარებით, ლებარდეს ავედი, რომელიც ძალიან მომეწონა თავისი მდებარეობით, მაგრამ იქ ასავლელი გზა მაშინ გასაფართოვებელი და ასფალტ-მოსახმელი იყო. თვით ლებარდე მოუწყობელია და, თუ თანხები მოინახა და მოეწყო, პირველ-ხარისხოვანი კურორტი იქნება.

ლებარდეში ორი კვირა დავრჩი (5 აგვისტოდან 19 აგვისტომდე). იქ, ლებარდეს ზემო მხარეს, ნ. ჩხოლარიას განკარგულებით, ორ-ოთახიან ხის სახლში ერთ ოთახში მე მომცეს ბინა, მეორე ოთახში — ჩემს ნასტუდენტარს ოთარ ქაჯაიას, რომელიც მოხევეებში იყო მივლენილი დიალექტოლოგიური მიზნით და 1967 წ. ცხინვალში დაბეჭდა „მასალები მოხევური კილოს ლექსიკონისათვის". ეს სახლი ამჟამად აღარ ყოფილა: ერთ ზამთარს დიდი ქარი ამოვარდნილა, წაუქცევია მახლობლად მდგარი ხე, რომელიც იმ სახლს დასცემია და დაუნგრევია.

ლებარდეში იმდენი ტინტილა (პატარა ხვლიკი) დარბოდა, რომ პირდაპირ საკვირველია.

ერთიც ვნახოთ, ერთ დღეს სერგი ჯიქია ამოვიდა ლებარდეს და მეწვია, რამაც დიდად გამახარა.

იგი იმავე დღეს დაბრუნდა ონოღიაში.

შთაბეჭდილება, რომელიც მივიღე სამეგრელოსა და იმერეთში მოგზაურობისაგან. მეტად სასიამოვნოა. ხალხი ეკონომიურად ძალიან მოღონიერებულა და დიდად დაწინაურებულა. ეს ჩანს, პირველ ყოვლისა, სახლების მაგალითზე. ყველგან. სადაც კი სამეგრელოს სოფლებში გავლა მომიხდა (აბაშიდან ბუხწაძეე და გეგეჭკორიდან სალხინომდე). თვალში გეცემა კარგი სახლები, ჩვეულებრივ ორ-სართულიანი და კარგად გამართული. იგივეა იმერეთშიც: მათხოჯში, წყალტუბოს მიდამოებში, ქუთაისიდან არგვეთამდე.

რაც მე გურიაში ვნახე ორი წლით ადრე ჩემს „გარდაცვალებამდე" ექვთიმე თაყაიშვილის სოფელში ყოფნისას, და გავიხარე სოფლის მცხოვრებთა კულტურული დაწინაურებით და ეკონომიური მოღონიერებით, იგივე სურათი წარმომიდგა სამეგრელოსა და იმერეთშიც. ალარსად ჩანს ისლით დახურული ქოხები, რაც უთუოდ კარგი ნიშანია.

4. ვლადიმერ წოწელია .ივანე გომართელი (მე-20 საუკუნის ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორიიდან). გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, .1979, გვ. 38-43.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან ასათიანი

# უბის წიგნაკიდან

**სიმონ ჩიქოვანის ნაამბობიდან (23. X. 44 წ.).**

სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის ნიკო დადიანის და, სალომე, პრინც მიურატის მეუღლე იყო.

სალომე დიდი თავნება, ენერგიული და მკაცრი დედაკაცი იყო.

მზითვად ძმამ მას სალხინოს მამული და სასახლე მისცა, აგრეთვე მიწა და სახლი ზუგდიდში.

სალომეს მეუღლე, პრინცი — შვილიშვილი იყო ნაპოლეონის მარშალ მიურატისა. პრინცი ძალიან წყნარი, თავმოყვარე და კეთილშობილი კაცი იყო. ის სოფლის მეურნეობას ეწეოდა, ნადირობდა.

ლეო ქიაჩელმა მიამბო, რომ ერთხელ, ბავშვობაში, ზუგდიდის მახლობლად მას უნახავს პრინცი თავისი მხლებლებით სანადიროდ რომ მიდიოდა, შესანიშნავ ცხენზე იჯდა ისიც და მისი მხლებლებიც — სამეგრელოს თავად-აზნაურობა. ორასამდე მწევარ-მეძებარი მიჰყავდათ ბაზიერებს.

ლეო ქიაჩელისავე სიტყვით ნიკოს და სალომეს (და-ძმას) უკმაყოფილება ჰქონიათ, უმთავრესად მემკვიდრეობის გამო. სალომეს ძმისთვის (მას ობოლენსკის ქალი ჰყავდა ცოლად) მოუთხოვია, სხვათაშორის, დედამისის (ეკატერინე ჭავჭავაძის) მთელი გარდერობი.

ნიკო არ აძლევდა, სალომე დაჟინებით მოითხოვდა. მაშინ გაბრაზებულ ნიკოს უბრძანებია გამოეტანათ დედის, ეკატერინეს მთელი ტანსაცმელი ეზოში და ცეცხლისთვის მიეცათ.

ასე დაწვა მთელი ეს გარდერობი, ძმამ არაფერი მისცა იქიდან თავის დას.

* * *

სალომეს ორი შვილი ჰყავდა პრინცისაგან: ლუსიენი და ნაპოლეონი. ბავშვებმა იცოდნენ მხოლოდ ფრანგული და მეგრული ენა, რუსულად ვერ ლაპარაკობდნენ. ერთმა მათგანმა შემდეგში, რუსეთ-იაპონიის ომის დროს, როგორც რუსის ოფიცერმა, მონაწილეობა მიიღო ომში.

მანჯურიაში მყოფ შვილს სალომემ 2.000 ბოთლი ოჯალეში გაუგზავნა ძღვნად.

ამბობენ, ახლანდელ ომში, ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ, საფრანგეთის ჯარში იბრძოდა ერთი პრინცი მიურატი, ოფიცერი. ის უნდა იყოს სალომე მიურატის შვილიშვილი.

* * *

პრინცი მიურატი, სალომეს მეუღლე თავმოყვარე კაცი იყო. ამ თავმოყვარეობას გადაჰყვა კიდეც. მისი სიკვდილი ასე მოხდა. სალომეს ზუგდიდის სასახლე დაიწვა. ეს სასახლე რუსეთის ერთ-ერთ დამზღვევ საზოგადოებაში იყო დაზღვეული. ამბობდნენ, რომ სანამ ხანძარი გაჩნდებოდა, წინადღით სასახლე გაცლილი იქნა ავეჯისა და ნივთებისაგან.

ზუგდიდის სასახლის დაწვამ მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რუსეთის ერთ-ერთ გაზეთში ამის გამო წერილიც დაიწერა, სადაც პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ სასახლე განგებ იქნა დამწვარი, დასაზღვევი ფულის მიღების მიზნითო.

იმ დღეს, რა დღესაც პრინცმა მიურატმა ეს

---

* გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 6.

წერილი წაიკითხა, იმ დროს ის ქკადუაშში იყო, — მან აიღო თავისი სანადირო თოფი, ლულა პირში ჩაიდვა და თავი მოიკლა. ტყვიამ მას თავის ქალა აჰხადა. თავის შერცხვენის შემდეგ ცოცხლად დარჩენას პრინცმა ეს არჩია.

ქმრის სიკვდილის შემდეგ სალომე შვილებით საფრანგეთს გაემგზავრა. პარიზში მას დიდის პატივით შეხვდნენ, როგორც მარშალ მიურატის შვილიშვილის ქვრივს.

სხვათაშორის, მაშინ მას აჩუქეს ნაპოლეონის სავარძელი, მაგიდა და ნიღაბი, რომელიც ახლა ზუგდიდის მუზეუმში ინახება.

* * *

სალომეს ძმამ ნიკომ (დიდი ნიკოს სახელით იყო ცნობილი) თავისი უფლებები სამეგრელოს სამთავროზე რუსეთის მთავრობას მიჰყიდა ერთ მილიონ ოქროს მანეთად.

როდესაც ბულგარეთის სამეფო ტახტისათვის კანდიდატს ეძებდნენ, რუსეთმა თავის კანდიდატურად ნიკო დადიანი წამოაყენა. უცხოეთის გაზეთში მაშინ დასწერეს, რომ რუსეთის კანდიდატი ნიკო დადიანი ის კაცია, რომელმაც საკუთარი სამთავრო გაჰყიდა მილიონ მანეთადო და ბულგარეთს რაღა ხეირს დააყრისო.

ამ დროს ნიკო საფრანგეთში იყო. მისი კანდიდატურა დამარცხდა. ბულგარეთის ტახტზე გერმანელი პრინცი ფერდინანდი ავიდა.

ნიკომ თავის დამარცხებაში დამნაშავედ რუსეთის მთავრობა ჩასთვალა, იმათი ბრალი იყო ჩემი ასეთი შერცხვენაო.

გზად გამობრუნებულმა პეტერბურგში არ შეიარა, რომ იმპერატორს წარსდგომოდა, არამედ პირდაპირ გამოსწია სამეგრელოში და ამის შემდეგ სიკვდილამდე მას იმპერატორი არ უნახავს.

* * *

10 ოქტომბერს ი. გრიშაშვილის იუბილე გაიმართა ოპერის თეატრში. ჯერ კიდევ ორი კვირით ადრე მთელი ქალაქი ღელავდა ბილეთებისათვის საიუბილეო საღამოზე დასასწრებლად. ხალხი აწყდებოდა ოპერის თეატრის დირექციას, მწერალთა კავშირს, საიუბილეო კომისიის თავმჯდომარეს შალვა დადიანს, იყო ტელეფონების რეკვა, სირბილი.

იმ საღამოს ოპერის თეატრს ორ წყებად ერტყნენ მილიციის გაძლიერებული რაზმი და პატრულები.

უამრავი მსურველი დარჩა გარეთ.

მოხსენება წაიკითხა შალვა ნუცუბიძემ. დაამთავრა თავისი მოხსენება ნუცუბიძემ რუსული ლექსით, რომელიც მიუძღვნია გრიშაშვილისათვის. ამ ლექსშიო პირველმა მე გავრითმე გრიშაშვილის გვარიო (В крышах свили— Гришашвили).

იყო სიტყვები. ყველაზე საინტერესონი იყვნენ მგონი ბავშვები, რომლებმაც ლექსები უთხრეს და თაიგულები მიართვეს პოეტს.

საკონცერტო განყოფილება უგემური იყო, გარდა ვერიკო ანჯაფარიძისა, რომელმაც წაიკითხა „ტრიოლეტები შეითანბაზარში". ჩვენი მომღერალი ქალები გამოვიდნენ შესანიშნავ საკონცერტო კაბებში, იმღერეს გრიშაშვილის სიტყვებზე დაწერილი რომანსები, აგრეთვე შეასრულეს მეორე ნომრად რუსული და ევროპული ოპერეტებიდან ადგილები, რომელიც არაფერ კავშირში არ იყო ამ საღამოსთან.

მღეროდა ინაშვილიც, ის მხოლოდ აჩრდილილა იყო თავის თავისა.

ი. გრიშაშვილმა წაიკითხა ორი ლექსი და მადლობა უთხრა საზოგადოებას და მთავრობას.

* * *

იუბილეს მეორე დღეს შევიარე ი. გრიშაშვილთან. საერთოდ, ის კმაყოფილი იყო თავისი საიუბილეო საღამოსი.

„მთელმა ერმა გამოხატა ჩემდამი პატივისცემაო, — თქვა მან.

ის არ იყო კმაყოფილი მომხსენებლით (შ. ნუცუბიძე).

— დალოცვილი, ჩამაცივდა „ი. გრიშაშვილი სდუმდაო", რა დროს მაგის ლაპარაკი იყო, ან როდის ვსდუმდიო.

მერე რა იყო, რომ დაიჟინა, ი. გრიშაშვილს ნამუსიანი ლექსები აქვსო.

საკონცერტო განყოფილებაში ბევრი ნომერი ჩემი კარნახით შეიტანეს და ეს ნომრები კარგი გამოვიდა, რაც თავისით მოიგონეს, ის ნომრები აღმოჩნდა სუსტი.

ჩემი საღამოები ბევრჯერ მომიწყვია წინათ და პროგრამას კონცერტისას მე ვადგენდი, გამოცდილება მაქვსო.

მუდამ ვცდილობდი ისეთი ნომრები შემერჩია, რომ მოულოდნელობა და განცვიფრება ყოფილიყო.

ერთხელ ინაშვილი გამოვიდა ჩემს საღამოზე. ეს მისი პირველი გამოსვლა იყო საზოგადოების წინაშე სწავლის დამთავრების შემდეგ. მაშინ გაიცნო ხალხმა ის, როგორც მომღერალი. მას შურას ეძახდნენ, და მე დავარქვი სანდრო.

ერთხელ კიდევ ჩემს საღამოზე აშული ჰაზირა მოვიყვანე თავისი დასტით. შესანიშნავად იმღერეს და საზოგადოებას ძალიან მოეწონა.

გუშინდელ საღამოსათვის ვინ არ გინდა, ბილეთებს რომ არ მთხოვდა! სხვათა შორის, ბილეთი გავუგზავნე შათირიშვილს — მამამისმა სკოლაში შემიყვანა. მარიჯანმა იხუმრა, იმისთვისაც უნდა მიგეცა ბილეთი, ვინც სკოლიდან გამოგიყვანაო, — ვითომ ეს იყო მიზეზი შენი პოეტად გახდომისაო. ამაზე გულით ვიცინე. მარიჯანი, საერთოდ, ძალიან ენამახვილი ქალია.

მაგრამ მე არ შემიძლია დავივიწყო ის შათირიშვილი, ჩვენი მეზობელი ხარფუხში, სკოლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში რომ მიმცა; იქ ლალიონი მასწავლიდა ქართულ ენას, ოთხ წელიწადს ვიყავი პირველ ორ განყოფილებაში, — არ ვსწავლობდი, ვცელქობდი და თითო განყოფილებაში ორ-ორ წელიწადს ვრჩებოდი. არავინ მყავდა მიმხედავი, მამას ჩემთვის არ სცალოდა, დედას არაფერი გაეგებოდა ჩემი სწავლისა.

2. XI. 44.

* * *

გრიგოლ ორბელიანი რომ გარდაიცვალა (1883 წ.), მის საფლავზე სიტყვები წარმოთქვეს ილიამ და აკაკიმ.

მთელი სამღვდელოება იქ იყო, ეპისკოპოს გრიგოლ დადიანის მეთაურობით.

როდესაც აკაკის ჯერი მოვიდა, თავისი სიტყვა მან ასე დაიწყო თურმე: „გარდაიცვალა გრიგოლ დადიანი!...“ — შეეშალა, ორბელიანის ნაცვლად დადიანი თქვა, რადგან სიტყვის დაწყების წინ შეხედა შემოსილ გრიგოლ დადიანს.

ეპისკოპოსს საშინლად ეწყინა თურმე და ჩაიბურდღუნა: შენთანამც იყოს, შენთანამც!

გ. ლეონიძისაგან გაგონილი, 1938 წ.

10. XI. 44.

* * *

ი. გრიშაშვილმა მითხრა:

ი. კრილოვის საიუბილეო ტომის გამოცემაზე ბევრი ვიშრომე. არას ვამბობ წინასიტყვაობასა და შენიშვნებზე. თვით წიგნის აწყობასა და გარეგნულ სტამბურ გაფორმებას ვგულისხმობ. შეკრული გვერდები ხელახლა გადავაწყობინე, რომ ლექსები ლამაზად ყოფილიყო დალაგებული, რომ პაგინაცია თავიდან ბოლომდე თანმიმდევრულად ჰქონოდა წიგნს და არა ცალ-ცალკე წინასიტყვაობასა და ტექსტს.

წიგნის აწყობისას უკანასკნელი ფორმა სრული არ გამოდიოდა, 4 გვერდი აკლდებოდა. ეს გამოიწვევდა შეკინძვის დროს გვერდების უსწორმასწორო დალაგებას. ამის თავიდან ასაცდენად სარჩევის ტექსტი დავშალე და ორი წყების მაგივრად ერთ წყებად ავაწყობინე, რათა არ გაექიმათ და ოთხი გვერდი შემეკრა. მართლაც სრულ ფორმამდე მივიყვანე.

ბეჭდვას თავზე ვადექი და არ მოვშორებივარ, სანამ არ ჩამობეჭდეს. რა ვქნა, ასეთი ხასიათი მაქვს.

სახელგამის გამგემ, ნიკო კიკნაძემ მითხრა, ნეტა შენისთანა გამომშვები მომცა სტამბაშიო.

20. XI. 44.

* * *

24 ნოემბერს ლიტერატურული საღამო ტარდება სააბრეშუმო ქარხანაში იუბილარების — აბაშელის და გრიშაშვილის პატივსაცემად.

მოხსენებას ორივეზე ვაკეთებ მე. ორივენი სხედან პრეზიდიუმში. არიან სხვა მწერლებიც, აუდიტორია — მუშა-ახალგაზრდობა, უმეტესწილად ქალიშვილები.

მისმენენ ყურადღებით.

შემდეგ გამოდიან მუშა-ქალები, ამბობენ მისალოც ლექსებს, მიმართულს იუბილარებისადმი. მოაქვთ ორი თარფი ყვავილები, შამპანურები, ხილი. გამოდის ერთი ყმაწვილი, ლექსით მიმართავს გრიშაშვილს. მას აქვს ასეთი სტრიქონები:

დედაქალაქს, ლამაზს, ქრიამულიანს
გაუზრდიხარ დედისერთა შვილივით.

შემდეგ გამოდიან სულ პატარა ბავშვები, ამბობენ ლექსებს. შესანიშნავია ერთი მათგანი — ის ამბობს გრიშაშვილის ლექსს „მიყიდე და მიყიდე“. ბავშვს უმართავენ ოვაციებს. აბაშელი და გრიშაშვილი კოცნიან მას და შუაში ისვამენ.

ქარხნის დირექცია ჩვენ ყველას გვირიგებს აბრეშუმის ცხვირსახოცებს, გრიშაშვილს — ბალდადს — წარწერით: „ძველი თბილისის უკვდავმყოფელს“.

დასასრულ ლექსებს ამბობენ აბაშელი და გრიშაშვილი. ყიჟინით და ოვაციებით ხვდებიან და აცილებენ გრიშაშვილს. საოცარია მისი პოპულარობა!

საღამო თავდება. მივდივართ მანქანით. ჯერ ვაცილებთ აბაშელს. გზაში ის მეუბნება. შენი სიტყვა ჩაწერე და დაბეჭდეო. ორივენი კმაყოფილები არიან მოხსენებით. შემდეგ უკან ვბრუნდებით. მანქანაში მარტონი ვრჩებით მე და გრიშაშვილი. ის მკოცნის: მადლობელი ვარ, მეუბნება.

ვჩერდებით მის სახლთან. გადადის, გადააქვს ყვავილები, მეთხოვება.

მანქანა იძვრის. მე ვხედავ ფანჯრიდან: გრიშაშვილი თარფიდან მსხალს აწვდის ალაყაფის კარებში მდგომ მეეზოვეს, ის უარზეა, სოსო ძალით უდებს ჯიბეში.

25. XI. 44.

* * *

ი. გრიშაშვილი მეუბნება:

— ვანო სარაჯიშვილზე დაწერილ ლექსს, რომელიც ამასწინათ ოპერის თეატრში წარმოვთქვი სარაჯიშვილის საღამოზე, ჯერ ვერ დავბეჭდავ, სანამ ერთ რითმას არ გამოვცვლი. ის რითმა სხვა ლექსში მაქვს გამოყენებული და იმიტომ.

— როგორ, ნუთუ ერთი და იგივე რითმა არასოდეს გაგიმეორებია?

— არასოდეს. ყველა ჩემს ლექსს საკუთარი რითმები აქვს. ისინი სხვაგან აღარ მეორდებიან, არამცთუ ორიგინალურ ლექსებში, თარგმანებშიაც მე ვცდილობ ახალი, მანამდე ჩემ მიერ უხმარი რითმები გამოვიყენო.

ერთხელ კ. გამსახურდიამ მითხრა, — როცა ოვანეს თუმანიანის თარგმანები გამოვეცი ცალკე წიგნად — „არ დაგენანა ასეთი კარგი რი-

თმები რომ დაგიხარჯავს თარგმნილი ლექსებისათვისო, მაგრამ მე სხვაგვარად არ შემეძლო. თარგმანიც ხომ ჩემი ლექსია სანახევროდ, თუ კი მიმუშავნია, მიფიქრია, ქართულად ამიქლერებია?

9. XII. 44.

* * *

დიდი პატივი მცეს ქუთაისში, — მითხრა ი. გრიშაშვილმა.—დიდი საღამო მომიწყვეს, შემდეგ ნადიმები, ოფიციალური, მერე ცალკე ოჯახებში.

საიუბილეო საღამოს შემდეგ, მეორე დღეს, მე ვთხოვე წავეყვანეთ იუზა ზარდალიშვილის საფლავზე. იუზამ და მე ერთად შევდგით ფეხი ქართულ სცენაზე 1908 წელს და მის შემდეგ კარგი მეგობრები ვიყავით. ახლა გული მწყდებოდა, რომ ის ცოცხალი აღარ იყო, რადგან ვიცოდი, უსათუოდ დაესწრებოდა და მონაწილეობას მიიღებდა ჩემს საღამოში.

ჩემი პირველი კრიტიკოსები იცი ვინ იყვნენ? ერთი ყორყოლიანი იყო, ქართული თეატრის სცენარიუსი, მეორე კიდევ — მეკიოსკე სიმონა, ქართული კლუბის შესავალში ჰყიდდა გაზეთებს. მივდიოდი, ვუკითხავდი ლექსებს, მის შენიშვნებს გულდასმით მოვისმენდი, ჩავიწერდი, მერე მის მიხედვით ვასწორებდი ლექსებს.

ბოლოს, ჩემი მკაცრი კრიტიკოსები იყვნენ ახალგაზრდა ქალები. ჩემი ლექსები ზეპირად ვიცოდი, როცა შევხვდებოდი მათ, ვუკითხავდი და თანაც სახეზე ვაკვირდებოდი. გამომეტყველებაზე ვამჩნევდი, რა მოეწონებოდათ და რა არა. ერთ-ერთ ასეთს „კრიტიკოსად" მყავდა ოლია თოიძე, რესტორან „პურ-ღვინოს" პატრონის ალექსანდრე თოიძის ქალიშვილი, ცოლისდა შალვა აფხაიძისა.

ალექსანდრე თოიძე ლექსებსაც სწერდა, „სანდრუა ბიჭს" აწერდა ფსევდონიმად, ყველა ქართველ მწერალსა და ლიტერატორს იცნობდა, ქართულ ჟურნალ-გაზეთებშიაც სწერდა. ერთხელ მან თავის რესტორნის რეკლამაც კი გალექსა და ისე გამოაკრა რესტორანში.

10. XII. 44.

* * *

ჰაზირას კარგად ვიცნობდი, მითხრა ი. გრიშაშვილმა. ჰაზირა — ფსევდონიმი თვითონ გამოიგონა. ოსმალური სიტყვაა, ნიშნავს „მზათა ვარ". როცა მიმართავდნენ დაუკარიო, ისიც წამოიძახებდა „ჰაზირ" — მზადა ვარ, დავუკრაო.

ილია ჭავჭავაძე ჰაზირას იცნობდა და მოსწონდა მისი ლექსები და სიმღერა. ილიამ მას დააწერინა ავტობიოგრაფია და „ივერიაში" დაიბეჭდა. ჰაზირა ამბობდა, მე კახეთიდან ვარ, აბრამიშვილიო.

მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, ერთხელ „სახალხო გაზეთის" რამდენიმე თანამშრომელი ორთაჭალაში წავედით — პურის საჭმელად. ჰაზირა მოიყვანეს თავის დასტით. ჰაზირას ხმა უკვე აღარ ჰქონდა, რეჩიტატივით ამბობდა ლექსებს, მაგრამ ჩემზე მაინც ღრმა შთაბეჭდილებას [illegible]ტოვა:

არ მიყვარს, არა, არ მიყვარს,
კაცი ორპირი ცბიერი,
არც შევჭამ მე იმის პურსა,
თუ გინდ ვკვდებოდე მშიერი.
არ გავცემ ხმასა გულახდით,
არ გაიღვიძოს მძინარემ,
არც იმის ხიდზე გავივლი,
თუ გინდ დამახრჩოს მდინარემ.

* * *

1903 წელს დავით სარაჯიშვილმა ქართველი მოწინავე პირები მოიწვია ილია ჭავჭავაძის მეთაურობით თავის სასახლეში. მისი მიზანი იყო სტუმრებისათვის გაეცნო მაშინ ჯერ კიდევ უცნობი მომღერალი ახალგაზრდა ვანო სარაჯიშვილი.

ვანომ ფორტეპიანოს თანხლებით იმღერა თურმე.

დიდ ილიას გაშლილ შუბლს ნათელი მოეფინა, წარბი გაეხსნა. ხოტბა-დიდებაზე ძუნწმა პოეტმა მოკლედ მოსჭრა:

— დაუყოვნებლივ უნდა გაიგზავნოს სასწავლებლად. დახმარება დაენიშნება.

იმავე წლის გაზაფხულზე თავადაზნაურთა კომისიამ, ილიას თავმჯდომარეობით, სხვა მთხოვნელთა შორის, ვანო სარაჯიშვილსაც დაუნიშნა სტიპენდია.

ოქტომბრის დამდეგს ვანო უკვე პეტერბურგში იყო.

19. XII. 44.

* * *

ილია ნაკაშიძე, ქართველი ტოლსტოველი და უაღრესად საამო კაცი იყო. იცოდა ევროპული ენები, შესანიშნავი მოსაუბრე იყო. უცნაური ახირებულობა ახასიათებდა ამ საუცხოვო ადამიანს.

ერთხელ მოხეტიალე მუსიკოსს ილიკო ქურხულს აჰყვა, დაიარებოდა მასთან ერთად კარდაკარ, ეზო-ეზო და სალამურზე უკრავდა. მერე ისიც სრულიად უანგაროდ. კაპიკს არ იღებდა, მაშინ, როდესაც ქურხული ცხოვრობდა ამით. დიდხანს დადიოდა ქურხულთან ერთად. მერე თავისი სალამური კლარნეტით შესცვალა.

ერთხელ ვიღაცის იუბილე იყო. მიმლოცველთა შორის გამოვიდა ილიკო ნაკაშიძეც. ილიამ ასე მიმართა იუბილარს: შენგან ბევრი სიამოვნება მახსოვს, ახლა ნება მომეცი მეც გასიამოვნოო, ჩაიყო უბეში ხელი და სალამური ამოაძრო. დაუკრა.

საზოგადოება სახტად დარჩა ამ უცნაური მიმლოცავის შემხედვარე. მაგრამ აცალეს. მოთმინებით ყური დაუგდეს. ილია დიდხანს უკრავდა. როცა გაათავა, ხალხმა მხურვალე ტაშით გააცილა სცენიდან.

ნიჭიერი და განათლებული კაცი იყო.

ლეო ქიაჩელის ნაამბობი.
15. XI. 44 წ.

* * *

ვასილ ბარნოვის საღამოზე სიტყვით გამოვიდა გერონტი ქიქოძე. სხვათაშორის მან თქვა:

„სრულიად ახალგაზრდა ევროპაში გავემგზავრე სწავლის მისაღებად. ევროპამ თავისი დიდი კულტურით ჩემზე უზარმაზარი შთაბეჭდილება დასტოვა. მაგრამ ეს კულტურა ჩემთვის, ქართველი კაცისათვის უცხო და შორეული იყო. ამ სხვაობამ ჩემს ქართულ ბუნებასა და უცხო კულტურას შორის ჩემს სულში დაბადა ერთგვარი კრიზისი. დიდხანს გრძელდებოდა ეს კრიზისი, მაგრამ ბოლოს მაინც დავძლიე. ორმა ფაქტორმა შემიწყო ხელი ამ სულიერი კრიზისის დაძლევაში.

ერთი იყო ეროვნული იდეა, ხოლო მეორე — ქართული მხატვრული ლიტერატურა: რუსთაველი, საბა ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა.

ევროპაშივე გავიცანი ვასილ ბარნოვის მოთხრობები: „თებერას დანიშნული“ და სხვ. ბარნოვმა ჩემზე დიდი და ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა, არა მარტო თავისი სტილით, თემით, ლექსიკით, არამედ თავისი ფილოსოფიური იდეითაც.

15. XII. 44.

* * *

ი. გრიშაშვილმა მითხრა:

„ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის რომ ვიყავი, ბევრი ეპიტაფიები შემითხზავს. უამრავი ხალხი მოდიოდა ჩემთან შავ სოფლიდან და ძაღლის უბნიდან, მიკვეთდნენ საფლავის ქვის წარწერებს. ჩემი ეპიტაფიები მრავლადაა პეტრე-პავლესა და კრწანისის სასაფლაოებზე. ჯერ უფასოდ ვაკეთებდი, მერე გასამრჯელოს მაძლევდნენ. ცნობილი პოეტი რომ გავხდი, თავი დავანებე, მრცხვენოდა, აღარც მჭირდებოდა.

ამ რამდენიმე წლის წინათ სასახლის ქუჩაზე ბინაზე ერთი მოხუცი დედაკაცი მომადგა, მთხოვა: შენთან მომასწავლეს, სასაფლაოს წარწერა გამიკეთეო.

შემებრალა, გავუკეთე.

ჩემს ლექსში „უნაბისფერი საღამო“ სამი ეპიტაფია მაქვს მოყვანილი. ეს სწორედ იმ ახალგაზრდობის დროს შეთხზული ეპიტაფიებია, ახალი რედაქციით სახეცვლილი. ლექსი 1916 წელს მაქვს დაწერილი.

აი ის ეპატაფიები:

1. ამა გვადრუც ქვეშ დავმარხე წელი, —
უნდო საწუთროს ვინ მიენდობა!
სხვა რაღა დამრჩა შესახვეწელი:
გთხოვ, წამკითხველო, მითხარ შენდობა!
2. ბედმა დამფურცლა ბედის მძებნელი,
შენ მაინც, სატრფოვ, ღრო-გამოშვებით
მოდი, იხილე ეს ლოდი ბნელი,
მოდი, დამხედე ჩვენი ბავშვებით!
3. შენ ნუ იდარდებ, შენი კვნესა-მე,
მეც შენთან მოვალ დღესა თუ ხვალე!

21. XII. 44.

* * *

გიორგი ლეონიძე:

— საქართველოს ლიტერატურული მუზეუმი, ჩემი ხელითაა შექმნილი. ის ჩემთვის არა ნაკლებ ღირებულია, ვიდრე ჩემი პოეტური შემოქმედება.

ლიტერატურული მუზეუმი ქართველების მეორე სიონია. სიონში ასვენია ჯვარი ვაზისა, — ლიტერატურულ მუზეუმში დაცულია არა ნაკლებ ძვირფასი რელიქვიები ქართველი ხალხისათვის. აქ არის აკაკის თმები და აკვანი, ილიას შუბლიდან გამოღებული ტყვია, ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფი „ბედი ქართლისა“...

17. II. 45.

* * *

ი. გრიშაშვილი:

— ნ. ბარათაშვილს თავის ლექსებში ზოგან ჭარბათა აქვს, ზოგან კი ნაკლებად ორთოგრაფიული არქაიზმები. ჩემის აზრით, ეს იმაზეც იყო დამოკიდებული, თუ ვის უგზავნიდა პოეტი თავისი ლექსის ნუსხას; გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ ავტოგრაფებს, მაგალითად, ეს არქაიზმი უსათუოდ ახასიათებს, ხოლო ქალებისადმი მირთმეულ ლექსებში მას ნაკლებად ვხვდებით.

ნ. ბარათაშვილის საიუბილეო კომიტეტის სხდომაზე მეცნ. აკადემიაში.

2. II 45 წ.

* * *

აკაკის გარდაცვალების ოცდაათი წლის აღსანიშნავ საღამოზე, სხვა პოეტებთან ერთად, გამოვიდა გიორგი ქუჩიშვილი. წაიკითხა რამდენიმე ლექსი, აკაკისადმი მიძღვნილი.

ხალხი თავშეკავებით უსმენდა, მაგრამ როცა მან უკანასკნელი ლექსი დაამთავრა სტრიქონებით:

ჰანგთა მეფევ, ისე რეკავს
ხმა ნარნარი შენი ქნარი,
რომ ილიაც ბანსა გჭექავს.
მყინვარივით დინჯად მდგარი
და თერგივით ბობოქარი!...

მთელი დარბაზი ერთბაშად შეირხა და ხალხმა მქუხარე ტაშისცემა ატეხა. გიორგი წამოვიდა ტრიბუნიდან, სცენის უკანა რიგებში თავის ადგილზე დაჯდა და თავი ჩაღუნა.

მაგრამ ხალხი არ მოეშვა, ტაშის ცემა უფრო ძლიერი ხდებოდა. მაშინ გიორგი ადგა, დარცხვენილმა ხალხს თავი დაუკრა, მადლობა შესწირა. ამის შემდეგ ხალხი დაცხრა.

ასეა, ხშირად ნაპერწკალივით გატყორცნი-

ლი უბრალო სიტყვა, თუ ის დროულად და გულწრფელადაა ნათქვამი, დიდ ხანძარს დაანთებს ხალხის გულში.

12. II. 45.

* * *

წინამძღვრიანთ კარი! ფართო ეზოს კუთხეში ქვის შენობა — ყოფილი სამეურნეო სკოლა ილია წინამძღვრიშვილისა. ტაძარი, ჯვარმოქცეული გალავნის გადაღმა ბებერი მუხების ჯგუფი — „ცხრა მუხა", როგორც მას უწოდებენ. ეხლა მხოლოდ რვა დარჩენილა.

არსებობს ლეგენდა: 1795 წლის 11 სექტემბერს, თბილისიდან გამოქცეულმა მოხუცმა ერეკლემ აქ შეისვენა. ამ ცხრა მუხის ძირას გაათენა პირველი ყალიონი. რა ცეცხლი სწვავდა მის გულს ამ დროს!

არის სამახსოვრო ფაქტიც: როდესაც წინამძღვრიანთ კარის სკოლა გაიხსნა, აქ, ამ ცხრამუხის ჩრდილში გლეხებს მიმართა ილია ჭავჭავაძემ თავისი ბრწყინვალე სიტყვით სწავლა-განათლების საჭიროებაზე.

ყოველი მტკაველი მიწისა აქ, საგურამო-წინამძღვრიანთ კარის სანახებში, გვაგონებს დიდს, დაუვიწყარს, მარად სახსოვარს. წმინდაა ეს მიწა, ეს ცა, ეს ვარსკვლავები. მაგრამ, იმავე დროს, გაღელვებს ფიქრი: ამ მიწამ შეიწოვა ილიას შუბლიდან დაქცეული სისხლი, ამ ბუჩქებს, ამ ფოთლებს ეპკურა მისი წვეთები. აქ ყოველი ხე, ყოველი კენჭი მონაწილეა დანაშაულის!

ეს მიდამო — ეშაფოტია დიდი ქართველისა!

8 III. 45 წ.

* * *

გერონტი ქიქოძე:

— ამ ორმოციოდე წლის წინათ ქ. ლაიპციგში თავი მოვიყარეთ რამდენიმე ქართველმა ახალგაზრდამ: — მე, დათიკო სულიაშვილმა და სხვებმა.

ჩვენ წავედით საქართველოდან შორეულ გერმანიაში, რომ იქ, მარქსისა და ენგელსის სამშობლოში, უფრო ღრმად შეგვესწავლა მარქსიზმის თეორია და პრაქტიკა. მაგრამ მწარედ მოვტყუვდი. იმ დროს გერმანიის უნივერსიტეტებში ნეოკანტიანელობა იყო გაბატონებული, ფილოსოფიური იდეალიზმი იყო მბრძანებელი მსოფლმხედველობა. კანტის დებულება, რომ დრო და სივრცე ადამიანის წარმოდგენებია და ობიექტურად არ არსებობენ, ჩვენი მხრივ იწვევდა კრიტიკულ დამოკიდებულებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უფულობის გამო ფეხით გვიხდებოდა ქალაქის შორი მანძილების გავლა და შინ დაქანცულები მივლასლასდებოდით. თუ კი სივრცე ობიექტურად არ არსებობს, არც დრო, მაშ რაღა ჯანდაბამ დაგვღალა ასე ულმერთოთ-თქო, ვფიქრობდით. ეს თუმცა ბარბაროსული კრიტიკა იყო კანტისა, მაგრამ მაინც დამახასიათებელი ჩვენი კრიტიციზმისა.

გერმანელი მუშების ერთ ნაწილში რეფორმისტული იდეები იყო გაბატონებული. მრავალი გერმანელი მუშა ფილისტერული სულით იყო გაჟღენთილი. თვითეულ მათგანს ჰქონდა ფულის ყულაბა, სადაც ყოველთვიურად განსაზღვრულ პროცენტს ინახავდა თავისი ხელფასისას. ფულს აგროვებდა იმ იმედით, რომ მოხუცობის ჟამს ამ თანხით პატარა დუქანი, ან სახელოსნო გაეღო და უზრუნველად გაეტარებინა სიცოცხლის უკანასკნელი დღეები...

რასაკვირველია, ისინი მარქსიზმის ნამდვილ მიმდევრებად არ გამოდგებოდნენ; ხოლო მეორე, ჯანსაღი ნაწილი გერმანელი მუშათა კლასისა ერთგულად იცავდა „კომუნისტური მანიფესტის" იდეებს.

სიტყვა დავით სულიაშვილის შემოქმედების საღამოზე. 7. V. 45 წ.

* * *

სერგო კლდიაშვილი:

1912 წელს ქუთაისის ქართული გიმნაზიის უფროსი კლასის მოწაფეთა ჯგუფმა ექსკურსიით ვიმოგზაურეთ საქართველოში.

სხვიტორში ვესტუმრეთ აკაკის. შემდეგ იმერეთიდან გადავედით ქართლში, სოფელ არბოში მივედით ანტონ ფურცელაძესთან.

ანტონს სოფელში ევროპულად ჰქონდა მოწყობილი სახლი. სადარბაზო ოთახში რბილი სავარძელი და ავეჯი ედგა. ჩვენ რომ მივედით, ხავერდით გადაკრულ მაგიდაზედ იდო გაზეთ „თემის" ახალი ნომერი. გადავშალე, ვნახე, შიგ ერთი ჩემი მინიატურა იყო დაბეჭდილი.

მაშინ „თემში" უკვე ვიბეჭდებოდი; ანტონს სცოდნია ეს; რომ გამიცნო, გაეხარდა, მითხრა, შენ უფრო მეტის ხნის მეგონე, ბავშვი ყოფილხარო. მე შემრცხვა, ველარ გავუბედე საუბრის გაბმა ჩემი მაშინდელი ლიტერატურული მუშაობის შესახებ. ანტონ ფურცელაძე, როგორც სხვები, ბუმბერაზებად მყავდნენ წარმოდგენილი და ჩემი მწერლობა მათთან შედარებით აბა რა სახსენებელი იყო.

შემდეგ წელს (1913) მე უკვე სტუდენტი ვიყავი. თბილისში მივედი გრიგოლ დიასამიძესთან „თემის" რედაქციაში. ის იდგა მელიქაზარიანცის სახლის პირდაპირ, ოლღას ქუჩაზე, ეზოში, სადაც ახლა ექიმი ნიკ. ყიფშიძე დგას. რედაქცია მოთავსებული იყო მისავე ბინაზე, — მისი კაბინეტი წარმოადგენდა რედაქციას.

კარები თითონ გიგომ გამიღო. არ მიცნობდა. მის გაზეთში უკვე კარგა ხნის თანამშრომელი ვიყავი. ქუთაისიდან ვუგზავნიდი წერილებს და აგრეთვე საგაზეთო მასალებს; როცა ვუთხარი ვინც ვიყავი, გაეხარდა და ალერსიანად შემიყვანა შიგნით.

მის კაბინეტში აკაკი დამხვდა. ის მაგიდის მახლობლად იჯდა. გიგომ უთხრა, ეს დავით კლდიაშვილის ვაჟია, ჩვენი გაზეთის თანამშრომელიო.

აკაკი მომესალმა. მე მოკრძალებით გავახსენე შარშან მასთან სხვიტორში სტუმრობა. არ ვიცი მართლა გაახსენდა თუ არა, აკაკიმ მოიგონა ჩვენი მისვლა, ხელი ჩამომართვა, მაკოცა.

რად მინდოდა არ ვიცი, მაგრამ მე გიგოს კორესპონდენტის ბილეთი ვთხოვე, მოსკოვში მივდივარ და კორესპონდენციებს გამოგიგზავნითქო, დავპირდი. გიგოს ბლანკი არ აღმოაჩნდა, შემდეგ გამომიგზავნა რუსეთში.

17. V. 45.

* * *

**ლეო ქიაჩელი:**

— შვიდ წლამდე ძიძასთან ვიზრდებოდი სოფ. ჰაქვიჯში. ჩემი ძიძა, გლეხის ცოლი იყო, გვარად არაჩემია.

ვცხოვრობდი ღარიბულ ქოხში, სხვა გლეხის ბავშვებთან ერთად. ზამთარ-ზაფხულ ფეხშიშველი დავდიოდი სოფელში.

ჩემი ავადმყოფობა მაშინ არავის გაუგონია, სურდო რა იყო არ ვიცოდი. კარაქის გემოც არ გამისინჯავს. ბუნება მზრდიდა, ტანით მთელი ვიყავი.

ქალაქის ბავშვები კი? ყველაფერი აქვთ, მაინც ნიადაგ ავად ხდებიან. არაფერი აკლიათ, მაინც ავადმყოფობენ.

25. V. 45.

* * *

**ალ. ქუთათელი:**

— 1934 წელს მოსკოვში მივდიოდით, მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე. სადგურ პროხლადნაიაში ჩვენს კუპეში ორი ადგილი დაიცალა...

მალე ახალი მგზავრები ამოვიდნენ, ქალი და კაცი. კაცს უბრალო უკრაინკა ეცვა, ჩექმებში ჩატანებული შარვალი, ახალგაზრდა იყო, ტანმორჩილი. ქალი მისი ცოლი აღმოჩნდა.

გამოვესაუბრეთ. კაცს შევეკითხე, რა გვარი ბრძანდებითქო. შოლოხოვიო მითხრა.

— ვინ შოლოხოვი, მწერალი?

— დიახ.

ძალიან გაგვეხარდა. ჩვენ საგულდაგულოდ დავიწყეთ ლაპარაკი. ისიც მწერალთა ყრილობაზე მიდიოდა მოსკოვში. მე ჩამოვუგდე ლაპარაკი „წყნარ დონზე“. მოვიყვანე ადგილები, რომელიც მომწონდა. ესიამოვნა. შემატყო, რომ მისი წიგნები გულმოდგინედ მქონდა წაკითხული. გვერდით კუპეში მიშა ჭიაურელი იყო. დავუძახე, ჩვენთან შოლოხოვია და მოდითქო. მოვიდა. გაეცნენ ერთმანეთს.

შოლოხოვი ძალიან კარგი, მიმზიდველი ადამიანი აღმოჩნდა. უბრალო, სიმპათიური.

ჩქარა გავხსენით ჩვენი საგზალი. შოლოხოვმაც მოძებნა თავისი ჩემოდანი, ამოიღო საჭმელი, კონიაკები. მაგარი სმა სცოდნია. კარგად დავლიეთ. როცა შეზარხოშდა, შოლოხოვმა უეცრად წამოიწყო:

არ გაკოცო, არ იქნება,
გაკოცო და რიტი,
შეგებილი ტუჩები გაქვს
გეტკინება ვიცი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამაზე გულიანად ვიცინეთ. ვკითხეთ, ვინ გასწავლა ეს ვულგარული ქართული რომანსითქო.

— კოლია შენგელაიამ მასწავლაო, გვითხრა, ამ რამდენიმე ხნის წინათ იყო ჩემთან სტანიცაში. მას სურვილი ჰქონდა გადაეღო სურათი ჩემი „გატეხილი ყამირის“ მიხედვით. კარგა ხანს დარჩა ჩემთან სტუმრად. მე მას გავაცანი კაზაკები, მათი ცხოვრება, მათი ტიპები. ის აღტაცებაში იყო მოსული. ჩვენ ერთად ვცხოვრობდით, დავმეგობრდით, ვქეიფობდით, ერთხელ მგლებზედ წაველით სანადიროდ. ძალიან კარგი ყმაწვილია, ტემპერამენტიანი, ვაჟკაცური, უყვარს ხუმრობა.

* * *

**ალ. აბაშელი:**

— 1906 წელს სამეგრელოში დამაპატიმრეს. ჯერ ქუთაისის ციხეში ვიჯექი. იქ გამომიცხადეს, რომ გადასახლებული ვარ სოლვიჩეგოდსკში. ბათუმით, ნოვოროსიისკით ჯერ მოსკოვს ჩამიყვანეს. ბუტირკაში ვიჯექი.

პოლიტიკურ პატიმრებს დიდ დახმარებას გვიწევდა „წითელი ჯვრის საზოგადოება“. ამ სახელწოდებით მოქმედებდა პოლიტპატიმართა დამხმარე კომიტეტი. გვიგზავნიდნენ რძეს, შაქარს, სანოვაგეს; როცა გადასახლებაში წასვლის თარიღი გამოგვიცხადეს, კომიტეტმა გამოგვიგზავნა თბილი ტანსაცმელი და ქურქები. შესანიშნავი ბეწვიანი ქურქი მომივიდა.

ჩავედით სოლვიჩეგოდსკში. ხუთი ქართველი ვიყავით. პოლიციაში მიგვიყვანეს, ჩაგვწერეს, გვითხრეს, ახლა წადით, თავისუფალნი ხართ, მხოლოდ ყოველდღე უნდა გამოცხადდეთ სარეგისტრაციოდო.

ჩვენც გავედით ქალაქში. პირველყოვლისა, ვიქირავეთ ბინა. ერთ იქაურ ვაჭარს ახალი სახლი აეშენებინა და იქ გადასულიყო. ძველი ორსართულიანი, ხის სახლი მიეტოვებინა მთელი თავისი ავეჯით და მოწყობილობით, სახლი დაკეტილი იყო. ვაჭარმა სიამოვნებით მოგვაქირავა ის თვეში 5 მანეთად. დავლექით. ყველას ცალკე ოთახები გვქონდა.

დავიწყეთ ცხოვრება.

„წითელი ჯვარი“ თვითეულ გადასახლებულს თვიურად აძლევდა გარკვეულ თანხას, საცხოვრებლად.

მე, როგორც გლეხს, მეძლეოდა შვიდი მანეთი და ათი შაური. ჩვენ შორის ორი აზნაური იყო. მათ ეძლეოდათ თითოს 12 მ. და 50 კ., როგორც „კეთილშობილებს“ — მეტი, ვიდრე ჩვენ.

რძე ახალგაზრდა გათხოვილ ქალებს მოჰქონ-

დათ — „მოლოდაიკებს“, „მოლოდუხებს“ ეძახდნენ. ლამაზები იყვნენ, კარგები.

სოლვიჩეგოდსკში ინტელიგენციას შეადგენდნენ: სკოლის დირექტორი, ექიმი, აქციზის ინსპექტორი, ფოსტის უფროსი.

ჩვენც ძალაუნებურად მათთან გვქონდა ურთიერთობა, გვეპატიჟებოდნენ ოჯახებში, პატივს გვცემდნენ.

თვითონ ადგილობრივი მცხოვრებნიც პატივისცემით გვეპყრობოდნენ.

საუბარი „ზარია ვოსტოკას“ გამომცემლობაში. 12. VI. 45.

* * *

ვერიკო ანჯაფარიძე:

— მე ქუთაისში წმინდა ნინოს სასწავლებელში ვსწავლობდი, სასწავლებლის უფროსი ქალი, „ნაჩალნიცა“ იყო შავრაზმელი, უძლესი მოძულე ქართველებისა; იგი არაერთხელ დაგვტუქსავდა ხოლმე მშობლიურ ენაზე ლაპარაკის გამო:

— არ გაბედოთ მაგ ძაღლის ენაზე სიტყვის ამოღება, თორემ სასწავლებლიდან გაგყრით ყველას!

ქართველი მოწაფე ქალები ბოლოს ააშფოთა იმ ხულიგანი დედაკაცის უდიერობამ, ქართველების დევნამ. უფროს კლასელმა ქალებმა განიზრახეს სასწავლებელში აჯანყების მოწყობა. მაშინ მე პატარა ვიყავი, ალბათ 13-14 წლისა, მე-5 კლასში ვიჯექი, მახსოვს.

ჩვენ დაგვარიგეს უფროსმა მოსწავლეებმა, რომ დილით, როცა ლოცვად დავდგებოდით დარბაზში, მგალობლები გალობის ნაცვლად სტვენას დაიწყებდნენ და ჩვენც ყველანი ავყვებოდით სტვენითა და „ძირს“ „ძირს“ ძახილით.

დანიშნულ დილას ასეც მოვიქეცით. დარბაზი გაჭედილი იყო მასწავლებლებით. მღვდელმა დაიწყო ლოცვა. აი მგალობლებმა უნდა დაიწყონ თავისი გალობა და ამ დროს ვიღაცამ დაუსტვინა. წარმოუდგენელი ამბავი დაიწყო.

მთელმა დარბაზმა მორთო კივილი, სტვენა, შეიქმნა სიოცარი ღრიანცელი...

ამ ჩვენ „ბუნტს“ რეპრესიები მოჰყვა. მოვიდნენ კაზაკები, ალყა დაარტყეს სასწავლებელს, გარეთ არავინ გამოგვიშვეს, ჩაგვკეტეს საკლასო ოთახებში.

მოვიდა თვითონ გუბერნატორი სლავოჩინსკი.

შეიქნა დაკითხვა, დატუქსვა. ბევრი მოწაფე გამოაგდეს სასწავლებლიდან.

22. VI. 45.

* * *

გერონტი ქიქოძე მეუბნება:

— ახლა მე ვწერ ჩემს მოგონებებს. მექნება უკვე სამი ფორმა დაწერილი. სულ ალბათ 10-15 ფორმამდე იქნება. არ მინდა, რომ ეს მოგონებები პოლიტიკური და საზოგადოებრივი ფაქტების მშრალ ნუსხას წარმოადგენდეს. მე მინდა ეს უფრო ადამიანური დოკუმენტი იყოს, ამიტომ მე გვერდს არ ავუვლი ჩემს რომანტიკულ გატაცებებსაც, ხშირად მძაფრ ტრაგიკულ განცდებსაც, ამასთან დაკავშირებულს. დავწერ, — მხოლოდ ჩემს სიცოცხლეში არ გამოვაქვეყნებ, რადგან ბევრი რამ იქ ჩემი ინტიმური ცხოვრების ამბავიც იქნება.

მე მინდა დავტოვო ანდერძი, რომ ეს მოგონებები გამოაქვეყნო შენ, ჩემო ლევან... შენ გენდობი, მოუვლი და გამოსცემ მას, როგორც საჭიროა...

ჩემთვის მოულოდნელია ეს სიტყვები:

— გერონტი დიმიტრიჩ, — ვეუბნები მას ალერსით, სიყვარულით, — მე მინდა, უპირველეს ყოვლისა, მადლობა მოგახსენოთ ნდობისა და პატივისცემისათვის, რომ ამ საქმეს მავალებთ, მაგრამ რატომ ფიქრობთ, რომ მე თქვენზე ადრე არ წავალ ამ ქვეყნიდან. ამ საქმეში უმცროს-უფროსობა ბევრ შემთხვევაში არაფერს ამბობს.

— არა, მე ახლა სამოცი წლისა შევსრულდი, შენზე თხუთმეტი წლით უფროსი ვარ, და ბუნებრივია, რომ მე უფრო ადრე გავუდგები გზას.

— მეორეც ისა, — განვაგრძობ ჩემს სათქმელს, — რომ თქვენი მოგონებები, ბატონო გერონტი, იმდენად საინტერესოა, რომ ის თქვენს სიცოცხლეშივე უნდა გამოაქვეყნოთ, როგორც კი დაამთავრებთ, მაშინვე. თუ მთლიანად არა, ფრაგმენტების სახით მაინც.

მიტინგის შემდეგ, მაჩაბლის ქუჩაზე

28. VI. 45.

* * *

ბებრის ციხის გაღმა, არაგვის მარცხენა ნაპირზე აღმართულია ობელისკი, — მწუხარე ნიშანი იმ ადგილისა, სადაც ტრაგიკულად, აგონიაში სიცოცხლეს ათავებდა შუბლგატეხილი მოხუცი პოეტი. ის ეგდო მტვრიან გზაზე, მისი სისხლი ჟრთვოდა მიწას.

ეს თეთრი სვეტი, მზით განათებული და მოელვარე, თითქოს ქვადქცეული ემანაციაა პოეტის სულისა, რომელიც ბუდობს მშობლიურ მიწის წიაღში, იქ, სადაც ჩაიღვარა მისი სისხლის წვეთები.

მარჯვნივ, ზედაზენის ფერდობის ძირას მოსჩანს სოფელი წიწამურა; რამდენიმე ათეული სახლი თავისი აივნებით გასცქერის დასავლეთს; აღმოსავლეთს ფარავენ მაღალი მთის თხემები. ეტყობა, აქაურ მცხოვრებთ არასოდეს არ უხილავთ მშვენება ცისკრის ვარსკვლავისა. მათ არ განუცდიათ სიხარული განთიადის ცის ელვარების, ამომავალი მზის გამობრწყინება, როდესაც ბუნება იღვიძებს ღამეული ზმანებათგან და ღიმილით ხვდება ნათელი დღის დასაწყისს; არა, წიწამურა იცნობს მხოლოდ შუადღის თაკარებას, მხურვალე მზის მწვანე და მცხუნვარე სხივთა გაავებას. მათი აივნებიდან მოსჩანს

მხოლოდ საღამოს ცის მეწამული კაბადონები, რომლესაც სისხლისფერი მზე უკანასკნელად იხედება შორეულ სივრციდან. ლურჯი მწუხრის ბინდები ედება წიწამურის ეზოებს, ბოსტნებს, გარემოს.

სად იპოვიდა განგება უფრო შესაფერ ადგილს საშინელი განაჩენის სისრულეში მოსაყვანად?

ფიქრები გზაზე, საგურამოსკენ.
18. VII. 45.

* * *

საგურამო. აი სახლი, უკანასკნელი სავანე მოხუცი პოეტისა. მისი ჰადარი, აუზი, წყარო და ქვის მაგიდები, ნიგვზების ჩრდილში, — ყველაფერი თავის ადგილასაა, ისევე როგორც ამ ორმოცი წლის წინათ.

წყარო ისევ სჩქეფს, ხეები შრიალებენ, ბალახი ბიბინებს. შორს ლურჯი მთები გაწოლილან, ღრუბლები მისცურავს მოწმენდილ ცაზე, ირგვლივ ყოველივე განაგრძობს ჩვეულებრივ არსებობას.

მხოლოდ ის არ ჩანს, სახლის პატრონი, — თითქოს დროებით წასულა სადღაც და ისევ მობრუნდება.

მისი სული კი აქ ტრიალებს, ყოველ საგანში, ხეში, ბალახში, ყვავილში, ყველგან სუნთქავს მისი სახელი.

19. VII. 45.

* * *

დემნა შენგელაია:

— შემიძლია ადამიანის შინაგანი განცდების გადმოცემა, მეხერხება მასობრივ სცენების აღწერა, მაგრამ მიჭირს დიალოგი. ხშირად ორ-ორი თვე ვმჯდარვარ, ერთ უბრალო დიალოგის გასაკეთებლად.

— საყვედურით ამავსეს, რომ „კოლა ბრუნიონს“ მიბაძე „ბათა ქექიას“ დასაწერადო. მათ არ იციან, რომ ბრუნიონი დამეხმარა, რათა ამოვსულიყავი „სანავარდოს“ სიბნელიდან რეალისტური შემოქმედების სინათლეზე.

— „ბათა ქექიას“ სამ წელიწადს ვწერდი. ჯერ დავწერე მეორე ნაწილი. ვნახე, რომ მას მოტივაცია აკლდა. ბრანდესი ამბობს, რომ დრამატურგია არის მოტივაციის ხელოვნება. ეს, ჩემის აზრით, თანაბრად შეეხება რომანსაც. ამიტომ მე იძულებული გავხდი დამეწერა პირველი ნაწილი. შემდეგ შვიდი თვე პაუზა მქონდა. ეს ინტერვალი საჭირო შეიქნა ჩემთვის, რომ პირველი და მეორე ნაწილები რომანისა შემეერთებინა.

ვოცნებობ დავეუფლო ხალხურ მეტყველებას. ამისათვის საჭიროა თვეობით და წლობით იცხოვრო ხალხში.

რაც შეეხება სიტყვებს, მე მათი დიდი მარაგი მაქვს, ჩაწერილი უამრავ ფურცლებზე. მაგრამ ბევრ შემთხვევაში მე ამ ჩანაწერებით ვერ ვსარგებლობ, რადგან საჭიროების დროს ძნელია ამათუიმ სიტყვის მოძებნა. აქ მე მშველის მეხსიერება. სიტყვებზე ძალიან კარგი მეხსიერება მაქვს.

ბებიაჩემი ლეჩხუმელი ჩიქოვანის ქალი იყო, დედა — საჭილაოელი დონდუას ქალი. 16 წლისა იყო, როცა ის მამაჩემს შეურთავს. წერა-კითხვა მამაჩემს უსწავლებია მისთვის. ნიჭიერი ყოფილა, წიგნის კითხვა ჰყვარებია, ძალიან ბევრი ჰქონდა წაკითხული ქართული წიგნები. ქართული ენა ძალიან კარგად იცოდა. ის გარდაიცვალა 1919 წელს.

რატომ სდევნიდა ქართული სამღვდელოება „ვეფხისტყაოსანს“? განა ქართულ მწერლობაში არ არსებობდა სხვა ძეგლი, ხორციელი სიყვარულისადმი მიძღვნილი? იხილეთ თუნდაც „ვისრამიანი“. მაგრამ აქ სხვა რამეში უნდა იყოს მიზეზი.

ჩემის დაკვირვებით, „ვეფხისტყაოსანის“ სიუჟეტური სქემა ძალიან წააგავს „ამირანის“ ვერსიების ძირითად სქემას. ხალხურ „ამირანიანში“ ბადრი, უსუპ და ამირან მიდიან ყამარ-ქალის სახსნელად. მთავარი მიზანი მათი ბრძოლისა ეს არის. განა ასეთსავე სქემასთან არა გვაქვს საქმე პოემაში? იქაც ხომ ავთანდილი, ფრიდონი და ტარიელი იბრძვიან ნესტან-დარეჯანის გამოსახსნელად ქაჯეთის ციხიდან.

ამირანიანის სიუჟეტი წარმართულ საფუძველზეა აგებული, ხალხი მას ინახავდა საუკუნეთა მანძილზე, ქრისტიანობა კი ებრძოდა ყოველივე წარმართულს, მათ შორის მითოლოგიურ წარმოდგენებსაც. რუსთაველი დაესესხა ხალხის მითოლოგიურ წარმართულ ეპოსს. იქნებ ეს იყო მიზეზი სამღვდელოების მტრული დამოკიდებულებისა „ვეფხისტყაოსნისადმი“ და არა მისი ფაბულის საფუძვლად აღებული მიწიერი სიყვარული?

20. VII. 45.

* * *

საგურამოში ცხოვრობს მოხუცი მასლოვი, დანიელ გაბრიელის ძე, ძველი ტოლსტოველი, ილია ჭავჭავაძის ყოფილი მეფუტკრე (მისი მშვენიერი მოგონებანი ილიაზე დაბეჭდილია „ლიტერატურულ მატიანეში“, № 1-2). მე ის ვნახე დღეს, ვესაუბრე, გამოვკითხე ზოგიერთი რამ, რაც მოგონებაში არა აქვს.

მასლოვი ახლაც მეფუტკრედ მუშაობს საგურამოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში.

ცხოვრობს პატარა ოთახში, თავის საფუტკრის მახლობლად. რევმატიზმისაგან ორივე ფეხი დახუთული აქვს, ძლივს დადის ორი ჯოხის საშუალებით.

ცოცხალი, ენაწყლიანი მოხუცია. ქართულს

ჩინებულად ლაპარაკობს. აი რა მიამბო მასლოვმა:

— მე დავიბადე 1873 წელს. ვმასწავლებლობდი რუსეთში. ვიყავი ტოლსტოის მიმდევარი. 1900 წელს ჩამოვედი საქართველოში. პირველად ვმუშაობდი კიკეთში, დავით ონიკოვის მამულში, მეფუტკრედ. ონიკოვი განათლებული მემამულე იყო, სწავლა საზღვარგარეთ ჰქონდა მიღებული.

1901 წელს ჩემი სკებით მონაწილეობა მივიღე სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, რომელიც თბილისში მოეწყო, მუშტაიდში. ამ გამოფენაზე მე დაჯილდოებული ვიქენი დიდი ოქროს მედლით, „შრომისა და გულმოდგინეობისათვის“.

ონიკოვსა და ჩემს შორის კარგი განწყობილება არ მოხერხდა. წასვლას ვაპირებდი. და სწორედ ამ დროს 1901 წლის შემოდგომაზე ჩემმა ნაცნობმა, ივანე გაბრიელის ძე თულაშვილმა წამომიყვანა საგურამოში ილია ჭავჭავაძისთან. ვანო თულაშვილი ილიას მეგობარი და ამხანაგი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტიდან.

— კარგი სპეციალისტი მოგიყვანე, ილია, — უთხრა ვანომ, როდესაც ჩემი თავი გააცნო.

ილიამ ეჭვის თვალით გადმომხედა და უთხრა ვანოს:

— ბევრი სპეციალისტი მყავდა და არცერთმა ჩემი ნდობა არ გაამართლა, ყველამ მომატყუარ.

ვანომ დაბეჯითებით ურჩია ჩემი აყვანა და ილიამაც მიმიღო სამსახურში.

ილია თვეში 30 მანეთს მაძლევდა ხელფასს. გარდა ამისა მეძლეოდა საჭმელ-სასმელი, სარეცხსაც მირეცხავდნენ. ერთი სიტყვით მზამზარეულზე ვცხოვრობდი.

თაფლი საკმაოდ მოდიოდა. ვინახავდით დიდ კასრებში, სარდაფში. მახსოვს, ერთხელ ილია შემოვიყვანე და ვაჩვენე თაფლის ახალი მოსავალი. გაეხარდა და მითხრა: „ბუზი ყველა მზოის, ფუტკართან ყველა სტყუის“ (ამ ანდაზას დანიელი ქართულად მეუბნება).

ზედმეტ თაფლს ილია ჰყიდდა. მოდიოდნენ თბილისიდან ვაჭრები და წინასწარ იბეჯებდნენ, იცოდნენ, რომ ჩვენთან საუკეთესო ბუნებრივი თაფლი კეთდებოდა.

ერთხელ ილიამ ასმანეთიანი მიჩვენა, აი ეს ფული ბედ დამიტოვა თაფლისათვის თბილისელმა ვაჭარმაო.

ილია დიდ დახმარებას უწევდა წინამძღვრიანთ-კარის სკოლას. მისმა მეგობარმა ილია წინამძღვრიშვილმა მთელი თავისი ქონება ამ სკოლას მოანდომა. მაგრამ სკოლის შენახვას მაინც დიდი თანხები სჭირდებოდა.

ილია ჭავჭავაძის მეოხებით ბანკი ყოველწლიურად 5.000 მანეთამდე ფულს სწირავდა ამ სკოლას. ილია წინამძღვრიშვილი ჩავიდოდა ხოლმე თბილისში, და სანამ ბანკისაგან ამ თანხას არ გამოითხოვდა, არ მოეშვებოდა ხოლმე.

ილია ჭავჭავაძე იტყოდა ხოლმე:

— ასეც უნდა, ძალიან კარგად იქცევა, თუ საქმის გატანა გინდა, არ უნდა მოეშვა, შენი უნდა გაიყვანოვო.

თბილისში ბევრი ქართველი ტოლსტოველი მყავდა მეგობარი. მათ შორის განსაკუთრებით პატივს ვცემდი ილია ნაკაშიძეს. საუცხოვო კაცი იყო. როცა შემხვდებოდა, მუდამ მპატიჟებდა თავის სახლში, ხუმრობით მეტყოდა ხოლმე:

Головинский, восемь,
Милости просим!

22.VII.45.

* * *

აკაკი ბელიაშვილი:

— ინსტიტუტში რომ ვიყავი, გეოდეზიას პროფესორი ანდრია ბენაშვილი გვიკითხავდა. ის იყო მკაცრი პედაგოგი და მოითხოვდა ჩვენგან საგანი კარგად გვცოდნოდა.

გამოცდაზე რომ მივედი, ჩამჭრა. მოვამზადე და მეორედ მივედი. ისევ ჩამჭრა. მეწყინა, მაგრამ რას გავაწყობდი, მესამედ მივედი. წვრილმანებში შემედავა, კვლავ არ მოეწონა ჩემი მომზადება და მესამედ ჩამჭრა.

საშინლად გავბრაზდი. მან შემატყო წყენა და მითხრა:

— სხვა ტომის რომ ყოფილიყავი, აქამდე გაგიშვებდი, მაგრამ რადგან ქართველი ხარ, მეტს გთხოვ... ქართველმა კაცმა, ჩემმა შეგირდმა ჩემი საგანი ჩემზე უკეთ უნდა იცოდე. ამიტომ გახსოვდეს, ათჯერ რომ მოხვიდე გამოცდაზე, სანამ ზედმიწევნით არ გექნება საგანი შეთვისებული, ათჯერვე ჩაგჭრი.

რაღას ვეტყოდი, ნაწყენი ვიყავი, მაგრამ ეს რომ მითხრა, გულში მაინც სიამე და სიამაყე ვიგრძენი.

ბოლოს მაინც ჩავაბარე. შესანიშნავად ვიცოდი, მაგრამ ფრიადი მაინც არ დამიწერა — უკეთესად უნდა გცოდნოდაო.

23. VII. 45.

* * *

აკაკი ბელიაშვილი:

— პროფ. ბენაშვილისმაგვარი ხასიათები იშვიათია, მით უმეტეს დასაფასებელი. ასეთი ხასიათის ყველაზე მკვეთრი წარმომადგენელი იყო ილია ჭავჭავაძე. თუ დაიწერება წიგნი ილიას შესახებ, ამას განსაკუთრებული ხაზი უნდა გაესვას.

ილია უაღრესად მომთხოვნელი თავისიანების მიმართ.

ილიასა და ივ. მაჩაბელს შორის უთანხმოების ერთი მიზეზთაგანი ილიას ასეთ ხასიათში უნდა ვეძებოთ.

მაჩაბელი იცავდა ღარიბი და შეუძლო თავადაზნაურობის ინტერესებს, რომელსაც ბანკი მამულებს უყიდდა.

ილია კი მკაცრი იყო თავადაზნაურობის ასე-

თი ნაწილის მიმართ. ის მათ ბედოვლათებად სთვლიდა, რადგან მამულის გირაოდ მიღებულ ფულს, მეურნეობის კეთილმოწყობის ნაცვლად, ქეიფში ფლანგავდნენ. ასეთ მევალეებს ილია უყიდდა მამულებს და არ უყურებდა იმას, შინაური იძენდა ბანკისაგან ამ მამულებს, თუ გადამთიელი.

ილიას ხასიათი მოსჩანდა არა მარტო მის პრაქტიკულ საქმიანობაში, არამედ ყველა მის ნაწერში. ოთარაანთ ქვრივი — ეს ილიას ხასიათია. ამ მხრივ განსაკუთრებით სამახსოვროა ილიას ლექსი „ჩემო კალამო“, დაწერილი ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში:

„ჩემზე ამბობენ: ის სიავეს ქართვლისას
ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი
სიძულვილია,
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე
სცნობს —
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!

ილიას სიმტკიცე, მომთხოვნელობა თავისიანებისადმი საერთო, საქვეყნო საქმის ინტერესით გამოწვეული — აი ეს თვისებები ახლობელს ხდიან ამ დიდი ადამიანის პიროვნებას ჩვენი დღევანდელი თაობისათვის.

26. VII. 45.

* * *

კიტა აბაშიძის „ეტიუდების“ ჩემს ტომს აქვს ავტორის წარწერა:

„ჩემი სიყმაწვილის მეგობარს იასონს სახსოვრად იმ დროისა, როდესაც ალტაცებით ერთად ვკითხულობდით ტანჯულის მოძღვრის ნაწერებს. წარუხოცველ დაღს ამ ალტაცებისას და თაყვანისცემას ამ მწერლისადმი ნახავ აქა.
კიტა. 1912. მარტის 16“.

ეს წიგნი ბუკინისტთან მაქვს ნაყიდი ხუთი წლის წინათ.

ნეტავ ვინ არის იასონი, ან ვის გულისხმობს კიტა ტანჯულ „მოძღვარში“? ილიას?

22. VII. 45.

* * *

მე — გურამს:

— 1919 წლის სექტემბერში მე პირველად შემოვდგი ფეხი აი ამ უნივერსიტეტის ალაყაფის კარებში. სასოებით და მღელვარებით, აფორიაქებული ოცნებით დავდიოდი უნივერსიტეტის აუდიტორიაში, დერეფნებში. ხსოვნა ამ წლების მომსდევს მთელ სიცოცხლეში. მიყვარს ეს შენობაც, ჩემი **Alma mater**...

დღეს შენ შედიხარ უნივერსიტეტში, მე მიგყვები ამ პირველ დღის, რომ გაგარკვიო გარემოში, დაგეხმარო განცხადების და საბუთების შეტანაში.

და მე განვიცდი მეორე ახალგაზრდობას, თითქოს ეს მე ვარ, ისევ მე შევდივარ ახალ ცხოვრებაში და განვიცდი იმ პირველ ბედნიერ მღელვარებას.

ბიბლიოთეკა

გახსოვდეს შენც ეს დღე. გიყვარდეს ეს უნივერსიტეტი, გიყვარდეს შენი ოცნება და საქმე. იბრძოლე შენი ოცნებისათვის.

30. VII. 45.

* * *

**სიმონ ჩიქოვანი:**

— ჩვენს ოჯახში ერთი ობოლი ქალი იზრდებოდა. ის გაათხოვეს ბათუმელ ვაჭარ ქადეიშვილზე. ამ ვაჭარს ძალიან ესახელებოდა ჩვენს ოჯახთან დამოყვრება. ბაბუაჩემი სიკო ჩიქოვანი მეზობლებში პატივისცემით სარგებლობდა, მამაჩემიც, თუმცა ორივენი ნაკლებ შეძლებულ აზნაურებად ითვლებოდნენ.

გარშემო მაღალი, მწვანით შემოსილი მთები.

მახსოვს იმ ვაჭარმა ერთხელ დედაჩემს საჩუქრად მოუტანა შესანიშნავი ქარვის კრიალოსანი. სტამბოლში ეყიდა შემთხვევით, მართლაც იშვიათი რამ იყო. თორმეტი ქლიავის სიმსხო ქარვა იყო ძაფზე აცმული და ორი იმავე სიმსხოს მარჯანი ახლდა.

დიდხანს ინახებოდა ეს ქარვის კრიალოსანი ჩვენს ოჯახში, როგორც ძვირფასი ნივთი. 1918-19 წლებში, მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ, ჩვენ ძალიან გაგვიჭირდა. ბავშვები პატარები ვიყავით, უმწეონი. დედა იძულებული იყო საოჯახო ნივთები გაეყიდა სიმინდის შესაძენად. ჯერი იმ ქარვაზედაც მიდგა. დედამ ის გასაყიდად ვერ გაიმეტა; ჩვენს სოფელში ერთი მდიდარი მოსახლე იყო, ნესტორა ცომაია, იმას დაუგირავა ექვს ფუთ სიმინდზე, ახალ მოსავლამდე. ეს ცომაია ჭიათურაში მოსაქმეობდა, შემოსავალი ჰქონდა, კარგად ცხოვრობდა.

როცა დრო მოვიდა, დედამ მიმართა ამ ცომაიას, თქვენი სიმნდი მიიღეთ, კრიალოსანი დამიბრუნეთო, მაგრამ კრიალოსანი აქ არ მაქვს, ჭიათურაში დამრჩაო და ამის შემდეგ მუდამ რაღაც მიზეზებს იგონებდა. არ იქნა არ დაგვიბრუნა უკან. გავიდა ხანი.

ერთხელ ასეთი ამბავი მოხდა. ამ ცომაიას შვილმა ახალი ნათხოვნი ქალი მიატოვა. მოყვრებმა იწყინეს. ერთ ღამეს მივიდნენ ჩუმად და როცა ცომაიებს ეძინათ, ხის ოდას ოთხივ კუთხეზე ნავთი მიასხეს, ცეცხლს მისცეს. მძინარე ოჯახმა ძლივს გამოასწრო გარეთ.

და აი ამის შემდეგ, როდესაც დედამ ერთხელაც კიდევ მიმართა ცომაიას კრიალოსანზე, მან მწუხარებით განუცხადა, ქარვაც, ისევე როგორც ბევრი ძვირფასი ნივთი, ცეცხლში დაგვეღუპაო.

დარწმუნებული ვიყავით, სტყუოდა, მაგრამ ვერაფერი ვერ მოვახერხეთ.

ახლაც გული მწყდება, როცა მომაგონდება ის შესანიშნავი კრიალოსანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

კონსტ. ჭიჭინაძე:

— მე სოფელ ხიმშიდანა ვარ. ის მდებარეობს ბარაკონის მახლობლად, ონიდან 21 კილომეტრის მოშორებით, ქუთაისისკენ.

დაბადებული ვარ 1891 წელს. მამაჩემს ცხრა შვილი ჰყავდა, ექვსი ვაჟი და სამი ქალი. მე ყველაზე უფროსი ვარ.

სოფელი ხიმში ძველ სიგელში მოხსენებულია „ხივშად“. შეიძლება ასე ეწოდებოდა წინათ, ან იქნებ სიგელის დამწერის შეცდომაა, არ ვიცი.

გ. ლეონიძისგან ვიცოდი, რომ სოლომონ იმერთა მეფემ პოეტ ბესიკ გაბაშვილს იმ ადგილებში მამული უბოძა.

ჩემს სოფელში რომ ავედი, ერთხელ მოხუცებს გამოვკითხე ამის გამო. მათ დამიდასტურეს, რომ ხიმშის ქვემოდ მდებარე ადგილებს წინათ „საგაბაშვილო“ რქმევიათ. მათ არ იცოდნენ და ვერც აეხსნათ, თუ რატომ ეწოდებოდა ამ მიდამოს ასეთი სახელი — არც ერთი გაბაშვილი იქ არ ესახლა არაოდეს.

ამჟამად ეს სახელწოდებაც წაშლილა ხალხის ხსოვნაში.

5. VII. 45.

* * *

დილით სოფლიდან მოდის კოლმეურნე, ეძახის ჩვენი სახლის დარაჯს:

— oო, ნიკა, ნიკაააა!

მახსენდება ი. მეუნარგიას მოგონება ილიაზე. ერთხელ, საგურამოში ყოფნისას, ილია გადადგა აივანზე და გადასძახა: oო, თედო, თედოოო!

ი. მეუნარგიამ ეს გაიგონა, ჩაწერა უბის წიგნში და შემდეგ გამოიყენა ილიას პორტრეტის ხატვის დროს.

ჩვენი პლუტარქე იყო იონა?

მისი ერთი პატარა უბის წიგნი უფრო ღირებულია ქართული კულტურისათვის, ვიდრე ათი საკანდიდატო დისერტაცია ჩვენი უნივერსიტეტის სწავლულებისა.

საგურამო. 8. VII. 45.

* * *

ჩარგალი. ვაჟას ქოხი. ქვითკირის პატარა ოთახი.

ის აქ დაიბადა, აქ ცხოვრობდა, აქ სწერდა თავის პოემებს.

კუთხეში — ბუხარი.

ორი პატარა სარკმელი. რკინის საწოლი. აქ ეძინა მას.

კედელზე ვაჟას მოკლული ირმის რქა — გაბარჯგნული, მრავალტოტიანი, ზედ ვაჟას ბოხოხი ჰკიდია.

იქვე გვერდით კედელზე — ორი ყანწი, სალუდე ყომი.

მეორე კუთხეში ვაჟას სამეურნეო ხელსაწყოები: ბირდაბირი, ნაჯახი, ცელი, ნამგალი, კიდევ კოდი, კარაქის სადღვები, სალუდე ორი ჯამი.

იატაკი მიწის.

გარეთ პატარა ეზო.

ის გადასცქერის ვიწრო ხეობას. იქ მხიაულით ჩადის პატარა ჩარგლულა.

* * *

უფრო მაღლა — ალპიური სათიბები, მწვერვალები, ჯანღით შემოსილი.

ვაჟას სახლის უკან ამ მთას სასოეთი ეწოდება. იქიდან ჩამოდის ღელე, ჭიჭას-წყალი.

ჩარგლის ხეობას არაგვის მხრიდან მეორე მაღალი მთა დასცქერის, საორბეს ეძახიან იქაურები.

მაღალი მთის ფერდობს შეჰფენია სოფელი ჩარგალი.

კრამიტით დახურული ქვის სახლები მოსჩანან მწვანეში, როგორც ყაყაჩოები.

ჩარგალი. ვაჟას გარდაცვალების 30 წლის თავი.

12. VII. 45.

* * *

ვაჟას ერთი ნაცნობი ჰყავდა თიანეთში, შამანაური.

ერთხელ, რეაქციის დროს, 1906-7 წლებში, ეს შამანაური საქმეების გამო ხევსურეთში ყოფილიყო. იქიდან დაბრუნებულს ჩარგლის მახლობლად დაღამებოდა, გადაეწყვიტა, ვაჟასთან შევალო ღამის გასათევად.

გადაუხვევია გზიდან. ვაჟას სახლის ქვემოთ, თურმე სიბნელიდან უეცრად სამი შეიარაღებული კაცი გამოვიდა. ცხენი გაუჩერეს, ჰკითხეს, ვინ არის, საიდან, რად მიდის ვაჟასთან მგზავრსაც აუხსნია ვინც იყო. გაუშვიათ. თურმე ესენი ფშავლები იყვნენ, ვაჟას იცავდნენ, რომ ქალაქიდან სტრაჟნიკები არ ამოსულიყვნენ და არ დაეჭირათ, როგორც ხალხის ერთგული მოამაგე რევოლუციის დროს.

ვაჟამ ამის შესახებ არაფერი იცოდა თურმე.

შამანაური მისულა ეზოში, სარკმელში შუქი დაუნახავს, შეუხედნია შიგ: ბუხარი ენთო. ვაჟა დათვის ტყავზე იჯდა, ცეცხლის შუქზე სწერდა, სამფეხა სკამზე დაყრდნობილი.

ილო მოსაშვილის ნაამბობი. 12. VII. 45.

* * *

ერთხელ ვაჟამ დაიბარა თავის სოფლის დიაკვანი და უთხრა:

— პოემა „ბახტრიონის“ წერას შევუდექ, მაგრამ ნავთი არა მაქვს, რომ გავინათო, არც საწერი ქაღალდი გამაჩნია. აი, სამოცდაათი კვერცხი დავაგროვე, კიდევ ხუთი ქათამი, — წაიღე დუშეთში, გამიყიდე, აღებული ფულით ნავთი, ქაღალდი და თამბაქო მომიტანე.

დიაკვანმა ცხენი შეკაზმა, კვერცხებიანი კალათი ხურჯინში ჩადგა, ქათმებიც ამოიკრა უნაგირზე და წავიდა.

ჩარგალს შორს არ გასცილებოდა, რომ დიაკ-

ვანს ცხენი დაუფრთხა, ხევში ჩაუვარდა. კვერცხები სულ ჩაილეწა, ქათმები ზოგი დაეხოცა, ზოგი გაუფრინდა...

დარჩა ვაჟა გაწბილებული.

ის ტყეში წავიდა, არყის ხის ქერქები მოიტანა, გაახმო, წვრილ ჩხირებად დაჭრა, როგორც სანთლები.

მთელი ზამთარი იმ ჩხირების შუქზე წერდა...

ის ღარიბი იყო. ძალიან ღარიბი, უჭირდა, მაგრამ წერდა, რადგან ეწერებოდა.

გ. ლეონიძის ნაამბობი, როცა ჩარგლიდან ვბრუნდებოდით. 12. VII. 45.

* * *

ვაჟას პირველი ცოლი მოუკვდა. დარჩა პატარა ობლები. ბავშვებს ძალიან ერიდებოდათ მამის, რადგან ის შინაურებში მკაცრი იყო.

როცა რამეს დასწერდა, უნდოდა ვინმესთვის წაეკითხა, აზრი გაეზიარებინა. არავინ იყო.

მაშინ ვაჟა ბავშვებს მოისვამდა ბუხრის წინ, მათ წაუკითხავდა.

ამ დროს ის უჩვეულოდ ლმობიერი იყო. ბავშვები გრძნობდნენ ამ ცვლილებას.

ვაჟა შეეკითხებოდა:

— მოგწონთ?.

ისინი იყვნენ მისი პირველი მსმენელები და შემფასებლები. ბავშვებიც სიხარულით უპასუხებდნენ მამას:

— ძალიან მოგვწონს, ძალიან, — მართლა მოსწონდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა ნასიამოვნები იყო.

ვაჟას უფროსი ქალის თამარის ნაამბობიდან. გოგლა მომითხრობს გზაზე. VIII. 45.

* * *

უკანასკნელ წელს (1915) თბილისიდან რომ დაბრუნდა, ვაჟა მთელი დღეები იწვა თურმე ტახტზე მდუმარე, თავქვეშ მუშტები ჰქონდა ამოდებული, თვალები ჭერს მიშტერებული.

რას ფიქრობდა, რა დარდი აწუხებდა, ვინ იცის!

იქნებ ბოლმა აწვა გულზე!

ამდენი სწერა — მაინც არ იყო სამშობლოში დაფასებული, ისე, როგორც ეკადრებოდა. იმ ხანებში, პირიქით, ხშირად იწყეს მის შესახებ წერა გაზეთებში — უსამართლოდ აკრიტიკებდნენ.

ამდენი იცხოვრა, იჯაფა, მაინც ღარიბი იყო. ბავშვებს ვერ ასწავლა. თითონ უდროოდ მოტყდა, მოხუცდა. ამდენი შრომის, შემოქმედებითი წვის შემდეგ რა ეჭირა ხელში? არაფერი.

იქნებ ამაზე ფიქრობდა იმ საშინელ მარტოობაში, იმ უკანასკნელ თვეებში თავის ცხოვრებისა.

□გაგრძელება იქნება□

წიგნების თაროდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ იყო მუშტეიდ თავრიზელი

„რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკის ისტორიიდან“

ჩვენს წინაშეა მცირე მოცულობის ორიგინალური ნარკვევი, რომლის მიზანია შეისწავლოს ლოკალური პრობლემა — XIX ს. პირველი ნახევრის ირანის გამოჩენილი პოლიტიკური და რელიგიური ლიდერის მირ-ფეტტე-სეიდ მუშტეიდ თავრიზელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთი მხარე — მისი პროგრესული ორიენტაცია. საკვლევი საკითხის უკიდურესი დავიწროება, მოცულობით შეზღუდვასთან პარალელურად, თავისთავად ჰქმნიდა სქემატიზმის საშიშროებას, რასაც შეიძლებოდა დამატებოდა საარქივო მასალის ესოდენ უხვად შემოტანით შეპირობებული ე. წ. „აკადემიური სიმშრალე“. საბედნიეროდ, სარეცენზიო მონოგრაფიაში შესანიშნავადაა გადალახული, თუ შეიძლება ასე ითქვას, „სივრცული სირთულე“; ლაკონური წერის მანერა, ძირითადის წინწარმოჩენის უნარი, ისტორიულ მოვლენათა მასშტაბური განჭვრეტის წესის ცოდნა, პროფ ნ. მ. ქორთუას ნაშრომს ხდის მეტად ტევადს. აქ დასმულია დიდმნიშვნელოვან პრობლემათა მთელი წყება: შემობრუნება რუსეთის იმპერიის აღმოსავლურ პოლიტიკაში, კავკასიური ეთნოსის იდეოლოგიურ-რელიგიური თავისებურებების გათვალისწინება, შიიტური სექტის სასულიერო ლიდერების და შაჰის კარის ურთიერთობა, მუსლიმანური სამყაროს სოციალური ფსიქოლოგია და ა. შ. შეიძლება თამამად ითქვას პროფ. ნ. მ. ქორთუას გამოკვლევა თითქმის ერთადერთია, რომელმაც მთელი კატეგორიულობით დააყენა რუსეთის კავკასიურ სამხედრო კამპანიებში მოქნილი ეროვნულ-სარწმუნოებრივი პოლიტიკის ერთ-ერთი წამყვანი როლის საკითხი. ავტორის სამართლიანი დასკვნით, გენ. პასკევიჩმა ირან-თურქეთის უზარმაზარი არმიები მხოლოდ საბრძოლო ბატალიებში კი არ გაანადგურა, არამედ იმ უმნიშვნელოვანესი გარემოებით, რომ მოხერხებულად წაართვა „ბაბრსა“ და „ფოცხვერს“ იდეოლოგიური საყრდენი; შევეხოთ ამ საკითხს უფრო ვრცლად.

საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ „თეთრი რუსეთი“ კავკასიაში შემოიყვანა ქართულმა ალტერნატივამ, რასაკვირველია, ეს პროცესი დაემთხვა დიდი ჩრდილოელი იმპერიის ექსპანსიონისტურ მისწრაფებებსაც, მაგრამ უდავოა — რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის თითქმის ყველა ფორმა ემყარებოდა ქართულ ინიციატივას. „აღდგენა-გამოხსნისათვის“ წარმოებულ სამასწლიან უთანასწორო ბრძოლაში რუსეთი აღმოჩნდა თითქმის ერთადერთი გზა პროგრესისაკენ. მე-17 საუკუნის მეორე ნახევრიდან პრორუსულმა ორიენტაციამ საბოლოოდ გაიმარჯვა სომხეთის გამათავისუფლებელ მოძრაობაშიც, რომელმაც შეცვალა „ფრანკული“ ანუ ევროპული მიმართულება. ამჯერად არ შევუდგებით ქართულ-სომხურ „რუსოფილურ“ განწყობილებათა ანალიზს, მათ მსგავსება-განსხვავებას, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ პეტერბურგში შესანიშნავად შეაფასეს მომენტი — ქართული ალტერნატივა კავკასიაში სახელმწიფოებრივად დამკვიდრებისათვის გამოიყენეს, სომხურ ელემენტს კი, ახლად შემოერთებული მხარის ეკონომიკურ ათვისებაში კომპადორის ფუნქცია დაეკისრა. რასაკვირველია, ქართულ-სომხური სიმბიოზის საერთო მაჰმადიანურ სამყაროსთან კონფრონტაციით და თვით ამ სიმბიოზის შიგნით არსებული ანტაგონიზმის გაღრმავებით ცარიზმი საკუთარ კოლონიზატორულ მიზნებს ისახავდა, მაგრამ საბოლოო შედეგად მაინც პროგრესი მოჰქონდა. ეს კარგად ესმოდათ მშრომელ მასებს, აგრეთვე ქართველ არისტოკრატიასაც და სომხურ სავაჭრო ბურჟუაზიასაც. სწორედ ამიტომ უსვამდა ხაზს აკად. ნ. ბერძენიშვილი, რომ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში მიმდინარე აურაცხელი შეიარაღებული გამოსვლები ატარებდა არა ანტირუსულ, არამედ ანტირეჟიმულ ხასიათს და ძირითადად გამოწვეული იყო ცარიზმის ჯერ კიდევ მოუწესრიგებელი კოლონიალური აპარატის მოუქნელობით, ნაწილობრივ კი დისციპლინირებული, ევროპული ტიპის სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ადგილობრივი მოსახლეობის ძნელი ადაპტაციით.

---

1 Н. М. Кортуа, «Из истории восточной политики России», Мир-Фетте-Сеид-Муштеид Тавризский. Тбилиси, 1979.

მაგრამ როგორ იდგა ეს პრობლემა კავკასიის მაჰმადიანურ მოსახლეობაში? აქ თითქოს პრორუსულ ორიენტაციას არ უნდა ჰქონოდა იდეოლოგიურ-რელიგიური და ეკონომიკური საფუძვლები. რაც შეეხება დაღესტან-აზერბაიჯანის ნახევრად დამოუკიდებელ ერთეულებს, მათი პოლიტიკური ორიენტაცია სამანევრო-ტაქტიკურ შინაარს ატარებდა და არ შეიძლებოდა ჰქონოდა მყარი სტატუსი. მხოლოდ მე-18 საუკუნის 80-იანი წლებიდან, როდესაც ჩამოყალიბებას იწყებს აზერბაიჯანული სახელმწიფოებრივი კონცეფცია და იქმნება ჩრდილო-აღმოსავლეთ აზერბაიჯანის სახანოთა გაერთიანება, აშკარად გამოიკვეთა, თუმცა ჯერ კიდევ სუსტი, აქცენტი რუსეთთან კავშირზე (იხ. პროფ. გ. აბდულაევის ნაშრომი). რუსულმა დიპლომატიამ ვერ შეძლო გაეღრმავებინა ეს ტენდენცია. თუმცა ეს შეუძლებელიც იყო, აზერბაიჯანის სახანოების რუსული ორიენტაცია დაემთხვა აზერბაიჯანული ეროვნულ სახელმწიფოებრიობის იდეის აღორძინებას, ცარიზმი კი იმთავითვე დაადგა ამიერკავკასიის უშუალო შეერთების გზას. ბუნებრივია ცალკეულ სამფლობელოებში ჩაკეტილ, ზოგჯერ „შაჰობაზე“ მეოცნებე ხანებს, „დაუტკბათ“ ირანის თითქმის ფორმალური საფარველი. სწორედ ამიტომ ჩრდილო აზერბაიჯანის რუსეთთან შეერთებას მოჰყვა სისხლისმღვრელი ბრძოლები ირანთან და ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მკვეთრი წინააღმდეგობის დაძლევა.

რასაკვირველია, მუსლიმანთა ასეთი მტრული პოზიცია გარკვეული აზრით ემყარებოდა ცარიზმის მოხელეთა მოუქნელ მუშაობას, კავკასიის რუს სამხედრო ხელისუფალთა არასწორ, მხოლოდ „შტურმისა და ხიშტის“ დიპლომატიას. ყოველივე ეს უქმნიდა ნოყიერ ნიადაგს თურქეთ-ირანის რელიგიურ პროპაგანდას. სწორედ ამ დროს იწყება ე. წ. „ტარიგათი“, „ჰავაზათის“ — საღვთო ომის მოწოდება რუსებისა და მათი მოკავშირე კავკასიელი ქრისტიანების წინააღმდეგ. ამიერკავკასია აივსო ფანატიკოსი შეიხებით, ჰაჯიებით, სეიდებით და ა. შ. ძირგამომთხრელი საქმიანობა გააჩაღეს ინგლისელმა ემისრებმაც, რუსეთის მმართველობა კავკასიაში სერიოზული გამოცდის წინაშე აღმოჩნდა, 1826 წლის ზაფხულში ირანის ჯარებმა მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს. აღმოსავლეთ საქართველოს და თბილისს თითქმის დაცემის საფრთხე დაემუქრათ. რასაკვირველია, შაჰის არასაკმაოდ ორგანიზებულ ლაშქარს მრავალრიცხოვნობის მიუხედავად, არ შეეძლო დაეძლია ევროპის ბრძოლებში გამობრძმედილი რუსული არმია, მაგრამ საქმე გააძნელა ადგილობრივი მუსლიმანური მოსახლეობის შეიარაღებულმა გამოსვლამ.

ამ რთულ ვითარებაში უაღრესად გონივრული, ტაქტიკურად ეფექტიური და სტრატეგიულად სწორი მეთოდი შეიმუშავა კავკასიის მთავარ-მმართებელმა, გენერალ-ადიუტანტმა, გრაფმა პასკევიჩმა. იგი თვლიდა, რომ მხოლოდ ძალის გამოყენება მუსლიმანური პროვინციების მიმართ იყო შეცდომა. „სიმკაცრემ, კერძოდ გააღრმავა ზიზღი და ააღორძინა შურისძიება“. გენ. პასკევიჩის მეთოდმა გაამართლა. პროფ. ნ. ქორთუას სიტყვით, „თითქმის უმნიშვნელო დათმობის ფასად მიღებულ იქნა შთამბეჭდავი შედეგები“. თუ ადრე რუსეთის იმპერია თურქეთისა და ირანის წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებდა ქრისტიანიზმის პრინციპების აფიშირებით, ქრისტიანობის სახელით, გენ. პასკევიჩის მეშვეობით 1826-27 წ.წ. რუსეთ-ირანის და 1826-1829 წ.წ. რუსეთ-თურქეთის ომები ფაქტიურად წარიმართა კავკასიის ხალხთა საერთო სახელით. ამ ბრძოლებში ქართულ და სომხურ მოხალისე მილიციის გვერდით გამოჩნდნენ მუსლიმანური პოლკებიც. პროფ. ნ. ქორთუას გამოვლენილი მასალა ცხადყოფს, რომ ამ პერიოდში თითქმის მთლიანად გადაისინჯა ოფიციალური დამოკიდებულება მუსლიმანებისადმი. ხანგრძლივი ეჭვი მათი ლოიალობისადმი შეიცვალა ნდობით. „ეს პოლიტიკა, თუმცა არა ძირეულად, შესამჩნევად აუმჯობესებდა ურთიერთობას მუსლიმანურ და ქრისტიანულ მოსახლეობას შორის“.

სარეცენზიო წიგნის ავტორი გენ. პასკევიჩის ასეთ ინიციატივას ეძახის **შემობრუნებას პოლიტიკაში**. ჩვენის მხრივ, დავსძენთ, რომ ამ შემობრუნების დანახვა და მისი დასაბუთებული ასახვა არის თავისებური ისტორიოგრაფიული შემობრუნებაც, ეს არის სიახლე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიული მოვლენების სწორი ინტერპრეტაციისათვის. საქმე ისაა, რომ თანამედროვე საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, განსაკუთრებით ქართულ და სომხურ საისტორიო მეცნიერებაში ადგილობრივი მოსახლეობის როლი ჯერ კიდევ ცალმხრივადაა გაშუქებული. ქართულ-სომხური მილიციის წინა პლანზე წარმოჩენის პარალელურად ზოგჯერ მივიწყებულია მუსლიმანი მოხალისეების ბრძოლა თურქი და ირანელი აგრესორების წინააღმდეგ. ამ ხარვეზის შევსება უდავოდ პროფ. ნ. ქორთუას მეცნიერული დამსახურებაა. ეს საკითხი მას შესწავლილი აქვს ადრინდელ ნაშრომებში, სარეცენზიო გამოკვლევაში კიმისი-ფეტტე-ალასეიდ-მუშტეიდ თავრიზელის მოღვაწეობის მაგალითზე ნაჩვენები აქვს ამიერკავკასიის მუსლიმანური მოსახლეობის „პრორუსული შემობრუნების“ საფუძვლები.

გენ. პასკევიჩი შესანიშნავად გრძნობდა, რომ მუსლიმანთა ლოიალობას აუცილებლად სჭირდებოდა მყარი სულიერი ბაზისი, ამიტომაც მისი იდეა იყო შეექმნა კავკასიის მუსლიმანთა ერთიანი რელიგიური ხელისუფლება და მის სათავეში დაეყენებინა ყველაზე საიმედო ავტო-

რიტეტული პიროვნება, რომელიც შეძლებდა ირან-თურქეთის გავლენის განეიტრალებას და რუსეთისადმი ნდობის განმტკიცებას. ასეთი პიროვნება გამოძებნა ა. ს. გრიბოედოვმა. ეს იყო ჩრდილოეთ ირანის მსხვილი რელიგიური მოღვაწე, ქ. თავრიზის შიიტ სასულიერო პირთა მეთაური, მირ-ფეტტე-აღა სეიდ-მუშტეიდ თავრიზელი. აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის 20-30-იან წლების მთელი კავკასიისა და ირანის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მუსლიმანი ლიდერის ცხოვრება და საქმიანობა თითქმის ბურუსით იყო მოცული. პროფ. ნ. ქორთუამ მთლიანად შეკრიბა ნარატიული (მჩერბატოვის და ენიკოლოფოვის მიმოხილვები, მურავიოვის მემუარები, „თბილისის უწყებათა" ანონიმი კორესპონდენციები, კ. კოხის აღწერილობა და ა. შ.), დაუმატა ქ. მოსკოვის ცენტრალურ სახელმწიფო სამხედრო ისტორიულ არქივში მიგნებული უნიკალური დოკუმენტები და გააცოცხლა წარსულის უაღრესად საინტერესო ეპიზოდები.

მუშტეიდი (ასე უწოდებს შემოკლებით ამ პიროვნებას მონოგრაფიის ავტორი, მხედველობაში აქვს რა ტრადიცია) შემთხვევით არ მისულა „რუსოფილურ" განწყობილებამდე. მას როგორც **სეიდს** (მის გრძელ ტიტულში მოხსენებული ეს კომპონენტი ნიშნავს, რომ თავი მიაჩნდა უშუალოდ მუჰამედისა და მისი უახლოესი ნათესავების ჩამომავლად) და წმინდანად შერაცხულ მირზა იუსუფის ვაჟს, არ შეეძლო მხარი დაეჭირა ყაჯართა დინასტიისათვის. შიიტური სარწმუნოების მთავარი დოგმების მიხედვით ყაჯართა დინასტია იყო უკანონო, რადგან ისინი არ იყვნენ ალიტები (ე. წ. წმინდა ალის ჩამომავლები). ყაჯარებს იტანდნენ, როგორც „ღვთის სასჯელს" და იყენებდნენ ირანის აყვავებისა და განდიდების ძალად, რაკიღა ომმა რუსეთთან ცხადყო ყაჯართა უუნარობა, ამიტომაც მათდამი დაქვემდებარების საჭიროება მოიხსნა. ეს შიიტური თეორია, სამწუხაროდ, თითქმის უცნობია ქართულ ისტორიოგრაფიაში.

პროფ. ნ. ქორთუას მიერ ლაკონიური ფრაზებით დახასიათებული ზემოხსენებული რელიგიური დოგმა ირანის ისტორიის ბევრი აუხსნელი მოვლენის გასაღებს იძლევა. ამ მცირე მონოგრაფიამ თუნდაც მხოლოდ ამ თეორიის ხაზგასმით წამოჭრა უმნიშვნელოვანესი საკითხი — შიიტური სარწმუნოების ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაზე გავლენისა და საქართველოსთან ურთიერთობაში მისი ასახვის მეცნიერული შესწავლისა. მაგალითად, ჩვენთვის აუხსნელია ხშირად ირანის შაჰების გაუგებარი ქონიანობა ე. წ. „მუსლიმანური მეფეების" ეპოქაში, მათ მიერ ფორმალური მუსლიმანობის მოთხოვნა აშკარად ფაქტიური ქრისტიანიზმის პირობებში (მაგ., გიორგი X-ს, ქაიხოსროს, ვახტანგ VI და შაჰ-ჰუსეინის ურთიერთობა, განსაკუთრებით, შაჰ-ჰუსეინის შიში ე. წ. „ომართა" ანუ ფანატიკოს რელიგიურ მსახურთადმი. შესაძლოა აქვე გავიხსენოთ ნადირ-შაჰის რელიგიური პოლიტიკა, რამაც კიდევაც დაღუპა იგი და ა. შ.). ერთი სიტყვით, სანამ ირანული შიიტიზმის პოლიტიკური შინაარსი არ გაიშიფრება, არ მოეძებნება ზუსტი პასუხი არც სეფიანთა ადრინდელ სიძლიერეს (სეფიანთა დინასტია ალიტური იყო და საწყის ეტაპზე თეოკრატიული სტრუქტურა ჰქონდა) და არც მის შემდეგდროინდელ დეგრადაციას. შიიტიზმის უნარზე ებრძოლოს ყველაზე ძლიერ მონარქს, მეტყველებს თვით თანამედროვე ამბებიც კი! ყოველგვარი ანალოგია მოიკოჭლებს, მაგრამ არსებობს დაუძლეველი ცდუნება გავავლოთ თითქოს შეუძლებელი პარალელი მე-19 საუკუნის 20-იანი წლების მუშტეიდსა და მე-20 საუკუნის 70-იანი წლების აიათოლას შორის. თუ გავითვალისწინებთ რომ, გარეგნული პოლიტიკური ადაპტაციის მიუხედავად (ეს ადაპტაცია გამოიხატება, მაგალითად, მუეძინის მიერ რეპროდუქტორის გამოყენებაში), შიიტიზმი უკიდურესად კონსერვატორულია, შესაძლოა ანალოგია არც ისე დაუშვებლად მოგვეჩვენოს. აიათოლა ჰომეინის რელიგიურმა მოღვაწეობამ დღეს შეკრა ირანის მრავალწახნაგოვნი რევოლუციური ბრძოლის ურთულესი მოზაიკა და მოგვცა „მეჩეთის რევოლუცია". ეს აუხსნელი პარადოქსია მხოლოდ იმიტომ, რომ ზუსტად არ ვიცით შიიტიზმის ჩვენთვის უცნობი მექანიზმი — კრიტიკულ სიტუაციაში მართოს მასები.

ახლა დავუბრუნდეთ წარსულს. რუსეთის არმიის მიერ ქ. თავრიზისა და სამხრეთ აზერბაიჯანის თითქმის უსისხლოდ აღება მთლიანად განაპირობა მირ-ფეტტე-აღა სეიდ-მუშტეიდ თავრიზელის პოზიციამ.

სარეცენზიო ნაშრომში, მოკლედ, მაგრამ ამომწურავადაა გადმოცემული მუშტეიდის შემდგომი ბედი; გადმოსახლება ამიერკავკასიაში, მისი დანიშვნა მთელი კავკასიის შიიტთა ხელმძღვანელად შესაბამისი რეზიდენციით ქ. თბილისში, მისი მეტად ეფექტური პრორუსული პროპაგანდა, ქ. თბილისში მის მიერ დღემდე არსებული მშვენიერი ბაღის გაშენება და ა. შ.

1845 წელს მუშტეიდმა მიატოვა რუსეთის იმპერია და ირანში დაბრუნდა. პროფ. ნ. ქორთუა გამოთქვამს ვარაუდს, რომ ეს გადაწყვეტილება გამოიწვია მისი უშუალო მტრების — აბას-მირზას და ფაფ-ალი-ხანის გარდაცვალებამ, რაც სრულად ლოგიკურია. ჩვენი მხრივ დავამატებთ უკიდურესად ფრთხილ თვალსაზრისს — ვფიქრობთ, რომ მე-19 საუკუნის 30-იანი წლების ბოლოსათვის მუშტეიდის ორიენტაცია რუსეთზე ერთგვარად შენელდა. საქმე შემდეგშია: ამ პერიოდიდან რუსეთმა განუსაზღვრელი დროით გადადო ირანში უფრო ღრმად შეჭრის გეგმები, რამაც ალბათ მუშტეიდის იმე-

დების გაცრუება გამოიწვია. პროფ. ნ. ქორთუას დასკვნა, რომ მუშტეიდი რუსეთის მხარეზე გადავიდა ყაჯართა დინასტიისა და პირადად ტახტის მემკვიდრის აბას-მირზას მტრობით, სრულიად ლოგიკურია, მაგრამ მას ხომ უნდა ჰქონოდა პროგრამა მთელი ირანის მასშტაბით. შესაძლოა რუსეთის იმპერიის მეშვეობით მას სურდა მთელი ირანიდან აღეკვეთა ყაჯარები (ან უკიდურეს შემთხვევაში სამხრეთ აზერბაიჯანიდან მაინც), რაც მის სამშობლოს შედარებით სიმშვიდეს, პირადად მას კი ყუმის მუშტეიდის ტიტულს მოუტანდა (ყუმი შიიტთა წმინდა ქალაქია და იქ ყოველთვის ზის ყველაზე პოპულარული მუშტეიდი, დღეს აიათოლა, მთელი ირანის ფაქტიური საპატიო „მწყემსი"). დასაშვებია სხვა ვარაუდიც; 40-იანი წლებიდან რუსეთმა, კავკასიის მთლიანი ათვისების მიზნით, კვლავ წამოიწყო ახალი პოლიტიკა, ადგილობრივი მოსახლეობის დაახლოების კურსი (გრაფი მ. ვორონცოვი). გარეგნულად ეს პასკევიჩის პოლიტიკის გაგრძელება იყო, ფაქტიურად კი სრულიად განსხვავებული შინაარსით. პასკევიჩი ადგილობრივ მოსახლეობას იახლოვებდა არსებული სახით, „კულტურულ სტატუსკვოს" დაცვით. ვორონცოვი კი ცდილობდა მათ კულტურულ ათვისებას (ბალმასკარადები, სალონები, ოპერა, თეატრი, ჟურნალ-აგეზები და ა. შ.). ბუნებრივია, ეს პროცესი მიუღებელი უნდა აღმოჩენილიყო ორთოდოქსალ მუშტეიდისათვის.

დასასრულ კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ პროფ. ნ. ქორთუას ამ მეტად საყურადღებო მონოგრაფიის მაღალ მეცნიერულ ღირსებებს და გამოვთქვამთ სურვილს უფრო ვრცელი სახით ქართულ ენაზე მისი გამოცემის შესახებ.

ლ. ტუხაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვალმოხდილი



ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან თვალსაჩინო მუშაკი ქართული კულტურისა, ღრმა ერუდიციის მქონე ლიტერატორი და ხელოვნებათმცოდნე, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მწერალი შალვა ილიას ძე ალხაზიშვილი. მან ცხოვრების საკმაოდ გრძელი გზა განვლო, და ამ გზაზე ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შესძლო. აქტიური შემოქმედებითი მუშაობა მან დაიწყო სიჭაბუკის წლებიდანვე და მაშინვე მიეკედლა ქართველ მწერალთა იმ დაჯგუფებას, რომელიც „მემარცხენეობის“ ანუ ქართველი „ლეფელების“ სახელით იყო ცნობილი. ეს იყო ბრწყინვალე და მაღალნიჭიერი ახალგაზრდა კოლექტივი, რომელშიაც შედიოდნენ პოეტი სიმონ ჩიქოვანი, კრიტიკოსები — ბესარიონ ჟღენტი და ლევან ასათიანი, ბელეტრისტი აკაკი ბელიაშვილი, რეჟისორი ნიკოლოზ შენგელაია, პოეტი ნიკოლოზ ჩაჩავა, ქართული საბჭოთა პროზის ერთ-ერთი ფუძემდებელი დემნა შენგელაია, გამოჩენილი მკვლევარი და მხატვრული სიტყვის ოსტატი აკაკი გაწერელია და სხვები. ამ მაღალნიჭიერი თანავარსკვლავედის ღირსეული წევრი იყო აწ განსვენებული შალვა ალხაზიშვილი. იმ წლებში, როცა იწყებოდა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორია, ქართველმა „მემარცხენეებმა“ ბევრი რამ ახალი შესძინეს ჩვენი ერის სულიერ საგანძურს, მნიშვნელოვნად გაამდიდრეს იგი.

შალვა ალხაზიშვილის წერილებს მუდამ დიდი ინტერესით ელოდა ჩვენი მკითხველი. შალვა წერდა წარსულზეც და თანამედროვეობაზეც, და ყოველი მოვლენა თუ ამბავი, გასაოცარი ელვარებით ცოცხლდებოდა მისი კალმის ქვეშ, მის სტრიქონებში. წერდა ქართულ მწერლობაზე, ქართულ კინოსა და თეატრზე, მხატვრობაზე, მსოფლიო ხელოვნების ისტორიაზე, ელეონორა დუზეზე და მარია ერმოლოვაზე, ვერიკო ანჯაფარიძეზე და უშანგი ჩხეიძეზე, მიქელანჯელოსა და ზიგმუნდ ვალიშევსკიზე. რა აწერინებდა? სიყვარული აწერინებდა. სიყვარული ქართული კულტურისადმი, მთელი საკაცობრიო კულტურისადმი. მთელი სიცოცხლე იჯდა ეს მარტოხელა კაცი, გამოკეტილი წიგნებით ჭერამდე სავსე პატარა ოთახში და კითხულობდა, წერდა, ფიქრობდა.

თავისი სიცოცხლის ბოლო 32 წელი შალვა ალხაზიშვილმა შესწირა ჟურნალ „მნათობს“, სადაც იგი წარმატებით უძღვებოდა ლიტერატურული კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის განყოფილებას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი დაბადებული იყო რედაქციისათვის... შალვასთვის რედაქციის ჰაერი იყო საჭირო, რომ ეცოცხლა, ამის გარეშე მას სუნთქვა არ შეეძლო, და თვითონ რედაქციისათვისაც შალვა ჰაერივით საჭირო იყო, რადგანაც ეს იყო ენციკლოპედიური განათლების ადამიანი, რომელმაც ზეპირად, რომ იტყვიან ხოლმე, შუაღამისას რომ გაგეღვიძებინა, იცოდა მთელი მსოფლიო ხელოვნებისა და ლიტერატურის ისტორია, იცოდა თავისი უამრავი დეტალებით, თავისი მთელი ნიუანსებით და ამიტომ მას თითონ არაფერი შესცდებოდა, და სხვის შეცდომასაც უმალ შეამჩნევდა; ხოლო სარედაქციო მუშაკის პროფესიისათვის, კარგად მოგეხსენებათ, ეს რამხელა ღირსებაა! დიახ, ასე ფართო იყო მისი ჰორიზონტი, ასე ღრმა იყო ცოდნა საგნისა, რასაც იგი ემსახურებოდა!

ემსახურებოდა ერთგულად, პირნათლად, უანგაროდ, და ასე გაიარა, ასე დამთავრდა მთელი მისი სიცოცხლე.

**„მნათობის“ რედაქცია**

## შალვა ალხაზიშვილის ხსოვნას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ „მნათობის“ რედაქციის კოლექტივს გამოაკლდა უხუცესი და უძველესი თანამშრომელი — კრიტიკისა და ლიტერატურისმცოდნეობის განყოფილების გამგე შალვა ალხაზიშვილი. ის იყო ფრიად განათლებული ლიტერატორი, ჩვენი კულტურის ჩუმი და უანგარო მუშაკი, ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი ინტელიგენციის ძველი თაობისა, რომელიც თავისი ფესვებით მეცხრამეტე საუკუნესთან გვაკავშირებს.

შალვას მამა ილია ალხაზიშვილი თვალსაჩინო მწერალი და ღირსეული მამულიშვილი იყო, რომლის სახელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის პირველი ათეული წლების ჯავახეთის ისტორიასთან. შალვამაც ბავშვობა ჯავახეთში გაატარა, შემდეგ სწავლობდა გორსა და თბილისში, მაგრამ თავისი ღრმა, ენციკლოპედიური განათლება მან, ძირითადად, თვითგანვითარების გზით მიიღო. ახალგაზრდობაში შედიოდა ჯერ ქართველ ფუტურისტთა, შემდეგ კი „მემარცხენეთა“ ჯგუფში. ამ დროს ის გაეცნო და დაუახლოვდა ცნობილ მწერლებსა და კულტურის მოღვაწეებს. ბევრ გამოჩენილ ადამიანთან ჰქონია მას საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა შემდგომშიც, როცა სახკინმრეწვში, ხელოვნების სამმართველოში, ჟურნალების რედაქციებში მუშაობდა. მათ შორის იყვნენ ვლ. მაიაკოვსკი, ვ. შკლოვსკი, ლ. კულეშოვი, ვ. ჟირმუნსკი, ბ. ეიხენბაუმი, ს. ეიზენშტეინი, ვ. პუდოვკინი, ს. ჩიქოვანი, ბ. ჟღენტი, ნ. შენგელაია, ირ. გამრეკელი და სხვები.

სამწუხაროა, რომ შ. ალხაზიშვილს ყოველივე ამის შესახებ ვრცელი მოგონებანი არ დაუწერია, თორემ დარწმუნებული ვართ, ჩვენს ღარიბ მემუარულ ლიტერატურას ერთი ძალიან საინტერესო და კარგი წიგნი შეემატებოდა.

მეტისმეტი თავმდაბლობისა და მოკრძალების გამო შ. ალხაზიშვილს არც თავისი წერილების შეკრებასა და ცალკე წიგნად გამოცემაზე უზრუნვია, თუმცა მის კალამს ეკუთვნის ლიტერატურის, თეატრის, კინოსა და მხატვრობის სხვადასხვა საკითხისადმი მიძღვნილი მრავალი თეორიული წერილი და რეცენზია, დაწერილი დიდი ცოდნით, სიყვარულით, შინაგანი კულტურით.

უფრო მეტი დრო და ენერგია შ. ალხაზიშვილმა შეალია სხვათა ნაწერების კითხვასა და სწორებას, შავ რედაქციულ სამუშაოს, რომელიც უცხო თვალისათვის შეუმჩნეველი რჩება, ჟურნალისტებმა და რედაქციის თანამშრომლებმა კი კარგად იციან, რაოდენ მძიმე, მოსაბეზრებელი, მაგრამ ამავე დროს საჭირო და აუცილებელია იგი.

ყველაზე დიდი ხანი — სამ ათეულ წელზე მეტი — შ. ალხაზიშვილმა „მნათობის“ რედაქციაში იმუშავა — ჯერ ბიბლიოგრაფიის განყოფილების, შემდეგ კი კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის განყოფილების გამგედ. ის „მნათობის“ რედაქციაში მოვიდა სწორედ იმ ხანებში, როცა სალიტერატურო სარბიელზე გამოდიოდა ომის შემდგომი ახალგაზრდა მწერლებისა და მკვლევართა თაობა. ეს თაობა, რომელსაც მეც ვეკუთვნი, დიდად დავალებულია ბატონი შალვასაგან. ის იყო ჩვენი ხელისშემწყობი, გულშემატკივარი, ნამდვილი უფროსი მეგობარი, რომელსაც ყურადღება და კეთილი რჩევა არავისთვის დაუკლია. ეს მხარდაჭერა, ყურადღება და წაქეზება ბევრ რამეს ნიშნავდა.

ამიტომაც ჩემი თაობის კრიტიკოსები და ლიტერატურისმცოდნეები, სხვებთან ერთად, ყოველთვის პატივისცემითა და მადლიერების გრძნობით მოიგონებენ შალვა ალხაზიშვილის სახელს.

**ზურაბ ჭუმბურიძე**

ფასი 80 კაპ.

6. 112/113

ინდექსი
76128

# „МНАТОБИ"

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ